ლევან ჭიჭინაია

ქართველური ენა

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა
„ლიტერატურა და ხელოვნება“
თბილისი
1964

ი ლ ი ა

ილია და თანამედროვე ქართული მწერლობა

ყოველ ერს ჰყავს თავისი საყვარელი მწერლები, მისი ეროვნული და სოციალური იდეების გამომხატველი საზოგადო მოღვაწენი. ისინი წარუშლელ კვალს ტოვებენ ერის ცხოვრებაში. მათ შორის არიან ისეთი მწერლებიც, რომლებიც მარადჟამ თანამედროვენი არიან, მუდმივად მომქმედნი, დაუბერებლად რომ ცოცხლობენ თავის ხალხთან ერთად. ასეთია, მაგალითად, პუშკინი რუსეთისათვის, შექსპირი—ინგლისისათვის, გოეთე — გერმანიისათვის, ბალზაკი—საფრანგეთისათვის. ასეთია ილია საქართველოსათვის.

პუშკინი რუსეთმა წარმოშვა, ხოლო პუშკინმა რუსი ხალხის გონება და ჭკუა საქვეყნოდ გამოაბრწყინა, მთელ მსოფლიოში განავრცო დიდი რუსეთის სახელი. ასევე ილია ჭავჭავაძე საქართველომ წარმოშვა, ხოლო ილიამ თავისი მხრებით აზიდა საქართველოს წარსული და აწმყო, საქვეყნოდ გამოაბრწყინა ჩვენი ერის ჭკუა და გონება. ილია ჭავჭავაძემ აკაკი წერეთელთან ერთად აღზარდა, გამოაწრთო ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული გრძნობები და მისწრაფებანი. ილია და აკაკი განუყოფელად შესულია ჩვენს სულიერ კულტურაში, ჩვენს შემეცნებაში, ჩვენს წარმოდგენაში. ჩვენი აზროვნება, ჩვენი მეტყველება, ჩვენი ლექსიკა ბავშვობიდანვე ილიას და აკაკის სულიერ სალაროში იჭედება, ყალიბდება, ფორმდება და რაც შემდეგაც, ილიასა და აკაკის შემდეგ შეიქმნა, ყველაფერს კარგსა და ღირსეულს, მათი მადლიც ჰფენია.

ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის საქართველოს, მისი მო-

წინავე სულიერი ზრახვებისა და სოციალური იდეალების გამომხატველიცაა და მეთაურიც. ამ ჭეშმარიტად დიდმა მამულიშვილმა და საზოგადო მოღვაწემ ქართველი კაცის ჭკუას, მის პატრიოტულ გრძნობებს, მის სანუკვარ იდეალებს წარუშლელი კვალი დააჩნია, ილია ჭავჭავაძე განუყოფელად თან სდევს ჩვენს ხალხს გასაჭირსა თუ დიდ სასისარულო დღეებში.

მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.

ილია ჭავჭავაძემ შეითვისა და შემოქმედებითად განავითარა ის ლიტერატურული, საზოგადოებრივი და რევოლუციური ტრადიციები, რომელსაც იგი ეზიარა: მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, რუსთველისა, გურამიშვილისა და ბარათაშვილის პოეზია იყო ის დვრიტა, რაც საფუძვლად დაედო ილიას შეხედულებებს, მრწამსსა და რწმენას. ეს იყო ილიას გონებრივი ცხოვრების დიდი არსენალი, ხოლო მე-19 საუკუნის რუსული მწერლობა და მოწინავე რევოლუციური აზროვნება იყო ის მეორე არსენალი, რომელსაც იყენებდა ილია ჭავჭავაძე ყოველგვარი დრომოჭმულისა და რუტინის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთის მისამართით ჩერნიშევსკი ამბობდა: „ჯერჯეროობით თითქმის ყველა გონებრივ მოღვაწეობას ხალხისას ლიტერატურა აერთიანებსო“, იგივე სიტყვები შეიძლება გავიმეოროთ ქართული ლიტერატურის შესახებ. მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა იყო ჩვენი ხალხის სოციალური და ეროვნული იდეალების ერთადერთი სრულყოფილი გამომხატველი, ილია კი ამ ახალი ქართული ლიტერატურის მეთაური და ხელმძღვანელი.

ილია ჭავჭავაძე მაშინ მოვიდა ქართულ მწერლობაში, როცა ჩვენს ხალხს ორპირად დაგრეხილი მარყუჟი ჰქონდა მოჭერილი. ამ მარყუჟის ერთ გრეხილს ბატონყმობა წარმოადგენდა, მეორეს კი ცარიზმი. ილია და მისი თაობა ქართველი ერის ამ ორ დიდ ბოროტებას შეებრძოლა, ამ ახალი დასის მქუხარე ხმამ ერთბაშად ააფორიაქა დამყაყებული საზოგადოებრივი ჰაობი, მამაპაპური, მშვიდობიანი ძილი დაუფრთხო ქართველთა იმ ნაწილს, რომელიც შერიგებოდა

ამგვარ მდგომარეობას. ილიას თაობამ ახლისათვის ბრძოლაში გამოაღვიძა, გამოაფხიზლა და მოძრაობაში მოიყვანა საქართველოს მთელი პროგრესული ძალები. ილიამ ბრძოლაში გამოიწვია ყველაფერი, რაც ადუნებდა ერის საბრძოლო განწყობილებას. ამ მხრივ იგი არ მოერიდა არც დიდს და არც პატარას. ერთი იმდროინდელი მწერლის შესახებ ილია გაბრაზებით წერდა: „ყველაზე უმდარესი მწერალია უფალი ბერიევი, რომელიც გუთნის დედას აძინებს ხოლმე და ანუგეშებს, რომ ძილზე უკეთესი არა არისო ქვეყანაზე რა, ის კი არ აგონდება უფალ ბერიევს, რომ სწორედ მაგ ტკბილმა, მამაპაპურმა ძილმა დაგვღუპა ჩვენ“.

ქართული საბჭოთა მწერლობა სწავლობდა და მუდამ ისწავლის ილიასაგან მკვეთრად გაარჩიოს რა არის სიყვარულის ღირსი, რა უნდა ადიდო და რას უნდა ებრძოლო, ერის ტრადიციებში რა უნდა წააქეზო და განავითარო მოწინავე იდეებისათვის ბრძოლაში.

ილიას განუზომლად უყვარდა საქართველო, მაგრამ არა განურჩევლად. ილია იბრძოდა ახალი საქართველოსათვის, რომლის ბატონ-პატრონი ხალხი იქნებოდა. ხალხი, რომელიც ამქვეყნიური დოვლათის შემქმნელია, და ამ ახალ გზაზე იგი დაუნდობლად ამხელდა, ვინც ძველებურ უდარდელობასა და მცონარობას ქადაგებდა. და, როდესაც ილიამ დაინახა ახალგაზრდობის საბრძოლო მოღვაწეობისათვის იმჟამად არსებული ერთადერთი მხატვრული ჟურნალი, „ცისკარი“, დაბრკოლებად იქცა, იგი ახალი ჟურნალის შექმნას შეუდგა. „ჭავჭავაძის პარტია და იმათი მომავალი ჟურნალი“ („ცისკრის“ რედაქტორის, ივანე კერესელიძის სიტყვებია—ს. ჭ.) თავზარს სცემდა მამაპაპური უდარდელობით დაავადებულ ძველ თაობას. იგივე ივანე კერესელიძე ერთ კერძო ბარათში წერდა: „კახეთში ხმა დააგდეს, ჭავჭავაძემ ისეთი რამ უნდა გამოსცეს, ჯერ არ ენახოს ქვეყანას და ვერც შთამომავლობამ ნახოსო“. ამ სიტყვებში იყო სიმართლის მარცვალი. მართლაც, ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“ ისეთი პროგრესული, რევოლუციური ჟურნალი იყო, რაც მანამდე არ ეხილა ქართველ მკითხველს. ხალხი, ხალხის ინტერესების დაცვა, მისი უკეთესი იდეალებისათვის ბრძოლა იყო

ამ ჟურნალის საბრძოლო პროგრამა. მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე გულწრფელად აცხადებდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამომჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“. ჟურნალის გარშემო თავმოყრილმა ახალმა თაობამ დემოკრატიზმის, ხალხურობის პრინციპს დაუმორჩილა ყველაფერი, რაც მოწინავე და პროგრესული იყო ჩვენს მწერლობაში. ილია ჭავჭავაძემ გაბედულად აღიმაღლა ხმა ყოველივე დრომოჭმულის წინააღმდეგ, ყოველივე მოძველებულისა და უვარგისის წინააღმდეგ.

„ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, — წერდა ი. ჭავჭავაძე,—როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ, საქვეყნოდ გამოთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ, ეს კი უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონე, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში მისთანანი, რომლებიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა, ეგ იმათ მოსდით ქართველობის უმეცარი სიყვარულის გამო. ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლეხური ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

დიდ სამოციანელს, რევოლუციონერ დემოკრატს, ილია ჭავჭავაძეს, მიაჩნდა, რომ ჟურნალი „ცისკარი“ და მის გარშემო თავმოყრილი მწერლობის ძველი თაობა ვიწრო, კარჩაკეტილი ინტერესებით ცხოვრობდა, ხალხისაგან შორს იდგა, ძველი რომანტიკული ილუზიებით თავს ირთობდა. მათ წინააღმდეგ ილიამ, პირველმა ქართულ მწერლობაში, გაბედულად მოითხოვა, რომ მწერლობა ერის უმრავლესობის, მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი და გამომხატველი გამხდარიყო. ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ ილია ჭავჭავაძე აცხადებდა: „ჟურნალის ამოცანა იქნება ყველგან მიწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკუის ძვირფასი მარგალიტები, საყოველთაოთ მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახდეს ის, რაც დასაკუთრებული აქვს

ცოტას". ილია ჭავჭავაძემ მშრომელი ხალხის სამსახური დასახა მწერლობის უმთავრეს პრინციპად და თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნია, ხალხის ინტერესებით ეხელმძღვანელა ყველა საქმეში. ილია მწერლის მოვალეობად თვლიდა დახმარებოდა წელში მოხრილ მშრომელს, შრომა გაეადვილებია მისთვის, უნუგეშოსთვის ნუგეში ეცა. ილიას აზრით ეს მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როდესაც მასებს ცოდნა დაეუფლებოდა, როდესაც მწერლობა ხალხის კუთვნილებად გახდებოდა: „მეცნიერებისა და ხელოვნების ამოცანაა გზა გაუნათოს ადამიანის აბობოქრებულ ცხოვრებას, ცოდნა, რომელიც ცხოვრების გზაზე აღმოცენდება, არის გზის მაჩვენებელი, ჩირაღდანი იმავე ცხოვრებისა... ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზე აღმოცენებული შტოები არიან". რა თანადროულად ჟღერს ილიას ეს ესთეტიკური კონცეფცია. რა უკვდავად ცოცხლობს ილიას ეს დიდებული სიტყვები.

დიდმა ხელოვანმა სამართლიანად შენიშნა, რომ მწერლობა აქტიური იდეოლოგიური კატეგორიაა, რომელიც ცხოვრებას ეფუძნება და შემდეგ ცხოვრების განვითარებაზე თვით ახდენს გავლენას. მწერლობა ადამიანის აღზრდის, ცხოვრების გაუმჯობესების მძლავრი ფაქტორია. იცავდა რა რეალიზმის ამ პრინციპს, ილია ჭავჭავაძე დაუნდობლად ებრძოდა ძველ, დრომოჭმულ ესთეტიკურ შეხედულებებს, ძველ ლიტერატურულ სკოლებსა და მიმართულებებს. ილია ჭავჭავაძე კატეგორიულად აცხადებდა: „დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს ღრუბლებში ცურვას... მთვარის ხვეწნას, რომ ჩემს საყვარელს უთხარი ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია, რომელსაც შენს გამო „ოხვრის კვამლი" თვალებს წვავს და ცრემლს ადენსო. დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭას, თვალების სრესას, ეგებ, ცრემლი მომივიდესო, დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირში, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავისი ცხოველი სურათებისათვის". ეს იყო დიდი რეალისტის მგზნებარე სიტყვები მიმართული ძველი სენტიმენტალიზმისა და რომანტიკული წუწუნის წინააღმდეგ. რა თანადროულად ჟღერს ეს სიტყვები, რამდენი ჭკუის სასწავლია ყველა იმათთვის, ვინც დღესაც

„მოვარის მიჯნურობას“, წერილმანი, სანტიმენტალური გრძნობების ჩიჩქნას ანაცვალებს ჩვენი ბობოქარი ცხოვრების ცენტრში ყოფნას. რა მოსწრებულად აბათილებს ილიას ეს სიტყვები „მათს მაღალ სელოვნებას“, ვინც სუბიექტური ილუზიებით ირთობს თავს და ვისაც ცხოვრებისაგან განდგომა, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა და ავადმყოფური, პირადი გრძნობების „განზოგადოება“ მაღალ პოეზიად მიაჩნია.

ილია ჭავჭავაძე არა მარტო სიტყვით, არა მარტო ჟურნალითა და გაზეთით იბრძოდა, როგორც რედაქტორი, მგზნებარე, რეალისტური პოეზიისათვის, საკუთარი შემოქმედებითაც ადასტურებდა ცხოველმყოფელობასა და სიდიადეს რეალიზმისა. ილია ქადაგებდა:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა:
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამ...
დიდის ღმერთის საკურთხეელის
მისთვის ღვიეის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში.

საბჭოთა მწერლობა წინ სწევს, ავითარებს ილიას ამ მებრძოლ რეალისტურ პრინციპს და ქართულ საბჭოთა მწერლობაში რაც კი დაუბერებელი მომავლის ყლორტების მქონე იყო და არის, ილიას ამ მოწინავე შეხედულებათა გაგრძელებას წარმოადგენს.

ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის ბრწყინვალე ლირიკა, ილიას უბრწყინვალესი პროზა, მისი მგზნებარე პუბლიცისტური წერილები იყო მოწოდება და დაუცხრომელი ბრძოლა ერის წყლულის განკურნებისათვის, ქართველი ხალხის ეროვნული ძალების განახლებისათვის, უკეთესი მერმისისათვის. ილიამ „მგზავრის წერილების“ მებრძოლი სიტყვები „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიჩცემი“, თავისი ესთეტიკური შეხედულების ქვაკუთხედად აღიარა. ილია იცავდა ისეთ მწერლობას, რომელიც ხალხს დაეხმარებოდა, ცხოვრების გზას გაუნათებდა, ჭირსა და მწუხარებას შეუმსუბუქებდა, მის სიხარულსა და

აღტაცებას გაიზიარებდა. მებრძოლი იდეალების პოეტი საჯაროდ აცხადებდა: „არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავისი ძილითა და სიზმრებითა, და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვით, ბრძოლითა და ვაივაგლახითა“.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების უძლიერესი მხარე იყო მისი განუყოფელი კავშირი ხალხთან, ჭეშმარიტი ხალხურობა. ილიას პატრიოტული ლირიკა, ილიას მებრძოლი სოციალური მოთხრობები და პოემები ზრდიდა ქართველ ხალხს სამშობლოს მხურვალე სიყვარულისა და მისი უკეთესი მერმისისათვის დაუცხრომელი ბრძოლის შეგნებით. იმდროინდელი საქართველოს სინამდვილით გულმოკლული პოეტი წერდა:

ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება.

ილიას მებრძოლი ნაწარმოებები—იქნება ეს „მგზავრის წერილები“, „დიმიტრი თავდადებული“, „ქართვლის დედა“, „ეაკო ყაჩაღი“, „აჩრდილი“, „კაცია-ადამიანი?“, „გლახის ნაამბობი“ თუ ლირიკული ლექსები აფხიზლებდა და აღვიძებდა თავის ხალხს, აიარაღებდა, სულიერად ამზადებდა დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. მაშინაც, როცა ილია გატაცებული იყო გარიბალდის მეთაურობით იტალიაში გაჩაღებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობით და მას მხურვალე ლექსით მიესალმა, პოეტს თავისი ქვეყნის მომავალი ედგა თვალწინ, გულით ეწადა თავის მამულშიაც გაეგონა „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“. და მაშინაც, როცა პოეტი პარიზის კომუნარების თავდადებულ ბრძოლას შეეხაროდა, მათი საქმე მიაჩნდა მთელი მსოფლიოს „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელად“. ხალხების მომავალსა და მათ შორის საქართველოს მომავალსაც კომუნარების დიად იდეებს უკავშირებდა. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ „პარიზის კომუნის“ ავტორი საფრანგეთის კომუნარების მომხრედ გამოაცხადეს საქართველოში თავისუფლების დიდმა მომღერალმა ილია ჭავჭავაძემ კომუნარების საქმის დამარცხება მჭმუნვარე სტრიქონებით აღბეჭდა:

ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...

კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.
კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შედგნენ ძალნი
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

ილია ჭავჭავაძემ საჯაროდ შეაჩვენა კაცთა ღირსების დამმდაბლებელი დიდი სოციალური ბოროტება ბატონყმობა, მზის სინათლეზე გაიტანა მთელი ის სისასტიკე და სისაძაგლე, რაც თან ახლდა ამ სოციალურ ინსტიტუტს. ილიას „აჩრდილი", „რამდენიმე სურათი ან ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ", „გლახის ნაამბობი", „კაცია-ადამიანი?!" ბატონყმობის წინააღმდეგ ამხედრებდა მშრომელ ხალხს. კაკოს, ზაქროსა და გაბროს მებრძოლ სიტყვებს იმეორებდა ხალხი: „ბატონსა და. ყმას შორის ხიდი არ გაიდებაო". „თავადი შვილი კარგი რა არის, ავი რა იყოსო"... ილიამ დიდი რეალისტის მებრძოლი შეუპოვრობით გამოსახა მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალური და ეროვნული ცხოვრება და ამ ნიადაგზე შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ ჩაგვრას, უსამართლობასა და მონობას. ეს მებრძოლი იდეალები დიადი მომავლისაკენ გზას უნათებდა მშობლიურ ქართველ ხალხს, ნიადაგს ამზადებდა საქართველოში იმ დიდი რევოლუციური ქარიშხლისათვის, რაც მე-20 საუკუნემ მოიტანა. ილია ჭავჭავაძე ამ მხრივ უთუოდ არის დიდი წინამორბედი ჩვენი საუკუნისა.

ილია ჭავჭავაძე პატარა ერის შვილი იყო და ამიტომ შესანიშნავად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის ხალხთა ძმობას და მეგობრობას. ილიამ პირველმა მისცა მაღალი და მართებული შეფასება საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიულ ფაქტს: „ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ, — წერდა ილია, — აიღო თავი და შეაფარა დიდ რუსეთის იმპერიას, მტერს არ დანებდა და მეგობრობის პირი ქნა, გული მოიბრუნა". ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევდა ილია ჩვენი კარის მეზობლებთან, სომხებთან და აზერბაიჯანთან მეგობრობის აუცილებლობას. ებრძოდა რა სომხეთის ბურჟუაზიას, ჩარჩ ვაჭრებს, სომეხი და ქართველი ხალხის ამ ექსპლოატატორებს, ილია ამავე დროს დიდი

პატივისცემით იხსენიებდა სომხეთის მშრომელ ხალხს და მაღალ შეფასებას აძლევდა მათთან ძმობას და მეგობრობას საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში: „ჩვენ კარგად ვიცით, — წერდა ილია, — რომ წინანდელი საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღითგან, როცა კი პირქვე დაემხო სომხეთი, ეს ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხეთი ჩვენ გვინახავდა სამხრეთით“.

ილია ჭავჭავაძემ დიდი მგზნებარებით უმღერა კავკასიის ხალხთა ძმობასა და მეგობრობას. მასში დაინახა საქართველოს განახლების გზა:

ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს.
კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ფიქრობს
და ეს ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება.
დიდია ხალხი, როს ეგ გრძნობა წინ წარუძღვება.

ასე ამაღლებულად და განზოგადოებულად გამოხატა ილიამ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მაღალი იდეალი.

ილია ჭავჭავაძე იყო არა მარტო გამომსატველი ქართველი ხალხის ეროვნული და სულიერი ზრახვების, მისი მოწინავე შეგნებისა, არამედ აღმზრდელი და გამომჭედელი ამ მაღალი იდეალებისა. ამაშია ილიას დიდი და ჭეშმარიტი დამსახურება.

ქართული საბჭოთა მწერლობა სწავლობდა და კვლავაც მიმართავს ილიას ამ დაუშრეტელ პატრიოტულ მგზნებარებას და მებრძოლ სულისკვეთებას. მასში ხედავს მაგალითს საბჭოთა საქართველოს უმწიკვლო სამსახურისა.

ბრუნდებოდა რა პეტერბურგიდან, ილია ჭავჭავაძე მღელვარებით ფიქრობდა საქართველოზე და ასევე მღელვარებით წერდა: „შევძლებ კი რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და ამ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშას შრომა გავუადვილო“. ამ სტრიქონების ავტორი მთელი ნახევარი საუკუნე ემსახურა თავის საყვარელ საქართველოს უმწიკვლო ცხოვრებითა და მგზნებარე შემოქმედებით. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი მწვავედ განიცდიდა სოციალურად და ეროვნულად დაჩაგრული

თავისი ხალხის ბედს და დაუცხრომელი ენერგიით, ბრწყინვალე შემოქმედებით ზრდიდა საქართველოს მშრომელებს მომავლის დიდი იმედით, ხვალინდელი დღის ნათელი რწმენით. ილიას კარგად ესმოდა, რომ თავისუფლების მოპოვება არ მოხდება უმსხვერპლოდ. თავის მხრივ კი არავითარ მსხვერპლს არ მორიდებია და ეს მაგალითი ანდერძად გადასცა თავის ხალხს. თავის მწერლობას. ამიტომ უყვარდა და უყვარს ქართველ ხალხს თავისი ეს დიდი ეროვნული გმირი, სახელოვანი წინაპარი, მგზნებარე მწერალი.

დიდი ილიას თანამებრძოლი აკაკი წერეთელი ასე მიმართავდა ილია ჭავჭავაძის ცხედარს: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მასთან ერთად შენც უკვდავი იქნები. და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ.“

ეს სიტყვები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა წლებში ითქვა. სულ მალე ცარიზმის ტახტი დაემხო. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების გზას ახალი მიმართულება მისცა ოქტომბრის რევოლუციამ. ფენიქსებრ განახლდა ქართველი ერი, დიდი ილიასა და აკაკის სამშობლო—საქართველო. ამ ახალი საქართველოსათვის ბრძოლაში ჩვენს ხალხს მუდამ გზას უკაფავდა სახელოვანი დიდი წინაპარი ილია ჭავჭავაძე. საბჭოთა საქართველო, ქართული საბჭოთა მწერლობა, მუდამ მადლიერების მაღალი გრძნობითა და სიყვარულით იგონებს ქართველი ხალხის ღირსეულ შამუელიშვილს, დიდ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს.

ილიას პროზა

ილია ჭავჭავაძის დიდმა შემოქმედებითმა მეგობარმა და თანამებრძოლმა აკაკი წერეთელმა ახალი ქართული ლიტერატურის დამწყებად ნიკოლოზ ბარათაშვილი აღიარა, ილია კი ბარათაშვილის დიდ მემკვიდრედ გამოაცხადა. ეს მოსაზრება ლიტერატურის ისტორიამ გაიზიარა. ი. ჭავჭავაძემ თავის მხრებით აზიდა ის დიდი ეროვნული დროშა, რომელიც პირველად

„ბედი ქართლისას“ ავტორმა ამართა. ი. ჭავჭავაძემ ნ. ბარათაშვილი თავისი თაობის სულიერ წინამორბედად მიიჩნია, თავის მხრივ ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობა განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა. საქმე იმაში იყო, რომ ილიას დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხები სულ სხვაგვარად იდგა, ვიდრე რომანტიკოსების ეპოქაში, ვიდრე მთელს მანამდელ ქართულ ლიტერატურაში. ილია ჭავჭავაძემ პირველმა შენიშნა და განჭვრიტა ეს ახალი გზა. მან მოუძებნა ახალი ნიადაგი, ახალი დასაბუთება იმ დიდ სოციალურ და ეროვნულ პრობლემებს. რაც ქართველ ხალხს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ესოდენ მწვავედ აწუხებდა. ახალთაობის მოწოდებად გაისმა ილიას მგზნებარე სიტყვები:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ეარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალსს.

ეს იყო მებრძოლი, რევოლუციონერ-დემოკრატი პოეტის მოწოდება, 60-იანი წლების იმ ახალთაობის აზრისა და მისწრაფების გამომხატველი, რომელსაც სათავეში ი. ჭავჭავაძე ჩაუდგა. რწმენით შეჰყურებდა ილია მომავალს, სწამდა, რომ „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია“. მომავლის ამ იმედსა და რწმენას უნერგავდა იგი თავის ხალხს. უსაზღვრო იყო დიდი რეალისტისა და უდიდესი პატრიოტის ი. ჭავჭავაძის თაყვანისცემა დედასამშობლოსადმი, თავისი ხალხისადმი. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება იყო ბრძოლა სამშობლოს აღორძინებისათვის, მას განუყრელად თან სდევდა და არ ასვენებდა კითხვა „მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?“. საკითხის ამგვარად დაყენებაში იმედიც იყო და სევდაც, ნუგეშიცა და ნაღველიც. მწერალი მღელვარედ განიცდიდა სოციალურად და ეროვნულად დაჩაგრული საქართველოს ტრაგიკულ ბედს. ასევე მღელვარებითა და იმედით შეჰყურებდა იგი თავისი ქვეყნის მომავალს. ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ სამშობლოს ეროვნული და სოციალური განთავისუფლება, „მამულის აყვავება“ არ მოხდებოდა უბრძოლველად, რომ ეს საქმე თავშეწირვას მოითხოვდა, სწორედ

ამიტომ ის თავის მხრივ თავს არ ზოგავდა ქვეყნისათვის და სხვებისგანაც მოითხოვდა ასეთსავე თავდადებას მამულისათვის. ი. ჭავჭავაძემ უჭკნობი შარავანდედით შემოსა სამშობლოსათვის თავდადებული გმირები და დიდების ჰიმნი უძღვნა მგზნებარე პატრიოტებს, რომელთა საარაკო მამაცობის. გულადობისა და თავდადების მეოხებით საქართველომ საუკუნეების მანძილზე გარეშე მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში დაიცვა თავისი ნაციონალური ღირსება და დამოუკიდებლობა. სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებზე უთქვამს პოეტს:

> არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
> და ხალხს შესწიროს დღენია,
> მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
> სახელი არ დარჩენია.

ილია ჭავჭავაძე მარად ცოცხალი, მარად მომქმედია ქართული კულტურისათვის. ილია და საქართველო ისევე განუყრელია, როგორც რუსთაველი და საქართველო. არ არსებობს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისა და აზროვნების ისეთი საკითხი, რომელსაც ილიას შემოქმედებაში თავისი ბრწყინვალე გამოხატულება არ ეპოვოს. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში არ არის საკითხი, რომელსაც პირველი განმარტება ილიას შემოქმედებაში არ მიეღოს, არ არის ლიტერატურის ისეთი დარგი, სადაც ილიას კალამს არ ემოქმედოს და იგი ყველგან ბრწყინვალე შედეგს აღწევდა, ყველგან გაქანების ტიტანური ძალა შეჰქონდა. ილია—პოეტი, ილია—პროზაიკოსი, ილია — ახალი სალიტერატურო ენის შემქმნელი და ფუძემდებელი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი...

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. დიდი მწერალი მთელი საუკუნის განმავლობაში ტონს აძლევდა ქართულ ლიტერატურასა და აზროვნებას, სათავეში ედგა ქართველ ხალხს, წინ მიუძღოდა მას.

საზოგადოდ ქართულ ლიტერატურაში და კერძოდ ახალ ქართულ ლიტერატურაში მან ზედმიწევნით სრულად გამოხატა ჩვენი ხალხის პოლიტიკური, სოციალური, თუ ეროვნული სულისკვეთება. მწერლობა კი ერთ-ერთი მეთაური დარგი, რომელიც რაზმავდა, ზრდიდა ქართველ ხალხს მოწინავე

სოციალური და ეროვნული იდეალებით. მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა იყო ჩვენი ხალხის ეროვნული სულის, მისი სოციალური ტკივილების სრულფასოვანი გამომხატველი, ი. ჭავჭავაძე კი ამ ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი.

ილია ჭავჭავაძემ ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ტკივილები. დიდი რეალისტი მწერლის სიღრმითა და ძალით ასახა თავისი ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება. შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ჩაგვრას, უსამართლობასა და მონობას. კაპიტალისტურ-მემამულური წყობილების, ცარიზმის შავბნელ დროში ილია ჭავჭავაძე დიადი მომავლისაკენ გზას უნათებდა მშობლიურ ხალხს. მთელი თავისი ფიქრი და ოცნება, დაბოლოს, სიცოცხლეც, მან შესწირა ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. მისმა ლექსებმა, პოემებმა, მოთხრობებმა თუ პუბლიცისტურმა წერილებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თვითშეგნების გაღვიძების საქმეში. მისი დემოკრატიული იდეები ნიადაგს ამზადებდნენ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის გასაჩაღებლად.

ი. ჭავჭავაძემ უმაღლესი განათლება პეტერბურგში მიიღო. ილიას სტუდენტობის ხანა დაემთხვა რუსეთის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნების ღირსშესანიშნავ პერიოდს. ეს ის დრო იყო, როდესაც რაზნოჩინური ინტელიგენციის რევოლუციური მოძრაობის ყიჟინამ ცარისტული, ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ მთელი ქვეყნიერება შესძრა. ი. ჭავჭავაძემ, როგორც სტუდენტმა, ეს გრანდიოზული მოძრაობა საკუთარი თვალით იხილა და განიცადა. მისი ლიტერატურული აზროვნება რუსეთის პროგრესული რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის (ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და სხვათა) ატმოსფეროში მომწიფდა და ჩამოყალიბდა. უფრო მეტი: როგორც ირკვევა, ი. ჭავჭავაძე იყო ჩერნიშევსკის წრის აქტიური წევრი და მონაწილე. ამიტომ უყვარდა ი. ჭავჭავაძეს მთელის გულით დიდი რუსი ხალხი და მისი მოწინავე ინტელიგენცია. ამავე დროს, ისევე, როგორც რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას ი. ჭავჭავაძეს

სძულდა ცარისტული რუსეთი—ეს ხალხთა საპყრობილე, რომელიც აბუჩად იგდებდა რუსეთის მშრომელებს, აბუჩად იგდებდა და ჩაგრავდა თავისუფლებისმოყვარე ქართველ ხალხს.

„არის ორი ერი ყოველ თანამედროვე ერში—ვეტყოდით ჩვენ ყველა ნაციონალ-სოციალისტს,—სწერდა ლენინი.—არის ორი ეროვნული კულტურა ყოველ ეროვნულ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუცკოვების და სტრუვეების, მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომელიც ხასიათდება ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელებით“.

ი. ჭავჭავაძე სწორედ ამ მოწინავე რუსეთის პროგრესული კულტურის საუკეთესო ტრადიციების დიდი პატივისმცემელი იყო. ამ მოწინავე კულტურისაგან დიდად იყო დავალებული: ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და საერთოდ, ამ თაობის ჟურნალის, „სოვრემენიკის“ შეხედულებანი იყო ქართველი სამოციანელების ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, კ. ლორთქიფანიძის და სხვათა დიდი იდეური სკოლა. აი, რას სწერს ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე:

„მოუთმენლობითა და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის (ლაპარაკია „სოვრემენიკის“ შესახებ. ს. ჭ.) ახალი წიგნი გამოვიდოდა. ვეწაფებოდით მის კითხვას. რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი ჩრდილოეთის ღამეები გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მისი სიტყვების სჯაში, მასზედ დავაში, ვინ დათვლის იმ ხანგრძლივ ბედნიერების აღტაცებას, ტვინის წვალებას, ან ვინ დაივიწყებს მათ, სანიადაგოდ გულში ჩაჭედილ კვალს“.

რუსული მწერლობის კეთილმყოფელ გავლენაზე მიუთითებდა ი. ჭავჭავაძე, როცა წერდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველ მასზე, რაც ჩვენს სულიერ ძალ-ღონეს შეადგენს, რაც ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, რომ თავისუფალი იყოს

ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზე. თვითეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დაწაფებოდა ამ ორ წყაროს, თავისი სულიერი წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვთქვათ, რომ თვითეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურის გაზრდილია, თვითეულ ჩვენგანს მის გამონარკვევზე აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია.

რასაკვირველია, ამ ზემოქმედებამ რუსული ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზე ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის".

ამ სტრიქონებში ზედმიწევნით ზუსტად არის განსაზღვრული ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულება რუსულ მწერლობასთან.

რუსეთის პროგრესული დემოკრატიული იდეები ი. ჭავჭავაძისათვის იყო ერთგვარი სათავე, რომელზეც მან ხელოვნების, ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ თავისი დამოუკიდებელი, ორიგინალური შეხედულებანი და კონცეფცია შექმნა.

ი. ჭავჭავაძე რეალიზმის დიდი მედროშე იყო საქართველოში. იგი გამოდიოდა ხალხის ინტერესებიდან, ხელოვნებას ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებას უწოდებდა. ილია იცავდა ისეთ მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც ხალხს დაეხმარებოდა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ი. ჭავჭავაძემ ბრძოლა გამოუცხადა ძველ თაობათა არქაისტულ, სქოლასტიკურ შეხედულებებს, ასევე ბრძოლა გამოუცხადა ცრემლიან წუწუნს. ეს უთანხმოება ლიტერატურის საკითხების ირგვლივ პირველად ჟურნალ „ცისკარში" დაიწყო. ი. ჭავჭავაძემ და მის გარშემო დარაზმულმა ახალმა თაობამ სასტიკი ბრძოლა გაუმართა დახავსებულ ფეოდალურ რუტინას „ბურუსიან, ღრუბლიან მშვიდ ბატონ-

ყმურ ცხოვრებას". პეტერბურგიდან დაბრუნებულ, პროგრესული იდეებით შეიარაღებულ ი. ჭავჭავაძეს საქართველოში დახვდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „უსაგნო და უშინაარსო" ლიტერატურული ცხოვრება: „აბა ამგვარ დროს სად და ვის მოკითხავდი აზრსა, გონებასა, თავგანწირულობასა. ერისათვის, საქვეყნო საქმისათვის". ი. ჭავჭავაძემ სწორედ ამგვარ რუტინას გამოუცხადა ბრძოლა და ხელი მოჰკიდა რუსთაველის, გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის დიდი ლიტერატურული ტრადიციების გაცოცხლებას. ებრძოდა რა ერთის მხრივ ძველ თაობათა სქოლასტიკას, მეორეს მხრივ ასევე ბრძოლას უცხადებდა სანტიმენტალისტურ მიმართულებას:

„ჩვენო მკითხველო, რა საჭიროა ეხლა ან ჩვენ ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალურ სხოლის მწერლების გაცნობა? რამდენიმე წლის წინათ უფ. სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა გადმოთარგმნა სენტიმენტალურ სხოლის მწერალი მარმონტელი და ეხლა იმავე სხოლის მწერალი კაზლოვი გადაუთარგმნია თავად ერისთავს. იქნება ფიქრობენ. რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება?! თუ ამას ფიქრობენ, მაშ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ".

„საქართველოს მოამბე" გახდა სამოციანი წლების დემოკრატიულ რევოლუციურ იდეების დიდი მებრძოლი ტრიბუნი. ი. ჭავჭავაძემ ხალხი, მისი ინტერესები. საზოგადოებრივი და სოციალური პრობლემები ლიტერატურის მთავარ საგნად გახადა.

„საქართველოს მოამბის" პირველსავე ნომერში ვკითხულობთ: „ჩვენ რომ ვიძახოთ მშვიდობა, მშვიდობა, ამით შენც მოგაბეზრებთ თავს და ჩვენი კაცობრივ ღირსებასაც ვერ დავაკმაყოფილებთ, რადგანაც ეს „მშვიდობა ტყუილი თქმა იქნება... სად არის, მკითხველო. ქვეყანაზე მშვიდობა?".

ი. ჭავჭავაძისა და მისი თაობის მხატვრული პოზიციის უდიდესი მხარე იყო მათი კავშირი ხალხთან, ცხოვრებას-

ოიან. „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო სტატიაში ილია წერდა: „ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებია მკითხველისათვის, რომ ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრაკზე, რომ თუმცა იგი ბერდება. მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით, ისევ თავისთავად ახლდება და ყვავის, რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არის მოგონილი კაცის ჭკუისა და გამოხატულების არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის, რომ იგი იბადება ცხოვრებისაგან და არსებობს ცხოვრებისათვის, რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარების გამო და მერე თავის რიგზე თვითვე წინ მიყავს ცხოვრება, რომ რაც მაგათგან არის მოყვანილი ცხოვრებაში და დამტკიცებული იგი გადადის ხალხში და იგი ცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებას... ილია ჭავჭავაძემ ასე კლასიკურად ჩამოაყალიბა ხელოვნების რეალისტური კონცეფცია. მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იგი ამ მოწინავე, პროგრესული შეხედულებით ხელმძღვანელობდა.

ილია ჭავჭავაძე იყო დაუცხრომელი მებრძოლი მშრომელი ადამიანის განთავისუფლების საქმისა. ყველა ისინი, ვინც ცხოვრების სიკეთეს და დოვლათს ქმნიდა, ილიას როგორც მწერალსა და მოქალაქეს, განსაკუთრებული პატივისცემით ეყვარდა. მშრომელთა ასეთ უმრავლესობას ილიას დროს გლეხკაცობა წარმოადგენდა. ილია იყო გლეხკაცობის იდეალების გამომხატველი და მისი დიდი მოტრფიალე. მართალია, ი. ჭავჭავაძე წარმოშობით თავადი იყო, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ყოფილიყო დამცველი სოციალური თანასწორობისა და მებრძოლი ყოველგვარი მჩაგვრელისა. იგი განსაკუთრებით ებრძოდა ბატონყმობას, ადამიანის დამამცირებელ სისტემას. ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ მის მოთხრობებსა და პოემებში კარგად არის გამოხატული საბრძოლო განწყობილება მწერლისა. ასევე კარგად არის გამოხატული ეს აზრი მის პუბლიცისტურ წერილებშიაც. აი რას სწერდა იგი თავადაზნაურულ წოდებაზე 1879 წელს: „აწინდელ დროში, როდესაც ბატონყმობა გადავარდნილია და სხვადასხვა წოდებათა შორის არავითარი

შესანიშნავი განრჩევა არ არის კანონისა და სახელმწიფოს წინაშე, თავადაზნაურობას, როგორც ერთგვარ წოდებას დაეკარგა უწინდელი მნიშვნელობა". ამასვე იმეორებდა ილია 1905 წელს დაბეჭდილ სტატიაში. „თავადაზნაურობამ დიდი ხანია თავისი დრო მოჭამა და დაკარგა თავისი ადგილი როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა". დიდი მწერალი კარგად ხედავდა თავადაზნაურული წოდების დაკნინებას, მის ისტორიულ განწირულებას, მის უნიადაგობას. მეორეს მხრივ ილია ჭავჭავაძეს სწამდა, რომ ერთადერთი ძალა, რომელსაც ეკუთვნის მომავალი, ეს არის მშრომელი გლეხკაცობა. 1883 წელს ი. ჭავჭავაძე წერდა: „ხალხი, უბრალო გლეხკაცობა—ეს უმრავლესობაა ქართველობისა, ეს სული და გულია ჩვენი ეროვნული იმედებისა". ი. ჭავჭავაძეს მე-19 საუკუნის საქართველოს ეროვნულ იმედად გლეხკაცობა მიაჩნდა და სწამდა მისი მომავალი. საზოგადოდ, საქართველოს გადარჩენის იმედს ილია შრომაში, შრომითს ცხოვრებაში ხედავდა. თვით თავადაზნაურობის გადარჩენაც ამ გზით მიაჩნდა შესაძლებლად.

ილია ჭავჭავაძეს სწამდა თავისუფალი შრომის იდეალი. იბრძოდა რა ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, იგი დიდების ჰიმნს უმღეროდა თავისუფალი შრომის იდეალს. ყველაზე უფრო დამთავრებული სახით ეს აზრი გამოხატა მან პოემაში „აჩრდილი". დაჰგმო რა ბატონყმობა, გაჰკიცხა რა მუქთახორა და სხვისი შრომის მიმთვისებელი, ილიამ ადამიანის ხსნა თავისუფალ შრომაში დაინახა და კიდევაც თქვა: „შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთი ძლევამოსილი ამ საუკუნის": ი. ჭავჭავაძემ მე-19 საუკუნეს შრომის განთავისუფლების საუკუნე უწოდა და თვითონ, როგორც მწერალი და მოქალაქე, მთელის მგზნებარებით იბრძოდა შრომის განთავისუფლებისათვის.

თავისუფალი შრომის მომღერალს ილია ჭავჭავაძეს უყვარდა ბობოქარი ცხოვრება და სძულდა ყოველგვარი განდგომა ცხოვრებისაგან. თავის საუკეთესო პოემაში, „განდეგილში", ილიამ გაჰკიცხა ცხოვრებისაგან განდგომა, კლერიკალობა და ასკეტიზმი. ძნელია მოიძებნოს ქართულ ლიტერატურაში

შეორე ნაწარმოები, რომელშიაც ასე ძლიერად იყოს ჩამოყალიბებული სიცოცხლის სიყვარული, ამქვეყნიური ცხოვრების იდეალი. პოემაში ი. ჭავჭავაძემ მწყემსი, ეს ლამაზი ქალი, დახატა როგორც სიმბოლო ამქვეყნიური მშვენიერებისა და მას დაუპირდაპირა ცხოვრებისაგან განდგომილი ბერი ასკეტი. ბერისა და მწყემსი ქალის აზრებსა და შეხედულებებში, მათ დაპირისპირებაში აჩვენა სიდიადე სიცოცხლის მოტრფიალე ადამიანისა. „განდეგილი“ იყო ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნაწარმოები, რომელშიაც მთელი სისრულით გამომჟღავნდა მოაზროვნე მხატვრის დიდი სიყვარული ცხოვრებისადმი და ასევე მძაფრი სიძულვილი ასკეტობისა და ცხოვრების განდგომილობისა. ილიას ამქვეყნიური ცხოვრების სიდიადე სწამდა; მის ყოველგვარ უკუღმართობას ებრძოდა, ადამიანის განთავისუფლებისა და ბედნიერებისათვის იღწვოდა.

* * *

ი. ჭავჭავაძემ საფუძველი ჩაუყარა და მტკიცე ნიადაგი მოუძებნა ახალ ქართულ პროზას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომლებმა: გრ. რჩეულიშვილმა, დ. ჭონქაძემ, ლ. არდაზიანმა დაიწყეს ქართული პროზის რესტავრაცია, სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ ერთგვარად გაწყვეტილი პროზის ტრადიციების აღდგენა, მაგრამ ნამდვილად ქართულ პროზას დიდი სუნთქვა და ფართო დიაპაზონი ი. ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ მისცა. ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელთან ერთად მე-19 საუკუნის ქართული პროზის ახალი სათავეა. ი. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი იყვნენ ქართული ლიტერატურის უდიდესი რეფორმატორები, მათ მოახდინეს ძველი მწერლობის პოეტური ხერხებისა და ფორმების ძირითადი გადახალისება, მათვე ჩაუყარეს საფუძველი ახალ ქართულ ლიტერატურას, მათ მოხსნეს ქართულ მწერლობას ის ზედმეტი არქაული ფორმები, რაც ამძიმებდა და აფერხებდა მის განვითარებას. ქართული მწერლობის შემდგომი განვითარება მისდევდა ილიასა და აკაკის მიერ გაკვალულ გზას.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედება ერის ცხოვრების ორი ძირითადი საკითხის გარკვევამ განსაზღვრა. ამავე საკითხებს

მიეძღვნა მისი მხატვრული პროზა. ერთი მხრივ ეს არის ეროვნული საკითხი, ცარისტული რუსეთისაგან დაჩაგრული საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა, მეორეს მხრივ ქვეყნის შიგნით სოციალური საკითხის მოგვარება, მონობის, ბატონყმობის, სოციალური ჩაგვრის მოსპობა. ხალხის განთავისუფლება ეროვნული და სოციალური უღლისაგან. მთელი თავისი კეთილშობილური, უმწიკვლო რაინდული ცხოვრება და შემოქმედება ი. ჭავჭავაძემ ამ საკითხების მოგვარებისათვის ბრძოლას შეალია. ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა გამოაღვიძეს ქართველი ხალხის ნაციონალური და სოციალური გრძნობები, სათავე დაუდეს ამ ხალხის ნაციონალურ და სოციალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. უკვდავი მხატვრული ნაწარმოებებით, პუბლიცისტური წერილებით, პრაქტიკული მოღვაწეობით ი. ჭავჭავაძემ აღზარდა ჩვენი ხალხი სამშობლოს სიყვარულით, მისი განთავისუფლების ბრძოლის დაუოკებელი მისწრაფებებით.

პირველი დიდი პროზაული ნაწარმოები, რომელშიაც ი. ჭავჭავაძემ ეროვნული პრობლემა დააყენა, არის „მგზავრის წერილები". რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ ოდეებზე აღზრდილ ი. ჭავჭავაძეს მწვავე საკითხი, რომელიც მას საქართველოში დაბრუნებისთანავე ებადება, არის— რას ეტყვის მას თავისი ქვეყანა, რას მისცემს თვითონ თავის სამშობლოს. აკვირდება თავისი ქვეყნის მდგომარეობას და ამის მიხედვით მის ეროვნულ ბედსაც, ი. ჭავჭავაძე მთელის კატეგორიულობით წამოჭრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ საკითხს, რაც მოხევის სიტყვებში გამოიხატება — ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო. ი. ჭავჭავაძე ღრმად თანაუგრძნობს მოხევეს: „მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითაც ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო",—თქვი შენ და გავიგონე მე; მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში, გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეცი ამის პასუხი".

ი. ჭავჭავაძეს აღელვებდა საქართველოს ბედი, მაგრამ აქვე

უნდა შევნიშნოთ, რომ ილია როდია ძველის აღდგენის მომხრე, ერეკლეს საქართველოს აღდგენის მომხრე. იგი, როგორც მოწინავე იდეებით შეიარაღებული მწერალი, ხედავს რომ ცხოვრება წინ წავიდა და ახლა უნიადაგო იქნება ოცნება ძველის აღდგენაზე. ახლა საქმე ეხება ახალი, მოწინავე საქართველოსთვის ზრუნვას. ნაწარმოების მთელს სულში ჩანს, რომ იგი საზოგადოდ მომხრეა პროგრესის, მოქმედების. წინსვლისა და რომ იგი ძველს, დახავსებულს სასტიკად ებრძვის. „მშვენიერი პატარძალივით მორთულ ქვეყანაში", საქართველოში. იგი სწორედ ამ ახალ ძალებს, ამ პროგრესულ შეხედულებებს ეძებ. ამ ძალებს უკავშირებს თავის მოწინავე შეხედულებებს.

მწერალი გულწრფელად წერს:

„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვისხიდია სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული, მაგრამ ყველასათვის კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს. ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს—ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა ქვეშ არ ჩასტყდომია; ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა".

პუშკინის, გოგოლის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვათა მოწინავე იდეებზე აღზრდილი ი. ჭავჭავაძე მათსავე მსგავსად ებრძვის მეფის რუსეთს, იამშჩიკის პოვოსკასავით ჩამორჩენილ მეფის რუსეთს, მეორეს მხრივ იგი მოწინავე რუსეთის, პროგრესული რუსეთის გულმხურვალე მომხრეა და მისი მოწინავე შვილების აზრებით შთაგონებული

იბრძვის ცხოვრების განახლებისათვის. მუდმივ მოძრაობაში, მოქმედებაში ხედავს მწერალი სიცოცხლის აზრსა და პროგრესის გზას. ი. ჭავჭავაძემ კლასიკურად გამოხატა ეს შეხედულებანი „მგზავრის წერილებში“ მყინვარისა და თერგის შედარების გზით. თერგი მან ადამიანის გაღვიძებული ცხოვრების მოქმედების სიმბოლოდ მიიჩნია, მყინვარი კი უძრაობის, სტატიურობის. „თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა,—წერს ილია,—ამაღელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია—როგორც უკვდავება და ჩუმია—როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს. მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია, ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც, მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს... ნეტავი შენ, თერგო! იმითა ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადექ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზე არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. ასე გამოხატა ი. ჭავჭავაძემ თავისი ლტოლვა პროგრესისაკენ, ასე დაუკავშირა ეს იდეები საქართველოს განახლების გზას, ასე სიმბოლურად გამოხატა საქართველოს მომავლის სახე. პროგრესული, დემოკრატიული იდეების, ხალხის ინტერესების დაცვა ილიას წარმოედგინა შეუპოვარი ბრძოლის გზით, ამავე გზას უკავშირებდა იგი სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. ამ გზაზე იგი არავითარ დაბრკოლებას არ ერიდებოდა. ხალხისთვის ღვაწლი, ადამიანებისთვის ზრუნვა, პროგრესისთვის ბრძოლა ილია ჭავჭავაძემ მოქმედების დევიზად გაიხადა. ეს აზრი გამოხატა მან „მგზავრის წერილებში“. ამ აზრს ღრმა დასაბუთება მისცა არა მარტო მყინვარისა და თერგის შედარების გზით, ღამისა და დღის შედარების გზითაც. ცხოვრების განახლებისათვის მებრძოლ მწერალს დღე უყვარდა, სინათლე იზიდავდა, ღამე სძულდა.

„დაღამდა... ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ, წერს ილია,—არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა, და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავისი ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაივაგლახითა. ჰოი, ბნელო ღამევ! მეჯავრები შენ მე!“

მოწინავე რევოლუციური იდეებით შეიარაღებულ ილია ჭავჭავაძეს სძულდა ყოველივე ჩამორჩენილი, დრომოჭმული და უნიადაგო. რუსეთისა და საქართველოს პროგრესულ ინტელიგენციასთან ერთად ი. ჭავჭავაძემ მკაცრად გაილაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ, საჯაროდ შეაჩვენა კაცის ღირსების დამამდაბლებელი, ადამიანობის შემლახველი ბატონყმური ინსტიტუტი. მან გამოამზეურა მთელი სისაძაგლე, რაც ამ ყოფას თან ახლდა. „აჩრდილის“, „კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობის“, „კაცია ადამიანის“ ავტორი შევიდა საზოგადოების ისტორიაში, როგორც ბატონყმური წყობილების შეურიგებელი მტერი. ი. ჭავჭავაძე მწვავედ აყენებდა კითხვას: „ვინ შრომობს და ვინ ძღება, სად არის აქ სამართალი?“ ილიამ კარგად იცოდა, რომ „თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს“, და ისიც შეუპოვრად იბრძოდა ამ უვარგისი სოციალური სენის წინააღმდეგ. ბატონყმობის მოსპობა ილიას მიაჩნდა ქართველი ერის განვითარების აუცილებელ პირობად, ბატონყმობას იგი მიიჩნევდა ერის ცხოვრების შემფერხებელ მოვლენად. ამიტომაც ერის საერთო ინტერესები გამოიხატებოდა ბატონყმობის მოსპობაში. ილიას აზრით, პირველ რიგში გლეხკაცობაა დაინტერესებული ამ ადამიანის დამამცირებელი და დამჩიავებელი ინსტიტუტის მოსპობით, მაგრამ მოწინავე თავადაზნაურობაც დაინტერესებული უნდა იყოს ამ კაცთა ცხოვრების შემფერხებელი ინსტიტუტის მოსპობითო, რადგან ეს ინსტიტუტი თავადაზნაურობას ლუარსაბის გზაზე აყენებს, გლეხკაცობას კი ლამაზისეულისო. ეს ასეა, მაგრამ მაინც, როგორც ვთქვით, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში წამყვანი ძალა გლეხკაცობაა. ამიტომაც ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში ი. ჭავჭავაძე ძალდატანების გზას არ გამორიცხავდა. კაკო ყაჩაღის, ზაქროს და გაბროს ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ ეს არის ძალდატანებით, იარაღით მოსპობის კლასობრივი ბრძო-

ლის გზა. ი. ჭავჭავაძე მტკიცედ იზიარებდა ამ აზრს: სანაწ
იარსებებდა ბატონყმობა, რომელიც ილიას დიდ სოციალ-
ურ ბოროტებად მიაჩნდა, იგი არ გამორიცხავდა კლასობრი-
ვი ბრძოლის გზას. „კაკო ყაჩაღის“ შემდეგ ყველაზე უფრო
სრულყოფილად ეს აზრი ი. ჭავჭავაძემ გამოხატა მოთხრობაში
„გლახის ნაამბობი“. ეს მოთხრობა შესანიშნავი ნიმუშია ახალ-
ი ქართული პროზისა. მასში ვრცლად არის გამოხატული
ილია ჭავჭავაძის მოწინავე შეხედულებანი. აქ მკაცრად გან-
კიცხული და დაგმობილია ბატონყმობის ინსტიტუტი. მო-
თხრობა იწყება ნადირობის სურათის გადმოცემით და ასე
ამზადებს მკითხველს იმ ბოროტი საქმის მოსასმენად, რომლის
წინაშე ფერმკრთალდება ნადირთა მოკვლის ამბავი. ადა-
მიანის მიერ ადამიანის მიმართ ჩადენილ იმ ბოროტებასთან
შედარებით, რომელსაც ამ მოთხრობის გმირი დათიკო სჩა-
დის, მკრთალია ირმის მოკვლის სცენა. მწერალმა გვაჩვენა,
რომ ბატონსა და ყმას შორის სიყვარულის ხიდი არ გაიდება,
რა მეგობრული და ტკბილი არ იყოს ბავშვობაში ერთად გა-
ტარებული დღეები. ბავშვობიდანვე ერთად აღიზარდნენ გაბ-
რო და დათიკო. მათ თითქოს ერთმანეთი უყვართ. გულ-
წრფელად ამბობს გაბრო: „დათიკოს ვუყვარდი და მეც მიყვარ-
და, მაშინ რა ვიცოდი, სულელმა, რომ უფროს-უნცროსობაში
სიყვარული სიზმარია. რა ვიცოდი, რომ ბატონყმობის შუ-
სიყვარულის ხიდი არ გაიდება. ეგრე ყოფილა ქვეყანაზე,
ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს“. ილია ჭავჭავაძე მო-
თხრობაში ხაზს უსვამს ამ მომენტს. ი. ჭავჭავაძემ ნათელი
ფერებით დაგვიხატა ბატონყმური წყობილების უსამართლო-
ბა, ყმის უნუგეშო ყოფა, ყმისა, რომელსაც „როცა კი ბატო-
ნი მოიწადინებს, ქოფაკ ძაღლზედაც გაცვლის“. ი. ჭავჭავაძე
გვაძლევს ვრცელ დახასიათებას ბატონყმური ურთიერთობისა
და რომ აჩვენოს ამ ურთიერთობის მწვავე კონფლიქტი, იგი
საგანგებოდ არჩევს ორი ახალგაზრდა მეგობრის—ბატონისა,
დათიკოსი, და ყმისა, გაბროს, თავგადასავალს. გარეგნულად
ეს მეგობრობა თითქოს ისეთია, რომ მათ საერთო სიყვარუ-
ლი აერთებთ. ბავშვობის დღეების მოგონება, ქალაქში ყოფ-
ნა, ერთად გატარებული ცხოვრების დღეები ისეთი რომან-
ტიკული მასალით გააცოცხლა ი. ჭავჭავაძემ, თითქოს ამ გა-

რეგნულ მასალაში ყველაფერი ძმობასა და მეგობრობაზე იყო აგებული. მაგრამ საკმარისია მცირედი წინააღმდეგობა, რომ თავი იჩინოს იმ სოციალურმა კონფლიქტმა, რომელიც განსაზღვრავს ბატონისა და ყმის დამოკიდებულებას და რომლის მიხედვით ბატონისა და ყმის მორიგება არავითარ ძალას არ შეუძლია. როგორც მოთხრობიდან ვიცით, ფუფუნებაში აღზრდილ დათიკოს, გარეგნულად ამ მშვენიერ ყმაწვილს, გიჟმაჟ, ზარმაც და ახმახ ვაჟკაცს, მთელი თავისი ცხოვრების დღეები ყარაბულ ცხენზე ჯირითში, ნადირობასა და უდარდელ ყოფაში გაუტარებია. ამას ზედ ემატებოდა ისიც, რომ „ქალების მუსუსი იყო და ამისთანებში ნამუსგაქნილიკა". რაკი გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავისი გულის წადილისათვის არაფერს დაერიდებოდა, არაფერს ითაკილებდა, არაფერსა და არავის დაზოგავდა, ყველაფერს და ყველას ხიდად გაიდებდა დაუნდობლად, და თვითონ გაივლიდა. ამ უნამუსო თავადიშვილმა ბევრ გლეხის გოგოს თავზე ლაფი დაასხა. „ქვეყანა წამურტლა". მას მოეწონა ჯეირანივით ლამაზი გოგონა, ყმის, პეპიას, ქალიშვილი თამრო. თამრო, რომელიც გულწრფელი სიყვარულით, სიხარულის ხატად ედგა გაბროს. დათიკომ იცის, რა გულწრფელად უყვარს თავისი საცოლე მის მეგობარ გაბროს, მაგრამ აფთარ დათიკოს ქონიანი და მურდალი წადილი არაფრის წინაშე უკან არ იხევს. სიყრმის მეგობარს შეეხვეწება გაბრო დაუთმოს თამრო. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

— მე პეპიას გოგო მიყვარს და ჯვარი უნდა დავიწერო.

— მერე რა გიშლის?

— პეპია ცოლზედ მგლოვიარედ არის, სულ ექვსი თვე არ არის, რაც ცოლი დამარხა და ჯერხანობით ეს მიშლის.

— სულელი ყოფილხარ.

— რადა?

— რომ ჯვარს იწერ.

— მაშ?

— მაშ ისა, რომ ქალი ჟინის საკლავად არის კარგი და არა ზურგზე ასაკიდად, მაგრამ მე არ გიშლი, დაიწერე ჯვარი, მზითევი და შენი დაბინავება ჩემ კისერზე იყოს.

-- შენ რა შუაში ხარ, რომ მზითევს მპირდები?—ვკითხე თამამად. შევატყვე, რომ ჩვენი საქმის კვანძი აქ იხსნებოდა.

— ქალი ჩემია, — მითხრა იმან უსირცხვილოდ,—და მზითევსაც იმიტომ გპირდები, რომ ჯერ ჩემი იქნება.

-- ეგ რა სთქვი?—წავძახე მე კანკალით.

— ისა ვთქვი, რაც შენ გაიგონე.—მითხრა იმან დინჯად.

-- დათიკო, მე გლეხკაცი ვარ და შენ ბატონი,—ვუთხარი მე გულმხურვალედ და ვედრებით, გევედრები, გზიდამ ჩამომეცალე. გულიდამ ნუ ამომარეცხინებ შენს სიყვარულს, შენს ერთგულებას და ინაცვალე ჩემი ობოლი თავი".

მაგრამ არავითარმა მუდარამ ყმისამ ბატონის წინაშე არ გაჭრა. თავზე ხელაღებული და აღვირახსნილი ბატონი წინ გადაუდგა ყმის სურვილს და ამას შესწირა თავისი მეგობარი გაბროც, პატიოსანი, კეთილი, შვილის მოყვარული პეპიაც და მისი ქალიშვილი თამროც. მაგრამ ი. ჭავჭავაძემ იცის, რომ ყმები ადვილად როდი თმობენ დამცირებას. გაბოროტებული და გულდამწვარი გაბრო სამაგიეროს გადაუხდის თავის მტერს,—პეპიას მკვლელს და თამროს გამაუბედურებელს.

ეს მოთხრობა ყურადღებას იპყრობს ცხოვრების მოვლენების პლასტიკური გამოხატვით, გლეხის და სოფლის ცხოვრების დიდი ცოდნით. განსაკუთრებით ძლიერია ფსიქოლოგიური სურათი, რომელშიაც გადმოცემულია პეპიას სიკვდილი.

უფრო სხვა ხასიათის არის ი. ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი!?"

„კაცია-ადამიანის" შესავალში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, ჩვენ კერძო პირთან საქმე არა გვაქვს, საზოგადო ჭირზე ვწერთო; ეს საზოგადო ჭირი ბატონყმობა იყო, რომელიც ადამიანს ამდაბლებდა და კაცურ ღირსებას უკარგავდა.

მოთხრობის პირველ კარშივე, თავად თათქარიძის კარმიდამოს აღწერაში, უკვე ნათელი ხდება ბატონყმური ცხოვრების მთელი უბადრუკობა. აქ ყველაფერს უკეთურობის, უხეირობის მძიმე დაღი აზის. ასევე უფერულია ამ სახლის მკვიდრთა სულიერი ცხოვრება; ლუარსაბის მთელი იდეალი ჭამა-სმა და ნებიერი ცხოვრებაა. კარგად შენიშნავს მწერალი: „მისი აზრით, კაცი ძირგავარდნილი ჭური იყო, რომელსაც ყოველდღე უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი". ამ-

გვარმა ცხოვრებამ კაცს კაცური სახე დაუკარგა, უბრალო მძორად აქცია; ცხოვრების თანამგზავრიც შესაფერი ჰყავს ლუარსაბს: „დღეს რა ვჭამოთ“, იტყოდნენ დილით, „ხვალ რა ვჭამოთ“, იტყოდნენ საღამოზე. ეს იყო იმათი სულის საზრდო, ეს იყო იმათი გონების ვარჯიში“: ცოლიც და ქმარიც პირუტყვებს დამსგავსებიან, არავითარი საზოგადოებრივი საზრუნავი და მისწრაფება მათ არ გააჩნიათ. „თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა, თუნდ ბოდბელისა არ იყოს, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო“—ამბობს ლუარსაბი. ერთი სიტყვით, ორივენი ცხოველებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ადამიანებს. მწერალიც როდი ზოგავს მათ — ხან პირუტყვის, ხან სულელის, ხანაც ყეყეჩის ეპითეტებით ამკობს. „ან კი სხვა რა სახელი შეიძლება ეწოდოს ადამიანს, მთელ დღეს ბუზებს რომ თვლის, კუდიანებზე და მკითხავებზე რომ საუბრობს“.

მაგრამ ამ სასაცილო სურათებს იქით გულის მომკვლელი სინამდვილე იფარება: სანამდის უნდა დაცემულიყო ადამიანი, რომ ასე პირუტყვს დამსგავსებოდა — აი დედააზრი ამ ნაწარმოებისა. თვითონ მწერალიც ამიტომ მიმართავს მკითხველს: „მე გავათავე, და შენ, რაც გინდა ჰქმენ, მკითხველო, გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვს. თუ ოდესმე თვალი აგხილებია და შენს გარშემო რაც გინახავს, იმაზე გონება გივარჯიშებია, ნახავდი, რომ ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს... იმიტომ, რომ ერთნი თვალით ხედავდნენ მარტო და თვალისთვის მართლაც სასაცილოა, მეორენი კი თვალითაც და გონებითაც, გონებას კი ძნელად თუ გაეცინება“. მართლაც, ვინც გონების თვალით განსჯის ლუარსაბ თათქარიძისა და კნეინა დარეჯანის ცხოვრებას, ის არ შეიძლება ღრმა მწუხარებამ არ შეიპყროს, არ შეიძლება მასში არ აღიძრას პროტესტი იმ საზოგადოებრივი ინსტიტუტისადმი, რომელსაც ბატონყმობა ეწოდებოდა.

და მკითხველი ნათლად გრძნობს, რომ ამგვარი საზოგადოებრივი სისტემა დანგრევის ღირსია. ი. ჭავჭავაძე არა მარტო ამ უარყოფითი ადამიანების დახატვის გზით ებრძვის

ბატონყმობას, იმ სისტემას, რომელიც ლუარსაბის მსგავს ადამიანებს ბადებს, არამედ შიგადაშიგ ურთავს ახლის, უკეთესისათვის ბრძოლის იდეებსაც. ი. ჭავჭავაძე დასცინის იმ ადამიანებს, რომლებიც კმაყოფილებით შეჰყურებენ ამგვარ პირუტყვულ ცხოვრებას. „ვიღაცამ თქვა,—წერს ილია,—კმაყოფილება ბედნიერება არისო. ბევრჯერ უთქვამთ დარბაისელ ბოხუცებულებს ჩემთვის, რომ ახალ თაობას იმით მაინც ჯობივართ, რომ ჩვენ ცოტათიც კმაყოფილები ვართო. მე კი დავჩუმებულვარ და გამიფიქრია—კმაყოფილება კაცის მოჭაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ეს კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუ სადმეა, იმათში უნდა იყოს“. ი. ჭავჭავაძეს სწორედ ამ ახალი თაობის იმედი აქვს; მას საბოლოოდ განწირულად მიაჩნია ის წყობილება, რომელმაც ლუარსაბი და დარეჯანი წარმოშვა. ეს ხომ აბსოლუტურად უაზრო, ამაო ცხოვრებაა, ისეთი ცხოვრება, რომელიც სჯობდა არც ყოფილიყო. ამიტომ კითხულობს მწერალი: „ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისათვის იცხოვრეს, რომ ოთხი ღიაკარი ეშოვათ და სამი ადლი მიწაო“.

„კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობის“ და „კაცია-ადამიანის“ ავტორი შეუპოვრად ილაშქრებდა ბატონყმობის წინააღმდეგ. ამ სფეროში მთელი სისრულით გამოჩნდა ი. ჭავჭავაძის მებრძოლი პოზიცია. ამას გარდა, „კაცია-ადამიანი“ ყურადღებას იქცევს თავისი უბადლო მხატვრული ოსტატობით; ეს არის უბრწყინვალესი ნიმუში იმ მძაფრი მამხილებელი სატირისა, რომელიც ესოდენ გავრცელებული იყო მეცხრამეტე საუკუნის რუსულსა და ქართულ ლიტერატურაში.

„ოთარაანთ ქვრივი“ ილიას შემოქმედების სრულიად ახალი ეტაპი იყო. აქ მწერალმა კვლავ გვიჩვენა, კვლავ მძაფრი ფერებით დახატა ის უფსკრული, რომელიც წოდებათა შორის არსებობდა; მან გვიჩვენა, თუ რა ძლიერია, ერთი მხრივ, გვირისტით ნაკერი გლეხკაცობა, ხოლო მეორე მხრივ, რამდენად მოდუნებულია, დაქვეითებული და დაცემულია ლაკვადაზნაურობა. ეს უფსკრული იმდენად დიდია, რომ ჩატეხილ ხიდს აქეთ-იქით მდგომარე ადამიანები, მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელნი ერთი მეორის სახეში საერთოს ვეღარაფერს პოულობენ. განათლებულმა ინტელიგენტებმა—

არჩილმა და კესომ ვერ გაუგეს გულის ნადები გლეხკაცს—გიორგის, რომელსაც ესოდენ გულწრფელად უყვარდა თავადის ქალიშვილი. ეს სიყვარული საბედისწერო გახდა მისთვის. წოდებათა შორის ხიდია ჩატეხილი.

„ოთარაანთ ქვრივი“ შედევრია მე-19 საუკუნის ქართული პროზისა. ილია ჭავჭავაძემ აქ დახატა მონოლითური და მთლიანი ადამიანები. ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესოა ოთარაანთ ქვრივი. ესაა გულმართალი, მშრომელი ქართველი ქალის მართლაც მონუმენტური სახე. არჩილი და კესო უფრო ესკიზურად არიან მოხაზულნი; კოლორიტულად, თუმცა ძუნწი შტრიხებით არის დახატული მეწისქვილე ხოსიას სახე.

როგორც ყველა ჟანრში, ისე პროზის სფეროშიც ილია დაუცხრომლად იბრძოდა სასაუბრო ხალხური ენის დასამკვიდრებლად. ის მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა იმისათვის, რომ ლიტერატურა ერთი მუჭა ზედაფენის ნაცვლად გამხდარიყო სახალხო კუთვნილებად. ილიამ და მისმა სკოლამ საბოლოოდ შეარყიეს ანტონ კათალიკოზის ტრადიციები და მოახდინეს უდიდესი რეფორმა სალიტერატურო ენისა. და სწორედ ენის მხრივ „ოთარაანთ ქვრივს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მარტო ილიას შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ მწერლობაში. აქ მოხდა გასაოცარი ბუნებრივი შერწყმა ხალხური ენისა და მე-19 საუკუნის სალიტერატურო ენის ნორმებისა; „ოთარაანთ ქვრივში“ ხალხის ენა მოცემულია ამაღლებულად, განწმენდილად და გაფაქიზებულად.

ი. ჭავჭავაძის პროზაულ ნაწარმოებთა შორის უნდა აღინიშნოს შესანიშნავი ნოველა „სარჩობელაზე“. ი. ჭავჭავაძემ აქ მეტად საჭირბოროტო საკითხი დააყენა. ადამიანის აღზრდის საკითხი მან დაუკავშირა საზოგადოებრივ სისტემას. მწერალმა გვიჩვენა, თუ როგორ ბადებს დამნაშავეს, ქურდსა და ავაზაკს უსამართლობაზე აგებული საზოგადოებრივი წყობილება. ასეთია ამ მოთხრობის აზრი. მოხუც პეტრესადმი გაგზავნილ ბარათში ბეჟანის ძმა სამართლიანად ამბობს: „გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზე, უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი

ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზე გულამღვრეულნი, გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას მამინაცვალს, დედას, ავსა და კარგს, შენ და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა, რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო, ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად, მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო". ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარმა გულცივობამ ბეჟანი სახრჩობელაზე აიყვანა. ი. ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ ამ სენის აღმოსაფხვრელად საჭიროა თვითონ სოციალურ ჩაგვრაზე აგებული წყობილების მოსპობა. იგი გამოდის როგორც ნამდვილი რევოლუციონერი, რომელიც გადაჭრით მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი სისტემის მეორით შეცვლას.

ი. ჭავჭავაძეს წრფელი გულით უყვარდა ადამიანი, იგი მიაჩნდა მას ცხოვრების გვირგვინად, ქვეყნიერების მშვენებად. მას ჭირის დღესავით ძაგდა ყველაფერი, რაც აკნინებდა ადამიანის ღირსებას, რაც შეურაცხყოფდა მის კაცურ კაცობას; ილიას მთელი ცხოვრება იყო დაუცხრომელი ბრძოლა ადამიანის განთავისუფლებისათვის, ამ დიდ მიზანს ემსახურებოდა მისი უკვდავი შემოქმედება, კერძოდ მისი ბელეტრისტული ნაწარმოებნი, რომელთაც სათავე დაუდეს ახალ ქართულ პროზას.

XXX

დიდი ჰუმანისტი და პატრიოტი მწერალი ილია ჭავჭავაძე ამავე დროს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი იყო. ქართველი ხალხის ცხოვრების მოწესრიგების ერთ-ერთ პირობად მას სოციალური უსამართლობის და ჩაგვრის მოსპობა მიაჩნდა. როგორც ვნახეთ ამ გზაზე იგი არც კლასობრივი ბრძოლის გზას ერიდებოდა (მოვიგონოთ „კაკო ყაჩაღი", „გლახის ნაამბობი" ან პოემა „აჩრდილიდან" შესაფერისი ადგილები). და მაინც ილიასათვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა ეროვნული საკითხი იყო. ერთიანი, დაუნაწევრებელ საქართველოს განმტკიცების ინტერესს უმორ-

ჩილებდა ილია ჭავჭავაძე შემოქმედების ყოველ საკითხს, ყოველ პრობლემას. ეროვნული პრობლემა მისთვის ამოსავალი პოზიცია იყო. ქართველ მარქსისტებთან უთანხმოებაც სწორედ ამ საკითხზე ჰქონდა. მარქსისტების პროლეტარიატის დიქტატურის თეორიას ილია ჭავჭავაძე არ იზიარებდა. თუმცა კარგად ხედავდა, რომ ჩვენი საზოგადოება დაყოფილია კლასებად; ხედავდა, რომ საზოგადოებაში არიან სოციალურად ამაღლებულნი და დამდაბლებულნი, მდიდრები და ღარიბები. განცხრომით მცხოვრები პარაზიტული კლასები და დამშეულ მშრომელთა არმია. ხედავდა ყოველივე ამას და როგორც დიდ ჰუმანისტ მწერალს აუცილებლად მიაჩნდა ამ უსამართლობის მოსპობა. ლუარსაბ თათქარიძე და მისი მსგავსი პარაზიტები არა მარტო სოციალური არამედ ეროვნული ხორცმეტები იყვნენ. და, როდესაც ილია ჭავჭავაძე „კაცია ადამიანის?!“ პროლოგში წერდა —„მოყვარეს პირში უძრახეო...“ რასაკვირველია, მოყვრის ცნებაში ის გულისხმობდა ქართველ ხალხს და არა ვიწროდ აღებულ თავადაზნაურობას ან კერძო პიროვნებას, ლუარსაბ თათქარიძეს. ლუარსაბ თათქარიძისა და დათოს საუბარში ილიამ შესანიშნავად აჩვენა, რომ დიდი და პატარა ხელის თითების ანალოგიით როდია წარმოდგენილი ცხოვრებაში, არამედ ეს „დიდები და პატარები“ ერთმანეთს ხელს უშლიან და ამ სოციალური წინააღმდეგობის წაშლაა საჭირო. რა გზით უნდა მოხდეს ეს? დიდი ილია ხედავდა, რომ ეს მეტად მწვავე სოციალური პრობლემა იყო, მაგრამ მისი მოგვარება მაინც ქართველი ერის დარღვეული მთლიანობის გაჯანსაღებით უნდა მოხდესო, დასძენდა. მისი აზრით, ეროვნული და კლასობრივი ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპირდეს, უნდა ამაღლდეს ქართველი კაცი ეროვნული და კლასობრივი შეგნებით. გულქვა ბატონებს, ამ უქნარა პარაზიტულ კლასს ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ბატონყმობის გადავარდნამდე ილია ჭავჭავაძეს შეუძლებლად მიაჩნდა ამ ორი საპირისპირო კლასის, ბატონისა და ყმის მორიგება და მწერალი კლასობრივი ბრძოლის გზას აშკარად ქადაგებდა, ხოლო ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ილია დარწმუნდა, რომ საქართველოს ეროვნული მთლიანობის შენახვა, ერთიანი საქართველოს ინტერესე-

ბი მოითხოვდა კლასობრივი ბრძოლის არც უგულებელყოფას და არც გამძაფრებას, არამედ ამ კლასებში ეროვნული შეგნების ამაღლებას და მათს შეთანხმებას ერთიანი ეროვნული და შრომის პრინციპის ფარგლებში. ნამუსის ეროვნული და შრომის პრინციპი იმ ჯადოქარ ძალად მიაჩნდა მწერალს, რომელიც შეაგნებინებდა ორად გაყოფილ, სხვადასხვა ღობეშემოვლებულ, სხვადასხვა ინტერესებით გათიშულ ქართველებს ერთად ეცხოვრათ, პატიოსანი შრომით, ერთად ებრძოლათ ერის საკეთილდღეოდ. ილია ჭავჭავაძისათვის ეს ერთიანი საქართველოს დროშა ყოვლისმომცველი ძალა იყო. „ოთარაანთ ქვრივში", მართალია, ილია ჭავჭავაძემ ერთმანეთს დაუპირისპირა ერთის მხრივ ოთარაანთ ქვრივი, მისი შვილი გიორგი, ხოლო მეორეს მხრივ არჩილი და კესო. მათ შორის ჩატეხილ ხიდს კარგად ხედავდა მწერალი და მან მთელ ქვეყანასაც დაანახა ეს, მაგრამ მიუხედავად ამისა ილია ჭავჭავაძეს არ მიაჩნდა, რომ არჩილი და კესო ისეთი გულქვა, ზედმეტი პარაზიტები არიან, როგორც ლუარსაბი, ან კაკოს ბატონი. ამიტომ ეძებდა საშუალებებს, ფანტაზიით ქმნიდა და ქსოვდა მხატვრული ოცნების სამყაროს, სადაც ამ ჩატეხილი ხიდის დიდი ეროვნული საფრთხე უნდა ეგრძნოთ კესოს და არჩილს და ეს უსამართლობა და ბოროტება უნდა მოგვარებულიყო არა ერთმანეთის მოსპობის გზით, არამედ ეროვნული და კლასობრივი შეგნების დროშის წამძღვარებით. ილია აქ სცილდებოდა ქართველ მარქსისტებს 900-იან წლებში და ამ პოზიციებიდან მძაფრად აკრიტიკებდა მათ.

უნდა ითქვას ისიც, რომ 900-იანი წლების ვითარება, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მეტად რთული იყო საზოგადოებრივადაც და პოლიტიკურადაც. 900-იან წლებში უფრო აშკარა გახდა ორი დიდი სოციალური ძალის—კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის დაპირისპირება და მათი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მეტად მძაფრი და რთული ისტორია. ქართულმა მწერლობამ შენიშნა და ასახა ეს მხარე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. გიორგი წერეთელი, ეგ. ნინოშვილი, ირ. ევდოშვილი, ჭოლა ლომთათიძე და სხვები და სხვები ქმნიან პირველად ჩვენს მწერლობაში ბურჟუაზიულ-საზოგადოებრივი ყოფის გამომხატველ ხასიათებსა და გმი-

რებს; ამ ფონზე ახალი, რევოლუციური მუშათა კლასის წარმომადგენლებიც გამოჩნდება ჩვენს მწერლობაში, რომლის მედროშე „მესამე დასელების“ სკოლაა. და ყველაფერი ეს დიდი მწერლის ილია ჭავჭავაძის თვალწინ ხდება. ილია მოწმე და მონაწილეა ამ ახალი სოციალური საზოგადოების ურთიერთობისა. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძეს, როგორც მხატვარს, არ გამოუხატავს ეს ახალი კლასები. ი. ჭავჭავაძეს არსად, როგორც მხატვარს, არ გამოუყვანია მოქმედ პირად ქართველი ბურჟუა, არც ქართველი პროლეტარიატი აუსახავს მას. ეს სამყარო არ გაუხდია მწერლობის საგნად. რით აიხსნება ეს? ნუთუ ი. ჭავჭავაძე უფრო ნაკლებად ხედავდა, ნაკლებად გრძნობდა, ვიდრე გ. წერეთელი და ევდოშვილის სკოლის პოეტები და პროზაიკოსები იმ ახალს, რომელიც 900-იანმა წლებმა მოიტანა ჩვენს ქვეყანაში? რატომ არ გვხვდება ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებში ის ახალი ხასიათები, ის ახალი ადამიანები, რომელიც კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის ჭიდილმა წარმოშვა, ახალმა დრომ, პროლეტარიატის ეპოქამ მოიტანა ჩვენში? ეს მეტად რთული და საინტერესო საკითხია. ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ მოვლენებისა და ფაქტების ახსნას, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ი. ჭავჭავაძემ 900-იანი წლების მიწურულში, როგორც პოეტმა, პროზაიკოსმა ამ კითხვებსა და მოვლენებს არ უპასუხა, ხოლო მათ, ვინც პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ხედავდნენ საქართველოს მომავალს, და ახალი საზოგადოების მთავარ ეროვნულ ძალად პროლეტარიატი მიაჩნდათ, მათ კამათი და დავა გაუმართა, როგორც პუბლიცისტმა. რით აიხსნება ეს? რა მიზეზების გამო არ გამოსახა ი. ჭავჭავაძემ ბახვა ფულავების, დავით დროიძეების და სხვათა მსგავსი სამყარო? რად აუარა გვერდი ამ დიდად ნიჭიერმა მწერალმა, მე-19 საუკუნის საქართველოს მამამ, ქართველ პროლეტარიატს? ვიმეორებთ, ყველაფერი ეს ახსნასა და განმარტებას მოითხოვს. ჩვენ ახლა მხოლოდ ვაყენებთ ამ საკითხს და შემდეგ, როდესაც უფრო მეტი საბუთი და მასალა დაგვიგროვდება ამ კითხვისათვის, შევეცდებით დავუბრუნდეთ და პასუხი გავცეთ ამ საინტერესო და რთულ პრობლემას.

აკაკი

აკაკი! საყვარელი და საფიცარი სახელი გახდა პოეტის სიცოცხლეშივე. მას მხოლოდ სახელით იცნობდნენ მთელ საქართველოში. მას იცნობდნენ ჩვენი ქვეყნის მიღმაც. მისი უდიდესი პოპულარობაც და მისდამი თაყვანისცემაც სახელის მოხსენებაშიაც იყო უთუოდ გამოხატული. ყოველ ქართველს პირზე ეკერა მისი სახელი, ყოველი კაცი ჩურჩულით წარმოთქვამდა მის სახელს და იყო რაღაც სასოება, თაყვანისცემა და მაგიური ძალა ამ სიტყვაში.

ყოველ ერს ჰყავს თავისი საფიცარი ეროვნული სახელები. მე-19 საუკუნის რუსეთისათვის პუშკინი და ლერმონტოვი, ტოლსტოი და ჩეხოვი... ქართველ ერსაც ჰყავს თავისი სათაყვანებელი სახელები: რუსთაველი და გურამიშვილი, ილია და აკაკი, ვაჟა და ბარათაშვილი. აკაკი და საქართველო ისევე განუყოფელია, როგორც საქართველო და ილია. ეს ორი სახელი მე-19 საუკუნის ქართველის წარმოდგენაში განუყოფელი იყო. მათ ჭეშმარიტად უწოდებდნენ ქართველი ხალხის უგვირგვინო მეფეებს.

აკაკის ლექსებს მღეროდა ხალხი, ზეპირად წარმოსთქვამდა, მისი ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა. აკაკის ლექსები ხალხის საკუთრება გახდა. მის გულს ეზიარა. აკაკი წერეთელმა თავისი დიდი შემოქმედებით თქვა ის, რაც აფიქრებდა და აღელვებდა მე-19 საუკუნის ქართველ კაცს, და გამოხატა გასაოცარი სიწრფელითა და სიმართლით, უზადო სისადავითა და გამჭვირვალობით, ისე, რომ მას განიცდიდა და გრძნობდა მთელი ქართველი ხალხი, როგორც ერის ფიქრსა და ტკივილებს. სიცოცხლეშივე აუგო მას თავისმა ერმა სიყვარულის უკვდავი ძეგლი.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მხოლოდ რამდენი-

ვე შეიძლება დავასახელოთ, რომელთაც ისეთი დაფასება და პატივისცემა მოეპოებია სიცოცხლეში, რაც აკაკის პოეტურ ნიჭიერებას ერგო წილად. და აი, როდესაც ეს დედაბოძი ერს გამოეცალა, მთელმა საქართველომ ცხარედ დაიტირა იგი.

1915 წელი. 25 იანვარი. აკაკი წერეთლის გარდაცვალება სხვიტორში. ელვის სისწრაფით მოედო ეს ცნობა მთელს საქართველოს. ფეხზე დადგა მთელი ერი, საჩხერეს მიაშურა და როდესაც აკაკის ცხედარს დედაქალაქისაკენ მოასვენებდნენ, თითქმის მთელმა საქართველომ გამოაცილა იგი. ყოველ სადგურზე ზღვა ხალხი ხვდებოდა მოხუცის ცხედარს. დაჩოქილნი, ბაგედადუმებულნი, ცრემლმორეულნი, ჩურჩულით წარმოთქვამდნენ მის სახელს, პატარა ბალღებს აჩერებდნენ მისი ცხედრის წინაშე და იყო რაღაც გასაოცარი სასოება და თაყვანისცემა ამ მოქმედებაში. მთელი საქართველო ძაძით შეიმოსა. როდესაც თბილისში მოასვენეს ეს სათაყვანებელი კაცი, რუსთაველის პროსპექტზე გამოატარეს ნეშტი და სწორედ იმ აივნის წინ შეაჩერეს, სადაც აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძის ცხედარს სიტყვით მიმართა. ახლა ამ სიტყვებს აკაკის მიმართ იმეორებდნენ: „შენ შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღაღადებენ... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები, და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ. როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველი კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს“.

ეს წლები ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა დღე იყო. კიდევ რამდენიმე წელი და ხალხის საძულველი ცარიზმის ტახტი დაემხო. ოქტომბრის რევოლუციამ ახალი შუქით გაანათა ქართველი ერის ისტორიული გზა, აღორძინდა აკაკის სამშობლო საქართველო. აღსრულდა

პოეტის უკვდავი სიტყვები ცარიზმის შავბნელ დროში საქართველოს შესახებ თქმული: „არ მომკვდარა, მხოლოდ ძინავს... გაიღვიძებს ისევ ერი“. გამოღვიძებულმა, განახლებულმა ქართველმა ერმა გულში ჩაიკრა თავისი უკვდავი შვილები, დიდებითა და პატივისცემით შემოსა მათი სახელი. უპოპულარესი და უსაყვარლესი პოეტი აკაკი წერეთელი კვლავ ჩადგა ახალი საქართველოს, სოციალისტური საქართველოს სამსახურში, როგორც მისი აქტიური სულიერი ძალა. გამოიცა და დაიბეჭდა აკაკის თხზულებები, ითარგმნა რუსული და სხვა მოძმე ერების ენებზე, მთელს საბჭოთა კავშირში პოპულარული და საყვარელი სახელი გახდა — აკაკი. „სულიკოსა“ და „ციცინათელას“ ავტორმა მთელი მსოფლიო მოიარა.

უსაზღვროა ხალხის სიყვარული თავისი უკვდავი პოეტებისადმი... სიყვარული ორი დიდი გოლიათისადმი — აკაკისა და ილიასადმი ქართველმა ხალხმა იმითაც გამოხატა, რომ თავის დედაქალაქში თბილისში, მის ულამაზეს და უმშვენიერეს პროსპექტზე, რუსთაველის პროსპექტზე მათ ერთ კვარცხლბეკზე მისცა ადგილი და ამით თავისი განუსაზღვრელი სიყვარული გულწრფელად გამოხატა. ჯერ კიდევ თვითონ აკაკი შენიშნავდა თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვებში ილია ჭავჭავაძის ცხედართან: „მშვიდობით ძმაო,— გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით, ახლა ჩემი მარტო დარჩენა საძნელოა“... და ხალხმა ცალად არ დატოვა ისინი. სიკვდილისაგან განცალკევებული კვლავ ერთად გვერდი გვერდ გამოაქანდაკა.

აკაკი წერეთელი სამოღვაწეო ასპარეზზე 60-იან წლებში გამოვიდა. (პირველად მისი ლექსი ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა 1859 წელს). იგი მთელი ნახევარი საუკუნე ემსახურა თავის ხალხს და თავის ერს, დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიებით აღსავსე. ვინც აკაკი წერეთელის თხუთმეტტომიან აკადემიურ გამოცემას გაეცნობა, ადვილად დარწმუნდება, თუ რა მრავალფეროვანი, მრავალმხრივი იყო აკაკის შემოქმედება. რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ქარიშხალმა

ძირფესვიანად შეარყია ძველი პატრიარქალური, ბატონყმური რუსეთი და მის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა 60-იანი წლების სახელოვანმა პლეადამ. ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის და სხვა სახელოვანი სამოციანელების მედგარმა ბრძოლამ ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ მთელი პროგრესული ძალები ფეხზე დააყენა. ამ მოძრაობის სათავეებთან, დიდ რუს განმანათლებლებთან ერთად იდგნენ ჩვენი სამოციანელები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები და სხვები. აქ, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის წრეში, დაწყებულმა დიდმა საზოგადოებრივმა რეფორმებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მაშინდელი რუსეთის იმპერიაში: პოლიტიკურ და ესთეტიკურ შეხედულებათა რადიკალურმა გადაფასებამ, ლიტერატურის დანიშნულებისა და მოვალეობის ახლებურად გაგებამ, ხალხისა და მწერლის ურთიერთობის ახალ ასპექტში დაყენებამ — არსებითი რევოლუცია მოახდინა მთელს მაშინდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში. ასე ჩამოყალიბდა 60-იან წლებში მწერლის სრულად ახალი ტიპი. მწერლობას განსაკუთრებული როლი დაეკისრა. მთავარი ის იყო, რომ 60-იანი წლების სახელოვანი მოღვაწეები მწერლობას უყურებდნენ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის მძლავრ იარაღს და მას აკისრებდნენ ხალხის სამსახურს, ხალხის მეთაურობის როლს. 60-იანელი განმანათლებლების ეს ესთეტიკური პრინციპი გაიზიარა აკაკი წერეთელმა. და თავისი ქვეყნის ცხოვრებას თავისებურად შეუფარდა. ხელოვნებას, მწერლობას აკაკი წერეთელი უყურებდა, როგორც დიდ მორალურ კატეგორიას, იდეურ იარაღს, ხალხის ესთეტიკური აღზრდის საშუალებას და ამ მხრივ ილიასთან ერთად საფუძველს უყრიდა საქართველოში რეალიზმის პრინციპს.

აკ. წერეთელი მწერლობისაგან მოითხოვდა სინამდვილის პირუთვნელ აღწერას, ცხოვრების ყოველდღიურობის განზოგადებას. მას სწამდა მწერლობის დიდი ძალა ერის, ხალხის სამსახურში. ყოველდღიურობის, უტილიტარიზმის პრინ-

ციპს რეალიზმის განუყოფელ თვისებად თვლიდა, მაგრამ ამავე დროს იგი დიდი მტერი იყო სინამდვილის ფოტოგრაფიული აღწერისა, რეალიზმის მნიშვნელობის დამცირებისა. აკაკი თვითონაც შენიშნავდა: „ზოგიერთები საზოგადოდ იმ აზრისა არიან როგორც სხვაგან, ისე ჩვენში... რომ რეალიზმი მოითხოვს მწერლობაში მხოლოდ პროტოკოლურ აღწერილობას უმეტნაკლებობით, ისე, როგორც ხედავს და ესმის მწერალს. ასე რომ, იქ თავისი არ უნდა გაურიოს რა... ეს რომ ასე იყოს, მაშინ ფოტოგრაფიულ სურათებს უპირატესობა ექნებოდა ხელოვნებით მხატვრობაზე და უბრალო ფოტოგრაფია ემჯობინებოდა გამოჩენილ მხატვარ რაფაელს... ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა, ნახა, არა, ასი ათასი სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აარჩიოს, რომელიც უკეთ დაახასიათებს მისგან აღებულ საგანს, რასაკვირველია, შემოქმედებითი ძალით“. რეალიზმის აკაკისეულ განსაზღვრას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და იგი ზუსტად გამოხატავს მის ბუნებას.

აკ. წერეთელი 60-იან წლებში ცრუკლასიკოსების, არქაისტების და სანტიმენტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ანმტკიცებდა და აყალიბებდა ქართულ რეალიზმს. ხელოვნების რეალისტური მოძღვრება — მებრძოლი, შემმართებელი, ხალხის ინტერესების დამცველი და გამომხატველი —აკაკის შემოქმედების ამოსავალი პრინციპი იყო. პოეტი თავის თავს გარემოების საყვირს უწოდებდა:

ეგ გული, სარკედ ქცეული,
ბუნების ნათავხედია,
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია.

მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე აკაკის მშრომელი ხალხის მძიმე ხვედრი, თავისი ერის ეროვნული და სოციალური ბედი აწუხებდა და თავისი კეთილშობილური სიცოცხლე ხალხისათვის ზრუნვას, მისთვის სამსახურს შესწირა. ხალხის სიყვარულით შთაგონებული პოეტი სწერდა:

მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,

განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს...
რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
ოვალთ ცრემლები ეშრებოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს.

ასე განსაზღვრა აკაკიმ დანიშნულება მწერლობისა და ამაზე ნათლად და გარკვევით ძნელი იყო 60-იანი წლების ქართველი განმანათლებლების იდეური, ესთეტიკურ შეხედულებათა განმარტება. აკაკი ამ პრინციპს მიჰყვებოდა და ამ გზით წარმოსახავდა მე-19 საუკუნის საქართველოს ცხოვრების სურათებს.

აკაკი თანამედროვეების მხატვარი იყო, მე-19 საუკუნის საქართველოს მხატვარი. მან ყველაზე სრულყოფილად გამოხატა თავისი თანამედროვე ხალხის ფიქრი და ოცნება, მისი სურვილები და მისწრაფებანი, მისი შემართება და შეურიგებლობა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ხალხის ინტერესებისაგან განუყოფლად დაკავშირებული პოეტი წერდა: „მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ საერთო მოვლენებს, რაგინდ წვრილმანიც იყოს იგი, თვალი აარიდოს... ვისაც აწმყოში წილი არ უდევს, იმას მომავალი აღარ ერგება და არც წარსულს უნდა ეპოტინებოდეს". ლირიკულ ლექსებში, პოემებსა, მოთხრობებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში აკაკი ასახავდა მის თანამედროვე საჭირბოროტო საკითხებს და ასე ზრდიდა თავის ხალხს უკეთესი მომავლის სულისკვეთებით. საქართველოს გმირული წარსულის გაცოცხლებაც ამავე მიზნით სჭირდებოდა პოეტს.

აკაკის შემოქმედების უმთავრესი და უპირველესი საკითხი „ცხრაკლიტულში მჯდომარე საქართველოს" ბედი იყო. ხოლო მისი სიმღერის საგანი — „ყვავ-ყორნების საჯიჯგნელად კავკასიის ქედზე მიჯაჭვული" გმირის ამირანის განთავისუფლება. ამირანი, აკაკის პოეზიაში, სამშობლოს სიმბოლოა:

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი.

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი.

საქართველო იცნობდა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს, ერის საამაყო შვილებს, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე სამშობლოსათვის ზვარაკად შეუწირავთ. „ეროვნული გმირის დავითის მსგავსად, ზეციური თამარის მსგავსად.“ სამშობლოსათვის არაფერი დაუშურავთ, მათ ურიცხვ მტერთან ბრძოლაში დაუცავთ საქართველოს ღირსება და სახელი. მაგრამ აკაკი მაინც სხვა იყო. აკაკი „ღვთით მონიჭებული პოეტი“ იყო, პოეტი ლირიკოსი. სამშობლოსადმი სასოებითა და ლოცვით ავსილი ლექსების მთქმელი. მის ლექსებში იყო გასაოცარი თაყვანისცემა სამშობლოსადმი. ამავე დროს იყო თავგანწირვა და შემართებაც, მრისხანებაცა და ქუხილიც „სამშობლოს მტრების მიმართ ისარივით ატყორცნილი“. აკაკის ლირიკა თანაბრად ითავსებდა სინაზისა და ფერადოვნების, მქუხარებისა და შემართების ნაირ-ნაირ ხმასა და ინტონაციას.

უსაზღვრო იყო აკაკის სიყვარული და თავდადება, თაყვანისცემა სამშობლოსადმი. პოეტი ლოცვასავით ამბობდა:

ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები
შენზედვე მგლოვიარეო.

და მთელი საქართველო იმეორებდა ჩურჩულით, სასოებით, ხმამაღლა, აღტაცებით, იმედით და რწმენით აკაკის ამ სიტყვებს.

პოეტს ღრმად სწამდა თავისი ხალხის მომავალი:

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
გაიღვიძებს ისევ ერი.

აკაკის მთელს შემოქმედებას რეფრენივით გასდევს ეს სიტყვები: აკაკი წერეთელმა არა მარტო გამოკვება ჩვენი ხალხის ეროვნული გრძნობა და აზრი, მან აღზარდა, მოწინავე ეროვნული სულისკვეთებით ჩვენი ერი, ჩვენი ხალხი.

ილიასთან ერთად აკაკი მე-19 საუკუნის საქართველოს

მამა იყო, მისი სულიერი კულტურის მედროშე და მეთაური, მისი ეროვნული და სოციალური მისწრაფებების გამომსახველი და აღმზრდელი. საქართველოს ყოველ კუთხეში აკაკის სიტყვებს იმეორებდნენ, ყველგან სწავლობდნენ, იზეპირებდნენ, თვით წერა-კითხვის უცოდინარი მოხუცებიც ხალხში გასულ აკაკის სიტყვებს ზეპირად ამბობდნენ. განუზომელი იყო ხალხის თაყვანისცემა პოეტისადმი. იგი იყო ჭეშმარიტი სახალხო პოეტი. ასევე უზომოდ და უანგაროდ შეიყვარა ხალხმა აკაკის პოეზია. იშვიათად რგებია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ასეთი სიყვარული და პატივისცემა პოეტს და ეს მოხდა სწორედ იმიტომ, რომ აკაკი წერეთელმა მოახერხა თავისი ხალხის, თავისი ეპოქის საჭირბოროტო საკითხის ყველაზე ნათელი გამოხატვა ყველაზე გასაგებ ენაზე. და ამან განსაზღვრა მისი პოპულარობა.

აკაკი პოეტი იყო მთელი თავისი არსებით, მთელი შეგნებით. არც ერთი ნერვი, წვეთი სისხლისა არაპოეტის მას არ ჰქონია. იგი იყო ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოვებული მგოსანი. ხალხის ეროვნული და სოციალური გრძნობა მან პოეზიის ენაზე გადაიტანა, ხალხი და პოეტი ერთმანეთს დაუახლოვა. აკაკი წერეთელმა ქართულ პოეზიას მანამდე არნახული ხალხურობა მიანიჭა, ხალხის სულიერ გრძნობებსა და განცდებს აზიარა და მწერლობა ხალხის აღზრდის იარაღად აქცია. აკაკის პოეზია, უაღრესად ინტიმური გრძნობების გამომხატველი ლექსებიც კი, დიდ საზოგადოებრივ ჟღერას იღებს, უაღრესად ადამიანურ, საზოგადოებრივ ვნებებს მოიცავს. მის პოეზიაში განყენებულ, ხალხის ინტერესებთან დაცილებულ, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილ ლექსს ვერ ნახავთ. მთელი თავისი სიცოცხლით და პოეტური შემოქმედებით აკაკი ემსახურებოდა ქართველ ხალხს და ილიასთან ერთად მან პირველმა მიანიჭა პოეზიას ერის, ხალხის წინამძღოლის, მისი გრძნობებისა და განწყობილებების, აღმზრდელისა და მეთაურის მნიშვნელობა.

მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში აკაკი წერეთელი იბრძოდა მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმისათვის.

აკაკის სიტყვები ხალხს უნერგავდა მომავლის რწმენას. მის სიტყვებსა და საქმეში მკითხველი ხედავდა საქართველოსათვის თავდადებულ პოეტსა და მოქალაქეს. ნახევარი საუკუნის განმავლობაში პოეტი ხალხს შთააგონებდა საქართველოს ეროვნულ უკვდავებას და ამავე დროს ეძებდა გმირებს, დაფითა და ნაღარით აღვიძებდა ხალხს, რაზმავდა ერის პროგრესიულ ძალებს. პოეტს განუშორებლად აწუხებდა კითხვა:

ჩემი სატრფო სად არის?
ნისლი ბურავს თუ დღე უდგას სადარი.

პოეტის დაუოკებელი სურვილი იყო:

მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა
ვხედავდე თავისუფალსა,
რომ ძალით ვერ აშინებდნენ,
ვერც ნებით უხვევდნენ თვალსა.

საქართველოს ბედით გულდათუთქული პოეტი ხშირად მწარედ მოთქვამდა, მწარედ აკვნესებდა პოეტის ჩანგს საქართველოს ხვედრი. მისი სევდა, მისი ცრემლი გამოხატავდა ერის ტანჯვას და მწუხარებას. პოეტი აცხადებდა, „ნურვინ ცდილობს ამ ცრემლებში ნახოს კერძო სიყვარული". არა! იგი „ყოველ წვეთში ნიშანს ნახავს, ქართლის ტანჯვის გამომხატველს". ერის წყლული პოეტს გულს უკლავდა, ხშირად უკიდურესობამდეც მისულა ხალხის ბედით გულმოკლული პოეტი. მას მწარედ აღმოხდენია: „აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს... სჯობს სულ გაქრეს კაცი, რადგანც მტვერია". პოეტის ეს აღშფოთება, ეს უკიდურესობამდე მისული სევდა, დაბეჩავებული საქართველოს ხვედრით იყო გამოწვეული. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში იგი სიტყვითა და საქმით ებრძოდა ამ სევდის მომგვრელ სინამდვილეს. მთელი თავისი კეთილშობილური მოღვაწეობა ამ უსამართლო ცხოვრებასთან ბრძოლას შეალია. უთანასწორო ბრძოლაში გულგატეხილ პოეტს არა ერთხელ წამოსცდენია:

გაქრა ფერადი ოცნება,
რასაც ველოდი, სად არი?
დაბნელდა ჩემთვის სიცოცხლე,
სხვისთვის სამზეო — სად არი?

და აღარ მინდა სიცოცხლე
გულგატეხილი წამებით,
ნუგეშად ველი სიკვდილსა,
დროს ვანგარიშობ წამებით.

ისეთი დიდი რეალისტისათვისაც კი როგორც აკაკი წერეთელი იყო, ამგვარი სევდა და რომანტიზმი როდი იყო უცხო. საქართველოს ბედით გამოწვეული ეს სევდა მაინც ოპტიმისტურ გადაწყვეტას პოულობდა დიდი პოეტის შემოქმედებაში. იგი გულს არ იტეხდა და აცხადებდა:

ბერო ქართლო, გულს ნუ იტეხ,
კმარა, ცრემლი რაც გედინა.

პოეტი მოუწოდებდა ხალხს, გაიღვიძე, დროს ნუ კარგავ-სიცოცხლე სიფხიზლეა, და გწამდეს, რომ თუ დრო შეიცვალა, გაცოცხლდება საქართველოო. და აი, იმედით შთაგონებული პოეტი ღაღადებდა:

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახ გულსა
თავი ტარიელ მგონია,
ოცნებით გარემოცულსა.
ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს.
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს...
რა უყოთ, თეთრი მერიოს,
სისხლით შევღებავ ჭაღარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემს დაფსა და ნაღარას.

აკაკის ლექსი აფხიზლებდა ერს, ამხნევებდა ხალხს, ბრძოლის ველისკენ მოუხმობდა გმირსა და ვაჟკაცს. პოეტს სამშობლო წარმოდგენილი ჰყვადა მიჯაჭვულ, დატყვევებულ, მაგრამ ქედმოუხრელ ამირანად. მას სწამდა და ხალხსაც ამ რწმენას უნერგავდა:

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთაგმირი...

აკაკი ამ სტრიქონებს სწერდა 1902 წელს, მე-20 საუკუნის დიდი რევოლუციური განთიადის წლებში. პოეტი გრძნობდა, რომ ის, რაც მე-19 საუკუნემ ვერ აღასრულა, მე-20 საუკუნეს გადმოეცა ანდერძად და ამ საუკუნის მეთაური და მესვეური არის მშრომელი ხალხი. აკაკის პოეზიას ნათელ ხაზად გასდევს მშრომელ ხალხზე დამყარებული ეს იმედი, ეს საბრძოლო ინტონაცია. მას მუდამ წამდა, რომ სინათლემ უნდა სძლიოს სიბნელეს, ბოროტებას სიკეთემ; შრომას ფასი უნდა დაედოს, ხალხს თავისუფლება მიენიჭოს. ამისათვის საჭიროა მსხვერპლი: „ვინ ნახა თავისუფლება ტანჯვითა და მოთმინებითა, საქმე მოითხოვს მსხვერპლსა და ზვარაკს, ადამიანს არ შვენის პირუტყვივით სხვისი მონობა“. მონობის ჯაჭვი თვითონ ადამიანებმა უნდა დაამსხვრიონ შრომითა და შეუპოვარი ბრძოლით. ამ აზრით არის შთაგონებული აკაკის პოეზია.

უკუღმართმა დრომ, უთანასწორო ბრძოლამ საქართველო დააუძლურა. ამ მდგომარეობაშიაც პოეტს სწამდა მრავალ გაჭირვებაგამოვლილი ქართველი ერის მომავალი. ქართველი ხალხის ეროვნული ხე არ გამხმარა, სულიერად არ მომკვდარა, ფოთლებჩამოცვენილი ის კვლავ დგას მშობლიურ ნიადაგზე და მისი გაზაფხულიც დადგება. ეს ნედლი ეროვნული ხე კვლავ გაშლის ტოტებს, კვლავ შეიფოთლება, კვლავ გაიხარებს სიცოცხლის მთელი მშვენიერებით. პოეტს სწამდა, რომ ასეთი ძალა არსებობდა, იგი კითხულობდა: „არის კიდევ სადმე ძალა, რომ წარსულმა ვერ დაბადა და წარმოშობს მომავალი?“ ამ კითხვას მხცოვანი პოეტი დადებითად უპასუხებდა:

მაგრამ ეხედავ, მომავალში
გამოსულა მუშა ერი
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.
გამარჯვება ნამდვილ მუშებს,
ვაშა, ვაშა მომავალსა.
ის ასწორებს დღევანდლობის
გამრუდებულ გზას და კვალსა.

მშრომელი ხალხი კვლავ აღადგენსო დაცემულ საქართველოს, შეიძლება მე ვერ მოვესწრო ამ მომავალს, მაგრამ მე

მას ვგრძნობ და ვხედავო. ეს ლექსი მთავრდება ასეთი შეძახილით:

არ მომკვდარა საქართველო,
აყვავდება ერთხელ კიდევ!

აკაკი წერეთელი მომავლის რწმენას უნერგავდა ხალხს; შთააგონებდა სამშობლოს სიყვარულს და ასე ანმტკიცებდა და ხელს უწყობდა საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით გამოღვიძებული მშრომელი ხალხის ბრძოლას, და რაც უფრო ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუციის ქარბუქი, მით უფრო ფოლადდებოდა ეს მებრძოლი ხმა პოეტისა. ხოლო ამ რევოლუციამდე ნახევარი საუკუნე ამზადებდა და ზრდიდა თავის ხალხს საბრძოლო სულისკვეთებით. ამიტომაც მის ლირიკაში მებრძოლ, ეროვნულ მოტივს იმთავითვე ბუნებრივად შეუერთდა სოციალური საბრძოლო ინტონაციები.

აკაკი წერეთელი, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე 60-იან წლების სახელოვან თაობასთან ერთად ამხედრდა ბონობის, უსამართლობის, ჩაგვრის წინააღმდეგ. მან საჯაროდ შეაჩვენა ადამიანის ცხოვრების დამამდაბლებელი ბატონყმური ინსტიტუტი. ყმაგლეხის ბედი გამოიხატა პოეტის ცნობილ სტრიქონებში:

მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური..?
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო, უბედური,
სულ მათ მიაქვთ
რაც რომა გვაქვს,
ქათამი, თხა, ძროხა, ცხვარი.
ჩვენ ყოველდღე ტანჯვას ველით,
გლეხებს რა გვაქვს გასახარი.

აკაკი ამგვარი უსამართლობის წინააღმდეგ ხმას იმაღლებდა, ბატონყმობის გაუქმებას იგი აღფრთოვანებით შეხვდა:

გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო,
ბატონი ვერ შეგაწუხებს,
ვერც გაგტეხს ვალიო.

მაგრამ პოეტი ხედავდა, რომ ამ უნიათო რეფორმამ მშრომელ ხალხს მხოლოდ ფორმალური თავისუფლება მიანიჭა. არსებითად ის კვლავ მონობის უღელში იყო შებმული, სოციალური და ეროვნული მონობის უღელში. და აკაკიც მთელი ნახევარი საუკუნე ებრძოდა ამ სამარცხვინო მონობის უღელს. როდესაც მხცოვანი პოეტი 1905 წლის რევოლუციის დღეების მოწმე-მონაწილე გახდა, გულით გაიხარა და ამაში დაინახა მან სანუკვარი ოცნების განხორციელება. იგი გულწრფელად აცხადებდა:

აღსრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდი
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში.

მგოსანი ახალგაზრდული გატაცებით მიეგება ამ დღეებს და მასში დიდი განთიადის დასაწყისი დაინახა. აკაკი წერეთელმა ძველი თაობის სახელოვან წარმომადგენელთა შორის ერთმა პირველთაგანმა გაიზიარა 1905 წლის რევოლუციის მჭუხარე დღეების ზეიმი. ამ დღეებს უძღვნა მან ისეთი ლექსები, როგორიცაა „თქვენი ჭირიმე“, „ნატვრა“, „გაზაფხული“, „ძირს“, „სიტყვა“, „რჩევა“, „ჩემი რწმენა“. ერის საყვარელმა პოეტმა რევოლუციაში დაინახა ხალხის ბედნიერი მომავლის ნიშნები. მან ნათლად იგრძნო, რომ დადგა ახალი დრო და ამ ახალ დროს მეთაურობს მშრომელი ხალხი. პოეტი აღტაცებით მიეგება ამ მებრძოლ მუშა ხალხს:

აღსდეგ, ყოველისმხრივ, მუშავ,
გაიღვიძე, პროლეტარო,
ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ
ჩვენ თავს აწ დრო სანეტარო.

აკაკი წერეთელი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მშრომელ ხალხს შეუძლია ქვეყანას მიანიჭოს ნამდვილი თავისუფლება. ის გვერდში ამოუდგა ამხედრებულ რევოლუციურ მშრომელ ხალხს და მის საბრძოლო დროშას თან გაჰყვა. მოწოდებად გაისმოდა ერის სასიქადულო პოეტის სიტყვები:

ძირს მთავრობავ უსამართლო,
ვეღარ ვიტანთ გასაჭირსო,
ყოველი მხრივ გეძახიან:
„—ძირს მთავრობა, აწ კი ძირსო!“

65 წლის პოეტი, რომელმაც მთელი თავისი კეთილშობილური ცხოვრება უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში გაატარა, ახალგაზრდული აღფრთოვანებით ჩადგა რევოლუციონერთა რიგებში და შეუპოვრად ხმა აღიმაღლა უსამართლობის წინააღმდეგ:

შრომა ხალხისა, შეერთებული,
ძალთა ძალია სტიქიონური,
ვერ შეაჩერებს მას ვერაფერი
გინდა ბრძანებაც იყოს მეფური.
ახლა კი სწორედ შემიძლია ვთქვა,
თუმცა გაელიე ცხოვრების გზანი,
მაგრამ ნუგეშად მიმყვება მე თან
დიდი იმედი, კარგი ნიშანი.
თუმცა მოვხუცდი, არ შემიძლია
დავატრიალო თქვენებრ ნამგალი,
მაგრამ საქმით კი გადაბმული ვარ
და თქვენ შეგყურებთ სიამით თვალი.

აკაკი წერეთელის მიერ პირველი რევოლუციის ასე ორგანულად მიღებას თავისი საფუძველი ჰქონდა. მისი მებრძოლი პატრიოტიზმი, ღრმა სიყვარული მშრომელი ხალხისადმი, მისი დამახასიათებელი ხალხურობა და დემოკრატიზმი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ნიადაგს ამზადებდა უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად და როდესაც მან თავისი თვალით დაინახა ბრძოლის ჟინით ანთებული ხალხი, იგი მიესალმა მას და თავისი პოეტური საბრძოლო ხმა ამხედრებული ხალხის ხმას შეუერთა. ეს იყო მხცოვანი პოეტის გულწრფელი ნაბიჯი. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ აკაკი წერეთელმა სწორედ მღელვარე 1905 წლის დღეებში თარგმნა რევოლუციური პროლეტარიატის ჰიმნი ეჟენი პოტიეს „ინტერნაციონალი“.

მოხუცი პოეტი განუზომელი აღტაცებითა და სიხარულით აავსო 1905 წლის მქუხარე დღეებმა. იგი არა მარტო ლექსებით, არამედ წერილებითაც მიესალმა ამ დღეებს. აკაკი წერეთელი წერდა: „უნდა გამოვტყდეთ და სახალხოთაც ვაღიაროთ, რომ ჩვენში აღძრულ მოძრაობას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, იმან გაკვალა ცხოვრების ახალი გზა, დაადო შრომას ფასი, მუშას მოუპოვა სამუშაო და ეს

დავიწყებული ჰეშმარიტება განურჩევლად წოდებისა და სქესისა მოაგონა ყველას. საუკუნის განმავლობაში ჩვენში ეკალნარი ითესებოდა და ცხოვრების წყარო ნაძრახ-შეგუბებული იყო. მართალია, ნაპირზე, თვალის ასახვევად, ია-ვარდი ითესებოდა, თვით გუბეც შორიდან წმინდა მოჩანდა, მაგრამ მის ძირში კი გველ-ბაყაყები ფუსფუსებდნენ და შმორის სუნი ჰაერს სწამლავდა. საჭირო იყო მისი გაწმენდა, ეჭირვებოდა ძალა და ეს ძალა უნდა ყოფილიყო ხალხი; ეს შეიგნეს ჩვენში და ხალხმა მოინდომა არხის გაყვანა, რომ ის ტუმბო გაწმენდილიყო". ასეთი მაღალი შეფასება მისცა აკაკი წერეთელმა 1905 წლის სახალხო მოძრაობას.

ნიშნავდა თუ არა ეს, რომ აკაკი წერეთელმა 1905 წლის რევოლუციაში სოციალისტური რევოლუციის გენერალური რეპეტიცია დაინახა? რასაკვირველია, არა! აკაკი წერეთელს ამ რევოლუციის სოციალისტური ხასიათი თავისებურად ესმოდა. და მაინც აკაკი რევოლუციასთან „გარედან მოსული კაცი არ იყო." მას სურდა ეხილა საქართველო ერთი აზრით და შეგნებით გაერთიანებული. და ბუნებრივია, რომ „ძმობას, ეროობას და სიყვარულს" საქართველოს „ტყვეობიდან გამოხსნასაც" უკავშირებდა პოეტი. დიდი ქართველი პოეტის ასე ახლოს მისვლას რევოლუციასთან, მის რევოლუციურ ლექსებს უდიდესი მნიშვნელობა და ზეგავლენა ჰქონდა. 1905 წლის რევოლუციის დღეებში ამ ლექსებს ბარიკადებზე მღეროდა ხალხი: ისინი აღაფრთოვანებდნენ მშრომელებს რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ამ მხრივ აკაკი წერეთლის ღვაწლი პირველი რევოლუციის წინაშე ფასდაუდებელი იყო.

თავისი დროის დიდი მხატვარი აკაკი წერეთელი შეგნებულად ჰკიდებდა ხელს ისტორიულ თემებს. საქართველოს ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაუცხრომელი პოეტი ეძებდა ისეთ მასალას, რომელიც მთელი სისრულით წარმოაჩენდა გმირობისა და ვაჟკაცობის, საქართველოსათვის თავგანწირვის სურათებს. ამგვარი სურათების ასასახავად პოეტს მდიდარ მასალას აძლევდა საქართველოს ისტორია. მრავალჭირგადახდილი სა-

ქართველოს ისტორია ცოცხალი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ ვაჟკაცურად იცავდნენ ჩვენი წინაპრები მამულს. ამ ვაჟკაცებისა და გმირების რომანტიზირებული გაცოცხლება პოეტს საშუალებას აძლევდა ქართველთა შორის გაეღვიძებინა ძლიერი მოქალაქეობრივი გრძნობა, აემხედრებია ისინი არსებული სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ, აღეძრა უკეთესი მომავლისათვის პატრიოტული თავდადების სულისკვეთება. მისი ისტორიულ თემებზე დაწერილი ნაწარმოებების უმთავრესი დანიშნულება ხალხის გამოღვიძება იყო, ხალხის აღზრდა სამშობლოს და თავისუფლების უანგარო სიყვარულით.

ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, რომ ისტორიულ თემებს მწერლები ხშირად მიმართავდნენ. სხვადასხვა მიმართულების, იდეური შეხედულებისა და კონცეფციის მწერლებს სხვადასხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი წარსულის მნიშვნელობა. არსებითად რომ ვთქვათ, ისტორიული წარსულისადმი დამოკიდებულება ორი მიმართულებით ვლინდებოდა. მწერლობის ერთი ნაწილი, რომელსაც კონფლიქტი ჰქონდა თანამედროვეობასთან, თავის უკმაყოფილებას და პროტესტს არსებულის მიმართ იმითაც გამოხატავდა, რომ უარს ამბობდა თანამედროვე ადამიანების და ცხოვრების სურათების გამოსახვაზე და ყოველივე დიდებულსა და რომანტიკულს მხოლოდ წარსულში ხედავდა. თავიანთი პროტესტანტული სულის დამშვიდებას ისინი წარსულის იდეალიზაციაში ჰპოებდნენ. წარსულისადმი გადაჭარბებული სიყვარული აწმყოსადმი პროტესტის თავისებური ფორმა იყო. მეორენი კი წარსულის დიდებულ ვაჟკაცებს იმ მიზნით მოუხმობდნენ, რათა მათი თავდადებისა და ქვეყნისადმი სიყვარულის მაგალითით თანამედროვეთათვის აღეძრათ უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის სურვილი. ამით ისტორიულ თემატიკას აქტუალური ხასიათი ეძლეოდა. აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ისტორიულ თემებს უაღრესად თანადროული ჟღერადობა ჰქონდა. საქართველოს ისტორია აკაკის აღებული აქვს როგორც საერთო ფონი, რომლის ქარგაზე პოეტი ხატავს თანამედროვე ეპოქის სულს, მისი ადამიანების ინტერესს და მისწრაფე-

ბას. პოეტმა თავისი დამოკიდებულება წარსულისადმი ყველაზე ნათლად გადმოგვცა ისტორიული პოემის „თორნიკე ერისთავის“ შესავალში:

ნაშთი ძველი დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა...
დღესაც მისი შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!..
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის შვიდფერი,
და გვიმღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!..“
ამ იმედით ფრთაშესხმული
ჩვენი გული სიამით სძგერს,
და ოცნებაც ლაჟვარდფერად
წარმოგვიდგენს ქართველისა ერს.
წარსულ ნერგზედ ახალ ნერგის
ველოდებით შეხორცებას
მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს
და ვეძლევით აღტაცებას.

აქ ზუსტად არის გამომჟღავნებული ავტორის მისწრაფება: წარსულის მაგალითები გამოიყენოს ახალი ნერგის გასახარებლად, ახალი ცხოვრების ასაგებად. აკაკი უდიდესი სიყვარულით ეკიდებოდა საქართველოს წარსულს, ამ ისტორიის ტრაგიკული ფურცლებიდან არჩევდა შესაფერის მასალას. საარაკო ვაჟკაცობისა და გმირობის მაგალითებს. პოეტი წერდა: „არა, ტყუილად არ მიყვარს მე ჩვენი წარსული, მიყვარს ისე, როგორც დედას კარგი შვილი და მიტომაც გულგაუმაძღარს მსურს, რომ ის გადატანილი ვნახო მომავალში თვით დროთა ვითარების შეხამებით, კიდევ უფრო ძლიერად და ბედნიერად“. და აი, პოეტი თავის წინაპრებს ერთიანი საქართველოსთვის და მისი ეროვნული ღირსებისათვის მებრძოლ ვაჟკაცებს დიდებითა და სიყვარულით მოსავდა, საქართველოს ასაღორძინებლად მოუხმობდა.

„დღეს საქართველო დაცემულია,—წერდა აკაკი,—ადრე კი ხუთმეტი საუკუნის განმავლობაში იგერიებდა შემოსეულ მტერს და თუმცა დამცირდა, მაგრამ როგორც რკინა ცეცხლში ისე კი გაფოლადდა და საშვილიშვილოდ ანდაზად დაგვიგ-

დო: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსაო“ და „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ გვითხრა ეს რუსთაველის პირით. ამ უკანასკნელმა საუკუნემ, რომელიც სულ სხვაგვარ პოლიტიკას ადგა, სულიც შეუბორკა და ხორციც. ხორციელად ვითომ მშვიდობა მიანიჭა—მაგრამ ყოველგვარი მისი მოქმედება, ყოველი ნაბიჯის გადადგმა მიმართული იყო, რომ სული გაეხრწნა, მოეკლა და კიდეც მიაღწია მიზანს. ვიმეორებ, რომ დღევანდელი ქართველები სულითაც შებღალული ვართ და ხორციელადაც“. ასე რომ, ისტორიულ პიროვნებათა გაცოცხლებით პოეტი ცდილობდა გამოეღვიძებია ქართველი ხალხის მიძინებული ვაჟკაცური სული, ამ გმირთა შთამაგონებელი მოქმედებით აემხედრებია იგი უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ.

„ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, რომ ჩვენი წარსული გასაოცარია: უძველესი დროიდან დაწყებული მისთანა ხალხი არ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს... ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი... სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ. საქართველო იდგა როგორც სალი კლდე ზღვის პირად, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ეხეთქებიან, მაგრამ დაუძლურებული და ფაფად ქცეულნი უკანვე იქცევიან“. ეს დიდებული წარსული ჰქონდა პოეტს მოხერხებულად გამოყენებული თავის პოემებსა, მოთხრობებსა და დრამატულ ნაწარმოებებში. ყველაფერი ეს სჭირდებოდა მისი თანამედროვე საქართველოს გასაკეთილშობილებლად და ასაღორძინებლად, დასარაზმავად. ამ რწმენისთვის იყენებდა ის წარსულსაც, აწმყოსაც დ> ოცნებით შექმნილ მომავალსაც. ამიტომ მიგვაჩნია აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ისტორიული თემატიკა უაღრესად გათანამედროვებულად; აკაკი წერეთელი ჩვენს გმირულ წარსულში ეძებდა თემებს, ადამიანებს, ხასიათებს, უფარდებდა მას მის თანამედროვე საქართველოს და ამით უაღრესად აქტუალურ ელფერს აძლევდა ისტორიულ გმირთა თავგადასავალს. მისი შემოქმედების მთელი პათოსი იმაში მდგომარეობდა, რომ თანამედროვე საქართველოს სამსახურში ჩაეყენებია გარდასული გმირების ღვაწლი და საქმე. პოეტი აწ-

მყოს ამ საერთო პათოსით უდგამდა თანამედროვეობის სულს ისტორიულ მასალას; მაინც ეს თითქოს, საკმარისად არ მიაჩნდა, და შიგადაშიგ ურთავდა ფრაზებს, სიტყვებს, პასაჟებს, რომლებშიც უშუალოდ მიუთითებდა თანამედროვეობაზე. ან პირიქით, თანამედროვეობის აღწერისას ისტორიულ ამბავს აგონებდა და თანამედროვე სურათს ისტორიული რეალიებით ავსებდა, ორსავე შემთხვევაში მიზანი პოეტისა გარკვეული იყო: უკეთესი საქართველო, ძლიერი და თავისუფალი სამშობლო.

პირველივე ლექსით აკაკი გაემიჯნა წარსულის ურაიდეალიზაციას. 1856 წელს დაწერილ ლექსში მიმართავდა რა კანდელს, რომ ბნელი ღამე გაუნათოს, პოეტი აცხადებდა—„წარსული აღარას მარგებს". ეს ფრაზა აკ. წერეთელს იმ მნიშვნელობით დასჭირდა, რათა ხაზი გაესვა, რომ იგი თანამედროვეობის მხატვარია, მისი უკეთესი მომავლისთვის მებრძოლი და არა წარსულზე მოტირალი პოეტი. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ აკ. წერეთელი ქართველი ხალხის დიდი ისტორიული წარსულის უარმყოფელი იყო. მაგრამ მან იცოდა, რომ წარსულზე ოხვრით და ვიშით უკეთესი საქართველოს მოლოდინი ამაო იყო. მით უმეტეს, რომ ეს ტრაგიკული წარსული სავსეა ისტორიული ქარტეხილებით. წარსულის სურათების მოგონება მწარედ აკვნესებდა პოეტს. იგი მას იმ პერიოდს აგონებდა, როდესაც მამულს:

ხან თათრები აკვნესებდნენ,
ხან თურქები აოხრებდნენ,
ხან სკვითები, დროშერჩევით
მყუდროებას უშფოთებდნენ.

და მაინც ასეთი ტრაგიკული ისტორიის ფონზე პოეტი ხედავდა თავგანწირულ მამულიშვილებს, საქართველოს ღირსებისა და თავისუფლების საქმისათვის თავშეწირულ ვაჟკაცებს. ისტორიული წარსულის შესწავლამ და პოეტურმა დაკვირვებამ აკაკი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ყველაზე ნათელი ფურცლები ქართველი ხალხის ისტორიისა ერთიან, ძლიერ, საქართველოს უკავშირდებოდა. და პოეტიც ამ მთლიანი საქართველოსათვის იბრძოდა, მისი ეროვნული სულის განმტკი-

ცებას უმღეროდა. ისტორიული პოემების უმთავრესი ნაწილი სწორედ საქართველოს ერთიანობის იდეას მიუძღვნა. ამ აზრის მხატვრულ განმარტებას შეიცავდა მისი ნაწარმოებების ყოველი სტროფი, ყოველი პწკარი.

ერთიანი საქართველოს ნამდვილი ჰიმნია პოემა „ნათელა". მასში რელიეფურად არის წარმოდგენილი აკაკის კონცეფცია. პოეტის აზრით, ქართველთა შორის დარღვეულია განგების ძალით დადგენილი შეთანხმება და ერთიანობა: ამერეთი იმერეთს გადაუდგა. ერთი ძუძუთ გამოზრდილი, ერთის დედის ორი შვილი ერთმანეთს გაეთიშა. და ამის მიჩედვით ორივეს წაერთვა სიმტკიცე და ძალა. მტრებსაც ეს ენდოდათ, გულით გაიხარეს მონღოლებმა, ძმებს შუა შურისგების ხიდი გასდეს. ძმა ძმის მტერი გახდა. დავით გურამიშვილის მსგავსად პოეტი მოთქვამს:

მამა-პაპის წაღმა ხნული
შვილიშვილთა დაღმა ფარცხეს,
და ამერეთ-იმერეთმაც
ერთმანეთი დაამარცხეს.

მაგრამ ეროვნული ერთიანობის იდეა ჯერ კიდევ არ გაძქრალა. აქა-იქ კიდევ დარჩენილან პატრიოტი ქართველები. ერთიანი საქართველოსთვის თავდადებული მებრძოლნი. ასეთები არიან სამეგრელოს მთავრის შვილი დადიანი ცოტნე, იმერეთის ასული ნათელა, რომელთა სამიჯნურო თავგადასავალი პოეტს მოხერხებულად აქვს გამოყენებული ერთიანი საქართველოს ურღვევი იდეისათვის. ცოტნე დადიანმა ვაჟკაცობით, თავგანწირულებით, გმირობით დაიმსახურა ნათელას სიყვარული. ქორწილის დღეს გადაწყვიტა დახმარებოდა ამერეთ საქართველოს, მტრისაგან აწიოკებულსა და აოსრებულ მხარეს. ცოტნემ ლიხის მთა გადმოლახა და გაიგო, რომ ქართლის ვაჟკაცები მონღოლებს ტყვედ წაუსხამთ და ბწარე განსაცდელში ჩაუგდიათ. ცოტნე მათკენ გასწევს. მონღოლთა მეფე განცვიფრებულია დადიანის თავდადებით, ქართველთა ძმობისა და მეგობრობის ამ უანგარო სურათით. ასე იმარჯვებენ გმირები, საქართველოს ერთგული შვილები. პოემის დედააზრს პოეტი გამოხატავს ნათელას სიმღერაში.

ნათელა საქართველოს ჩონგურს ადარებს და ასე გადმოგვცემს საქართველოს ერთიანობის იდეას:

ჩონგურს სიმები გავები,
მოვმართე ნელა-ნელაო,
შეეხმატკბილე ერთმანეთს,
„ოდელა-დელა-დელაო“.
თავ-თავის პანგზე, თავის ხმით
წკრიალებს ერთად ყველაო,
ერთიმეორის თანხმობით,
„ოდელა-დელა-დელაო“.
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩონგური,
„ოდელა-დელა-დელაო“.
ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი,
„ოდელა-დელა-დელაო“.
ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ
სინათლე დაგვიბნელაო,
ბნელში რა სასიმღეროა,
„ოდელა-დელა-დელაო“.
შორიდან შემოგვეპარა
მტერი, ვით ტურა, მელაო,
და სულ სხვა ხმაზე გვამღერებს,
არ მოსწონს „დელა-დელაო“.
მწერიც კი ცხოვრობს თანხმობით,
ფუტკარი, ჭიანჭველაო,
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-ცალკე,
„ოდელა-დელა-დელაო“.
ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო.
მტრებს „ვაი-დედა“ ვაძახოთ,
და ჩვენ ვთქვათ „დელა-დელაო“.

თავის შემოქმედებაში აკაკი წერეთელი არა ერთხელ უბრუნდება ამ აზრს. ამასვე განგვიმარტავს ვრცელ წერილში, „ჩონგური“. 1876 წლის „დროებაში“ აკ. წერეთელი წერდა: „ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი საქართველო: ეს არის ჩანგური, რომლის სიმებსაც შეადგენენ ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი

და სხვა. თვითეულ მაიკაბს საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ ყველ ერთ ერთ თავისთავად არც ერთს არა აქვს ძალა. თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდნენ და შეთანხმებით კი ვაკეთილხმოვანდებიან. ჩვენ კი ხშირად ვცდებით და ვამბობთ, რომ ერთი ძალ რისგან უკუმდვარი ვართ და გადასხვაფერებულნი დროთა ვითარებისაგან. არა, მართალია, ამ მხარეებს თავისი საკუთარი ფერი აქვს, თავისი კილო და თავისი კერძო მიმოხვრა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ სულის მოძრაობა, გულისოქმ და ერთხმობა კი მრავალკვარობის შეთანხმებით უფრო დიდებული და უფრო მჭიდროა. საგანი ერთია, თუმცა მასალა მარად სხვადასხვანაირი, ვის როგორც ემარჯვება, ისეთია"

აკაკი ყველგან ერთიანი საქართველოს იდეას ქადაგებდა საქართველოს ყველა კუთხეში ამ იდეათა ერთგულებას მშრომელ ხალხში ხედავდა და ეს პოეტს მომავლის იმედს უღვივებდა, თუმცა მაინც გულმოკლული იყო იმ უკულმართობისაგან, რომელსაც საქართველოს განცალკევების, მისი დანაწევრების პიროვნული ვნებები ამოძრავებდა. და აი, პოეტმა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა ცარიზმს, რომელიც ხალხის დამონებას ისახავდა მიზნად, თვით ამ ცარისტული რუსეთის დროს ერთიანი საქართველოს ტენდენცია შენიშნა და ამ დადებით მოვლენას ხაზი გაუსვა. აკაკი წერდა:

„შავუკულმართ დროებისაგან დათესილი ძველთაგანვე უთანხმოება უბედურებად მოიმკო საქართველოში, როდესაც ის, საქართველო, დანაწილდა რამდენიმე სამეფოდ და სამთავროებად. გაუშლელი, ციხურებ შემოზღუდული ადგილების მდებარეობა უმარჯვებდა ამ ნაგლეჯ-ნაგლეჯი სამთავროების განკერძაობას. მასთანაც ყოველსავე, რაც კი ეჭირვებოდათ იქ მცხოვრებლებს, თავის სამთავროებშივე პოვებდეს, ჯერდებოდნენ და ამის გამო საჭიროდ აღარ რაცხდნენ, რომ რამე მოთხოვნილებისათვის, გარდა ჩხუბისა და მტაცებლობისა, მისვლა-მოსვლა ჰქონოდათ მეზობლებთან. ეს ხანგრძლივი მეზობლებში ჩხიკინი ბოლოს ზნედ გადაექცა ერთი მიწის შვილებს, ძმური კავშირი გაწყდა მათ შორის და მიზეზიც ეს იყო საქართველოს დაცემისა და გაოხრებისა აღა-ბაჰმად-ხანის დროებას.

მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ ამ სენისაგან განიკურნა ჩვენი სამშობლო, სამთავროების ერთმანეთთან შეერთებით" („დროება", № 43, 1867 წ.).

თვით ცარიზმის უკუღმართ პირობებში აკ. წერეთელს, როგორც დიდ რეალისტს, არ შეიძლება არ დაენახა საქართველოს გაერთიანების ეს პროცესი; მას სულითა და გულით სურდა აღმდგარიყო ერთიანი საქართველო, განთავისუფლებულიყო ცარიზმის ბრჭყალებისაგან. პოეტი ეძებდა ძალას, რომელსაც უნდა ეხსნა იგი, განემტკიცებია მასში ურღვევი ერთიანობა და ძმობა. ამის თაობაზე აკაკი წერდა:

„ძველებური წესწყობილება დაირღვა, დღეს ახალი საისტორიო დროება შემოდის, მისთვის ახალი გზის გაკაფვაა საჭირო. მუშები გამოვლენ რაზმად და ვინც მათში უფრო ძლიერი იქნება, საქმეს თავში დაუდგება, სხვებს წინ წაუძღვება, მეთაურობას გაუწევს, თავადათაც იმას იწამებს ქვეყანა და აკითხავს, თუ საიდან მოსულხარ და რომელი წოდების ნაშთხარ, მაღლისა თუ დაბლისაო." („ცვალი", № 22, 1895 წ.).

სტატიებსა და წერილებში, ლექსებში და მოთხრობებში აკაკი არა ერთხელ უბრუნდება იმ აზრს, რომ ახალ ვითარებაში მეთაური და წინამძღოლი ერისა მშრომელი ხალხი უნდა იყოს. ამ აზრს ხაზს უსვამს ისტორიულ პოემებშიაც.

ერთიანი საქართველოს ინტერესებისათვის მებრძოლი ძალა, პოეტის აზრით, ძირითადად მშრომელი ხალხი იყო. მან თავის ზურგზე გადაიტანა საქართველოს გასაჭირი, მისტრაგიკული ბედი. პოეტი გვარწმუნებს რომ ერის ყველაზე პატიოსანი და თანამიმდევარი ძალა მშრომელი ხალხია, ხოლო თავკერძა თავადები, ეს გამდიდრებისა და პირადი ბედნიერების მანიით შეპყრობილი სამთავროს მეთაურები, არა იშვიათად ცალ-ცალკე და ბითუმად ჰყიდდნენ საქართველოს. ეს აზრი გამოხატა აკ. წერეთელმა პოემა „კიკოლას ნაამბობში". პოემაში აღწერილია სამეფოებად და სამთავროებად დანაწევრებული საქართველო, რომლის დაძაბუნებით მტრები სარგებლობენ. ამ ფონზე ნაჩვენებია მეფე ერეკლეს დამარცხება კრწანისის ველზე. მძიმე გასაჭირში ჩავარდნილმა მეფე ერეკლემ დახმარებისთვის მიმართა იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს. სოლომონი გულწრფელად გაუწვდის ძმა

დახმარების ხელს, მაგრამ დაქუცმაცებულ საქართველოს შიდა მტრობას საზღვარი არა აქვს. თავადიშვილების ღალატმა, რომელშიაც ზურაბ წერეთელიც მონაწილეობდა, არსებითად განაპირობეს ერეკლეს დამარცხება. აქვე ნაჩვენებია, თუ რა ერთგულია გლეხკაცობა საქართველოს ერთიანობის იდეისა; ამ ერთგულების განსახიერებას წარმოადგენს გლეხი კიკოლა, რომელიც კახელ გლეხკაცობასთან ერთად თავდადებით, პატიოსნად იბრძვის კრწანისის ველზე; ხოლო როცა ჭრილობისაგან განკურნებული გლეხი თავის მამულში დაბრუნდა, ზურაბ წერეთლის განკარგულებით, მას სახლ-კარი გადამწვარი დაუხვდა. კიკოლამ შური იძია ბოროტ ბატონზე, ასე გამოხატა პოეტმა გლეხკაცობაში შემონახული სამშობლოსადმი ერთგულება და პატიოსნება.

თავისებური ნაწარმოებია პოემა „ნაცარქექია". ხალხური ნიღაბი ნაცარქექიასი ოსტატურად გამოუყენებია ავტორს იმავე ეროვნული იდეის გამოსახატავად. ზარმაცი, მაგრამ გულკეთილი ნაცარქექიას გამდიდრების ზღაპრული ამბის ფონზე პოეტი გვიდასტურებს, რომ მტერი—გარეწარი, მატყუარა და ორპირი, დანდობას არ იმსახურებს.

ყოველ თავის პოემაში, ისტორიულ მასალაზე იყო იგი აგებული თუ თანამედროვეობის თემაზე, აკ. წერეთელი საქართველოს ამ ერთიანობის აზრს ავითარებდა. ისტორიულ პოემებში კი ეძებდა, არჩევდა ისეთ მომენტებსა და ეპიზოდებს, რომლებშიაც საქართველოს ძლიერებისა და შეუპოვრობის სურათები იყო გადმოცემული. ასეთივე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი მისი ერთ-ერთი უბრწყინვალესი პოემა „ბაგრატ დიდი".

„ბაგრატ დიდი" ისტორიული პოემაა, მასში გაშუქებულია თავდადება და პატრიოტიზმი ბაგრატ მეფისა. აქ აღწერილია თამარის მეფობის მომდევნო ხანის, მონღოლთა შემოსევის შედეგად „მბრწყინვალე ქართლის მზის ჩასვენება" და ამ დაბნელების შემდეგ ახალი შუქმფენი მთვარის გამოჩენა". ამ ფრაზით აკაკი წერეთელი მიგვანიშნებს როგორ შესწირა ბაგრატ მეფემ თავისი ცხოვრება საქართველოს აღდგენის საქმეს. თემურ-ლენგს მთელი ქვეყნის შურისძი-

ება ამოძრავებდა და სურდა ყოველი ტომის დაკოჭლება ისე, როგორც თვითონ იყო ფიზიკურად კოჭლი. მაგრამ იგი ანგარიშში მოსტყუვდა. მართალია, მან დაიპყრო ქართველი ხალხი, მაგრამ საბოლოოდ ვერ დაიმონა. ას-ას მონღოლს თითო ქართველი ეომებოდა, უთანასწორო ომში ბაგრატ დიდი ტყვედ ჩაიგდო თემურ-ლენგმა და უბრძანა მონღოლთა სარწმუნოების მიღება. ბაგრატ დიდი თითქოს ბედს დამორჩილდა: წვერ-ულვაში ინით შეიღება და მუსულმანობა მიიღო. ქრისტიანობის მესვეური ქართველთ მეფეს უსაყვედურებს, რად უარყავიო სარწმუნოება შენი. ამ საუბარში ბაგრატ დიდი თავის განზრახვას ამხელს, მას სურს შეცდომაში შეიყვანოს თემურ-ლენგი. და მართლაც აღწევს მიზანს. მოჩვენებით ერთგულ მეფეს, ბაგრატ დიდს, თემურ-ლენგი ჯარით გამოისტუმრებს საქართველოს ასაოხრებლად. პატრიოტი მეფე თავის შვილს, გიორგი მეფეს საიდუმლოდ ამცნობს თავის განზრახვას და აი, ქართველები სპობენ მტერს. ამბის მაცნედაც კი არ დატოვეს ერთი მონღოლი. ასე აღასრულა ბაგრატ დიდმა თავისი პატრიოტული ვალი და იმერ-ამერი კვლავ გააერთიანა.

ეს პატრიოტული პოემა დაწერილია უზადოდ, აკაკისათვის დამახასიათებელი მოსწრებული სიტყვა-პასუხით, დიალოგით. სურათებს კიდევ უფრო ამძაფრებს რუსთველური აფორიზმები:

ცოცხალ მონაზე უმჯობესია
თავისუფლების ძებნაში მკვდარი,

ან კიდევ:

მაგრამ ვინც მამულს სულსაც არ სწირავს,
იმას არ ჰქვია მამულიშვილი.

„ბაგრატ დიდი“ დიდებული პოემაა. შესანიშნავია „პატარა კახიც“, მაგრამ აკაკის პატრიოტული პოემების ზენიტს წარმოადგენს „ქართული პოეზიის ობოლი მარგალიტი“ „თორნიკე ერისთავი“. იგი ისტორიული პოემაა. აქ ზუსტად არის დაცული ისტორიული რეალიები, ყოფითი დეტალები, ტრადიცია და ჩვევები, მეზობელ სახელმწიფოსთან დამოკიდებულების ისტორიული ფაქტები. ყოველივე ამას აკაკი წერეთელმა ჩაჰბერა უკვდავი პოეტური სული, და ასე ამაღ-

ლებულად გამოხატა ჩვენი ხალხის ისტორიული წარსული და იგი თანამედროვეობის განახლებას შეუფარდა.

პოემის შესავალი ნაწილი, რომელიც სულ რამდენიმე სტრიქონისაგან შედგება, წარმოადგენს ბრწყინვალე განხორციელებას აკაკისათვის დამახასიათებელი წარსულისა და აწმყოს ურთიერთ შენაცვლების პოეტური ხერხისა და ეს ისეთი ოსტატობით არის შესრულებული, რომ მისი გადმოცემა სხვა სიტყვებით შეუძლებელია. მოვიტანთ ამ ადგილს მთლიანად, რათა ერთხელ კიდევ დავტკბეთ აკაკის მუსიკალური ენით და ემოციის გადამდები ძალით.

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხროს მათი საქმე
უთვალავი, საგმირონი?
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?
ნაშთი ძველი დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა...
დღესაც მისი შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!
„შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის შვიდფერი
და გვიმღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!“
ამ იმედით ფრთაშესხმული
ჩვენი გული სიამით ძგერს
და ოცნებაც ლაჟვარდ-ფერად
წარმოგვიდგენს ქართლისა ერს.
წარსულ ნერგზე ახალ ნერგის
ველოდებით შეხორცებას.
მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს
და ვეძლევით აღტაცებას!

ეს სტრიქონები იყო „თავისებური მანიფესტი“ მე-19 საუკუნის საქართველოს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი იდეებისა. ეს სიტყვები ზრდიდა ჩვენ ხალხს მიმავლის რწმენით, სამშობლოს აღორძინების სურვილით. ამ სტრი-

ბობების გამოქვეყნების შემდეგ საქართველოში. ამ სიტყვებს რწმენითა და სასოებით იმეორებდნენ ბავშვები. ახალგაზრდები თუ ხანშიშესულნი.

პოემის ძირითადი პათოსი ძლიერი და ერთიანი საქართველოა. ავტორი ამ იდეას გადმოგვცემს პოემის მთავარი გმირის თორნიკე ერისთავის თავგადასავლის მოთხრობით. ამბავი იწყება მეფე დავით კურაპალატის დროინდელი საქართველოს აღწერით. ძლიერი საქართველოს მესვეურს კარგად ესმოდა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ფასი. ეს იყო მაშინ, როდესაც „გადმოსულიყო ქართლზე მადლი ზენა". გარეშე მტერი დათრგუნვილი იყო, თვით საქართველო კი გაერთიანებული. პოეტი აგვიწერს მეფის სასახლეში ვამართულ ერთ ლხინს. მეფის ხუმარა და თორნიკეს მიერ ჯარის სარდლად დანიშნული ორბელიძე ერთმანეთს გაელექსებიან. აკაკისათვის დამახასიათებელი ეს სხარტსიტყვაობა აქ იმისათვისაა გამოყენებული, რომ გვამცნოს ამბავი თორნიკე ერისთავისა. პოემის შემდეგ ნაწილში ვიგებთ, რომ თორნიკე ერისთავს, განთქმულ მეომარს და უბადლო პატრიოტს, გადაუწყვეტია—ვითარცა ხანშიშესულმა დასტოვოს საერო სამსახური და ბერად აღიკვეცოს, საქართველო ღმერთს შეავედროს. და აი, ეს ღვაწლმოსილი მამულიშვილი სამეფო დარბაზს ვრცლად განუმარტავს თავის გადაწყვეტილებას. თუმცა მეფე საწინააღმდეგო აზრისაა, მაგრამ იძულებულია დაუთმოს, ანგარიში გაუწიოს თორნიკეს. ამას მოსდევს თორნიკე ერისთავის წინაპრის — იოანეს ამბავი. იგი ახლა საბერძნეთშია, ათონის მაღალ მთაზე, ულუმბოს სავანეში, აღკვეცილა ბერად. ავტორი აქვე გვამცნობს, თუ იოანეს მხედრობით ქართველმა ჯარმა რამდენჯერ სძლია მტერი. მართალია, ჰირნახული საქართველო განახევრდა ამ ბრძოლაში, მაგრამ მისმა შვილებმა მტერი მაინც უკუაქციეს და დაიცვეს მამული. იოანეს საგმირო საქმეებით შთაგონებული თორნიკე ასევე მიუძღოდა ჯარს. სიმხნევე და ერთგულება არაერთხელ დაუმტკიცებია მამულისათვის. მაგრამ, აწ მოხუცებულს, სურს გზა ახალგაზრდებს დაუთმოს. დროა, ბრძოლის ველზე სხვებმა ისახელონ თავიო.

თორნიკე გასწევს ათონისაკენ. მწირი გლახაკის სამოსელ-
ში გამოეცხადება სახელოვან წინაპრებს, აწ ათონის მო-
ნასტრის წინამძღვარს იოანეს. იოანე მას პატივისცემით მი-
იღებს. ამ მომენტს პოემაში სხვა ამბები მოსდევს. ეს არის
ამბავი საბერძნეთის დიდი სახელმწიფოს დაუძლურებისა.
სპარსეთის მმართველი, თავგასული სკლიაროსი, სომეხთა
მხარდაჭერით ილაშქრებს ბერძნების წინააღმდეგ. ამ გაჭირვე-
ბის ჟამს ბერძენთა დედოფალი თეოფანია დახმარებისათვის
ძიმართავს საქართველოს. შუაკაცად უხმობენ ათონის მთაზე
ბერად დაყუდებულ თორნიკეს. თორნიკე ასრულებს ამ მი-
სიას და მოდის საქართველოში. გაჭირვების ჟამს იგი კვლავ
თავის ქვეყანასთანაა. მისი სარდლობით ქართველები წინ
აღუდგებიან სპარსელებისა და სომხების ჯარებს. უნდა აღინიშ-
ნოს, რომ აქ აკაკი გასაოცარ ცოდნას იჩენს ძველი საომარი
ოპერაციებისას. ბატალური სცენები აღწერილია უაღრესად
ცოცხლად და მოსდენილად, ნაჩვენებია ქართველთა უბადლო
გმირობა. მათი სარდლების—ორბელიძის, ჯავშანიძის ლომ-
კაც სავარსამიძის, ჯოჯიკის და სხვათა გმირობა. ხუთი ათა-
სი ქართველის სიცოცხლის ფასად ძლეულ იქნა მტერი. პო-
ეტი გადმოგვცემს გამარჯვებული ჯარის სიმღერას. თამარის,
ქეთევანისა და ნინოს ლოცვაში, მომავალი საქართველოს
ბედი იგულისხმება. თამარი, ქეთევანი და ნინო სიმბოლურად
განასახიერებენ ერთიანი საქართველოს სურათს. ხოლო
ამირანის ლეგენდა, რომელზეც ქართველთა მეომარი ჯარის
სიმღერაა შექმნილი, ამავე აზრს ამძაფრებს. ეს ორი უბრ-
წყინვალესი ადგილი პოემას უდიდეს პატრიოტულ, ემოცი-
ურ ჟღერას აძლევს. გავიხსენოთ ეს სტრიქონები, რად-
გან მასში ვხედავთ როგორც ამ პოემის, ისე, საზოგადოდ
აკაკი წერეთლის შემოქმედების კრედოს.

კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ჰნელდებოდა.

და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.

ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც ჰკვნესოდა, არც ოხრავდა.
უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა.

ბოლოს მაინც გამარჯვება
დარჩა!.. ყველა გააოცა!..
და ის ღვაწლი მაგალითად
მიწის შვილთა მან გადმოსცა.

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი!

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა-გმირი..!
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი.

ამ მაღალ, მებრძოლ, ოპტიმისტურ აკორდს, რომელშიაც ასე მძაფრად გაისმის მომავალი საქართველოს რწმენა, მოსდევს ღვთისმშობლისადმი წარმოთქმული ღაღადისი. ეს უფრო ჩურჩულს, უზენაეს ლოცვას წააგავს. და ერთგვარად ენაცვლება მებრძოლ მოტივს, რომელიც ზემოთ მოვისმინეთ:

დედაო ღვთისავ, შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდ ჭირნახული,
შეუნდე ცოდვა... ნუ აიღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული...

მომეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი..

მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდე აღმაფრენასა,
და შენს საქებრად, სადიდებელად
ნუ დაივიწყებ იმ ტკბილ ენასა,

რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა,
და ნინო, ძისა შენისა მცნებას,
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა.

ეს არის პატრიოტული ღაღადისი ერთიანი საქართველოს შესახებ. ეს არის მუხლმოდრეკილი ლოცვა საქართველოს მომავალზე. უფრო ძლიერად წარმოთქმული ჰიმნი, სამშობლოს კეთილდღეობის შესახებ, სხვა არ გვეგულება ქართულ ლიტერატურაში. ამ ლოცვას პოეტი ამთავრებს რწმენის გამომხატველი სურათით:

რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,
ზეცას შეხედეს სამთავემ ნელა,
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე
გამოესახათ მათ ცისარტყელა.

ამ პოემის გარდა სხვა რომ არაფერი დაეწერა აკაკის, ამითაც დარჩებოდა ის ქართულ ლიტერატურაში, როგორც უდიდესი ოსტატი ქართული ლექსისა, როგორც სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდი, ჩვენი ხალხის პატრიოტული გრძნობებისა და სულისკვეთების აღმზრდელი პოეტი.

ცალკე უნდა აღინიშნოს „გამზრდელი". ეს პოემა პოეტის სიცოცხლეშივე გახმაურებული იყო. თვითონ ავტორს იგი განსაკუთრებით მოსწონდა. გადმოცემის მიხედვით, სიკვდილის წინ აკ. წერეთელმა ეს პოემა ერთ მნახველთაგანს წააკითხა.

პოემის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გვაჩვენოს თუ რა პატივისცემა და ნდობა, ურთიერთ გატანა და ძმობა იყო წინაპართ შორის, მაგრამ როგორ შეეპარა შემდეგ ამ ტრადიციას ერთგვარი რღვევა. აი, აფხაზი, მისი ფაცხა კორტოხმთაზე წამოდგმული. იგი ბედნიერად ცხოვრობს თავისი ლამაზი ცოლით, ნაზიბროლათი. ამ ოჯახურ მყუდროებას ერთბაშად დაარღვევს აფხაზის ძმადნაფიცი სტუმარი—საფარი, რომელიც მოძმისაგან შველას ითხოვს. აფხაზი მას გულღიად ხვდება. ძმადნაფიცს ყველაფერს შეუსრულებს, მაგრამ პირშავი აღმოჩნდება საფარი. იგი აფხაზის ლამაზ ცოლს, ბუნების ამ ნაზ ქმნილებას, სულით და გარეგნობით მშვენიერ არსებას თავისი ბინძური ხელით შეეხო. აფხაზმა ღრმა ტრა-

გიზმით გადაიტანა ყოველივე ეს—საფარი შინიდან გაისტუმრა და როცა სამშვიდობოს გაიყვანა, მხოლოდ მაშინ უთხრა, ვიცი შენი პირშაობის ამბავიო. თან კატეგორიული წინადადება მისცა ძმობის ფიცის გამტეხს: დაწვრილებით მოუყევი ყოველივე ჩვენს საერთო აღმზრდელსო. როდესაც საფარი წარსდგება ჰაჯი უსუფის წინაშე და თავის სამარცხვინო აღსარებას ეტყვის, ერთ ხანს დუმილი ჩამოწვება მათ შუა. ერთი და იმავე კაცის მიერ გაზრდილი ორი ადამიანი, სულ სხვადასხვა ბუნებისა აღმოჩნდა. აფხაზმა საფარი მისსავე აღმზრდელს გაუგზავნა თავისი ცოდვების განსაკითხავად, ხოლო აღმზრდელმა, რომელიც მისდევს რუსთაველის მცნებას: ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილი. ამ ავკაცობის შემსწრემ, თავი მოიკლა. ამით ავტორმა ძირს დასცა, გააცამტვერა, მორალურად გაასამართლა ძმობის მოღალატე საფარი, ხოლო აკ. წერეთელმა ამ პირშავი კაცის მოქმედებას ასეთი სიტყვები მიუძღვნა: „მაგრამ მარტო წრთვნა რას იზამს თუ ბუნებამც არ უშველა“?

ყოველ თავის ნაწარმოებში, რა ჟანრისაც არ უნდა ყოფილიყოს ის, აკ. წერეთელი ხალხის სამსახურის თვალთახედვით განიხილავდა მოვლენას. აკაკი მწერლობას უყურებდა როგორც ერის სულიერი კულტურის უძლიერეს ძალას. ხოლო მწერლისაგან მოითხოვდა ხალხის სამსახურს. „მწერლობა, — წერდა აკაკი წერეთელი, — უცნაური სარკეა, სადაც ქვეყნის ძველი და ახალი ავკარგიანობა უმეტნაკლებოდ უნდა პირდაპირ იხატებოდეს და არა კერძო, საპირადო სანავარდო სარბიელი. მწერალი დიდი მოძღვარია ქვეყნისა, რომელსაც ყურს უგდებენ „აწ და მარადის“ და ამიტომაც მისი მოვალეობა ღვთისა და კაცის წინაშე დიდია“. („კვალი“ № 1, 1893 წ.).

ამავე აზრს ავითარებდა აკ. წერეთელი თეატრის შესახებ. ი რას სწერდა ის: „არათუ ამ დროში, ძველად, პერიკლოსის დროსაც, თეატრი ხალხს გასაწვრთნელ და ზნეობრივად ასამაღლებელ მოვლენად და საგნად მიაჩნდა. და მართლაც, ვინ არ იცის, რომ ისტორიის მთელი ტომები ისე ვერ იმოქმედებენ კაცზე, როგორც ერთი ხეირიანი პატრიოტული დრამული რამ წარმოდგენა, ერთი ან ორი

საათის განმავლობაში თვალწინ ცოცხალი სურათების წარმომდგენელი“ („დროება“, 1873 წ.).

აკაკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სათეატრო ხელოვნებას. ის დიდ ძალად, ხალხის აღზრდის მძლავრ იარაღად მიაჩნდა. ამიტომ იყო იგი დაუცხრომელი მებრძოლი თეატრის კეთილდღეობისათვის და პრაქტიკული მოღვაწეობითაც ხელს უწყობდა ქართული თეატრის განმტკიცებას. ამაში იგი დიდ პატრიოტულ საქმეს ხედავდა. „მხოლოდ ერთადერთი ასპარეზი დაგვრჩენია — თეატრი, საიდანაც, შეგვიძლია გავიგონოთ ჩვენი დედა ენა, ის ენა, რომელზედაც მუსიკობდა რუსთველი, ბრძანებლობდნენ თამარები, რომელზედაც ქადაგებდნენ ნინოები და რომელზედაც წამებულნი სიმდაბლით ღმერთს ადიდებდნენ — ქეთევნები და მათი მსგავსები. ჩვენ ამ თეატრის წყალობით შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი წარსული, დავინახოთ აწმყო და წარმოვიდგინოთ მომავალი. შემცდარია, ვინც ფიქრობს, რომ თეატრის მნიშვნელობა მხოლოდ ის არის, რომ მოცლილი ხალხი გააცინოს და გაამხიარულოს, მაგისთვის ცირკი და კლოუნები არიან. არა, სცენიდან მაყურებელმა უნდა დაინახოს და დაანახვოს საზოგადოებას მისი ავი და მისი კარგი, იმაზე დააფიქროს, ხან ამხიარულოს და ხან დაანაღვლიანოს.“ და აკ. წერეთელი არა მარტო თავისი პირადი, უანგარო დახმარებით, არამედ შემოქმედებით, დრამატული ნაწარმოებებითაც ეხმარებოდა ქართული თეატრის აღორძინების საქმეს. ბაგრატ დიდის მსგავსად, მას სწამდა, ვინც მამულს სიცოცხლეს არ შესწირავს, იმას არ ჰქვია მამულიშვილიო, და ისიც უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენს მწერლობას, ჩვენს თეატრს, ჩვენს ხელოვნებას.

აკ. წერეთლის კალამს ეკუთვნის დრამატული პოემები, „თამარ ცბიერი“, „პატარა კახი“, „მედია“, „ვორონცოვი“ და სხვა.

„თამარ ცბიერში“ აკ. წერეთელმა მეტად მღელვარედ გამოხატა ერთიანი საქართველოს ის კონცეფცია, რომელსაც ქან მთელი სიცოცხლე მიუძღვნა:

ჭაბუკობიდან მე გულში მედვა
ერთი ანდერძი, ერთი იმედი,

ეს იყო ჩემი წმინდათა წმინდა,
ჩემი სულისდგმა, ჩემი იმედი.
ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეს,
ვფიქრობდი, ვნახავ შეერთებულად.
დავით, გიორგის და თამარის დროს
ერთ საქართველოდ აყვავებულად.

ამ იდეის ერთგულია პოემის გმირი — მგოსანი. იგი დაუნდობელი მტერია ლამაზი, მაგრამ ავხორცი თამარ ცბიერისა, თამარ ცბიერმა პირად გრძნობას ანაცვალა რამდენიმე რჩეული ვაჟკაცი, ამ ნიადაგზე ერთმანეთს გადაჰკიდა თავდადებული პატრიოტები და ძირი გამოუთხარა საქართველოს ძლიერებას. მგოსანი საიდუმლო შეთქმულებას აწყობს ამ ქალის წინააღმდეგ. შეთქმულება მხილებულ იქმნა. მგოსანი უნდა დაისაჯოს, მაგრამ ავხორცი თამარი გონს მოეგება, თავის ბოროტებას თვითონვე ამხელს და თავს იწამლავს. ამ დრამატულმა პოემამ თავის დროსვე დიდი ინტერესი გამოიწვია. ეწყობოდა ლიტერატურული გასამართლებები, იწერებოდა წერილები, რომელშიაც ბრალს დებდნენ ავხორც დედოფალს. დამახასიათებელია, რომ აკ. წერეთელმა ერთ წერილში სცადა ამ ქალის დაცვა, რადგან თვითონვე ამხილაო მან თავისი თავი და ამით მოინანიაო ცოდვები.

საინტერესოა აკაკის მეორე დრამატული ნაწარმოები „პატარა კახი". ამ პოემაში საინტერესოდ არის წარმოდგენილი ერეკლე მეფის პირველი საბრძოლო ნათლობა. თექვსმეტი წლის ჭაბუკმა ვაჟკაცურად დაიცვა თავისი მამული და ქვეყანა იხსნა განსაცდელისგან. ამის შემდეგ ერეკლე მეფემ, როგორც ა. ორბელიანი იგონებს, „62 წელი მოუარა ქვეყანას" და თავისი ვაჟკაცური მკლავითა და ხმლით მოიგერია ურიცხვი მტერი. პოემის მიხედვით, სამშობლოს განთავისუფლებას ბევრი მამულიშვილი შეეწირა, ბევრმა პირნათლად მოიხადა თავისი ვალი, მაგრამ აქაც აღმოჩნდა ზოგიერთი მოღალატე, მამულის გამყიდველი. ამ პოემაშიაც მამულის ერთგული, პატრიოტი გმირები ხალხის წრიდან გამოსული უბრალო ადამიანები არიან: ბრმა გელა, რომელსაც ომში რამდენიმე ჭრილობა მიუღია და მხედველობა დაუკარგავს, ორი შვილი მამულისთვის შეუწირავს და ახლა უკანასკნელ

იმედს თავის ქალიშვილზე ამყარებს. ქალიშვილს უანგაროდ უყვარს მწყემსის ტანისამოსში გადაცმული ქობულაძე და მასთან ერთად თავს სდებს მამულისთვის. ეს პოემა პატრიოტი ადამიანების, მამულისათვის თავდადებული გმირობის ნამდვილი ჰიმნია.

როგორც უკვე ვთქვით, აკაკის ისტორიული პოემების უმთავრესი პათოსი ერთიანი საქართველოს კონცეფციაშია გამოხატული. ამ თვალსაზრისით სჭვრეტს აკაკი შორეულ წარსულსაც. ამ მხრივ დამახასიათებელია პოემა „მედია". აქ აღწერილია კოლხეთის მშვენიერი ასულის მედიას სიყვარული ბერძენი გმირის იაზონისადმი, მაგრამ აქვეა მოცემული მამამისის, კოლხეთის მეფის იათას სურვილი — ქალიშვილი მცხეთის სამთავროს უფროსის ძეს მიათხოვოს და ამით ერთიანი საქართველოს პირველი რკალი შეკრას. პოეტს გამოუყენებია ცნობილი ლეგენდა იაზონის მიერ ოქროს ვერძისა და მედიას მოტაცების შესახებ. იაზონმა, ბერძენმა დამპყრობელმა, ოქროს ვერძიც მიიტაცა და კოლხეთის ულამაზესი ასულიც, მედიაც. ასეთია პიესის დედააზრი.

მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში აკ. წერეთელი საქმით და სიტყვით იბრძოდა ერთიანი, ძლიერი საქართველოს მომავლისათვის. მაგრამ იგი არასოდეს ყოფილა ვიწრო ნაციონალისტურ გრძნობებში ჩაკეტილი. მას ფართო ინტერნაციონალური მისწრაფებანი გააჩნდა, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მედროშედ გამოდიოდა. თავის უანგარო პატრიოტიზმს აკ. წერეთელი უთავსებდა ასევე უანგარო-ინტერნაციონალურ გრძნობებს. იგი წერდა:

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე—მთელი ქვეყანა.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე აკაკი დაუღალავად იბრძოდა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ზეიმისათვის. საკმარისია მოვიგონოთ მისი სიტყვები პუშკინზე, ტოლსტოიზე, შევჩენკოზე, ახუნდოვზე, რომ დავრწმუნდეთ, რა მაღალი ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალური გრძნობის კაცი იყო აკაკი წერეთელი. „პუშკინი,—წერდა იგი, — როგორც მწვერალი მთელი რუსეთის სათაყვანო შეიქნა, ხოლო ქართველ-

მა ხალხმა ის ასევე შეიყვარა"; ასევე 1910 წელს, წერილში ტოლსტოის შესახებ აკაკი ამბობდა: „ტოლსტოი გენიოსი ხელოვანია. ქართველები გულწრფელად იგლოვენ ამ გენიოს მწერალს, დიდი რუსი ხალხის დიდ შვილს".

რუს ხალხს აკ. წერეთელი თვლიდა დიდ ერად, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ბურჯად. მიუხედავად ცარიზმის შავბნელი პოლიტიკისა, აკ. წერეთელი სამშობლოს დასაცავად ხსნად მიიჩნევდა რუსეთთან მარადიულ კავშირს. იგი კარგად არჩევდა ორ რუსეთს: მეფის რეაქციონერი მოხელეებისა, მემამულეებისა და ვაჭრების რუსეთს, ერთი მხრივ; ხოლო მეორე მხრივ რუსი ხალხის, მისი მოწინავე შვილების მიერ შექმნილ ძვირფას კულტურას და მაღალ იდეალებს, რომლებიც მშობლიურ ერის სანუკვარ ოცნებად მიაჩნდა. მან ქებათა ქება მიუძღვნა რუსეთის გამოჩენილ ადამიანებს, რომლებიც აფასებდნენ ქართველი ხალხის ღირსებას და მფარველობდნენ მას.

აკაკი იყო თავისი ერის დიდი პატრიოტი, ამავე დროს ყოველი მოძმის და მეგობრის სხვა ხალხისა და ნაციის დიდი პატივისმცემელი. იგი წერდა: „შენი ერი უნდა გიყვარდეს, მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი შენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ", და იქვე დასძენდა: „შოვინისტობა საზიზღრობაა, საშინელებაა, გარეწარობაა".

აკაკის დიდი სიყვარულით უყვარდა რუსი ხალხის სახელოვან შვილებთან ერთად სხვა მოძმე ხალხების გამოჩენილი ადამიანები. მოწიწებით აღსავსე სიტყვები უძღვნა მან უკრაინელი ხალხის დიდ შვილს შევჩენკოს, აზერბაიჯანელი ხალხის გამოჩენილ მწერალს ახუნდოვს, სომეხი ხალხის დიდ შვილს სუნდუკიანცს. სუნდუკიანცისადმი მიმართულ ლექსში, მაგალითად, ვკითხულობთ:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთი მიდამოს და ერთი მთისა.

აკაკი იყო ინტერნაციონალისტი, მაგრამ არა კოსმოპოლიტი. მას ყოველგვარი ჯურის კოსმოპოლიტები სძაგდა. „სუ-

ლით და გულით ქართველი ვარ,—წერდა აკაკი,—სამშობ-ლოს კეთილი წარმატება მიტომ მენატრება, რომ პირნათლად მჭიდროდ შეუკავშირდეს ფერადოვან მსოფლიოს. სიტყვა „პატრიოტი“ დღეს ზოგიერთებისაგან საკიცხავ სიტყვად არის გადაქცეული. იმათ პატრიოტობა შოვინიზმი ჰგონიათ, როდესაც ამ ორ სიტყვას შუა ზღვარია და ერთმანეთში საერ-თო არა აქვთ რა“ („ალმანახი“, „მოამბე“, 1910 წ.) ამ სიტ-ყვებს აქტუალობა და მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. დიდი პოეტი ზუსტად გამოხატავს თავის პატრიოტულ დამო-კიდებულებას სამშობლოსადმი და აგრეთვე სხვა ხალხების მიმართ.

აკაკი წერეთელი 60-იანი წლების მებრძოლი დემოკრატ-ული ახალგაზრდობის ერთი ლიდერთაგანი იყო და თავის პოეზიაში ბოლომდის შემოინახა შეუპოვარი ბრძოლის სულისკვეთება ყოველივე არქაულისა, დროგადასულისა და იმის წინააღმდეგ, რაც რეალიზმს უპირისპირდებოდა. ლექ-სებითა და წერილებით ის იმთავითვე გვერდში ამოუდგა ილია ჭავჭავაძეს და რეალიზმს გზა გაუწალდა საქართველო-ში. 70-იან წლებში, როდესაც უთანხმოება და ბრძოლა რეა-ლისტებსა და არქაისტებს შორის გადამწყვეტ ფაზაში შევი-და, აკაკი წერეთელი ყველაზე შეუპოვარი აღმოჩნდა მამე-ბის წინააღმდეგ. მან შექმნა გასაოცარი სიმართლითა და სიწრფელით, ამავე დროს სიმწვავითა და სარკაზმით აღსავ-სე სატირული სახე დრომოჭმულ იდეებს ჩაბღაუჭებული ადამიანებისა. ცნობილ ლექსში „კოლო-ბუზების პასუხი“ იგი წერდა:

მიმავალნო, მშვიდობით,
გზა გვიტიეთ მომავალს!
რად წუხდებით რჩევისთვის,
ჩვენ ვპოვებთ ჩვენს გზას და კვალს.

აკაკი დაუნდობლად ებრძოდა გარდასულ შეხედულებათა უკანასკნელ მოგიკანებს, მაგრამ იგი რადი იყო ნიღილისტი მამების დამსახურებისა და ღვაწლის მიმართ. აკი თვითონ აცხადებდა პოეტი:

თუ საფუძველი კარგია ძველი,
წუნს როგორ დასდებს ხუროთმოძღვარი?

ეცდება კიდეც, რომ ზედ ააგოს
საშვილიშვილო წმინდა ტაძარი.

მაგრამ აკაკი გრძნობდა, რომ ამ ძველს იდეებში ბევრი რამ იყო დროგადასული, ახალი ცხოვრების, საქართველოს წინსვლის, შემფერხებელი და ხელისშემშლელი. მომავალი საქართველოს მედროშე არც შეიძლებოდა სხვაგვარად მოქცეულიყო.

ეს უბრწყინვალესი ლირიკოსი, რომელმაც დიდი სინაზითა და სინატიფით შემოსა ადამიანი და ქებათაქება უძღვნა საქართველოს გაუტეხელ ეროვნულ სულს, ამავე დროს იყო მძაფრი სატირიკოსი ყოველივე იმის მიმართ, რაც ჩვენი ქვეყნის წინსვლას აფერხებდა. აკაკის სატირა დაუნდობლად ამხილებდა ბოროტებას, ეგოისტსა და კარიერისტს, ფარისეველსა და მოღალატეს ერისა. პოეტი მათ სამარცხვინო ბოძზე აკრავდა. ის მთელი სიმკაცრით ებრძოდა ეროვნულ სხეულზე ამოსულ ამ ზედმეტ ადამიანებს, ორპირებსა და მატყუარებს. ჯერ კიდევ 1961 წელს დაწერილ ერთ უსათაურო ლექსში პოეტი აცხადებდა:

ოქვენა ხართ მამულიშვილნი?
აბა რა დასაჯერია!...
თუარ თქვენთვისვე, მაგ თქვენს გულს
ერთხელაც არ უძგერია.

არც ლხინში ვარგხართ, არც ჭირში.
ზარმაცი, ენატარტალა.
და კუჭით გიყვართ სამშობლო,
როგორც ფლავი და არტალა.

აკაკი ამხელდა ყველა ფარისეველს, სხვისი შრომით და ოფლით გამდიდრებულ მუქთახორას („ფარისეველნი", „აპელაციის მცოდნე"):

ძმა ძმას ნუ ახრჩობ ძმის ხელით,
კაენის შავი გულთქმითა
და ქრისტეს წმინდა სახელით
ნუ გმობ იუდას საქმითა.

აკაკის სიძულვილი ყველა პარაზიტისა და ბოროტი გულის ადამიანების მიმართ იყო სულით განწმენდილი პოე-

ტის შეუპოვარი ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ. პოეტს სძაგდა ყველა, ვინც ხელს უშლიდა ეროვნული გრძნობების ჭაკეთილშობილებას. გულწრფელად აცხადებდა აკაკი:

ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს,
ისიც მიყვარს, ვინც რომ კი მძულს.
მწარე ენას ვამსახურებ
განწმენდილს და მარად ტკბილ გულს.

აკაკის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს სატრფიალო ლირიკას, სიყვარულის მოტივს. პოეტი არა ერთხელ ანთებულა სიყვარულის უჩრდილო გრძნობით, სიყვარულის ნიქტარით არა ერთხელ გულდაჩხვლეტილს, სევდიანი და მწუხარე ხმები დაუფრქვევია. ტრფიალების დიდ ნიჭიერებას, სიყვარულს მიუძღვნა მან ერთ-ერთი პირველი ლექსი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აკაკის ცნობილი ლექსი „საიდუმლო ბარათი“, ხოლო როგორიცაა „ციცინათელა“, „სულიკო“, „სიყვარული“, „ერთ ქალს“, მუდამ დარჩებიან ქართულ პოეზიაში, როგორც ქართული ლირიკის ობოლი მარგალიტები. მაგრამ აკაკის პოეზიაში ინტიმურ ლირიკას შედარებით მცირე ადგილი უჭირავს, უფრო მეტად ის დამორჩილებულია სამშობლოსადმი სასოებასა და სიყვარულს. უაღრესად გულწრფელი იყო აკაკი წერეთელი, როდესაც აცხადებდა:

მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი!
ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქახდილი.
უგრძნობლად ხდის საწყალს საღათას ძილი.

აკაკი იყო მებრძოლი პოეზიის მეთაური და ის ბოლომდე შეუპოვარი დარჩა. მას სწამდა, რომ ცარიელი სიტყვებითა და სურვილებით საქმეს არ ეშველება. ქართველმა ერმა თავისი დამოუკიდებელი არსებობა ბრძოლით დაიცვა. ერთი ასსზე მოდიოდა, მაგრამ ქართველი არ დრკებოდა. ასე შეინახა მან თავისი ეროვნული მეობა. ამ პაწაწინა ქვეყანამ ასე გაითქვა სახელი.

ამ პაწაწინა სამეფოს
უხმობდნენ ივერიადა,

ხალხმა ,ქცეულმა ფოლადად,
სახელი გაიდიადა.

ასე ყოფილა მუდამყამს და პოეტს სწამს, რომ ახლაც შეუპოვარი ბრძოლით, შრომითა და სიხარულით უნდა განიბანოს ჭუჭყი ერისა. „ვაგლახითა და ვიშითა“ არ მოგვარდებ: ბედი ერისა. გარეწარი და ორპირი მტერი უბრძოლველად არაფერს დათმობს.

არ გათეთრდება ყორანი,
ბევრიც რომ ხეხო ქვიშითა,
მტერი არ შეგვიშინდება
ვაგლახითა და ვიშითა.
მტრებს მივაგებოთ ფარ-ხმალი,
ყორანს შევსტყორცნოთ ისარი.
სხვა შრომა ტყუილად ჩაივლის,
მათი წამალი ის არი.

აკაკის რწმენით, მტერს მტრულად უნდა დახვდე, სისხლით აზღვევინო ავკაცობა და ბოროტება, რომელიც მან დათესა: ქრისტეს მცნება არ გამოადგება ერს დამონებულს:

რაც ძალადობით წაიღეს,
ვინ დააბრუნებს ნებითა?
ვინ ნახა, თავისუფლება
ტანჯვით და მოთმინებითა.
არ ჯობს, რომ კაცმა გმირულად
ბრძოლაში სული დალიოს?
ვიდრე სხვის ნება-ბრძანებით
მან საწამლავი დალიოს?
აი, რას ამბობს რუსთველი,
სულმნათი ყვავილოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

ხოლო მეორეგან აკაკი დასძენდა: „სხვისი იმედი რას არ-გებს თავისუფლების მძებნელსა?“. ასეთი შეუპოვარი საბრ-ძოლო იდეალებით ზრდიდა აკაკი წერეთელი თავის ხალხს. თავის ერს და ამაში იყო მისი პოეზიის დიდი ღირსება.

აკაკი მრავალმხრივი შემოქმედი იყო. მისი ლირიკული ლექსებისა და პოემების გაცნობამ ნათლად დაგვანახვა, თუ როგორი მთლიანი კონცეფციის მხატვარი იყო იგი, როგორი დაუღალავი მებრძოლი რეალიზმის პრინციპებისა, მისი ერთგული მსახური. თავისი მხატვრული კონცეფცია მან ყველა ჟანრში თანაბრად წარმოგვიდგინა. ამ მხრივ მის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პროზას.

აკაკი ბრწყინვალე პროზაიკოსი იყო. მას უთვალავი ეპიგონი და მიმბაძველი ჰყავდა როგორც პოეტს, მაგრამ იგი განუმეორებელი იყო, და ასევე დარჩა ბოლომდის, როგორც პროზაიკოსი. გაგვიჭირდებოდა გადაჭრით გვეთქვა, სად უფრო ძლიერია იგი როგორც ოსტატი, პროზაში თუ პოეზიაში; თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მისი პროზის სტილის თავისებურება მისმა პოეტურმა ბუნებამ განაპირობა. აკაკის პროზა უაღრესად პოეტურია, ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით.

აკაკის პროზა, ისე როგორც მისი პოეზია, ორ ძირითად საკითხს უტრიალებდა: ქვეყნის ეროვნულ და სოციალურ ბედს. უმთავრეს საზრდოს, როგორც პროზაიკოსი, იგი საქართველოს ისტორიულ წარსულში პოულობდა. ისტორიული თემებიდან იგი არჩევდა ისეთს, რაც უფრო ეხმაურებოდა მისი დროის საქართველოს, რაშიც უფრო ნათლად ვლინდება ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეპიზოდები. თავს იჩენდა სამშობლოსათვის თავგანწირვისა და ვაჟკაცობის ამბავი. მეტ შემთხვევაში ისტორიული თემატიკა კარგავდა თავის ფაქტოლოგიურ მხარეს და ის ისე ერთვოდა, ისე შეეხამებოდა თანამედროვეობის სურათებს, რომ ხშირად საზღვარი ისტორიასა და თანამედროვეობას შორის იშლებოდა. მასში, როგორც სარკეში, ისე იყო არეკლილი თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრების ინტერესები და ვნებები. აქაც აკ. წერეთელის ამოსავალი პრინციპი იყო ეპოქის პრობლემები და ყოველდღიურობა. ეს წარსულის სურათები, ზოგან ერთგვარად იდეალიზირებულიც, ავტორს საშუალებას აძლევდა თანამედროვე საქართველოს მდგომარეობის მიმართ პროტესტის გრძნობა გამოეწვია და მისი ძალები დაერაზმა

უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში. აკ. წერეთელი მრავალი პროზაული ნაწარმოების ავტორია, მაგრამ მათ შორის უნდა აღინიშნოს ორი უბრწყინვალესი ნაწარმოები — „ბაში-აჩუკი“ და „ჩემი თავგადასავალი“. ორივე ეს ნაწარმოები ქართული პროზის ოქროს ფონდში შედის.

„ბაში-აჩუკი“ ისტორიული მოთხრობაა. მასში თავისებურად არის გამოხატული საქართველოს ერთიანობის იდეა, ქართლისა და კახეთის განთავისუფლება შაჰ-აბასის ბატონობისაგან. ამ სახალხო მოძრაობას სათავეში ჩაუდგებიან ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები. მათ პატრიოტულ თავგანწირვას მხარს უჭერს მშრომელი ხალხი და მის ფუნდამენტს ხალხის თანაგრძნობა შეადგენს. ამ ფონზე მწერალმა არსებითად ამ მოძრაობის სულისჩამდგმელად რიგითი ადამიანი ბაში-აჩუკი გახადა. მისთვის დამახასიათებელი სიმპათიებითა და თანაგრძნობით დახატა აკ. წერეთელმა მშრომელი ხალხის ეს წარმომადგენელი — გმირი ბაქრაძე. მის პატრიოტულ თავდადებასა, უანგარო გმირობასა, მამულისადმი სიყვარულსა და გამოჩენილ ვაჟკაცობაში ნათლად ელინდება ხალხის ერთგულება და თავგანწირვა. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ისტორიულ პროზაში ეს პირველი მაგალითი იყო, როცა დაბალი სოციალური წრიდან გამოსული გმირი ასე ფართო ასპარეზით გამოდიოდა საქართველოს ეროვნული განთავისუფლების მედროშედ. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ტრადიციულად, საქართველოს ისტორიოგრაფიაში, დაბალი წრის წარმომადგენლის, გლეხკაცის ამგვარი მეთაურობა გამომზეურებული არ იყო. სწორედ ეს გარემოება აწუხებდა აკ. წერეთლის დიდ თანამებრძოლს ი. ჭავჭავაძესაც: „ჩვენს ისტორიაში ხალხი არსად ჩანს“. — წერდა ილია. აკ. წერეთელმა პირველმა შეავსო ჩვენი მემატიანეებისა და ჟამთა აღმწერლების მიერ დაშვებული ხარვეზი. „ბაში-აჩუკში“ თავისებურად გამოიყენა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი პერსონაჟის, ავთანდილის მოქმედება. „ვეფხისტყაოსნის“ აზრითა და იდეითაა შთაგონებული ეს მოთხრობა. გმირობასა, სიყვარულსა და მამულის დაცვას, ძმადნაფიცის ერთგულებას ქადაგებს იგი. ბაქრაძე — ახალი ტიპის ავთანდილია. აქვეა ნაჩვენები ის ვერაგული პოლიტიკა,

რომელსაც სპარსეთი აწარმოებდა ქართველების მიმართ. ამ ვერაგული პოლიტიკის მსხვერპლი იყო კახეთი და მისი მეფეები. საქართველოს ერთადერთი ხსნა ის არის, თავი დააღწიოს მჩაგვრელთა ვერაგულ პოლიტიკას, მეგობრები და ძმადნაფიცები ეძიოს. ასეთი გეზი ქართველმა მეფეებმა რუსეთისაკენ აიღეს. დარბაზმა ხმის უმეტესობით გადაწყვიტა, კავშირი გაეწყვიტა სპარსეთთან და მიკედლებოდა ჩრდილოეთს. ამის გამო რისხვა დაატეხაო შაჰ-აბასმა საქართველოს. მისი ფიქრით, დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზა და ხიდი — საქართველო, ის ნატვრის თვალია, რომელიც ხელში უნდა იგდოსო სპარსეთმა, მაგრამ ძნელიაო ამ ხალხის დამორჩილება, ხალხისა, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ხორცზე მაღლა აყენებს. და აი, ამ ქვეყნის გმირები, მისთვის თავდადებული, ღირსეული მამულიშვილები ქებათა ქებით შეამკო მწერალმა. ისინი თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმით მოქმედებენ. უწმინდურ სიცოცხლეს პატიოსნური სიკვდილი გვირჩევნიაო. მოთხრობა ვითარდება მეტად საინტერესოდ, მოულოდნელობის შენაცვლების ხერხით. ეპიზოდს ეპიზოდი სცვლის. მოულოდნელობის ხერხით დაკავშირებულ ამ ამბებს ერთი ერთი საერთო ძაფი აკავშირებს. ეს ძაფი ბაში-აჩუკის ხასიათის გამოსახვას უკავშირდება. მოთხრობაში იგი ყველგან გამოჩნდება, სადაც საფრთხეა. იქნება ეს სპარსელების მიერ მოწყობილი ჭიდაობა, ცხენოსნობა, მტრისა და მოღალატის მოკვლა, ქალების გატაცება, ამბის მიტანა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის დაკავშირება თუ სხვა. მოთხრობის ერთიანი ძაფი ბაში-აჩუკის ხასიათზეა აგებული. მოთხრობაში ის გამოინაკვთება არა იმდენად თავისი საკუთარი „მე“-თი, რამდენადაც ერთიანი; საერთო ინტერესებით. ეს არის საქართველოს განთავისუფლების ინტერესით შთაგონებული განზოგადებული ხასიათი. საერთოდ, ავტორი დიდ ყურადღებას არ უთმობს ცალკეული ხასიათების ფერწერას. ხასიათების ბუნება, მისი გამოკვეთა, ყველა თავისი ფერითა და თავისი საღებავებით მათს ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებულ საერთო ასპექტშია გამოხატული ბაში-აჩუკი, აბდულ შაჰილი ამ მხრივ უფრო რელი-

ეფურად გამოძერწილი გმირები არიან. მოთხრობა სავსეა იუმორით, გამოცანებით, ანდაზებით, ხალხური თქმებით და ზმებით. იგი ვითარდება კინემატოგრაფიის სისწრაფით. სიუჟეტურად მტკიცედ შეკრული ყოველი ფრაზა და სიტყვა დიდი სიზუსტით არის გამოანგარიშებული და გათვალისწინებული.

ერთიანი საქართველოს მომღერალი აკ. წერეთელი ხალხში პოულობდა უდიდეს შთაგონებას, მას ფეხით ჰქონდა შემოვლილი მთელი საქართველო. მის ყოველ კუთხეს, მის ყველა უბანს ზედმიწევნით იცნობდა. იგი ყველას უყვარდა უსაზღვრო სიყვარულით, ამ სიყვარულს ის ხალხის გულში კითხულობდა. აკ. წერეთელი ერთგან წერდა: „კაბინეტში ეზიზვართ და ხალხს არ ვიცნობთ. აი ახლაც სოფლელებს ზღაპრებს ვათქმევინებ ხოლმე და უნდა ნახოთ რამდენ სიტყვას მისთანას ხმარობენ, რომელიც მე ან დავიწყებული მაქვს ან არა მცოდნია, მაგრამ ნამდვილი ქართული სიტყვა კი არის“. ხალხურ შემოქმედებას იგი უყურებდა, როგორც უშრეტ წყაროს. ამიტომაც მუდამ ხალხში ტრიალებდა. აკაკის ნაწარმოებსა და ხალხის შემოქმედებას შორის მსგავსება ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც ხალხური ნაწარმოების განმეორება. არა. აკაკი ხალხისაგან იღებდა მასალას, თემას და მას სრულიად დამოუკიდებელ შემოქმედებით ხასიათს აძლევდა. ხალხის შემოქმედება ის სულიერი მასალა იყო, რომელსაც თავის შემოქმედებითს ქურაში გარდაქმნიდა, უფრო ამაღლებულად და ლიტერატურულად გამოსახავდა ხალხურ თქმულებებს, თემებს, აზრსა და განწყობილებას. აკაკის მოთხრობები ამ მხრივ ბრწყინავენ.

აკაკის პროზაულ მემკვიდრეობაში ცალკეა აღსანიშნავი „ჩემი თავგადასავალი“. მასში საინტერესოდ არის გადმოშლილი აკაკის ცხოვრება, მაგრამ იგი ისეა განზოგადებული და ამაღლებული, ისეა გამდიდრებული ჩვენი საზოგადოებრივი მოვლენებით, რომ ჩვეულებრივ ავტობიოგრაფიულ მოთხრობად ვერ მივიჩნევთ. ეს დიდი სუნთქვის მხატვრული დოკუმენტური მოთხრობაა, რომელიც გაბრწყინებულია აკაკის დიდი ნიჭითა და ცხოვრების ცოდნით. რასაკვირველია, უპირველესი გმირი მაინც ამ ნაწარმოებისა, თვითონ ავტორია.

თავისი ავტობიოგრაფიული დეტალები მწერალს გამოყენებული აქვს ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის დასახასიათებლად. მოთხრობაში აკაკის მამა, როსტომ წერეთელი, არა მარტო უბრალო მამაშვილური დამოკიდებულებითაა დახატული, იგი ზოგადი ტიპია პატრიარქალური, ბატონყმური საქართველოსი .იგივე ითქმის სხვა გმირების შესახებ. ყოფაცხოვრების, ეპოქის, ადამიანების და ჩვეულებების მდიდარი სურათები აქ აღბეჭდილია ჰეშმარიტი პროზაიკოსის ხელით, ხოლო მისი მეორე ნაწილი ჩვენი საზოგადოებრივი მოღვაწეების მეტად საინტერესო დახასიათებას შეიცავს. და მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მეორე ნაწილი ერთგვარად ამოვარდნილია მხატვრული პროზის საერთო კანონიდან.

ორი პროზაული შედევრის გარდა აკაკის აქვს რამდენიმე მცირე ფორმის მოთხრობა. ამ მოთხრობების თემა ისევ და ისევ საქართველოა, მისი წარსული, მისი აწმყო.

თემატიკურად აკაკის პროზა შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: თანამედროვე თემაზე დაწერილი მოთხრობები, ე. წ. ნამდვილი ამბები („ეშმაკები", „მტირალი დედა", „ფულის თავგადასავალი", „პატარა ტარიელი" და სხვ.) ისტორიულ თემაზე აგებული მოთხრობები („ბაში-აჩუკი", „ქუთათელის სიზმარი" და სხვ.) და ზღაპრული ხასიათის მოთხრობები და მინიატურები („ვარდი და ეკალი", „კუჭია", „ოქროს წყაროს ზღაპარი" და სხვ.). ამ მოთხრობებში აკ. წერეთელი მოხერხებულად ურთავს ვრცელ ლექსებს. ლექსებს, რომლებიც შემდეგ ცალკეც იბეჭდებოდა; ეს პოეტური ჩანართები ავტორს იმისათვის სჭირდებოდა, რომ უფრო ნათლად და რელიეფურად გამოეხატა სათქმელი; თუნდაც ის, რომ აკაკი ასე უხვად ძიმართავდა ლექსებს პროზაულ თხზულებებშიაც, ნათლად ადასტურებს, რომ მისი სტიქია ლირიკული ლექსი იყო.

მცირე ფორმის მოთხრობათაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „სიკვდილი". ეს პატარა მოთხრობა მახვილი სატირითაა დაწერილი. მისი შორს შეტყორცნილი შოლტი დაუნდობლად ამათრახებდა მაშინდელი საქართველოს სინამდვილეს. მოთხრობის სიუჟეტი მარტივია. ამბავის მიხედვით პოეტი კვდება. ჩვეულებისამებრ, პანაშვიდზე მოსულ მის

ნაცნობებსა და მეგობრებს, ცხარე კამათი გაუმართავთ პოეტის ღვაწლის შესახებ. იბეჭდება სტატიები, სადაც გადაჭარბებულად არის შექებული პოეტის შემოქმედება და პიროვნება. და აი, დადგა გამოთხოვების წუთი. ცრემლიც უხვად დააფრქვიეს მგოსნის ნეშთს. დაკრძალეს პოეტი, და ის ერთბაშად აღმოჩნდა ქართველთა სავანეში, სადაც ჩვენი სახელოვანი მეფეები და თავგანწირული ვაჟკაცები განისვენებენ. პოეტს ეკითხება დავით აღმაშენებელი:

„—რას იქმს და როგორ არის ჩვენი ჭირნახული საქართველო?

— შემიძლია ბევრი რამ მოგახსენოთ მის დიდებულ და საქებარ წარსულზე; აგრეთვე ბევრი რამ გიმახარობლოთ და გიწინასწარმეტყველოთ მის საიმედო უეჭველ მომავალზე, მაგრამ აწმყოზე ნურას მკითხავ, ჩემო ხელმწიფე“...

ამას მოსდევს პოეტის მიერ დახატული თანამედროვე საქართველოს სურათები და ეპიზოდები, სადაც დაუნდობლადაა მხილებული დაჩიავება და გადაგვარება ქართველთა, მათი სულნამცეცობა და ეგოიზმი:

„—რას იქმს დღევანდელი ქართველობა? ხომ ისევ ძველებურად არის?

— არა, ბატონო, თავი უწვრილდებათ, გული უპატარავდებათ და მუცელი უდიდდებათ-მეთქი,—ვუპასუხე მე“.

ასე გრძელდება მხილება და გმობა ავისა და ცუდისა, ბოროტებისა და გაუტანლობისა, ორპირობისა და სიცრუისა, რომელსაც მწერალი თანამედროვე ქართველებში ხედავს.

აკაკი მისთვის დამახასიათებელი გესლიანობით ამათრახებს ფუქსავატ, თვალთმაქც, ყალბ პატრიოტებს. აკაკის სატირული მოთხრობები: „სიკვდილი“, „კუდაბზიკეთი“, მისი „ნაკვესები“, ფელეტონები და წვრილ-წვრილი ამბები, მხატვრული პროზის ეს შესანიშნავი ნიმუშები, გამანადგურებელი სატირა იყო მექრთამე ჩინოვნიკებისა, გადაგვარებული არისტოკრატების, დაკნინებული და დაჩიავებული ქართველებისა. ყოველივე ეს ემსახურებოდა იმას, რომ სამზეოზე გამოეტანა მათი სიავკაცე და ამით მკაცრი ბრძოლა გამოეცხადებია ყოველგვარი ბოროტებისათვის, რომელიც ამდაბლებდა ქართველი კაცის ღირსებას. ამავე მიზანს ემსახურე-

ბოდა მისი ისტორიული მოთხრობები. როგორც ვიცით, პატრიოტიზმი, ხალხის სიყვარული არის აკაკის ისტორიული თემების ძირითადი პათოსი. ავიღოთ თუნდაც „ქუთათელის სიზმარი“, რომელსაც ავტორი ისტორიულ ოცნებას უწოდებს. ამ მოთხრობის ფინალი ასეთია: მეფედ არჩეული თამარი სიტყვით მიმართავს ხალხს: „ბედმა წილად მახვედრა უდიდესი ტვირთი, რომელსაც დღეიდან კისრად ვიღებ თქვენთან შეთანხმებით და თქვენისავე დახმარებით! ვეცადოთ, რომ მდაბალი ავამაღლოთ და მაღალი განვაძლიეროთ... ჯერ უნდა მოვუპოვოთ სამეფოს შინაგანი მშვიდობა... შემდეგ შინაგანი მშვიდობისა ვალდებული ვართ მოვიშოროთ გარეშე მტერი, ზოგჯერ შემაწუხებელი ჩვენი სამეფო ნაპირებისა და თქვენ მოგმართავთ, გმირნო. მამის ჩემის, დიდებული მეფის გიორგის წინამძღოლობით გაწვრთნილნო და გამართულნო“. თამარ მეფის ამ სიტყვებს ხალხის შეძახილი ეხმაურება. „გაუმარჯოს თამარ მეფეს, იდიდოს საქართველო!“, გადასძახა ჯარს სარგის მხარგრძელმა და ჯარმაც იგრიალა: — „გაუმარჯოს, იდიდოს და გაძლიერდეს!“ „მრავალჟამიერ,—თქვა გამრეკელმა და აჰყვა მთელი ერი,—დასძახეს ერთხმად მრავალჟამიერ და ხმა გაისმა კიდით კიდემდე“.

აკ. წერეთელი შეგნებულად არჩევდა ასეთ დეტალებს ისტორიული წარსულიდან. წარსულის ამგვარად რომანტიზირებულ და ამაღლებულ დამუშავებას ის მიზანი ჰქონდა, რომ თანამედროვე ქართველში გაეღვიძებია ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ნათლად გადმოეცა ერთიანი, თავისუფალი საქართველოს ძლიერების სურათები და ამით ხალხისათვის ჩაენერგა საქართველოს განთავისუფლების იდეა. ხალხი უდიდესი სიხარულით კითხულობდა აკაკის სტრიქონებს, გულში ღრმად იბეჭდავდა მამულისადმი სიყვარულსა და ერთგულებას.

მაშასადამე, ერთის მხრივ, მხილება ყოველგვარი უვარგისისა და მახინჯი მოვლენებისა, მეორე მხრივ, განდიდება და რომანტიზირება ყოველივე კეთილისა, გმირულისა, ვაჟკაცურისა, თავისუფლების იდეალისა,—ასეთი იყო აკაკის მოთხრობების პათოსი. ამავე მიზნით იგი კრებდა ზღაპრებს და შემდეგ მათ მოთხრობებად გადაამუშავებდა. საინტერე-

სოა ამ მსრივ „კუჭია“, რომელსაც აეტორი ზღაპარს უწოდებს. იგი ალეგორიული ხასიათის პატარა მოთხრობაა. ზღაპრის ფორმაში აქ მოსერხებულად არის მხილებული თანამედროვე საქართველოს სურათი. ზღაპრის შინაარსი ასეთია: ვიღაც კუჭია ყლაპავს დიდსა და პატარას. ბოლოს და ბოლოს ვეღარ მოინელა კუჭიამ ამოდენა მსხვერპლი, გასკდა და ისევ ცოცხლად გადმოყარა ყველა. ცოცხლები იყვნენ, მაგრამ მკვდრის ძილით კი ეძინათ, გარდა ერთი მეჩონგურისა. და აი ეს მეჩონგურე ამღერებს საგმირო ლექსებს, მოუწოდებს ხალხს, აღსდექით, საკუთარი ხელით მოიპოვეთ მომავალიო. ყოველი მკითხველისათვის ნათელი იყო, რომ ამ ზღაპარში აკაკი თანამედროვე საქართველოს გულისხმობდა: „არ მომკვდარა, მხოლოდ ძინავს, გაიღვიძებს ისევ ერი“...—ეს ხომ აკაკის საყვარელი ფრაზა იყო და საქართველოს მაშინდელი დახასიათებაც მასში იყო გამოხატული. აკაკის პატარა მოთხრობებიდან ჩვენ აქ საგანგებოდ გავიხსენეთ სამი ნიმუში, რათა გვეჩვენებია, პროზაშიაც როგორი თანმიმდევრობით თავს დასტრიალებდა აკაკი საყვარელ საქართველოს, მის „მკურნალად გვევლინებოდა“.

აკ. წერეთლის პროზა მეტად საინტერესოა წმიდა პოეტური სტილის თვალსაზრისით. იგი შეგნებულად გაურბოდა გრძელ, გაბმულ თხრობას, მოსხლეტილი თქმა, მოკვეთილი ამბავი, მკაცრი კომპოზიციით შეკრული მცირე ფორმის მოთხრობა დაამკვიდრა აკაკი წერეთელმა. „ჩვენმა მწერლებმა არ იციან კანონი ნაწარმოების შეფარდებისა, — წერდა აკაკი,—სწორი ლარის გაყვანისა, დროზე შეჩერებისა და ადგილზე წერტილის დასმისა!“ ამ მხრივ მისი პროზა მართლაც სანიმუშო იყო. მკაცრად შეკრული, დროზე წერტილდასმული, ზედმეტი, გაზვიადებული ამბებისაგან განთავისუფლებული, ერთი ამოსუნთქვით დაწერილი აკაკის მოთხრობები გამოირჩევიან მე-19 საუკუნის ქართულ პროზაში. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, „ბაში-აჩუკს“ ბადალი არა ჰყავს.

„ბაში-აჩუკი“ თხუთმეტი კარისა და რამდენიმე ამბისაგან შედგება. პირობითად რომ ვთქვათ, მასში გამოხატულია ზაალ ერისთავის ოჯახი, ბაში-აჩუკი იმერეთში და მისი მოგზაურობა

ამერეთს. ტყუპი დების ამბავი, აბდულ შაჰილის, ერისთავისა და ჩოლოყაშვილების მიერ მოწყობილი შეთქმულება და შაჰ-აბასის პოლიტიკის დახასიათება მასში ჩართული ამბებია, რომლებიც ისეთი სისწრაფით ენაცვლებიან და ისეთი ზომიერებით ეთანხმებიან ერთმანეთს, რომ არც ერთ ზედმეტ ადგილსა და ზედმეტ ფრაზას აქ არ შეხვდებით. მოთხრობა ელვის სისწრაფით ვითარდება, მოულოდნელობის ხერხით გასაოცარი ინტერესით იშლება და თითქოს პოეტის ერთ ვრცელ მონოლოგს წარმოადგენს. წერის ამ მანერას აკ. წერეთელი იცავს პატარა მოთხრობებშიაც. ეს გარემოება განაპირობებს მის მოთხრობებში ტიპების, ხასიათების, მოვლენებისა და საგნების გამოსახვას. აკაკი მეტწილად პორტრეტების მწერალია. დასრულებული ტიპების ხატვას იგი შეგნებულად გაურბის. თვით მისი ყველაზე სახელგანთქმული მოთხრობის „ბაში-აჩუკის“ მთავარი გმირიც ფერწერით დახატული პორტრეტია. აკაკის პორტრეტები ბრწყინავენ დამთავრებული ფერებითა და საღებავებით, ხაზგასმული თვისებით. ასეთია ბაში-აჩუკი, ასეთივეა „ჩემ თავგადასავალში“ დახატული პორტრეტი მამისა, ასევე, რამდენიმე, სიტყვითაა დასრულებული, მოთხრობაში „კახეთში მოგზაურობა“, პორტრეტი ვაჟრისა. აკაკის ეხერხება მოძებნოს გმირის ხასიათის ისეთი თვისება, რომლითაც ის უმალ საცნაური ხდება. გავიხსენოთ თუნდაც „ბაში-აჩუკში“ მაჭანკლის სახე. მოკლე თქმის დიდი ოსტატი, გაზვიადებული და გაბმული თხრობის დაუნდობელი მტერი, აკაკი ახერხებს ანდაზებით, ქარაგმებით, ხალხური თქმულებებით, შიგჩართული პოეტური სტრიქონებით, ლაკონური ფრაზებით თქვას თავისი სათქმელი და პატარა ამბავში დიდი შინაარსი ჩასტიოს. ყველაფერი ეს მწერალს ხელს უწყობს კინემატოგრაფიის წესს დაუმორჩილოს ადამიანის დახასიათების, ამბის გადმოცემის, ხასიათების დახატვის ხერხი.

აკაკი გასაოცარი სმენის პოეტია. აკაკის პროზა ლექსს უახლოვდება თავისი შინაგანი რიტმითა და ამღერებული ფრაზებით. ყოველივე ამის გამო მიგვაჩნია, რომ აკ. წერეთელმა შექმნა მეტად ორიგინალური ფორმა პოეტური პროზისა. ეს არის რეალიზმის პრინციპს დამორჩილებული, პოეტურად

ამღერებული, მკაცრი კომპოზიციით შეკრული პოეტური პროზა. მსუბუქი ემოციონალური, მელოდიური. მომხიბლავი, შთამბეჭდავი ფერი და მუსიკალობა სიტყვისა, მან პოეზიიდან პროზაში გადაიტანა და ამით ახალი თავისებურება შესძინა ქართულ პროზას.

აკაკი იყო ბუნების სურათების უებრო ჯადოსანი, მისი გამაცოცხლებელი და ამმეტყველებელი. აკაკის ჩანგმა გასაოცარი პოეტური ძალით გამოხატა ცამდე აზიდული ამაყი მთების, ციცაბო კლდეების სილამაზე, აბიბინებული ჭალებისა და ყვავილოვანი მინდორ-ველის მშვენიერება, მთიდან დაქანებული მდინარეების ქუხილი და ნაკადულების რაკრაკი დღისით ლურჯად მოლივლივე, ღამით ვარსკვლავებით მოჭედილი, და მთვარით გაბადრული საქართველოს ცა. თითქოს მას ესმოდა საიდუმლოება ვარსკვლავთმეტყველებისა, ბუნების იდუმალი ენა. მან ადამიანის სულის თანაზიარი გახადა საქართველოს წარმტაცი ბუნება. ვაჟას გარდა არავინ ყოფილა ბუნების ასეთი გულთამხილავი. და საგულისხმო მაინც ის არის, რომ ბუნების ეს სინარნარე, მისი მეჯლისი თუ მწუხარება, პოეტმა ქართველი ხალხის ცხოვრების სურათებს დაუკავშირა.

აკაკი და საბჭოთა მწერლობა

ვინც ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებას დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს, რომ საბჭოთა მწერლობის საუკეთესო მასწავლებლები ჩვენი სახელოვანი კლასიკოსები იყვნენ. და მაინც რუსთაველის შემდეგ არც ერთ ქართველ პოეტს არ ჰყოლია იმდენი მიმბაძველი და გამგრძელებელი, რამდენიც აკაკი წერეთელს. აკაკის ბაძავდნენ, მას მაგალითად სახავდნენ.

აკაკი იწამა ქართველმა ხალხმა, შეიყვარა და შეითვისა, როგორც ჭეშმარიტი პოეტი და მამა ხალხისა. მას უფარდებდნენ ყოველსავე კარგსა და ღირსეულს, რაც ქართულ პოეზიაში თავს იჩენდა. აკაკი პოეზიის მეტრი, პოეზიის საზომი

გახდა. უფრო მეტი. ხალხს სწამდა აკაკის პოეზიის სასწაულებრივი ძალა.

ჭეშმარიტი პოეტი ის არის, ვინც ხალხისა და მკითხველის ასეთ სიყვარულს დაიმსახურებს. ამ მხრივ აკაკი იყო და მუდამ დარჩება საბჭოთა მწერლების მისაბაძ მაგალითად.

ეს დიდი სიყვარული და თაყვანისცემა ერისა აკ. წერეთელმა იმით მოიპოვა, რომ მან ზედმიწევნით სრულად გამოხატა ქართველი კაცის ფიქრი და ოცნება, მისი სიხარული და აღტაცება, მისი გასაჭირი და მწუხარება. ეროვნული და სოციალური ტკივილები, აკაკიმ გამოხატა ისე ნათლად, გასაგებად და განზოგადებულად, რომ ქართველმა ხალხმა პოეტში დაინახა თავისი იდეალების მედროშე და მეთაური. აკაკის პოეტური ქნარი თავს ევლებოდა მთელს საქართველოს, მასზე ხელაპყრობილი ლოცულობდა, აკაკის პოეზია XIX საუკუნის საქართველოს გულის ხმა იყო.

ქართველი ხალხი ილიასა და აკაკის პოეზიაში პოულობდა გულისტკივილის პასუხს; ყოველი განსაცდელისა და სიხარულის ჟამს მათი პოეზია ჩვენთან იყო, გვამხნევებდა, გვაქეზებდა.

მაშინ, როდესაც საქართველო ცარიზმის ჩექმებქვეშ ითელებოდა, როდესაც ქართველი კაცი სულიერი გადაგვარების საფრთხის წინაშე იდგა, აკაკიმ თავისი ოპტიმისტური ხმით გააფაქიზა მისი სული, რწმენით აღავსო რწმენაწართმეული: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, გაიღვიძებს ისევ ერი“. — ჩასძახოდა იგი თავის ხალხს.

ხალხმა ირწმუნა პოეტის სიტყვები, იარაღი აისხა, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის იწყო მზადება, და მიაღწია კიდეც საწადელს— საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკას. მთელს ამ ისტორიულ ბრძოლაში აკაკი წინ მიუძღოდა თავის ერს ლექსებით, პოემებით, მოთხრობებით, წერილებით, პიესებით, ტეხდა ეროვნულ განგაშს, უყიოდა, მოუწოდებდა, რაზმავდა ხალხს.

აკაკი მუდამ ხალხში იყო. დადიოდა სოფლიდან სოფლად, ქალაქიდან ქალაქად, ეთაყვანებოდა თავის ხალხს. იყო გასაოცარი ინტიმი, გულწრფელი ურთიერთობა პოეტსა და ხალხს შორის. აკაკიმ პოეზია აქცია ხალხის კუთვნილებად, ხოლო პოეტი ხალხის მსახურად. მან ხალხის გულში ამართა პოე-

ზიის ტრიბუნა. ამ ტრიბუნაზე შემდგარ პოეტს მთელი საქართველო უსმენდა, მთელი ერი ლოცულობდა, მწერლობა მანამდის არასდროს ყოფილა ასეთი მასობრივი და სახალხო. ილიასთან ერთად აკაკიმ ასეთი დიდი ფრთები შეასხა ქართულ მწერლობას, ეს მათ აქციეს მწერლობა ეროვნული და სოციალური ბრძოლის ბასრ იარაღად. ეს იყო მათი დიდი დამსახურება თავიანთი ხალხის, ერის წინაშე.

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ხალხისა და მწერლობის ეს განუყოფელი კავშირი ახალ სიმაღლემდე აზიდა. არასოდეს არ ყოფილა ისე ერთიანი და მთლიანი ხალხის, სახელმწიფოსა და მწერლობის ინტერესები, როგორც ჩვენს დროში. ქართველმა ხალხმა, თავის საფიცარ კლასიკოსებთან ერთად, შეიყვარა თანამედროვე საბჭოთა მწერლობის გამოჩენილი ოსტატები სწორედ იმის მეოხებით, რომ ისინი ჩვენი ხალხის, ფიქრის, ოცნების, მისი თანამედროვე სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტი გამომსახველნი გახდნენ, ისე, როგორც თავის დროზე აკ. წერეთელი; ჩვენი მოწინავე თანამედროვე მწერლობა არა მარტო გამოსახავს ჩვენი ხალხის ცხოვრებას, არამედ წინ მიუძღვის მას და ზრდის საბჭოთა ხალხს ეპოქის მოწინავე იდეალებით.

საბჭოთა მწერლობისათვის ცოცხალი და მოქმედი მაგალითია სახელოვანი წინაპარი აკ. წერეთელი. იგი ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს მწერალი თავის ქვეყანას, და ამავე დროს იყოს დაუცხრომელი მომღერალი, მგზნებარე მებრძოლი და პროპაგანდისტი ხალხთა ძმობისა.

თანამედროვე ქართული პოეზია, მისი პოეტური ინვენტარი, მისი მხატვრული მეტყველება არავისგან ისე არ არის დავალებული, როგორც ილიასა და აკაკისაგან. ჩვენი აზროვნება, ჩვენი ლექსიკა ილიასა და აკაკის სულიერ სალაროში იჭედება, ყალიბდება და ფორმდება. მათ ლექსებს, მათ აზრებს ვიზეპირებთ და ვიმეორებთ. თანამედროვე სალიტერატურო ქართული უთუოდ აკაკისა და ილიას ქართულია. ილიამ და აკაკიმ ქართველი ხალხისაგან ისესხეს მანერა მეტყველებისა. ხალხის დაულეველ სალაროში ამოკრიფეს მანერა წერისა, ხალხის მეტყველება სალიტერატურო მეტყველებად აქციეს, ხოლო მათ მიერ შექმნილი და გამოჭედილი ეს

სალიტერატურო ქართული ხალხსავე დაუბრუნეს. მთელი თაობები აღიზარდნენ ამ სალიტერატურო ენაზე.

ჩვენი სკოლის, ჩვენი დაწესებულების, მხატვრული და სამეცნიერო ინტელიგენციის ენა, უპირველეს ყოვლისა, ილიასა და აკაკის ენაა. ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩინებულ ქართულ სალიტერატურო ენას, აკაკისა და ილიას ენას. თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ, დავიცვათ, განვავითაროთ, გავამშვენიეროთ, გავამრავალფეროვნოთ. ამ საქმეში უპირველეს ძალას ქართული საბჭოთა მწერლობა წარმოადგენს. თანამედროვე ქართულ ენას ჩვენმა მწერლობამ ისევე სათუთად უნდა მოუაროს, შეინახოს და წინ წასწიოს, როგორც უმწიკვლოდ გადმოგვეცა ეს ენა ჩვენი სახელოვანი წინაპრებისაგან, ჩვენი დიდი ქართველი მწერლებისაგან.

გვიყვარდეს ჩვენი დიდი თანამედროვეობა, ვიყოთ მისი ჭეშმარიტი მხატვარი, იმ ახლადაღორძინებული და გამშვენიერებული საბჭოთა საქართველოს მხატვარი, რომელზე ოცნებას აკაკიმ შეალია თავისი უმწიკვლო ცხოვრება და პოეტური ენერგია. უნდა ვიყოთ ჩვენი სახელოვანი წინაპრის ღირსეული მემკვიდრენი.

საბჭოთა ეპოქის გამოჩენილი მწერლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ 40 წლის მანძილზე დიდებული ქართული მწერლობის ტრადიცია მათ უთუოდ წინ წასწიეს და განადიდეს, გაამდიდრეს იგი თემატიკურად, ახალი ადამიანების ხასიათის გამოსახვით, გაამდიდრეს ახალი ფერებითა და ინტონაციებით. ახალი ეღერა მისცეს ქართულ სიტყვას. ახალ ჰანგზე ააწყვეს მისი მხატვრული ინსტრუმენტი. ყოველივე ეს მოახერხეს იმის მეოხებით, რომ სახელოვნად აგრძელებენ კლასიკური მწერლობის დიდ ტრადიციებს, აკაკისა და ილიას ტრადიციებს.

და მაინც ჩვენი მწერლობის დიდი ტრადიციებით განებივრებული ქართველი საბჭოთა მკითხველი თანამედროვე მწერლებისაგან უფრო მეტს, უფრო დიადს მოითხოვს. ამას მოითხოვს ჩვენი მწერლობისაგან აკაკის დიდი პოეტური აჩრდილი, რომელიც თავს ადგას საბჭოთა მწერლობას, როგორც პატიოსნებისა და ერის უმწიკვლო სამსახურის სპეტაკი მაგალითი.

ლირიკოსი და სარდალი

გრიგოლ ორბელიანს თითქმის საუკუნე გვაშორებს და ეს სრულიად საკმარისი დროა იმისათვის, რომ ღრმად შეგვესწავლა მისი ცხოვრება და შემოქმედება. მისი პოეტური ღვაწლის ობიექტური შეფასება მოგვეცა.

გრიგოლ ორბელიანის პოეტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ერთნი გრიგოლ ორბელიანს აღიარებდნენ „ლექსთა მეფედ", „მეფედ სიტყვისა". მეორენი—გრ. ორბელიანს თვლიდნენ უმნიშვნელო მოვლენად, რომელიც „დამღეროდა უმნიშვნელო გაუგებარი ლექსით" (ეგნატე იოსელიანი—„გრიგოლ ორბელიანი", „ივერია", 1883 წ.). ამ აზრთა სხვადასხვაობას ამძაფრებდა ორი უბრწყინვალესი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ილიასა და აკაკის საწინააღმდეგო აზრები. ილია ჭავჭავაძის აზრით, გრ. ორბელიანი „იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო მეუფე ჩვენი სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა". ასე შეაფასა დიდმა ილიამ გრ. ორბელიანის ღვაწლი მისი დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში. პრინციპულად საწინააღმდეგო აზრის იყო აკაკი. გრ. ორბელიანის დასაფლავების დღესვე მისი მეხოტბეების მიერ წარმოთქმული სიტყვები მან „გაზვიადებულად და შეცდომად მიიჩნია", ხოლო უფრო გვიან იგი წერდა: „დიდებული ჩამომავლობის, მთავრობის მაღალხარისხოვანი ხელოვნიანი, ბუნებითაც დიდი ნიჭიერი იყო გრ. ორბელიანი!.. მაგრამ არც ერთ ამ ღირსებათაგანს ნაყოფი არ მოუტანია სამშობლოსათვის: როგორც საისტორიო გვარიშვილს, ისტორიული არა დაუტოვებია რა, როგორც მაღალხარისხოვანს—ქვეყნისთვის არა გაუკეთებია რა და, როგორც, დიდბუნებოვან მგოსანს—მწერლობაში კვალი არ დაუსვამს". როდესაც ამ

სტრიქონებს წერდა, აკ. წერეთელს მხედველობაში ისიც ჰქონდა, რომ ორბელიანმა მთელი თავისი ნიჭი, ენერგია და დრო მწერლობას არ მოახმარა, ქართულ ლიტერატურას რაოდენობრივად ცოტა შესძინა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოეტის ღირსება, მისი ადგილი ლიტერატურაში ვერ დაფასდება ნაბეჭდი ლექსის რაოდენობით. მართალია, გრ. ორბელიანის მოღვაწეობა მარტოოდენ სამწერლო ასპარეზით არ განისაზღვრება. კიდევ მეტი მან თავისი ენერგიის უდიდესი ნაწილი, მეფის რუსეთის სამხედრო და სახელმწიფოებრივ სამსახურს მოანდომა და ამან უთუოდ ერთგვარი გავლენა მოახდინა მის პოეტურ ნაყოფიერებაზე. მიუხედავად ამისა, ქართულ მწერლობაში მას საკუთარი პოეტური ხმა ჰქონდა და საგრძნობი გავლენაც მოახდინა მთელი ჩვენი მწერლობის შემდგომ განვითარებაზე.

გრ. ორბელიანის პოეტური სახელი ახალი ქართული ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესს დაუკავშირდა და აქ მან დიდი როლი ითამაშა ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში.

გრ. ორბელიანის შემოქმედება. მეტად რთული სამყაროა. ამ სირთულეს ორი მხარე აქვს; გრ. ორბელიანი — ბრწყინვალე ლირიკოსი, მებრძოლი პატრიოტული ლექსების ავტორი და გრ. ორბელიანი — მეფის რუსეთის სახელგანთქმული სარდალი, კავკასიის მთავარმართებელი. ქართულ ლიტერატურაში ეს ორ საწინააღმდეგო პოლიუსად იყო მიჩნეული. იგი ერთგვარად გაორებულ პიროვნებად მიაჩნდათ, მაგრამ თუ საკითხს ღრმად ჩავუფიქრდებით, ჩვენ არც გაორებასთან გვაქვს საქმე და არც წინააღმდეგობასთან.

გრ. ორბელიანი, ეს უაღრესად ნაზი რომანტიკოსი, სათუთ პოეტურ გრძნობას უთავსებდა სასტიკი და მრისხანე სარდალის ვაჟკაცურ ბუნებას. გენერალი, „ავარიის ხანი", შეუბრალებლად უმასპინძლდებოდა მტერს, რომლისთვისაც „კაცის თავისჭრა სიამოვნების მომგვრელ გრძნობად გამხდარიყო". ვინც ამ ასპექტით აფასებდა გრ. ორბელიანს, ცხადია, ის გაორებულადაც მიიჩნევდა ჩვენს სახელოვან პოეტს, მაგრამ აქ საჭიროა ერთგვარი ისტორიული პერსპექტივა გავითვალისწინოთ. მე-19 საუკუნის მიწურულის საქართველოსათვის, ოსმა-

ლეთ-ირანის მტრულ გარემოცვაში მყოფი სახელმწიფოსათვის. მწვავედ დაისვა საკითხი: ან უნდა განეგრძო სისხლისმღვრელი ომები, ანდა მოენახა ძლიერი მოკავშირე და ისლამის ბნელეთის მოციქულების წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა დაეცვა. ფიზიკურად დაუძლურებული ფეოდალური საქართველოსათვის მწვავედ დადგა საკითხი. სამ სახელმწიფოთაგან:—ოსმალეთსა, ირანსა და რუსეთს შორის არჩევანი მოეხდინა. მეფე ერეკლეს დიდი სიბრძნე იმაში გამოიხატა, რომ განსაცდელის ჟამს მან სწორად განსჭვრიტა საქართველოს ისტორიული ბედი და იგი ერთმორწმუნე, ძლიერ რუსეთს დაუკავშირა. და აქ არა მარტო რელიგიური პრინციპი წყვეტდა საკითხს, არამედ უფრო კულტურული. რუსეთი უფრო პროგრესულ ძალას წარმოადგენდა, რომლის ფრთებქვეშ საქართველოს შეეძლო უზრუნველეყო ფიზიკური გადარჩენა და ეკონომიური განვითარება. ისტორიამ სავსებით დაადასტურა ამ გადაწყვეტილების სისწორე. და მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წარმოადგენდა მეფის რუსეთის კოლონიას, მეფის რუსეთისა, რომელიც ხალხთა ნამდვილი საპყრობილე იყო და, რომელსაც არ შეიძლება არ გამოეწვია ქართველი ხალხის უკმაყოფილება და პროტესტი ეკონომიური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ეს იყო ერთადერთი საშუალება საქართველოს გადასარჩენად. ამაში მალე დარწმუნდა თვით მეფე ერეკლეს დინასტიის ახლობლებიც, რომელთა წრეს ჩვენი სახელგანთქმული პოეტი გრიგოლ ორბელიანიც ეკუთვნოდა. და აი, გრ. ორბელიანს საშუალება მიეცა, ლეკების წინააღმდეგ მახვილი აღემართა, როგორც სარდალს. ამ საომარ ოპერაციებში მას საკუთარი სამშობლოს ბედიც მუდამ თვალწინ ედგა. აგონდება ის საშინელი რბევა-აწიოკება, რომელიც ლეკთაგან ქართლ-კახეთს გადახდენია. როგორც სამართლიანად შენიშნავენ საქართველოს ისტორიის ავტორები, „ლეკიანობა“ მისი ჩვეულებრივი სახით მართლაც რომ მოთხრას უქადდა ქვეყანას მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. ლეკების ეს ბოლომოუღებელი თარეში და საქართველოს აოხრება კარგად ახსოვდა გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის თაობას. ამითაც აიხსნებოდა, რომ ისინი ასე გულწრფელად მიესალმნენ შამილის წინააღმდეგ

რუსეთის ამ საომარ ოპერაციას. ერთ პირად წერილში გრ. ორბელიანი წერდა: „დღეგრძელობა შენ გქონდეს, რომ მე ისინი (ლეკები—ს. ჭ.) დათვსავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი ავიღე". ამ შემთხვევას გრ. ორბელიანი არა ერთ გზის იგონებს პირად წერილებში. როგორც ჩანს, ეს საერთო აზრი ყოფილა იმ დროის მოწინავე ქართველი ინტელიგენციისა. გრ. ორბელიანის პირად წერილებში გამოხატული ეს განწყობილება დადასტურებულია ნიკ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსით—„ომი საქართველოს თავად-აზნაურთ—გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს, მძღვანელობასა ქვეშე გუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა", რომელშიც ვკითხულობთ:

ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა,
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა,
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა.

გრ. ორბელიანის, როგორც მეფის სარდლის ბრძოლა ლეკებისა და ჩეჩნების წინააღმდეგ, შთაგონებული იყო საქართველოს ისტორიული მოქიშპეების წინააღმდეგ შურისძიებითაც. ამგვარად, აქ გრ. ორბელიანს, როგორც პატრიოტ პოეტსა და მთიელთა დამპყრობ მეომარს შორის წინააღმდეგობაზე ლაპარაკი საფუძველს მოკლებულია.

მეორეს მხრივ, წინააღმდეგობას არ ვხვდებით მაშინაც. როდესაც გრ. ორბელიანის პატრიოტულ ლექსებს განვიხილავთ და მის სამხედრო მოღვაწეობასა თუ მეფის რუსეთთან გულწრფელ დამოკიდებულებას ვუპირისპირებთ.

გრ. ორბელიანის ბავშვობამ და პოეტური ჩამოყალიბების ხანამ განვლო მღელვარე პოლიტიკურ ატმოსფეროში. ეს იყო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მეფის რუსეთის მმართველობის განმტკიცების პერიოდი. ეს გარდატეხის ხანა მწვავედ განიცადა გრ. ორბელიანმა.

გრ. ორბელიანი წარმოშობით, მთელი თავისი ცხოვრებითა და შეგნებით საქართველოს მაღალი არისტოკრატიის, ბაგრატიონთა შტოს განეკუთვნებოდა. პოეტის მამა, დიმიტრი ორბელიანი, ცნობილი ფეოდალის ყაფლან ორბელიანის შთამომავალია. ამიტომაც ხშირად არისტოკრატული თავმომ-

წონებით აცსადებდა პოეტი—ყაფლანის შვილი გახლავარო. დედა პოეტისა—ხორეშანი მეფე ერეკლეს შვილიშვილი იყო. ერეკლეს ხსოვნა, დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მოგონება ჯერ კიდევ შეუბღალავი რწმენით ცოცხლობდა გრ. ორბელიანში. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს იმისთანა დრო იყო, როცა ჯერ კიდევ ცხოვრებას ზედ ემჩნეოდა წყლულნი და დაკოდილობანი. მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის ქარს ვერ გაეფანტა მათ მიერ მოდენილი ნაღველი, მწუხარება და სასოწარკვეთილება“. გრ. ორბელიანი, როგორც პოეტი და მოქალაქე, ბოლომდე დარჩა თანმიმდევარი თაყვანისმცემელი მეფე ერეკლეს ივერიისა, და სწორედ აქ პოულობს ახსნას გრ. ორბელიანის პოეზიის ძირითადი ხაზი. სრულიად ბუნებრივია, რომ ერეკლეს საქართველოსთან ასე ინტიმურად დაკავშირებული გრ. ორბელიანი ადვილად ვერ შეურიგდებოდა რუსეთის კოლონიალურ პოლიტიკას და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად იგიც აქტიური მონაწილე ხდება მეფის რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებისა. მთელი რიგი დოკუმენტები ადასტურებენ გრ. ორბელიანის კავშირს 1832 წლის შეთქმულებასთან. შეთქმულების მომზადებისა და ორგანიზაციული მუშაობის პერიოდში გრ. ორბელიანმა დასწერა რამდენიმე პატრიოტული ლექსი: „მისი სახელი კიცხვითა“, „ჰეი, ივერიავ“, „ნალივაიკოს აღსარება“, „იარალის“. ამ ლექსებში აშკარაა შეთქმულთა პოლიტიკური იდეალების კვალი. მაგრამ მას შემდეგ, რაც შეთქმულება დამარცხდა გრ. ორბელიანი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც აღიარა „თავისი შეცდომა“ და მეფის რუსეთის ერთგული მოხელე გახდა: მისი რწმენით, ივერიის დიდების აღდგენა მხოლოდ მეფის რუსეთის საშუალებით იყო შესაძლებელი. მთელი თავისი შეგნებით და პოლიტიკური მრწამსით იგი დარწმუნებული იყო „მეფის კეთილ სურვილებში“ და მისგან მოელოდა საქართველოს და მისი წარჩინებული წოდების გადარჩენას. პირად ბარათებში იგი ხშირად აღნიშნავს მეფისა და მისი დამპყრობელი გენერლების კეთილ სურვილს საქართველოს მიმართ. „საქართველო დიდ ბედნიერ არს,—სწერდა გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას 1842 წელს,—რომ

ხელმწიფემ ინება გამოგზავნა ამ კაცების, ე. ი. ჩერნიშოვისა და როზენის, რომელთა გულით სურთ კეთილდღეობა ამ მხარის. ღმერთმა ადღეგრძელოს ხელმწიფე და მასთან ესენიც". მეორეგან წერდა: „მოდის თქვენსკენ მთავარმართებელი კნიაზ ბარიატინსკი, კაცი ღვთისაგან დალოცვილი სუყოლისფრით, გულით, გონებით, კეთილი განზრახულობით, მოდის დიდი სიყვარულით, დიდი სურვილით საქართველოს გაბედნიერებისათვის. ღმერთმა მისცეს შემწეობა თავისი სიცოცხლე აღსრულებისთვის ყოვლისა მისი, რაიცა მიამბო თავის პლანებიდან. ხელმწიფეს და თვით ღმერთს ყვარებია საქართველო. რომ ეს კაცი გამოგზავნა აქ მთავარმართებლად. აბა, რაც შეგეძლოთ, მხიარულებით მოეგებენით, ზურნით, ნაღარით, ცხენის ჭენებით, ყიჟინით, ვინც როგორ იცოდეთ, ისე მოეგებენით სულ ბაირაღებით". ეს სიტყვები კომენტარს არ მოითხოვს. გრ. ორბელიანს სწამდა და სჯეროდა, რომ საქართველო და, კერძოდ, მაღალი არისტოკრატიის დიდება დამოკიდებული იყო მეფის რუსეთზე. გრ. ორბელიანი, მეფის რუსეთის ექსპანსიის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლი, პოეტი თუ შემდეგ მეფის რუსეთის ტახტის ერთგული მოქალაქე, მუდამ ერთი იდეითაა შთაგონებული, რომ საქართველოში კვლავ აღდგეს თამარის დღენი, დიდების დღენი. ამის მიხედვით გრ. ორბელიანის შემოქმედებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას შორის წინააღმდეგობა არ გვაქვს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გრ. ორბელიანის ეს პატრიოტიზმი ერთგვარად სუბიექტურად განსაზღვრულია ვიწრო კლასობრივი თვალსაზრისით.

გრ. ორბელიანი უთუოდ ფეოდალთა წრის პოლიტიკურ მრწამსს გამოხატავდა. მისი პატრიოტიზმი სუბიექტურად, ყაფლანიანთა გვარის ტრაგედიას უკავშირდებოდა. ჩვენის აზრით, რამდენადმე გადაჭარბებულია, თუმცა მაინც ობიექტურია აკაკი წერეთელი, როცა წერს: „იმას ხალხისა და ცხოვრების... იმდენად სწამდა საქართველო, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისთვის, და თუ ეს არ იქნებოდა, ქვა ქვაზედაც ნულარ ყოფილიყო". ეს ვიწრო არისტოკრატული ტრაგედია განსაკუთრებით მწვავედ განიცადა გრ. ორბელიანმა სიბერის ჟამს. უკანასკნელ წლებ-

ში ორბელიანმა მწვავედ იგრძნო სასიკვდილოდ განწირული თავისი წოდების აგონია. 1872 წელს ღრმად შეწუხებული პოეტი წერდა თავის რძალს სოფიოს: „ვხედავთ ჩვენი ოჯახის ესრეთ გაწვალებას, ესრეთ გაოხრებასა... ასე საშინლად ისჯება ჩვენი გვარი... სახსენებელი ჩვენი ოჯახისა გაქრა, ვითარცა სიზმარი". ხოლო გარდაცვალების წინა წელს პოეტი წერდა: „...სულ ტყუილია ჩვენი მეცადინეობაც, ჩვენი სურვილიც, ცხადად ჩანს რისხვა ღვთისა, ჩვენზე მოვლინებული და ვიღუპებით, აღარავინ გვეგადება, აღარავინ გვეზრდება, ხმა საიდუმლო მესმის: აქამდის იცოცხლეთ, კმარა, გეყოფათ, აიყარენით".

გრ. ორბელიანის პოლიტიკური მრწამსი, მისი სუბიექტური კლასობრივი თვალსაზრისი ამ წერილებში ნათლად არის გამოხატული, ასეთივე განწყობილებაა გამოვლინებული მისი ლექსების ერთ ნაწილშიაც. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვიწრო სუბიექტური თვალსაზრისი პოეტისა დიდი მხატვრის ხელში ობიექტურად ხშირად ამაღლებული და განზოგადებულია ისე, რომ მისი სურვილისდა წინააღმდეგ ხშირად დაკარგული აქვს ეს ვიწრო თვალსაზრისი. როგორც ლენინი გვასწავლის, დიდი მხატვარი სწორედ იმიტომაა დიდი, რომ ის აუცილებლად გამოხატავს თავისი ეპოქის, თავისი საზოგადოების აქტუალურ თვალსაზრისს და ისე, როგორც მცდარმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა ლევ ტოლსტოის ხელი არ შეუშალეს გამხდარიყო „რუსეთის რევოლუციის სარკე", ასევე ნაწილობრივ, გრ. ორბელიანმაც მოახერხა თავისი დროის პროგრესული საზოგადოებრივი საკითხების გაშუქება მოწინავე პოზიციების თვალსაზრისით. სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო და აქტუალური ჩვენთვის გრ. ორბელიანის პოეზია.

გრ. ორბელიანის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პატრიოტიზმის მოტივს. მან პირველმა მძლავრად მიგვახედა საქართველოს წარსულისაკენ და განზოგადებული, ამაღლებული პატრიოტული სურათები დაგვიხატა ჩვენი ხალხის ცხოვრებისა. ხშირად ის ერთგვარ მებრძოლ პატრიოტიზმსაც იჩენდა და საერთოდ როგორიც არ უნდა ყოფილიყო გრ. ორბელიანის სუბიექტურ-კლასობრივი მიზანსწრაფვა, თავისი ზოგა-

ული პოეტური ჩანაფიქრით მის ლექსებს უაღრესად პატრიოტული ელფერა ჰქონდა. ამ ლექსებს შორის საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ „იარალის“. გრ. ორბელიანმა 1832 წელს ნოვგოროდში დასწერა ეს უბრწყინვალესი ლირიკული ლექსი. ადრესატი ამ ლექსისა იარალი შანშიაშვილია, ერთი დარდიმანდი, ყარაჩოხელი კაცი, რომელიც 1806 წელს თან გაჰყოლია რუსეთში გადასახლებულ ფარნაოზ ბატონიშვილს. 1832 წელს გრ. ორბელიანს პეტერბურგში გაუცვნია ეს განთქმული დამკვრელი და მომღერალი. ძველი ივერიის ტრუბადურს დიდი გავლენა მოუხდენია ახალგაზრდა პოეტზე. ამ შთაბეჭდილების შედეგია ეს ნაწარმოები. გრ. ორბელიანს ეს ლექსი ნოვგოროდიდან გაუგზავნია იმჟამად პეტერბურგში მყოფ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე სალომესადმი და იარალი შანშიაშვილისადმი. სალომე ჭავჭავაძე გრ. ორბელიანს სწერს: „თქვენი წიგნი და მშვენიერი ლეკური, ჩემთან და იარალისთან წარმოგზავნილი, მივიღე. ისე ღმერთმა შეხ გაცოცხლოს, შენმა მშვიდობის ამბავმა ჩვენ ყველანი გვასიამოვნა და ძვირფასთა ლექსთ ჩვენ დაგვატკბეს“. სალომე თბილისში მალე დაბრუნდა და თან ჩამოიტანა ლექსიც, რომელიც ერთბაშად გავრცელდა შეთქმულთა წრეში. პოეტი ვახტანგ ორბელიანი ჩვენებაში წერდა, გრიგოლ ორბელიანოვის ლექსი, სათაურით „იარალისადმი“, წასაკითხად გადმომცა გენერალ-მაიორ თავად ჭავჭავაძის მეუღლემო.

„იარალის“ არა მარტო ძველი დროის რომანტიკული მოგონებაა, არამედ საბრძოლო მოწოდებაა ძველი ივერიის აღსადგენად. ამ ლექსში ძველი ივერიის მოგონება, ბატონიშვილთა განცხრომითი ცხოვრების მოგონება თავისებურად შეერთვის მამულისათვის თავგანწირვის „დაკარგული თავისუფლების აღდგენისათვის ბრძოლის მოწოდებას“. პოეტი შესტრფის იმ დროს, როცა „ივერნი, ლომგულნი, გმირნი ბრძოდენ, ცხოვრობდნენ დროსა წარსულსა“. პოეტი შარავანდედით მოსავს წინაპართა დიდებას, მათ ვაჟკაცურ შემართებას:

დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა
შესწირა მსხვერპლად.
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი
გულს აღბეჭდილად.

ამას მოსდევს მომწოდებელი სტრიქონები პოეტისა:

ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმას აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?

ამ ლექსში გამოთქმული თამამი აზრები, შეუდრეკელი მებრძოლი განწყობილება, რომელშიც ასე აშკარა იყო მოწოდება უსულგულო ვეშაპის — ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ, ზედმიწევნით ეხმაურებოდა შეთქმულთა განწყობილებებს. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ ამ ლექსმა ხელისუფალთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. გრ. ორბელიანი თავის ჩვენებაში ამაოდ შეეცადა გაენელებია ლექსის პოლიტიკური სიმახვილე, რომლის გამო აიტაცა ის მკითხველმა. იგი წერდა: „ჩემი ლექსი „იარალის“ მხოლოდ სახუმაროა, დანაშაულობას არაფერს შეიცავს და ყურადღების ღირსი არ არის“. ასევე იარალი შანშიაშვილი აჩვენებდა, თუმცა თავად გრიგოლ ორბელიანს ვიცნობ, მაგრამ მის ლექსზე „იარალის“ არაფერი გამიგონიაო. ამ მოქმედების მიზანი იყო, როგორმე შეენელებიათ ლექსის პოლიტიკური და პატრიოტული შინაარსი. სამართლიანად წერდა ილია ჭავჭავაძე: მან პირველმა მოგვახედა მამულისაკენ გულისდამწველი სიტყვებით „ვინა ვყოფილვართ და რანი ვართ“. მამულიშვილობას გრ. ორბელიანმა შთაბერა ღონიერი სული, რომელმაც როგორც 60-იან წლებში, ისე მერმეც ჩვენს პოეზიას დიდი სიგრძე და განი მისცაო.

გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი ეს შეთქმულების ხანა იყო. საკმარისია ითქვას, რომ გრ. ორბელიანს ამ წლებში დაუწერია ორმოცამდე ლექსი, ე. ი. ნახევარზე მეტი. მაგრამ აქ საქმე მარტო რაოდენობაში როდია. ყველაზე საუკეთესო პოეტური ქმნილებანი, მებრძოლი, პატრიოტული ლექსები, სწორედ ამ პერიოდშია შექმნილი. ამ ლექსების რადიკალური სულისკვეთება გრ. ორბელიანს გვიხატავს, როგორც რომანტიკოსს, პატრიოტ ლირიკოსს. ისეთი ლექსები, როგორიც არის „იარალის“, „ნალივაიკოს აღსარება“, „სადღეგრძელო“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, მუდამ დარჩება ქართულ ლიტერატურაში,

როგორც უბრწყინვალესი ნიმუშები პოეტური სიტყვისა. ლექსები, რომელშიაც თავისებურად არის გადმოცემული პატრიოტული მრწამსი პოეტისა. წარსული სურათების გაცოცხლებით, ძველი ივერიის ბრწყინვალების აღწერით გრ. ორბელიანი ცდილობდა მკითხველში გაეღვიძებია სამშობლოს სიყვარული. ამ მოგონებაში უპირატესობა ძველისა, გარდასულისა, წარსულისა, რომანტიზირებული სახით იყო წარმოდგენილი. გრ. ორბელიანი ტიპიური რომანტიკოსი იყო.

ოდეს ოხვრით მაგონდების სანატრელი დღე წარსული,
გონება ვერ მიპოვნია, სანუგეშოდ ვერცა ცრემლი.

ამაოდ შესჩიოდა თანამედროვეებს. „განა არ გახსოვთ ძეთა შენთა ხმალთა გრიალი, ძლევათა, მათგან როს დიდებით იყავ მოსილი“.

გრ. ორბელიანის პოეტური თვალი წარსულს გაჰყურებს, იქ ეძიებს დიდების ნაშთს. დიდის მღელვარებით აგვიწერს მგოსანი წარსულის სურათებს. იგი ახდენს პოეტურ იდეალიზაციას ძველი ივერიის თავდადებული გმირებისა. საგულისხმოა ამ მხრივ პოემა „სადღეგრძელო“. აქ წარმოდგენილი გმირები ძველი ივერიის რომანტიკული სულით ცოცხლობენ. დიდი პოეტური გზნებით აღადგენს მგოსანი მათს ვაჟკაცურ შემართებას. აქ ყოველ სტრიქონს იქით, თვალის მომჭრელი სილამაზინ წარსულის ფონზე ჩანს არა მარტო აღტაცება და დიდი სულიერი მღელვარება პოეტისა, არამედ აწ გარდასული დიდების აღსასრულით გამოწვეული სევდის მომგვრელი განწყობილებაც. ფარნაოზ მეფით დაწყებული ვიდრე ერეკლე მეფემდე, რომელთანაც ერთად ჩაესვენა დიდება ივერიისა, იხურება საქართველოს დიდების წიგნი და ამ წიგნის ყოველი სტრიქონი ქებით, ხოტბით აღადგენს ისტორიის პანთეონიდან გაცოცხლებულ გმირებს.

ყოველ მწერალს აქვს ნაწარმოები, რომელიც მის ერთგვარ პოეტურ პროგრამას წარმოადგენს; ნაწარმოები, რომელშიაც ყველაზე უფრო ნათლად არის გამომჟღავნებული პოეტის კრედო. სწორედ ასეთ ქმნილებათა რიცხვს ეკუთვნის „სადღეგრძელო“. ეს პოემა თავისებურად გალექსილი ქართლის ცხოვრებაა. პოეტი გულისტკივილით სცნობს, რომ

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორია ერეკლე მეფის ღვაწლით დასრულდა, „მასთან ერთად დაემხო ძველი ივერი“. ეს ვაჟკაცური ისტორია დიდი პატრიოტული მგზნებარებით არის გაცოცხლებული პოეტის მიერ:

> გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
> თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომაელობა.
> თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება,
> მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰწედება.

ასე ამაღლებულად გვიხატავს პოეტი წარსულის გმირთა ვაჟკაცურ საქმეს. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტია და გრ. ორბელიანი, ეს დიდი რომანტიკოსი წარსულისა, იძულებულია ბედს შეურიგდეს, რეალისტის თვალით შეხედოს უკვე მომხდარ ფაქტს. მის წინაშე ბუნებრივად ისმება კითხვა: სად არის გამოსავალი? სად არის ხსნა ქართლის ბედისა? გრ. ორბელიანის აზრით, საქართველოს ერთადერთ ხსნას, მეფის რუსეთი წარმოადგენს. ამიტომ პოეტი მოწიწებით სვამს რუსეთის მეფის სადღეგრძელოს. ძველი ივერიის მეხოტბე იძულებულია აღიაროს, რომ „გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა შენდა შესაფერ შესაწირავად. ტაძარი შენი სდგას გულსა ჩვენსა, მოვედ მშვიდობის ჩვენდა საკმევად. ძველი ივერი, შენი ივერი, შენდა მოჰმართავს თვალსა და გულსა“. ამ გზით მოელის პოეტი საქართველოს ხსნას. ძველი დიდების აღდგენას:

> თამარის დღენი, დიდების დღენი,
> შენ მოუვლინე შენსა ივერსა.

მაგრამ ეს ხელს როდი უშლის გრ. ორბელიანს პათეტურად განაცხადოს:

> სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
> ერი—გულადი, პურადი, მებრძოლი შავი ბედისა,
> შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
> იგი მხნე, იგი მღერალი, მოყვარე თავის მიწისა.

„სადღეგრძელოში“ გვაქვს გრ. ორბელიანის რომანტიზმის სხვა ელემენტებიც, მოვლინებული მთელი სისრულით. იქნება ეს სიყვარულის რომანტიკული გაცოცხლება, თუ ბუნების დიდებული ჰიმნი. ამ ლექსის გვირგვინია ადამიანის მოვალეობის ამაღლებული გამოხატვა:

სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა,
მის სადიდებლად ჩვენც შევეხვედეთ უშიშრად ათასს მახვილსა,
და მოვეკვდეთ, თუკი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა.

გრ. ორბელიანის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს სატრფიალო ლირიკას, რომლისთვისაც პოეტის პირად სამიჯნურო გატაცებას მნიშვნელოვანი კვალი დაუმჩნევია. პოეტი გამოხატავს სიყვარულის უნაზეს გრძნობას. გამოხატავს მას საკმაოდ განზოგადებულად და ამაღლებულად. გრ. ორბელიანმა თავისებურად გააერთიანა აღმოსავლური ხორციელი გრძნობა რომანტიკოსების სიყვარულის უკვდავების გაგებასთან, სულიერის უპირატესობის აღიარებასთან. პოეტი კატეგორიულად აცხადებს:

რა უნდა აქვნდეს სულსა უკვდავი,
თუ მასში განჰქრეს კვლავ სიყვარული.

სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს და ვისაც ძვირად უღირს სიცოცხლე, არ უნდა იშურებდეს ტანჯვასა და მსხვერპლს.

ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა,
დამბერველ ეშყის ცეცხლისა,
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი
უზომო სიყვარულისა.

გრ. ორბელიანმა სიყვარულის რომანტიკული გაგება დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურაში. პოეტი წერდა:

რაა გინდ მოჰკვდე? მაინც შენდამი სულს სიყვარული თანა წაყვება,
არს უკვდავება სულის დატკბობა, რომელს დასასრულ არა ექმნების.
მაშ სახე, სულის დამატკბობელი, იმიერ სოფელს არ განგვშორდების
და სიყვარული სულის მაშვენი სიცოცხლესთანა არა დაჰშრტების.
და სიყვარული სულის მაშვენი სიცოცხლესთანა არა დაჰშრტების.
მომცეს ?

სიყვარულის ასეთი გაგება რომანტიკულია, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ამასთან ერთად გრ. ორბელიანის პოეზიაში გვხვდება სიყვარულის ხორციელი განცდა. ამ შემთხვევაში საიათნოვასა და ბესიკის ხმა თავისებურად განავითარა გრ. ორბელიანმა. პოეტი ამბობს: „დალუპე ეშხში და ღვინოში ყოველ სიმწარე“, რომანტიზმის ფილოსოფიასთან

აქ კარგად არის შერწყმული აზიური ბოჰემის კულტი. ეშხზე მოსული პოეტი აცხადებს:

თოვლ-ღვინო — შენი ღაწვნი,
მათზედ გადაშლილ ზილფნი,
შენი წელი—კიპაროზ!
და შენი ხმა—სირინოზ.

გრ. ორბელიანის შემოქმედებაში თბილისური, დარდიმანდული, ყარაჩოხულ-აშუღური პოეზია მთელი ეშხით ცოცხლობს: იგი უაღრესად რეალისტურად და ხელშესახებადაა დახატული. პოეტი იზიარებს ბეჟანა მკერვალის ფილოსოფიას:

ვითა პეპელა სხვადასხვა ყვავილისა
ზედა დაფრინავს და ჰსვავს მათგან სუნნელსა.

ვნებას აყოლილ ბეჟანას სატრფოები ერთმანეთში ერევა:

მებლანდების თვალებში ზოგის წელი,
ზოგის ხვეენა, ზოგის ალერსი ტკბილი,
ნეტარ მათთან ლხინში აღმომხდეს სული.

ყარაჩოხელთათვის დამახასიათებელი როდია მწვავე კოლიზია და სატრფოს ღალატით გამოწვეული ტრაგედია. მათთვის „სანატრელ არს სიმრავლე დღეთა, რათა სიყვარულისა სარტყლით მოვალს სიცოცხლე მისი, ვითა მაისი ნეტარებითა აყვავდეს ახლა". ისინი პეპელასავით იცვლიან შეყვარებულებს. მათი ნაზი ტრფიალება, სატრფიალო ლექსიკა ხშირად მოუხეშავი და ტლანქია.

ვინც გაიცლის, მკითხავს, აქ რას აკეთებ?
შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა?
მითილი ხარ, თორემ არა მკითხავდი,
მოდი ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე.
ჩემი დარდი, თვალისჩინი აქ არის
ერთი მითხარ, მე სად უნდა წავიდე?
თვალის ჩინო, დროა რომ შემიბრალო,
მომარჩინო ამდენ დავიდარაბას!

მაგრამ მაინც იმდენი გულწრფელობაა ამ სიყვარულში, იმდენი პირდაპირობა და უშუალობაა, რომ მკითხველს ყურადღება სიტყვიერ მასალაზე როდი გადააქვს. თუმცა ისიც

უნდა აღინიშნოს, რომ ეს აზიელობა ხშირად გარომანტიულებული, მოკრძალებულია:

> რას გაწუხებ, მე ჩემთვისა იქა ვარ,
> ჩემთვის ჩუმად ვამბობ „რა ლამაზი ხარ!"

გრ. ორბელიანმა გულწრფელად უმღერა ამ თბილისელ დარდიმანდებს, ყარაჩოხელებს. ეს მოქეიფე დარდიმანდები, შეყვარებულები, ორთაჭალის ბაღში თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშით, პოეტმა ღვინისა და ეშხის ადამიანებად დახატა. ხშირად მათ გვერდით, მათ შორის პოეტიც სევდას იქარვებს, ტოლისა და მეგობრის როლში ხატავს მათ. იარალი, ბეჟანა მკერვალი, „ლხინის პაპა", „ალავერდა" ტოლებში როდი ჰყავს გამორჩეული, მაგრამ, ჩვენის აზრით, აქ მაინც საქმე გვაქვს ერთგვარ ჰუმორთან არისტოკრატი მწერლისა მდაბიოთა მიმართ. აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მისი ფიქრი ლხინი იყო, მისი უბედურება ულხინობა" და ამ უბედურების განსაქარვებლად მიმართავდა მათს რომანტიკულ გაცოცხლებას. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს იყო თავისებური გახუმრება და მოგონება განცხრომის დღეებისა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გრ. ორბელიანის შემოქმედებაში თავს იჩენდა 60-იანი წლების ახალი თაობის დემოკრატიული ნაკადის გავლენაც. თუმცა გრ. ორბელიანი მკაცრად თავს დაესხა „შვილების" ბანაკს, მაგრამ მის შემოქმედებაში მაინც გამოძახილი ჰპოვა ამ თაობის ახალმა ხმამ. ამ ელემენტების გავლენასთან გვაქვს საქმე „სადღეგრძელოს" მეორე ვარიანტში. ამავე გავლენით აიხსნება მისი ცნობილი ლექსი „მუშა ბოქულაძე". თუმცა ამ ლექსს არ აკლია სოციალური სიმძაფრე, არც საღებავების სიჭარბე, მაგრამ ბოქულაძე მაინც ყარაჩოხელის სოციალურ შტოს წარმოადგენს და არა მუშისა. გრ. ორბელიანის პოეზიისათვის საზოგადოდ არ არის დამახასიათებელი ის სოციალური მოტივი, რაიც ახალი თაობის მონაპოვარს შეადგენდა. ბოქულაძის მაგვარი სოციალური მოტივი ორბელიანის წინაპერიოდის ქართულ ლიტერატურაშიაც გვხვდება.

შემთხვევითი როდი იყო, რომ 70-იან წლებში გრ. ორბელიანი მკაცრად ილაშქრებდა ილიასა და აკაკის წინააღმდეგ,

საერთოდ, ახალთაობის წინააღმდეგ და ამ უთანხმოებას ღრმა იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა უთუოდ. გრ. ორბელიანი მამების, არქაისტების, ძველი ივერიის ერთგული თაობის მეთაურად გამოდიოდა და ამ ხაზით ის უპირისპირდებოდა ილიას თაობის დემოკრატიზმს, როგორც სამწერლო ენაში ისე, საზოგადოდ, ლიტერატურაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს გრ. ორბელიანის ლირიკული შედევრები: „ჩემს დას ეფემიას", „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში" და „საღამო გამოსალმებისა". ამ ლექსებში დიდი რომანტიკული გზნებით არის გადმოცემული უიმედობის, ცხოვრების ამაოების, მარტოობის, სულიერი ობლობის აზრი. პოეტი წარსულის მოგონებით და ბუნების აღწერით იოხებს გულს, ეძიებს ნუგეშს, მაგრამ შვებას ვერ პოულობს და პოლიტიკური კატასტროფით სასოწარკვეთილი ქვითინებს. ეს მელანქოლია განსაკუთრებით ნათლად ჩანს ლექსებში: „ჩემს დას ეფემიას" და „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში". ამ ლექსთა ყოველ სტრიქონში განწირულების ხმა ისმის. მისი გრძნობის სინაზეში სევდისმომგვრელი სინამდვილე იმზირება. პოეტი ოხვრით იგონებს წარსულს.

სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მის წყეულთა ფრთეთ
და დამცა უფსკრულს ვაებისას უმწედ, უნუგეშ,
სადაც ოხვრანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით,
არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის.

პიროვნულ უბედურებას ზედ დართვია სამშობლოს ბედი. გულმოკლული პოეტი მწარედ მოსთქვამს:

ცრემლმორეული გემთხვევი ფერხთა,
მიხარის—გიმზერ, ვწუხვარ—და გიმზერ.
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე, რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას.

პოეტს ვერც ბუნების დიდებულმა სურათმა, თერგისა და მყინვარის ხილვამ განუქარვა სევდა, წუხილი:

აწ დავჰშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა! არს მწუხარება სულისა, არა აქვს ნუგეში რომელსა,

სჯობს ენა ასდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა ერგოს გულ-წყლელსა?
შეღამდა, მარტო ვზი ჭმუნვით, ჩემი ჩივილი ვის ესმის?

ლექსი „საღამო გამოსალმებისა“ უბრწყინვალესი ლექსია. ქართულ პოეზიაში მან ღრმა კვალი გაავლო. აქ შესანიშნავი რომანტიული ხილვაა ყაზბეგისა, მშვენიერი და მრისხანე თერგისა, საზოგადოდ, ყაზბეგის ბუნებისა. გრ. ორბელიანმა ჩვენს ლიტერატურაში სათავე დაუდო მყინვარისა და თერგის თემას. შესანიშნავი პლასტიკური სურათები შერწყმულია პოეტის გულის ნაზ სატრფიალო ამონაკვნესთან. და ამ ფონზე თითქოს გესმით თერგის ხმაური:

წყალნი, მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ცვივიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!—

და თქვენც ჩუმად იმეორებთ ამ სტრიქონებს.

გრ. ორბელიანის პოეტური სტილი არ არის ერთნაირი. თუ სადმე გრ. ორბელიანი გაორებულია, უპირველეს ყოვლისა, ეს პოეტურ სტილში იჩენს თავს. ქართულ პოეზიაში ახალ მიმართულებას, რომანტიზმს ორბელიანმა მოუპოვა მტკიცე ნიადაგი; მან გაარღვია ტრადიციული აღმოსავლური პოეზიის ნაკადი და ქართული მწერლობა განვითარების ახალ საფეხურზე აიტანა. გრ. ორბელიანის სტილში დეგრადაცია განიცადეს ძველმა პოეტურმა ფორმებმა. პირველი პოეტი, რომელმაც გზა გაუკაფა ახალ პოეტურ კულტურას და ფორმას, არის გრ. ორბელიანი.

ილია ჭავჭავაძე სამართლიანად შენიშნავდა: „გრ. ორბელიანმა წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმით, რადგანაც ამან სრულიად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიური სახეებით აჭრელება სიტყვიერებისა, რომელშიაც ცოტა არ იყოს, წილი უდევს თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს“. რუსული და ევროპული პოეზიის გავლენით, ქართული მწერლობის ტრადიციის განვითარებით, გრ. ორბელიანმა წინ წასწია ქართული მწერლობა, მაგრამ მაინც ვერ იტყვით, რომ იგი სავსებით თავისუფალი იყოს ძველი პოეტური ფორმისა და აღმოსავლური ნაკადისაგან. ლოპიანასა და მუხამბაზის ავტორი უთუოდ აგრძელებს საიათნოვა-ბესიკის ლირიკის ხაზს, რომელმაც ერთხელ კიდევ მიგვახედა ორთაჭალის

ბალების უდარდელი, დარდიმანდული მორალისა და სატრფიალო-სამიჯნურო სამყაროსადმი. მაგრამ „გრ. ორბელიანი ამათ გვერდით არის ავტორი ისეთი უნაზესი ლექსებისა“, როგორიცაა „ჩემს დას ეფემიას“. „საღამო გამოსალმებისა“ და სხვ. იგი მტკიცედ უყრის საფუძველს რომანტიკულ პოეზიას, მაგრამ როგორც სტილში და ისე ენის ნორმების მიხედვით გრ. ორბელიანი ძველი თაობის მებაირახტრედ დარჩა. 70-იან წლებში იგი მკაცრად გამოვიდა „ცისკრის“ ლიტერატურული და ენობრივი პოზიციის დამცველად. მიუხედავად ამისა, გრ. ორბელიანის პოეტურმა ნიჭმა არქაისტების დოგმატიკა სძლია და ძველისა და ახალი ქართული ენის მიჯნაზე დადგა.

ქართული საბჭოთა მწერლობა მუდამ სიყვარულით მოიგონებს რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლის გრ. ორბელიანის პოეტურ ღვაწლს, რომელმაც დიდ სამოციანელებს გზა გაუწალდა.

ბედი ქართლისა

დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის მუდამ მღელვარე და სულით მაღალი პოეზიის უპირველესი საგანი სამშობლო იყო. ბარათაშვილის პოეტური სამყარო ქართლის ბედით ცოცხლობდა და სუნთქავდა. ეს ის პოლიტიკური და მორალური ატმოსფერო იყო, რომელმაც განსაზღვრა პოეტის „სულის მშვიდობა“.

ნ. ბარათაშვილის პოეტური აზროვნება ქართველი ხალხის დიდი სულიერი გარდატეხის ეპოქაში მომწიფდა. ეს იყო საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი „ამბოხებათა და შეთქმულებათა ხანა“ მთელი თავისი რომანტიკული აღტაცებით ნ. ბარათაშვილი თანაუგრძნობდა შეთქმულებს. 1832 წლის „მამულის გამოხსნის შეთქმაში“, მონაწილე ქართული ინტელიგენციის წრის იდეა, როგორც ეს სამართლიანად აქვს შენიშნული პავლე ინგოროყვას, ცხოვლად დააჩნდა 15 წლის ჭაბუკის პოეტურ სულს. შეთქმულება დამარცხდა. ამ პერიოდის ქართველი ინტელიგენცია თითქმის მთლიანად შეთქმულთა ჯგუფში აღმოჩნდა. საქართველოს „უკეთესნი შვილნი“: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ, ალექსანდრე და დიმიტრი ორბელიანები, სოლომონ რაზმაძე და სხვანი შორეულ ქვეყნებში გადაასახლეს. დაცარიელდა კულტურის ასპარეზი. ცხოვრება მოდუნდა, ქართული პრესა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი გაჰქრა. სევდამ და უიმედობამ მოიცვა ქართული საზოგადოებრივი აზრი. ასეთ ვითარებაში მომწიფდა ნ. ბარათაშვილის პოეტური გენია. ბარათაშვილის პოეზიაში მთელი სისრულით აისახა ქართველი ხალხის სულიერი და ეროვნული სევდა. ჭაბუკ პოეტს საქართველოს ბედმა არგუნა იმედთა გაწბილება. სევ-

დით ააავსო მგოსნის ოცნება, მან „დაკარგა“ „მშვიდობა სულისა“. ამგვარი ხვედრით გულმოკლული პოეტი გამომწვევად მიმართავდა „ბოროტ სულს“:

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად.
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ნ. ბარათაშვილის სევდა და სულიერი განწყობილება მისი ეპოქის სულიერი სიცარიელისა და ბურუსიანი დღეების გამოხატულება იყო. ნ. ბარათაშვილის სევდიან ხმაში მისი ეპოქის ეროვნული სევდა ისმის უპირველესად ყოვლისა. პოეტის ფიქრი სამშობლოს დასტრიალებს, მას თავს ევლება. ნ. ბარათაშვილის პოეტურ გენიას ტრაგიკულად აღელვებდა ქართლის ბედი. პირდაპირ თუ ერთგვარი შემოვლის გზით ძუდან ამ კითხვას ეხმაურებოდა პოეტი. ამ კითხვის პირდაპირი პასუხი მოგვცა მან პოემაში „ბედი ქართლისა“ და ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძაფრ ეპოპეას კრწანისის ბრძოლა წარმოადგენდა. ჩვენი ისტორიის ეს მღელვარე მომენტი აიღო ბარათაშვილმა თავის „ბედი ქართლისას“ თემად. სიუჟეტურად ეს პოემა ორი ისტორიული პიროვნების, ერეკლე მეფისა და სოლომონ მსაჯულის, პაექრობის ფონზე იშლება.

სასოებითა და მოწიწებით ეპყრობა ნ. ბარათაშვილი მეფე ერეკლეს, ვისი ხელითაც გადაწყდა ქართლის ბედი. საქართველოსათვის თავგანწირული გმირისა და კეთილშობილი ადამიანის უებრო შარავანდედით მოსავს პოეტი მოხუც მხედართმთავარს. პოემის პირველსავე სტრიქონებიდან გამოჩნდება იგი, როგორც სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი:

„მწყემსო კეთილო, შენს წმინდა სამწყსოს
შემოვაევედრებ ჩემსა სამეფოს!
გულთამხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!

გვესწრაფე, ჩვენო ხელთ-აღმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო!"—
ასე ილოცდა მეფე ირაკლი,
ბანაკსა თვისსა, გულით მხურვალი.

მეფე ერეკლე ვით „მამა შვილს" თავს ევლება ქართველ ჯარს. ქართველ მხედრებს მიმართავს სიტყვით. ნიჭიერი მხედართმთავრის ეს სიტყვა გმირული აღფრთოვანებითა და მღელვარებით აღაგზნებს მეომრებს. ბრძენი მეფე არ მალავს იმ დიდ საფრთხეს, რომელიც ქართველი ერის წინაშე სდგას: „საქართველოს დღეს გარდუწყდება თავისი ბედი და უბედობა". კრწანისის ველზე, სადაც წყდება ბედი ქართლისა, ერეკლე მეფე იბრძვის ვით რიგითი მხედარი.

მაგრამ ვერც სახელოვანი მეფისა და მეომრის გმირობამ, ვერც ქართველ მხედართა თავდადებამ ვერ იხსნა სამშობლო განსაცდელისაგან „და მუხთალისა ანგართა ხელთა აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი".

კრწანისის ველზე მძიმე ომგადახდილი მეფე ერეკლე დიდ სულიერ ბრძოლას განიცდის. მას თვალწინ წარმოუდგება აოხრებული და გადამწვარი დედაქალაქი, ბრძოლის ველზე მამულისათვის ვაჟკაცურად დახოცილი უპატრონოთ მიტოვებული „მრავალი ყმაწვილი კაცი".

ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ერეკლე გონების თვალით სჭვრეტს შექმნილ ვითარებას და ქართველთა მომავალ ბედზე თავის გადაწყვეტილებას უმხელს ერთგულ მსაჯულს, „სულით მამაცსა და ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმულ" სოლომონს. ერეკლეს აზრით, მეზობელ ძლიერ მტერთაგან ნიშანში ამოღებულ საქართველოს ამ პირობებში არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა.

ამიერითგან გაქეზებული,
მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყნარებს სიამაყითა:
მას ჟამი შესწევს ყოვლის ღონითა.
ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს,
ოსმალი მხოლოდ დროს შემოჰყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ერთმანეთსა ჰკვლენ.

6. ბარათაშვილის მიერ ერეკლე მეფე აქ წარმოდგენილია ისტორიული პერსპექტივის დიდი ალღოთი აღჭურვილი მეფისა და სარდლის როლში. პატარა კახი, რომელიც თავად იყო განსახიერება თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის ძლიერი სულისა, კრწანისის ბრძოლამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ გარეშე მტრებისა და შინაგანი რეაქციის შემოტევა ძლიერია. მაშინ, როდესაც მრისხანე მტერი საქართველოს დედაქალაქის კარს მოადგა და ერის ბედი სწყდებოდა, ქვეყნის შინაგანი მტრები, თავნება თავადები განზე განუდგნენ მეფეს და მტრის დამხმარე ძალა გახდნენ. ეს ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი ფაქტი იყო, რომელმაც დაუკარგა მეფეს საკუთარი ძალის იმედი. გარეშე და შინაგანი მტრების ალაგმვა კრწანისის ველზე დამარცხებული საქართველოსათვის, სხვა, გარეშე ძალის დაუხმარებლად შეუძლებელი ჩანდა. ერეკლე ნათლად გრძნობს შექმნილი ვითარების სირთულეს. ასეთ მომენტში სხვა გზას ვერ ხედავს, თუარ „განთქმულ რუსეთს მისცეს მემკვიდრეობა". ამას ემატება ისიც, რომ ბრძენი მეფის, ერეკლეს აზრით, საქართველოს სურვილის მიუხედავად, მისი ბედი გადაწყვეტილია:

> რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
> ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება.

საკითხი თითქოსდა ნათელია; მაგრამ პოეტი აქ არ სვამს წერტილს. ბარათაშვილმა კარგად იცის რა მძიმეა დამოუკიდებლობის დაკარგვა. ამიტომაა, რომ სახელოვანი მეფის არჩევანს ასე გაბედულად უპირდაპირებს პოეტი სოლომონ მსაჯულისა და სოფიოს აზრს.

მოვიგონოთ სოლომონ მსაჯულის სიტყვები:

> იცი, მეფეო, რომე ივერნი
> იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
> სახელმწიფოსა რჯულის ერთობა
> არა რას არგებს, ოდეს თვისება
> ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.

ამ სამართლიან მოსაზრებას ამაგრებს აგრეთვე ქართველი დედის, სოფიოს პატრიოტული სიტყვები:

უცხოობაში რაა სიამე,
სადაც ვერავის იკარებს სული.
და არს უთვისო, დაობლებული?!.
რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?

ძლიერი საბუთებია. შეუძლებელია არ დაეთანხმო მას.

ასეთი რთულია პაექრობის ფონი. ვის მხარეზე იყო პოეტი? აი კითხვა, რომელიც არა ერთხელ წამოჭრილა ქართულ ლიტერატურაში. ვინც ღრმად დაუკვირდება ამ პაექრობის დედააზრს, უფრო და უფრო დარწმუნდება, რომ აქ ამბავი იმას კი არ ეხება, თუ „ვინ იყო მართალი ამ ტრაგიკულ პაექრობაში", არც იმას, თუ რომელი ჯობდა საქართველოსათვის: თავისუფლება, დამოუკიდებლობა, თუ „გალიაში ტყვეობა". ეს იმდენად ნათელი კითხვაა, რომ მასზე კამათი არც ღირდა. მით უმეტეს, იგი არ გახდებოდა გენიოსი პოეტის ნ. ბარათაშვილის მსჯელობის საგანი.

ნ. ბარათაშვილი აქ უბრალო არჩევანს როდი აყენებს. იგი „ასამართლებს" იმ ისტორიულ ფაქტს, რომელმაც გადაწყვიტა ბედი ქართლისა. ეს ისტორიაა, ისტორია პირუთვნელად განსჯილი.

ბარათაშვილის მიხედვით ამ ისტორიას ორი მხარე აქვს. ერთია მისი პროგრესული, ისტორიულად გარდუვალი მხარე, რომელსაც ყველაზე კარგად მეფე ერეკლე სჭვრეტს. ერის „ამ უბედობისა და დარღვევის დროს", როგორც ერეკლე ამბობს, მთელი სიმწვავით ისმის საქართველოს საგარეო ორიენტაციის საკითხი: „საქართველოს წინაშე ალტერნატივა იდგა—მას სპარსეთის შაჰი ან სულთანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ანდა იგი რუსეთის პროტექტორატის ქვეშ უნდა შესულიყო. ეს უკანასკნელი —(„რადგან ამ გზით საქართველოს მოსვენებას ნახავდა და თან ევროპული განვითარების გზაზე შედგებოდა"), მეფე ერეკლეს, როგორც პროგრესულად მოაზროვნე კაცს, ერთადერთ გზად მიაჩნდა, ეს არის ის ისტორიული პერსპექტივა, რომელსაც ნ. ბარათაშვილი ითვალისწინებს, როგორც ისტორიულ აუცილებლობას. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა მაინც. მეორეს მხრივ „ნ. ბარათაშვილმა იცის, რომ „განსყიდვა თავისუფლებისა", ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა ერის გადაგვარების სათავეა.

ნ. ბარათაშვილი, რომელმაც პირადად იგემა ნაყოფი რუსეთის მეფის „მფარველობისა“, რასაკვირველია, არ შეიძლება კმაყოფილი ყოფილიყო ცარისტული რუსეთის პოლიტიკისა. ამ მოსაზრების დამამტკიცებელი კვალი ჩვენ გვაქვს პოემაში. ‘ძოეიგონოთ’ სოფიოს პატრიოტული სიტყვები: „რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“;—ამ სიტყვებს ნ. ბარათაშვილი ასეთი პოეტური ამონაკვნესით ეხმაურება:

ჰოი, დედანო. მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი.
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?..

ასეთ რთულ სიბრტყეზე დგას ეგრეთწოდებული პაექრობის საკითხი. ნ. ბარათაშვილი გრძნობს, რომ ცალკე აღებული ამ გმირების, ერეკლესი და სოლომონის მოსაზრებანი, სამართლიანია, ჭეშმარიტი. პირუთვნელი სიწრფელით წარმოთქმული. ორივე გმირი მამულისათვის მხურვალე სიყვარულის გრძნობით არის შთაგონებული. ზნეობრივი შარავანდედი თანაბარი ბრწყინვალებით მოსავს ამ სასიქადულო მამულიშვილთა გულისთქმას. ამავე დროს აღძრულ საკითხზე მათი შეხედულებანი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებებია.

ნ. ბარათაშვილი მთელი სიდიადით გრძნობს თავისუფალი საქართველოს ფასსა და მნიშვნელობას. ამ აზრს პოემაში სოლომონი და სოფიო. განასახიერებენ. ერის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვა, რაც ქართველ ხალხს სისხლით მოუპოვებია, რომ საქართველოსათვის აუნაზღაურებელია, განა ნათელი არ იყო ერეკლესათვის? განა სოლომონის თავისთავად მეტად სამართლიანი და სწორი მოსაზრების გამო ბარათაშვილი საგანგებოდ არ წარმოათქმევინებს ერეკლე მეფეს: „მე ეგ ყოველი არ ვიცი განა“?

მაგრამ ნ. ბარათაშვილმა ასევე იცის, რომ კრწანისის ველზე დამარცხებულ, ბარბაროსთაგან გარშემორტყმულ საქართველოს აღარ ძალუძს იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი! ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა, როგორც იდეალი, ისეა წარმოდგენილი პოემაში, მაგრამ ამ ეტაპზე მისი შენარჩუნება შეუძლებლად ჩანს. ამას ჭვრეტს ბრძენი მეფე ერეკლე, ამას გრძნობს გენიოსი პოეტი ბარათაშვილი. და სწორედ ამაშია ტრაგედიის სათავე.

ახლა, რაც შეეხება ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა". ეს ლექსი სწორედ იმ ისტორიული პერსპექტივის განმტკიცებაა, რომელსაც ერთის მხრივ იზიარებდა პოეტი „ბედი ქართლისაში",—როგორც მეფე ერეკლეს ისტორიულად განჭვრეტილ გზას. ამ ლექსში ნ. ბარათაშვილი გარკვევით ხაზს უსვამს იმ დიდ ისტორიულ როლს, რომელიც მეფე ერეკლეს გადადგმულმა ნაბიჯმა მოუტანა საქართველოს. პოეტი მუხლს იდრეკს სახელოვანი მეფისა და შეუდარებელი გმირის წინაშე, რომლის წყალობით მოისვენა ქართველმა ხალხმა: „აწ აღარ ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა". საქართველო დაადგა განახლების გზას. რუსეთთან შეერთებით დაიწყო ახალი ერა, იქმნება „ახალი ქართლი".

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, მეფევ ხმოვანო!
ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმინდა აჩრდილსა,
რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშო შვილსა.

ასე ესახება ბარათაშვილს საქართველოს რუსეთთან კავშირის შედეგი. მაგრამ როგორც ვთქვით, ეს მაინც ერთი მხარეა იმ ეროვნული კითხვისა, რომელიც ბარათაშვილმა ჯერ კიდევ პოემაში „ბედი ქართლისა" წამოაყენა. სხვა მხრივ კი პოეტის სიცოცხლის უკანასკნელი წლების ნაწარმოებიც ადასტურებენ, რომ იგი არასოდეს ყოფილა დამშვიდებული თავისი ქვეყნის ბედით. სწორედ აქედან წარმოსდგებოდა ის სულიერი ტრაგედია, რომელიც მის ბრწყინვალე, პოეტურ შედევრებში ბობოქრობს და აღელვებს მკითხველს.

აღნიშნული გარემოება ჰქონდა მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როდესაც ბარათაშვილის შესახებ სწერდა: „თუმცა ბოლოს, როცა თავისი მამული დამშვიდებული ნახა და მტერ-

თაგან უშიშარი, შეიფარა მის მიერ ეგრეთ წოდებული „ახალი ქართლი“ და მის ყოფა-ცხოვრებას თითქოს შეურიგდა. მაგრამ ესეც კი მისი ნათქვამია: „რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“.

განუზომელი იყო ბარათაშვილის გავლენა XIX საუკუნის მწერლობაზე. ბარათაშვილის პატრიოტულმა პოემამ „ბედი ქართლისა“ ნიადაგი მოუმზადა სამოციან წლებში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაწყებულ დიდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ქართლის ბედით შთაგონებული პოეზია ბარათაშვილისა გახდა სათავე იმ დიდი და მაღალი პატრიოტული მწერლობისა, რომელსაც ახალი ქართული მწერლობა ჰქვია.

ნ. ბარათაშვილის პოეზია იყო არა მარტო გამომხატველი ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნებისა, არამედ ამ თვითშეგნების აღმზრდელიც. ნ. ბარათაშვილის პატრიოტული პოეზია ზრდიდა ქართველ ხალხს სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულისა და მისთვის თავდადების გრძნობით. ერეკლე მეფის, სოლომონ მსაჯულის, კრწანისის მხედრების, ქართველი დედის სოფიოს გმირული სული, ნ. ბარათაშვილის მიერ ასე მღელვარედ ამეტყველებული, დაუბერებლად იცოცხლებს ქართულ პოეზიაში.

„მაცი ხვიტიას“ ავტორი

ანტონ ფურცელაძე მეტად თავისებური მოვლენაა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში. იგი სამოციანი წლების იმ სახელოვან პლეადას ეკუთვნის, რომელთაც მიზნად დაისახეს ხალხის სამსახური.

ილია ჭავჭავაძის მოწინავე თაობასთან ერთად ანტონ ფურცელაძემ ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა მგზნებარე, მებრძოლი დემოკრატიული იდეები, რითაც მოწინავე ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

ქართულ პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი ანტონ ფურცელაძის მოთხრობები, პოემები, ლექსები თუ ისტორიული ნარკვევები, იმდენად საინტერესო იყო მოწინავე პროგრესული იდეებით, რომ მკითხველთა ცხოველ ინტერესს იწვევდა.

ანტონ ფურცელაძემ ლიტერატურული მოღვაწეობა ჟურნალ „ცისკარში“ დაიწყო. მისი პირველი ნაწარმოები 1858 წელს გამოქვეყნდა.

ანტონ ფურცელაძეს იმთავითვე არჩეული ჰქონდა რადიკალურ-დემოკრატიული მემარცხენე ხაზი. მას მუდამ ამოძრავებდა ილიას თაობის მებრძოლი იდეები. მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება მან შესწირა ხალხს, მშრომელი ადამიანის ინტერესების დაცვას. ამ თვალსაზრისით უდგებოდა იგი ხელოვნებას და ამ პოზიციებიდან აკრიტიკებდა ყველას, ვისაც კი ოდნავ შეატყობდა დემოკრატიული ხაზიდან გადახვევას. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ა. ფურცელაძის წერილი, რომელიც ჟურნალ „დროებაში“ დაიბეჭდა 1879 წელს „შეუსრულებელი სურათის“ სახელწოდებით. ამ წერილში ზ. მოენიძის ფსევდონიმით

ანტონ ფურცელაძე საკუთარ ნაწარმოებს „სამის თავგადასავალს“ არჩევდა. „დროების“ რედაქტორის სამართლიანი შენიშვნით, ეს წერილი ყურადღებას იპყრობდა უმთავრესად საინტერესო პრინციპული საკითხების წამოჭრით. რედაქტორი წერდა: „ზემოთ დაბეჭდილ სტატიას იმიტომ მივეცით ალაგი ჩვენს გაზეთში, რომ იმაში საზოგადოდ ბევრი კარგი აზრებია გამოცხადებული და საზოგადოდ კარგი მიმართულებისაც არის“. მართლაც ანტონ ფურცელაძე ამ სტატიაში გამოდის როგორც რეალისტურ-დემოკრატიული იდეების მედროშე. ის აკრიტიკებს ჟურნალ „ცისკრის“ არქაისტულ ნაწარმოებებს, რომელიც ტკბილ ბურანში ახვევენ მკითხველს. იგი ქება-დიდებას უძღვნის ნეკრასოვის ლექსებს, რომელსაც „ნამდვილი და მოსაზღვრული სიყვარული აქვს თავისი მამულისა... რომელმაც მიაპყრო გონება თავის აღმზრდელ საზრდოებელ დაჩაგრულ ხალხს“. „ამაზე კიდევ ადრე,—წერს შემდეგ ავტორი,—გრიბოედოვმა და გოგოლმა იწყეს პროზად გამოსახვა საზოგადოებრივი მდგომარეობისა“ და ბოლოს დასძენს, ყოველივე ამან შეარყიაო პოზიცია იმ მწერლებისა, რომლებიც ამტკიცებდნენ, ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს ხელოვნებასა და არა ცხოვრებასო. ამ სტატიაში ანტონ ფურცელაძე ვრცლად ახასიათებს ქართველ სამოციანელებს. აღიარებს მათ რუსეთის მოწინავე 60-იანელების მიმდევრებად. „რადგან ჩვენი ყმაწვილი თაობა არის აღზრდილი ამ უკანასკნელის რუსის მწერლობის სკოლაში, ამისთვის საკვირველი არ არის, რომ ესოდენ სასარგებლო მიმართულება მიიღო ჩვენმა ლიტერატურამაც... ესევე მიმართულება აქვს სამის თავგადასავლებს, რომლისაც მთავარი მომქმედი პირი არის სიმონ ბადალაძე“. ანტონ ფურცელაძე მაღალ შეფასებას აძლევს სიმონ ბადალაძეს. იგი მიაჩნია „ხალხისათვის თავგანწირულ ადამიანად“. მართალია, ამგვარ გმირებს „ცუდი დღე ადგიათ, მაგრამ უმათოდ ხალხის ცხოვრება ბევრით უკეთესი არ იქნებოდა პირუტყვის ცხოვრებაზედა და არავითარი კაცობრივი არ გამოიღვიძებდა რა კაცში, თუ ესენიც დაემონებოდნენ თავის შემავიწროვებელ ძალას. ამგვარი კაცები იშვებიან ხალხებისა და საზოგადოებების გასაახლებლად. ესენი, რაკი ერთი დაიწყებენ საქმესა და ჩაყრიან

თესლსა, — მერე თუმცა ძნელად თუ როდისმე ნახვენ თვითონ თავის დათესილ ნაყოფსა, მაგრამ მაინცდამაინც მათი ჩაპნეული თესლი არასდროს არ იკარგება და დღეს არის თუ ხვალა, ამოყოფს ნაყოფი თავსა. ამათ იციან ესა და ამის გამო თავის განწირვა არ მიაჩნიათ სატანჯველად — ან უკეთა ვსთქვათ, თუმცა სატანჯველი სტანჯავს მათ, მაგრამ ამ სატანჯველს იმით იგრილებენ, რომ იციან სხვებს დაიხსნიან სატანჯველისაგან".

ანტონ ფურცელაძე გარკვევით მიუთითებს, რომ მოაზროვნე, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მებრძოლ ადამიანს მართებს თავდადება და თავგანწირვა ხალხისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ანტონ ფურცელაძე, ხალხოსნებისაგან ერთგვარად განსხვავებით, გადაჭრით მოითხოვს, რომ მებრძოლი პიროვნება, შეიარაღებული უნდა იყოს არა ფუყე წიგნური განათლებით, არამედ მას უნდა გააჩნდეს პრაქტიკული ცხოვრების ცოდნა. მწერალი საყვედურით შენიშნავს: „მაშინ, როდესაც ჩვენ გვეჭირვება იმგვარი კაცები, რომელნიც ყოველ შემთხვევაში გამოსადეგნი იყვნენ, ჩვენს საუკეთესო ყმაწვილ თაობას შეუწირავს თავი მარტო წიგნებისათვის და წიგნების იქით არა საქმეში გამოსადეგნი არ არიან. ჩვენ, ქართველებს, მოგვაქვს თავი ვაჟკაცობითა და ვაჟკაცობა დღითიდღე გამოდის ჩვენი გულიდან და მალე ჩვენ თვითონ ჩვენივე ჩრდილისა გვეშინება... ჩვენ მარტო წიგნები ვერ გვაცხოვრებენ, როგორც ვერ ვიცხოვრებთ უწიგნოთაც.. ამის გამო ჩვენი სამეცადინო მარტო წიგნი არ უნდა იყოს".

ანტონ ფურცელაძე თანმიმდევრულად იცავს დიდი რუსი დემოკრატების, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მოწინავე იდეებს. ამიტომაც, ჩვენის აზრით, ანტონ ფურცელაძის უთანხმოება ილიასთან და საზოგადოდ 60-იანი წლების ახალთაობასთან უფრო პიროვნული განაწყენების ნიადაგზეა წარმოშობილი და არა იდეური, პრინციპული ხასიათის მიმართულებით. როგორც ცნობილია, ანტონ ფურცელაძეს ცხარე კამათი და უთანხმოება ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, ნიკო ნიკოლაძესთან, კიტა აბაშიძესთან, სტ. ჭრელაშვილთან... ამ გაცხარებული დავის შედეგად გულმოკლული

ანტონ ფურცელაძე შენიშნავს: „ისე მაქვს ყური შეჩვეული ჩვენი მწერლობისაგან ჩემს ურიგო ხსენებაზე, რომ როდესაც წავიკითხე ის ქება, რომელიც ჭრელაშვილმა თავის ბიბლიოგრაფიულ წერილში შესახებ ჩემი მოთხრობისა „ჩვენებური საქმის ბოლო“, მიმაგონდა ერთი ძველებური ბერული თქმულება: „მოკითხვაც თქვენი მზაკვარ არს“... ანტონ ფურცელაძესა და ილიას თაობას შორის გამართული კამათის ამ პიროვნულ მომენტს თუ დავივიწყებთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ანტონ ფურცელაძე თავისი პროგრესული იდეების მიხედვით, სამოციანელთა მსგავსად თავგამოდებით იბრძოდა ხალხის განთავისუფლებისათვის. მართალია, ის ამ მხრით გარკვეულ სკოლაში არ ეტევა და თანაბრად განიცდის, როგორც სამოციანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ასევე ხალხოსნებისა და უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლების გავლენას. როგორც სამართლიანად შენიშნავს სოფრომ მგალობლიშვილი, „იგი ვერ შეჩერდა ერთ რომელიმე ლიტერატურულ დარგზე, მიმართულებაზე. მისი ტემპერამენტი ერთობ მღელვარე და დაუდეგარი იყო“. აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ანტონ ფურცელაძის ამ გავლენების მიმართ ყოველთვის პროგრესული მწერლის პოზიცია ეჭირა.

ანტონ ფურცელაძე მის სიცოცხლეშივე მონათლეს ნიღილისტად, იგი პისარევის მიმდევრად გამოაცხადეს. ანტონ ფურცელაძის მემარცხენე პოზიცია უთუოდ იძლეოდა ამის საბუთს, მაგრამ არ იქნებოდა სამართლიანი, ანტონ ფურცელაძე პისარევის ორთოდოქსალურ მიმდევრად გამოგვეცხადებინა. თვით ანტონ ფურცელაძემ სავსებით სამართლიანად უარყო ეს აზრი კიტა აბაშიძესთან კამათში. იგი წერდა: „მაშასადამე, დიდი ხანია უაზრო ხელოვნებას, ხელოვნებას ხელოვნებისათვის უარსა ჰყოფენ როგორც ევროპაში, ისე რუსეთშიაც. და თუ შეფურთხება არის საჭირო ამისთვის ვისიმე, ჯერ ჩვენზედ წინა მოძღვართ უნდა შეაფურთხონ, და მემრე მე და პისარევს. ჯერ ერთი ესა. მეორე, კიტასა და მსგავსთა მისთა, თუ ისინი ჩახედულები არიან ჩვენს ცხოვრებაში და ჰხედავენ ჩვენს უკანასკნელობას, უნდა აფიქრებინოს შემდეგი: თუკი დიდებული პრუდონი, შვილი

დიდებული საფრანგეთისა. ამასა ჰქადაგებს საფრანგეთში, რომელიც მთელი კაცობრიობის თავსა სდგას თავისის ცოდნით და კეთილდღეობით, ჩვენ რა გვეჭიკჭიკ-ბულბულება! ეს არ იქნება ისა, რაც კრილოვის არაკშია ჭრიჭინაზედა, რომელიც მთელი ზაფხული მღეროდა და ზამთარში სიმშილით სული ხდებოდა?.. გარწმუნებთ, კიტავ, რომ, თუ ჩვენ თქვენისთანა მგალობლები გამოგვივლენ, ეს დღე მოგველის. ეს მეორე. მესამე. მე მიწოდებთ ქართველთ პისარევათ ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვწერ პისარევის ბაძით, მის გავლენის ქვეშ, ბ-ნი კიტა რომ პომფლეტორის გავლენით არა სწერდეს თავის აზრებს, ეცოდინებოდა, რომ ჩემი პისარეობა იწყება იმ დროიდამ, როდესაც არამც თუ აქ, თვით რუსეთშიაც ნაკლებ იცნობდნენ პისარევს. სტატია, რომლისა დაწერის გამოც კიტა პისარევს მიწოდებს, არის დაწერილი 1863 წ. მარტში, როდესაც არც კი გაგვეგონა აქ პისარევი ვინ იყო. არამც თუ პისარევს, დობროლიუბოვსა და ჩერნიშევსკისაც კი, რომელიც იმაზედ ადრე იყვნენ ცნობილნი და მწერლობაში გამოსულნი, არ ვიცნობდით აქა, ვიცნობდით მხოლოდ ბელინსკის. და, თუ იყო ვისიმე გავლენა ამ მხრივ ჩვენზედ. ეს ბელინსკისა. ამასთან, კიტა ამას ზიზღით ამბობს: მაგრამ მე დიდად სასახელოდ ჩავთვლიდი, თუ პისარევის აზრდილობაც არის შემძლებოდა ჩემს სამშობლო ქვეყანაში, სადაც სწორეთ პისარევის მსგავსი მწერალნი არიან საჭირო, რომ გამოაფხიზლონ და გამოარკვიონ ჩვენი ხალხი, ჩვენი საზოგადოება".

ასეთია მწერლის დამოკიდებულება პისარევისადმი. არ შეიძლება არ დავუჯეროთ მას.

ანტონ ფურცელაძემ რეალიზმის პრინციპი წამოაყენა პირველსავე სტატიაში. რეალიზმისა და დემოკრატიული იდეებისათვის მას არასოდეს უღალატნია. ანტონ ფურცელაძის მებრძოლი რეალიზმით უნდა აიხსნას მისი გატაცება „სურამის ციხით". თავის ცნობილ სტატიაში „სურამის ციხე დანიელ ჭონქაძისა", რომელიც „ცისკარში" დაიბეჭდა 1863 წელს. იგი მედგრად ხმას იმაღლებს ბატონყმობის წინააღმდეგ. იგი პირველი გამოესარჩლა „სურამის ციხის" ავტორს, ეპოქალურ თხზულებად აღიარა ეს ნაწარმოები. ავტორის აზ-

რით, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ დაბეჭდვით ჟურნალმა უწყალოდ დავარდნილობას თავი პირველად დააღწია. „ამ თხზულებამ დასცა საშინელი ელდა და მოსწყვიტა წელი დავარდნილ ხალხსა და ძველი აზრების პატრონებსა, ბატონები ოსმანა-ღისა დარჩნენ პირღია. ჯერ დიდხანს ვერ მოვიდნენ ცნობას და ბოლოს, როდესაც მოიპოვეს გრძნობა, გადმოიღეს ეს თხზულება, დაინახეს თავიანთი თავი და ასტეხეს განგაში მის წინააღმდეგ“. განსაკუთრებულ მაღალ შეფასებას აძლევს ავტორი ოსმან-აღას თავგადასავალს: „უნდა ვთქვათ, რომ თხზულებაში დრამატული ხასიათი უფროა, ვიდრე რომანული ან მოთხრობის საგანი და თვით „სურამის ციხის“ ავტორში ჩანს რიგიანი ნიჭი დრამისა“. პირველსავე სტატიაში ანტონ ფურცელაძე გამოჩნდა, როგორც მებრძოლი, რადიკალურად მოაზროვნე მწერალი. ამ შეურიგებელი რადიკალიზმის ალი ანათებს მთელ მის პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ნაწერებს.

ანტონ ფურცელაძე მრავალმხრივი მოღვაწეა. იგი ავტორია მოთხრობების, პოემების, ლირიკული ლექსების, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილების, ისტორიული და საბუნებისმეტყველო ნარკვევებისა. მაგრამ ფურცელაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში უმთავრეს ყურადღებას მაინც მისი პროზა იპყრობს. მისი მოთხრობების დიდი ღირსება ის არის, რომ იდეა, თემა ყოველთვის აქტუალურია. სიუჟეტიც მეტწილად დაძაბულად, ცოცხლად ვითარდება. ეს კი იმდენად თვალსაჩინო ღირსებაა, რომ ანტონ ფურცელაძის მხატვრული სტილის სუსტი მხარე, ენობრივი დაუხვეწაობა, ერთგვარად იჩრდილება.

ანტონ ფურცელაძის პირველი მოთხრობა „მართა“ ბატონყმობის წინააღმდეგაა მიმართული. იგი უშუალოდაა შთაგონებული „სურამის ციხით“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონ ფურცელაძემ 1863 წელს ვრცელი სტატია მიუძღვნა „სურამის ციხეს“, შემდეგ კი მოთხრობითაც გამოეხმაურა ამ თემას. თემატიკის მხრივაც და იდეურადაც ეს მოთხრობა აგრძელებს „სურამის ციხის“ ავტორის ჩანაფიქრს. ახალი გართულებული ცხოვრების, ფეოდალიზმისა

და კაპიტალიზმის ჭიდილში ჩამოყალიბებული გულქვა მემამულის, როსტომ ტაბლაძის ხასიათში ანტონ ფურცელაძემ შესანიშნავად დახატა ხალხის მჩაგვრელი და მყვლეფავი გულღვარძლიანი და ანგარებიანი მებატონის სახე. მწერალმა სწორად შენიშნა ყმა-გლეხობაში გამოღვიძებული მებრძოლი სულისკვეთება, რომელიც თანდათანობით მკვეთრ სახეს იღებდა. მართალია, როსტომს ზურგს უმაგრებს მეფის რუსეთის სახელმწიფო აპარატი, ქონებრივი მდგომარეობა, მაგრამ მშრომელი გლეხკაცობა მაინც აღდგება და ბრძოლას გაუმართავს ამ მუქთამჭამელებს. ფსიქოლოგიურად კარგად არის დახატული ის მერყეობა, შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც მართასა და მის თანამებრძოლებს ახასიათებთ. სისხლსა და ბრძოლას ისინი თავდაპირველად ერიდებიან, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული ხდებიან ამ გზას დაადგნენ. მართას სახეში მწერალმა შესანიშნავად დახატა მებრძოლი ქალის ხასიათის ჩამოყალიბება. იგი ასე მიმართავს შეთქმულ გლეხებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გაუბედნიათ ბატონის მოკვლა: „მასწავლეთ თოფის გატენა, გიჩვენებთ თქვენ, რომ ვერ გაგიბედიათ, მიყურეთ მე დედაკაცსა, მიყურეთ, როგორ თავი გამიმეტნია... სირცხვილის შემდეგ მე სიცოცხლე აღარ მენანება თქვენსავითა. დღეს თქვენს ცოლებს დახადეს ჩიქილები, თქვენს ცოლებს დაასხეს თავზე ლაფი. თქვენი ქონება გაალაგეს და თოროზას ჩალის ფასად გადაუყარეს... თქვენ კი გაჩუმებულხართ და შიშისაგან ტყესა და მინდვრებში იმალებით... მომყევით მე და მე მივალ პირველი მის სისხლის დასალევად... მე, დედაკაცი, წარგიძღვებით კაცებსა... თუ თქვენ დაიხურავთ ჩემს ლეჩაქსა“. მწერალი გვიჩვენებს თუ როგორ თანდათანობით ყალიბდება მებრძოლი ყმაგლეხი. მასში იღვიძებს ადამიანურ უფლებათა დაცვის გრძნობა. სოსიკა ხედავს, რომ საჭიროა არა დამონება ბედისა, არამედ ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისათვის. კარგად შენიშნავს მწერალი: „შერცხვენილი თავმოყვარეობა არ აძლევდა მას მოსვენებას, ისინი თხოულობდნენ სისხლსა და ზღვევას შერცხვენისა და დამცირებისათვის“. ამ ავტორისეულ რემარკში მწერალი სავსებით სწორად ხაზს უსვამს თუ ბატონყმური ინსტიტუტი როგორ წარმოშობდა ხალხში ბრძოლის

განწყობილებას. სოფლის ცხოვრების სურათებია აგრეთვე გადმოცემული მოთხრობებში „ქიტესა“, „თოთა“ და „მაცი ხვიტია“. ამ მოთხრობებში დიდი უშუალობით და ცხოვრების ცოდნით არის დახატული სოფლის უუფლებო ხალხი, მათი ჭირ-ვარამი.

ანტონ ფურცელაძემ სწორად შენიშნა აგრეთვე ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ ახალი სოციალური ძვრები. სოფლად გაჩდნენ კაპიტალიზმის წარმომადგენლები ჩარჩივაჭრები და კულაკები. თვით გლეხობას გამოეყო ერთი ჯგუფი, შეძლებული გლეხობის სახით. ეს დიფერენციაცია სოფლისა კარგად არის დახასიათებული მოთხრობა „ქიტესაში“. ანტონ ფურცელაძე საინტერესოდ გადმოგვცემს გაღატაკებული სოფლის ცხოვრების სურათებს, თანაგრძნობით ეკიდება უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებულ ყაჩაღებს.

გლეხკაცის უუფლებო მდგომარეობის გვერდით ანტონ ფურცელაძე გვიხატავს ქალის მძიმე ხვედრსაც. აი, რას ამბობს: „ჩვენებური საქმის ბოლოს“ გმირი: „ქალი რა გასაჩენი იყო, რომ ყველაფერში სხვისი ხელის შემცქერალი იყვეს... ტყვე იყვეს. ტყვეს კიდევ გაქცევა აიმედებს, ჩვენ ამ იმედსაც მოკლებული ვართ“. ამავე მოთხრობაში ანტონ ფურცელაძემ სცადა მოეცა ინტელიგენტის ისეთი სახე. რომელსაც მიზნად დაუსახავს, ხალხს მკურნალად მოევლინოს. „მხნე, თავდადებული, გულშემატკივარი. მომზადებული კაცები“ რომ სჭირდებოდა ხალხს, ეს კარგად ესმოდა ანტონ ფურცელაძეს. ამიტომ ეძებდა ამგვარ გმირებს. ხალხოსნების მსგავსად ანტონ ფურცელაძეც გვიხატავს მონანიე აზნაურის ისეთ უნიათო ტიპს, როგორიც „ჩვენებური საქმის ბოლოს“ მთავარი გმირი ვასილია. ვასილი მეოცნებე გმირი, ფრაზიორია. ბევრს ლაპარაკობს ხალხის განათლებაზე, თავისუფლებაზე, მაგრამ როცა პრაქტიკულად დადგება საკითხი, მაშინ სრულს უნიათობას იჩენს. მწერალი აკრიტიკებს ამ ცრუფრაზიორებს, დემაგოგებს, რომლებიც ბევრს გაჰყვირიან „დელოზედ“, მაგრამ პრაქტიკულად კი არაფერი გამოსდით, „რადგან,—როგორც შენიშნავს მწერალი,—ლაპარაკი და ბაასი ადვილიც არის და სასიამოვნოც. „დელოს“ კი უნდოდა

ვანსჯა, გონების შეწუხება, ფიქრი, მეცადინეობა, ბეჯითობა და სხვა სამძიმო რამეები... ვასილი, ეს ქართველი ვასილი, რომელიც თავის შეწირვას უპირებდა სამშობლოს, ეხლა სრულებით არ იწუხებდა თავს პრაქტიკულად მისთვის". ასე მკაცრად აკრიტიკებს ანტონ ფურცელაძე ამ ცრუინტელიგენტებს.

ახალი ადამიანის პრობლემა ერთი მთავარი საგანთაგანი იყო ანტონ ფურცელაძის შემოქმედებისა („ჩვენებური საქმის ბოლო", „ვაი მართალთა", „სამის თავგადასავალი" და სხვ). როგორც სამართლიანადაა აღნიშნული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ანტონ ფურცელაძე „სამის თავგადასავალში" განიცდის ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ?" გავლენას. ჩერნიშევსკის მებრძოლი იდეები ანათებენ ანტონ ფურცელაძის მოთხრობის გმირთა ბრძოლის გზას.

ცალკე უნდა აღინიშნოს „მაცი ხვიტია". ამ საინტერესო მოთხრობაში, სამეგრელოს ცხოვრების ფონზე, მწერალმა დაგვიხატა ბატონყმობის სურათი, ძველი დროის შავბნელი ხანა, ფეოდალური არისტოკრატია, რომელსაც ძმათა სისხლისღვრა გაუმართავს, არის მიზეზი ხალხის დაკნინებისა. თავადაზნაურობის პარპაში, მონობა, სიღატაკე და უმწეო მდგომარეობა გლეხს უბიძგებდა ქურდობისაკენ, რომელშიაც იგი ფიზიკურ გადარჩენას ეძებდა. ყოფითი დეტალების ფონზე ნაჩვენებია ის მძიმე სოციალური ჩაგვრა, რომელსაც სამეგრელოს გლეხკაცობა განიცდიდა. მართალია, ამ მოთხრობაში ბევრია გულუბრყვილო ეპიზოდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოთხრობის სიუჟეტი ოსტატურად ვითარდება. სწორად აღწერს მწერალი დადიანების ვერაგობასა და თავადაზნაურობის მზაკვრობას, რომელმაც ხალხის ეს დაკნინება გამოიწვია. „ოდიშის დაბალი ხალხის მდგომარეობამ მიაღწია უკანასკნელობამდის, ცალკე ნიადაგ მცარცველთა, და ცალკე თავადაზნაურობის და მთავრობის სასახლის ამათ კისერზე დაწოლამ მოიყვანა ისინი განწირულებაში. გლეხკაცობა იყო სრული კუთვნილება თავის ბატონისა ან მთავრისა, იმას უნდა შეენახა ესენი სულიან-ხორციანად. თვით ცოლნი და ასულნი ამათისა იყვნენ სრულს ბატონებისა და მთავრის ეფლებაში უფრო. ვიდრე ამათსაში. გლეხკაცი ითმენდა ყვე-

ლა ამას უნებლიეთ. მაგრამ ყველას თავის ბოლო აქვს. ისინი მივიდნენ უკანასკნელობამდის, მაგრამ კიდევ ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ღონეს არ ხედავდნენ."

ანტონ ფურცელაძის მებრძოლ გმირებს მეტ შემთხვევაში პერსპექტივა არ გააჩნიათ, მათი მომავალი ბურუსითა მოცული. ხალხოსნებისათვის დამახასიათებელი ეს განსაზღვრულობა მთელი სისრულით თავს იჩენს ანტონ ფურცელაძის შემოქმედებაში... ამავე გარემოებასთან გვაქვს საქმე მოთხრობაში „მაცი ხვიტია". მართალია, აქ ვექილის პირით თავისი რადიკალური იდეები გადაგვიშალა მწერალმა, მაგრამ ეს მაინც ერთგვარი რიტორიკული დეკლარაციაა.

ანტონ ფურცელაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ძლიერი პიროვნების, გამოჩენილი ადამიანის პრობლემას. ამით უნდა აიხსნას მისი განსაკუთრებული სიყვარული გიორგი სააკაძისადმი. ანტონ ფურცელაძემ უდიდესი ენერგია და დრო მოანდომა ამ ტრაგიკული გმირის, გიორგი სააკაძის პიროვნებისა და ცხოვრების დახატვას. ამ თემას უძღვნა დიდი მონოგრაფია „ბრძოლა საქართველოს ძოსასპობად და საქართველოს გადასარჩენად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო", აგრეთვე ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „დიდი მოურავი". ანტ. ფურცელაძემ, პირველმა მეცხრამეტე საუკუნეში, აღძრა საკითხი, რათა სამშობლოს მოღალატისლაქა ჩამოერეცხათ გიორგი სააკაძისათვის და გამოეცხადებიათ იგი სამშობლოს პატრიოტად, საქართველოს გაერთიანებისათვის ცალკერძა თავადების წინააღმდეგ ძებრძოლად. ანტონ ფურცელაძე ხშირად იდეალიზირებულად გვიხატავს სააკაძის ცხოვრებისა და პიროვნების დამახასიათებელ ეპიზოდებს და ეს ხელს უშლის იყოს პირუთვნელი, ობიექტური მხატვარი. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ანტონ ფურცელაძემ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა გიორგი სააკაძის ტრაგიკული პიროვნების გამოკვეთას ქართულ ლიტერატურაში და ამის შემდეგ მთელი ჩვენი მწერლობა მეტნაკლებად ამ გზით მიდის. ეს კი ფრიად დიდი დამსახურებაა მწერლისა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ანტონ ფურცელაძე ამ სახეში მოხერხებულად აერთიანებს ნაციონალურ-განმა-

თავისუფლებელ-რევოლუციურ იდეებს. რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოსაზრებანი განავითარა მწერალმა ჯერ კიდევ 1863 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში იტალიის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის გარიბალდის შესახებ. იგი აღტაცებული იყო გარიბალდის გმირობით, ამ სიმართლის დამცველი ეროვნული გმირის მოქმედებით, და ოცნებობდა, ნეტავ საქართველოშიც გამოჩნდნენ ამგვარი გმირებიო.

ისტორიულ თემატიკას უძღვნა ანტონ ფურცელაძემ აგრეთვე „ცხრა ძმა", „თამარ ღაზნელი", „წყალობა" და სხვა. დამახასიათებელია ანტონ ფურცელაძის დამოკიდებულება წარსულთან. ანტონ ფურცელაძე ისტორიულ წარსულს უაღრესად რეალისტური მწერლის პოზიციით უდგება. „წარსულის ბაძი ჩვენ ვერ წაგვიყვანს წინ, რადგან ყველა ხალხის წარსულში ცუდი უფრო მეტია, ვიდრე კარგი, რომლის გამოც ვერ გამოიტანს ხალხი იქიდან თავის მომავლის წარმატების აზრსა. ამის გამო ხალხს კი არ უნდა უღრეცდეს კაცი კისერს საფლავისკენ, უნდა ახედებდეს იმას წინ. კი არ უნდა აჩვენებდეს იმას აკლდამის ძვლის ჩონჩხებსა, უნდა აჩვენებდეს ცოცხალს, მომავალს შემოსილს ნორჩი ხორცით და ცნობა გონებით. და უკეთუ ხალხს უჩვენებს პოეზიაში ან ისტორიაში ვისმე მხნე პირთა, კეთილსა და თავის ხალხის სიმართლისთვის მომქმედს და თავგანწირულს, იმისათვის კი არა რომ წარსული გაუხადოთ ხალხს სანატრელად, მხოლოდ იმისათვის, რომ ამ პირის მაგალითი აღვიძებდეს ხალხში მხნეობასა და აძლევდეს ძალას, რომ გასწიოს ბრძოლა წარსულზე უკეთესი მომავლის დასამყარებლად. კაცობრიობის წარმატება მდგომარეობს იმაში, რომ ძველი ძველდება, ქრება, იკარგება და იმის ნაშთზე ამოდის ახალი"...

სტეფანე ჭრელაშვილი წერდა:

„როდესაც გავიხსენებ, რომ ქართველი ინტელიგენტისათვის განსაკუთრებით გაძნელებულია ლუკმა პურის შოვნა, და რომ ამ შოვნას უნდება უკეთესი დრო მისი და გამუდმებული მეცადინეობა; მაშინ აღარავის გააკვირვებს ის აზრი, რომ საზოგადოდ ჩვენი კაცი ძნელადღა იცლის საწერლოდ. ამ გარემოებას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნე-

ლობა აქვს თვით მწერლისათვის და მეტადრე მისი ნაწერებისათვის. ყოვლად შეუძლებელია, რომ ღირსება ქართველი მწერლის დღევანდელი ნაწარმოებისა იმ სიმაღლეზე იდგეს, რომელსაც უეჭველად მიაღწევდა იგი, უკეთუ ქართველი მწერალი გაინთავისუფლებდა თავს ყველა სხვა საქმისაგან, უმთავრეს საქმედ გარდიქმნიდა სამშობლო მწერლობას და მოეკიდებოდა მხოლოდ მას მთელის თავისი ძალით და ღონით... და თუ მაინცდამაინც ასეთს უკუღმართს გარემოებაში ქართული ლიტერატურა, აქ ჩვენი საზოგადოება მადლიერი უნდა იყოს ხოლმე თითო-ოროლა ადამიანისა, რომელსაც შერჩენიათ იმოდენა ძალა სულისა, ისეთი სიყვარული სამშობლოს სიტყვიერებისა, რომ თავიანთ თავისუფალ დროს, ლუკმა-პურის ძიებას გადარჩენილს, შეუწირავთ მსხვერპლად ქართული მწერლობისათვის და ამასთანავე არათუ სასყიდელი არა მიუღიათ რა, არამედ პირიქით თავიანთ სალიტერატურო შრომაზე კიდევაც დაუყრიათ სახარჯო ფული საკუთარის შეძლებისდგან. აი ამ მწერალთა განსაკუთრებულ გუნდს ეკუთვნის ჩვენი პატივცემული ანტონ ფურცელაძეც". ეს ამონაწერი კომენტარს არ მოითხოვს.

ანტონ ფურცელაძემ სავსებით დამსახურებულად დაიმკვიდრა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი.

ცხოვრების მართალი მხატვარი

თბილისის ოპერის თეატრში საბჭოთა საქართველო იუბილეს უხდიდა დავით კლდიაშვილს. დარბაზი სავსე იყო მწერლის პატივისმცემლებით. საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ შესავალ სიტყვაში მოკლედ დაახასიათა დავით კლდიაშვილის ღვაწლი და სხვათა შორის თქვა: „დავით კლდიაშვილი ულმობლად ამხილებდა და დასცინოდა დეგრადაციის გზაზე დამდგარ იმერეთის ხელმოკლე აზნაურობას“...

მხცოვანი მწერალი ერთბაშად შეირხა, მოულოდნელად წამოდგა, მერე ისევ დაჯდა. ყველამ შეამჩნია, რომ რაღაც ეწყინა იუბილარს, მაგრამ ნამდვილი ვითარება საქმისა არავინ იცოდა. შემდეგ მოხსენება, სიტყვები, ტაში... ბოლოს სიტყვა იუბილარს ეძლევა. პატარა ტანის მოხუცი შედგა ტრიბუნაზე, მაგრამ მღელვარებას ვერ იოკებს და ერთბაშად ამბობს: „მე არასოდეს არავისთვის დამიცინია“.

ეს იყო პირველი კატეგორიული ფრაზა, რომელიც დავითმა წარმოთქვა. შემდეგ ამას მოჰყვა ხალხისადმი მიმართული მადლიერების გამომხატველი სიტყვები. მაგრამ ეს პირველი ფრაზა დარბაზში ქარიშხალივით დაირხა. ეს იყო გამომწვევი პასუხი. რეპლიკაში—მე არასოდეს არავისთვის დამიცინია,—იგი თავისი შემოქმედების ხასიათისა და ბუნებას განმარტავდა. და მაინც ვინ იყო მართალი ამ პაექრობაში?

ვინც დავით კლდიაშვილის შემოქმედებას გულდასმით დააკვირდება, იგი ადვილად მიხვდება, რომ მწერალმა დიდი სიმართლით და განუმეორებელი ოსტატობით წარმოსახა იმერეთის აზნაურობის ხელმოკლეობა და უნიადაგობა, გამოხატა ისეთი ორიგინალური ფორმით, დიდი მხატვრული ალღოთი და ძალით, რაც მხოლოდ რჩეულთათვის არის

დამახასიათებელი. და ამ გზით დაიმსახურა მან სწორუპოვარი მხატვრისა და პირველხარისხოვანი ოსტატის მაღალი სახელი.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ როდესაც დ. კლდიაშვილი ხატავს ამ დამშეულთა არმიას, მათ უნიადაგობასა და დაკნინებას, იგი არსად ზევიდან არ დასცქერის და სარკასტულად არ დასცინის ამ ადამიანებს. პირიქით, მწერალს დიდად შესტკივა გული და ამ გულისტკივილით წერს და ხატავს დაუვიწყარ ხასიათებს. მაგრამ რეალიზმის კანონი, რომლის ერთგული დამცველი იყო დ. კლდიაშვილი, უკარნახებს მწერალს ბოლომდე იყოს თანმიმდევარი ამ სინამდვილის გამოხატვაში, ამ ადამიანების დახასიათებაში. ხოლო ეს სინამდვილე, რომელშიც მოქმედებენ და ცოცხლობენ ეს წვრილფეხა აზნაურები, მათ წინააღმდეგ აღმდგარა, მათ უნიადაგობასა და დროგადასულობას საყოველთაო ხასიათი მიუღია.

დ. კლდიაშვილი ოტია ქამუშაძის გამო მოსწრებულად შენიშნავს: „სწორედ შეეცოდებოდა კაცს, რომ თვით ამბავი სასაცილო არ ყოფილიყო". ეს შემთხვევითი ფრაზა როდია, იგი ზუსტად გამოხატავს დ. კლდიაშვილის როგორც მხატვრის პოზიციას. და ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მწერალი გულისტკივილით წერდა ამ ადამიანებზე. დ. კლდიაშვილი სწორედ დიდი ტკივილების, დიდი სოციალური და ეროვნული ტკივილების მხატვარი იყო, მაშასადამე, საქართველოს იმდროინდელი სოციალური ტკივილების უტყუარი მხატვარი.

აზნაურის ბედი, გლეხკაცობის მდგომარეობა, ეროვნული და სოციალური ჩაგვრა და მისგან წარმოშობილი ტკივილები ერისა მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის მიერ მრავალგზის იყო დამუშავებული. დ. კლდიაშვილი თემატურად ამ სამყაროში აღმოჩნდა. მაგრამ მის შემოქმედებას ახლავს ახალი ეპოქის მიერ მოტანილი ბრძოლის ის პათოსიც, რომელიც მხოლოდ რევოლუციური მეოცე საუკუნის ნაყოფია. თუ ერთი მხრივ დ. კლდიაშვილი ილია ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის უმცროსი ძმაა თავისი სოციალური და ეროვნული მისწრაფებებით, მეორე მხრივ იგი იმ ქარიშხლიანი

ეპოქის შვილიც არის, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობას, მე-20 საუკუნის რევოლუციურ საქართველოს მოჰყვა.

კლდიაშვილი მოწმე და მონაწილე იყო მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე დაბადებული რევოლუციური იდეალისა და მის მოქალაქეობრივ ფსიქოლოგიასა და სამწერლო სამყაროში ეს მისწრაფებანი. უთუოდ გამოისახა, გამოისახა ეს იმ უარყოფის პათოსში, რომელიც ძველი ცხოვრების კრიტიკას უკავშირდება, და გამოიხატა იმ ინტონაციებშიც, ახალი მებრძოლი ძალების სიმპათიას რომ დაუკავშირდა. ვინც დ. კლდიაშვილის მოგონებების ვრცელ წიგნს წაიკითხავს („ჩემი ცხოვრების გზაზე"), ადვილად დარწმუნდება, თუ რა მჭიდროდ იყო დაკავშირებული დ. კლდიაშვილი მე-20 საუკუნის იმ რევოლუციურ ძალებთან, რომლებმაც დაამხეს თვითმპყრობელობის ტახტი. დ. კლდიაშვილის ვრცელ მოგონებაში ასახულია ის ძალები, ის სოციალური და კლასობრივი პარტიები და ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ მე-20 საუკუნეში. ამ ისტორიაში განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი ეთმობა 1905 წლის რევოლუციის მღელვარე პერიოდის აღწერას, ბათუმის მუშათა კლასის საბრძოლო თავგადასავლის მოთხრობას, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეების მოგონებას. მწერალი დიდი სიხარულითა და მღელვარებით გადმოგვცემს ჩვენი ხალხის მიერ განვლილ ამ ისტორიულ გზას.

„სამანიშვილის დედინაცვლის" ავტორი შესანიშნავად ხედავდა და გრძნობდა ძველი ცხოვრების უბადრუკობას. საკმარისია ამ „მოგონებიდან" ერთი დეტალის მოტანა, რომ ნათელი გახდეს, თუ რა ზედმიწევნით იცნობდა იგი რევოლუციამდელი საქართველოს ცხოვრების სურათს და როგორ მწვავედ განიცდიდა თავისი ერის ბედს: „საზარელი სურათი იშლებოდა თბილისის ქუჩაზე (ქუთაისში), — წერს იგი, — სადაც მოწყობილი იყო დამრიგებელი პუნქტი. ქუჩა გაჭედილი იყო სოფლიდან ჩამოსული ხალხით, დედაკაცები, მამაკაცები, მოზრდილები ყველა დაღონებული, დაღვრემილი სახის გამომეტყველებით იდგნენ, ისხდნენ, შესჩიოდნენ ერთმანეთს თავიანთ მწარე მდგომარეობას, ხშირი იყო ტირილი,

თითო პეშვი სიმინდი დიდ რამედ მიაჩნდათ. მახსოვს, ერთხელ, როცა სიმინდის პარტია გამოილია, გამოუცხადეს მომდგარ ხალხს, რომ სიმინდი დღეს აღარ იქნება, იატაკზე მხოლოდ მტვერი ეყარა, ხალხი ვერ შევაჩერეთ, იძულებული ვიყავით კარი გაგვეღო და საწყობში შემოგვეშვა ხალხი. შემოხეთქილი ხალხი ეცა ამ მტვერს, ათრთოლებული ხელებით ხვეტავდა მტვერს, რადგან მასში აქა-იქ მოინახებოდა სიმინდის მარცვალი და გაფაციცებით ყრიდა ტომარაში: შეიქმნა ყვირილი, შეცილება, ჭიდილი, ისე აწმინდეს იატაკი, თითქოს ცოცხით გაეხვეტათ. ისმოდა საზარელი ტირილი დედაკაცებისა, რომელნიც ხელცარიელნი უნდა გაბრუხებულიყვნენ შინ.

ეს იყო საზარელი დღეები, უკიდურესი გაჭირვების დღეები, თითქოს დასაწყისი იმ ზედმეტი გამწარებისა, რომელიც ელოდებოდათ წლინახევრის შემდეგ საშინელი ომის სახით" (ლაპარაკია პირველ მსოფლიო ომზე).

ასე გვიხატავს დავით კლდიაშვილი რევოლუციამდელი საქართველოს სოფლის ცხოვრების ერთ სურათს, რომელშიც ნათლად ჩანს თავისი ხალხის სოციალური და ეროვნული ტკივილების მოზიარე მწერლის განწყობილება და სულისკვეთება. სწორედ ამგვარი. სულისკვეთებით უკავშირდებოდა იგი, როგორც მოქალაქე და მწერალი, იმ რევოლუციურ ძალებს, საბოლოოდ რომ მოუღეს ბოლო ცხოვრების უკულმართობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კლდიაშვილი თანმიმდევარი დამცველი იყო ილია ჭავჭავაძის დიადი ტრადიციებისა. „სოლომონ მორბელაძის" ავტორის კრიტიკული რეალიზმი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ სამყაროში იღებს სათავეს.

დავით კლდიაშვილი იმ დროს შემოვიდა ქართულ მწერლობაში, როდესაც თავადაზნაურობა ტაციობითა და ქედმაღლობით, მძლავრობითა და სახელით განდიდებული, დაქვეითებისა და დაკნინების გზას დაადგა. მე-19 საუკუნიდან ქართველმა თავადაზნაურობამ დაკარგა ის წოდებრივი და ეკონომიური პრივილეგიები, რაც ისტორიამ დააკისრა. დრომ უკვე საბოლოოდ აუგო წესი ცხოვრების ძველ ჩვევებსა და ფსიქოლოგიას.

ეკონომიურად და პოლიტიკურად გახუნებული აზნაური მაინც იხტიბარს არ იტეხდა, და ზოგი მათგანი მეტად გადაპრანჭული დადიოდა ამ მიწაზე. კუდაბზიკა—არაფრის მქონე, მამლაყინწა — ხელმოცარული, წოდებით განებივრებული, სოციალურად ღატაკი და უნიადაგო — ასეთი წინააღმდეგობრივი თვისება და ხასიათი აღმოაჩინა დ. კლდიაშვილმა ამ წოდებაში, შემდეგ განაზოგადა იგი და დიდი მხატვრის თვალით გააცოცხლა ამგვარი ადამიანები. მწერალი კარგად იცნობდა იმ სამყაროს, იმ ფსიქოლოგიას, რომელსაც გვიხატავდა. თვითონ იმერეთის თავად-აზნაურთა წრეში დაიბადა, აქ გაატარა თავისი ბავშვობის წლები, აქ ნახა ყოფითი სურათები, ის ადამიანები, შემდეგ ასე ტიპიურად რომ გამოსახა თავის ნაწარმოებებში. ყველაზე უფრო ახლობელი და ნაცნობი დავით კლდიაშვილისათვის ეს იმერეთის აზნაურობა იყო. ამ ადამიანების წრეში, ამ ყოფით ვითარებაში დაიბადა და გაჩნდა შესანიშნავი მოთხრობები „სოლომონ მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „ბაკულას ღორები“...

მოთხრობათა ეს ციკლი იმერეთის აზნაურთა ყოფას გვიხატავს, და აქ ყოველი დეტალი, ყოველი სურათი, ყოველი მოქმედება გმირისა უშუალოდ ცხოვრებიდან არის აღებული და დიდი სიმართლით გამოხატული. ერთი შეხედვით ყველა ეს მოთხრობა ერთ საკითხს უტრიალებს, ერთ აბზავს გვაცნობს, მაგრამ ისე განსხვავებული ფერებით, საღებავებით და თვისებით არიან გამოხატული ეს გმირები, ეს ადამიანები, ეს გარემო, რომ ისინი სრულიად დამოუკიდებელი ცხოვრებით ცოცხლობენ.

კლდიაშვილის პირველი მოთხრობა იმერეთის აზნაურების შესახებ „სოლომონ მორბელაძე“ იყო, რომელშიც მთელი სისრულით გამოჩნდა მისთვის დამახასიათებელი წერის მანერა. სოლომონ მორბელაძის ხასიათში მწერალმა ტიპიურად განასახიერა ხელმოკლე, ღარიბი აზნაურის ცხოვრების ისტორია და მისი სულიერი ინტერესები. ეს ინტერესები და მისწრაფებანი როდია რთული. სოლომონ მორბელაძე ამ მხრივ მარტივი ხასიათისაა. მისი ანგარიში ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას ემყარება მხოლოდ და არსებობის

საშუალებად მას შედარებით იოლი გზა — მაჭანკლობა აურჩევია. მის ხელმოკლეობას და სიღარიბეს ყველგან ვგრძნობთ. ეს ტრაბახა აზნაური იძულებულია, როგორც სულის აღსარება. აღიაროს თავისი გაჭირვებული ცხოვრების ამბავი. „ჩემ შვილს, ჩემო პლატონ, უშველებელი კალამი უჭირავს ხელში... ისე მშვენივრად ურტყამს მიწას, რომ მოგეწონება, რომ უყურო... არ ეკადრება, მართალია, თოხი აზნოუშვილს, მარა მეტი გზა არაა, თითონაც იცი". ეს ქვეყნისგან და ისტორიისგან მოძულებული აზნაური მაჭანკლობით შოულობს პურს. მაჭანკლობით „ვშოულობ ცოტაცოტას, თითოოროლა გროშს... და ნამეტანი ტყუილები რომ შემერიოს, ვინღა მენდობა!" ამისდა მიუხედავად, სოლომონ მორბელაძე იძულებულია ტყუილების გზას დაადგეს. იგი ქაიხოსრო ქათამაძის ვაჟს, სამღვდლოდ გამწესებულ ნიკოს გაურიგებს ბესარიონ საქარაძის ქალიშვილს ელპიტეს. როგორც ბესარიონი, ასევე ქაიხოსრო ცდილობენ ეს საქმე თავის სასარგებლოდ მოარიგონ, ქაიხოსრო ცდილობს მზითევში ბევრი ფული გამოცინცლოს ამ ღარიბ აზნაურს; თავის მხრივ ბესარიონ საქარაძე ცდილობს როგორმე იოლად გავიდეს ამ საქმეში. და აქ მარტო მისი მოხერხების თუ იოლად გადარჩენის აღწერა როდია მთავარი. მთავარია ის, რომ უჭირს. იგი გულწრფელად აღიარებს: „მიჭირს, სოლომონ, მიჭირს, ძალიან მიჭირს"... „შემიბრალეთ, კაცი, შემიბრალეთ..."

მწერალი საგანგებოდ ხაზს უსვამს, რომ არა მარტო სოლომონი და ბესარიონია ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში, არამედ მთელ სოფელს უჭირს. „მე რომ მარტო მიჭირდეს,— დაუფარავად აღიარებს ბესარიონი, — არაფერი, და ყველას რომ გვიჭირს, სად უნდა წევიდეთ, ვისთან მივიდეთ, ვის შევეხვეწოთ მოხმარება". განა ასევე არ უსვამს დ. კლდიაშვილი ხაზს აზნაურის გაჭირვებულ ცხოვრებას უფრო ტიპიურად და დამახასიათებლად მოთხრობაში „ქამუშაძის გაჭირვება"?

„აღარ არის, აღარ არის კაცი, შენ დაგენაცვლე! რა კაცი, რომ გენახა! — ხმადაშვებით დაიწყო ეფროსინემ, რომელსაც თვალები მიაშტერა ლევანმა. — გაჭირვებამ ფიქრში ჩააგდო, სირცხვილმა, ყველასთან დარცხვენილად რომ

ვრძნობს თავის თავს, გული მოუხარჩა და რავარც ეხლა ხედავ, ასე მოაქცია. ბევრი ვებრძოლეთ სიღარიბეს, ბევრი ვითმინეთ, ბევრი ვიმეცადინეთ, მარა მაინც არაფერი გაგვეწყო. რაც დრო გადიოდა, უარესი და უარესი ამბები მოდიოდა ჩვენს თავზე".

ტიპიურ ვითარებაში წარმოადგინა დ. კლდიაშვილმა ხელმოკლეობა და გაჭირვება იმერეთის აზნაურობისა, ამ არაფრის მქონე, ღარიბ-ღატაკი აზნაურის ცხოვრების მწუხრი. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ დ. კლდიაშვილი ამ ეპიზოდების, ამ სურათების დახატვის დროს გულცივი მაყურებელი იყო. სწორედ ამის თაობაზე შენიშნავდა დ. კლდიაშვილი: „ბევრ მკითხველს უცინია ჩემი მოთხრობების წაკითხვაზე, მე კი, მათი დამწერი, გეფიცები, არა ერთხელ გულამღვრეული მოვშორებივარ მაგიდას და ზედ მიტოვებული ნაწერს. მე შუდამ იმას ვცდილობდი, რაც შეიძლება უტყუარი მასალა მიმეწვდინა საზოგადოებისათვის, რომ მასაც ეგრძნო ის უიმედობა და უნუგეშობა, რომელიც გარს გვახვევია". ეს ადგილი კომენტარს არ მოითხოვს. ყველაფერი ეს იმას ამტკიცებს, რომ დავით კლდიაშვილმა მკვეთრად გამიჯნა მშრომელი ღატაკი აზნაურის ცხოვრება იმ კუდაბზიკობისაგან, იმ ძველი აზნაურული ფსიქოლოგიისაგან, რომელიც შერჩა ამ წოდებას, როგორც ავლა-დიდება წარსულისა, და რომლის ძონძებში უფრო სასაცილოდ მოჩანდა მთელი მისი უნიადაგო ფართიფურთი.

„ქამუშაძის გაჭირვების" ავტორი შესანიშნევი მცოდნე იყო არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის ცხოვრებისაც. მან ხომ ოცდაექვსი წელიწადი ბათუმში გაატარა სწორედ იმ დროს, როდესაც ბათუმი ბურჟუაზიული ცხოვრების დიდ შარაგზაზე გამოვიდა და რევოლუციური ბათუმის მქუხარე ხმამ მთელი საქართველო შეარხია. დავით კლდიაშვილმა მშრომელი და გამრჯე ოტია ქამუშაძე სწორედ ქალაქისაკენ გაისტუმრა, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას და აღინიშნოს, ის როგორც მხატვარი, არ იყო დარწმუნებული, ბედნიერება ერგებოდა თუ არა ოტია ქამუშაძეს. ამ საკითხის გამო თვითონ მწერალი შენიშნავდა: „ცხოვრების მიერ შექმნილი პირობები ხელს უწყობენ მიწასთან განშორების ქადაგებას

და სოფლიდან აუარებელი ხალხი მოდიოდა ქალაქისაკენ უკეთესი ცხოვრების საძებნელად, მაგრამ ამ მხრივ არ იყო ერთი აზრი. ერთი ხსნას მიწასთან განშორებაში ხედავდა, მეორენი კი ირწმუნებოდნენ, რომ მიწასთან განშორება და ჩვენი დაღუპვა ერთი იქნებოდა".

ეს ერთგვარი მერყეევი პოზიცია, რასაკვირველია, ოტიას ბედის გამოსახვაშიც გამოჩნდა. თვით ამ მოთხრობაში გამოყვანილი ქალაქელი ორპირი, მატყუარა, მექრთამე კომბინატორების ტიპებსა და ხასიათებში (ბეგლარ ჭინჭარაძე, პორფილე ბიაშვილი) ნათლად ჩანს, რომ ქალაქში ყველაფერი რიგზე როდია, მაგრამ ამისდა მიუხედავად ქალაქი სოფელზე რომ ძლიერია და მომავალი მას ეკუთვნის, ეს ამ მოთხრობის მთელ პათოსში ჩანს.

აკი მწერალმა იმავე პორფილეს ათქმევინა, როცა ამ უკანასკნელმა გაჭირვებაში ჩავარდნილი სოფელი ნახა: „მეც ამათსავით ვიქნებოდი, უსათუოდ, დროზე რომ არ გავქცეულიყავი სოფლიდან... პორფილე სიამოვნებით ხითხითებდა და ხარხარებდა... ამის პირით თითქოს თავმომწონე, უფრო ღონიერი ქალაქი დასცინოდა... მისუსტებულ სოფელს". ამ ფონზე ოტია ქამუშაძის გასტუმრება მწერლის მიერ ქალაქისაკენ საკითხის ამგვარი დაყენების ერთი საბუთიც არის.

ოტია ქამუშაძის სახე დავით კლდიაშვილმა მუქი, ტრაგიკული ინტონაციებით და ბედისგან განწირული კაცის ფსიქოლოგიით გამოგვისახა, ამავე დროს სიცოცხლის უნარითაც აღჭურვა იგი. ამ გარემოებას თავის დროზე მიაქცია ყურადღება ალექსანდრე წულუკიძემ. იგი წერდა: „ოტია ქამუშაძემ ფაქტიურად უარი თქვა თავის წოდებრივ პრივილეგიებზე, მას შრომით სურს წაართვას ბუნებას საარსებო საშუალებანი, მაგრამ შიმშილისაგან დევნილი გარბის ქალაქში. უკანასკნელი ტიპი უფრო სიცოცხლისუნარიანია და მისი ცხოვრება ხდება სერიოზული დაკვირვებისა და კვლევის საგნად".

სოფლის გლეხკაცის ცხოვრებას მიუძღვნა მწერალმა მოთხრობები: „შერისხვა", „მსხვერპლი", „მიქელა" და პიესა „უბედურება". დ. კლდიაშვილის სამწერლო დებიუტი „შერისხვა" და „მსხვერპლი" იყო. აქაც დ. კლდიაშვილი თით-

ქოს უმნიშვნელო, პატარა ამბავს იღებს ცხოვრებიდან, მაგრამ შემდეგ ამ „პატარა ამბავს“ ისე განაზოგადებს, რომ ამ ფონზე შექმნილი ხასიათები ზოგადი ტიპები არიან. მოთხრობა „შერისხვაში“ მწერალმა მთელი სისრულით დაგვიხატა რევოლუციამდელი სოფლის გლეხის ჩამორჩენილი ფსიქოლოგია.

ანალოგიური სურათია გადმოცემული მეორე მოთხრობაში „მსხვერპლი“. უმეცრების, ცრუმორწმუნეობის, გონებაშეზღუდულობის წუმპეში იღუპებიან ამ მოთხრობის მთავარი გმირები. ახალგაზრდა გლეხის ქალიშვილი მარინეც, კუდიანობა-შეწამებული ფეფენაც.

პატიოსანი ადამიანის ბედი და ბრძოლა არსებობისათვის მწერალს დახატული აქვს განსაკუთრებული თანაგრძნობით და განსაკუთრებული გულისტკივილითაც. დ. კლდიაშვილი მთელ ამ სინამდვილეს, მთელ ამ ცხოვრებას აღწერდა რეალისტი მწერლის პირუთვნელობით. ყოველი მისი გმირი, მის მიერ შექმნილი ყოველი სიტუაცია, ამბავი, სინამდვილიდან აღებულია.

აი „ბაკულას ღორები“, რა შეუფერავი სინამდვილეა აქ დიდი მხატვრის მიერ ერთი ფუნჯის მოსმით გაცოცხლებული, და რამდენად ტიპიურია სოფლის ეს სურათი. ავიღოთ ამ მოთხრობის დასაწყისი სცენა. თვალწინ გვიდგას სოფლის ცხოვრების ეს სურათი. მთელი ოჯახი — ზენათი, პიტია, კიკილო და ძაღლი ტრუბია ქაქანით გაეკიდებიან ბაღჩას შემოსეულ ბაკულას ღორებს. „ის იყო შარაგზით მომავალმა ზენათიმ გზის შესამოკლებლად ღობეზე გადარება დააპირა და ზედ შედგა ფეხი, რომ გამწარებით წამოიძახა:

— ღმერთო მომკალი! ღმერთო მომკალი!—ჩახტა ეზოში და ქაქანით გაენთო ეზოს ყურეში ყოფილ პატარა ბოსტნისაკენ.

— უიმე, უიმე! ღმერთო მომკალი! პ ი ტ ი ა! სასიკვდილე პიტია, კიკილო. თქვენ მოუკვდით თქვენ დედას, თქვენ, პიტია, კიკილო, კიკილო!—უცნაური ხმით გაკიოდა და თან მირბოდა ზენათი.

ამ ყვირილზე დაბალ ბალკონიან სახლიდან გამოვარდა თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალიშვილი, რომელს უკან გა-

მოსდია თმაგაბურძგვნილმა, ფეხშიშველა, პერანგისამარა, პატარა ბიჭმა.

— რა ამბავია, დედა, რა? — იკითხა ქალიშვილმა.

— რა და თქვენი სიკვდილი... თქვენი არ გადარჩენა შვილო, თქვენი არ გადარჩენა. თქვენ გოუწყდით თქვენს პატრონს, ვერა ხედავთ, თქვე გასაწყვეტლებო, რომ ამოგვაგდეს, რომ ერთიანად ამოგვაგდეს?! თქვენ გაგიწყდათ მიწა.... მოისპო თქვენი სახელი! დაგიდგათ თვალები! მიწა დაგეყარათ, გასაწყვეტლებს, მიწა!—და ამ წყევლის წარმოთქმაზე შეჩერებული ზენათი ისევ ბოსტნისაკენ გაიქცა, უკან დაედევნა პიტიაც.

— ჰა, ტრუბია, ჰა, ტრუბია!—აყვირდა პატარა ბიჭიც,—და ამ ძახილზე სახლის ყურიდან გამოვარდა შავი ბანჯგვლიანი ნაგაზი და ესეც ყეფით გავარდა ბოსტნისაკენ".

ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ამაზე უფრო ზუსტად გამოხატული ძველი სურათი. შესანიშნავი მცოდნე სოფლის სინამდვილისა აქ ეჯიბრება ბრწყინვალე ფსიქოლოგ მხატვარს. არანაკლებ ძლიერად არის დახატული პირფერი კაცის ბუნება გალაქტიონის ხასიათსა და საქციელში. რაკი ის ვერაფერს გახდა თავის მეზობელ ბაკულასთან ვერც ხვეწნით და ვერც მუდარით, გადაწყვიტა შინ დაეპატიჟებინა თავისი ცოლის ნათესავი დიდი კაცი და ამით შეეშინებინა მეზობელი. სტუმრობა ერთი უბრწყინვალესი მხატვრული დეტალია. ეს მთელი კომედიაა, კომედია ხელმოკლე აზნაურისა, მისი უბადრუკობისა და უნიადაგობის მამხილებელი. გარკვეული თვისებების შეცნობა, კონკრეტულის განზოგადება და ხასიათის ტიპიზაცია დამახასიათებელი თვისებაა დ. კლდიაშვილისა. მან ხასიათების გამოძერწვის ეს საიდუმლოება მოიმარჯვა და აზნაურის უფერული პატარა ცხოვრება ასე გახდა ზოგადი, ტიპიური ხასიათის, მნიშვნელობისა და ძალისა. ეს არის მისი, როგორც მწერლის, ინტუიციის ნაყოფი, ხასიათის შექმნის ოსტატობა კი მისი ძალაა. გლეხის, კაცია საგუნაშვილის ხასიათს ხატავს იგი თუ აზნაურების პლატონის, ოტიასა თუ სოლომონისას, ყველგან ტიპიური ხასიათის ტიპიურ მდგომარეობაში გადმოცემას ახერ-

ხებს. სწორედ აძაში ჰპოვა გამარჯვება დ. კლდიაშვილის კრიტიკულმა რეალიზმმა.

ახლა შეგვიძლია მივუბრუნდეთ ამ წერილის თავში დასმულ კითხვას—ვინ იყო მართალი 1930 წელს საიუბილეო საღამოზე გამართულ კამათში, მომხსენებელი თუ იუბილარი? უნდა დავეთანხმოთ მწერალს, რომ იგი ტკივილებით წერდა იმ უბადრუკობის შესახებ, რომელშიც რევოლუციამდელი საქართველოს სოფელი იყო, იმ გაჩანაგებისა და გაჭირვებული ცხოვრების გამო, რომელშიც ბედმა სოფლელი კაცი ჩააგდო, მათ რიცხვში ეს ხელმოკლე მშრომელი აზნაურები. მწერალი არ დასცინოდა, მაგრამ ბეკინას, ეკვირინეს, პლატონის, სოლომონის მდგომარეობა ობიექტურად იყო სასაცილო. დ. კლდიაშვილის მიერ ობიექტურად ასახული ეს სინამდვილე, ეს გადაპრანჭული კუდაბზიკური ფსიქოლოგია აზნაურისა ისეთი მძაფრი ფერებითა და საღებავებით არის დახატული, რომ მართლაც სასაცილო იყო მათი საქციელი „და გულიანად ხარხარებდა მათი წამკითხველი“.

დ. კლდიაშვილის მოთხრობებში გვხვდება თანაზომიერი შენაცვლება ტრაგიკული ინტონაციებისა და სასაცილო სიტუაციებისა. მისი ნაწარმოების პათოსი ცხოვრების ძიერ გახუნებული აზნაურის კუდაბზიკობით მხილების სულისკვეთებაზეა აგებული. დ. კლდიაშვილმა შესანიშნავად დაინახა, რომ აზნაურის ცხოვრების ძველებური წესები და კანონები, ფსიქოლოგია და ტრადიცია ულმობლად დაამსხვრია ისტორიის ახალმა ქარიშხალმა. ბუდიდან ამოაგდო ეს კუდაბზიკა აზნაური და არავითარ ძალას არ შეუძლია მისი დამაგრება სოფლად. ახლა აზნაურს გლეხკაციც კი, წელში მომაგრებული გლეხკაციც კი დასცინის. შესანიშნავად გამოხატა დ. კლდიაშვილმა ეს სოციალური და ფსიქოლოგიური დუელი გლეხისა და აზნაურის „ქამუშაძის გაჭირვებაში“.

მოვიგონოთ ეს ადგილი: ოტიამ ბავშვი გლეხ სამადაძეს მოანათვლინა, აზნაურისათვის ეს შეურაცხმყოფელი ნაბიჯი იყო და ამის გამო ეკვირინეს, ოტიასა და სონიას დიდი კამათიც ჰქონდათ. მათ შესანიშნავად იციან, რომ წელმომაგრებულ გლეხთან დამოყვრება ცხოვრების გახანგრძლივების

საშუალებაა და ისინიც იძულებული არიან გადადგან ეს „შეურაცხმყოფელი ნაბიჯი“.

ეს წელმაგარი გლეხი თამამად ელაპარაკება ნათლობის დღეს აქ თავმოყრილ აზნაურებს. ერთ მათგანთან კინკლაობა მოუვიდა კიდეც „ყაზახი ვარ! — შეჰყვირა მან, წელში გამართულმა, — ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნოუშვილს კიდევ ვჯობივარ. თუ ძალაზედაა, მობრძანდი, ახლა მობრძანდი, ისე დაგბუბნო, რომ ღობემდისაც ვერ მიგყვეს შენი დამშეული სული... შენისთანა შემოდგომის აზნოუშვილების რა მცოდნია? ძალიან გულზე არაა. ჰმ,—შეიქმნა ერთი ყვირილი. ამ „შემოდგომის აზნაურობის“ ხსენებამ ბევრი ააპიმპილა“—უმატებს თავის მხრივ დ. კლდიაშვილი და ეს ფრაზა — შემოდგომის აზნაურები — შემთხვევით ნათქვამი ფრაზა როდია. ამ სიტყვებით განსაზღვრა დ. კლდიაშვილმა თავისი დამოკიდებულება ამ კუდაბზიკა აზნაურებისადმი.

მთავარი პათოსი დ. კლდიაშვილის მოთხრობებისა სწორედ ეს სასაცილომდე უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი აზნაურის ტრაგიკული სულისკვეთებაა.

თავისი შინაგანი მოწოდებით დავით კლდიაშვილი პროფესიონალი მწერალი იყო, მაგრამ იმდენად მცირე იყო ჰონორარი, რომელსაც იგი იღებდა, რომ ამით ცხოვრება შეუძლებელი იყო და იგიც ხარივით უღელში შებმული მუშაობდა ხან სამხედრო სამსახურში, ხან ქალაქის სამმართველოში გადამწერად, ხან კიდევ კანტორის პატარა მოხელედ. ყოველივე ამას დიდი დრო და დიდი ენერგია სჭირდებოდა. დ. კლდიაშვილი ლუკმაპურის ძებნაში გადარჩენილ დროს ანდომებდა მწერლობას და წერდა, რადგან არ შეეძლო არ ეწერა, თორემ ისე დაღლილი და დაქანცული იყო რიგითი კაცის შრომით, რომ სადღა ჰქონდა დრო და ხალისი მწერლისათვის საჭირო დამჯდარი მუშაობისათვის.

ასეთ მძიმე ვითარებაში ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც დ. კლდიაშვილმა დაგვიტოვა, მცირე როდია, ამავე დროს მეტად მრავალფეროვანი და მრავალმხრივია, დიდია თავისი მნიშვნელობით (პროზა, დრამატურგია, მემუარები). ამ მხრივ დ. კლდიაშვილი მე-19 საუკუნის ქართველ

სამოციანელთა ტიპია — ილიასა და აკაკის თანამებრძოლი და მათ კვალზე მავალი.

ჩვენ უკვე ნაწილობრივ გავეცანით დ. კლდიაშვილის პროზას. გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მის დრამატურგიაზე. დრამატურგია მე-19 საუკუნის საქართველოს კულტურული და ეროვნული ცხოვრების აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია. იგი მებრძოლი სოციალური და ეროვნული სულისკვეთებით ზრდიდა ქართველ ხალხს.

დავით კლდიაშვილს ისე, როგორც აკაკისა და ვაჟას, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობა, ეროვნული ქართული თეატრის ინტერესები უკარნახებდათ ქართული დრამატურგიისათვის მიეშველებინათ თავიანთი ბრწყინვალე ნიჭი და უნარი.

ბათუმში დავით კლდიაშვილი თვითონ იყო მოწმე, თუ რა მძიმე მდგომარეობას განიცდიდა ქართული თეატრი. ეროვნული რეპერტუარის სიმცირის გამო მაშინდელი ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატები ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ნატალია გაბუნია და სხვები იძულებული იყვნენ მეორეხარისხოვანი თარგმნილი პიესებით ჩაეტარებინათ ბშირად მთელი თეატრალური სეზონი. მაყურებელს კი ენატრებოდა ქართულ სცენაზე ქართული ხასიათები ეხილა.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ გარემოებამ ააღებინა დავით კლდიაშვილს კალამი ხელში, რათა თავისი ნიჭი დრამატურგიაშიც ესინჯა. ეს ცდა დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა. დავით კლდიაშვილი იმდენად უპრეტენზიო იყო ამ მხრივ, რომ თავის პიესებს უბრალოდ სოფლის სურათები დაარქვა, თუმცა ამ პიესების დამწერმა კარგად იცოდა მათი ფასი. აკი თვითონაც წერდა: „პირველად თბილისში დაიდგა „ირინეს ბედნიერება“. პიესა, რომ იტყვიან ჩაფლავდა, ჩაფლავდა უცნაურად; თბილისელები სრულიად ვერ მიუდგნენ პიესას. ვუყურებ და ვკვირობ — ჩემი სახეები სად გაჰქრნენ, სად გადასხვაფერდნენ?!“.

ამ წარმოდგენაზე ქუთაისიდან ჩამოსულმა ლადო მესხიშვილმა პირობა მისცა ფრიად შეწუხებულ მწერალს, რომ იგი

დადგამდა ამ პიესას და ყველას დაანახვებდა მის საყოველ-თაო ღირსებას. ასეც მოხდა.

ამ შემთხვევას დიდი მღელვარებით იგონებს მწერალი: „დაიწყო რეპეტიცია. ყველა ხალისიანადაა, ხალისიანად იწყება. აბესალომს თამაშობს შალვა დადიანი—ჩინებულია: აგერ შემოფაფხურდა ფილიპე—ვასო ბალანჩივაძე, ჩემი ფილიპე, ნამდვილი ფილიპე—ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ აქვს... სიხარულისგან გაბრუებული ვარ... აიხადა ფარდა, იმის აღწერას, თუ როგორ დაიწყო პიესა, როგორ მიდიოდა, როგორ ჩატარდა, ამას არ მოვყვები, ეს იყო გრძლად გაბმული სიხარულის წამები, დაუვიწყარი წამები... ძვირფასმა ლადომ მაჩუქა ეს დაუვიწყარი წუთები“.

დავით კლდიაშვილმა სამი შესანიშნავი პიესა შექმნა: „ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“, „უბედურება“. ეს პიესები მტკიცედ დამკვიდრდნენ ქართული თეატრის რეპერტუარში. დ. კლდიაშვილმა, ისევე როგორც პროზაში, დრამატურგიაშიც წერის მთელი მანერა რეალიზმს დაუმორჩილა.

საზოგადოდ დავით კლდიაშვილი უაღრესად ერთგული იყო რეალიზმის პრინციპებისა, რომანტიზმის მონაბერი თითქმის არ შეხებია მის მწერლურ სულს. ამ მხრივ დავით კლდიაშვილის პროზა სავსებით განსხვავდება რომანტიკოსების პროზისაგან. დავით კლდიაშვილი შეგნებულად არ მისდევდა რომანტიზმის გზას, თუმცა თვითონ დიდი დამფასებელი და პატივისმცემელი იყო რომანტიკოსებისა. მხოლოდ სინამდვილე და სინამდვილე—სინამდვილის უტყუარი გამოხატვის პრინციპს გადაუხვევლად ვემსახურებოდიო, აცხადებს დავით კლდიაშვილი, და ჩვენ სავსებით უნდა დავეთანხმოთ მწერალს.

დავით კლდიაშვილის პიესებში რევოლუციამდელი ქართული სოფლის ყოფაა გამოხატული კოლორიტულად და დამახასიათებლად. აქ არაფერია მოგონილი და დახლართული. ჩვეულებრივი, უბრალო, ყოველდღიური ამბავია აღებული. მაგრამ ისე ნიჭიერად არის გამოძერწილი ხასიათები, რომ ერთბაშად დასამახსოვრებელი ხდება ჩვენთვის. იქნება ეს დარისპანი, გასათხოვარი კაროჟნათი სოფელ-სოფელ მოწან-

წალე, თუ ბედისაგან გაწბილებული, ტრადიციის მსხვერპლი ირინე, ძველი ცხოვრების მონა, მაგრამ გულით კეთილი ირინეს მამა ფილიპე თუ შემლოცველი, მორწმუნე ქალი ტუფია, ისინი დიდი შინაგანი ენერგიით და კომედიური ინტონაციებით ცოცხლად დაგვანახვა დრამატურგმა.

კომედიური მდგომარეობის ოსტატური გამოყენებით განსაკუთრებით ბრწყინავს „დარისპანის გასაჭირი". ეს ერთი გაბმული კომედიაა, უმზითვო ქალის გათხოვებაზე. მოვიგონოთ ის სცენა, სადაც მთელი მონდომებითა და დიდი ვაი-ვაგლახით ცდილობენ ვიღაც ბლუ ბიჭს მოაწონონ გასათხოვარი ქალიშვილები — დარისპანმა კაროჟნა, პელაგიამ—ნატალია. რა სასაცილოა ამის გარშემო ატეხილი ხმაური და მთელი ეს კომედიური სიტუაცია, თვითონ ეს გმირები რომ მართლაც სავალალონი არ იყვნენ. დავით კლდიაშვილის სტილი— კომედიურისა და ტრაგიკული შენაცვლების ხერხი — აქაც მთელი ძალით გამობრწყინდა. აზნაურის ტრაბახსა და მის შესაძლებლობას შორის საშინელი უფსკრულია. ხელმოკლე აზნაურს ყოველთვის როდი ესმის თავისი უნიადაგობის ნამდვილი მიზეზი. დავით კლდიაშვილი წერდა: „სოლომონს საშინლად გული მოსდიოდა იმ კუდაბზიკა აზნაურებზე, რომლებსაც არაფერი გააჩნიათ და მაინც თავის გვაროვნებასა და წინანდელ ამაყობას არ ივიწყებენ". ეს მძაფრი კონფლიქტი აზნაურულ ფსიქოლოგიასა და შესაძლებლობას შორის აღმოაჩინა და მესანიშნავად გამოიყენა დავით კლდიაშვილმა, როგორც მხატვარმა.

დავით კლდიაშვილმა ჰუმანისტი მწერლის კალმით გამოსახა რევოლუციამდელი საქართველო, ქართველი კაცის განცდები, ფიქრები და ოცნებანი. ის სინამდვილე გულის მომკვლელი და სევდიანი იყო, ხშირად სასაცილო თავისი უბადრუკობით და ჩამორჩენილი ფსიქოლოგიით. მწერალი გვიჩვენებდა, თუ რას უნდა ებრძოლოს, რა უნდა უკუაგდოს ქართველმა კაცმა.

იგი გვაფხიზლებდა, გვეძახდა, მოგვიწოდებდა უკეთესი ცხოვრებისაკენ, მანვე შენიშნა ახალი ცხოვრების ყლორტები, უკეთესი იდეებისათვის მებრძოლი გმირები (მოვიგონოთ „მშობლის ნუგეში") და როდესაც მწერალი ახალი საქარ-

თველოს დღეებს შეესწრო, მისი ქვეყნის დიდ შარაგზაზე გამოსვლა ნახა, მთელი გულით გაიხარა.

ვასილ ბარნოვთან ერთად იგი საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე (1926 წელს) მგზნებარედ მოუწოდებდა ქართველ მწერლებს აესახათ ახალი საქართველოს დღეები; თვითონ კი, ღრმად მოხუცებული მწერალი, 1914 წელს შეწყვეტილ ლიტერატურულ მუშაობას კვლავ ახალი ენერგიით მიუბრუნდა და ზედიზედ გამოაქვეყნა ვრცელი მოგონება — „ჩემი ცხოვრების გზაზე“ და ორი ნოველა: „შუაცეცხლის პირას“ და „კიმოთე მეშველიძე“. ეს იყო შემოქმედებითი პასუხი კლასიკოსი მწერლისა, ახალი დროის სადიდებლად წარმოთქმული.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა; საბჭოთა საქართველომ დავით კლდიაშვილს, გამოჩენილ მწერალსა და მამულიშვილს, მესამედ გადაუხადა იუბილე, მთელმა საქართველომ პატივისცემითა და სიხარულით აღნიშნა დავით კლდიაშვილის დაბადების ასი წლისთავი.

პოეტი—ტრიბუნი

საქართველოს რევოლუციური პოეზიის თავფურცელი ირ. ევდოშვილის ლექსებით დაიწყო. იგი იყო პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც გაბედულად შეაღო კაპიტალისტური ქარხნის კარი და ძმობა გამოუცხადა მუშათა კლასს. მანვე ასახა რევოლუციურ პროლეტარიატთან დაკავშირებული ახალი საქართველოს ბედი და მომავალი. ირ. ევდოშვილმა პოეზიის ტრიბუნაზე შეაყენა ქართველი მუშა და საჯაროდ წარმოათქმევინა დაჩაგრულთა სოციალური სევდა და გულისწყრომა და ასე აუწყა ქვეყანას ახალი ეპოქის დაბადება. ეს ისეთი დიდი დამსახურებაა, რომელიც მუდამ შეუნახავს ირ. ევდოშვილს საპატიო ადგილს ქართულ მწერლობაში.

მუშათა კლასის რევოლუციური ჰანგების პირველი მთესველი საქართველოში ირ. ევდოშვილი, მართალია, ვერ მოესწრო თვალით ეხილა გამარჯვებული პროლეტარიატის ზეიმი, მაგრამ იგი მოწმე იყო, თუ როგორ აიტაცა ხალხმა მისი ლექსები, ხოლო ქართველმა პოეტებმა როგორ გააგრძელეს რევოლუციური პოეზიის ეს ესტაფეტა. ქართულმა კრიტიკამ ირ. ევდოშვილი სიცოცხლეშივე აღიარა ახალი სკოლის შემქმნელად და ეს აზრი საზოგადოებრიობამ გაიზიარა. ამ სკოლას ეკუთვნიან ჩვენი ნიჭიერი პოეტები: ნოე ჩხიკვაძე, გიორგი ქუჩიშვილი, ალექსანდრე აბაშელი... მან არა მარტო აქ ჩამოთვლილ მწერლებზე მოახდინა გავლენა. ირ. ევდოშვილის რევოლუციური პოეზიის ცეცხლის ბრიალი მთელ ქართულ პოეზიას მოედო.

ქართველი ერის ისტორიაში მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის მიჯნა დიდი სოციალური და პოლიტიკური გარდატეხის ეპოქა იყო. ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის გამწვავებულმა ბრძოლამ, მათმა სამკვდრო-სასიცოცხლო

შეჭიდებამ არსებითად შეცვალა საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური სახე. ბრძოლის არენაზე გამოვიდა ყველაზე უფრო რევოლუციური და მებრძოლი კლასი—ქართველი პროლეტარიატი, რომელსაც მიემხრო ყველაფერი ის, რაც პროგრესული და რევულუციური იყო ჩვენს ქვეყანაში.

900-იანი წლების საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო რევოლუციური პროლეტარიატის საჯარო გამოსვლებმა. მუშათა კლასმა მთელ ქვეყანას ამცნო, რომ ის ქართველი ერის მოწინავე, მეთაური კლასია, და აღმართა საბრძოლო დროშა, რომელზეც წარწერილი იყო: მშრომელი ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლება. და აი 1900 წლის აგვისტოში თბილისში მოეწყო პირველი დიდი გაფიცვა, ხოლო 1901 წელს უფრო ფართო მასშტაბით გამეორდა ეს გაფიცვა: „ის ამბავი, რაც თბილისში კვირას, 22 აპრილს (ძველი სტილით) მოხდა, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის, ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“—წერდა ლენინური „ისკრა“. და რაც უფრო ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუცია, მით უფრო ფოლადდებოდა ეს საბრძოლო კავშირი მუშათა კლასისა.

როგორც პოეტი და მოქალაქე ირ. ევდოშვილი გვერდში ამოუდგა რევოლუციურ მუშათა კლასს და გულწრფელად გაჰყვა მის საბრძოლო გზას. ამ რევოლუციის დღეებში დაიბადა ირ. ევდოშვილის მებრძოლი სიმღერები, რომლებიც შთაგონებდა მუშათა კლასს თავდადებას და შეუპოვრობას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1905 წლის ქარბუქიან დღეებში ირ. ევდოშვილი რევოლუციის ნამდვილი ტრიბუნი გახდა. ევდოშვილის ლექსებს მღეროდნენ ბარიკადებზე, ტრიბუნებზე, კრებებზე წარმოთქვამდნენ. ამ ლექსების ცალკეული ფრაზები რევოლუციურ პროკლამაციებსა და სააგიტაციო ფურცლებში შეჰქონდათ. ირ. ევდოშვილის რევოლუციურ ლექსებს არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე შაშხანას მუშათა კლასის ხელში.

მებრძოლი სიმღერები ევდოშვილისა საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციურმა ბრძოლებმა დაბადეს, ხოლო შემდეგ პოეტმა მუშათა კლასის ეს რევოლუციური გუგუნი მთელ ქვეყანას მოსდო და თვით მოახდინა უდიდესი გავ-

ლენა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე. ეს იყო და დარჩება ირ. ევდოშვილის დიდ დამსახურებად.

ევდოშვილის პირველი ლექსი 1892 წელს გამოქვეყნდა. ამ ლექსს წამძღვარებული აქვს ილია ჭავჭავაძის ცნობილი სტრიქონები:

> რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
> ეგ ვერაფერი სიყვარულია...

ახალი ქართული მწერლობის ფუძემდებლის, მე-19 საუკუნის საქართველოს სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის ეს დემოკრატიული სიტყვები შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული; ირ. ევდოშვილმა როგორც პოეტმა და მოქალაქემ განავითარა მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის პროგრესული შეხედულებები, წინ წასწია და ახალ საფეხურზე აიტანა ეს მებრძოლი განწყობილება, ხოლო თავის მხრივ ახალი რევოლუციური ინტონაციებით გაამდიდრა ქართულ პოეზიაში

ჩვენს მწერლობაში ირ. ევდოშვილი შემოვიდა ტრადიციული ქართული ლექსის ფორმით. პირველ წლებში ეს ტრადიციული ლექსი თემატიურადაც არ სცილდება ჩვენი სახელოვანი წინაპრების — სამოციანელების საზღვრებს („ვნახე ვარდი"... „მთვარე", „გუბე", „ამონაკვნესი", „ვუძღვნი კრწანისის გმირებს"). თუმცა ამ ლექსებში უკვე ქროდა ერთგვარი სიახლე, აქ გამახვილებული კლასობრივი აქცენტის მეოხებით, მაგრამ იგი არსებითად შეიცვალა ინტონაციურადაც და თემატიურადაც 900-იან წლებში. რევოლუციური მუშათა კლასის საბრძოლო პათოსმა ქართული ლექსის ძველებური, სოფლური იდილია და ინერცია ერთბაშად ააფორიაქა, „ქარიშხლის ქროლვა" ირ. ევდოშვილმა ყველაზე ადრე იგრძნო ქართველ პოეტთა შორის და ეს არის უპირველესი მისი დამსახურება.

ჯერ კიდევ 1895 წელს დაწერილ ლექსში პოეტმა რომანტიკული გზნებით უმღერა რევოლუციის ქარიშხალს:

> გრიალებს ქარი, გრიალებს,
> ასკდება არემარეს,
> ხან ჩამოიპრის ბუხარში,
> ხან მოაწყდება კარებსა.

ცა რისხვას უთვლის დაბლა ბარს,
ზღვა ერთურთს სტყორცნის ტალღებსა,
და ჰქმა, ელვა, ქუხილი
სცვლის კლდეთა გმინვას მწარესა.
სულ არ მაშინებს ქუხილი,
არც მთისა რისხვა ბარზედა,
არც ქარის გრიალ-სისინი
და მოხეთქება კარზედა.
ვიცი, რომ ბრძოლის შემდეგა
მზე გამოკრთება ცაზედა
და თავის სხივსა უმანკოს
აათამაშებს ნამზედა.

ოპტიმიზმით, რწმენის მაღალი აზრით შთააგონებდა ირ. ევდოშვილი ჩვენს ხალხს, ეძახდა, მოუწოდებდა მომავლისაკენ. მას სწამდა, მტკიცედ სწამდა:

მაგრამ, მოვა დრო და სიტკბოებით
შენც გაგიღიმებს დღის განთიადი,
იგი იქნება დრო განახლების...
დროი ბრწყინვალე, დროი დიადი.

პოეტმა იცოდა, რომ „თავისუფლების აღთქმული ქვეყანა“ თავისთავად არ დამყარდებოდა, თავისუფლებას მუშათა კლასი უბრძოლველად ვერ მოიპოვებდა, და მან, როგორც რევოლუციის პოეტმა, მტკიცედ შემოფარგლა თავისი პოეზია ამ საბრძოლო ინტონაციებით:

პასუხი შენი მარად ეს იყოს:
უკუღმართ სოფელს ბრძოლა და
ბრძოლა.

„უკუღმართ სოფელს ბრძოლა და ბრძოლა“ აქ შემთხვევითი ფრაზა როდია- იმავე სიტყვებით დაამთავრა მან თავისი ცნობილი პოემა „მუზა და მუშა“, ირ. ევდოშვილის პოეზიის ძირითადი პათოსი ამ საბრძოლო განწყობილებამ განსაზღვრა, ხოლო მისი ცნობილი ლექსი „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“ ათი წლით ადრე შეიქმნა ვიდრე 1905 წლის რევოლუციის ქარიშხალი დაიგრიალებდა.

მუშათა კლასის ეს რევოლუციური ჰიმნი 1895 წელს დაიწერა. მე არ მეგულება მეორე ლექსი ქართულ ლიტერატუ-

რაში, რომელსაც ასეთი პოპულარობა ჰქონდეს. ამ ლექსმა მთელი ხანა შექმნა ქართულ პოეზიაში მან მთელი თაობები აღზარდა საბრძოლო სულისკვეთებითა და რევოლუციური რომანტიკით; მას მარსელიოზასთან ერთად მღეროდა საქართველოს მუშათა კლასი. ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლემ ვლადიმერ მაიაკოვსკიმ იგი 1905 წელს მოისმინა რევოლუციური ქუთაისის ქუჩებში, მუშებთან ერთად დაიზეპირა და შემდეგ უკვე სახელგანთქმული საბჭოთა პოეტი „მეგობრებს“ თავის ლექსებთან ერთად კითხულობდა ქართულად.

1900 წელს თბილისში მოწყობილ პირველ დიდ რევოლუციურ დემონსტრაციას მიუძღვნა ირ. ევდოშვილმა თავისი მეორე ცნობილი ლექსი „სიმღერა მაისის ღამეს“.

რაც უნდ ღამე იყოს ბნელი,
ცა ღრუბლებით მოიქედოს,
არსად სჩანდნენ ვარსკვლავები,
მთვარემ გზა ვერ გაიკვეთოს,
მაინც ველით განთიადსა,
არ შედრკება ჩვენი გული.
უკვე ადგა ქარიშხალი,
განთიადის მოციქული!

„უკვე ადგა ქარიშხალი, განთიადის მოციქული“—ამ რევოლუციურ ფრაზას ყოველი მოწინავე მუშა იმეორებდა ბრძოლის ეკლიან გზაზე. შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ შალვა დადიანის 1906 წელს დაწერილი პიესა—„როს ნადიმობდნენ“ ევდოშვილის ამ ცნობილი ფრაზით თავდებოდა ასე ქმნიდა ირ. ევდოშვილი მთელ ეპოქას ჩვენს მწერლობაში.

ირ. ევდოშვილი იყო პირველი პოეტი, რომელმაც რევოლუციური მუშათა კლასი საქართველოს მთავარ ეროვნულ ძალად დასახა. მე-19 საუკუნის ქართულმა პოეზიამ მუშა ერთგვარი თანაგრძნობისა და მოწყალების სულისკვეთებით გამოსახა. ირ. ევდოშვილმა კი რევოლუციური მუშათა კლასი მთელი თავისი სიდიადით და სიამაყით წარმოადგინა. ევდოშვილის მებრძოლ მუშებს მოწყალების სათხოვნელად ხელი როდი აქვთ გაშვერილი, ისინი ფეხაწყობილნი, საბრ-

ძოლოდ გამზადებულნი კანონიერად მოითხოვენ იმას, რაც უკანონოდ წაართვეს მათ, მოითხოვენ შეუპოვრობით, დაჟინებით:

ნუ მაწვდით გროშსა,
ნუ გგონივართ გლახა, უწყალო;
მშიერიც ვიყო,
არა მაქვს რა მე სამოწყალო.

მართალია ირ. ევდოშვილმა ამ მსრივაც საკმაო ევოლუცია განიცადა. პირველი წლების მის ლექსებში ჯერ კიდევ არ ჩანდა სამრეწველო კაპიტალიზმის მესაფლავე პროლეტარიატის ტიპიური წარმომადგენელი, გლეხი და მუშა ჯერ კიდევ განურჩეველი ცნებები იყო ევდოშვილის ლექსებისათვის. ამ მხრივ დამახასიათებელია „მუშა". ლექსში დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით არის დახატული ქოხში დაბადებული მშრომელი კაცი, რომლის „აკვანი ლერწამი იყო" და „სიცივით კრთოდა შიშველი კანი". ხოლო როცა წამოიზარდა, რკინის უღელქვეშ მოახრევინა ცხოვრებამ ქედი. ეს დამცირებული და შეურაცხყოფილი „მუშა" „ვიღაც ბატონს უპოხიერებს ოფლით მამულსა".

ასევე თანაგრძნობით გამოხატა პოეტმა კაპიტალისტური წარმოების უკანონო გერები: „მატანტალა", „განკიცხული" და სხვა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ირ. ევდოშვილი ახლო გაეცნო მუშათა ცხოვრებას, მან მუშათა კლასი წარმოადგინა, როგორც ყოველი დოვლათისა და სიკეთის შემქმნელი, ამავე დროს შრომის განთავისუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლი. ლუკმაპურისათვის ბრძოლაში მუშა იძულებულია თავისი ძალა და ღონე გაუმაძღარ კაპიტალისტს მიჰყიდოს. ღარიბმა გლეხმა დათმო თავისი კერა, სოფელი და თავი ქალაქს შეაფარა, მაგრამ ვერც აქ აიცდინა სიღარიბე. ამგვარ მდგომარეობაში მყოფი მუშის წინაშე ბუნებრივად იბადება კითხვა—რათ არის ასე უკანონოდ მოწყობილი ეს ცხოვრება. ირ. ევდოშვილი ამ უკანონობას მთელი შეუპოვრობით შეებრძოლება და მის კლასობრივ არსს განმარტავს:

რას შესცქერ, ძმაო ფანჯარაში მდიდრის ქულაჯას,
არა ჰგავს განა კონკათ ქცეულს შენ ძველ ფარაჯას?

შენ გააკეთე, შენ შეაქმენი, ძმაო, ეგ ფარჩა,
მაგრამ რაღაცა მანქანებით შენ კი არ დაგრჩა.
ის სხვამ წაიღო, შენ გარგუნეს ეგ კონკის ძველა,
ასე რათ ხდება? ჰკითხე შენს თავს მაინც ერთხელ!

და პოეტი ექსპლოატატორებისაგან დაჩაგრულ მუშებთან ერთად მთელ ქვეყანას ეკითხებოდა—ასე რათ ხდება? ერთი ქმნის, ერთი აშენებს, მეორე ამ დოვლათსა და სიმდიდრეს ითვისებს. ეს ქალაქები, ეს დარბაზები მშრომელთა მარჯვენამ შექმნა, მაგრამ ამ სიმდიდრეში მუშას წილი არ უდევს. ამ უსამართლობის წინააღმდეგ აღაგზნებდა ირ. ევდოშვილი მუშა ხალხს. ეს საბრძოლო აზრი გამოხატა მან ლექსებში: „საღამო ქალაქში“, „მუზა და მუშა“, „მუშის სიზმარი“, „ჩვენება“, „მჭედელი პეტრე“, „სიმღერა ასოთამწყობისა“ და სხვ.

ასე დაუკავშირა ირ. ევდოშვილმა მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობა მის საბრძოლო განწყობილებას, ასე აღუძრავდა და უღვივებდა მას შეუპოვრობისა და ბრძოლის ჟინს. დამახასიათებელია, რომ ირ. ევდოშვილმა ეს რევოლუციური განწყობილება შენიშნა სოფლის გლეხობაშიც და 1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან დღეებში გლეხკაცობის ეს მებრძოლი სულისკვეთება მუშათა კლასის საბრძოლო განწყობილებას დაუკავშირა. ირ. ევდოშვილის გლეხი ინერტული, ბედის მორჩილი, ღმერთის განაჩენის მომლოდინე, მოწუწუნე ტეტია როდია, არამედ მებრძოლი, შეუპოვარი, რომელიც ყველა იმედს ბრძოლაზე, შრომაზე, თავისუფლებაზე ამყარებს. გლეხის რევოლუციური ბუნება ხაზგასმულია ირ. ევდოშვილის შემდეგ ლექსებში: „გლეხის ფიქრები“, „მოჯამაგირე“, „გლეხი“, „სოფელში“, „ურმული“.

პოეტმა გლეხკაცის მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთ გზად ბრძოლის გზა მიიჩნია:

კმარა, ან ტყვია, ან სამართალი!
მშიერ-ტიტველო, შვილო, ნუ სტირი,
ჩაგრული ხალხი ალდგა, აზვირთდა
უკვე მეძახის ბრძოლის საყვირი!

„ქარიშხალი—ეს თვით მასების მოძრაობაა, პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევულუციური კლასი, ჩაუდგა

მას სათავეში და პირველად დარაზმა აშკარად რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი. ქარიშხალის ალმა პირველად იგრიალა 1905 წელს"—წერდა ლენინი. ირ. ევდოშვილმა, როგორც მხატვარმა, სწორედ შენიშნა ეს ისტორიული ეპოქა და მთელი სისრულით გამოხატა მებრძოლ ლექსებში.

მწერლის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის პირად ცხოვრებას. პოეტის სულზე წარუშლელ კვალს ტოვებს მისი პიროვნული ხვედრი. ერთია შორიდან, მაყურებლის თვალით დანახული ცხოვრების ელვარე ტალღები, მეორეა—ვინც თავად ცხოვრების მძიმე უღელშია შებმული და საკუთარ თავზე განიცდის მის მკაცრ განაჩენს, რიგითი ადამიანის ბედით და ხვედრით ცხოვრობს. ირ. ევდოშვილი რევოლუციამდელი დაჩაგრულთა არმიის რიგითი წევრი იყო და მთელი ის დამცირება და ტანჯვა, რაც თან სდევდა მშრომელი კაცის გზას, მთელი სიმძაფრით განიცადა. იგი ხარივით უღელში შებმული ეწეოდა ცხოვრების მძიმე ჭაპანს, ამიტომაც ასე გულით განიცადა ქართველი გლეხისა და მუშის ბედი, და ასე შეუპოვრად შეებრძოლა მათს სოციალურ და ეროვნულ მტრებს.

ირ. ევდოშვილის ბიოგრაფია განუყოფლად დაკავშირებულია მშრომელი ხალხის ცხოვრებასთან. ამ ცხოვრებიდან იღებდა იგი პოეტურ სულიერ საზრდოს და ასე ქმნიდა თავის საუკეთესო ნაწარმოებებს.

ირიდიონ ევდოშვილი დაიბადა 1873 წელს სოფელ ბოდბისხევში (ქიზიყი). მამამისი ისაკ თადას ძე ხოსიტაშვილი, წარმოშობით გლეხი, ამ დროს სასულიერო პირი, ბოდბისხევის ეკლესიის დიაკვანი იყო. მშრომელთა წრიდან იყო გამოსული მისი დედა ევდოკიაც. ევდოშვილს განსაკუთრებით უყვარდა ეს პატიოსანი მშრომელი, კეთილი და სათნო ქალი და ამ სახელიდან შექმნა შემდეგ თავისი სამწერლო ფსევდონიმიც—ევდოშვილი.

. მომავალმა პოეტმა ბავშვობა სოფელში გაატარა. აქ გაეცნო ქართველი გლეხის ცხოვრებას და გულით შეიყვა-

რა ეს ქალამნიანი გუთნისდედა, ვენახის მსხვლელი და პურის მთესველი გლეხი.

სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლისა და თელავის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1890 წელს იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში შეჰყავთ. სემინარია ამ დროს რევოლუციური ახალგაზრდობის ბუდეს წარმოადგენდა. მომავალი პოეტი აქ დაუახლოვდა რევოლუციური ახალგაზრდობის ჯგუფს. აქ შეჰფიცა მათ ძმობა და ერთგულება და მესამედასელთა პოლიტიკური კრედო გაიზიარა, რის გამო იგი 1893 წელს სემინარიიდან გარიცხეს, როგორც არაკეთილსაიმედო პოლიტიკური შეხედულების ახალგაზრდა. და აი იწყება ირ. ევდოშვილის მძიმე ცხოვრებითი ბიოგრაფია. ერთ ხანს ის სამხედრო საქმეს სწავლობს და ყუბანის პოლკის ერთ-ერთ ქვეით დივიზიაში „ვოლნოოპრედელიაიუშჩად" ჩარიცხული, ეწევა ჯარისკაცულ ცხოვრებას. შემდეგ მე-15 ქვეით პოლკში გადაჰყავთ, სადაც უმცროსი უნტეროფიცერი ხდება. რამდენიმე ხნის შემდეგ ირ. ევდოშვილი სამწყობრო სამხედრო სამსახურიდან სათადარიგო ჯარში გადარიცხეს.

1896 წლიდან ირ. ევდოშვილი თავს ანებებს სამხედრო სამსახურს და მუშაობას იწყებს ბაქოს ნობელის ნავთის საწარმოო კანტორაში. ბაქოში იგი ოთხი წელი რჩება.

პოეტის ბიოგრაფიაში ბაქოს მუშათა წრეში ყოფნამ განსაკუთრებული როლი შეასრულა. აქ ის ახლოს გაეცნო მუშათა კლასის ცხოვრებას. იგი ბაქოს ტექნიკურად ჩამორჩენილი ნავთის სარეწების მაზუთსა და ნავთში გათხუპნული მუშების გვერდით ცხოვრობდა და მოწმე იყო მათი გაჭირვებისა. აქ პოეტმა პირველად იგრძნო და შეისრუტა ის ჰაერი, რომლითაც შემდეგ გააცოცხლა მან მუშათა კლასის წარმომადგენლები თავის შესანიშნავ მოთხრობებსა და ლექსებში.

1899 წლის ბოლოს ირ. ევდოშვილი თავის სოფელშია, მაჩხაანის ახლად დაარსებულ დეპოში მუშაობს. 1904 წელს, რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით, ირ. ევდოშვილი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და ასლანდუზის საშარქაფო ბატალიონში გაამწესეს.

1905-1907 წლებში ირ. ევდოშვილი უახლოესი და აქტიუ-

რი მონაწილეა რევოლუციური მოძრაობისა. გამოდის მუშათა კრებებზე, მონაწილეობს დემონსტრაციებში, ჯარის ნაწილებიდან იარაღით ამარაგებს რევოლუციურ მუშებს. ერთ საიდუმლო ცნობაში ოხრანკის აგენტები ასე ახასიათებდნენ ევდოშვილის რევოლუციურ მოღვაწეობას: „ასლანდუზის ბატალიონში, ქალაქ ელისავეტპოლში (განჯაში) სამსახურში მყოფი სათადარიგო პრაპორშჩიკი იროდიონ ხოსიტოვი (ხოსიტაშვილი) — ქართველი პოეტი, რომელიც წერს ევდოშვილის ფსევდონიმით, აწარმოებს დანაშაულებრივ პროპაგანდას... ბატალიონის თითქმის ყველა ჯარისკაცი იმყოფება ამ პროპაგანდის გავლენის ქვეშ. ამას გარდა, დასახელებული ხოსიტოვი აწვდის სოციალ-დემოკრატებს იარაღს: ბერდანის თოფებს და ბრაუნინგისა და ნაგანის რევოლვერებს. იარაღს იწერს ქარხნებიდან, იარაღის მაღაზიების მეპატრონეთაგან“. ირ. ევდოშვილი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დავალებით განჯიდან საიდუმლოდ გადაცმული მოემგზავრება თბილისში და კავშირს ამყარებს არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასა და ჯარისკაცებს შორის. შემდეგ ევდოშვილი რჩება თბილისში და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას ეწევა როგორც პოეტი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგითი ჯარისკაცი.

ლიტერატურა იცნობს მწერლებს რომელთა სახელი ერის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიულ ქარტეხილებს უკავშირდება. ასეთი მწერლების რიცხვს ეკუთვნის ირ. ევდოშვილი. მისი პოეტური სახელი 1905 წლის რევოლუციის ქარიშხალს ამოჰყვა. როგორც რევოლუციის ნამდვილი ტრიბუნი და ერთგული ჯარისკაცი, იგი გვერდში ამოუდგა მუშათა კლასს და საბრძოლო ლექსებით აღაგზნებდა მას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მთელი მისი შემოქმედება რევოლუციის პათოსმა მოიცვა.

როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციამ შეარყია ცარიზმის ტახტი. რევოლუციური პროლეტარიატის მეთაურობით შეიარაღებული ხალხი ბრძოლის ველზე წყვეტდა თავის მომავალს. ევდოშვილი თვითონ იყო ამ რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, პრაქტიკული მებრძოლი

და რიგითი ჯარისკაცი, პოეტი აღფრთოვანებით მიესალმა რევოლუციის ამ პირველ გაზაფხულს:

გულში, გულში გაზაფხულის
სხივმა დაჰკრა, გაიცინა
და იმედმა ფრთაშესხმულმა,
აღმადგინა, აღმაფრინა!
ქარი კვნესის, ჩანგი მღერის,
სიხარულით თრთოლავს გული,
ეს პირველი სხივი არის:
შეგობრებო, გაზაფხული!

იგი მზად არის, როგორც რევოლუციის ჯარისკაცი, ყველაფერი შესწიროს თავისუფლების გამარჯვების საქმეს, თუ საჭირო იქნება, საკუთარი სიცოცხლეც კი:

რა ვუყოთ, თუკი უმსხვერპლოდ
ღამეს ვერ გაუთენია!

რევოლუციის ქარბუქიან დღეებში ირ. ევდოშვილმა გამოაქვეყნა თავისი საუკეთესო რევოლუციური ლექსები: „პირველი სხივი", „მოლოდინში", „მერცხლის სიმღერა", „წითელი დროშა გაიშალა", „გმირის საფლავზე" და სხვ. ამ პერიოდში იგი არა მარტო ორიგინალური ნაწარმოებებით ეხმაურებოდა რევოლუციას, არამედ საგანგებოდ თარგმნიდა მებრძოლ ლექსებს: „ინტერნაციონალს" სხვა სასიძღერო რევოლუციურ ლექსებს. ამ თარგმანებში თავისუფლად და მოხერხებულად არის ჩართული პოეტის საკუთარი რევოლუციური სტრიქონები. ამ მხრივ საინტერესოა ლექსები: „ჩამოდექით", „გარიბალდის სიმღერა", „მუშის სიმღერა", „წითელი დროშა", „პროლეტართა სიმღერა" და სხვა. პოეტი მედგრად აცხადებდა:

არ გვაშინებს ჩვენ საფლავი,
არ გვაშინებს ბორკილები,
შეგვიწირავს ჩვენი თავი,
რომ სამშობლო ჩვენი იყოს
ბრწყინვალე და ბედნიერი,
რომ სამშობლოს მოვაშოროთ
თქვენისთანა ურცხვი მტერი.

ხოლო მეორე ლექსში პოეტმა უფრო მძაფრად გამოსა-ტა ეს საბრძოლო განწყობილება:

უკანასკნელად შეეუტიოთ ჯალათსა,
უკანასკნელად დავსცეთ თავზარი,
ეაშა, ეაშა ამ ჩვენ წითელ დროშასა,
გვწამს, გვეღება განთიადისა კარი.

არა მარტო თავის საბრძოლო ლექსებში, არამედ პრო-ზაშიც, სატირულ ლექსებშიც, პუბლიცისტურ წერილებშიც, დრამატულ ნაწარმოებებშიც იგი მედგრად ილაშქრებდა მჩა-გვრელების წინააღმდეგ, გამოსატავდა და გამოსახავდა მუშათა კლასის საბრძოლო ცხოვრებასა და განწყობილებებს. ამ მხრივ ეანსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი დამსახურება როგორც პროზაიკოსისა. ირ. ევდოშვილმა შიო არაგვისპირელთან და ჭოლა ლომთათიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართულ მწერლობაში პოლიტიკური ხასიათის მცირე ფორმის პროზას. მისი ნოველები, ეტიუდები, მინიატურები რევოლუციური მუ-შათა კლასის ცხოვრებასა და განწყობილებას გამოსახავენ. ამ ნაწარმოებების გმირები— ულუკმაპურო, ღარიბ-ღატაკი, ტვირთმძიმენი, ბედისაგან დაჩაგრულნი—რიგითი ადამიანები არიან: იქნება ეს ობოლი ვანო და ცაცა თუ პროლეტარი ზალი-კა („ორი ობოლი"), დალაქი მიხა თუ ბედისაგან განწირული ენოქი („სასუნელი ენოქი"), ბაქოს სარეწების მუშა აბდულა („შადრევანი") თუ რევოლუციონერი ტუსაღი („ციხეში"), ამ მოთხრობებში მოცემულია პირუთვნელი აღწერა იმ კოშ-მარული სინამდვილისა, რომელშიც მშრომელი ხალხი იმ-ყოფებოდა ცარისტულ რუსეთსა და მის ნაციონალურ ოლ-ქებში.

აი როგორ აღწერს ირიდიონ ევდოშვილი ბაქოელი მუ-შების ცხოვრების მძიმე სურათს:

„ღრუბლიანი, მაგრამ წყნარი დღე იყო. სამეცეცხლურე-ბისა და სახელოსნოების კომლი, ორთქლთან ერთად ჯან-ყივით შემოჰხვეოდა ჭაბურღილების კოშკურებს, და ამ ნისლ-ში ბალახანა შორიდან რაღაც ზღაპრულს ტყეს მოგაგონებ-დათ. აქა-იქ ისმოდა ტუმბოების ტკაცანი, ორთქლის ქვაბე-ბისა და მანქანების ხმაური. ქუჩებში ფაცაფუცით მოძრაობ-დნენ შავი, მაზუთში მოსვრილი, ადამიანის მსგავსი ფიგურე-

ბი, ჯაგვები ზედა მანებამდის ეფლობოდა მტვერში. ჰაერი გაქლენთილი იყო მაზუთის აირით და რაღაცნაირ განსაკუთრებული მყრალი სუნით, რომელიც ყაზარმების ღია კარებიდან და ირგვლივ დაყრილი დამპალი ნაგავიდან მოდიოდა“.

მწერალი ულუკმაპუროდ დარჩენილ ადამიანთა და უუფლებოთა არმიას დიდი შინაგანი ტკივილებითა და სიყვარულით გვიხატავს, და მათ ცხოვრებას აგვიწერს შეულამაზებლად. აქაც ისე, როგორც ლირიკულ ლექსებში, ირ. ევდოშვილი ულმობლად ამხილებდა მჩაგვრელებს, მძარცველებს.

კაპიტალისტური ცხოვრების უსამართლობა დიდი სიმართლით გამოსახტა ირ. ევდოშვილმა პოემაში — „მუზა და მუშა“. ეს პოემა ნამდვილი მანიფესტია რევოლუციური პოეზიისა. ევდოშვილის აზრით, მწერლობა უნდა ემსახურებოდეს ხალხს, უფრო მეტი, არა ზოგადად ხალხს, არამედ რევოლუციურ მუშათა კლასს. ეს რეალისტური კონცეფცია ირ. ევდოშვილმა 1905 წლის რევოლუციურ ქარიშხლიან დღეებში წამოაყენა და დაასაბუთა პოემაში „მუზა და მუშა“. ამ ნაწარმოების ცენტრალურ საკითხს წამოადგენს ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთობის საკითხი, უფრო სწორად ხელოვნებისა და მუშათა კლასის ურთიერთობის საკითხი და ამ მხრივ მას თავისი აქტიური მნიშვნელობა დღემდე შენარჩუნებული აქვს.

პოემის შესავალში მოცემულია კაპიტალისტური ცხოვრების წესის დახასიათება და ამ ექსპოზიციაში კონტრასტული სურათი იშლება: ერთი შრომობს, მეორეს მიაქვს, ერთი— ის, ვინც ქმნის შიმშილით კვდება, მეორე—ის, ვინც ითვისებს და ართმევს მშრომელს, მეჯლისშია, განცხრომაში.

მუშავ, მონა ხარ შენი ოფლისა,
და სათამაშო გასართობელი,
მიწის მასხარა, მასხარა ცისა!
შენ კაცი ექვიან, მაგრამ სადა გაქვს
ადამიანის წმინდა უფლება.
შეხედე შენ მკერდს, რა უყავ ოფლი
რისთვის და ვისთვის იგი იღვრებაზ!
აშენებ დარბაზს,—სახლი არა გაქვს,
ებრძეი მიწასა—კვდები მშიერი,
ვისთვის მუშაობს ეგ შენი მკლავი!

და რისთვისა სცემს მკერდი ძლიერი?
შეხედე ქალაქს, შეხედე სოფელს,
შენ გააკეთე ეს ქანდაკება.
მას შენი ოფლის ბეჭედი აზის,
მას შენი სული თავზე ევლება,
მაგრამ ვისია? გაქვს შენ იქ წილი?
სადა გაქვს ბინა, ცხოვრების გერო?

ამგვარად დასმულ კითხვაში იყო უდიდესი გულის წყრომა და პროტესტი არსებული უსამართლობის წინააღმდეგ. ხოლო შემდეგ, ამ კლასობრივი და სოციალური კონტრასტის ფონზე პოეტი აყენებდა საკითხს, როგორი უნდა იყოს ამ ვითარებაში ფუნქცია ხელოვნებისა, მოვალეობა პოეტისა. პოემაში ამ კითხვაზე პასუხს იძლევა პოეტი. მუშას მუზა გამოეცხადება, მუშა განუმარტავს „ოქროს დარბაზების მესტვირეს, „რომ ცხოვრების ნამდვილ აზრს იგი არ იცნობს. აი გაპყვეს მას, იგი ჩაახედებს სარდაფებში, ქარხნის ჯურღმულებში და ანახვებს შავხალათიან მუშებს, რომელთა სახეს აწერია „მხოლოდ შიმშილი, მხოლოდ შიმშილი"! მუშასთან ერთად ნახავს ამ სინამდვილეს მუზა. იგი შეძრწუნდება და აღმოხდება: „რისთვის და ვისთვის ვაყალერდი სიმებს, ოდეს სიცოცხლე ყოფილა კრული"? იგი დასწყევლის სიცრუეს და ორპირობას და გადაწყვეტს ხელი აიღოს ჩანგზე, მაგრამ მუშა ისევ ჩააგონებს მას, რომ იგი ცდება, ასეთ ვითარებაში საჭიროა არა განზე დგომა არამედ ცხოვრების ცენტრში ყოფნა. რომ აამხედრო ეს მილიონობით არმია უსამართლობის ტახტის დასამხობად და აი მუზამ გადაწყვიტა ამ მილიონთა არმიას ემსახუროს:

ათრთოლდა მუზა, რწმენა, იმედი
მას დაუბრუნდა; ათრთოლდა ჩანგი,
და ათი ათას ხმას შეუერთა
მან საბრძოლველი თავისი ჰანგი!

ასე დაუკავშირა პოეტმა ხელოვანის, მუზის საბრძოლო გზა მუშათა კლასის რევოლუციურ გზას. მუშათა კლასის რევოლუციურ ინტერესებს დაუმორჩილა მან ყოველივე ამ ქვეყანაზე. ასე გამოჩნდა ირ. ევდოშვილის პოეზიაში სოციალისტური რეალიზმის ინტონაციები.

ასე გახდა ირ. ევდოშვილი მებრძოლი პროლეტარიატის

დიდი ტრიბუნი. სამწუხაროდ, ირ. ევდოშვილმა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა ეს რევოლუციური პათოსი. იგი 1908 წლიდან ჩამოსცილდა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. რასაკვირველია შეცდომა იყო, როდესაც იგი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გადაუდგა და ფედერალისტებს მიემხრო. შეცდომას უშვებდა მაშინაც, როცა თავის წერილებში, უკვე გადასახლებაში მყოფი, აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატებს.

ცნობილია, რომ ევდოშვილი 1909 წელს გაჩხრიკეს და დააპატიმრეს. გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა ანარქისტ კროპოტკინის წიგნი „პური და თავისუფლება“ და მისი ქართული თარგმანი. ჟანდარმერიამ ევდოშვილის წინააღმდეგ საბრალდებლო საბუთად გამოიყენა ეს ფაქტი, თან გაუხსენა 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობა და ყველა ამ მოტივით ის ადმინისტრაციის წესით რუსეთის ერთ-ერთ შორეულ გუბერნიაში გადაასახლა. აქ ევდოშვილი საშინელ სიღატაკეს, შეურაცხყოფასა და დამცირებას განიცდიდა. ერთპირად ბარათში იგი თავის მეუღლეს სწერდა: „დღეს, როგორც იყო ვიშოვე ხუთი შაური და შვიდკაპიკიანი მარკა... როდემდის გავუძლებ შიმშილს, არ ვიცი“.

ვინც ირ. ევდოშვილის ბიოგრაფიას თუნდაც ერთი თვალის გადავლებით გაეცნობა, დარწმუნდება, რა მძიმე იყო მისი პირადი ცხოვრება, რა უკუღმართი იყო მისი მოქალაქეობრივი ბედი. და ასეთ მძიმე ვითარებაში იგი დაუოკებლად ებრძოდა მშრომელი ხალხის მტრებს, რუსეთის ცარიზმს, ადამიანების ექსპლოატაციითა და სისხლით გაბერილ ბურჟუაზიასა და გაბღენძილ თავკერძა მემამულეებს. ვერც სიღარიბემ, ვერც გადასახლებამ, დევნამ და შევიწროებამ ვერ გატეხა მისი მებრძოლი პოეტური სული, თუმცა დიდი ვნება მიაყენა მას და მის საბრძოლო ჩანგს.

რეაქციის წლების პირველ შემოტევას ირ. ევდოშვილმა გაუტეხელი მებრძოლის შემტევი სულისკვეთებით უპასუხა. იგი დაუზოგავად ამხილებდა ყველა მერყევ, ორპირ და დამფრთხალ ინტელიგენტს, კვლავ იდგა რევოლუციის სადარაჯოზე. სწორედ 1907 წელს რეაქციის შემოტევის წლებში გაისმა ირ. ევდოშვილის მებრძოლი ხმა „შორს ჩვენგან“. „შორს ჩვენგან სევდა და წუხილი, მოთქმა და ტირილი, სა-

ჭიროა ბრძოლა და ბრძოლა შეუპოვარი". ხოლო 1909 წელს ლექსში „ახალი წელი" ბორკილთა ჩხარუნში, ხალხთა ქვითინში, პოეტი კვლავ ებრძვის წყვდიადს და უსამართლობას. იგი კვლავ მოუწოდებს თავის მებრძოლ ძმებს გავიდნენ ბრძოლის ველზე და ისევ შემოსძახონ ბრძოლის სიმღერა, სანამ არ გაიღვიძებს მიძინებული ეს მთა-ბარი:

> საით, ძმობილო? — იქით, საითაც
> კიდევ მოგელით მამული შვილებს,
> ჩვენ ვიელით ასე მუდამ სიმღერით
> ვიდრე მთა-ბარი არ გაიღვიძებს.

სამშობლოდან გადასახლებული, ეტაპით გაგზავნილი პოეტი მაინც არ იღებს ხელს მომავლის რწმენაზე. იგი კვლავ მედგრად აცხადებს:

> მივდიეარ, ბორკილს მივაჩხარუნებ,
> მაგრამ თან მიმდევს მასთან იმედი,
> მწამს, საბოლოოდ რომ ხალხს უპყრია
> თავისი ხვედრი, თავისი ბედი.

ევდოშვილი ბოლომდე დარჩა თვითმპყრობელობის ტახტთან შეურიგებელ პოეტად. მაგრამ ჩვენ არ ვიქნებოდით მართალი, თუ ვიტყოდით, რომ ირ. ევდოშვილი გაუბზარავად შერჩა რევოლუციას, როგორც მისი ერთგული ჯარისკაცი.

არა! რეაქციის სუსხმა ძლიერ ავნო პოეტის მებრძოლ ჩანგს და ერთგვარად გაბზარა იგი. თუ ევდოშვილი ადრე, რევოლუციის დღეებში, ქარიშხალს ეტრფოდა, მას იტაცებდა ჭექა-ქუხილი, ახლა მისი ლექსების ლექსიკონი ხშირად ივსება სიტყვებით: კუბო, სასაფლაო, წყვდიადი და სხვა ამისთანანი. პოეტს სასაფლაო უყვარს, იგი გამხდარა მისი სატრფო:

> ბიყვარს საფლავი, ჩემი სატრფოა,
> იქ ჩავასვენე მე სიყვარული,
> იქ არის ჩემი წმიდათა-წმიდა,
> ჩემი ედემი და გაზაფხული.
> აქა დგას კუბო, ჩემი საუნჯე,
> მე მას ვეხვევი, ვეალერსები,
> მისი ერთგული, მისი დარაჯი
> მასზე ელოცულობ, თავზე ვეელები.

ის იწყებს თავის ადრინდელი მებრძოლი განწყობილებების ერთგვარ გადაფასებას, იგონებს წარსულის ამ დღეებს და ამას სიყმაწვილის ტკბილ სიზმარს უწოდებს, რომელიც არასოდეს არ ახდება:

მიდის სიცოცხლე, სისინებს ქარი,
აჰ, რად ვიტანჯე, რისთვის მიყვარდა
სიყმაწვილისა ტკბილი სიზმარი.

ამგვარი უიმედობის გამომხატველი ლექსები ირ. ევდოშვილის შემოქმედებაში ცოტა როდი გვხვდება. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ირ. ევდოშვილის გულგატეხილობა, მისი სევდიანი განწყობილების ასე წინ წამოწევას ხელი შეუწყო რეაქციის შავბნელმა ეპოქამ, რომელმაც ცოტა ზიანი როდი მიაყენა საერთოდ რევოლუციურ მოძრაობას. რეაქციამ დაარბია რევოლუციური ორგანიზაციები. დააპატიმრეს და გადაასახლეს საუკეთესო რევოლუციონერები. დაცარიელდა მებრძოლი არალეგალური ორგანიზაციები. ამან უთუოდ დიდი ზიანი მიაყენა პოეტის მგრძნობიარე, ლირიკულ გულს. ამას მიემატა ერთი ყველაზე აღმაშფოთებელი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეაქციის შავბნელ წლებში. ეს იყო ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობა, მაგრამ ჩვენ არ გვეგულება ლექსი, რომელშიც ევდოშვილი გადასდგომოდეს მუშათა კლასს. მისი მოთხრობებისა და ლექსების გმირებად ისევ მუშათა კლასი იყო და მთელ იმედს, მომავალ საქართველოს იმედს, იგი კვლავ მშრომელ ხალხზე ამყარებდა.

„მეგობრებისა“ და „მუზა და მუშის“ ავტორი განუყოფელად ეკუთვნის მუშათა კლასს. იგი იყო მისი დიდი ტრიბუნი და ასევე დარჩება მომავალ თაობათა ხსოვნაში.

ირონდიონ ევდოშვილი არ ყოფილა ქართული ლექსის დიდი ნოვატორი, ოღონდ ტრადიციულ ლექსში მან შეიტანა ახალი ინტონაცია, ახალი ძლიერი ნაკადი, რომელიც მისი პოეტური დამსახურებაა. ეს ახალი იყო ის რევოლუციური პათოსი და რიტმი, რომელმაც თავისებური ელერა მისცა ქართულ ტრადიციულ ლექსს. მართალია, იგი მეტწილად მისდევდა აკაკისა და ილიას მიერ დამკვიდრებულ პოეტურ

ფორმას, ზოგჯერ მათთან შედარებითაც კი გაამარტივა ქართული ლექსი პოეტური გამოსახულების ფორმებით და ინტონაციურად მაინც უთუოდ წინ წასწია ქართული კლასიკური ლექსი.

რევოლუციური მუშათა კლასის მხატვარმა, რევოლუციური იდეების მგზნებარე ტრიბუნმა ირ. ევდოშვილმა რევოლუციის რიტმი შეუფარდა რევოლუციის თემას,—რევოლუციური, დემონსტრანტი მუშათა კლასის აწყობილი ფეხის ნაბიჯების რიტმი გადმოიტანა პოეზიაში და დატვირთა იგი მოწოდებითი სატრიბუნო პათეტიკური კილოთი და ინტონაციით. პოეტმა მუშათა კლასის საბრძოლო ყიჟინას მიუსადაგა ლექსის მებრძოლი სული, ინტონაცია და მთელი მისი მხატვრული ფაქტურა. ეს უთუოდ დიდი დამსახურებაა ირ. ევდოშვილისა.

მისი ახალი პოეტური ინტონაცია 1905 წლის ქარიშხალმა დაბადა. რევოლუციის ქარიშხალი ქროდა ევდოშვილის ლექსებში. „მეგობრებო წინ, წინ გასწით"—ტრადიციულ ლექსის ფორმაში დაბადებული ახალი ინტონაცია იყო, რომელიც თავის მხრივ იმპულსი გახდა გალაკტიონ ტაბიძის ნოვატორული ქართული ლექსის დაბადებისა. ირ. ევდოშვილის მებრძოლმა ლექსებმა გამოაღვიძეს გ. ტაბიძის ნოვატორული რიტმი ოქტომბრის დღეებისა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გ. ტაბიძის ცნობილი ლექსი „დროშები ჩქარა". ამ მხრივ პირდაპირი კავშირი არსებობს ევდოშვილის „მეგობრებსა" და გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „დროშები, ჩქარა" შორის. ერთხელ კიდევ მოვიგონოთ ეს ლექსები:

მეგობრებს

მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!

წინ, წინ, მედგრათ შეებრძოლოთ
ჩარხუკუღმართ ამ ჩვენ დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

ღეე. ჩვენ ტოლთ, უგეანო შვილთ,
კერპის წინა ხარონ ქედი,
ფუ, იმ ეაქკაცს, ვინც ინატროს
მათი სვე და მათი ბედი!

ღე ისეე მათ ავარჯიშონ
საქვემძრომოთ მკლავი, ენა,
სხვა აკენესონ და ამ კენესით
ღვით იპოეონ შეება-ლხენა...

მომაეალი იშათ თვის ხვედრს
წარმოუძღვნის, დასდებს მსჯავრსა,
შეაჩვენებს იმათ საფლავს
სამარცხვინოს, საზიზღარსა!

მეგობრებო, ჩვენ ნუ გვინდა
ამნაირი სვე და ბედი,
ბრძოლა იყოს ჩვენი ლხინი,
სატრფიალოთ გულს იმედი!

მაშ უშიშრათ შეებრძოლოთ
ჩარხუკულმართ ამ ჩვენ დროსა
და ჩვენ რაზმს წინ წარეუმძღვაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

1895 წ.

დროშები ჩქარა

გაეენდა; ცეცხლის მზე აენთო,
აცურდა... დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაკრილ ირმების გუნდს —
წყარო ანკარა, დროშები ჩქარა!
დიდება ხალხისთვის წამებულ
რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი
დაღვარა;
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად
აინთებს...
დროშები ჩქარა!

დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს
იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის
რისხვა-მუქარას...
გათენდა! შეერთდით, შეერთდით,
შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!

1917 წ.

ასე გაუწოდა უახლესი ქართული ლექსის მამამ გალაკტიონ ტაბიძემ ხელი იროდიონ ევდოშვილის მებრძოლ ჩანგს, ხოლო შემდეგ გ. ტაბიძე, ირ. ევდოშვილის ამ მებრძოლი ინტონაციის მემკვიდრე, გახდა მეთაური და ერთ-ერთი ფუძემდებელი საბჭოთა პოეზიისა.

ბვირბვილიანების ოჯახი

ხუთიოდე წლის წინათ ქართველმა ხალხმა თავის უწმინდეს მიწას მთაწმინდას მიაბარა ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი შალვა დადიანი. სულ ცოტა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც შ. დადიანი აღარ ამშვენებს მწერალთა კავშირის კრებებს, პრეზიდიუმის სხდომებს... და ჩვენ ძლიერ ვიგრძენით ეს დანაკლისი. მას ისეთი თვალსაჩინო ადგილი სჭერია ჩვენი სულიერი კულტურის ფრონტზე, რომ ამ დანაკლისის ამოვსება ერთბაშად შეუძლებელი აღმოჩნდა.

ლიტერატურის ისტორია იცნობს მწერლებს, რომელთა სახელს უკავშირდება ყველაზე საუკეთესო მოგონებები და წარმოდგენანი ერის ნაციონალური თვისებისა და ღირსებისა. შ. დადიანი თავად იყო ქართველი მწერლისა და ქართველი კაცის ყველა საუკეთესო თვისების განსახიერება. მისი გარეგნული ახოვანება და სულიერი კეთილშობილება ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავდა მე-20 საუკუნის ქართველი კაცის მაღალ თვისებასა და ღირსებას. საბჭოთა მწერლობის ეს პატრიარქი ცოცხლად განასახიერებდა ჩვენს რომანტიზირებულ წარმოდგენას სახელოვანი კლასიკოსების შესახებ. მისი სახით ჩვენ წარმოვიდგენდით, როგორი უნდა ყოფილიყო თავისი საქციელით, მოქმედებით, მიხრა-მოხრით, გარეგნობითა და საზოგადოებრივი ღვაწლითაც ჩვენი ილია, ჩვენი აკაკი... ამ მხრივ ის მართლაც მე-19 საუკუნიდან მოსული კაცი იყო. მოსული, რომელმაც დიდის გულით შეიყვარა ეს ახალი და მისი აქტიური მშენებელი გახდა. ძველი ქართველი კაცისა და მწერლის ჰუმანიზმი ახალი დროის ნოყიერ ნიადაგზე ახალი ძალით გაიფურჩქნა და განვითარდა.

მთელი თავისი კეთილშობილური ხანგრძლივი ცხოვრება, ლამპარივით ანთებული გული შალვა დადიანმა მწერლობისა და ხალხის სამსახურს შესწირა. დღევანდელი საბჭოთა საქართველოს გულმხურვალე მხატვარი. მისი თვალშეუდგამი მეოცნებე, მისი ფხიზელი თვალი — ასეთი იყო იგი, როგორც მწერალი და მოქალაქე. ახალი საქართველოსაგან განუყოფელს — ძველ საქართველოსთან, მის პატიოსნებასთან და სინდისთან ბევრი რამ აკავშირებდა. მას თითქოს ბედმა არგუნა გაეერთიანებია ყველაფერი, რაც საუკეთესო იყო ძველ საქართველოში — ახალთან ჩვენს დროსთან. იგი თითქოს საგანგებოდ გამოგზავნა ილიასა და აკაკის თაობამ ამ ახალი დროის სადიდებლად და დასამშვენებლად. დადიანების შთამომავალი, დიდი მწიგნობრის, ნიკო დადიანის ვაჟი — ჰუმანურ, პროგრესულ, ძველი საქართველოს ტრადიციებზე აღზრდილი, შემდეგ მისი ყველაზე უფრო დემოკრატიული და რევოლუციური იდეების მებაირახტრე, ახალ საბჭოთა საქართველოსთან ერთად თითქოს ხელმეორედ დაიბადა. ძველ, სახელმოხვეჭილ მწერალთა შორის მან ერთმა პირველთაგანმა, მოაშურა საბჭოთა მწერლების პლატფორმას და მთელი გულწრფელობით გაჰყვა ამ ახალ საქართველოს გზას და ამ ახალი დროის მხატვარი, მისი ჭეშმარიტი მოქალაქე გახდა.

შ. დადიანი იყო თავისი ქვეყნის, საქართველოს დიდი პატრიოტი, ამავე დროს ინტერნაციონალისტური მისწრაფებებისა და უფაქიზესი გრძნობების კაცი. იგი ყველას ხიბლავდა ამ მხრივ, მისი გამოჩენა მოსკოვში, კიევში, ბაქოში, ერევანში... ნამდვილი დღესასწაული იყო. ყველა პატივისცემით ეგებებოდა მას და ისიც ყველას უნაწილებდა მხურვალე სიყვარულს, მომხიბვლელ ღიმილს.

შ. დადიანს მთელი არსებით უყვარდა სიცოცხლე და მისი გვირგვინი უძველესი ქვეყანა — საქართველო; ახარებდა, აახალგაზრდავებდა საბჭოთა საქართველოს მიღწევები და წარმატებანი, იგი მთელი გულით შეჰხაროდა მის ახლად აღორძინებულ ქალაქებსა და სოფლებს, მის ველსა და მინდვრებს, მის ყოველ ბუჩქს. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავს ევლებოდა ახალ საქართველოს. ასევე უყვარდა საქართველოს

დიდებული წარსული, მისი ნაჭრილობევი, ვაჟკაცური ისტორია, მისი შემართება და ქედმოუხრელობა, გამოულეველი ჭაბუკური ცეცხლი. მისადმი გაუნელებელი სიყვარული მან უკვდავ მხატვრულ სიტყვაში გამოხატა („ვარამი", „გიორგი რუსი", „ურდოები", „თეთნულდი", „გვირგვილიანების ოჯახი").

შ. დადიანი სიცოცხლის მომღერალი, სიცოცხლის მოყვარული მწერალი იყო. იგი ამ მიწაზე გახარებული გულით, მოღიმარი სახით, ცხოვრებას დახარბებული კაცის შეგნებით დადიოდა. თავად მხნე და ოპტიმისტი, გარშემო ყველას ამხნევებდა. გადამდები იყო ეს მხნეობა და სილაღე მწერლისა. შალვას ჭირისდღესავით სძულდა მოწუწნე, დაძაბუნებული მელანქოლიით შეპყრობილი ადამიანი. ეს პიროვნული ხასიათი მან მწერლობაშიც შემოიტანა. მისი მოთხრობები, პიესები, რომანები, წერილები ოპტიმიზმის ჩაუქრობელი ცეცხლით გვხიბლავენ. მისი გმირები რწმენით ანთებული, შთაგონებული, მხნე და მებრძოლი ადამიანებია. მაშინაც კი, როდესაც ისინი უთანასწორო ბრძოლაში მარცხდებიან, რწმენადაკარგული როდი რჩებიან. ისინი სიკვდილსაც ისევე მხნედ ეგებებიან, როგორც მხნედვე სწამდათ ის საქმე, რომელსაც ემსახურებოდნენ. ასეთია შალვას მუშები: ფიცხელა („მღვიმეში"), ელიშუქი („ნაპერწკლიდან"); გლეხები: გლეხი („როს ნადიმობდნენ"), თოდუა („ურდუმი"), მიქე („გვირგვილიანების ოჯახი"); ასეთნი არიან მისი ინტელიგენტი გმირებიც: ბურდული („შენი ჭირიმე"), ჭაღარა („კაკალ გულში"); ასეთები არიან მისი მოწინავე ქალებიც: ნაზიბროლა („მღვიმეში"), სიდუ („გეგეჭკორში"), ცირა („ნაპერწკლიდან")...

შ. დადიანისა და მისი გმირების ოპტიმიზმი, მათი სულის სიმხნევე როდი იყო განურჩეველი და უდარდელი. არა. თავისი მრწამსით შ. დადიანი უკეთესი ცხოვრების, ხვალინდელი დღისათვის მებრძოლი რეალისტი მწერალი იყო. ჯერ კიდევ პიესაში „შენი ჭირიმე" იგი ჯანმაგარ, გლეხის წრიდან გამოსულ ბურდულს ათქმევინებდა:

„ჰოდა, ამგვარად, დღევანდელი ხელოვნება ბურჟუაზიულია... მისი თვალსაზრისით იწერება ლექსი, ითხზება მუ-

სიკა, იხატება სურათი. ყველა მათ კი ერთი ტენდენცია აქვთ— უდარდელობის გუნებაზე დაგვაყენოს, მოგვაჩვენოს რომ დღევანდელ ცხოვრებაში არცთუ ისე ცუდად არის საქმე, როგორც ეს ჩაგრულთ წარმოუდგენია, რომ ეს ქვეყანა საქეიფოდ და სალაღობოდ არის გაჩენილი. ამიტომ მათი ლექსი სულ კოცნაზე ლაპარაკობს, მათი მუსიკა სულ ეროტულ ვნებათაღელვას იწვევს ჩვენში, მათი ნახატი სურათი სქესობრივ ლტოლვილებას გვიღვივებს.. აი ასეთი ხელოვნება მე არ მწამს და მთელის ჩემის არსებით მას ვეწინააღმდეგები. მე მაგის უარყოფა უკანდახევად კი არა, თვალის ახელად მიმაჩნია, ჩვენი გამოფხიზლება მგონია“.

ეს სტრიქონები იწერებოდა მაშინ, როდესაც ჩვენს მწერლობაში დეკადენტური ბურჟუაზიული ხელოვნება რეალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა და თავისი უარყოფითი ნაყოფი უკვე გამოეღო. შ. დადიანი, ეს ჭეშმარიტი ჰუმანისტი მხატვარი დემოკრატიული და რევოლუციური იდეების ერთგული მწერალი, მთელი თავისი შეგნებით წინ აღუდგა დეკადენტური სკოლის თეორიას და ბოლომდე განუხრელად ერთგული დარჩა რეალიზმის პრინციპებისა.

პირველივე მისი მინიატურები და პიესები მებრძოლი რეალიზმის პრინციპით ბრწყინავდა, ირ. ევდოშვილის საბრძოლო ხმებს ეხმაურებოდა. შ. დადიანის პირველსავე პიესაში მჭექარედ გაისმა ევდოშვილის ლექსის საბრძოლო ხმა: „უკვე აღდგა ქარიშხალი, განთიადის მოციქული“. ამ სიტყვებს შ. დადიანის პიესის გმირი, მოწინავე, მებრძოლი მუშა წარმოთქვამს. რეალიზმის ეს საბრძოლო ქარიშხალი ქროდა შ. დადიანის ადრინდელ პიესებსა და მინიატურებშიც. და ეს აძლევდა ახალ ელვარებას შ. დადიანის შემოქმედებას. რასაკვირველია, კრიტიკულ რეალიზმთან შედარებით ეს იყო ახალი, შემდგომი საფეხური რეალიზმისა და ეს გზა შ. დადიანმა ჯერ კიდევ რევულუციამდელ თხზულებებში მთელი შეგნებით განავითარა.

შ. დადიანის მოღვაწეობა მეტად მრავალმხრივი იყო. ამ მხრივაც მან ზედმიწევნით გაიზიარა სახელოვანი წინაპრების ილიასა და აკაკის თაობის ბედი. შ. დადიანი, როგორც დრამატურგი, თეატრალი, საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი

პროზაიკოსი ცალკე თემებია, რომლებიც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. და უნდა ითქვას, რომ ყველა ამ დარგში შალვამ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, თავისი კვალი დაამჩნია, თავისი სიტყვა თქვა. შ. დადიანი 65 წელი ემსახურა შეგნებული, შემოქმედებითი ცხოვრებით თავის ხალხს. დაუცხრომელი შრომითა და მოღვაწეობით მან უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა თავისი ხალხისა. ის იყო ჭეშმარიტად ღვაწლმოსილი, ვალმოხდილი მწერალი და მოქალაქე თავისი ქვეყნისა.

შ. დადიანი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მღელვარე შემოქმედებითი ცხოვრებით ცოცხლობდა ის გვხიბლავდა ანთებული შემოქმედებითი ცხოვრებით, დაუღალავი შრომით, დაუცხრომელი ენერგიით. და აი, თითქოს თავისი ცხოვრების გვირგვინად, მან დაგვიტოვა ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნაწარმოები რომანი „გვირგვილიანების ოჯახი". ყოველ მწერალს აქვს ნაწარმოები, რომელშიაც ის ცდილობს ყველა თვისება, ყველა ნიშანი, ყველა დამახასიათებელი სტილიური მხარე და ინტონაცია გააერთიანოს, ერთგვარად შეაჯამოს თავისი შემოქმედება. ასეთია, ჩვენი აზრით, „გვირგვილიანების ოჯახი". ვერ ვიტყვით, რომ ეს თხზულება ავტობიოგრაფიული რომანი იყოს, მაგრამ მასში ბევრი რამ არის ისეთი, რაც, პირადად შ. დადიანისა თუ მისი ახლობლების ოჯახურ წრეში მომხდარა, რომლის შემსწრე და მონაწილე თვითონ ავტორი ყოფილა. დიდი უშუალობა და ბუნებრივობა ყოფითი აღწერისა და ადამიანების დახასიათებისა აქედან წარმოსდგება. ეს რომანი გვხიბლავს დიდი საზოგადოებრივი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ღრმა სურათებით, რომლითაც ავტორი აღადგენს 900-იანი წლების საქართველოს.

„გვირგვილიანების ოჯახი" საინტერესოა თავისი ბელეტრისტიკული ხერხებითაც. შეიძლება ითქვას, რომ შ. დადიანმა აქ სცადა თავისებური ნოვატორული გზა მოეძებნა. ტრადიციული მოყოლა, ზღაპრის მსგავსად ამბის დალაგება აქ შეცვლილია ღრმა სოციალური მოვლენებისა და ეპიზოდების განზოგადების ორიგინალური ხერხით. და ამ ცალკე ამბავთა და ეპიზოდთა ერთიანობას მწერალი აღ-

-წევს მეტად ორგინალური ხერხით, ლირიკული წიაღსვლებით, რომელსაც ავტორი ციბედულისადმი მიმართვის ხერხით გადმოგვცემს. ეს ცალკეული ლირიკული დიგრესია თავისებური პოეტური მონოლოგია, რომელიც ერთგვარად ასვენებს მკითხველს, რათა შემდეგ ვრცელი სოციალური და საზოგადოებრივი, პოლიტიკური და პარტიული მიმართულების ადამიანთა თავგადასავალი მოგვითხროს. ფორმის მხრივ ეს უთუოდ თავისებური მიგნება იყო უკვე სახელმოხვეჭილი და საყოველთაოდ ცნობილი მწერლის შემოქმედებაში. საზოგადოდ, შ. დადიანისათვის დამახასიათებელია დაუცხრომელი ძიება, ძიება მხატვრული საშუალებებისა. საღებავებისა, ფერებისა, ფორმისა. მაგრამ ყველაფერი ეს რჩებოდა რეალიზმის ფარგლებში, კლასიკური რეალიზმის პრინციპს განუხრელად ემსახურებოდა მწერალი.

რომანის სტილი ოდნავ აწეულია, რომანტიზირებული. ზოგან პათეტიკურიც, მაგრამ, ძირითადად ის შეესაბამება ავტორის სტილს და იმ მასალას, რომელიც მწერალმა აირჩია.

„გვირგვილიანების ოჯახი" ჩვენი ხალხის ახლო წარსულს ეხება, მაგრამ ეს მაინც წარსულის ფურცლებია და ამიტომ, როგორც აღვნიშნეთ, რომანტიზირებულია მთელი ამბავი, რომელსაც მწერალი მოგვითხრობს და მისი მომხიბვლელი არომატიც და მიმზიდველობაც ამ გარდასული ამბის რომანტიზირებულ თხრობას უკავშირდება.

„გვირგვილიანების ოჯახი" ავითარებს და აგრძელებს, ერთის მხრით, მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური პროზის ტრადიციებს და მეორეს მხრივ, იმ ტრადიციებსაც, რაც მან თვითონ შექმნა, როგორც მხატვარმა. როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის ქართულმა პროზამ ყურადღება მიიპყრო უმთავრესად სოციალური და ეროვნული პრობლემების დამუშავებით, და რაც მთავარია, ამ უდიდესი მოტივებისა და თემების დამუშავება ხალხურობისა და ჰუმანიზმის პრინციპს ექვემდებარებოდა. ხალხის სოციალური და ეროვნული ტკივილი მე-19 საუკუნის ქართულმა პროზამ ხალხური საწყისებითა და ჰუმანიზმის პრინციპებით გამოსახა, მაგრამ ამ დიდი საზოგადოებრივი პრობლემების გადა-

წყვეტა ჯანმაგარ გლეხკაცობას დააკისრა. მე-20 საუკუნემ და მისმა მწერლობამ ხალხის მოძრაობის მთავარ გმირად რევოლუციური მუშათა კლასი დასახა. ეს იყო მთავარი და ნოვატორული, რითაც მე-20 საუკუნის ქართულმა მწერლობამ საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა. შ. დადიანი საკითხის ამგვარად დამუშავების პიონერია ჩვენში, იგი რევოლუციური მუშათა კლასის დაბადებას დაესწრო, მის რევოლუციურ ნათლობაში მონაწილეობა მიიღო და შემდეგ ეს ნანახი და ნაგრძნობი თავისი ჰუმანური გულით გამოხატა. აქ ახალი ის იყო, რომ მე-20 საუკუნის რევოლუციური ძალები, მისი უმთავრესი ფესვები— გლეხკაცობა და მუშათა კლასი—ერთი რევოლუციური ინტერესით გაერთიანდა და მუშათა კლასის მეთაურობით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ ახალი ძვრების წარმოშობა შ. დადიანმა ჯერ კიდევ ადრინდელ მინიატურებსა და პიესებში გამოხატა, ხოლო უფრო განზოგადოებულად იგი დაგვანახვა პიესაში „ნაპერწკლიდან“ და რომანში „გვირგვილიანების ოჯახი“. ამიტომ მიგვაჩნია თვითონ შ. დადიანის შემოქმედებაში მის მიერ შემოტანილი ტრადიციების განვითარებად და გაღრმავებად ეს უკანასკნელი რომანი მწერლისა.

რევოლუციური მუშათა კლასის საბრძოლო ყიჟინამ მე-20 საუკუნის დამდეგს სოფელშიც შეაღწია. გაფიცვების, პოლიტიკური დემონსტრაციების მონაწილე შავხალათიანი მუშები, პოლიციისა და კაპიტალისტებისაგან გამორეკილები თავის პირველ კერას სოფელს დაუბრუნდნენ. ამ გარემოებამ სრულიად ახალი ვითარება შექმნა სოფლად. რევოლუციური ქალაქის კვალდაკვალ, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გლეხკაცობაც დაირაზმა. მოხდა მუშებისა და გლეხების იდეური დაძმობილება. მე-20 საუკუნის რევოლუციური განთიადი ამ ნათლობის დღეებს დაემთხვა. ეს იყო 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლის წინადღე. შ. დადიანმა „გვირგვილიანების ოჯახში“ სცადა გამოეხატა ეს ახალი ვითარება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მისი რევოლუციური ხასიათი. რევოლუციამ ახალ ყაიდაზე ააწყო მთელი

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და ამ ფონზე მოხდა მძაფრი კლასობრივი გადაჯგუფებანი. უპირველესი ღირსება რომანისა ის არის, რომ შ. დადიანმა დიდის მომხიბვლელობითა და რომანტიკით გააცოცხლა რევოლუციური სოფლის ეს ახალი ძალები, მათი ბრძოლა სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში კლასთა ურთიერთდამოკიდებულება.

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის პირველივე წლებიდან საქართველოს მუშათა კლასს სათავეში ჩაუდგა ლენინური რევულუციური ბირთვი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და მოძრაობაში მოიყვანა მთელი ჩვენი მოწინავე ძალები. საქართველომ სისხლსავსე რევოლუციური ცხოვრებით დაიწყო მე-20 საუკუნის საბრძოლო განთიადი. გაფიცვები და დემონსტრაციები თბილისში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისში საყოველთაო ხასიათს იღებს. განსაკუთრებული გამოხმაურება ჰპოვა 1902 წელს ბათუმში მომხდარმა პოლიტიკურმა დემონსტრაციებმა და გამოსვლებმა. ბათუმმა უმთავრესად დასავლეთ საქართველოს გლეხკაცობა მიიზიდა. შ. დადიანის რომანის პირველი ფურცლები ამ ამბების აღწერას ეძღვნება. ბათუმიდან სოფლად გახიზნული ტაია გვირგვილიანი ბათუმის რევოლუციურ ამბებს უყვება გლეხკაცობას. ტაიას ამბით მოხიბლული მსმენელები „თითქოს ტაიასაგან ნაამბობს 1902 წლის ამბებს კარგად სინჯავს, კარგად უკვირდებაო“... ეს ამბავი მათთვის უცხო იყო, გაზეთებში ამაზე არაფერი ეწერა. გარდა ოფიციალური ქრონიკისა და ისე კი ბერთემში მიღწეულ, ჭორებშემოსილი ერთგვარი საზოგადოებრივი აზრი უარყოფითად აშუქებდა ბათუმის მუშების მოქმედებას. აქ კი, ტაიას ნაამბობში, სულ სხვაგვარად გამოჩნდა საქმის ვითარება. და ერთხელ, ტაიას წამოსცდა კიდეც: „დიდი გმინვა მოისმის, დიდი“ — და დაჩუმდა. მეტი აღარა უთქვამს რა. აი ტაიას მოთხრობამ იქამდის მიაღწია, როცა ბათუმის მუშები პირდაპირ შეებრძოლნენ თვითმპყრობელობის ჯარსა და პოლიციას, მაშინ კი აქამდე გაქვავებული მჯდომარე მანჩა ზეზე წამოიჭრა და თითქოს გულიდან აღმოხდა: „ვაი, დედასა, სად ვიყავი? ჩემსობას არაფერი მაგის მსგავსი არ ყოფილა ბათუმში“. შ. დადიანი ისე საინტერესოდ ჰყვება ბათუმის

ამბებს, ისეთი სიზუსტით აცოცხლებს მუშების ბრძოლის ფურცლებს, იმდენად შთამბეჭდავია ეს ეპიზოდი, რომ ჩვენ სავსებით გვჯერა, ტაია გვირგვილიანის ნაამბობმა რომ ასეთი გახმაურება ჰპოვა ბერთემში და ამდენი მომხრე გამოუჩნდა მას. რომანი ამ რევოლუციური მოძრაობის სულით სუნთქავს და მისი უმთავრესი გმირები ამის მიხედვით მოქმედებენ და ცოცხლობენ. რევოლუციური მოძრაობისა და რევოლუციური ძალების დამოკიდებულებით არის გამოხატული ყველა მოქმედი პირი და მათი კლასობრივი ინტერესები, უმთავრესი ყურადღება დათმობილი აქვს ამ რევოლუციური ინტელიგენციისა და ხალხის წარმომადგენლებს. საზოგადოებრივი ძალებისა და კლასების დამოკიდებულების გამოხატვას მწერალი მწვავე კონფლიქტების ფონზე გვიჩვენებს. ეს კონფლიქტი, უპირველესად ყოვლისა, დიდებულთა გვარის, გვირგვილიანების ოჯახის ფონზე იშლება.

გვირგვილიანების ოჯახი ფეოდალური საქართველოს განზოგადებული სახეა. მაღალი არისტოკრატიული ოჯახის ნგრევის პროცესი გვირგვილიანების ოჯახის ფონზე მწერლის მიერ დახატულია ოსტატურად. შ. დადიანი კარგად იცნობდა ამ კლასის წარმომადგენლებს, მათს ფსიქოლოგიას, მათს ყოფას. ცხოვრებისეული დიდი ცოდნა რომანში მთელის ძლიერებით არის გამჟღავნებული. მწერალმა კარგად შენიშნა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის პატრიარქალური საქართველოს მზე უკვე ჩაესვენა. რღვევის გზას ადგა გვირგვილიანების ოჯახიც. დროგადასულ პატრიარქალურ ოჯახს ფრჩხილებით ეჭიდებოდა ამ ოჯახის მთავარი ბურჯი—გვირგვილიანების რძალი—ნექტარინა. ნექტარინას სახეში მწერალმა განაზოგადა სიკვდილის აგონიანაგრძნობი კლასის უკანასკნელი გაბრძოლება. ნექტარინა წარბშეუხრელად, ქედმოუხრელად დარაჯობს გვირგვილიანების ფეოდალურ ოჯახს, დაუოკებლად ებრძვის ყველას, ვინც მის მთლიანობას საფრთხეს უქადის. ათას საშუალებასა და ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მფლობელობა მამულისა, მაიორატისა და მოდერნიზაციის გზით კვლავ განამტკიცოს დარღვეული ბუდე. სოციალურად გამახვილებული ინსტინქტებით არის გამოსახული პატრიარქალური საქართველოს უკანასკნელი მოჰიკანი—ნექტა-

რინა. ამავე დროს ამ ქალის სახეში ნაჩვენებია ვნებააშლილი, ავხორცი დედაკაცი. ის ჯერ კიდევ სიცოცხლეში ღალატობს ქმარს, ხოლო დაქვრივებული უფრო ადვილად ეძლევა ვნებათაღელვას, მისი ვნებააშლილობა, მისი ავადმყოფური ავხორცობა რომანში გადაჭარბებული ფერებითა და საღებავებით არის გადმოცემული, მაგრამ ამგვარი გადაჭარბებანი დიდი მხატვრებისათვის არის დამახასიათებელი. რომანის დასაწყისშივე ვეცნობით კნეინა ნექტარინას, როგორც გვირგვილიანების ოჯახის ყველაზე გავლენიან წევრს. იგი ცდილობს შეაკავშიროს ძმები გვირგვილიანები, გააერთიანოს ისინი და განამტკიცოს მორღვეული ფეოდალური დიდება ოჯახისა. რომანის პირველი ფურცელებიდან ვგებულობთ აგრეთვე მის ფარულ ტრფიალს მოურავ გუტატისთან, ავხორცობა ნექტარინასი და მისი ხასობის ამბავი რომანში მოთხრობილია შეუფერავად. მოურავი გუტატი, ეს კაცთმოძულე, ვნებააშლილი, უსინდისო კაცი თავის აღვირახსნილობას მეზობელმა გლეხმა ზედ წააკლა. დადგა ნექტარინას გლოვის დღეები, მან საჯაროდ, დიდებით დამარხა მოურავი, რითაც ქვეყანას ამცნო თავისი დაფარული რომანი. თითქოს ამით დამთავრდა ამ ქალის ავადმყოფური ვნებათა ისტორია და ის თვითმკვლელობას განიზრახავს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ავადმყოფურ ვნებათა აჩქარებული გადაწყვეტილება. სწორედ ამ დროს მასში კვლავ ახალი ძალით იფეთქებს ავხორცობა და ვინმე მღვდელ თევდორესთან ერთად ეძლევა განცხრომას. ყოველივე ამის მიხედვით მწერალი ახერხებს განზოგადოებულად გამოსახოს დროსტარება ავხორცობას. ვნებიანობას აყოლილი მომაკვდავი წოდების აგონია. ნექტარინა ამ მხრით მეტად ტიპიური, დამახასიათებელი სახეა მთელს ქართულ ლიტერატურაში.

სხვა თვისებებითა და განწყობილებებითაა გამოსახული გვირგვილიანების ოჯახის დანარჩენი წევრები. აი, ვამეხ გვირგვილიანი. ახალგაზრდობის წლებში იგი რევოლუციური მოძრაობის ტალღას აჰყვა. გააციმბირეს კიდეც. გადასახლებიდან დაბრუნებული ის კვლავ ცდილობს რევოლუციონერებთან აღადგინოს ჩატეხილი ხიდი, მაგრამ ვერ ახერხებს. ვამეხს არა აქვს მოპოვებული ის ნდობა, რომლითაც შეიძლე-

ბოდა რევოლუციონერებს მისთვის ხელი გაეწვდინათ. ვამეხის სახეში მწერალმა საინტერესოდ დაგვიხატა წიგნური ლიბერალი, რომელსაც აკლია რევოლუციური შემართება და პრაქტიკული უნარი. ამიტომაც გლეხკაცობა ნდობით არ ეკიდება მას. მისი სურვილი, მონახოს ხალხთა საერთო ენა, მთელი ეს ხალხოსნური ფართიფურთობა ვამეხისა, უნაყოფოდ ჩაივლის. ის ერთგვარი ფრაზიორი, უნიათო რევოლუციონერია, რომლის მსგავსს ქართული ხალხოსნური მხატვრული ლიტერატურა იცნობდა. ის ხალხოსნური ინტელიგენტის თავისებური ორეულია.

სულ სხვაა ტაია გვირგვილიანი. ბათუმის მუშათა კლასთან დაკავშირებული, შემდეგ სოფლად სამოღვაწეოდ გადმოსული, რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენტის საინტერესო სახეა ტაია. მან გლეხთა სიყვარული და ნდობა მოიპოვა. ტაიას სახეში მწერალმა დაგვიხატა, მაღალი არისტოკრატიის წრიდან გამოსული მტკიცე რევოლუციონერის ტიპი. აი როგორ ახასიათებს მას გლეხი მიქე: „ტაია ჩვენ ყველას მიგვაჩნია, როგორც თაყვანსაცემი კაცი. ის სხვა კნიაზებს არ ჰგავს, ტაია ჩემი ძმაა, გულისგული და მე და ჩელას კი არა, მთელ სოფლის გლეხობას თვალში რომ ჩაგვივარდეს, ხელს არ ამოვისვამთ“. ტაიას მებრძოლი ხასიათი, მისი რევოლუციური მოღვაწეობა სოფლად, მისი კავშირი მარქსისტულ ორგანიზაციებთან რომანში ნაჩვენებია დიდი თანმიმდევრობით. ასევე თვალსაჩინო ადგილი დაუთმო მწერალმა გვირგვილიანების ოჯახის სხვა წევრებს. იქნება ეს ბარამი, ბეგი თუ ეკოციმილი.

რომანში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა აგრეთვე ვაჭართა კლასის წარმომადგენლებს. მწერალი დაწვრილებით აღწერს ამ კლასის გაიძვერობას, მათს ჩარჩულ ბუნებას, ფსიქოლოგიას. მაგრამ ამავე დროს ავტორი შენიშნავს, რომ მთელი სიმდიდრე და დოვლათი ქვეყნისა ამ ახლად ფეხადგმული კლასის ხელში გროვდება და ისინი სახელსა და დიდებას იხვეჭენ ქონებასა და სიმდიდრესთან ერთად. აი, ლევარს კვიზიანი. ეს ფოთელი ვაჭარი — ფულით, სიმდიდრით სახელგანთქმული, ნექტარინას სალონების მონაწილე ხდება. ბოლოს იმასაც მიაღწევს, რომ გვირგვილიანების ოჯახში

აღზრდილი ლამაზი გოგონა თოლისკვამი იგდოს ხელთ. ნექტარინა იძულებულია თვითონ შესთავაზოს თოლისკვამი ვაჭარს. მწერალი ნიღაბს ხდის ამ ახალი დროის ბატონებს. დამაჯერებლად გვიჩვენებს ვაჭრების ექსპლოატატორულ ბუნებას. აი, სოფლის მევახშე, ჩარჩი ბანძღა. იგი ჭირისდღესავით სძულს გლეხკაცობას. ბერთემში ერთ გლეხსაც ვერ ნახავთ, მისი ვალი არ ემართოს. ის დაუნდობელი ექსპლოატატორი და მძარცველია, არანაკლები მძარცველი, ვიდრე გვირგვილიანების ოჯახი იყო.

რომანში დიდი ადგილი უჭირავს მშრომელი ხალხის წარმომადგენლებს, სოფლის გლეხკაცობას. აქ ვეცნობით ღარიბ, მებრძოლ გლეხებს — ფარნა ბჟალავას, ჩელას და მიქეს. მათს მორალსა და ქცევაში ნათლად ჩანს ჯანსაღი ბუნება ადამიანისა, რომელიც შემოუნახავს გლეხკაცობას. რომანში განსაკუთრებით გამოირჩევიან ეს რიგითი ადამიანები სიმართლით, პატიოსნებით, სინდისით. მაგრამ გლეხკაცობის ეს დიდი სიყვარული მწერალს ხელს როდი უშლის დაინახოს მათ წრეში ცუდიც და უვარგისიც. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ლიტერატურაში პირველად შენიშნა შ. დადიანმა გლეხების წრეში დაბადებული მოენე გლეხის ხასიათი. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ანტოს სახე. იგი ნამდვილი გუდამშიერი, ღატაკი, სოფლელი ლუმპერპროლეტარია, რომელიც თავის კლასობრივ ინტერესს ნასუფრალზე ყიდის. იგი გვირგვილიანების ოჯახის მოურავს გუტატის აგენტად ჰყავს გლეხებში. ეს ნასუფრალის მოყვარული სულნამცეცა კაცი თავისი მოქმედებით შემაზრზენია. რეაქციის ძალების ეს მონა მწერალს დახატული ჰყავს მეტად ტიპიურად და საინტერესოდ.

რომანი ძირითადად სოფლის ფონზე იშლება. მისი მოქმედების ადგილია შ. დადიანის მშობლიური კუთხე, სოფელი ბერთემი. მაგრამ ეს როდია მარტო ამ კუთხით შემოზღუდული რომანი. აქ ვრცლად არის მოხაზული აგრეთვე ქუთაისის, ბათუმის, თბილისის ცხოვრება. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალაქ ქუთაისს. ქუთაისთან დაკავშირებული ეპიზოდები დიდი სიყვარულითა და უშუალობით აქვს გაცოცხლებული მწერალს. შეიძლება ითქვას, რომ უფრო სრუ-

ლი და მთლიანი სურათი 900-იანი წლების ქუთაისისა, ჩვენს ლიტერატურაში არავის მოუცია. ქუთაისი რევოლუციური ტრადიციებით, მარქსისტული ორგანიზაციებით, არალეგალური კრებებით, დემონსტრაციებით, მანიფესტებით, მებრძოლი ახალგაზრდების ჯგუფით, მომავლის ძლიერი ყლორტებით—შთამბეჭდავად აგვისახა მწერალმა. მეორე მხრივ მან გვაჩვენა ქუთაისი თავად-აზნაურთა ფსიქოლოგიით, ოლქის გუბერნატორით, მაღალი არისტოკრატიის უსაქმურობით. მათს დაპირისპირებასა და ურთიერთობაში მწერალმა დიდი მხატვრული სიზუსტით გადმოგვცა მიმავლისა და მომავლის ეს ძალები.

რომანში ყურადღებას იპყრობენ აგრეთვე ქალთა სახეები. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ძველი, წარჩინებული ოჯახის მთავარი წევრი ნექტარინა. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მაღალი არისტოკრატიის წრიდან გამოსულ, რუსეთში განათლებამიღებულ, ლიბერალურად განწყობილ ქალთა სახეები: მარიამ გავლენიშვილისა, რომელიც წინათ რევოლუციური მუშაობით იყო გატაცებული. მაშინ გაეცნო ვამეხსაც, რომელთანაც სამიჯნურო გრნობები აკავშირებდა. ცალკე უნდა აღვნიშნოთ ნექტარინასთან დაკავშირებული ქალები—ბარონესა მინადორა, მისი ქალიშვილი დაგმარა და მათი ნათესავი მარია რიაბინინა. რომანში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მარია რიაბინინას. ეს განათლებული, კულტურული, პროგრესულად მოაზროვნე ქალი დიდი პატივისმცემელია ქართული კულტურისა, მისი წარსულის და ხვალინდელი დღისა. ის უკავშირდება მოწინავე რევოლუციონერ ქართველებს.

რუს მოწინავე რევოლუციონერებს მწერალმა გვერდით ამოუყენა ქუთაისის რევოლუციონერთა წრეში აღზრდილი სლავინსკი.

სლავინსკი და რიაბინინა ისეთივე მტრები არიან ცარიზმისა, როგორც მარქსისტულ რევოლუციურ წრეში გაერთიანებული ქართველი ახალგაზრდები. ამ მოწინავე, პროგრესული რუსეთის წარმომადგენლებს მწერალი უპირისპირებს შავრაზმელ ვოლკოვს. იგი მოძულეა ყოველივე ქართულისა, მისი დაუნდობელი მტერი. ამ გმირის დახასიათე-

ბაში მწერალმა განაზოგადა ცარისტული რუსული პოლიტიკის დამცველი და გამომხატველი, მისი იდეების მებაირახტრე და მთელის ძალით ამხილა იგი. ყოველივე ამის მიხედვით ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ შ. დადიანმა, როგორც მხატვარმა, დაგვისურათა 900-იანი წლების ორი რუსეთი. ძალთა ამ დაპირისპირებაში ნათლად არის გამოვლენილი, რომ მომავალი ეკუთვნის რევოლუციურ რუსეთს, ლენინის რუსეთს, რომელსაც მხარს უჭერენ პროგრესული ძალები.

რომანის დიდი ღირსებაა ეს ეროვნული და რევოლუციური პატრიოტიზმი. თავისი ხალხის, თავისი ქვეყნის დიდი სიყვარულით ცოცხლობენ და მოქმედებენ რომანის დადებითი გმირები.

შ. დადიანი ქართული სიტყვის გამოჩენილი ოსტატი იყო. მისი დიდოსტატობა და ლექსიკური სიმდიდრე მთელი ძალით გამოჩნდა ამ რომანშიაც. ილიას და აკაკის მდიდარი ენა მთელი მისი მშვენიერებითა და ძლიერებით არის აჰეტყველებული რომანში. დარბაისლური ქართულით, ხავერდოვნებით, მდიდარი ლექსიკური მარაგითა და ხატოვანი ენით გვაჯადოებს ეს შესანიშნავი თხზულება.

„გვირგვილიანების ოჯახი“ შ. დადიანმა თავისი სიცოცხლის მიწურულში დაიწყო და დაამთავრა. ვინც ამ რომანს წაიკითხავს, ადვილად დარწმუნდება, რომ მას არსად აზის დაღლილობის, მოხუცებულობის, სკლეროზის დაღი. პირიქით, სრული შემოქმედებითი სიმწიფე, მუხასავით ფესვმაგარი კაცი, ნათელი და საღი გონების მხატვარი ჩანს რომანში. ეს რომანი ადასტურებს, რომ შ. დადიანმა ბოლომდე დაუბერებლად შეინარჩუნა მაღალი ნიჭი, ფერებისა და საღებავების მომჯადოებელი სიუხვე. ეს იყო ჭეშმარიტი მხატვრის უკანასკნელი აკორდი.

დიდი ქართველი პოეტი

ხშირად უცნაურია დიდი პოეტების ბედი: ზოგი—თანამედროვეთაგან დაუნახავი, ფოთოლივით დაცემული უხმაუროდ, ხოლო შემდეგ, სხვა თაობის მეოხებით, მთასავით წამომდგარა (მაგალითად, ნ. ბარათაშვილი). ზოგს კი თანამედროვენი მთელის სიდიადით შეიცნობენ და მაშინვე თავიანთ თაყვანისცემას დაუდასტურებენ. (საკმარისია დავასახელოთ აკაკი). გ. ტაბიძე უფრო მეორე წყების პოეტებს მიაკუთვნა ბედმა. XX საუკუნის ეს ბრწყინვალე ლირიკოსი ერთბაშად აღმოაჩინეს თანამედროვეებმა და სიცოცხლეშივე პატივისცემა ფიანდაზად დაუგეს. და მაინც გ. ტაბიძესათვის სიცოცხლეში დიდი ქართველი პოეტის ეპითეტი არ მიგვიკუთნებია. ალბათ მასთან ყოველდღიური და პირადი ურთიერთობა ხელს გვიშლიდა უფრო გაბედული და ობიექტური ვყოფილიყავით მის შეფასებაში. წინათ არც გ. ტაბიძის საიუბილეო საღამოს მოსაწვევ ბარათებზე დაგვიწერია: დიდი ქართველი პოეტი. დღეს კი ჩვენს შორის არ არსებობს ორი აზრი, რომ გ. ტაბიძე დიდი ქართველი პოეტია.

დიდი ქართველი პოეტი—ეს ეპითეტი ისევე კანონიერად და დამსახურებულად ეკუთვნის გ. ტაბიძეს, როგორც ქართველი ხალხის უკვდავ შვილებს: ნიკოლოზ ბარათაშვილს, აკაკის, ილიას, ვაჟას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გ. ტაბიძემ ახალ ხმაზე ააწყო ქართული ლექსის მთელი ინსტრუმენტი, ახალი ჟღერა და ელვარება მისცა მას—განუმეორებელი პოეტური ინტონაციებითა და ფერებით გაამდიდრა ქართული სიტყვა, მზის სხივებით ნაფერი, აღამაღლა ქართული ლექსი.

გ. ტაბიძემ, ჩვენი სახელოვანი კლასიკოსების მსგავსად, ლექსს უხვად მოაფრქვია მამულის ეშხი და სიყვარული. მის

ლექსებში გვესმის ამირანის გუგუნის ექო, ხან კიდევ მტრისაგან გადაბუგული ნანგრევებიდან იმზირება იავარქმნილი მამული („15 საუკუნე", „ციხის ნანგრევებთან", „წარსულის ჩრდილები", „დარიალის ვიწრო კლდეებში") და ფეხზე ამდგარი პოეტი ადღეგრძელებს ჭაღარა თბილისს, თუ დაჩოქილი ლოცულობს მამულზე—ყველგან გვიხმობს და მოგვიწოდებს, დავიცვათ ჩვენი მამული. მის ლექსებში ხან მგლოვიარე ადამიანის ქვიოინი და უდაბნოს მყუდროებაა, ხან კიდევ თავისუფლებისაკენ მომწოდებელ დაფდაფების ხმაზე აზავთული საქართველო; მონასტერთა, სასაფლაოთა და უდაბნოთა ხმას, იჭვისა და ურწმუნოების უნაპირო სევდასა და წუხილს აქ ხშირად ცვლის ამაყი და ბედთან დაუმორჩილებელი პოეტის შერკინება უსამართლო წუთისოფელთან („ათოვდა ზამთრის ბაღებს", „უდაბნო", „შავი ყორანი"). გ. ტაბიძემ მოახერხა ადამიანის სევდისა და ტკივილების დატოლება ქარის, ღამის, წვიმის, შემოდგომის ფოთოლის გასულიერებულ ფეთქვასთან და შემდეგ სამუდამოდ დააწყვილა ისინი ორ განუყრელ მეობად („მე და ღამე", „მე და ქარი", „მე და შემოდგომა"). ხან სიზმარივით გააგრძელა ჩვენი ცხოვრება სიყვარულის ტრაგიკული ინტონაციითა და ნაზი ჩურჩულით, და ჩვენი სული აავსო ვარდისფერი და ცისფერი, მწუხარე და მომხიბლველი აღტაცებითა და მოლოდინით („მერი", „მესაფლავე", „უსიყვარულოდ". „ჩემი ვარსკვლავი", „გახსოვს"). ასე დახლართული ბილიკებით შემოვიდა პოეტი ჩვენს სულში და ერთბაშად გააპოეტურა ჩვენი ცხოვრება. მერე უეცრად გ. ტაბიძის პოეზიაში გაისმა რევოლუციის ყრუ გუგუნი. და სიჩაბუკის დროინდელ ლექსებში („პირველი მაისი", „ზევით ასწიეთ მზე, ზევით", „ბრძოლაში ვეძებ თავდავიწყებას") ნელა ფეხადგმული ეს გუგუნი შემდეგ ცეცხლის ალად აბრიალდა. („განახლდა გული", „დროშები ჩქარა", „ჩვენ, პოეტები საქართველოსი"). ასე იალბუზივით მაღალი გვესახება გ. ტაბიძის პოეზია ერთის გადაფურცვლით.

და თუ უფრო დავფიქრდებით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ გ. ტაბიძე დიდი და განუმეორებელი ნოვატორია ქართული ლექსისა. არავის ჰქონია ისეთი არტისტიზმი ქართული სიტყვისა, როგორც გ. ტაბიძემ შემოიტანა, არავის დაუმორ-

ჩილებია ისე თავისუფლად ქართული სიტყვა, და არავის მიუნიჭებია ისეთი დიდი სუნთქვა მისთვის, როგორც ეს გ. ტაბიძემ მოახერხა. იგი სიტყვიერი ხელოვნების ჯადოქარი იყო. სხვა სახელს ვერ დავარქმევთ ავტორს ლექსებისას: „ატმის ყვავილები“, „მოვა, მაგრამ როდის“, „სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში“, „გურიის მთები“, „მთაწმინდის მთვარე“, „თოვლი“, „ქალაქი წყალქვეშ“, „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „ღრუბლები ძაუგთან“, „ნიკორწმინდა“, „რევოლუციური საქართველო“.

ქართული ლექსის ინსტრუმენტი მანამ იშვიათად თუ აუწყვიათ ისეთი ერუანტელის მომგვრელი ემოციურობითა და განცდებით, როგორც ეს გ. ტაბიძემ შესძლო. რა პოეტური სიმაღლე და გაუთელავი ბალახის სიმწვანეა ისეთ ტრადიციულ თემაზე დაწერილ ლექსში, როგორიც არის „მამული“! ვის არ უწერია ამ თემაზე! ჩვენი გამოჩენილი პოეტები თავშეწირულად, აღგზნებულად, ყოველ ცისმარე იმეორებდნენ ამ სიტყვას, დიდი ღაღადისით მეტყველებდნენ მამულის სიყვარულს, მაგრამ მაინც სხვაა გ. ტაბიძის ლექსი—„მამული“

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე — რაა მამული!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ერიამული.
გაშალა ველი ნელმა ნიავმა
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.
აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემვენება,
ისევ ამწვანდა მდელო და ,ორდი,
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

არავის მიუნიჭებია ქართული ლექსისთვის ისეთი მუსიკალობა, ისე არავის აუმღერებია ქართული სიტყვა, როგორც ეს გ. ტაბიძის პოეზიაშია გამოვლენილი. მუსიკა, უპირველესად ყოვლისა, მთელი თავისი ძალითა და მაღალი ეღერით, სწორედ მან დაუმკვიდრა ქართულ ლექსს. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც იგი პოეზიას უყურებდა, როგორც ადამიანის სულის განმასპეტაკებელ, დიდ მორალურ ძალას:

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
მეგობრებო, სიკვდილამდის მექნება
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება
პოეზია—უპირველეს ყოვლისა!

თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,
მარად მანთებს შუქი სვეტიცხოველისა:
პოეზია—უპირველეს ყოვლისა!

სიკვდილივით მარადია სურვილი
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,
ყველაფერში შუქით შემობურვილი
პოეზია—უპირველეს ყოვლისა!

თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,
მე მოვკვდები — როგორც პოეტს შეჰფერის,
სიმღერები ხალისის და ბრძოლისა,
პოეზია—უპირველეს ყოვლისა!

ამაზე პოეტურად, ამაზე ნათლად, ამაღლებულად და ამავე დროს რეალისტურად შეუძლებელია გამოხატო პოეტური სიტყვის რომანტიკული ღაღადისი.

გ. ტაბიძემ, როგორც დიდმა ნოვატორმა, ახალი რიტმით ააღერა ქართული ლექსი. მას ჰქონდა რიტმის უმაღლესი, გრძნობა და, ამავე დროს, არავის არ უხმარია ქართულ ლექსში ისეთი ორიგინალური რითმები, როგორიც გ. ტაბიძის ლექსებში გვხვდება (სილაში ვარდი და სილაყვარდე—ამის უპირველესი დადასტურებაა).

გასაოცარი ტრაგიკული ხილვა სევდისა და სიხარულისა, სამყაროს დიდი კომფლიქტებით ათვისება, ცნების, სიტყვის, ფრაზის ახლებური, პოეტური მონათვლა, ორიგინალური რიტმი და რითმი — ყველაფერი ეს მთელი სამყაროა ქართული პოეტური სიტყვისა, და ის ახლა ოქროს ზოდებად ალაგია ჩვენს პოეზიაში. ფაქტი ის არის, რომ არავის სხვას იმდენი სიახლე არ მიუნიჭებია XX ს. ქართული ლექსისთვის, არ აუვსია მზითა და ფერებით, უცნაური პოეტური ჟრჟოლვით, გასაოცარი სიახლის გრძნობითა და ორიგინალური თქმებით, როგორც ეს გ. ტაბიძემ შესძლო. ამავე დროს ღრმაა, უძიროდ

ღრმაა ეს ლექსები. ისინი ერთხელ წაკითხვითაც გიტაცებენ, გაჯადოებენ, გხიბლავენ, მაგრამ რაც უფრო მეტჯერ წაიკითხავთ, კვლავ და კვლავ ახალ აზრებს ამოიკითხავთ, ისე ღრმაა მათი ქვეტექსტი. აქ ყოველი სიტყვა მიმნიშნებელია დიდი აზრისა, XX საუკუნის ყოველი კაცი, ღრმა ინტელექტისა, თუ რიგითი მშრომელი, მისთვის ყოველ საინტერესო კითხვაზე იპოვის პასუხს გ. ტაბიძის ლექსებში. გ. ტაბიძის პოეზია ადამიანის სულის ამოუწურავი ენციკლოპედიაა. ამიტომ ვამბობთ დღეს ასე თამამად:

გ. ტაბიძე არის ფუძემდებელი უახლესი, XX საუკუნის ქართული ლექსისა და მეორე: გ. ტაბიძე არის ფუძემდებელი ქართული საბჭოთა პოეზიისა. ეს ერთი მედალის ორი მხარეა. ერთი პოეტური სამყაროს ორი ფერი.

როდესაც ვამბობთ, გ. ტაბიძე არის ფუძემდებელი უახლესი ქართული ლექსისა, ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ გ. ტაბიძე მაშინ მოვიდა ჩვენს მწერლობაში, როდესაც ქართული კლასიკური ლექსის დიდი პოეტური სიმდიდრით დაგროვების შემდეგ, და მას შემდეგაც, რაც ამ დიდ სიმდიდრეს 1905 წლის რევოლუციამ ახალი ინტონაცია შესძინა,—ყველაფერ ამას რეაქციის წლებში მოყვა ქართული ლექსის პოეტურ გამოსახულებათა დიდი დაღარიბება და დაკნინება. მოჭარბდნენ სამოქალაქო თემატიკას ამოფარებული, უნიჭო კალმოსნები. სწორედ ამ ვითარებაში ქართველი პოეტების ერთმა ჯგუფმა და მათ შორის, ნიჭიერმა ახალგაზრდობამ, ლექსის ფორმალური დაქვეითებისაგან გადარჩენისათვის სიმბოლიზმის თეორიასა და პრაქტიკას მიმართა. მაგრამ მათ უმართებულო ბრძოლა გამოუცხადეს ქართული კლასიკური ლექსის დიდ პოეტურ სიმდიდრეს, ზურგი აქციეს მას. სიმბოლისტებმა ხელოვნური გართულებისა და ქიმერების ბურუსში გაახვიეს ქართული ლექსი. გ. ტაბიძემ უკუაგდო როგორც პრიმიტივიზმის, ენობრივი ნატურალიზმის, ისე ქიმერებისა და აბსტრაქტული ფორმულების გზა. გ. ტაბიძემ, როგორც დიდმა ნოვატორმა, ქართული ლექსის განახლება მის დიდ ტრადიციებს დაუკავშირა. ამავე დროს, მან ხელი გაუწოდა ევროპულ მაღალ პოეზიას, ყველა მისი მონაპოვარი გამოიყენა და

ბრწყინვალე აღმოჩენებით გაამდიდრა ქართული ლექსი. ყოველივე ამის გამო გ. ტაბიძე გახდა ფუძემდებელი განახლებული და ამაღლებული ქართული პოეზიისა. რასაკვირველია, ამ დიდ საქმეში მას გვერდში ედგა არა ერთი და ორი სახელოვანი თანამოკალმე, მაგრამ ისტორიამ მას დააკისრა ამ დიდი მისიის შესრულება და მისმა ნიჭმა მას მიაკუთვნა პირველობა.

ხოლო, როცა ვამბობთ, გ. ტაბიძე არის ფუძემდებელი ქართული საბჭოთა პოეზიისა, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მან, პირველმა, როგორც დიდი ისტორიული ორკესტრის გუგუნი, ისე აითვისა რიტმი რევოლუციისა. იგრძნო რევოლუციის განმაახლებელი ძალა, მიაშურა საბჭოთა ცხოვრების დიდ პლატფორმას და ხმამაღლა შესძახა: — „განახლება, ან სიკვდილი, მე გეძახით, თქვენ, პოეტებო, მუსიკოსებო, არტისტებო! ორში ერთი აირჩიეთ—განახლება ან სიკვდილი. მე გეძახით, თქვენ, გმირებო, შემოქმედებითი ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა... დადგა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი—ახალი სიტყვა“. ახალ გრიგალებს, რევოლუციის გრიგალებს უმღერა პოეტმა დიდის გზნებით და მღელვარებით ლექსში—„ჩვენ, პოეტები საქართველოსი“. და რამდენიც არ უნდა ამტკიცონ გ. ტაბიძის პოეზიის ვიწრო ლირიკული კამერულობა, ფაქტი ის არის, რომ ასე გულგაშლით, ასე შთაგონებულად, ასე რომანტიკულად და მღელვარედ არავის გამოუხატავს XX საუკუნის რევოლუციური ეპოქის ქარტეხილი. გ. ტაბიძის პოეზიაში ისე როგორც სარკეში, არეკლილია XX საუკუნის საქართველო, მისი სულიერი ზრახვები და ფიქრები.

გ. ტაბიძის პოეზიაში უხვად იპოვით სევდიან სტრიქონებს, ვნებული სულის ტრაგიკულ ინტონაციებს, ადამიანის ჭმუნვის გამომხატველს, მაგრამ, ჯერ ერთი, აქაც, ამ ლექსებშიაც— ღვთიშობელს მიმართავს იგი, თუ მფარველ ანგელოზს უხმობს — ყველგან ეძებს სიცოცხლისაკენ მომწოდებელ ძალას: „ო, სადა ხარ, სადა, უჩვეულო რაიმე ძალო, სიცარიელის შავი ნისლი რომ გამაცალო“... ხოლო გ. ტაბიძის ისეთი ლექსები, როგორიც არის „დროშები ჩქარა“, „ჯონ რიდი“,

„ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“, „ღრუბლები ძაუგთან“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ და სხვ. მრავალი, მგზნებარე ჰიმნია განახლებული საქართველოსი. და, სწორედ ამ ლექსებითაა ის ფუძემდებელი ქართული საბჭოთა პოეზიისა.

გ. ტაბიძე იყო მძაფრი კონფლიქტებისა და ტრაგიკული ინტონაციების პოეტი. მან მღელვარედ აითვისა დიდი სოციალური ვნებები და საზოგადოებრივი კითხვები. ყველაფერი ეს შეუფარდა ადამიანის სულის ინტიმურ რხევას და ასე გამოხატა ჩვენი სამყაროს მრავალმხრივობა. ეს მრავალფეროვნება ქმნის იმ დიდ მუსიკას, რომელიც აგრე რიგად, გვიტაცებს და გვაჯადოებს, და სწორედ ამიტომ გ. ტაბიძის სევდიანი სტრიქონებიც, უფსკრულის საზღვართან მდგარი, როდია დედაბრუული ბუზღუნი ცხოვრებისაგან განდგომისა! არა! ვიწრო კამერულ პოეტს, თუ ის დიდი ვნებებისა და დიდი ქარტეხილების სულით არ დადიოდა ამ მიწაზე, არ შეეძლო რევულუციის პირველსავე დღეებში ეგრძნო განმაახლებელი გუგუნი, ეთქვა ასეთი სიტყვა:

> რა საოცარი დასრულდა წლები!
> მეფეთა წყება გაჰქრა, ვით ლანდი,
> მოშორდნენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს,
> ნიკოლოზი და ფერდინანდი.
> მაგრამ მწუხარედ, მათზე კი არა,
> სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:
> იმ მრისხანე წელს პოეტი-მეფე—
> გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი,
> ჰანგების მეფე—დიდი სენ-სანსი
> და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...
> ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,
> მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,
> რომ გამომეცალა ჯერ არსმენილი
> ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
> და მომეტანა საქართველოში
> სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

ძველ სამყაროსთან უთანასწორო ბრძოლაში შეჭიდებული, გ. ტაბიძე არა ერთხელ მწარედ აქვითინებულა და ცხარე ცრემლი დაუღვრია, მაგრამ ეს იყო დიდი შინაგანი

სითბოთი და რწმენით გამთბარი სევდა, რომელიც ადამიანებს ეძახდა ნათელი სიცოცხლისაკენ. შავბედითობით დამგლოვიარებული მგოსანი ამავე დროს იყო სიცოცხლისა და სინათლის პოეტი.

სიცოცხლე, დიახ, სიცოცხლე გვინდა,
სიცოცხლე გვინდა ასი ათასი,
შორი ალპების წყაროზე წმინდა
სამხრეთის მზეზე უდიადესი!

გ. ტაბიძე ამ რწმენით, ამ სიყვარულით ზრდიდა თავის საყვარელ ქართველ ხალხს. დიდი საზოგადოებრივი ვნებების, მღელვარე სულის პოეტს, თამამად შეეძლო ეთქვა:

მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია...

გალაკტიონი მტკიცედ დგას მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში, როგორც ფესვმაგარი მუხა. განუმეორებელი პოეტური სულის ადამიანი, დიდი ნოვატორის ნიჭით დაჯილდოვებული გენიოსი პოეტი.

რაც დრო გავა, მით უფრო ამაღლდება, მით უფრო ტიტანური ძალით გამოჩნდება ეს დიდი პოეტური სახელი, — დიდება და სიამაყე ქართველი ერისა. მით უფრო ცხოველმყოფელი, მგზნებარე და გულმხურვალე გახდება ქართული პოეტური სიტყვის ეს ჯადოქარი.

გალაკტიონ ტაბიძე ქართულ საბჭოთა პოეზიასთან ერთად მარად იცოცხლებს, ხოლო გალაკტიონი და საქართველო ისევე განუყოფელია, როგორც ილია და საქართველო, როგორც საქართველო და აკაკი.

ხალხის გულისხმა

ყოველი ჭეშმარიტი მწერალი ლიტერატურულ ტრადიციას ამდიდრებს, ახალს უმატებს, თავისი წვლილი შეაქვს საერთო პოეტურ კულტურაში. ეს საკუთარი წვლილი ის აღმოჩენაა პოეზიაში, რომელიც ტალანტის კუთვნილებაა; საკუთარი სიტყვის თქმა, პოეტური წვლილის შეტანა დიდ მწერლობაში, ძნელი და რთული საქმეა. პოეტს სჭირდება ათასსა და ათი ათას სიტყვასთან ჭიდილი, თანამედროვეებთან თუ წინაპრებთან კამათი, რომ ახალი სიტყვა შეჰმატოს დიდი მწერლობის უნაპირო ზღვას. ამას მხოლოდ ტალანტები ახერხებენ. ხოლო იმას, რაც ტალანტის ნაყოფია, ხალხი ერთბაშად აიტაცებს და საკუთარ კუთვნილებად გადააქცევს.

როდესაც რუსთაველს გავიხსენებთ, უპირველესად ყოვლისა, მისი აფორიზმები მოგვაგონდება. რუსთაველის გენიალურ აფორიზმებს საუკუნეების განმავლობაში იმეორებდა ხალხი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“; „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“, იმეორებდა ქართველი ამ სიტყვებს და იმედად რუსთაველი წინ მიუძღოდა, როგორც დროშა, შთააგონებდა, ამხნევებდა, უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებისკენ მოუწოდებდა. ეს იყო გენიალური პოეტის უპირველესი ღირსება. ხოლო, როდესაც ქართველი კაცი ილიასა და აკაკის პატრიოტულ შემართებას გაიხსენებს, ილიას მოხევის სიტყვები მოაგონდება: „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუდნოდეს“. ან აკაკის რწმენით აღსავსე სტრიქონები გაცოცხლდება მის ხსოვნაში:—„არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს, გაიღვიძებს ისევ ერი“. ასე შეაჩერებს ქართველი მკითხველი თავის ყურადღებასა და თვალთამზერას „ვეფხისტყაოსნის“, „მგზავრის წერილებისა“ თუ „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხ-

ტოს“ უკვდავ ავტორებზე და ერთბაშად იმედი და მხნეობა დაეუფლება მის სულს. მწერლობის უპირველესი ამოცანა სწორედ ის არის, რომ თავის ხალხს, თავის ერს იმედად ედგეს, ერის სულიერი ცხოვრების ნიშანსვეტი იყოს ცხოვრების რთულ სავალ გზაზე. თანამედროვე პოეტებისაგან სწორედ ამგვარ დიდ სამსახურს მოვითხოვთ ერისა და ხალხის წინაშე. რასაკვირველია, ჩვენი დრო სულ სხვაა. ამიტომაც არ იქნებოდა მართებული, არ დაგვენახა კლასიკოსი მწერლებისა და თანამედროვე პოეტების მდგომარეობისა და როლის ის განსხვავება, რომელიც ეპოქამ შეჰქმნა. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ეს განსხვავება, მწერლობა ერის მსახური იყო და ეს როლი მუდამ ექნება მას, სანამდის იარსებებს. სწორედ ამიტომ ქართველი მწერლის ყოველ ახალ წიგნს, ამ მაღალსაზოგადოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით უნდა ვაფასებდეთ. ირაკლი აბაშიძის ახალი წიგნიც „პალესტინა, პალესტინა!..“ ამ დიდი საზომით უნდა შეფასდეს.

ირ. აბაშიძის ახალი ლექსების ამ წიგნმა გაამდიდრა პოეტის ბიოგრაფია, აამაღლა მისი მოქალაქეობრივი და პოეტური როლი. უფრო მეტი. ლექსების ეს ციკლი პოეტური სათქმელის ის საკუთარი წვლილია, რომელიც ირ. აბაშიძემ ჩვენ პოეზიაში შეიტანა; ამ წიგნმა ტალანტის გამონათებით გამოაბრწყინა და ეჭვმიუტანელი, მაღალი ღირსებით შემოსა პოეტის სახელი.

ირ. აბაშიძემ რუსთაველისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი 1934 წელს გამოაქვეყნა, ხოლო 20 წლის შემდეგ პოეტმა ინდოეთში იმოგზაურა და რუსთაველის კვალის ძებნას შეუდგა, ქალაქ დელში მოხსენებით გამოვიდა, სადაც ვრცელი ადგილი დაუთმო რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“. ამას მოჰყვა ლექსების ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელიც 1959 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. ის, რაც ირ. აბაშიძემ ლექსების ამ წიგნში „რუსთაველის ნაკვალევზე“ (და ლექსების მეორე წიგნშიც „პალესტინა, პალესტინა!..“) დახატა და აღწერა, პოეტის ფანტაზიის ნაყოფია. ისტორიული ფაქტები, კონკრეტული ფაქტები მას საფუძვლად არ უდევს, ოღონდ ამ ფანტაზიას ასაზრდოებს „ვეფ-

ზისტყაოსნის“ გმირთა სამყარო და დიდი რუსთაველის გარშემო შექმნილი ლეგენდა. ყოველივე ეს კი პოეტური ფანტაზიის დაუშრეტელი წყაროა.

ინდოეთით მოხიბლულ პოეტს ყველგან ელანდებოდა სახელოვანი წინაპრის აჩრდილი, მაგრამ ვერსად ვერ მიაგნო მის უკანასკნელ კვალს. დღემდის არ ვიცით რუსთაველის ცხოვრების უტყუარი ფაქტები. ყოველ ქართველს აწუხებს, რუსთაველის ბედი, მით უფრო, აწუხებს ეს ქართველ პოეტს და სულმოუთქმელად დაეძებს მის ნაკვალევს ინდოეთში, მავრამ ეს ვრცელი ტრამალები და გზები დუმან და დუმან:

მეც სმენა ჩემი დავზარდე უმალ
და მგოსნის გზნებით
და მდევრის გზნებით
ვკეცე და ვთელე
მაღრიბის გზები,
მაგრამ ის გზებიც
სდუმან და სდუმან.

ამის შემდეგ ირ. აბაშიძემ, ქართველ მეცნიერებთან ერთად იმოგზაურა იერუსალიმში და ინახულა დიდი წინაპრის უკანასკნელი თავშესაფარი. ხელით შეეხო მონასტრის კედლებს, სადაც სამშობლოსათვის ლოცულობდა დიდი რუსთაველი, თვალი მოავლო მონასტრის ფრესკებს, მის ქართულ წარწერებს, დაბოლოს, უცხოთაგან შეგნებულად წაშლილი რუსთაველის კვალიც მოიძებნა: საღებავებით წაგლესილი შრე კედლისა გადაფხიკეს და იპოვეს კედელზე გამოხატული რუსთაველის პორტრეტი... მისი ასლი სასოებით ჩამოიტანეს საქართველოში. ჯვარის მონასტერში ნაპოვნმა რუსთაველის სურათმა თითქოს ნათელი მოჰფინა პოეტის ფიქრებს, ხოლო რუსთაველის ხმები უცნაურად შეიჭრნენ პოეტის სულში. ამ ატმოსფეროში დაიბადა ის პოეტური ხმებიც, რომელიც პოეტს რუსთაველის უკანასკნელ თავშესაფარში ჩაესმა. ირ. აბაშიძის ახალი ლექსების ამ ციკლს დიალოგის ხასიათი აქვს. დიალოგი ჯერ თანამედროვე პოეტსა და რუსთაველს შორის იმართება, შემდეგ კი რუსთაველის ხმები, დიდი წინაპარის ფიქრები და ოცნებანი თანამედროვე პოეტის

ფიქრებსა და ოცნებას ერწყმის და ასე გარდაისახება იგი უკანასკნელის გულისთქმად.

როდესაც ამ პატარა წიგნის პირველ ლექსს წაიკითხავთ, ასე გგონიათ დიდი წიგნის ეპილოგი გადაფურცლეთ. ეს დიდი წიგნი — შოთა რუსთაველია ლეგენდადქცეული ბიოგრაფიითა და უნაპირო პოეტური გენიით. და აი ის, რაც რუსთველოლოგებს ათეული წლობით უჩხრეკიათ, უკვლევიათ და ვერ დაუდგენიათ, პოეტს თითქოს თავისი ინტუიციით მიუკვლევია. იგი ამბობს:

შენ აქ ხარ,
აქ ხარ...
შენს კვალზე მავალს,
ამ ზღაპრულ კართან,
ახლა რომ ვდგავარ,
მშობელი მიწის
ეს მედო ვალი...
მორჩა!
აქ შენი დასრულდა კვალი,
აქ შენი ჩუმი
ფეხის ხმა შეწყდა:
ვდგავარ შენ სახლთან,
შენს ჩამქრალ ცეცხლთან.

ასე დარწმუნებით არის თქმული ეს სიტყვები და ჩვენ გვჯერა იგი. ამ სტრიქონებით მოხიბლულნი ვუსმენთ პოეტს. ჩვენი დროის პოეტი თვალგაფაციცებით დაეძებდა რუსთაველის ნაკვალევს, ხან ინდოეთსა და ხან ჩინეთში ყურს უგდებდა მის ხმებს, მაგრამ ამაოდ. და აი, იერუსალიმში, პალესტინაში, ქართველთა უძველეს ჯვარის მონასტერში აღმოაჩინა რუსთაველის ნაკვალევი და თითქოს მისი ხმაც გაიგონა. საბჭოთა პოეტმა იცის, რომ „ვეფხისტყაოსანი" ქართველი კაცის მუდმივი თანამგზავრია, რუსთაველის გენია ყოველ დღე ჩამოუვლის საქართველოს, ყოველი ქართველის ოჯახს და ყველა უსმენს მის სიტყვებს. მაგრამ მაინც რუსთაველის ცხოვრების უტყუარ ამბავს დღემდე ელის ქართველი. რუსთაველს ელის მისი ვარძია, თმოგვი, ხერთვისი, მთელი მესხეთი და საქართველო. და აი, პოეტმა 700 წლის შემდეგ მოუვლინა მის სალოცავ საქართველოს შოთა რუს-

თაველი ახალი ცოცხალი სიტყვით, დიდი ფიქრითა და გრძნობით, დიდი სათქმელით, და ჩვენ სულგანაბული ვუსმენთ რუსთაველის ხმას, ხმას დიდებულს, სანუკვარს, საოცნებოს... ლექსების ეს წიგნი — „პალესტინა, პალესტინა!..“ თვით რუსთაველის ხმაა, ჩვენი თანამედროვე პოეტის მიერ ამეტყველებული. ეს პოეტური ხერხი უაღრესად ინტიმურს, რომანტიკულსა და გასაოცრად გამჭვირვალეს ხდის ლექსების ამ ციკლის ყოველ სიტყვას, ყოველ წინადადებას.

დიდი რუსთაველის პირველი სალოცავი საქართველო იყო და პალესტინაში სალოცავად წასულს კვლავ სამშობლოედგა თვალწინ, კვლავ საქართველოს მიაპყრობდა გულისყურს.

ოი, პალესტინავ,
პალესტინავ!
ყოვლის მომცველის,
ყოვლის მფლობელის,
მწამდა შენის
სიტყვის ცხოვლისა,
მაგრამ უადრეს,
უწინარეს
უმალ ყოვლისა,
მე სამშობლოსთვის,
სამშობლოსთვის
ვიყავ მლოცველი...
. . . .
გულიც და სუნთქვაც,
ყველა ნიჭი
ჩემის კაცობის
მე წმინდად დავდე
საქართველოს
საკურთხეველთან.

რუსთაველის ამ ღაღადისს ჩურჩულით იმეორებს ქართველი, შემდეგ სასოებით გულში იხუტებს და მასთან ერთად ათენებს ღამეს. ირ. აბაშიძე გასაოცარი გულთამხილაობით ამყარებს ინტიმს რუსთაველთან. ეს ინტიმი ჩვენც გვიმორჩილებს და გვმსჭვალავს სამშობლოსათვის თავდადების გრძნობით. ეს პატრიოტული განწყობილება, ახალი ინტონაციური ასპექტით გამოსახული, ლექსების ამ ციკლის უმთავ-

რესი პათოსია და ბოლომდე გასდევს მას. საქართველოდან გადახვეწილ მგოსანს არ ასვენებდა საქართველოზე ფიქრი:

რად მესიზმრება
ხმალი, ტარში გადამსხვრეული,
ტანჯვა, გოდება,
ბედშაობა, ცრემლი მალული,
რად დამდევს ლანდად
ბედწამხდარი ჩემი მამული...

პოეტური გარდასახვის ეს ხერხი თანამედროვე პოეტს საშუალებას აძლევს უფრო ნათლად გამოხატოს სათქმელი და ამ გზით უფრო დაგვაახლოვოს ერთი მხრივ რუსთაველთან, ხოლო მეორე მხრივ დედასაქართველოსთან, მის დღევანდელობასთან, მის სანუკვარ ფიქრებთან და ოცნებასთან:

აკმარე ჭირი,
მტრის მონობა,
სპარსი, არაბი;
აშორე ცრემლი,
ურჯულობა,
წარღენა, ქარაფი;
შენ გეეედრები,
შენს დიდ გზაზე
ლოცვით მარები;
არ დაუკეტო საქართველოს
პონტის კარები.

პატრიოტულ განწყობილებათა გამოსახვას ემსახურება ამ წიგნის ერთი ყველაზე უბრწყინვალესი ლექსი. „ხმა კატამონთან". ქართული ენის დიდება არა ერთი და ორი ქართველი მწერლისგან გვსმენია, მაგრამ მე არ მეგულება მეორე ლექსი, რომელშიც ასე ძლიერად იყოს გამოხატული ქართული ენის ქებათაქება. სამშობლოსათვის თავგანწირვის აღსარებას ქართული ენის სიყვარულში გამოხატავს პოეტი: მშობლიური ენა არა მარტო საშუალებაა აზრთა გაგებინებისა, ურთიერთობისა, არამედ ის ადამიანის სულის ნაწილია, ერის ფარ-ხმალი და იარაღი, ხალხის ხარისხი და სიმდიდრე. ქართული ენის დაცვას და გამდიდრებას შეალია ჩვენმა მწერლობამ თავისი ჯანი და ღონე, და რუსთაველი უპირველესი

მაგალითია ამ მხრივ. ამიტომაც პირველი უფლება ქართულ ენაზე სიტყვის წარმოთქმისა, მის სადიდებლად ხმის ამაღლებისა სწორედ მას ეკუთვნის. აქ რუსთაველის აღსარება საქართველოს აღსარებაა. ქართული ენის „მწარე ლხინიც“ და „ტკბილი სევდაც“ გამოთქმულია გასაოცარი პოეტური ძალით, დიდი ენერგიით და ვნებით. ენა უკვდავია, ენის დათმობა ერის დათმობას უდრის, ენის სიკვდილი — ხალხის სიკვდილს ეთანაბრება. ეს აზრი ასე გამოუხატავს პოეტს:

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, !
ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უპკნობს, შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს?

ილიასა და აკაკის შემდეგ არავის გამოუხატავს ასეთი გულთამხილაობით ქართული ენის უკვდავება. და ყოველივე ეს არა პათეთიკური, ზეაწეული, ცრუპატრიოტული კვეხნით, არამედ ღრმა განჭვრეტით, ერთგვარი ტრაგიკული კილოთი და ოპტიმისტური რწმენით არის ნათქვამი. რუსთაველი. როგორც მფარველი ქართული ენისა, როგორც მფარველი სამშობლოსი, ისე მოუვლინა პოეტმა მამულს და მთელის სიდიადითა და სიმართლით გამოათქმევინა ფიქრი და ზრახვა თანამედროვე ქართველისა. და მართლაც, როგორც ღალადისი, ისე გაისმის სიტყვები:

ეს ლოცვა ჩემი,
ათას წლებში
ფარვიდეს ფარად
მის უკვდავ მთა-ბარს,
უკვდავ მაჯას,
მის უკვდავ ენას.

და ის, რაც ირ. აბაშიძემ თქვა ქართული ენის შესახებ, შეიძლება გაიმეოროს ყოველი ერის შვილმა თავისი მშობლიური ენის მიმართ.

ლექსების ამ ციკლში პოეტს შეუტანია რუსთაველის სიყვარულის ისტორიაც: „ხმა თეთრ სენაკში". ამ ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს „ვეფხისტყაოსნის" სტრიქონი: „თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლდათხეული."

კაცთა თავისუფლების იდეალი და რწმენა პოეტმა სიყვარულს დაუკავშირა. თამარისადმი რუსთაველის სიყვარული ეხლოლოდ ქალ-ვაჟის ტრფიალება როდია, არამედ დიდი გენიოსის ხერხია—სიყვარულის სამოსელით კაცობრიობის მაღალ იდეალს გვაზიაროს. თამარი ზოგადი სიკეთისა და სიყვარულის სიმბოლოა პოეტისათვის, მისთვის—სულის ინტიმია, სხვებისათვის—ამაღლებული, ზოგადკაცობრიული სიკეთე და რწმენა. და ყოველივე ამის მიხედვით, სიყვარული წარმოდგენილია, როგორც ყოველი დიადი საქმის, შეურყეველი ჭეშმარიტების ნავსაყუდარი:

თუ მქონდა ფიქრი,
თუ მიზანი
მქონდა კაცური,
თუ აზრი წმიდა
გულს მეწერა
ასოთ მთავრულით, —
მე სიყვარულით,
სიყვარულით
ყიყავ აღძრული.
ჩემს მიზანს ერქვა
სიყვარული,
აზრს—სიყვარული.

მაგრამ პოეტმა წერტილი აქ არ დასვა. თამარის მიმართ რუსთაველს შემდეგი სიტყვებიც ათქმევინა: „იქნებ არც ყოფილ მზე ნამდვილი, ღმერთი ნამდვილი, იქნებ ხმა იყავ სულის წეწვის, გულის ფრიალის"... დიახ, რუსთაველის გულის ნაწილი იყო თამარის სიყვარული, ხოლო თვით გული პოეტისა დიდი ჭეშმარიტების, დიდი სიკეთის დაუშკნობელი ტრფიალი. გაქრა ეს სიყვარული და ჩრდილი მიადგა რწმენასაც.

ბოლო ლექსში რუსთაველის პორტრეტს გვიხატავს პოეტი, ფიზიკურად და სულიერად გოლიათი რუსთაველის

პორტრეტს. ჩვენს ცნობიერებაში ერთბაშად ცოცხლდება რუსთაველის მომხიბლავი სახე:

ღრმად დათოვლილი ლომის ფაფარი,
თეთრ საბურველად პირზედ ებურა:
. . . . .
ღაწვზედ ეფინა ჩამავალ მზის
ნათელი მკრთალი...

ამ პორტრეტს ამთავრებს საოცარი ფერწერითი სურათი:

შემოვუტანეთ. ზეთისხილის
ტოტები ლურჯი: .
— ჰა, შენი ქართლი,
შენი სამცხე და არტანუჯი —
წამლად დაგედოს, ვითარ შენი მიწა და წყალი...
არა ინდომა, ოდნავ სველი მილულა თვალი.

ასე ცოცხლდება ჩვენს ცნობიერებაში დიდი რუსთაველის სახე. ეს ბოლო ლექსი—„უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე"—კომპოზიციურად კრავს ლექსების ამ ციკლს და ამავე დროს ბუნებრივად ამთავრებს წიგნის ჩანაფიქრს — რუსთაველის უკვდავების, სამშობლოს უკვდავების, სიყვარულის უკვდავების დედააზრს. და რეფრენივით ყურში ჩაგვესმის პოეტის სტრიქონები:

სწამდა... სჯეროდა...
სწამდა... სჯეროდა...

და ჩვენც გვჯერა ლექსების ამ ციკლის დედააზრი, რომელიც ერის უკვდავების სიმფონიაშია აკინძული. ეს წიგნი პოეტური სიმფონიაა რუსთაველის უკვდავებისა და მაშასადამე, საქართველოს უკვდავებისაც. ხალხის, ერის უკვდავების დიდი სიმღერა უნდა ვუწოდოთ ირ. აბაშიძის ლექსების ამ ციკლს.

რანი ვყოფილვართ, ვინა ვართ და საით მივდივართ, როგორი იყო ჩვენი წარსული და როგორია ჩვენი აწმყო? თანამედროვე ადამიანის ეს კითხვა-პასუხი თავს იჩენს წიგნში მთელი სიმძაფრით. ლექსების ეს წიგნი ფილოსოფიური ლირიკაც არის და დიდი საზოგადოებრივი და სახალხო ინტი-

მიც. ოცნებათა გაშლილი ველი... ყოველი დაფიქრებული კაცის კითხვები ამ ლექსებში თითქოს ერთად გამოხატულა. პოეტი გაბედულად, აზრის, ფანტაზიის, ღრმა გრძნობებისა და ფიქრების დინჯი ამეტყველებით, რუსთველური დაფიქრებითა და პატრიოტული აღსარებით გვიზიარებს გულის პასუხს, და ჩვენს ფიქრებს ერთბაშად იპყრობს. ეს ლექსები პოეტის თავისებური გაბაასებაა რუსთაველთან. მაგრამ არა შეკამათებისა და განმარტების წესით, როგორც ეს თეიმურაზ პირველს ან არჩილ მეფეს ჰქონდა თავის დროზე, არა! ირაკლი აბაშიძემ რუსთაველს მისცა სიტყვა და თავისი ფიქრი რუსთაველის ფიქრებით გვამცნო.

ამ წიგნში არა მარტო სამშობლოს, საქართველოს სიყვარულის მარადიული გრძნობაა ამღერებული, არამედ ყოველივე ეს აყვანილია დიდ საზოგადოებრივ და ზოგადსაკაცობრიო იდეალამდის.

ირ. აბაშიძემ შოთა რუსთაველის ეროვნული და ნაციონალური გრძნობები ზოგადკაცობრულ კითხვებამდე აღამაღლა. რუსთაველი მამულის თვალით უყურებდა მთელ სამყაროს, ადამიანის უპირველეს მოვალეობად სამშობლოსათვის თავდადებას მიიჩნევდა. მაგრამ იგი არ მოითხოვდა პოეტისაგან ბრმა აღიარებას ყველაფრისას, რასაც მის სამშობლოში ადგილი ჰქონდა. პოეტი გონების განსჯას, მის აწონ-დაწონას მოითხოვდა: რა არის კარგი და რა არის ცუდი ჩვენს მამულში, რას უნდა დავუჭიროთ მხარი და რას უნდა ვებრძოლოთ ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის. აი, რა უნდა იყოს საგანი განსჯისა. ხოლო იქ, სადაც ამგვარ განსჯას ბორკილი ადევს, საჭიროა მისი დამსხვრევა, თუნდაც მამულისა იყოს ეს ბორკილი. პოეტი ამბობს:

მე ჩემს გონებას,
ცნობას ვთვლიდი
ჩემ დიდ საუნჯედ,
რადგან არსთაგანს
მე მებოძა
ეს საბოძველი,—
შენ მთხოვდი
თაყვანს,
მხოლოდ თაყვანს,

თაყვანს განუსჯელს,
მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ვიყავ მლოცველი.
თუ განმაკაცე,
თუ დამადგი
თვალი სრულმქმნელის,
თუ მომეც ძალი
ხან ფრთაშესხმის,
ხან დაღონების,
მე მწადდა შენგან
სიტკბოც,
ცნობის თავისუფლების,
მე მწადდა შენგან
სიხარულიც
განხმულ გონების.

კარგად არის ნათქვამი. მამულის მოთაყვანე გენიოსს უფლება ჰქონდა ასე წარმოედგინა სამშობლოს სიყვარული და რაც ამ მორალურსა და ინტელექტუალურ კოდექსს ეწინააღმდეგებოდა, ხმა აღემაღლებია მის წინააღმდეგ. დიდი ილია იტყოდა: ცუდი, ვისიც არ უნდა იყოს, ქართველის იქნება იგი თუ ინგლისელისა, დაგმობის ღირსიაო. ყოველი დროის დიდი მწერალი ყოველი ცუდის, თავისუფლების მოწინააღმდეგე და მოძულე აზრის წინააღმდეგ გამოდიოდა. ვინ უნდა იბრძოდეს ცუდისა და უვარგისის წინააღმდეგ თუ არ პოეტი? თვით რუსთაველი ამბობს: იქნებ „მცირედი“ იყოსო ჩემი შემართება. არაფერი ისე ლამაზი და მშვენიერი არ არის, როგორც სიმართლე—და სწორედ რუსთაველი იყო მედროშე სიმართლისა და თავისუფლებისა.

ყოველ ქართველს, რომელსაც ხელში წიგნი აუღია, თავისი დამოკიდებულება აქვს დიდ ქართველ პოეტთან რუსთაველთან, თავისი ფიქრი და გრძნობა აკავშირებს მასთან. პოეტი, რომელსაც გადაუწყვეტია დასწეროს რუსთაველზე, ვალდებულია მონახოს რუსთაველისა და მკითხველის ამ საიდუმლო ფიქრის ძაფი, ბუნდოვნად და უსახოდ წარმოდგენილ გრძნობებს ხორცი შეასხას, სული ჩაუდგას, აამეტყველოს და ყველასათვის გასაგები გახადოს. ნამდვილი პოეტი ჭილიონთა ფიქრის წამმართველი და გამშიფრავია.

რუსთაველის შესახებ ბევრი რამ დაწერილა ქართულ პოეზიაში. მე არ მეგულება ქართველი პოეტი, რომელსაც რუსთაველისაგან რამე არ ესესხოს, რუსთაველზე რაიმე არ ეთქვას, მაგრამ მაინც რუსთაველზე ლექსების წერა ისევე ძნელია, როგორც რუსთაველის შემდეგ საზოგადოდ საქართველოში ნამდვილი და მაღალი პოეტის სახელის მოპოვება, ამას ის გარემოებაც ართულებს, რომ აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ უკვდავი პოეტური სტრიქონები მიუძღვნეს, რუსთაველს და „სულმნათი მგოსანი" გასაოცარი ნიჭიერებით გააცოცხლეს თავიანთ ლექსებში. და აი, ყოველივე ამის შემდეგ, როდესაც ირ. აბაშიძის ლექსების ამ ციკლს ვკითხულობთ, ვხედავთ, თუ რა საინტერესოდ მოახერხა პოეტმა დიდი პოეტის სახელი ერთხელ კიდევ ეზიარებია ჩვენს ფიქრებთან და განცდებთან. ირაკლი აბაშიძემ რუსთაველის უკვდავი სახელი გააცოცხლა არა ერთ ლექსში, არამედ რამდენიმე ლექსში. სწორედ აქ იდგა სირთულე: რომ ერთფეროვნებას, ერთსახეობას არ შეემცირებია ლექსების ღირსება. პოეტის სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ მოხდა პირიქით: ყოველი ლექსი დამოუკიდებლად ცოცხლობს და ამავე დროს ერთ ჰარმონიას ქმნის, ერთ მთლიან, დიდ პოეტურ ჰარმონიას.

ბერნარდ შოუს უთქვამს: „პოეტები ხმამაღლა ელაპარაკებიან საკუთარ თავს, მსოფლიო კი ყურს უგდებს მათ". ირ. აბაშიძის ლექსების ეს ციკლი ხმამაღალი ლაპარაკია, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავთან და, ამავე დროს, ეს არის დიალოგი პოეტისა პოეტთან—ირაკლი აბაშიძისა რუსთაველთან და ჩვენ ინტერესით ყურს ვუგდებთ ამ ხმებს.

ლექსების ეს პატარა კრებული სულ ათი ლექსისაგან შედგება. მაგრამ შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მეტად მრავალრიცხოვანია ლექსების ციკლი. წაიკითხავთ ამ წიგნს, ისევ წაკითხვა მოგინდებათ. უფრო მეტიც, გინდათ ეს ლექსები ზეპირად იცოდეთ, საკუთარ კუთვნილებად აქციოთ, ისე ეხმაურება იგი ჩვენს სულიერ მოთხოვნილებას, ჩვენს განწყობილებას. ეს კი უკვე დიდი ღირსებაა წიგნისა. იგი ჩვენს წინაშე აღძრავს მრავალ საკითხს, გვაფიქრებს და გვაღელვებს, და ჩვენც, ჩვენის მხრივ, ვეთანხმებით, ან ვეკამათებით ავტორს.

ეს მხარე კი მის მაღალ ინტელექტუალურ თვისებაზე მიგვანიშნებს.

ამას წინათ, ერთი ცნობილი რუსი პოეტი შენიშნავდა: ჩვეულებრივად დღეს პოეტებს ორ ჯგუფად ყოფენო: მუსიკალური და ფერწერითი მანერის პოეტებად. მაგრამ, რასაკვირველია, ასე მექანიკურად გამიჯვნა პოეტებისა ბუნებაში არ ხდებაო. ხშირად ორივე თვისება თუ ღირსება აქვს ერთსა და იმავე პოეტს, მაგრამ საკითხი იმას შეეხება, თუ რომელი თვისება ჭარბობს. ირ. აბაშიძე ამ ლექსების მიხედვით კიდევ ერთხელ ავლენს თავის თავს, როგორც მუსიკალური მანერის პოეტი, იგი მუსიკას უმორჩილებს პოეტურ საშუალებათა სხვა მხარეს. ღრმა მუსიკალური რიტმი, ფერწერითი მანერით შეზავებული, მთელი სისრულით არის გამოვლინებული ლექსების ამ ციკლში. ამ ლექსების ენობრივი ფაქტურა და აზრობრივი ქსოვილი სევდიანია, ამავე დროს დიდი სინათლითა და ოპტიმიზმის შუქით განათებული, ლექსიკურად უაღრესად ეკონომიურია და ზუსტი. ნაკლებია მსჯელობა, მეტია ხედვა, სახეებით ხატვა სათქმელისა. ლექსები ერთ რიტმზეა აკინძული და აწყობილი, რაც ინტონაციურად უაღრესად ორიგინალურ შთაბეჭდილებას ტოვებს. და მაინც, როცა ამ ლექსებს ღრმად ჩავუკვირდებით, ოდნავ არქაულად გვეჩვენება მისი მხატვრული სამყარო. ეს ბუნებრივია, თუ გავიხსენებთ, რომ პოეტს საქმე აქვს რუსთაველთან. რასაკვირველია, რუსთაველი თანამედროვეა თავისი პოემითაც და ლექსიკითაც. ეს ასეა, მაგრამ რუსთაველს მაინც შვიდი საუკუნე გვაშორებს და ეს გარემოება უკარნახებს პოეტს, ოდნავ არქაული იერი მისცეს რუსთაველის მეტყველებას, რაკი ლექსში რუსთაველი შემოიყვანა, როგორც ლირიკული გმირი. ირ. აბაშიძე დიდი ზომიერებითა და პოეტური ტაქტით უმორჩილებს არქაულ სიტყვებს თანამედროვე მეტყველებას. სულ რამდენიმე სიტყვაა აქ არქაული წესით გაცოცხლებული: „ხამს ლოცვა ჩემი“, „გარნა ვინ ვიყავ“, „მარქვი, სად ვსტყუი“, „შენ გეაჯები“, „ვითარ შენი მიწა და წყალი“, „სენაკის თვისის“...

ლექსების ეს ციკლი მდიდარია ქვეტექსტით, ხოლო ყოველი ქვეტექსტის მიღმა მთელი სამყაროა, დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. ლექსების კომპონენ-

ტები, შედარებები და მეტაფორები, ეპითეტები თუ კომპოზიცია ერთ ნათელ სიმფონიას ემსახურება—დიდი პატრიოტი პოეტის სულის აღსარებას, რუსთაველის ხმით გაცოცხლებულ საბჭოთა საქართველოს გულისთქმას.

ყოველი ქართველი მადლიერების გრძნობით წაიკითხავს ლექსების ამ წიგნს. ჩვენც მადლიერების გრძნობით ვწერთ ამ სტრიქონებს.

ძალა სულიერი განძისა

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ცოტა როდია მაგალითი, როდესაც ერთი და იგივე თემა სხვადასხვა დროისა და ეპოქის მწერლებს გამოუყენებიათ და ამის მიხედვით გამოუხატავთ თავიანთი დამოკიდებულება სამყაროსთან, გამოუთქვამთ თავიანთი შეხედულება და რწმენა ადამიანის დანიშნულებისა თუ მოვალეობის შესახებ ამქვეყნად. ამათგან მხოლოდ იმ წიგნებს მოუპოვებიათ დიდი პოპულარობა, რომლებშიც ავტორებს ადამიანის სულის მოძრაობა დიდი სიმართლითა და განზოგადოებით გამოუხატავთ, გამოუხატავთ დიდი ვნებით, ტკივილით და ოსტატობით. ლიტერატურის ისტორია იცნობს ასეთ ზოგად თემებს.

დემნა შენგელაიამ მოთხრობა „განძის" თემად შეგნებულად გამოიყენა ლიტერატურაში მრავალგზის დამუშავებული პრობლემა. „ყვითელი ღმერთის" — ოქროს შეძენის გზით იოლად გამდიდრების ფსიქოლოგია ძველთა-ძველი ინსტინქტია. ეს ავადმყოფური ვნებათა ღელვა არაერთხელ გამხდარა ძმათა მკვლელობის, შუღლისა და მტრობის, სიძულვილისა და ეგოიზმის წყარო. ხოლო მსოფლიო ლიტერატურას ასევე მრავალგზის გამოუხატავს ოქროთი გამდიდრების მაძიებელთა ხასიათები და პორტრეტები. განსაკუთრებით მდიდარია ამით მეცხრამეტე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურა. სწორედ მეცხრამეტე საუკუნეში მიიღო ყველაზე მახინჯი ფორმა ფულით ვაჭრობაზე, ოქროს ყიდვა-გაყიდვაზე დაფუძნებულმა კაპიტალისტურმა კერძო მესაკუთრეულმა ინსტინქტებმა.

ამ პრობლემას მეოცე საუკუნის მწერლობა კვლავ მიუბრუნდა. ერთი შეხედვით, დემნა შენგელაიამ „განძში" თითქოს მიმართა ამ ცნობილ წყაროს, დაესესხა მას, მაგრამ თუ ამ საკითხს ღრმად დავაკვირდებით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ

აქ საქმე გვაქვს არა თემ-ს სესხებასთან, არამედ ძველთა-ძველი პრობლემის ახალ ვარიანტთან. ხომ ფაქტია, რომ ყველა ცნობილ მწერალს მეცხრამეტე თუ მეოცე საუკუნეში, ვინც ამ თემაზე მუშაობდა, კაპიტალისტურ სამყაროსთან და მის წიაღში წარმოშობილ კონფლიქტებთან თუ ხასიათებთან ჰქონდა საქმე. დემნა შენგელაიამ, მათგან განსხვავებით ლიტერატურაში დამუშავებული ეს ზოგადი პრობლემა ახალი სოციალისტური საზოგადოების გარემოცვაში შექმნილი კონფლიქტის ფონზე წარმოსახა, და ამის მიხედვით სულ სხვაგვარი გადაწყვეტა ჰპოვა ტრადიციულმა თემამ. გამოდის, რომ ჩვენი ეპოქის მხატვარი დ. შენგელაია ერთგვარად შეეკამათა ლიტერატურის ისტორიაში ამ საკითხებისა და პრობლემების გამშუქებელ ავტორებს.

მოთხრობა „განძის" მოქმედი პირები კოლმეურნე ცოლქმარია—საულია და ფუნდუ. მოთხრობის დასაწყისშივე მწერალს ეს ორი ახალგაზრდა კოლმეურნე ცხოვრების დიდი სიხარულით, შრომის დიდი რომანტიკით შემოჰყავს. საულია მიწას ხნავს, ფუნდუ მეჩაიეა. ერთი პატარა ქოხი აქვთ, მაგრამ დიდი რწმენითა და დიდი გულით შეჰყურებენ ცხოვრებას. და ამ რწმენის წყარო ახალგაზრდა კაცის შრომითი ცხოვრებაა. როდესაც მოთხრობის დასაწყისში ამ გმირებს ეცნობით, თქვენს წინ წარმოდგებიან ადამიანები, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ ეს ქვეყანა. ისინი ბუნების უშუალო შვილები არიან, პატიოსნებით, ღირსებით, სიკეთით აღსავსენი. თქვენ ხედავთ შრომით გაკეთილშობილებული, გახალისებული, ამაღლებული ადამიანების დიდ რომანტიკას. მათს საუბარში კოლმეურნეებთან, მათს ყოველ რეპლიკაში, ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულებაში, ყველგან გრძნობთ შრომის სიკეთით გალამაზებულ ადამიანთა სულის მოძრაობასა და საქციელს. მათ მხოლოდ ერთი სადარდებელი აქვთ: ოღონდ შვილი ეყოლოთ.

ეს დიდი ბედნიერება, სულიერი სიმშვიდე და სიკეთე ერთბაშად დაარღვია შემთხვევით ნაპოვნმა ოქროს განძმა. საულია თოხნის დროს მიწაში ჩაფლულ ძველ დერგს წააწყდა, რომელშიც ბრჭყვიალა ოქროს ნივთები აღმოჩნდა. ჯერ იყო და საულიაში გაოცება გამოიწვია ამ ნივთმა, შემდეგ კი სად-

ღაც ღრმად მიმალულმა ეგოისტურმა ინსტინქტებმა თავი წამოყვეს, და საულია ერთბაშად სხვა კაცად იქცა. დიდი სიკეთე და სიხარული ერთბაშად დაიკარგა. იგი ეგოისტი კაცის ავადმყოფურმა საქციელმა შეცვალა. ახლა მას მხოლოდ ერთი გრძნობა აწუხებს: ჩუმად გაყიდოს ეს ნაოხარი ნივთი, დიდძალი ფული შეიძინოს და იოლად, უდარდელად იცხოვროს. ამ აზრით შთაგონებულმა ნორმალურ ცხოვრებაზე ხელი აიღო. უკვე ორი კვირაა, რაც საულია სამუშაოდ არ გასულა. მწერალი დასძენს: „ეს კიდევ არაფერი, რომ საულია ორი კვირა სამუშაოდ აღარ გასულა. უბედურება ის იყო, რომ შრომამ მისთვის არამცთუ ფასი, აზრიც დაჰკარგა. და ახლა ცოლსაც შეუჩნდა, ამდენი ჯაფით წელს რათ იწყვეტ, ისეც დედოფალსავით გაცხოვრებო“.

საულია თავისი საქციელით და ფსიქოლოგიით უცხო გახდა. განმარტოვდა, გაეთიშა საზოგადოებას. საულიას ეშინია, ცოლს ნამდვილი ამბავი გაუმხილოს.

მწერალი აქ უკვე ხაზს უსვამს ახალი, სოციალისტური გარემოს ძალას, რომელსაც თავისი გარკვეული ხასიათი აქვს. რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ქვეყანაში მიწაც და წიაღისეული სიმდიდრეც სახელმწიფოს ეკუთვნის. ჩვენში კანონით აკრძალულია ოქროთ ვაჭრობა. სოციალისტურმა სისტემამ დიდი ხანია ბოლო მოუღო ამ ვაჭრულ ფსიქოლოგიას. კანონი სასტიკად ებრძვის ყველას, ვინც ოქროს ყიდვა-გაყიდვის ვნებათაღელვით ცხოვრობს. მოთხრობაში გმირის ხასიათის კონფლიქტს ეს საზოგადოებრივი მხარე უფრო მძიმეს ხდის. ამ ვითარებაში საულია მარტოსულად იქცა თავისი ნივთებით. ეს ოქროს ნივთები მის სულს მაჯლაჯუნასავით აწვება, მაგრამ ვერ ერევა, ვერ იმორჩილებს. „საულია, ახლა მიხვდა, რომ ამ თავის დარდის ანაბარა ამიერიდან სულ მუდამ მარტო იქნებოდა. მაშ რა ექნა, ანდა ამქვეყნად რა დარჩენია, შრომა?—საულია ახლა ისე მდიდარი იყო, რომ არავითარი აზრი მისთვის შრომას არ ჰქონდა. სიყვარული?—რის სიყვარული, რა სიყვარული, როცა საკუთრების ამ ხარბმა გრძნობამ ყველაფერი გაატიალ-გაატრამალა“. ავტორი თვითონ განმარტავს, წინასწარ გვაცნობს ამ გმირის სულიერ ტრაგედიას.

მწერალს მეტად რთულ და ხვეულ გზაზე მიჰყავს მოთხრობის კონფლიქტი. ჩვენი აზრით, ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ძველი, ატავისტური გრძნობები, ეგოისტური ზრახვები და ფიქრები, პირადი კეთილდღეობის ინდივიდუალისტური გზა ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში ჯერ კიდევ ბოგინობს. და ამას დამალვა კი არ უნდა, არამედ საჭიროა მის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ბრძოლა მაშინ იქნება ნაყოფიერი, როცა ვაჩვენებთ მას მთელი სიმართლით, მთელი პირუთვნელობით. შენგელაიას მოთხრობის ღირსება იმაშია, რომ აქ ადამიანი წინასწარ აღებული სქემის მიხედვით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ იმ დიდი სულიერი ბრძოლით, რთული ხვეულებით, ნიუანსებითა და ფსიქოლოგიური დეტალებით, რაც ასე იოლად როდი წყდება: ამ ბრძოლას მსხვერპლიც მოჰყვება ხოლმე. ასე მოუვიდა საულიასაც. მან ისე შორს შეტოპა, თავის სუფთა სულში ისე დიდი ადგილი დაუთმო ბინძურ, ჭუჭყიან ნივთს, რომელიც მწერალმა გველს შეადარა, რომ განკურნება ადვილი როდი აღმოჩნდა.

დემნა შენგელაიამ საულიას სულში გამოხატულ დიდ შინაგან ბრძოლაში უდიდესი როლი სავსებით სამართლიანად მიაკუთვნა იმ ახალ სოციალისტურ გარემოს, რომლის საზოგადოებრივი კანონები, რომლის მორალური კოდექსი საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს ჩვენი ადამიანის მოქმედებას. ბოლოს და ბოლოს, ამას საულიაც მიხვდა.

საულია სიმბოლურად განასახიერებს პატიოსანი და შეუპოვარი კაცის ბრძოლას ყვითელი ოქროსაგან გაბოროტებულ ეგოისტურ მარტოხელად ქცეულ ხასიათთან. საულიას თანდათანობით, წვეთ-წვეთობით შხამავს და აწვალებს მარტოობის ტრაგედია. დაიტანჯა იგი ამ მარტოობით, საკუთარ თავთან, ყვითელ ოქროსთან ბრძოლაში. ვერც ცოლის ალერსმა და შეპირებულმა სიტყვამ, მალე შვილი გვეყოლებაო, ვერც მეზობლებთან ლხინში გატარებულმა საღამომ ვერ დაუამა სული, ვერ დაუბრუნა მშვიდობა, გახურებული შანთივით სწვავდა საულიას სულს ეს გადამალული ოქრო. ძვირად, ძლიერ ძვირად დაუჯდა მას საკუთარ სულთან ორთაბრძოლა. ერთი სიტყვით, მწერალმა მეტად მწვავედ დააყენა საკითხი საულიას სულში შეჭრილი ორი საწყისისა,—საზო-

ვადოებრივის—შრომითი რომანტიკის და ეგოისტურის, ოქროს ვაჭრობაზე დამყარებული გრძნობების ჭიდილისა, და ამ ჭიდილში სიდიადე და უპირატესობა შრომაზე დაფუძნებულ ცხოვრებას მიანიჭა. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ მაშინ უნდა ვთქვათ, რომ დემნა შენგელაიამ ეს საკითხი მეტად მწვავედ, საინტერესოდ, საკამათოდ დასვა ჩვენს ლიტერატურაში, და ეს არის მისი უპირველესი ღირსება.

საულიაში გაღვიძებული ატავისტური გრძნობები ჩვენმა საზოგადოებრივმა გარემომ ჩააქრო. და საულია იშორებს მისი სულისათვის შეუთავსებელ მახინჯ ტვირთს, მაგრამ სულიერი ტრავმა, რომელიც ოქრომ მიაყენა, ოჯახურ უბედურებად დაუჯდა. დ. შენგელაიამ რთულ მხატვრულ სახეში გამოგვიხატა ოქროთი გაბოროტებული და შემდეგ შრომით ისევ ცხოვრებასთან დაბრუნებული გლეხის სულიერი ბრძოლა.

საულიასთან შედარებით ფუნდუ უფრო სპეკატი აღმოჩნდა თავისი ნათელი სულიერი ინტერესებით და ცხოვრების რომანტიკით. გზასაცდენილმა საულიამ იოლად მოპოვებული ნაოხარი ოქროთი უნდა იცხოვროს და ბედნიერებას ამაში ეძებს. ფუნდუ კი შრომის, პატიოსანი შრომის დიდი სიხარულით ცხოვრობს. საულიასა და ფუნდუს შორის არსებული უთანხმოება და კონფლიქტი, და ამის მიხედვით მოთხრობის კონფლიქტიც, შრომით მოპოვებული დოვლათისა და იოლად ნაშოვნი ქონების დაპირისპირების გრძნობებს ემყარება. ოფლით, შრომით შენაძენი პირადი ბედნიერება. და ამ გზით მოპოვებული სახელი ჩვენი ადამიანის სიცოცხლის შინაარსი და მისი ცხოვრების რომანტიკაა.

დ. შენგელაიას „განძი“ ერთხელ კიდევ ნათლად გვარწმუნებს, თუ როგორ ალამაზებს და აკეთილშობილებს ადამიანს შრომა; ხოლო როგორ ამცირებს ეგოისტური გრძნობები და ინსტინქტები ისეთ მოწინავე კაცსაც კი, როგორიც ამ მოთხრობის გმირი საულია იყო!

„პირისპირის“ ახალი ვარიანტი

არის წიგნები, რომლებიც მთელს ეპოქას ასახავს. ისინი დიდის პირუთვნელობით გადმოსცემენ ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიულ გარდატეხას თუ ერის განსაცდელს და ამით ჩვენს წარმოდგენაში მთელი სისრულით აცოცხლებენ ჩვენი ხალხის ისტორიულ თავგადასავალს. მასში, როგორც სარკეში აირეკლება ერის ეკონომიური, პოლიტიკური, ზნეობრივი თუ მოქალაქეობრივი ცხოვრება. ამგვარი წიგნის ავტორებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ხალხისა და ისტორიის წინაშე. მკითხველი არ შეიძლება ამგვარი წიგნის მიმართ გულგრილი იყოს, ისე შეხედოს მას, როგორც ჩვეულებრივ მორიგ რომანს. არა! მკითხველი, ხალხი ამგვარ ეპოქალურ რომანს დოკუმენტის მნიშვნელობას ანიჭებს და მის ავტორს არ აპატიებს მცირე დაუდევრობასაც კი, უსამართლობასა და მით უმეტეს, შეცდომას.

ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთი შემობრუნების, დიდი რევოლუციური გამოფხიზლებისა თუ გარდატეხის ეპოქას გამოსახავს ა. ქუთათელის ცნობილი რომანი „პირისპირ“.

ისტორიული 1917 წელი. თებერვლის რევოლუცია. რომანოვების დინასტია დაემხო, რუსეთის იმპერიის ხალხები ზეიმობენ მეფის ტახტის დამხობას. სახელმწიფოს სათავეში მოექცა დროებითი მთავრობა და ეს საზეიმო განწყობილება ნაადრევი აღმოჩნდა, მან ვერ უზრუნველყო ხალხის ნამდვილი თავისუფლება. გამოფხიზლებული რუსეთის ხალხს სათავეში ჩაუდგა ლენინის პარტია, ბოლშევიკების პარტია და აი, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ მიანიჭა მათ ჭეშმარიტი თავისუფლება, ფაბრიკა-ქარხნები, მიწა და ზავი. პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ აღსდგა

ყველა ჯურის იმპერიალისტები კაპიტალისტები, მემამულეები, თეთრგვარდიელები: სწორედ ამ დროს მოსწყვიტეს საქართველო ოქტომბრის რევოლუციის გზას.

„პირისპირის“ პირველივე გვერდიდან ვეცნობით რევოლუციის მღელვარე დღეებს. თბილისში ცნობა მოვიდა მეფის ტახტის დამხობის შესახებ. აფორიაქდა ცარიზმის აგენტების მყუდრო ცხოვრება. ეწყობა მიტინგები, მეფის წარმომადგენლები დაფრთხნენ. ამიერკავკასიის ჯარების სარდალი პეტერბურგის დროებითმა მთავრობამ გაიწვია და ადგილობრივი ხელისუფლება დროებითი მთავრობის ყაიდაზე ძველი აპარატის „გარდაქმნას“ შეუდგა. მაგრამ რევოლუციური ძალები ბორგავს და შფოთავს. მწერალს შევყავართ ამ ახალი ეპოქის გარემოცვაში, სადაც ყველაფერი რევოლუციის შუქით არის განათებული.

საქართველოს გული თბილისი... მას მენშევიკების უდღეური ხელისუფლება მაჯლაჯუნასავით დასწოლია და ისტორიის ჩარხის შეჩერება განუზრახავს, მაგრამ ამაოდ. რევოლუციის მოტორი ფეთქავს და მას ვერავინ შეაჩერებს. აბობოქრებულ რევოლუციურ თბილისში, როგორც სარკეში, ისე მოჩანს ქართველი ხალხის პროტესტის, უკმაყოფილების სურათი. იქნება ეს ალექსანდროვის ბაღში ბოლშევიკების მიერ გამართული მიტინგი, მუშათა საიდუმლო კრებები, გაფიცვები თუ ახალგაზრდა გიმნაზიელებისა და სტუდენტების პროტესტები. მენშევიკურმა მთავრობამ წესრიგი ვერ დაამყარა... ყოველივე ამას მწერალი გვიხატავს იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს გამოცდილ მემატიანეს შეეძლო გადმოეცა. ფურცლავთ რომანს და ნათლად გრძნობთ, თუ რა პირუთვნელობით, რა სიზუსტითა და სიმართლით გადმოსცემს მწერალი იმ პერიოდის მქუხარე ამბებს.

ამ ვრცელ რომანში მწერალმა ერთმანეთს დაუპირისპირა ორი სამყარო, ორი ბანაკი. ერთის მხრივ თავადაზნაურული და ბურჟუაზიული წოდება ლაქია ხელისუფლებით, და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, მეორეს მხრივ გლეხკაცობა და მუშათა კლასი, რომელთაც სათავეში ბოლშევიკების პარტია უდგას. ამ ერთმანეთთან შეუთავსებელ სოციალურ ძალებთან და პარტიებთან კონფლიქტში ვითარდება რომანი და

თქვენ გრძნობთ, რომ ამ ორი სამყაროს შეთანხმება შეუძლებელია, რომ ეს კონფლიქტი რევოლუციამ უნდა გადაჭრას. და რომანის მთელი მსვლელობის მანძილზე მწერალი ამზადებს მკითხველს ამ კონფლიქტის გამწვავების გზით, სოციალური ძალების დაპირისპირების გზით.

რომანის ცენტრშია მაღალი არისტოკრატიიდან გამოსული ახალგაზრდა ინტელიგენტი კორნელი მხეიძე. ამ პიროვნების დახასიათებას, მის თავგადასავალს ეთმობა რომანის საუკეთესო ფურცლები. ეს მთავარი გმირი მწერალმა დაგვიხატა ღრმა შინაგანი წინააღმდეგობებით და დიდი ზიგზაგებით. ამ წინააღმდეგობაში, ამ მერყეობაში აღადგენს მწერალი იმ დროის ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელ ხასიათს. ვინც საქართველოს ისტორიას კარგად იცნობს, დაგვემოწმება, რომ ამგვარი ადამიანები ცოტანი როდი იყვნენ ჩვენს სინამდვილეში. ინტელიგენტები, რომლებიც შინაგანად გრძნობდნენ, ღრმად განიცდიდნენ რევოლუციის ძალასა და გავლენას, მაგრამ საკმაოდ დამძიმებულნი ძველი ტრადიციებითა და ჩვევებით, მერყეობდნენ, ყოყმანით გადმოდიოდნენ რევოლუციის ძალებისაკენ. რევოლუციური ეპოქის გავლენას მოეცვა მათი გონება, მაგრამ წარსულის ტრადიციებთან დაკავშირებულ მათ შეგნებაში ჯერ კიდევ მტკიცედ ცოცხლობდა სიმპათია და თანაგრძნობა ძველი ადამიანებისადმი. აქედან წარმოსდგებოდა ის ეჭვი და ყოყმანი, რაც ინტელიგენციის ამ ჯგუფის საქმიანობას გასდევდა. მათს სულში მტკიცედ იჭრებოდა რევოლუციის შუქი, მაგრამ მისი ბრწყინვალება თვალებს სჭრიდა, აშინებდა ამ მერყეულ ინტელიგენტებს, და საკმარისი იყო ოდნავი წინააღმდეგობა, პიროვნული თუ საზოგადოებრივი, რომ ეს შეფერხებად ქცეულიყო. მაგრამ საკმარისი იყო აგრეთვე ძლიერი ძალა, რომელიც აიყოლიებდა მათ, ეჭვს აღმოფხვრიდა მათში და რევოლუციურ ძალებს შეუერთდებოდა. კორნელის სახეში ქართველი ინტელიგენტის ასეთ რთულ ხასიათს ვავიხატავს მწერალი.

კორნელი მხეიძე გიმნაზიის მოსწავლე იყო, როდესაც თებერვლის რევოლუცია მოხდა და თვითმპყრობელობის ტახტი დაემხო. ამ დროს იგი ტანვარჯიშითა და ნადირობით, გარ-

თული ჭაბუკი გახლდათ, პოლიტიკა ნაკლებად იზიდავდა, მაგრამ ლიტერატურულ წრეში მოხვედრილი ჭაბუკი რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდების გავლენით, პოლიტიკურ ვითარებათა ცენტრში ექცევა. ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი ამბები კორნელი მხეიძის წინაშე მწვავედ აყენებს საკითხს: როგორ მოიქცეს, რა გზა აირჩიოს... ერთ ხანს იგი მოხალისეთა არმიაში ეწერება და ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძვის... ბოლოს შამქორის ბრძოლაში მონაწილეობს. ნაციონალისტების მიერ მოწყობილმა ამ სამარცხვინო ტრაგედიამ თვალი აუხილა მას და მენშევიკური მთავრობისადმი კრიტიკული დამოკიდებულება გაუმახვილა. მაგრამ ყოველივე ეს როდი მიემართება სწორხაზობრივად. ყოველივე ეს დიდი მერყეობით, შინაგანი შიშით, უთანხმოებით მიმდინარეობს. კორნელი მხეიძის მხატვრულ სახეს ამ მხრივ უფრო ართულებს ის სატრფიალო თავგადასავალი, რომელსაც რომანში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ახალგაზრდა კაცს უყვარს ძველი ყაიდის ფეოდალის ესტატე მაყაშვილის ასული ნინო. ამ ისტორიითაა იგი დაკავშირებული ძველ საქართველოსთან, რომელთანაც უკვე კონფლიქტი აქვს. ეს კონფლიქტი თავს იჩენს ნინო მაყაშვილთან ურთიერთობაში, მაგრამ აქაც დიდი მწუხარებით, ბოლომდე დაეჭვებული სევდით მოცული გვევლინება ის. ნინო მაყაშვილს დროებით დაცილებული, თავს ისე წარმოიდგენს, როგორც „ყველასაგან მიტოვებული, დევნილი, სინდისის ქენჯნით შეძრწუნებული, ურწმუნო, უნდო და სულით ობოლი კაცი". ამის მიხედვით რომანში დიდი ადგილი უჭირავს კორნელი მხეიძისა და ნინო მაყაშვილის დრამას. ამ დრამაში მთელი სისრულით გამოჩნდა კორნელის სულიერი სამყარო, მისი ღირსება-ნაკლოვანებანი. კორნელი მხეიძე ახერხებს დასძლიოს ეს მერყეობა, ეს მწვავე სულიერი დრამა. საჯაროდ ამხელს მაყაშვილების წრეს, მის სულში თანდათანობით იჭრება რევოლუციის სხივი. იგი თანდათანობით შორდება ძველ წრეს და უფრო მტკიცედ უახლოვდება ახალს, რევოლუციურს. თუ ერთ ხანს იგი კიდეც იმართლებს თავს იმის გამო, რომ ბოლშევიკს უწოდებენ და მისი მოწინააღმდეგეები კი ამ სიტყვას სალანძღავად იყენებენ—ბოლოს და ბოლოს,

ახალის გავლენით, იგი სწორედ ამ ბოლშევიკებს უახლოვდება, ასე თანდათანობით იდეურად იზრდება ეს გმირი, ასე ყალიბდება მისი ხასიათი. მენშევიზმის წინააღმდეგ მიმართულმა სახალხო აჯანყებებმა, რევოლუციურმა ახალგაზრდებმა, რომელთანაც იგი თავისი ცხოვრების დიდ დროს ატარებს, გაუმახვილეს პოლიტიკური ალღო და არსებულ ვითარებაში გარკვევის უნარი. ის საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის საქმის გამარჯვებისათვის მებრძოლთა ჯგუფში აღმოჩნდება და აი, ამ ახალგაზრდა კაცის ბიოგრაფიას, მისი თვალით დანახულსა და განცდილ ამ რევოლუციურ ეპოქას გვისახავს მწერალი.

რთული სახეა კორნელი მხეიძე. ამ სირთულეს მწერალი საკმაოდ ასაბუთებს რომანში და ხსენებულ გმირსაც ერთგვარ მთლიანობას უქმნის იმის მეშვეობით, რომ ამ მოწინავე ქართველ ინტელიგენტს იმთავითვე კრიტიკული დამოკიდებულება აქვს საქართველოს ძველ სოციალურ ძალებთან. მას სულითა და გულით სწადია თავისი ხალხის, ქართველი ხალხის უკეთესი მერმისი.

რომანში არსებითად ორი თემატიკური ხაზია: ერთი — ჩვენ ვიტყოდით, ცენტრალური, ეს არის წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტის, კორნელი მხეიძის შეგნებში მომხდარი გარდატეხის ფონზე გამოსახული საქართველო, მეორე— თებერვლის რევოლუციიდან ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე არსებული საქართველო. ამ ისტორიულ ეპოქას მწერალი გამოსახავს ბოლშევიკური პარტიის მოწინავე ადამიანების თვალსაზრისით. ეს ორი სოციალური წრე, როგორც უკვე ვთქვით, ერთმანეთის დაპირისპირებით გამოხატული, ეპოქის სურათს აღადგენს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ავტორის ტენდენცია სოციალურ ძალთა დაპირისპირებისას ყოველთვის ნათლად არის გამოვლენილი. მართალია, რომანში დიდი ადგილი ეთმობა ფეოდალური არისტოკრატიის განწყობილების, ჩვევების, ტრადიციების აღწერას, მაგრამ მწერლის ტენდენცია ყველგან ნათელია.

ამავე წრეს მიაკუთვნა მწერალმა მენშევიკური მთავრობის ლიდერების — ჟორდანიას, რამიშვილის, გეგეჭკორის სატირულად დახატული სახეები. პარაზიტული კლასებისა, და

პარტიების წარმომადგენლების გამოსახვით მწერალმა მთელი სიმწვავით დაგვანახვა აღნიშნული სოციალური ძალების სრული უმაქნისობა. რომანში საკმაოდ მკაფიოდ არიან გამოხატულნი ფეოდალური საქართველოს წარმომადგენლები, მათი ზნეობრივი კრედო და ყოფითი დეტალები.

ამავე წრეს უკავშირებს მწერალი ზნეობრივად გახრწნილ და გონებრივად უბადრუკ მხატვარს მიხა მაჭავარიანს. მაგრამ ყველაფერ ამას გვიხატავს მწერალი, როგორც წარმავალს, განწირულს, ისტორიის მიერ სანაგვე ყუთში გადასროლილს.

რომანში მათ უპირისპირდება საქართველოს ისტორიის ნამდვილი შემომქმედი—მშრომელი გლეხკაცობა და მუშათა კლასი. ამ წრის მოწინავე ადამიანები, მათი ბრძოლა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის მწერალს გამოსახული აქვს დიდი სიყვარულითა და მონდომებით. მათ შორის ყველაზე ნათელი სახეა ვანო მახათაძე, მუშის შვილი, პიტერის მუშებთან ერთად ზამთრის სასახლის აღების მონაწილე, ალექსანდროვის ბაღში მომხდარი მუშათა მიტინგის ორგანიზატორი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლი. ასეთივეა ამ წრის სხვა წარმომადგენლები: ნახუცრიშვილი, ჩიკვაიძე და სხვ.

რომანის მეოთხე წიგნში ვეცნობით მოწინავე ძალების ბრძოლას, ხალხის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში. ავტორს დიდი სიყვარულით აქვს გადმოცემული მგზნებარე ბოლშევიკის სერგეი კიროვის. სერგო ორჯონიკიძის და სხვა გამოჩენილი რევოლუციონერების სახე და ამის მიხედვით მოგვითხრობს, კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით როგორ მზადდებოდა ქართველი მშრომელი ხალხის რევოლუციური აჯანყება. ეს მღელვარე ამბავი ასევე მღელვარებით არის გადმოცემული რომანის დასკვნით ნაწილში. ყოველივე ამის გამო ეს რომანი მიგვაჩნია ყველაზე უფრო ვრცელ, ყველაზე უფრო სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებად ქართულ ლიტერატურაში, რომელშიაც ესოდენ ვრცლად არის გადმოცემული საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ძალები საქართველოში.

მწერალი დიდ ცოდნას ამჟღავნებს საქართველოს რეჟი-

ლუციური წარსულისა, ეპოქისა, რომელსაც აღწერს. მწერალი დიდი ოსტატობით გვიხატავს ქართველი ხალხის ყოფის, ცხოვრების ბევრ საინტერესო დეტალს. განსაკუთრებით შთამბეჭდავად არის გადმოცემული დასავლეთ საქართველოს—იმერეთის ყოფისა და ბუნების სურათები. ყველაფერი ეს ისე ნათლად, ისე რელიეფურად და ხელშესახებად არის გაცოცხლებული, რომ ვინც არ ყოფილა იმერეთში, რომანის მიხედვითაც ნათლად შეუძლია წარმოიდგინოს საქართველოს ამ შესანიშნავი კუთხის ყოფაცხოვრების სურათი.

ალექსანდრე ქუთათელი ამ რომანზე დიდხანს მუშაობდა, იგი ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. ამჟამად ის ახალი ვარიანტით გამოქვეყნდა. ადრეულ ვარიანტთან შედარებით ეს უფრო გავრცობილია, შევსებულია ახალი მხატვრული პასაჟებითა და ეპიზოდებით. ამასთან მწერალს გაუთვალისწინებია ყველა ის შენიშვნა, რომელიც კი ჩვენს პრესაში დაიბეჭდა აღნიშნული ნაწარმოების თაობაზე. ახლა ეს ოთხი წიგნი—ორ წიგნად გამოცემული—სიუჟეტურად უფრო დახვეწილია, უფრო კომპაქტური და გამდიდრებულია მხატვრულადაც. ამისდა მიუხედავად უნდა ითქვას, რომ პროპორციულად ამ ვარიანტშიც უფრო მეტი ადგილი უჭირავს, უფრო ძლიერი ენერგიული მხატვრული ძალით, უხვი საღებავებითა და მდიდარი ფერებით არიან დახატულნი ახალი, რევოლუციური საქართველოს წარმომადგენლები. და მაინც შედარებით მკრთალად გამოიყურებიან ეს მოწინავე ადამიანები, რომელთაც როგორც კომპოზიციურად, ასევე სიუჟეტურად, მწერლის პოზიციის მიხედვით ენიჭებათ, დადებითი ადამიანებისა და ისტორიის ნამდვილი შემომქმედის როლი. ის, რაც საზოგადოდ, ხშირად ხდება ჩვენს თანამედროვე რომანებში, როდესაც ძალთა ამგვარი დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე, აქაც მეორდება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ უარყოფითი ტიპების ხატვისას ჩვენს მწერლებს აღმოაჩნდებათ ხოლმე მეტი მხატვრული საშუალებანი, ფერები და საღებავები, ვიდრე დადებითი გმირებისათვის. ამ ნაკლს ვერც წინამდებარე თხზულება ასცდა. ამ მხრივ ავტორს შეიძლება ბევრ რამეში შევედავოთ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ რომანის მთელ პათოსში—

მოწინავე ადამიანების მგზნებარე ცხოვრებასა და მოქმედებაში—ნათლად არის გამოვლინებული ნაწარმოების ძირითადი აზრი. ისტორიის სრული გაგება იმაშია, რომ ქართველი ხალხი ოქტომბრის რევოლუციის გზას გაჰყვა და ამ გზით შთაგონებულმა დასძლია ყველა დაბრკოლება, რომელიც აფერხებდა ისტორიის კანონზომიერ განვითარებას. ქართველი ხალხის ამ სამართლიან ბრძოლაში მას მხარს უმაგრებდა ოქტომბრის რევოლუციის პირველი შემოქმედი დიდი რუსი ხალხი, კომუნისტური პარტია. ეს მთავარი პათოსი შეადგენს რომანის სულს და იგი მთელი მხატვრული ძალითა და ენერგიითა გადმოცემული მწერლის მიერ და სწორედ ეს არის რომანის უპირველესი ღირსება.

პოეტის გზა

არასოდეს არ ყოფილა ჩვენში ლიტერატურულ თაობათა და მიმართულებათა ისეთი მრავალფეროვანი ჯგუფები, როგორიც მეოცე საუკუნის ოციან წლებში იყო. მათ შორის ყველაზე კომპაქტურად ცისფერყანწელების სკოლა ითვლებოდა. ამ ჯგუფის წევრები ჯერ კიდევ ფრთაგაუშლელი მართველები იყვნენ, როდესაც ქართულ მწერლობას დიდებული სამება ამშვენებდა: ილია, აკაკი და ვაჟა. ხოლო ამ სამ დიდებულ არწივს ფრთები უკვე დაკეცილი ჰქონდათ, როდესაც ახალგაზრდული ხმაურით მათ ქართული მწერლობის კარები შემოაღეს. ამ ჯგუფის ერთ-ერთი სახელოვანი ფალავანი ტიციან ტაბიძე იყო. თვითონ ტ. ტაბიძე, როდესაც იგი გამოჩენილი საბჭოთა პოეტი გახდა, ამ ლიტერატურული თაობის განვლილ გზას ასე აფასებდა: „როცა გადავხედავ განვლილ გზას, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ჯგუფი, „ცისფერყანწელები“, წარმოადგენდა ტიპიურ ესთეტურ, კარჩაკეტილ მიმართულებას. იმ წლებში ჩვენ, ახალგაზრდა პოეტები, ზედმეტ ხარკს ვაძლევდით არაჯანსაღ, ბოჰემურ არტისტიზმს. ვქადაგებდით „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, მცდარად ვაფასებდით მხატვრულ შემოქმედებას, როგორც განყენებულ რასმე. საქართველოში მენშევიკების სამი წლის ბატონობამ და ოქტომბრის რუსეთიდან მოწყვეტამ კიდევ უფრო გაართულა და დააბნია ჩვენი შემოქმედება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ჯერ კიდევ გვქონდა მიდრეკილება სიმბოლიზმისაკენ, ფრანგ სიურიალისტებსა და დადაისტებისაკენ. ცალმხრივად და მიკერძოებულად გვესმოდა ქართული პოეზიის კლასიკური მემკვიდრეობა“.

ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული სოციალისტური მშენებ-

ლობის პათოსით შთაგონებული ეს უაღრესად ნიჭიერი ლირიკოსი, ტ. ტაბიძე, მძაფრ ლიტერატურულ ბრძოლაში, შემოქმედი კაცის თავის თავთან ჭიდილში, ტოვებს ძველ გზას და გულწრფელად მოაშურებს საბჭოთა პოეზიის პოზიციას. ამ ახალ სამყაროში ტ. ტაბიძე, ხელმეორედ დაიბადა, როგორც პოეტი. აკი თვითონ წერდა: „ახლა ჩვენ ვართ ორი სოციალისტური ხუთწლედის უღელტეხილზე, როცა აღორძინებისა და აშენების ტემპები თვალებს აბრმავებს, როცა სოციალიზმის მშენებლობის პროგრამა მოქმედებაში იხსნება. მეორეჯერ დაბადებას უდრის ამ ეპოქის შესწრება და თვალის გასწორება“.

ტ. ტაბიძე მთელი თავისი მგზნებარე პოეტური ხმით უმღეროდა ახალ სოციალისტურ ქვეყანას, მისი ადამიანების კეთილშობილურ რევოლუციურ რომანტიკას და სულისკვეთებას. ჯერ კიდევ 1928 წელს პოეტი აცხადებდა:

მე თვითონ გავხდი ეხლა სხვა კაცი
და ჩემო თავო—გთხოვ და გიბრძანებ:
— ხმა ამოიღე, სიტყვა დასძარი,
ამ ვაქკაცობას ნუ უღალატებ.

შემდეგ პოეტი აღიარებდა, ძველი გზა უკვე დავტოვეო. და თუ ერთ დროს მხიბლავდა „დადა“, მტანჯავი იყო ეს გაორება, ახლა ბრძოლების გზაზე გადავეშვი და ერთგული გავხდიო ახალი დროებისა. ეს ლექსი ასეთი აღტაცებული შეძახილით თავდება:

საბჭოთა მიწა! გიკოცნი ფესვებს.
ახალ ცხოვრების ვარ ალაველდი.

ტ. ტაბიძე გახდა მგზნებარე პატრიოტი ახალი საქართველოსი, საბჭოთა საქართველოსი და მის ლირიკულ ხმაში მთელი სისრულით გამოვლინდა ღაღადისი საბჭოთა საქართველოს სადიდებელი და სათაყვანებელი. მთელი თავისი არსებით შეიყვარა მან ახალი საქართველო. ნიჭიერმა ლირიკოსმა მასში დაინახა თავისი ერის ბედნიერება. ამ მხრივ საგულისხმოა ტ. ტაბიძის მიერ 1937 წელს დაწერილი ლექსი

„ალექსანდრე პუშკინი". იგონებს რა იმ შავბნელ დროს, როცა საქართველოს თავს დასტრიალებდა ორთავიანი არწივი, დღეებს, როდესაც პუშკინი ესტუმრა კავკასიას, და ამ ფონზე პოეტი აღწერს რა წარსულის მძიმე სურათებს, რომელსაც მოსდევს ნათელი ლირიკული სტრიქონები. ტ. ტაბიძე გულმხურვალედ მიმართავს პოეზიის სახელოვან წინაპარს და შეჰღაღადებს, საქართველოში აწ გაიფანტაო მწუხარე ბურუსი და ის სიმღერაც, რომელსაც გიმღეროდა მოწყენილი ქართველი ქალი, ახლა სიხარულის ჰანგით შეიცვალაო: ბედნიერების მზე დაჰნათისო საბჭოეთს, სადაც ადგილი აღარ აქვსო ჩაგვრასა და მონობას. ახალმა ცხოვრებამ წალეკაო ჯალათი მეფეც და დანტესიც. ეს ლექსი ასეთი ლირიკული აღსარებით თავდება:

საბჭოთა მიწის დაილოცოს ყველა მტკაველი,
იყოს უკვდავი, ვით პუშკინი და რუსთაველი.

საბჭოთა ქვეყნის სიდიადით მოხიბლული, აღორძინებული საქართველოს სიყვარულით შთაგონებული პოეტი თვალისმომჭრელი სილამაზით აცოცხლებს ჩვენი ქვეყნის მომხიბლავ პეიზაჟებს. პოეტს თავი მოაქვს საქართველოს ბუნებით, მის ბაგეს არა ერთხელ აღმოხდება ამ დიდებული ქვეყნის ქებათაქება. პოეტი გულწრფელად ღიღინებს:

მთაც ლამაზი გაქვს, ბარიც ლამაზი,
დიდხანს გადარეს მგოსნებმა ედემს.

დეკადენტური მოტივების, ცხოვრებისაგან განდგომის ქადაგების, კოსმოპოლიტური ინტონაციების ნაცვლად ტ. ტაბიძის პოეზიაში დამკვიდრდა ახალი საქართველოს ცხოვრებას დახარბებული პოეტის ოპტიმისტური ხმა:

თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე
და დავუჩოქებ მიწას მუხლებით.
—მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.

30-იანი წლების ქართულ პოეზიაში ტ. ტაბიძემ განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა როგორც ქართული სი-

ტყვის გამოჩენილმა ოსტატმა. სწორედ საბჭოთა წლებში დაწერილი ლექსებით გახდა ტ. ტაბიძე ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი.

ტ. ტაბიძის მიერ განვლილი ეს რთული შემოქმედებითი გზა ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი პოეზიის გზა არასოდეს ეთიშება ხალხის გზას. სიტყვის ცნობილი ნოვატორები ხალხის სიყვარულს იმკვიდრებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ეროვნული მწერლობის ფუძეს ეფუძნებიან, კლასიკურ ტრადიციას აგრძელებენ, მისგან გამოდიან და მისით მაღლდებიან.

პოეტი აღფრთოვანებული გულით უმღერის თავის ხალხს, თავის ქვეყანას. ტ. ტაბიძე უაღრესად ნაციონალური და ეროვნული პოეტი სწორედ 30-იან წლებში გახდა. ამავე დროს მის პატრიოტიზმში ვრცლად აისახა ინტერნაციონალური ინტონაციები, ხალხთა ძმობის მაღალი იდეალები. ტ. ტაბიძე დიდი სიყვარულით იყო დაკავშირებული მრავალერიანი საბჭოთა კავშირის მოწინავე მწერლებთან—რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან. ის გულგაშლილად ხვდებოდა ყველას, საქართველოს სიყვარულით და ეშხით ათრობდა, ლექსებით, სიტყვებით, სადღეგრძელოებით ხიბლავდა მათ. ხოლო მოძმე პოეტებმა ასევე გულწრფელად შეიყვარეს ჩვენი სამშობლო, საბჭოთა საქართველო და მისი გამოჩენილი პოეტები. ტ. ტაბიძე ბევრს დადიოდა, მოგზაურობდა, ნახულობდა, ეცნობოდა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის ადამიანებს, არამედ მოძმე ხალხების შემოქმედებით შრომასა და ცხოვრებას. მან დიდის გულწრფელობით უმღერა გრძნობითა და მეგობრობით გაერთიანებულ დიდ საბჭოეთს. ამ მხრივ ცალკე უნდა აღვნიშნოთ მისი ლექსების ციკლი სომხეთზე. ტ. ტაბიძემ ხანგრძლივად იმოგზაურა სომხეთში და ვრცელ მხატვრულ ნარკვევში გადმოგვცა შესანიშნავი სურათი საბჭოთა სომხეთისა. ამასთან, ლექსების მთელი ციკლიც მიუძღვნა განახლებულ სომხეთს. ლექსების ამ წიგნში პოეტი იგონებს კავკასიის ხალხების ძველს ისტორიას. მან თავისი თვალით ნახა მშრომელი სომეხი ხალხი შრომაში, ძმობაში და მეგობრობაში და გულწრფელი სიტყვით უმღერა ამ ძმობას.

დღეს აღარ ერჩისო სომეხი ქართველს, ქართველი სომეხს, და ორივენი ერთად აზერბაიჯანელს. სიმშვიდე დამკვიდრებულაო კავკასიის ერებს შორის. მთელი კავკასია გაერთიანებულაო მეგობრობის დიადი გრძნობით. ძმურად აშენებენო ახალ ქვეყანას. აწ განხორციელდაო, რაზეც ასე ოცნებობდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები. ამ სურათით აღტაცებული პოეტი ასე მიმართავდა ქართველთა დიდ მეგობარს, სომეხი ხალხის სასიქადულო შვილს ოვანეს თუმანიანს:

შეერთდნენ ერნი კავკასიისა,
და იმღერიან ერთ სალამურში.
სიმშვიდე ჩადგა ჩვენს ქვეყანაში
და აღარ ტირის შენი ანუში.

მეგობრობისა და ძმობის სადიდებელი სიმღერა უგალობა პოეტმა ჩვენს დაღესტნელ მეზობლებსაც. ხალხთა მეგობრობის დიადი გრძნობით შთაგონებულ ლირიკოსს განახლებული და აღორძინებული ცხოვრება მიაჩნია შემოქმედების უმთავრეს წყაროდ. იგი გულწრფელად აცხადებს:

თვით ცხოვრება არის პოემა,
შთამგონებელი და შემომქმედი.

ტიციან ტაბიძე იყო დიდი მცოდნე ჩვენი ისტორიული წარსულისა, ამ წარსულის პირუთვნელი მემატიანე. თავის პოეტურ სიტყვაში იგი მოხერხებულად იყენებდა წარსულის ეპიზოდებს და ამ ფონზე ქმნიდა ახალი საქართველოს მოძჯადოებელ სურათებს. ამ მხრივ ქართულ საბჭოთა პოეზიაში ერთი ბრწყინვალე ლექსთაგანია „სამშობლო". საქართველოს ლამაზი მთა-ბარი, მისი ლურჯი, კრიალა ცა, ატეხილი ჭალები, ნაკადულები და მდინარეები ამეტყველებულია ცოცხალი ემოციურობით და ამას მოსდევს საქართველოს წარსულის სურათების გახსენება. მაგრამ პოეტის აზრით, მემატიანეები წარსულისა, მისი დანგრეული ციხის ქონგურები და ისტორიული ძეგლები იმაზე მოგვითხრობენ, რომ ტრაგიკული იყო ისტორია ჩვენი ხალხისა. ახლაც ისმისო სევდიანი სიმღერა და ყრუ ქვითინი მამელუკისა. სხვას თუ არ ახსოვს, შენ ხომ მაინც გახსოვსო, ჩემო ტანჯულო სამშობლო მხარეევრა მდუღარე ცრემლი გდენია. გაშალე ყველა ძველი ეფუთი

და ბედისწერის კარაბადინი... შიგ სიმშვიდეს და მოსვენებას ვერ იპოვიო. ასეთი ბედნიერი, სვიანი და აღორძინებული ჩემი სამშობლო არასოდეს ყოფილაო წინათ. ისე დიდიაო მიღწევები ახალი საქართველოსი, მის აღწერას არ ეყოფოდაო ერთი მერჩულე:

ერთი მერჩული დასტურ რა არი,
როგორ გასწვდება ჩვენ გმირს აწინდელს?
რომ აღიწეროს საქმე და ღვაწლი,
რაც ჩვენ ცხოვრებას თან შეეზარდა,
ათას ერთ ღამის ზღაპრის სანაცვლო
ათას ერთი დღის შეპერაზადა.

ამიტომაც უყვარდა ტ. ტაბიძეს განსაკუთრებული სიყვარულით ახალი საქართველო და ეს სიყვარული მან მთელი თავისი, მრავალფეროვნებით გამოხატა გულწრფელ პოეტურ სიტყვაში. არა მარტო ლირიკულ ლექსებში, პოემებშიაც სცადა გადმოეცა საბჭოთა საქართველოს მხატვრული მატიანე. საგულისხმოა ამ მხრივ „რიონ-პორტი“ და „1918 წელი“, „ფრონტებზე“. პოეტი იგონებს მენშევიკების ვაკხანალიას, ქართველი მენშევიკებისა და სომეხი დაშნაკების მიერ გაჩაღებულ ძმათა სისხლისღვრას, საქართველოს მიწა-წყალზე ინგლისელი ოკუპანტების პარპაშს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ხალხთა ინტერესების გამყიდველ ყველა ლაქიას. ამავე დროს პოეტი აღტაცებული სიტყვებით ხატავს ოქტომბრის შუქით გაბრწყინებულ ბავშვობის დღეებს:

ჩვენი ბავშვობის ოცნება ახდა:
ვხედავთ ორპირში ორთქლმავალ გემებს,
ახლოს გაგვიარს ეზო და სახლთან
და საბჭოების მზეს მიგვაგებებს.

ასე დაადგა ტ. ტაბიძე ოქტომბრის რევოლუციის გზას და გახდა ერთ-ერთი გამოჩენილი საბჭოთა პოეტი.

ტიციან ტაბიძის შემოქმედებითი ცხოვრების გზა გაბრწყინებულია დაუოკებელი პოეტური ძიებით. ლექსის ეს პირველხარისხოვანი ოსტატი გვხიბლავს სწორედ იმ ორიგინალური პოეტური ინტონაციით, მომაჯადოებელი ემოციუ-

რი ნახატით, რაც ყოველ მის თემას ღრმა პოეტურ გადაწყვეტას აძლევს. აქ ყოველ ფრაზას სიცოცხლე აქვს მინიჭებული:

არც ერთი სიტყვა არ დამცდენია
მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეთქვა,—
როცა პწკარები პწკარებს სდევნიან,
საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა.

გულწრფელად ნათქვამი სიტყვებია. პოეტი ლექსს უწოდებს სასწაულმომქმედ ჩირაღდანს, რომელიც ადამიანს წინ მიუძღვის, როგორც შუქურა. ლექსს იგი ხან წამლეკავ ნიაღვარს უწოდებს, ხან მოვარდნილ მეწყერს, ხანაც პოეტის სულის სტიქიას, რომელიც ამღერებს მასაც და სხვებსაც, ამ სიმღერის ეშხით აანთებს, მაგრამ ნამდვილი ლექსი ისაა, რომლის სტრიქონი გულში სანთელივით დაენთება:

გადაიარა და გადათელა,
როგორც კალია გათელავს ყანას,
მერე დაენთო თაფლის სანთელად,
რომ გაანათოს მთელი ქვეყანა...

არც ერთ რეალისტს ამაზე ნათლად არ ჩამოუყალიბებია ლექსის დანიშნულება და მნიშვნელობა.

ტ. ტაბიძე ამავე დროს იყო დაუნდობელი მტერი ლექსის ყოველგვარი გაპრიმიტივებისა. დეკლარაციული და რიტორიკული ლექსი ჭირისდღესავით სძულდა პოეტს. ყოველ ახალ ნაწარმოებს იგი დიდი შრომით ქმნიდა. პოეტი ეცნობოდა ახალ საბჭოთა საქართველოს ყოველ რაიონს, ყოველ ქალაქს, ყოველ კუთხეს. წერდა ნარკვევებს ახალ, სოციალისტურ მშენებლობებზე. ასე დაწერა, მაგალითად, ნარკვევები კოლხეთის, სომხეთის, რიონჰესის და სხვათა შესახებ. შემდეგ ეს განცდები და საკუთარი თვალით ნახული სურათები ლექსის ხმაზე გადაიტანა. ასე შეიქმნა მისი ლექსების ციკლი სომხეთზე, კოლხიდაზე, და ა. შ. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ტ. ტაბიძე, როგორც ახალი დროის მხატვარი ხალხის ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობდა და ქმნიდა. მან საბოლოოდ უკუაგდო სიმბოლიზმი და დაადგა ახალ გზას, სოციალისტური საბჭოთა საქართველოს პოეტური სამ-

სახურის გზას და ყოველივე ეს აიყვანა დიდი ესთეტიკური ფენომენის სიმაღლეზე.

ამ აზრით შთაგონებული ტ. ტაბიძე წერდა: „ამ საქმეს ჩემი მეზობლები დიდიდან პატარამდე, პიონერიდან მოხუცებამდე, კოლმეურნეობაში თუ ქარხანაში, ბარითა, ნიჩბითა, თოხითა თუ სხვა იარაღით გულდაგულ გვემსახურებიან. მეც მინდა ჩემი წარმოების იარაღი, რომელიც წინათ ბატის ფრთა იყო, ახლა კი ოყიან თოხზე დამძიმებულა, ამ საქმეს მივუსადაგო და ჩემს მეზობლებთან ერთად გავიტანო სვრელი ახალ სოციალისტურ ყანაში, სადაც ბოლო დროს ყველაფერი დაითვლება, როცა გავიტანთ ლელოს“.

ამაზე გულწრფელად, დროსთან, ეპოქასთან განუყოფელი კავშირი მწერლობისა არც ერთ ჩვენი დროის პოეტს არ უქადაგნია.

ტ. ტაბიძე იყო ლექსის უბადლო ოსტატი. მისი ლექსები გვაჯაღოებენ მოულოდნელი შედარებებითა და მოსწრებული პოეტური თქმებით. მართალია, მისი ლექსები ხშირად ხორკლიანია, თითქოს დარღვეულა ერთგვარი ლოგიკური თანმიმდევრობა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის პოეტს დიდი ემოციური ძალით გამოხატოს ლირიკული განწყობილება და გვაგრძნობინოს ცხოველმყოფელობა ახალი დროისა. დიდი სუნთქვით დაწერილი ლექსებით, ღრმა პოეტური ჩანაფიქრითა და შთამბეჭდავი ემოციურობით უმღერა მან ახალ დროს და ისეთი ლექსები, როგორიცაა „სამშობლო“, „მაშ გამარჯვება“, „ლექსი მეწყერი“, „თბილისის ღამე“, „ოქროყანა“, მუდამ დარჩებიან ქართულ პოეზიაში, როგორც პოეტური ოსტატობისა და ორიგინალური ინტონაციის ბრწყინვალე მაგალითები. ტ. ტაბიძე იყო ლექსის ჯადოქარი, მუდამ დაუკმაყოფილებელი მაძიებელი პოეტური სრულყოფისა. მისი ფართო პოეტური ინტერესები — ასე განუყოფლად დაკავშირებული ჩვენს თამანედროვე ცხოვრებასთან, მგზნებარე პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი მუდამ შთამაგონებელ მაგალითად დარჩება ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

არიან პოეტები, რომლებიც ერთბაშად გაიელვებენ პოეზიის ცაზე, შემდეგ მოულოდნელად ხელიდან გამოგვეცლები-

ან; მაგრამ ისინი წარუშლელ კვალს ტოვებენ, მათი ლექსები მკითხველთა გულში პოულობს ბინას და მასთან ერთად ღამეს ათევენ. ასეთი ბედი ერგო ტ. ტაბიძის ლექსებსაც და ჩვენ გვჯერა, რომ ისინი მარად დაუბერებლად იცოცხლებენ ჩვენს პოეზიაში, როგორც პოეტური ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშები.

დრო და მწერალი

ცხოვრების 60 და შემოქმედებითი მუშაობის 40 წელი ისეთი თარიღია, რომელიც სრულ უფლებას აძლევს მწერალს წარსდგეს თავისი მკითხველის წინაშე, თავისი ხალხის წინაშე შემოქმედებითი ანგარიშით. ხოლო, ჩვენის მხრივ, ასეთი შემოქმედებითი ანგარიში ერთგვარ შეფასებასა და დაფასებას მოითხოვს. უპირველესად ყოვლისა, ასეთი მოთხოვნილება უნდა წავუყენოთ ლისაშვილის რჩეულ ნაწარმოებთა ოთხტომეულს, რომელიც ამას წინად სახელმწიფო გამომცემლობამ „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა.

ყოველ მწერალს თავისებური შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. შემოქმედებით ბიოგრაფიაში კი, რასაკვირველია, დიდი ადგილი უჭირავს მის პირად ცხოვრებას, იმ გზებსა და ბილიკებს, რომლითაც იგი მწერლობაში შემოვიდა. მწერლის პირადი ბედი სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც მწერლის ნაწერების შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ფაქტორებს.

იაკინთე ლისაშვილი ქართულ საბჭოთა მწერლობაში შემოვიდა, როგორც მშრომელი ხალხის ცხოვრებასთან უშუალოდ დაკავშირებული მოქალაქე — მუშა-ასოთამწყობი. ამ რევოლუციურ წრეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის მოქალაქეობრივ ცხოვრებაშიაც და შემოქმედებით ბიოგრაფიაშიც.

რევოლუციური მუშათა კლასის ცხოვრება მე-20 საუკუნის მწერლობასთან უშუალოდ დაკავშირებული საზოგადოებრივი წრე იყო. მუშათა კლასის მიერ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულმა, შეუპოვარმა და გადამწყვეტმა ბრძოლამ წარმოშვა ის დიდი რევოლუციური რომანტიკა, რომელმაც დაბადა მიმდინარე საუკუნის ახალი

ტიპის მწერლობა — რევოლუციური მწერლობა. ხოლო შემდეგ ეს რევოლუციური მწერლობა გვერდში ამოუდგა. აღიგზნო და აღიზარდა ჩვენი მუშათა კლასის სამამულო სულისკვეთებითა და ინსტინქტებით. ამავე დროს ამ რევოლუციურ ატმოსფეროში გამოჩნდნენ პირველი მუშა პოეტები. საკმარისია მოვიგონოთ ირ. ევდოშვილის ლექსი „სიმღერა ასოთამწყობისა“:

ეჰ, რა ვუყოთ, „მოწინავე“
ღღეს გაზეთში კარგი არი,
„სიმართლე“ და „დამაშვრალი“,
ცხელ ცხელები სულ აქ არი.
რა გგონიათ! ორიოდე
ჩვენც რამ ვიცით აქა-იქა,
თან ვაწყობთ და თან ვკითხულობთ, —
აგერ აზრიც გაიზნიქა!
დავიკვეხებ: ჩვენშიც არი
პოეტი და კრიტიკოსი.
ვასო ვიქტორ ჰიუგოთ გვყავს
და ანდრო კი არის როსი!
ასე ვაწყობთ ერთმანეთზე
პაწაწინა ლითონ-რკინას,
ზოგი აქეთ, ზოგი იქით,
ზოგი კიდევ განაპირას!

იაკინთე ლისაშვილი ბავშვობის წლებიდან მუშათა ამ წრეს დაუკავშირდა. აქ მიიღო რევოლუციური მუშაობის პირველი ნათლობა. აქვე შეითვისა მწერლობის სიყვარული, აქ ჩაისახა მისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ინტერესებიც. და შემდეგ ამ წრიდან მოსულმა ქართულ მწერლობაში თან მოიტანა ის რევოლუციური მგზნებარება და შემართება, მებრძოლი სამოქალაქო ლირიკის ხმები, დიდი უშუალობა და გულწრფელობა, თავისუფალი ყოველგვარი მანჭვა-გრეხისა და პოზიორობისაგან. ი. ლისაშვილი ერთ თავის გმირს ათქმევინებს: „კარგია მწერლობა, მარტო ის რად ღირს, საკუთარი ცხოვრების გზა რომ აღწერო“. სწორად ნათქვამია.

მეორეგან ი. ლისაშვილი შენიშნავს, „კაცს უნდა ჰქონდეს გული, ჰქონდეს რწმენა, სხვა კი არც ისე ძნელად შესაძენია“.

და უნდა ვთქვათ, რომ ი. ლისაშვილს, როდესაც ის კალამს ხელს ჰკიდებდა, ჰქონდა სათქმელი, ჰქონდა რწმენა. ამ რწმენითა და ამ სათქმელით დაუკავშირდა იგი რევოლუციურ მუშათა კლასსაც. სხვა ვითარებაში მწერლობის გზა შეიძლებოდა მისთვის მიუწვდომელი ყოფილიყო, მაგრამ სწორედ ბობოქარმა რევოლუციურმა ეპოქამ, რომლის ერთ-ერთი ჯარისკაცი თვითონ იყო, ახალმა ცხოვრებამ, რომლის მხატვარი შემდეგ თვითონ გახდა, გზა გაუხსნა მას მწერლობისაკენ.

ი. ლისაშვილი მწერლების იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის სათავეებთან იდგა. ეს არის პროლეტარული მწერლობის პირველი თაობა, რომელსაც თავისი ისტორია აქვს, თავისი ადგილი უჭირავს. ვინ არ იცის, რომ სრულფასოვანი მწერლობა ფორმისა და შინაარსის სრული ერთიანობისაგან წარმოსდგება. რომ ფორმას, მხატვრულ ფორმას, ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც შინაარსს. რომ ნაწარმოების მხატვრული მხარე ისეთივე აქტიური კატეგორიაა, როგორც თვით შინაარსი, და ვერც ერთი დიდი და აქტუალური პრობლემა ვერ იპოვის თავის მხატვრულ გადაწყვეტას, ვერ შეასრულებს თავის ესთეტიკურ ფუნქციას, თუ მას შესატყვისი მხატვრული ღირსებაც არ გააჩნია. ეს ასეა, მაგრამ ჩვენ ეს ყველაფერი ისტორიულ ასპექტში უნდა განვიხილოთ, ყველაფერი ეს ეპოქის მიერ წამოჭრილი კითხვების მიხედვით უნდა გავარკვიოთ. ლიტერატურის ისტორიკოსი თუ კრიტიკოსი სხვაგვარად ვერც მოიქცევა.

საბჭოთა ლიტერატურით, მისი მიღწევებით, მის მიერ განვლილი დიდი ისტორიული გზით ყოველი საბჭოთა მოქალაქე ამაყობს, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები, ხალხთან ერთად იბრძოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს დასაარსებლად, მასთან ერთად აშენებდნენ ახალ ცხოვრებას, ეხმარებოდნენ ჩვენს სახელმწიფოს ადამიანების სოციალისტური შეგნებით აღზრდასა და ესთეტიკური გემოვნების გამომუშავების საქმეში. საბჭოთა ხალხის სულიერი თვისებანი, მისი ჰუმანური და ზნეობრივი იდეალები, გამოხატულებას პოულობდნენ და პოულობენ ჩვენს ლიტერატურაში, ჩვენი მოწინავე მწერ-

ლების შემოქმედებაში. და ვინც საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას გაითვალისწინებს, ადვილად აღმოაჩენს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში საბჭოთა ლიტერატურის პირველი ჯარისკაცები სწორედ ისინი იყვნენ, ვინც რევოლუციურ მუშათა კლასს შემოჰყვნენ, უშუალოდ ამ რევოლუციის მშენებელთა რიგებში იდგნენ. ი. ლისაშვილი ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

საბჭოთა თემატიკას, ახალი სოციალისტური ყოფის ასახვას, რევოლუციური ინტონაციებისა და ხმების პირველ აჟღერებას დიდი ტრადიციის მქონე ქართულ ლიტერატურაში რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს სადავო როდია. მით უმეტეს, დიდად დასაფასებელია ის მწერალი და საპატივცემულოა ის თაობა, რომელმაც ეს პირველი ხმები ააჟღერა და ამ მოტივებსა და ამ ინტონაციებს ლიტერატურაში გზა გაუკაფა. ეს იყო და დარჩება ამ თაობის დიდ ღირსებად, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი შემოქმედების მხატვრული მხარე. და, როდესაც ჩვენ დღეს ვკითხულობთ ი. ლისაშვილის პირველ რევოლუციურ ლექსებს, იქნება ეს „ზვირთების ქარავანი“, „გაშლილი ფრონტით“ თუ სხვანი და სხვანი, ყველგან აღმოვაჩენთ ცხოვრების იმ სიმართლეს, რომელშიაც ნათლად არის გამოხატული რევოლუციური საქართველოს ინტერესები, ამ ინტერესებისთვის ბრძოლა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადება, და რაც უმთავრესია, მხატვრული სიტყვით ამ აზრის, ამ ფიქრებისა და განცდების განმტკიცება ხალხში.

ი. ლისაშვილის ყოველი ნაწარმოები თანამედროვეობის სულით ცხოვრობს. ი. ლისაშვილისათვის არ არსებობს სხვა თემა, სხვა ინტერესი, სხვა ოცნება, ვიდრე გამოხატვა თავის დროის, თავის ეპოქის ადამიანებისა. მთელი თავისი უნარი, მხატვრული ენერგია და ძალა ი. ლისაშვილმა ამ ახალ დროს, ახალ ცხოვრებას, ახალ ადამიანთა ასახვას მოანდომა. ეს უთუოდ უპირველესი და უმთავრესი ღირსებაა ი. ლისაშვილის მოღვაწეობის და შემოქმედებისა, და ეს პატარა დამსახურება როდია. ყოველი ჭეშმარიტი მწერალი თავისი დროის, თავისი ეპოქის ადამიანების სულიერი ცხოვრების მხატვარი

იყო უპირველესად ყოვლისა. ჭეშმარიტი მწერლები თავისი დროის ცოცხალი და უტყუარი მემატიანეები ყოფილან მუდამ და არავინ ისე არ მონაწილეობს ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებაში, როგორც თანამედროვე ადამიანი, განზოგადოებულად დახატული მწერლის მიერ. ის, ვინც უშუალოდ გვეხმარება ახალი ადამიანების სულიერი ცხოვრების ასახვაში, უთუოდ დიდ საქმეს აკეთებს და მონაწილეობს იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც ახალი ცხოვრების დამკვიდრება და განმტკიცება ეწოდება. ყოველივე ამის გამო ჩვენ როდი შეიძლება ვიყოთ განურჩეველნი თემატიკის მიმართ. ვიმეორებთ, ი. ლისაშვილის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე, იგი მხატვრული სიტყვით იბრძოდა, თავისი ნაწერებით იცავდა ჩვენს საბჭოთა ცხოვრებას, განამტკიცებდა სიყვარულს ამ ახალი ცხოვრებისადმი.

შედით ჩვენს ბიბლიოთეკებში, ხელთ აიღეთ ი. ლისაშვილის ხმარებით გაცვეთილი, დაფლეთილი წიგნები და ისინი უტყუარად მოგითხრობენ იმის შესახებ, თუ რა მრავალრიცხოვანი მკითხველი ჰყავს ლისაშვილს. და ეს შემთხვევითი როდია. მრავალრიცხოვანი მკითხველის ყურადღების და პატივისცემის დამსახურება ადვილი საქმე არ არის, ყოველივე ეს იოლად როდი მოდის. ამას დაფიქრება და ახსნა უნდა. რით იტაცებს, რით აჯადოებს ი. ლისაშვილი საბჭოთა მკითხველს, რის გამო გახდა ის ასეთი პოპულარული?! აი, პირველი კითხვა, რომელსაც უნდა ვუპასუხოთ.

თავისი განვითარების ისტორიაში ქართულ პროზას არ ჰქონია ისეთი მრავალფეროვნება და სიუხვე, როგორც საბჭოთა ეპოქაში. ამ ბოლო დროს ქართული პროზა კვლავ ახალი აღმავლობის გზაზე დგას. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ 1958 წლის მარტში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე წარდგენილი ქართველი პოეტების წიგნების გვერდით, ქართულმა პროზამ მაღალი შეფასება მიიღო. ასეთი აღმავლობისა და თემატიკური მრავალფერონეზის ვითარებაში ადვილი როდია მოიპოვო სიყვარული და პატივისცემა, მით უმეტეს, პოპულარობა მკითხველებს შორის.

პროზა, სიტყვიერი ხელოვნებაა. უპირველესად ყოვლისა

სიტყვის საშუალებით ხატავს მწერალი ადამიანს, ცხოვრებას, საგანს თუ მოვლენას. სიტყვის ოსტატობაში, სიტყვიერ ხელოვნებაში ვლინდება დახატული საგნის ძალა. მაგრამ პროზაიკოსი, ამ შემთხვევაში, განსხვავებით პოეტისაგან, ხატავს სიტყვის საშუალებით არა გამოთიშულად, არამედ თხრობის მეშვეობით, ამბის მოყოლის, სიუჟეტის მეშვეობით. აქ სიუჟეტი მოტორსა ჰგავს, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს აღწერილი ცხოვრებაც, ადამიანებიც, საგნებიცა და მოვლენებიც. ამიტომაც ოსტატობა თხრობისა, მოყოლის ბუნებრიობა, მოთხრობის ხელოვნება პროზის უმთავრესი თვისება იყო, არის და იქნება. ანტირეალისტურმა სკოლებმა სცადეს კლასიკური მწერლობის ეს კანონი შეეცვალათ, თხრობის ელემენტი გამოერიცხათ და მთელი ყურადღება სიტყვიერ ელემენტზე გადაეტანათ, მაგრამ ეს ცდა მარცხით დასრულდა.

ი. ლისაშვილის, როგორც მწერლის, დიდი ღირსება იმაშია, რომ მისთვის დამახასიათებელია თხრობის, სიუჟეტის მოყოლის ნიჭი. იგი ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, თავისუფლად ჰყვება ამბავს, ჰყვება ინტერესით და ეს ინტერესი მკითხველს მაშინვე ედება. ცხოვრებისეული უშუალობა, გულწრფელი ამბავი, გმირთა ბედი იმთავითვე იტაცებს მკითხველს და ისიც გაფაციცებით მისდევს ნაწარმოებში მოთხრობილ ამბავს. თხრობის ამ ნიჭით გვიზიდავს ი. ლისაშვილის „ძახილი მთაში“, „ერთგულება“, „კერპი“, „კოლხეთის მზე“ თუ „ნათელა“. ყველა ეს ნაწარმოები ინტერესით იკითხება იმ გარემოების გამო, რომ ავტორი საინტერესოდ, ბუნებრივად ჰყვება ამბავს. და რაც მთავარია, ი. ლისაშვილი გვიყვება თანამედროვე ადამიანების ცხოვრებას, გადმოგვცემს ჩვენთვის ნაცნობი და ახლობელი ადამიანების სულიერ სამყაროს. ამ გარემოებამ განაპირობა ი. ლისაშვილის პოპულარობა ჩვენს მწერლობაში.

პირველი ნაწარმოები ი. ლისაშვილმა 1919 წელს გამოაქვეყნა. უფროსი თაობის ბოლშევიკ ლიტერატორთა მოწინავე ჯგუფთან ერთად ი. ლისაშვილმა თავისი შემოქმედება საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის სამსახურში ჩააყენა. ამ წლებში იგი ლექ-

სებს სწერდა, ხოლო 30-იან წლებში თავისი ნიჭი პროზაში სცადა და შემდეგ ამ ჟანრში წარმართა შემოქმედებითი მუშაობა.

30-იან წლებში ი. ლისაშვილმა ინდუსტრიალური და საკოლმეურნეო საქართველოს მშენებელთა სულიერი ცხოვრების გამოსახვა სცადა რომან „ვარდნილსა“ და მოთხრობებში: „კადონა“ და „კერპი“. ამ ნაწარმოებებში საინტერესოდ არის გამოხატული მოწინავე ადამიანების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ი. ლისაშვილს ეხერხება და კარგადაც ეხერხება ამბის მოყოლა, უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ მას ეხერხება ხატვაც, ტიპიური მოვლენის შემჩნევა, ხასიათის ფსიქოლოგიური სიმართლით გამოსახვა. ამ მხრივ საინტერესოა „კერპი“. მოთხრობის გმირი ივანე ჩარდიშვილი ძუნწი, კერპი კაცია. ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების ეს გადმონაშთი მასში ხელუხლებლად შემონახულა.

ყველაფერს ურიგდებოდა და ეჩვეოდა ივანე, მაგრამ სიძუნწესა და კერძო საკუთრებას არ ეშვებოდა. კერძო საკუთრების სიყვარულს ისე ღრმად გაედგა ფესვი მასში, რომ თითქმის ყველაფერს შესწირავდა მას, ცოლ-შვილსაც, მთელ საზოგადოებას, საკუთარ სიცოცხლესაც კი. თავდავიწყებით მისდევდა ივანე ამ კერპს და სხვა ძალის არსებობა ამქვეყნად ვერც კი წარმოედგინა. ამიტომაც ვერ შეეწყო ის კოლექტივს, ვერც მეზობელს, ვერც ოჯახს. ფსიქოლოგიურად ახალი ცხოვრებისათვის ეს შეუფერებელი ადამიანი გარიყული აღმოჩნდება და თავს იწამლავს. სიკვდილის წუთებშიაც ეს სიჯიუტე, სიკერპე იჩენს თავს და მომაკვდავს ბაგეზე შეახმება სიტყვები: „არ მინდა, არ მინდა, ძამიავ“. ეს მეტსახელად შერქმეული სიტყვებია, ჯიუტი კაცის დასახასიათებლად გამოყენებული, კერპი ნიჭიერად დანახული სახეა.

სულ სხვაგვარი თვისებებითა და ხასიათით დახატა მწერალმა ახალი ადამიანის სახე მოთხრობაში „კადონა“. ამ ნაწარმოებში ბევრი რამაა ავტობიოგრაფიული: სოფლური ცხოვრებისა და ბავშვობის მოგონების სურათების უშუალობაც აქედან მოდის. „დიდი ამბებისა და ისტორიულ გრიგალების“ შემდეგ მწერალს კვლავ შევყავართ თავის სოფელში და ამ

ფონზე გვიხატავს კომკავშირელი კადონას თავგადასავალს. კადონა საკოლმეურნეო ცხოვრების მშენებელთა მოწინავე რიგებში იყო და ამიტომაც მიზანში ამოიღეს კოლმეურნეობის მტრებმა, ვაჭრებმა და კულაკებმა. ჯერ ცილი დაწამეს, შემდეგ სიკვდილის პირზეც მიიყვანეს, მაგრამ მასში ვერ გასტეხეს რწმენა, რწმენა მომავლისა, რწმენა ახალი სამყაროს გამარჯვებისა. კადონა დიდი სულიერი ძალების დაძაბვითა და თავგანწირვით თავს აღწევს მტრის მიერ დაგებულ მახეს, დაჭრილი განიკურნება, და კვლავ ჩადგება ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებში. ასე წარმოგვიდგინა მწერალმა კომკავშირელი კადონას ცხოვრება და ბრძოლა. ამ ადამიანის მარტივ ბიოგრაფიას დიდ მომხიბვლელობას ანიჭებს მგზნებარე გული და შეურყეველი რწმენა. აი, რით გვხიბლავს ამ რიგითი ადამიანის მხატვრული სახე.

ი. ლისაშვილი არა მარტო სოფლის ცხოვრების სურათებს გვიხატავს, სოციალისტური სოფლის ადამიანების განცდებსა და ფიქრებს გვაცნობს, ასევე მონდომებითა და სიყვარულით ხატავს ის ახალი, ინდუსტრიული ქალაქებისა, ქარხნების, ელექტროსადგურებისა და ფაბრიკების მშენებელ ადამიანთა ცხოვრებას. ამ მხრივ დამახასიათებელია „ვარდნილი". ეს იყო ი. ლისაშვილის პირველი რომანი. აქ ჯერ კიდევ არ ჩანს ოსტატი, მაგრამ ეს საინტერესოა, როგორც პირველი ცდა მწერლისა, საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ფონზე გამოეხატა ახალი ადამიანის ბრძოლა ძველის წინააღმდეგ, ყოველგვარი დრომოჭმულისა და განწირულის წინააღმდეგ. და რაც მთავარია, გამოეხატა ეს ახლის გამარჯვების რწმენით. საინტერესოა ლევან ქვაკირელის, ამ თავდადებული ინჟინერი მშენებლის და ასევე თავდადებული მშენებელი ქალის ნინოს ხასიათები. საინტერესოა აგრეთვე ფუქსავატი ქალის ქეთოს თავგადასავალი, რომელსაც ხელთ იგდებს პეტრე კაკანაძე. ეს მოღალატე და მავნებელი, შემდეგ თავის ნებაზე ათრევს ამ გარეგნულად ლამაზ, მაგრამ სულიერად ღატაკ ქალს—მოწინავე ადამიანის ლევან ქვაკირელის ცოლს. სულიერი დრამა ამ ადამიანისა არ არის რომანში გახსნილი. სქემატიურნი არიან ზოგიერთი სხვა გმირებიც, მაგრამ ეს, როგორც პირველი რომანი, ი. ლისაშვილის

შემოქმედებაში მაინც თავისებური შემოქმედებითი ეტაპი იყო.

აღნიშნულ თხზულებებს მოჰყვა ი. ლისაშვილის ორი საინტერესო ნაწარმოები: მოთხრობა „კოლხეთის მზე“ და რომანი „ძახილი მთაში“. მოთხრობაში ი. ლისაშვილმა საინტერესოდ დაგვიხატა საუკუნოების განმავლობაში გაუვალი კოლხეთის ჭაობის ამოსაშრობად საბჭოთა ადამიანების შრომა და გარჯა. ჭალადიდელ ვიქტორს ბავშვობისას ჭაობში ჩაეფლო ერთადერთი მარჩენალი კამეჩი, თვითონაც ნახევრად ჩაიფლა, მაგრამ ერთგულმა ძაღლმა ჟუჟემ იხსნა. შემდეგ აღწერილია ამ ადამიანების ბედის ცვალებადობა, მისი რევოლუციური წარსული, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მოწინავე ადამიანის როლი კოლხეთის ჭაობის ამოშრობის საქმეში. საბჭოთა ადამიანების შრომის შედეგად კოლხეთის მიდამოებში სულ სხვაგვარი სიცოცხლე დამკვიდრდა. ჭაობი, რომელიც სიდამპლის სუნით წამლავდა ამ მხარეს, ნარინჯოვან ველად იქცა. მუშაობის დროს არხის გათხრისას მანქანებმა წინათ ჭაობში ჩაფლული ვიქტორის კამეჩის ძვლები ამოყარეს. ვიქტორმა შენიშნა ბექობზე დაყრილი კამეჩის ძვლები. ჩელას მოგონებამ ბნელი წარსული გადაუშალა და მისთვის უფრო ძვირფასი და საყვარელი გახდა ახალი ცხოვრება. ამ დეტალში კარგად არის მოცემული წარსულისა და აწმყოს კონტრასტული სურათი, ეს უთუოდ საინტერესოდ მიგნებული მხატვრული დეტალია.

ი. ლისაშვილის შემოქმედებაში თვალსაჩინო მონაპოვარს წარმოადგენს რომანი „ძახილი მთაში“. ამ რომანში ვრცლად არის ასახული 40-იანი წლების საბჭოთა საქართველოს დამახასიათებელი ეპიზოდები და მოვლენები; კოლექტიური სოფლის, ქარხნის მოწინავე ადამიანები. ბრძოლა ძველსა და ახალს შორის გადმოცემულია მახვილი სიუჟეტითა და საინტერესო ხასიათებით. რომანის მთავარი გმირია ნოდარი, — პარტიზანელი სოლომონის შვილი, რევოლუციურ წრეში აღზრდილი, ახალ ცხოვრებისათვის მებრძოლი მოწინავე კომკავშირელი. ამ ახალგაზრდა კაცს შეუყვარდა ვაჭარ პავლია შარაძის ქალიშვილი, ლამაზი ეთერი. საკოლმეურნეო ცხოვრების მტრებმა, პავლიამ და მის გარშემო თავმოყრილმა ნა-

ძირალებმა სცადეს ეს სასიყვარულო ამბავი საკოლმეურნეო მშენებლობისა და მისი ერთ-ერთი მეთაურის ნოდარის საზიანოდ გამოეყენებიათ. ამ საქმეში ადვილად ჩააბეს გულუბრყვილო გოგონა ეთერი, რომლის სიყვარული რამდენადაც გულწრფელია და აღგზნებული ნოდარის მიმართ, იმდენადვე იჭვითაა სავსე. ამ იჭვს ხელი ჩასჭიდეს მოწინააღმდეგეებმა. რომანის პირველ ნაწილში ფსიქოლოგიურად კარგად არის მოტივირებული ეს სამიჯნურო ინტრიგა. ასევე მძაფრად, საინტერესოდ არის დახატული კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით რომანის მეორე ნაწილზე, როდესაც ავტორს მოქმედება ქალაქად გადმოაქვს. აქ თხრობა ერთგვარად გაჭიანურებულია და ამიტომ ნელდება ინტერესი და სიმძაფრე.

სამამულო ომის წლებში ი. ლისაშვილმა გამოაქვეყნა რომანი „სიცოცხლისათვის“ და მოთხრობები: „შერმადინი“ და „მეგობრები“, რომლებშიც დიდი სიმართლით გადმოგვცა სამამულო ომის მძაფრი სურათები, ჩვენი ადამიანების თავგანწირული ბრძოლა დედასამშობლოსათვის.

1941 წელს გამოქვეყნდა ი. ლისაშვილის რომანი „კეცხოველი“. ამ რომანმა დიდად გაუთქვა სახელი ჩვენს ბელეტრისტს. საქართველო კულტურის უძველესი ქვეყანაა. ყოველი ქართველი ამაყობს ამ შესანიშნავი წარსულით, ბრწყინვალე მწერლობითა და ხელოვნებით. ამასთან, საქართველო არის დიდი რევოლუციური წარსულის ქვეყანა. ქართველი ხალხის სახელოვან შვილთა სახელებს უკვდავებით აბრწყინებენ დიდი რევოლუციონერები. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ რევოლუციონერთა მდიდარმა ცხოვრებამ და სახელოვანმა საქმეებმა ასეთი მრავალფეროვანი გამოხატულება ჰპოვეს ჩვენს მწერლობაში. ბოლშევიკური პარტიის რევოლუციური ისტორიის თემაზე შექმნილ საინტერესო ნაწარმოებთა შორის დიდი პოპულარობა ხვდა წილად „კეცხოველს“.

ამ ბიოგრაფიული ჟანრის ვრცელ რომანში ცოცხლად არის დახატული ცნობილი ქართველი რევოლუციონერის ლადო კეცხოველის სახე. ასევე საინტერესოდ არის წარმო-

სახული ჩვენი სამშობლოს ის სახელოვანი ისტორია, როდესაც ბოლშევიკები დიდი ლენინის მეთაურობით სათავეში ჩაუდგნენ ხალხის ბრძოლას თვითმპყრობელური ტირანიის დასამხობად და მოძრაობაში მოიყვანეს ყოველივე, რაც მოწინავე, რევოლუციური და პროგრესიული იყო ჩვენს ცხოვრებაში. ეყრდნობა რა მდიდარ ისტორიულ და ბიოგრაფიულ მასალას, მწერალი საინტერესოდ გვიხატავს შეუდრეკელი მებრძოლის, მესამე დასის უმცირესობის ერთ-ერთი სახელოვანი მეთაურის ლადო კეცხოველის მგზნებარე რევოლუციურ მოღვაწეობას. ჩვენ წინ იშლება ფართო მხატვრული სურათი იმ შესანიშნავი რევოლუციური წრისა, რომელსაც მესამე დასის უმცირესობა ეწოდება, რომელთა პროფესიული რევოლუციური საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში ნერგავდა და ანმტკიცებდა ლენინის უკვდავ იდეებს.

ეს არის რევოლუციის დიდი რომანტიკით გაშუქებული გზა ახალგაზრდა მებრძოლის, ლადო კეცხოველისა. მწერალი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ხატავს ლადო კეცხოველის სულიერ ცხოვრებას. იგი ბავშვობიდანვე გადაუდგა მჩაგვრელების, ერთი მუჭა მუქთახორების ცხოვრებას. მოხუც ზურაბის ნაამბობი, შემდეგ მეფის ჯალათის მიერ ზურაბის მხეცურად მოკვლა მასში აღძრავს სიძულვილსა და გულისწყრომას ცარიზმის მიმართ, ხოლო გორის სასულიერო სემინარიაში ყოფნის დროს ის უფრო ნათლად შეიგრძნობს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. სასწავლებელში პირველი შეებრძოლება ცარიზმის ერთგულ მოხელეებს. შემდეგ კი, უკვე თბილისის სემინარიის მოსწავლე, რევოლუციურ წრეში აღმოჩნდება და ბრძოლაში გამოიწვევს მთელ ძველ სამყაროს. თბილისის სასულიერო სასწავლებელში ლადო კეცხოველის მოღვაწეობა უკვე ნათელი გამოხატულებაა მებრძოლი ახალგაზრდის ბიოგრაფიისა. ამ გარემოებამ მიიყვანა იგი მესამე დასის ლეგალურ წრეში და აქ მიიღო მან პირველი რევოლუციური ნათლობა. სემინარიიდან გარიცხვის შემდეგ იგი ერთ ხანს თავის სოფელშია. შემდეგ კიევს მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად, სადაც კვლავ რევოლუციონერთა წრეში ხვდება. აქ გაიცნობს ის ახალგაზრდა უკრაინელ გოგონას განას, რომლისადმი სი-

ყვარულით აღინთება. შემდეგ კეცხოველს ვხედავთ ბაქოსა და თბილისში, როგორც ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს არალეგალური რევოლუციური მუშაობისა. ცხოვრების ეს რევოლუციური გზა დიდი მწერლის მიერ რომანტიკით არის გაცოცხლებული. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ლადო კეცხოველის მუშაობა არალეგალურ სტამბაში. ამ ეპიზოდებს დიდი ბუნებრივობა და უშუალობა გააჩნია, რაც, ჩვენის აზრით, იქიდან მომდინარეობს, რომ თვითონ ი. ლისაშვილი არალეგალური სტამბის მუშა იყო და სტამბის მუშის რომანტიკა მან საკუთარ თავზე განიცადა: ერთია საკუთარი განცდის გადმოცემა, მეორეა მაყურებლის თვალით დანახული ამბის აღწერა. როგორც ვთქვით, მწერალმა მხატვრულად მრავალფეროვან გარემოებაში გაგვაცნო თავისი რომანის მთავარი გმირი ლადო კეცხოველი. აი, მას ვხედავთ ოჯახში, ქართლის გულში — ტყვიავში, ყოფაცხოვრებით ურთიერთობასა და მეგობრებთან დამოკიდებულებაში, სკოლაში. შემდეგ ვეცნობით მის რევოლუციურ მუშაობას გორში, თბილისში, ბათუმში, კიევსა და ბაქოში. განსაკუთრებით გამოკვეთილად არის ნაჩვენები კეცხოველის როლი, როგორც არალეგალური, ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის თვალსაჩინო ორგანიზატორისა და ხელმძვანელისა. და ასე, ბავშვობის დღეებიდან ვიდრე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, მეტეხის ციხის საკანში მეფის სატრაპების ტყვიით დაცემამდე, ლადო კეცხოველი წარმოგვიდგება, როგორც შეუდრეკელი მებრძოლი, მგზნებარე პატრიოტი და რევოლუციის უშიშარი რაინდი. ამ წიგნმა ავტორს დამსახურებული პოპულარობა მოუპოვა არა მარტო საქართველოში, მთელ საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთაც.

ი. ლისაშვილის რომანში „ერთგულება“ ასახულია სამამულო ომი და მისი მომდევნო წლები. რომანი გვიზიდავს არა მარტო ამ ეპიზოდებით, არამედ ადამიანებით,—მათი ფიქრებითა და ოცნებით, მათი გატაცებითა და შემართებით. მათ მოქმედებასა და თავგადასავალში, მწერალი ხატავს ახალ ცხოვრებას, ჩვენს ეპოქას. და უმთავრესი ღირსებაც ამ ნაწარმოებისა სწორედ ეს არის. რომანში დასმულია

ოჯახის, სიყვარულის, ერთგულების პრობლემა. ეს დიდად მღელვარე საკითხია. ოჯახის საკითხი მარად ძველი და მარად ახალი პრობლემაა. ოჯახზე, მის სიწმინდეზე, მის სისპეტაკეზე დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების წინსვლა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ოჯახის ბედით, მისი მორალური სიწმინდით დაინტერესებულია ჩვენი საზოგადოება, ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ხალხი. ქართული ოჯახი ცნობილია თავისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით. ამ ტრადიციაში ცოტა როდია ლამაზი, მხარდასაჭერი, მომავლის ფუძედშესული და მაინც უნდა ითქვას. რომ საბჭოთა ოჯახი, მისი უმთავრესი პათოსი, მისი მორალური კოდექსი ახალი, უფრო მაღალი საფეხურია ოჯახის ისტორიაში საზოგადოდ. იგი საკვანძოებით განსხვავებულია ფეოდალური და ბურჟუაზიული ოჯახის მორალური კოდექსისაგან. იგი ეფუძნება პატიოსანი შრომის პრინციპს. მწერალი იმ აზრს ავითარებს, რომ ნამდვილი სილამაზე სიყვარულისა მხოლოდ მათ შეუძლიათ განიცადონ, ვისაც ამ ქვეყანაზე პრინციპად აურჩევია შრომითი ცხოვრება, შრომა ალამაზებს ადამიანის სულიერ ცხოვრებას, აკეთილშობილებს მას. მხოლოდ ამ ადამიანებმა იციან ფასი სიყვარულისა, ოჯახისა. ეს მორალური საზომი აქვს გამოყენებული მწერალს ქალ-ვაჟთა სატრფიალო თავგადასავლის გამოსახატავად. ეს მოწინავე ქალიშვილები, მასწავლებელი ნინო, არქიტექტორი ნატო, კოლმეურნე ელენე და ციალა, პატიოსანი შრომის მორალით ცხოვრობენ. მათ შრომითს რომანტიკას, სულიერ მოთხოვნილებად ქცეულს, მომხიბლავად გვიხატავს მწერალი. სამშობლოსათვის, ოჯახისათვის ზრუნვა წარმოადგენს მათი შრომითი ცხოვრების რომანტიკას. ეს პატიოსანი ცხოვრების გზა ამშვენებს მიჯნურ ვაჟკაცებს, თამაზი იქნება ეს, დავითი თუ ვარდენი.

ი. ლისაშვილი კარგად ხედავს რა რთულია სიყვარულის გრძნობა, ბევრი რამ ხშირად აუხსნელია ისეთი ადამიანების საქციელშიაც კი, რომელთაც როდი უარუყვიათ შრომა: სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას ისევე უნდა აღზრდა, როგორც ადამიანის სხვა გრძნობას. ამიტომაც რომანში

ი. ლისაშვილი დიდ ადგილს უთმობს ამ აღმზრდელობით მომენტს და ამ ფონზე გამოხატავს ქალ-ვაჟთა სასიყვარულო თავგადასავალს. აი, ახალგაზრდა ქალიშვილი თამარი. ამ სიცოცხლით აღსავსე ქალიშვილს მთელი სიძლიერით უყვარს. თანატოლი თამაზ ვაშაყმაძე. შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. თამაზი ფრონტზე გაიწვიეს. თამარი მსუბუქი ყოფაქცევის ქალის გენრიეტას შთაგონებით ცხოვრების იოლ „ფილოსოფიას“ გაჰყვა. გენრიეტა ჩასჩიჩინებს თამარს: „ცხოვრება დროს ტარებაში უნდა გავლიოთ, სანამ თვით დაგვლევს, პირს ჩაიტკბარუნებს და შეგვახრამუნებს. მეუბნებიან, მაღლა რომ იცქირები, მიწას დაჰხედე, სწორად იარე, შეეცადე, წესიერი ქალი დადგეო, მაგრამ წესიერება თუ უწესოება მიწაში ერთად დაიმარხება და მაშინ ვეღარავინ გაიგებს, რომელი ჯობდა“. ამ „ფილოსოფიას“ ადვილად წამოეგო ახალგაზრდა ქალი. იგი ღალატობს შეყვარებულს და ვიღაც მომღერალ ისიდორეს აეკიდება. ამ ცდუნებამ, ამ ზიგზაგებმა ცუდ გზაზე დააყენა თამარი. და ომიდან დაბრუნებული თამაზი ზურგს შეაქცევს მას. ქალი ამ ამბავს მოუყვება ახალ სატრფოს და ისიც ტოვებს მას. ბოლოს თამარი იძულებულია ვიღაც ხნიერს, უცოლოდ დაბერებულ კაცს გაჰყვეს.

რომანის ცენტრში ავტორმა თამაზ ვაშაყმაძე დააყენა. სამამულო ომის ფრონტზე დაჭრილი ჭაბუკი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შრომის ფერხულში ჩაება. ეს გამრჯე და პატიოსანი მშრომელი კაცი უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებს, მოწინავე სპეციალისტი გახდება და მეცნიერებათა დოქტორის ხარისხსაც მიაღწევს. ეს ტიპიური დამახასიათებელი გზა საბჭოთა ახალგაზრდისა, რომანში ნაჩვენებია საინტერესოდ და მიმზიდველად. თხზულების ცალკეულ ნაკლოვანებებს ფარავს ჩვენი ცხოვრების დიდი რომანტიკა, ადამიანთა შრომა ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ამ მოწინავე ადამიანების სულის სილამაზეს ი. ლისაშვილმა ქება-დიდება უძღვნა. სამაგიეროდ, სავსებით ლოგიკურად გამოხატა მწერალმა სულიერი სიღატაკე, მორალური სიმდაბლე და სულნამცეცობა იმ ადამიანებისა, რომლებიც ცხოვრებას, მის მაღალ შრომით რომანტიკას ზურგს შეაქცევენ და წვრილმან სპეკულაციას მიჰყოფენ ხელს. ასეთია რომა-

ნის ერთ-ერთი გმირი ჟორა, რომელთანაც სულ მალე პოულობს სულიერ ნათესაობას გენრიეტა. გენრიეტა, ეს ცხოვრების გზას აცდენილი ქალია; მაგრამ მწერალი არ იმეტებს მას და მაინც ნახულობს რაღაც ძალას, რომლითაც თითქოს მისი გამოსწორება შესაძლებელია. ამას მოსდევს რომანში დიდძალი სანტიმენტალისტური ეპიზოდები, რომელიც ყოველთვის როდია ფსიქოლოგიური სიმართლით გადმოცემული.

ი. ლისაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ძოხახა თავისი გმირებისათვის განსხვავებული საღებავები, განსხვავებული მორალური თვისებები და ამ საზომით შეაფასა მათი საქციელი და ცხოვრება: ერთი მხრივ, დები, თამარი და ნინო, მეორე მხრივ, ძმები, თამაზი და ლევანი. აქ წარმოდგენილი სხვა გმირები, გენრიეტა, ისიდორე თუ დავითი, აგრეთვე განსხვავებული თვისებებითა და ფერებით არიან გამოხატულნი. ამ ადამიანების უმრავლესობა დიდი და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს. ზოგი მათგანი სოფლად, საკოლმეურნეო შრომაში იჩენს თავს. იქნება ეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარდენი, ჩაის მკრეფავი ციალა, ინჟინერი ნატო თუ პარტორგანიზაციის მდივანი ხარიტონი. ზოგი ახალი ქალაქის ლომციხეს მშენებლობაში მონაწილეობს — იქნება ეს მშენებლობის დირექტორი გურამი, რაიკომის მდივანი — გაიოზი, ინჟინერი ტკაჩენკო თუ რიგითი ადამიანი ნადეჟდა ივანეს ასული, მარფა თუ ტექნიკური მდივნები, ეთერი და ირინე. ესენი თავდადებული საბჭოთა ადამიანები არიან. შრომითი ცხოვრების ეს სიყვარული კარგად ჩანს ნინოს სიტყვებში: „ყურადღებას იმას ნუ მიაქცევ, საქმე დიდი იქნება თუ პატარა: სადაც დიდი საქმე კეთდება, იქ პატარაც უნდა გაკეთდეს და მოვალეობა მოხდილი გექნება, თუ ერთი ადამიანის ადგილს სადმე დაიჭერ. მთავარია, იშრომო მხოლოდ სიყვარულით. მაშინ არსებობის ინტერესი და მიზანიც გაჩნდება“.

ავტორი ხაზს უსვამს, რომ მათ შეგნებული აქვთ მოვალეობის გრძნობა საზოგადოების წინაშე, ოჯახის წინაშე, ქმრის წინაშე. მაგრამ ავტორი კარგად ამჩნევს აგრეთვე, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც ეს მოვალეობა არ ესმით. ცხოვრების იოლ გზას მიჰყვებიან. ზერელედ, ფუქსავატურად

ატარებენ ცხოვრების დღეებს. ამიტომაც ადვილად ცდებიან და ქვეითდებიან. და აი, ამ უქნარა, გზას აცდენილი ადამიანის ცხოვრება დაგვიხატა მან გენრიეტას ხასიათში, რომელმაც იმსხვერპლა თავისთავად კეთილშობილი და პატიოსანი, მაგრამ თავისდა უნებურად გაორებული ადამიანი — თამარი. მწერალი ფსიქოლოგიური სიმართლით ხატავს გენრიეტასა და თამარის ურთიერთობას, თამართან დაკავშირებულ სამიჯნურო თავგადასავალს, ადამიანის ცხოვრების ისეთ კეთილშობილურ და ამაღლებულ გრძნობას, რომელსაც სიყვარული ქვია. ამ გრძნობის, ერთგულებაში თუ მისდამი ღალატში გვიხატავს მწერალი გმირების მოქმედებასა და საქმეს, მათ მორალურ თვისებებსა და ხასიათს. ყოველი მათი ნაბიჯი, ცხოვრების ყოველი ეპიზოდი, ყოველი მათი მოქმედება და განცდა, დაკავშირებული ამ გრძნობასთან, დიდი ინტერესით იკითხება. რასაკვირველია, შეიძლება ბევრ რამეში ავტორს შევედავოთ, არ დავეთანხმოთ, მაგრამ ეს ცალკეული ხარვეზები როდი გამორიცხავენ მის ღირსებასა და მხატვრულ ძალას.

დაახლოებით ასე გვესახება ი. ლისაშვილის შემოქმედებითი ცხოვრების გზა. უთუოდ თვალსაჩინო წვლილია, რაც მან ჩვენს მწერლობაში შეიტანა. და ჩვენ გვჯერა, რომ „კეცხოველის“, „ძახილი მთაში“, „კერპის“, „კოლხეთის მზის“ „ერთგულების“ და სხვათა ავტორი კვლავ შეჰმატებს ახალსა და საინტერესო წიგნებს ჩვენს ლიტერატურას.

მოქალაქეობრივი და ინტიმური ლირიკის შესახებ

ყოველ მწერალს თავის თანამედროვეთაგან მიუღია განსჯა, შეფასება და უმრავლეს შემთხვევაში, ეს შეფასება მწერლისა ისტორიას გაუზიარებია; პუშკინი და ლერმონტოვი, ილია და აკაკი, გოგოლი და დოსტოევსკი, ლევ ტოლსტოი და გორკი, ვაჟა და ყაზბეგი, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატები, თანამედროვეებმა შეაფასეს და გამოარჩიეს სამწერლო ასპარეზზე გამოსულ პიროვნებათა შორის.

მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვეთა კრიტერიუმი ყოველთვის არ ყოფილა უტყუარი, მათაც ხანდახან არასწორად შეუფასებიათ მხატვრული სიტყვის ოსტატი, ხოლო ისტორიას მათი მსჯავრი გზადაგზა გადაუსინჯავს და გაუსწორებია. ამიტომაც, მწერლის შემოქმედების ყველაზე დიდი გამომცდელი და შემფასებელი დროა. დროის ამ მკაცრ გამოცდას მხოლოდ რჩეულები უძლებენ. ჭეშმარიტი მწერლის შემოქმედებას დროის ხანგრძლივობა ვერ უკარგავს ფერსა და მიმზიდველობას, პირიქით, უკვდავების გვირგვინს ადგამს და ახალი დიდებით მოსავს.

ხდება ისეც, რომ დროის გამოცდა ბევრ მწერალს ჩამოართმევს ხოლმე თანამედროვეთაგან უმართებულოდ მიკუთვნებულ ტიტულებს. XIX საუკუნის 30-იან წლებში დიდი სახელი ჰქონდა ვლ. ბენედიკტოვს, მას პუშკინის გვერდით ახსენებდნენ, მაგრამ 40-იან წლებში მის ლექსებს აღარავინ კითხულობდა. პუშკინმა კი გაუძლო დროის გამოცდას და ჩვენს დროს შეეგება, როგორც ახალი და მარად ცოცხალი შემოქმედი. ბენედიკტოვის მაგალითი იმაზე მეტყველებს, რომ თანამედროვეები

მწერლის შეფასებაში შეცდომებსაც უშვებენ ხოლმე. ასე იყო ეს წინათ, და ალბათ, ეს ახლაც ასეა! თანამედროვე მწერლებთან ჩვენ ისეთი ახლო ურთიერთობა გვაქვს, რომ ხშირად ჩვენი სუბიექტური შეხედულებანი ყოველთვის როდია ლიტერატურულად მართალი და ობიექტური! მაგრამ ეს გარემოება, როგორც წინათ საერთოდ ვერ აფერხებდა მწერლის შეფასებას, ისე ახლაც არ გვევლინება დიდად შემაფერხებელ ფაქტორად და ამიტომ არ იქნებოდა სწორი, ყოველთვის ამით გაგვემართლებინა ჩვენს მიერ ჩადენილი შეცდომები და ლაფსუსები ამ მხრით; ვინც გადახედავს ქართულ საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას, ის ჩვენი თანამედროვე მწერლების შესახებ მეტ-ნაკლებად გარკვეულ პასუხს იპოვის; ჩვენს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობას და კრიტიკას არ გამორჩენია არც ერთი თანამედროვე საბჭოთა მწერალი, რომლის შემოქმედებას გარკვეული შეფასება არ ჰქონდეს მიცემული. არც გიორგი კაჭახიძის პოეზია დარჩენილა შეფასების გარეშე. სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად მართებულია და სწორი ეს შეფასება.

გ. კაჭახიძემ 30-იან წლების დასაწყისში მორიდებულად შემოაღო ქართული მწერლობის კარი. მისმა პირველმა ლექსებმა ყურადღება მიიპყრეს პოეტური სისადავით და სიწრფელით. ამ ადრინდელ ლექსებს ახლად გატეხილი ყამირის სურნელი ჰქონდათ. მათში ჩანდა სოფლელი ბიჭის უშუალობა და მორცხვობა. ამ ლექსებში ნათლად გამოჩნდა ავტორის ბიოგრაფიაც და პოეტური მრწამსიც.

ყოველ ჭეშმარიტ მწერალს აქვს თავისი იდეური და სულიერი სამყარო, თავისი მხატვრული მრწამსი, ასევე— თავისთვის ამორჩეული გეოგრაფიული გარემო, თავისი თემატიური წრე; სწორედ ამ გარემოში გრძნობს იგი ყველაზე კარგად თავს; კაჭახიძის საყვარელი და არჩეული გარემო სოფელი იყო.

სოფლის ყოფა, მისი ადამიანები, მათი სულიერი სამყარო და მისწრაფებანი მთელი მრავალფეროვნებით გამოხატეს ქართველმა მწერლებმა. რევოლუციამდელი მწერლობის

ეს ტრადიცია განაგრძო და განავითარა საბჭოთა მწერლობამ. მან გვიჩვენა ახალი, სოციალისტური სოფელი, მისი ადამიანები, ძველი კერძო მესაკუთრული ინსტინქტების ნგრევა, ახალი ადამიანის ფსიქოლოგიის დაბადება; მაგრამ, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ არც ერთ ქართველ პოეტს არ გამოუჩენია ისეთი დიდი გატაცება ახალი სოფლის ცხოვრებით, როგორც ეს გამომჟღავნდა გ. კაჭახიძის პოეზიაში. ვინც გულდასმით გადაიკითხავს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ გ. კაჭახიძის რჩეულ ლექსებს, ადვილად დაგვეთანხმება; პოეტის შთაგონება, მისი სულიერი სწრაფვა ყველაზე სრულყოფილად გამოხატულია სოფლის ცხოვრების ფონზე; ყველაზე სრულად აქ მოჩანს მისი მხატვრული ძალაც, ნიჭიერებაც, მისი უბრალოებაც და მოკრძალებაც.

გ. კაჭახიძის პოეტური ბუნება კარგად არის გადმოცემული ლექსში, „მეგობრები“. ეს არის გულწრფელი პოეტური მოგონება ადრინდელი წლებისა, როდესაც ყრმა შეჰხაროდა ბაბუას ბაღის დაგრეხილ ვაზებს და ორღობეში გაზრდილი ბიჭის ინტერესით ცხოვრობდა, ნაზი და თბილია ეს მოგონება, ის კარგად გვიხატავს რევოლუციის მიერ გამოღვიძებული სოფლის ახალგაზრდის ფსიქოლოგიას, იმ წლებს, როცა:

ღრუბელთა ეტლებს, გაფრენილს ცაში,
ლაღი ფიქრები მგზავრებად უჯდნენ.
პირველ სიყვარულს ვუმღერდით მაშინ,
კომკავშირსა და ჩვენს პირველ უჯრედს.

სოფლელი კაცის ფსიქოლოგია, მშრომელი გლეხის გარჯა კარგად არის გადმოცემული პოეტის ლექსში „ის უბანი და ის კარმიდამო“. ავტორი აქ მოგვითხრობს ბავშვობის წლებზე; მისი ლხენა, მისი ფიქრის აკვანი — სოფელია, და მას ბოლომდე უნდა იყოს „ამ მიწასთან, ამ გარემოსთან“.

გ. კაჭახიძის ლექსების მხურვალე ოპტიმიზმი, დიდი სიყვარული სიცოცხლისადმი სათავეს სოფლის ცხოვრების უბრალოებაში პოულობს. პოეტმა იცის შრომის მადლიცა და ფასიც. მშრომელი კაცის გარჯას და მხნეობას ის ისევე განიცდის, როგორც საკუთარი ცხოვრების ნაწილს და მთე-

ლი ხმით უმღერის ადამიანის კეთილშობილების სათავეს— შრომას:

შრომაა ჩვენი სიკეთის დედა,
ჩვენი კაცური ღირსების წყარო,
რაც დაგვითესავს ქვეყნისთვის, ვხედავთ,
შრომით მადლიან ჯეჯილად ხარობს.

ეს გულწრფელი სტრიქონები პოეტისა გაუტეხელი გლეხკაცის მხნეობას უმღერის და თვითონაც ამ შრომის ხალისით ცხოვრობს, როგორც პოეტი და მოქალაქე. უაღრესად მართალი და გულამდე ჩამწვდომია პოეტის სიტყვები:

ჩემთვის შრომა და შვება ერთია,
გულით მათ მუდამ მივეგებები.
რაც გავაკეთე, იქნებ წვეთია
იმ სურვილების, იმ ოცნებების;
მაგრამ სამშობლოს ტრფობა შიგ
სახლობს,
შიგ ჩემი ჯანი, ჩემი გულია,
და ანგარებას სადმე მის ახლოს.
გზად არასოდეს არ გაუვლია.

პოეტს აქვს თავისი კუთხე, თავისი წერტილი, საიდანაც უმზერს სამყაროს; მისი დიდი ოპტიმიზმი, ბუნების შვილის ეს უშუალობა სოფლელი კაცის შრომას ეფუძნება. აქედანვე წარმოდგება პოეტის დიდი გატაცება ბუნების სურათებით: ბუნება აქ ცხოვრების სიკეთის წყაროა და სათავე:

გული შენი ხმით მებუბუნება,
ვიყო შენივე მადლის ერთგული,
შენი შვილი ვარ, დედა-ბუნებავ,
შენს საფუტკრეში დაფუტკრებული.

ბუნების სიყვარული, შრომის სიყვარული, ცხოვრების სიყვარული კაჭახიძის პოეზიაში სიცოცხლისა და ბედნიერების წყაროა: „მიჩანს სიცოცხლე ბედნიერებად, ხვნა და რთველია ჩემთვის ქვეყანა“.

ამ კრებულში ხშირად შეგხვდებათ ლექსები თბილისზე, ქუთაისზე, ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებზე. მესაზღვრეებზე,

ომზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ლექსის პათოსი, ინტონაცია თავისებურად მაინც დაკავშირებულია სოფლის ცხოვრებასთან, ყოველ თემას მის პოეზიაში მოძებნილი აქვს ეს კუთხე. სოფლელი კაცის თვალით უცქერის იგი სამყაროს და ამ მხრივ აფასებს ცხოვრებასაც. როდესაც პოეტი სამამულო ომის მძაფრ დღეებს ხატავს, საომარ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი ქვეყნის ბედზე ფიქრობს, აქაც იგი სოფლის სარკმლიდან უყურებს ამ უაღრესად მღელვარე დროს. მისი ლექსების პერსონაჟები, სამამულო ომის გმირები ისევე სოფლის გლეხკაცები, სოფლის მშრომელები არიან („სოფლად ომის დღეებში", „ჩემი მეზობლები"); მართალია გლეხს „თოფს ურჩევნოდა იფნის უღელი, ხმალს — გუთანი და სახრე რჩეული"; მას არასოდეს „კაცის განგმირვა არ უფიქრია, არ განუზრახავს", „იგი გლეხია, დინჯი, მშრომელი, უცხოვრია და ცხოვრობს კაცურად. სიცოცხლესავით უყვარს სოფელი, პურის მოყვანა, ყურძნის დაწურვა", მაგრამ საქვეყნო განსაცდელის დროს მას ხელთ შაშხანა აუღია და თავის მამულს იცავს. პოეტს სჯერა, რომ ეს გლეხკაცი ღირსეულად დაიცავს თავის ღირსებას „არ ათელვინებს კაციჭამიებს თავის მამულს და კაცურ ღირსებას".

უაღრესად ლირიკული, ინტიმური განცდების გამოხატვაც პოეტს კვლავ სოფელთან და სოფლის ფსიქოლოგიასთან აქვს დაკავშირებული. სატრფიალო ლექსში „მგზავრობა ორის" სიყვარულის გახსენება კვლავ სოფლის მოგონებას უკავშირდება:

მიყვარს სოფელი, პურ-ღვინის მქონე.
მოხნული მიწა, დამბალი წვიმით,
თუ საჭიროა, მოვიკრებ ღონეს,
გავყვები ხალხს და გავთოხნი
სიმინდს.
რა მომხიბლავად გიბრწყინავს თვალი,
ნეტავ, იმედად ვის გულში სახლობ?!
პირველ სიყვარულს მახსენებს, ქალო,
დაბადებული ჭოროხის ახლოს.

გ. კაჭახიძის პოეზიისათვის როდია უცხო უაღრესად ინ-

ტიმური სულიერი განცდა, სიყვარულის მწველი გრძნობა. მის ლექსებში ხშირად შეხვდებით ასეთ სტრიქონებს:

მივსაუბრობდით ბილიკზე ორი,
გზას და საუბარს არ ჰქონდა ბოლო...
ველის ცქრიალა ყვავილთა შორის,
მეფე ყვავილი შენ იყავ მხოლოდ.

გ. კაჭახიძის სატრფიალო ლექსებში ბევრგან ვხვდებით სიყვარულით გამოწვეულ სევდას და ურვას. და აქაც იგი უაღრესად ადამიანურია: „მიმძიმდა ჭაბუკს ჩემივე ცნობა, მდინარე ვიყავ და თითქოს დავშრი. ეჰ, ქალიშვილზე მომღერალ გრძნობას, რა სინანულით ვაჭკნობდი გზაში". საერთოდ, სატრფიალო ლირიკაში ყველაზე უფრო მოჩანს სიჭაბუკის, სილამაზის, სიმხნევის ლაღი განწყობილება. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ გ. კაჭახიძის პოეზიაში ამგვარ რომანტიკულ განწყობილებებს მცირე ადგილი უჭირავთ. მის ლექსებში ეს თითქოს ერთგვარად ჩრდილქვეშ დაყენებული გრძნობაა. ეს გარემოება უთუოდ აღარიბებს პოეტის ფერებს და საღებავებს. უაღრესად ინტიმურ გრძნობას, ლირიკულ განწყობილებას, თუ ის პოეტის მიერ გამოხატულია მაღალი მორალური ძალით და შეგნებით, აქტიური საზოგადოებრივი ფუნქცია და აღმზრდელობითი ძალა აქვს; ადამიანის ცხოვრება რთული და მრავალფეროვანია. ამ მრავალფეროვნების გამოხატვას და ჩვენს შეგნებაში ამ გრძნობების აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ლიტერატურის მთავარი პათოსი იყო, არის და მუდამ იქნება ხალხის ცხოვრება, ხალხის ინტერესებისა და ფიქრების გამოხატვა. ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები ებრძვის ან განამტკიცებს ჩვენს ცხოვრებაში რამეს. თანამედროვე ცხოვრება მწერლის შემოქმედების მთავარი შინაარსი უნდა იყოს. ამიტომ არ იქნებოდა მართებული იმის თქმა, თითქოს ყოველი თემა თანაბრად ფასეულია ლიტერატურაში. ყოველ ეპოქას გააჩნია თავისი აქტუალური და მთავარი პრობლემა, რომლის განმტკიცებას და გავრცელებას თვითონ ცხოვრება მოითხოვს. მწერალი მუდამ ამ მოწინავე იდეალების გამომხატველია. სოციალისტური რეალიზმი მწერ-

ლისაგან მოითხოვს მთელი მხატვრული ძალით გვიჩვენოს ის შინაგანი გარდატეხა, რომლის საფუძველზე მოხდა ახალი ადამიანის სულის ფორმირება. ის, ვინც იბრძვის ცხოვრების გარდაქმნისათვის, ვინც ახერხებს ამაღლებულად და განზოგადებულად გამოხატოს ახალი ადამიანის ხასიათის თავისებურება, მისი ქმედითი საზოგადოებრივი ძალა, იგი აქტიურად იჭრება ცხოვრებაში და მოწინავე მწერალიც მას ეწოდება. გ. პლეხანოვი წერდა: „როდესაც მხატვრები ბრმასავით ვერ ამჩნევენ თავისი დროის დიდ საზოგადოებრივ მიმდინარეობებს, მაშინ ძალიან ეცემა შინაგანი ღირებულება იმ აზრებისა, რომლებსაც ისინი ატარებენ თავიანთ ქმნილებებში. ამით უთუოდ ეკარგება ძალა თვით ამ ქმნილებებსაც“.

როცა ვამბობთ, ყოველ ეპოქას აქვს თავისი საგანი, თავისი პათოსი, რომ მხატვრული ლიტერატურა არ უნდა იყოს განურჩეველი ამ დიდი პრობლემების მიმართო, რასაკვირველია, ვგულისხმობთ, რომ ეს ფორმულა მოიცავს ადამიანს, მის ცხოვრებას მთელი მრავალფეროვნებით. ადამიანი არა მარტო შრომობს, იბრძვის და აშენებს, არამედ, ამასთან ერთად, ის ოცნებობს, ფიქრობს, ვინმე უყვარს ან სძულს. ხშირად სევდაც იპყრობს მას, როდესაც წარუმატებლობასა და დაბრკოლებას წააწყდება. რასაკვირველია, ლიტერატურა მოვალეა ადამიანი ამ თავისებურებასა და მრავალფეროვნებაში დაგვიხატოს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჭეშმარიტ ლირიკას არასდროს არ ჰყოლია იმდენი მომხრე, რამდენიც ჩვენს დროში; სოციალისტური რეალიზმის მოძღვრება, პარტიულობის, ხალხურობის პრინციპი თვითონვე გულისხმობს მრავალფეროვნებას როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. ადამიანის სულს ისევე სწყურია უაღრესად ინტიმური და ლირიკული განცდების გამოხატვა, როგორც მაღალი მოქალაქეობრივი ლირიკა. ამიტომ მწერლობაში საჭიროა არა დაპირისპირება ამ განწყობილებებისა და თემებისა, არამედ ბრძოლა მათი ჰარმონიისათვის, საჭიროა მაღალი საზოგადოებრივი პოზიციების დაცვა ყველა სფეროში, ყველა თემასა, ინტონაციასა და განწყობილებაში. ჭეშმარიტი მწერალი თავის ნაწარმოებებს ადამიანებისათვის წერს, ხალხისათვის

ჰქმნის; ადამიანისადმი დიდი სიყვარულის გარეშე ხომ არც ერთი კარგი ნაწარმოები არ დაწერილა!

ვინც უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიას დააკვირდება, იგი ადვილად შეამჩნევს, რომ ლირიკამ, უაღრესად ინტიმურმა ლირიკამ რაღაც განსაკუთრებული, პრივილეგიური მდგომარეობა მოიპოვა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. ამგვარ ლირიკას ბევრი მომხრე და დამცველი გამოუჩნდა. მან გაიტაცა არა მხოლოდ ახალგაზრდობა, რომელსაც, ამ მხრივ, უთუოდ ბევრი ახალი და საინტერესო ფერები და სახეები შემოაქვს ჩვენს პოეზიაში, არამედ ძველი პოეტური გვარდიის სახელოვანი წარმომადგენლებიც მთელის გულითა და გატაცებით მიეცენ ლირიკულ პოეზიას. და ამაში პრინციპულად არაფერია ცუდი! ინტიმური ლირიკა მუდამ ამშვენებდა პოეზიას და იგი მუდამ ლიტერატურის სურნელოვან ყვავილად დარჩება. ნ. ბარათაშვილის კალამს ეკუთვნის არა მარტო „ბედი ქართლისა“, „მერანი“ და „ფიქრი მტკვრის პირას“, არამედ „მიყვარს თვალები მიბნედილები“, „საყურე“, „ნა... ფორტეპიანოზე მომღერალი“, „ჩემს ვარსკვლავს“ და მრავალი სხვა. „კაკო ყაჩაღის“, „განდეგილის“, „ქართვლის დედის“ ავტორს—ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის „ციური ხმები“. გახსოვს ტურფავ“, „ვიხილე სატრფო“ და სხვ.

ვინც დააკვირდება აქ დასახელებული ორი პოეტის შემოქმედებას, იგი ადვილად შეამჩნევს, რომ, როგორც ზოგადი, სოციალური და ეროვნული გრძნობები, ისე ინტიმური განცდები ამ პოეტთა შემოქმედებაში დიდი საზოგადოებრივი და მორალური იდეალების სიმაღლეზე არის აყვანილი; მათი შემოქმედების მთავარ პათოსს სწორედ ეს მაღალი იდეალები და მისწრაფებანი განსაზღვრავენ. ნ. ბარათაშვილი არ იქნებოდა მაღალი პოეტური რანგის მხატვარი, რომ მის პოეზიას არ ამშვენებდეს დიდი საზოგადოებრივი პრობლემების შემცველი ნაწარმოებები — „ბედი ქართლისა“ და „მერანი“. ი. ჭავჭავაძე ვერ დასტოვებდა ესოდენ ღრმა კვალს, რომ იგი ავტორი იყოს მარტო ლექსისა „გახსოვს ტურფავ“ და ამ ციკლის პოეტური ნაწარმოებებისა. ჭეშმარიტ პოეზიას მღელვარე საზოგადოებრივი კითხვები და ინტერესები აძლევენ ცხოველმყოფელ ძალასა და მნიშვნელობას. ამიტომ არის,

რომ მუდამ მწვავე კითხვად დგას პოეზიაში საზოგადოებრივისა და პიროვნულის ურთიერთობის საკითხი.

საბჭოთა პოეზიამ, კერძოდ, საბჭოთა ლირიკამ, აითვისა რა მოწინავე კლასიკური მემკვიდრეობა, მოკლე ისტორიულ დროში შექმნა თავისი საკუთარი თვალსაჩინო ტრადიცია. მას საფუძვლად უდევს პიროვნული და საზოგადოებრივი იდეალებისა და განწყობილებების განუყოფელი ერთიანობა. საბჭოთა ლირიკოსის გზა არსად არ ემიჯნება ხალხის, საზოგადოების ინტერესებს და სურვილებს. თავის უაღრესად ინტიმურ განცდებში, პიროვნულ განწყობილებებში პოეტი ტიპიურად ანზოგადებს საბჭოთა ადამიანებისათვის დამახასიათებელ განწყობილებებსა და მისწრაფებებს. და იქ, სადაც გათიშულია პიროვნულის კავშირი საზოგადოებრივთან, სწორედ იქ სცილდება ლირიკოსი საზოგადოებრივს და იკეტება უაღრესად ყალბ პიროვნულ ნაჭუჭში, ჰკარგავს ამაღლებულ და განზოგადებული ინტონაციებს. აი, ასე იწყება გადახვევა საბჭოთა ლირიკის საფუძვლებიდან, მისი გენერალური პოზიციიდან.

საბჭოთა ლირიკის ამ დამახასიათებელ თვისებას ხაზს ეუსვამთ იმიტომ, რომ ჩვენს პოეზიაში ახლა იშვიათად როდი გვხვდება ისეთი ლირიკული ლექსები, რომლებშიც ავტორები სცილდებიან საბჭოთა ლირიკის პოზიციებს. სიმართლე რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევებში მათ არც გააჩნიათ რაიმე პოზიცია, რაღაც ინდეფერენტული, განურჩეველი დამოკიდებულება დროისა და ეპოქისადმი, პიროვნულისა და საზოგადოებრივის გათიშვა — ასეთია ამ ლექსებიდან მიღებული შთაბეჭდილებანი. გულდასმით რომ განიხილოთ ეს ლექსები, ხელთ შეგრჩებათ ეპიგონური, ძველი ლიტერატურული სკოლების მიერ ათასჯერ გადამღერებული ინტონაციები, რომელიც არც არაფერს ასწავლის, არც არაფერს აძლევს მკითხველის სულსა და გულს. ეს შინაგანად გამოფიტული ლექსები, ეს ვიწრო სუბიექტური წუწუნი მომაბეზრებლად გვაგონებს ათასჯერ ნათქვამსა და გადამღერებულს. ამიტომაა, რომ ამგვარ ლექსებს ეპიგონობის სუნი ასდის და აშკარად ატყვია სიყალბის კვალი.

ახლა, როდესაც ჩვენი მწერლობა დიდი შემოწმების წინა-

შე იმყოფება (ჩვენ ვგულისხმობთ მწერალთა მესამე საკავშირო ყრილობას და საქართველოს მწერალთა მეხუთე ყრილობას), ჩვენი ვალია, ყველა ის ახალი წიგნი, რომლებიც ყრილობიდან ყრილობამდე გამოვიდა, შევაფასოთ მაღალი საზოგადოებრივი კრიტერიუმით, ჩვენი ხალხისა და ჩვენი პარტიის ინტერესების თვალსაზრისით. ხელოვნების, მწერლობის ცხოვრებასთან კავშირის საკითხს ჩვენი პარტია მუდამ მძაფრად აყენებდა და აყენებს. ამ თვალსაზრისით, დიახაც, დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ამ ბოლო დროს ძალზე ცოტა იბეჭდება მაღალი რანგის მოქალაქეობრივი ლირიკის ნიმუშები. საბჭოთა პოეზიას, მად შორის ქართულ პოეზიას, ამ მხრივ დიდი ტრადიციები აქვს და ჩვენ ვალდებული ვართ დავიცვათ, განვავითაროთ ეს ტრადიციები. ის, რაც ჩვენს პოეზიაში კარგია და საინტერესო, ის რაც ჩვენი პოეზიის კარგ ტრადიციად იქცა, წინ უნდა წავწიოთ და მხარი უნდა დავუჭიროთ. მოქალაქეობრივი ლირიკის ამ ტრადიციების განმტკიცებაში უთუოდ თავისი როლი შეასრულეს გ. კაჭახიძის ლექსებმა.

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ჩვენ ეს გარემოება მაინც არ გვაძლევს უფლებას მოქალაქეობრივი ლირიკის დაცვის საბაბით მხარი დავუჭიროთ ყველა სუსტ და უფერულ ლექსს, რომელსაც მოქალაქეობრივი ლირიკის პრეტენზია აქვს. ნამდვილ პოეზიას, ლირიკულია იგი თუ მოქალაქეობრივი, ერთი საზომი აქვს: იგი უნდა იყოს საინტერესო ფორმითაც და შინაარსითაც, იწვევდეს მაღალ ემოციებს, ზრდიდეს ჩვენში მოწინავე იდეალებს. სოციალისტური რეალიზმის პრინციპი, ხალხურობის პრინციპი, ლიტერატურაში დაუნდობელი მტერია ყოველგვარი გაიოლებისა: სწორედ ამიტომ სოციალისტური რეალიზმის პრინციპთან სავსებით შეუთავსებელია როგორც ვიწრო, ანტიხალხური, სუბიექტური წუწუნი, ასევე სავსებით მიუღებელია მისთვის ყოველგვარი სქემატიზმი, რიტორიკა, მხატვრული გემოვნების დამდაბლება, მხატვრული ოსტატობის გამარტივება. სწორედ ხალხურობის პრინციპი მოითხოვს მწერლისაგან ცხოვრება ასახოს სრულფასოვნად, სპეციფიკური საშუალებებით, საღებავების სიუხვით.

მხატვრული ფორმა ისეთივე ესთეტიკური კატეგორიაა, როგორც შინაარსი. ამიტომ საჭიროა ფორმისა და შინაარსის ისეთი კავშირი, რომელშიაც შინაარსი აყვანილი იქნება ესთეტიკური კატეგორიის სიმაღლემდე; რამდენადაც სწორად, ცოცხლად, მიმზიდველად არის ასახული მოვლენა, იმდენად ძლიერია და მაღალი ნაწარმოების აღმზრდელობითი ფუნქცია. სწორედ ამიტომ აღმზრდელობითი ფუნქცია წიგნისა, მხატვრული ნაწარმოებისა მოცემულია არა მარტო მის შინაარსში, არამედ მის ფორმაშიც. ამიტომ შინაარსისა და ფორმის გათიშვა ძირეულად ეწინააღმდეგება სოციალისტური რეალიზმის პრინციპს; როგორც დიდად საზიანოა შინაარსის შეუფასებლობა, ასევე უარსაყოფელია ფორმის უგულებელყოფა. მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის გვაფრთხილებდნენ და საგანგებოდ მიგვითითებდნენ ლიტერატურის ამ სპეციფიკურ ბუნებაზე; მხატვრული ლიტერატურა ამ მხრივ რთული ორგანიზმია და საკმარისია მას ჩამოვაშოროთ რომელიმე ეს მხარე, რომ მან ბუნებრივი სუნთქვა შეწყვიტოს. მარქსიზმმა, მიიღო რა შინაარსისა და ფორმის ურღვევი ერთიანობის პრინციპი, კლასიკურად გადაწყვიტა მხატვრული ლიტერატურის ეს ურთულესი და უპირველესი პრობლემა; მარქსიზმმა ამით დაიცვა ხალხურობის, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები, რეალიზმის პრინციპები, სადაც ყველაზე ნათლად არის გამოხატული ფორმისა და შინაარსის ერთიანობის აუცილებელი პრინციპი.

გ. კაჭახიძის ლექსების კრებულის დიდი ღირსება ისაა, რომ მასში ნათლად არის გამოხატული პოეტის პოზიცია, მისი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და პათოსი; აქ ნათლად ჩანს საბჭოთა პოეტის მაღალი რწმენა. ამაზე ნათლად მეტყველებენ მისი „ომი, სოფელი და ოქტომბერი“, „ლენინის ნახვა და გაზაფხული“, „თებერვალი“, „წამება მამულიშვილისა“, „არხი ტაშისკარისა“, „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან“.

გ. კაჭახიძე ბევრ შემთხვევაში აიღებს ხოლმე ჩვენს ლიტერატურაში უკვე ნაცნობ თემას და აძლევს მას თავისებურ ელვარებას, ახალი ფერებითა და ახალი სახეებით აცო-

ცხლებს მას, თავისებური შუქით წარმოგვიდგენს („გოგებაშვილის დედაენა“, „ვაჟას წიგნები“, „საახალწლო“ და სხვ.). ყველაფერი ეს ჩვენ უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ გ. კაჭახიძის სახით ქართულ პოეზიას ჰყავს ჩვენი დროის ნიჭიერი პოეტი-მოქალაქე. ის სრული უფლებით ამბობს:

არ ამოვსულვარ ოქროს ფრთებით აკვნიდან ბავშვი,
დღეებს ჩემი დღეც გლეხი ბიჭის ბედ-იღბლით მიჰყვა, —
მაგრამ რა შევძელ სიმღერა და გამოსვლა ხალხში,
ჩემი პირველი სიტყვა იყო საბჭოთა სიტყვა.

ეს უაღრესად გულწრფელი განცხადებაა!

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ წიგნს დაჰკრავს ერთფეროვნების, ერთსახეობის იერი. ეს ითქმის, კერძოდ, ლექსებზე, „წერილი მეზობელ კოლმეურნეებს“, „შეღამება სოფლად“, „ლაფშა“, „ნასიმინდარში“, „ყანაში“, „შუადღე ჭალაში“, „სოფლისაკენ“, „სიმღერა სიმინდზე“ და ა. შ. ჩვენ ვისურვებდით, რომ ნიჭიერმა პოეტმა ამ ერთფეროვნებასა და ერთსახეობას თავი დააღწიოს და უფრო გაბედულად გამოხატოს თავის ლირიკაში ადამიანის ცხოვრების მრავალფეროვნება.

წიგნში გვხვდება ცალკეული სუსტი პოეტური ადგილები ი, მაგალითად:

იგრძნეს სოფელში მიწის სურვილი,
არ დააყოვნეს, არ იკამათეს
და დღენათელი შრომის წყურვილით
რკინის გუთნები მინდვრად გამართეს.

ეს სტრიქონები ძლიერ სუსტია. ჯერ ერთი, „მიწის სურვილი“ სავსებით არაპოეტური და არალოგიკური ფრაზაა; შემდეგ — სურვილი და წყურვილი, იკამათეს და გამართეს— პრიმიტიული და გაცვეთილი რითმებია. ან კიდევ:

დაუვიწყნიათ ნაჯახის და ცულის ღიმილი
და მოყვრად მოსულს წინ მხვდებიან ხოხბის ყივილით.

ნაჯახისა და ცულის ღიმილი მეტისმეტად ხელოვნური სახეა, ხოლო ხოხბის ყივილით შეხვედრა—გაუმართლებელი

შედარებაა. მსგავსი ადგილები კაჭახიძის წიგნში აქა-იქ გვხვდება. აი ერთი მაგალითიც:

ჩვენი დალაქი, გულმართალი ჩვენი ივანე,
რა დიდხანს, დიდხანს დადიოდა უქმად გზადაგზა.
შრომასთან მისი შერიგება თქვენ დაივალეთ,
გვერდში მოგიდგათ და თავისი კერაც გაზარდა.

აქ მთელი სტროფი არაპოეტურია, მეტისმეტად პროზაული ფრაზებისაგან არის შედგენილი; სიტყვიერ ლექსიკონს, პოეტურ ფრაზას ლექსში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ლექსის არა მარტო მუსიკალური, წმინდა აკუსტიკური მხარეა, არამედ მას ესთეტიკური, ემოციური ფუნქციაც აქვს დაკისრებული. ოსტატურად მონახული პოეტური ფრაზა, თავის ადგილზე დასმული სიტყვა ხშირად „ლექსის ბედს" სწყვეტს. ამიტომაც სიტყვების შერჩევას, ფრაზის კონსტრუქციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. პოეტი სიტყვის მეჩუქურთმეა; ის, როგორც ნამდვილი არტისტი, ისე უნდა ფლობდეს სიტყვას, ასსა და ათასში გამოარჩევდეს მას და ახალი შუქით აბრწყინებდეს. საზოგადოდ, უნდა ვთქვათ, რომ გ. კაჭახიძის პოეტური ენა, მისი მხატვრული ფორმა ჩვეულებრივად დადგენილი პოეტიკის წესებსა და კანონებს იშვიათად არღვევს, მაგრამ აქაც პოეტური ფორმის ძიებას მან მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. ლიტერატურაში მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ექნება მხატვრული ფორმის ძიებას, ახალი მხოლოდ ამ ძიებაში იბადება.

პროზაიკოსის გამარჯვება

არიან მწერლები, რომელთა მოღვაწეობა უხმაუროდ მიედინება. ისინი უფრო მეტს აკეთებენ, ვიდრე თავიანთი არსებობის შესახებ ამცნობენ ქვეყანას. მათ ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით, ყოველდღიურად ვესაუბრებიდ, ვიცნობთ და ვიცით რას აკეთებენ, რა სულიერი ინტერესებით ცხოვრობენ და სუნთქავენ. და მაინც ამ ნაყოფიერი და თავმოდრეკილი მწერლების წინაშე ჩვენ ჩუმად ვართ. ამდენადვე ვალში ვართ მათი კეთილსინდისიერი შემოქმედებითი მუშაობის წინაშე. ასეთ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის გიორგი შატბერაშვილი. კაცმა რომ თქვას, ცოტა როდი დაუწერია მას. ძნელია მის თაობის მწერალში უფრო ნაყოფიერი შემოქმედი მოიძებნოს: დრამატურგი, პროზაიკოსი, პოეტი, ჟურნალისტი... და აქ არა მარტო ჟანრობრივ მრავალმხრივობაშია საქმე, არამედ იმაშიც, რომ მწერალს არა ერთხელ გაუხარებია ქართველი მკითხველი თავისი ნიჭიერი ნაწარმოებებით. „უცნობი ქალის", „ა იმ მთაზე" და რამდენიმე ხნის წინათ გამოცემული მოთხრობებისა და ლექსების კრებულის ავტორი უთუოდ ღირსეული და საინტერესო მოვლენაა ჩვენს სამწერლო ოჯახში. ახლა მან კვლავ გაახარა ქართველი მკითხველი ახალი მოთხრობით. მხედველობაში გვაქვს გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე".

ეს მოთხრობა ფრიად საყურადღებო მოვლენაა უკანასკნელი პერიოდის ქართულ პროზაში, მას სამართლიანად შეიძლება წარუმძღვაროთ რუსთაველის აფორიზმი: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეჭელსა". ამ ნაწარმოების ჩანაფიქრს, მის აზრსა და სულს, მის პათოსს რუსთაველის ეს აფორიზმი განსაზღვრავს.

ადამიანი მეტად რთული არსებაა. იგია ქვეყნად ყოველ-ვარი სიკეთის, დოვლათის, ბედნიერების და სიხარულის შე-მოქმედი. ყოველ ადამიანში ეს კეთილი საწყისები ცო-ცხლობს და მოქმედებს. ზოგ ადამიანს აქვს ჩრდილოვანი მხარეც — ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში შემუშავებული ეგოისტური მიდრეკილებანი და გრძნობები, მაგრამ ყოველ რიგით მშრომელ ადამიანში თქვენ ადვილად აღმოაჩენთ კეთილის საწყისებს. მშრომელი კაცი თავისი ბუნებით და მოწოდებით ამქვეყნიური ბედნირებისათვის, კაცობრიობის უკეთესი მომავლისთვის მებრძოლი გონიერი არსებაა. სახალხო სახელისათვის ბრძოლა მისი უმთავრესი ინსტინქტია, მაგრამ სახელის მოპოვება, თავის გამოჩენა უბრძოლველად, უმსხვერპლოდ როდი ხდება.

ყოველი დიდი საქმე დიდ მსხვერპლს მოითხოვს, ხშირად სიცოცხლის შეწირვასაც კი. უკვდავებას ის გაიზიარებს, ხალხში მისი სახელი დარჩება მხოლოდ, ვინც თავისი დიდი ღვაწლით, დიდი გარჯით თავს გამოიჩენს, დაფასებას დაიმ-სახურებს.

ამ წუთისოფლის დიდი დღე, უკვდავება იმათ დარჩენიათ, ვისაც რაიმე გმირული, ვაჟკაცური ჩაუდენია. ასეთი ადამია-ნები არ კვდებიან, მათი სახელი ზღაპრად გადაეცემა თაო-ბიდან თაობას. ეს აზრი, ეს ძირითადი პათოსი განსაზღვრავს მოთხრობის შინაარსს და ყოველი მისი კომპონენტი ამ აზრს ემორჩილება. ამ მოთხრობას შემთხვევით როდი აწერია სათაურქვეშ—„ამბავი წუთისოფლის დიდი დღისა“.

მოთხრობის სულს წარმოადგენს ხალხში შემონახული „ხიზამბარელის“ ამბავი. ნოსტელი ხიზამბარელი, ეს რიგითი მშრომელი კაცი, სამუშაო ფეშტამალში გამოწყობილი, საყ-დრის ხარაჩოდან ახლად ჩამოსული ჭაბუკი, საჯილდაო ქვას შეეჭიდა. ეს ლოდი ძველთაგანვე შეჯიბრების საგანი იყო და აი, ასი წლის წინათ თავადებისა და აზნაურების მიერ მოწყობილ შეჯიბრებაში რჩეულ გლეხკაცთა შორის ხიზამბა-რელი ყველას აჯობებს. მან ეს ლოდი ცხენის სიმაღლეზე ასწია და მით ხალხში გმირის სახელი დაიმსახურა. თუმცა ამ ვაჟკა-ცურ საქმეს ზედ შეაკვდა, შეეწირა. მოთხრობაში ჩართული ეს შორეული ამბავი მწერალს გამოყენებული აქვს როგორც

თავისებური სიმბოლო: ლოდი, დიდი ქვა, ვაჟკაცური სახელის, სიცოცხლის უკვდავების სიმბოლოა. მასთან შეჭიდება წარმოდგენილია როგორც ჭიდილი წუთისოფელთან, ცხოვრებასთან. ამ ჭიდილში გამარჯვებულნი, სიცოცხლის ფასად გმირის სახელს, სამუდამო სიცოცხლეს მოიპოვებენ. ეს ასი წლის წინანდელი ამბავი ხალხს შეუნახავს, თაობიდან თაობაში გადასულა. ახალი თაობა ხიზამბარელის, ამ ნოსტელი კალატოზის სახელს კვლავ შეეჯიბრა დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ. ამბავი ამის გარშემო ტრიალებს. და ამის მიხედვით თაობათა შეჯიბრების იდეას ეფუძნება.

პროზაიკოსის აზრით ეს წუთისოფელი თაობათა შეჯიბრება ყოფილა მუდამ. და ამ შეჯიბრში ჩანს ახლის უპირატესობა. ეს არ არის იაფფასიანი, ტრაფარეტული ტრაბახი ჩვენი დროის კაცისა. რომანის ღირსება იმაშია, რომ იგი არ არის გადატვირთული ყოფითი დეტალების აქსესუარებით. მწერალს დიდი ზომიერებითა და ტაქტით შემოჰყავს ახალი ცხოვრების ადამიანები, მოვლენები, საგნები. მთელი აქსესუარი მოთხრობისა, მთელი მისი ისტორია სახელის გამოჩენისთვის მებრძოლი ადამიანების გარშემო ტრიალებს და ეს ახალი თაობა, ახალი ცხოვრების მშენებლები და შემქმნელები, სახელოვან წინაპრებთან გაჯიბრებულნი, რელიეფურად გამოხატავენ ახლის ძალასა და სიმტკიცეს.

ხიზამბარელი თავისი დროის სახელოვანი ადამიანი იყო, მშრომელი და პატიოსანი კაცი. შრომის რომანტიკით ცოცხლობს და შემოდის ჩვენს ცნობიერებაში ეს კალატოზი, ლოდთან შეჯიბრებული და სიმბოლურად გვესახება იგი სიკეთისათვის მებრძოლად. და აი, მწერალმა, ამ სახელოვან წინაპარს გააჯიბრა ჩვენი თანამედროვე კომკავშირელი თენგო. ამ შეჯიბრში თენგო წინაპარს ტოლს არ უდებს, მაგრამ იგი ისევე ეცემა და კვდება, როგორც მისი წინაპარი, ხიზამბარელი. სიკვდილს ვერ გადაურჩა ვერც კომკავშირელი თენგო, მაგრამ სიკვდილზე ამქვეყნად დატოვებული სახელი იმარჯვებს და ეს აზრი მოთხრობას უაღრესად ოპტიმისტურ ჟღერას აძლევს. სახელოვანი საქმისათვის მებრძოლნი უკვდავებას მოიპოვებენ, შუქურვარსკვლავად აციმციმდებიან და გზას უნათებენ მომავალ თაობებს. ამაზე მიუ-

თითებს მოთხრობის დასკვნითი სიტყვებიც: „ერთმა შუბათელმა ბერიკაცმა ამიხსნა, მკვდრის მზე იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდებაო... ზოგიერთს ჰგონია, ყველა მკვდრისთვის ამოდის ეს დაღლილი მზე, ნამდვილად კი გრძელი სოფელიც წუთისოფელივით მაცთურია, არც იქაური მზე აშუქებს ყველასთვისო". ამ ფინალში გამოხატულია მოთხრობის დედააზრი, რომ ნამდვილად გრძელი სოფელი იმას აქვს, უკვდავებას ის მოიპოვებს, ვინც თავის თაობას ასახელებს, თავს გამოიჩენს. ეს დედააზრი ორიგინალურად არის გამოხატული ავტორის მიერ და ამ მხრივ ეს მოთხრობა უთუოდ თავისებური მოვლენაა ქართულ პროზაში.

ცნობილია, რომ პროზა სიტყვიერი ხელოვნებაა. სიტყვიერ ქსოვილს, ენობრივ ფაქტურას უპირველესი ადგილი უკავია მოთხრობაში. ენა უპირველესი კომპონენტია მხატვრული ნაწარმოებისა. მოთხრობაში მაინც ენობრივი ფაქტორის ძალა ხასიათის გამოხატვაში უნდა გამოვლინდეს. ხასიათის გამოძერწვა უდიდეს ხელოვნებას მოითხოვს და პროზაიკოსის უმთავრესი ამოცანაა. გიორგი შატბერაშვილის ეს მოთხრობა სწორედ ხასიათების ორიგინალური და მრავალფეროვანი გამოხატვით იპყრობს ყურადღებას. თხრობის საინტერესო ხერხის გამოყენებით მწერალი ახერხებს ხასიათების გამოძერწვასა და განვითარებას. პროზაიკოსს ამბავი რთული ზიგზაგებით მიჰყავს. ამას არა აქვს ზღაპრის მსგავსი სიმარტივე და სწორხაზოვნება. ეს უფრო რთული ლაბირინთების და სიუჟეტის შემცველი ნაწარმოებია.

კომპოზიციურად მოთხრობა აგებულია ამბავთა ურთიერთ შენაცვლების ხერხზე. პირობითად რომ ვთქვათ, მოთხრობაში სამი ამბავია: ხიზამბარელისა, მოხუცი გიორგისა და მისი შვილის თენგოსი. ამ სამი ამბის სიუჟეტურ დინებას თავისებურად დააკავშირებს საიდუმლოებით მოცულ ნინოს ბიჭის ამბავი. ამბავთა დაკავშირება დიდი ხელოვნებაა. ამ მხრივ ამ მოთხრობაში ნამდვილი ოსტატი ჩანს. მოთხრობის დასაწყისში გადმოცემულ ხიზამბარელის დაძაბულ ეპიზოდს ენაცვლება ახალი „ამბავი", რომელიც ასევე დაძაბულად ვითარდება. — „უძრავი და ცივი ლოდი მყარად ჩამჯდარიყო მიწაში. მძიმედ და პირქუშად იდო მოედნის პირას,

თითქოს არც არავინ დაეძრას დღეს. ალბათ, კიდევ ას წელს უნდა გაევლო, რომ მისი ამწევი გამოჩენილიყო". ამბავი თითქოს აქ მთავრდება, მაგრამ მას ერთბაშად სცვლის ასი წლის შემდეგ მომხდარი ახალი ამბავი, რომელიც თენგოს შეეხება, რომელსაც, თავის მხრივ მწერალი სტუმრად ჩამოსული ნინოს ბიჭისა და ბერიკაცის თავგადასავალს უკავშირებს. შემდეგ კვლავ ენაცვლება ამბები ერთმანეთს და ასეთი შენაცვლების ხერხით მიედინება მოთხრობა, მეტად საინტერესოდ და ორიგინალურად. ამავე ხერხით ახერხებს ავტორი გამოაქანდაკოს მთავარი მოქმედი პირები. ყველაზე საინტერესოდ და ორიგინალურად, რასაკვირველია აქ გამოხატულია ხიზამბარელის ხასიათი. ნაწარმოების ძირითადი აზრი ამ ხასიათის გახსნას უკავშირდება. მოთხრობაში ლურჯ ლოდს თავისებურ სიმბოლიკად იყენებს მწერალი. ამ ლოდს თავისი თავგადასავალი აქვსო,—ამბობს. ავტორმა იცის, რომ მწერლობის უპირველესი მოვალეობაა ადამიანის გამოსახვა. მწერლობა ადამიანთმცოდნეობაა. და აი, ამ ჟამთასვლაში ღონის საცდელად, სავაჟკაცო იარაღად ქცეული ეს უსულო ლოდი, ქვისაწევის სპორტს რომ უკავშირდება, მწერალმა თაობათა ისტორიას ამოაფარა, რომლის ცენტრში ასი წლის წინათ ვაჟკაცობით სახელგანთქმული ხიზამბარელის ამბავი დააყენა.

აი, რა საინტერესოდ ჰყვება ავტორი ლოდთან შეჯიბრების ამბავს:

„დათქმული პირობის თანახმად, ვინც ლოდს ოდნავ მაინც ააცილებდა მიწას, ან როგორც შუბათელი ბერიკაცები იტყვიან, „ქარს გაუტარებდა", ხუთი ვერცხლით უნდა დაჯილდოებულიყო.

ვინც ლოდს მუხლებამდე ასწევდა, ერთ მუჭა ვერცხლს უბოძებდნენ, ხოლო ვინც მკერდამდე აიტანდა, ვერცხლით ქუდის ავსებას ჰპირდებოდნენ.

საჯილდაო ქვის თავზევით აწევაზე, ან აღკაზმული ცხენის უნაგირზევით გადაგდებაზე ხომ არც არავინ ფიქრობდა. მსაჯულთა აზრით, საქართველოში ასეთი ფალავნები უკვე აღარ იყვნენ, ისინი დიდი ხანია უბათის ეკლესიის გალავანში ძველთაძველ ქვებქვეშ იყვნენ და მათ ვერავინ გაეჯიბრებოდა.

ვალავანზე შემჯდარმა ხუმარა ქონდრისკაცმა წვრილი ხმით დაიძახა: ბიჭებო, ტყუილად წელს ნუ მოიწყვეტთ, მაგ. ლოდის ამწევი ბიჭი აკვანში დავტოვეო". მაგრამ აი, გამოჩნ- და მისი ამწევი ხიზამბარელი. „ხიზამბარელმა ოდნავ დაიწია, დადაბლდა, ლოდს ქვემოდან შეუდგა, მხარიც მიაშველა, ას- წია, ცხენის ზურგს ააცილა, უკანასკნელი ღონით ამოიქშინა და ლოდი ცხენზეით გადააგდო".

ეს ამბავი ნაწარმოებში მოთხრობილია დიდი ბუნებრი- ობით, დამაჯერებლობით. ყოველი დეტალი, ყოველი ფრა- ზა ზედმიწევნით გააზრებული და გამოყენებულია მწერლის მიერ. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ხიზამბარელის ვაჟკა- ცობა, შემდეგ მისი სიკვდილი, გასაოცარი მხატვრული ძა- ლით არის აღწერილი.

სულ სხვა პლანით ვითარდება მოთხრობის მეორე პერ- სონაჟი, გიორგი. ჯიუტი, კერპი, კულაკური ბუნების კაცი, ასევე დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით არის დახატული. მისი ცხოვრების ყოველი დეტალი — ცოლის შერთვის ის- ტორიით დაწყებული და შვილის სიკვდილით დამთავრებუ- ლი — გამოხატულია დიდი სიმძაფრით. გიორგის დედა ადრე დაქვრივდა, მან თალხის მაგივრად ქმრის ფარაჯა ჩაიცვა, წელზე ქმრისეული ქამარ-ხანჯალი შემოირტყა და მეზობ- ლების გასაგონად თქვა: „დღეის ამას იქით ჩემს ოჯახში ქალიც მე ვარ და კაციცა, დაროც მე ვარ და თედოცაო". მწერალი იქვე დასძენს: „გიორგიც თავისი დედის შვილი იყო, და მის საგულეშიც გოროზი გული ფეთქავდა". აი, ამ გულ- გოროზი დედაკაცის და ამგვარივე მისი ვაჟის ხა- სიათი ამ მოთხრობაში შთამბეჭდავად არის გადმოცემული. ამ ხასიათს მწერალი ტრაგიკულად გვიხატავს. მასში ორ- საწყისი იბრძვის: შვილის მოყვარული მამა, ერთი მხრივ და მეორე მხრივ — ჯიუტი, კერპი და გულგოროზი ადამიანი, რომელიც ავ საქმესაც კი არ მოერიდება და თავისას გაი- ტანს. მწერალმა შესანიშნავად გააპაექრა ერთმანეთს გიორ- გი და ავგიორგი. გიორგი ჩასძახის ავგიორგის: შვილის ცოდვა გაძევს კისერზე; დედის ცოდვაც ნახევრად შენს ქედს აწევსო; გიორგი პასუხობს — მე კეთილი მინდოდა თენგოსთვის. ავგიორგი ახალ დროებასაც ებრძვის, კულა-

ჯი—საკუთარ. საქონელს ხოცავს, კოლმეურნეობას წინ გადაუდგება, საკუთარ შვილსაც არ ინდობს—თენგო მამის განზრახვას ზურგს შეაქცევს და ახალი ცხოვრების მესაჭე ხდება. ეს შინაგანი ბრძოლა მამისა და შვილისა, მოთხრობაში გადმოცემულია დიდი მხატვრული ძალით. ხსენებულ ეპიზოდს მწერალი სიზმრის სახით აღწერს და ამ მხრივ უფრო რელიეფურად ავლენს ავგიორგის ფარულ გულისნადებს. ძველის ახალთან ბრძოლაში გიორგის ზურგს უმაგრებს თავისი პირადი მეგობარი, შავდათუა, რომელსაც მასავით შავი გული და ბოროტი კაცის ინსტინქტები აქვს; ძველისა და ახლის ბრძოლას, დეტალების მეშვეობით, მათს საქციელსა და მოქმედებაში ნათლად გვიხატავს მწერალი.

ახალთაობის წარმომადგენლებად მოთხრობაში თენგო და ნინო გვევლინებიან. თენგო და ნინო ნამდვილი სულიერი მეგობრები არიან, უჩრდილოა მათი სიყვარულიც. ადამიანის დამამშვენებელ სიყვარულს ოდნავ რომანტიზირებული სახით გვიხატავს მწერალი. რამდენადაც რეალიზმის მკაცრ პრინციპს ემორჩილება გიორგისა და შავდათუას ხასიათის გამოხატვა, იმდენად უფრო ამაღლებულად გვეჩვენება ნინოსა და თენგოს ხასიათი.

შეყვარებული თენგო ოცნებობს სახელი მოიპოვოს, — მინდა რამე გავაკეთო კარგი და სასახელოო. მწერალი ამ მეოცნებე, რომანტიკოს ჭაბუკს სახელის მოსაპოვებლად ხიზამბარელის მიერ აწეულ ლოდს შეაჭიდებს. მოთხრობაში კომკავშირელ თენგოს, ახალი თაობის სახელისა და ღირსების გამომხატველ გმირს, დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდება. ჯერ იყო და კომკავშირიდან გარიცხვა მოუნდომეს, შავსიელი, კულაკის შვილიაო. მაგრამ ნინოს დახმარებით ამ განსაცდელს გადაურჩება. შემდეგ უჯიათო მამასთან აქვს შინაგანი ქიშპობა. ეს ქიშპობა აგრეთვე ახლისა და ძველის ბრძოლას ეყრდნობა, საქმე იქამდის მივიდა, რომ მამას თოხი მოუღირა, მაგრამ მწერალს აქაც დიდი ტაქტით მიჰყავს თაობათა ეს უთანხმოება, მამისა და შვილის ქიშპი. შეყვარებულის წინაშე გულწრფელად აცხადებს თენგო: „იცი, მამაჩემს ერთხელაც არ უკოცნია ჩემთვის... არ მახსოვს. შესაძლოა ბავშვობაში, ახლა კი...

არ უნდოდა მივმხვდარიყავი, თუ ჩემი სიყვარულის ჟინს მამა-ჩემი უთქმელად იკლავდა. განა შეიძლება, მამას შვილი არ უყვარდეს ან შვილს მამა?!"

მათ შინაგან შუღლსა და უთანხმოებას, ცხოვრების კანონით გამოწვეულს, უფრო ამძაფრებს ავტორი. მწერალი გვარწმუნებს, ეს თავისებური, თაობათა შეჯიბრებაც იყოო. და არა მარტო მამა, არამედ ძველი თაობის ბევრი წარმომადგენელი თენგოსა და მისი თაობის საგმირო საქმეებს ეჭვის თვალით შეჰყურებდა. აქაც მწერალს დიფერენცირებულად აქვს წარმოდგენილი ეს მომენტი: ძველის რომანტიკული სიყვარულით გატაცებულ ადამიანებს,—რომელთა წარმოდგენაში წინაპართა საგმირო საქმე განსაკუთრებული სიდიადითაა გასხივოსნებული, ახალთაობის, მის თვალწინ დაბადებული თაობის საქმე და ვაჟკაცობა პატარად ეჩვენება. ასე იყო წინათ, ასეა ახლაც, მოვიგონოთ თუნდაც ხიზამბარელის მიმართ დამოკიდებულება მისი თაობისა. მხოლოდ სულ სხვა სიბრტყეზეა დახატული იმ ადამიანების დამოკიდებულება, ვისაც კონფლიქტი აქვს თანამედროვეობასთან. ისინი უმადურად ეპყრობიან ახალთაობის საქმეს, შურის გრძნობით ეკიდებიან მათ. ასეთია შავდათუა და თვითონ გიორგიც საკუთარი შვილის მიმართ. მწერალმა ამ რთული ზიგზაგების ფონზე გამოძერწა ახალთაობის შემკრები სახე —თენგო...

ადამიანებს მუდამ ამოძრავებდა სახელის მოპოვების სურვილი. სახელისა, რომელიც თავისი მამულის, თავისი ერის ინტერესებს ემსახურებოდა, მუდამ და მაინც არასოდეს ყოფილა ისე მასობრივი ხალხისათვის თავდადებულ ადამიანთა არმია, როგორც ჩვენ დროში. და აი, ჩვენი ადამიანების სასწაულმომქმედ თაობათა შემკრებ სახეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოთხრობაში თენგო კობაიძე წარმოადგენს. მას თავი იმით მოაქვს, რომ მისი თაობა სახელოვან სოციალისტურ მშენებლობის მეთაურთა არმიას ეკუთვნის. ეს თაობა წინაპრებზე არანაკლებ დიდ საქმეს აკეთებს. დიდია მათი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, დიდია მათი მოვალეობა ისტორიის წინაშე, სახელოვან წინაპართა

წინაშე. ისინი თავს გრძნობენ როგორც შეჯიბრებულნი სახელოვან წინაპრებთან. თენგოს თაობას არა ერთხელ დაუმტკიცებია ომში თუ შრომაში, რომ ისინი ნამდვილად ღირსეული გამგრძელებელნი არიან წინაპართა დიდი ტრადიციებისა. და ეს საინტერესო შემკრები სახე ახალგაზრდა კომკავშირელისა, მწერალს დახატული ჰყავს არა ტრაფარეტულად, არამედ რთული ვითარების, ზიგზაგების და წინააღმდეგობების გადალახვის ფონზე.

ყველაფერი ეს როდი ნიშნავს, რომ ეს მოთხრობა უნაკლო იყოს. მოთხრობის ქსოვილს რეალიზმი ახასიათებს. ყველა მისი დეტალიც ამის მიხედვით არის გაცოცხლებული. ამიტომ ამ მოთხრობაში ჩართული გიორგის სიკვდილი და მისი მეორედ გაცოცხლება შავდათუას უცნაური გამოგონებით, რეალიზმის ქსოვილიდან ერთგვარად ამოგდებული გვეჩვენება. ზოგჯერ დეტალი არ არის ზუსტი, რეალისტური, ეს შეეხება, კერძოდ, გიორგისა და მისი შვილიშვილის, უცნობი ჭაბუკის ამბავს. ჩვენ ამ დეტალზე იმიტომ შევჩერდით, რომ ისეა აწყობილი მოთხრობის მთელი კომპოზიცია, რომ ყოველი ფრაზა და დიალოგი, როგორც კი რეალიზმის პრინციპს ცილდება მაშინვე თვალში გეცემათ.

მოთხრობის დიდი ღირსება თხრობის ბუნებრივ, ძალდაუტანებელ მიმდინარეობაში, ქართული ენის სილაღესა და სიმდიდრეში უნდა ვეძიოთ. საკმარისია უბრალოდ გადაიკითხოთ ეს მოთხრობა, რომ თქვენთვის ერთბაშად ნათელი გახდეს ნაწარმოების ეს მხარე. ქართული ენის სინარნარეს გვაგრძნობინებს აქ ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა, იდიომები, ანდაზები, ფრთიანი და ხატოვანი თქმები. საზოგადოდ, მოთხრობა „მკვდრის მზე“ პროზაიკოსის დიდ გამარჯვებად მიგვაჩნია. ის თავისებური აღმოჩენაა ჩვენთვის უკვე ცნობილი პროზაიკოსისა. დიახ, აღმოჩენაა, მისი ნიჭის ორიგინალობისა და თავისებურებისა.

უშბისა და თეთნულდის ხმები

ქართულმა პოეზიამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ქვეყნის მიღმაც. ქართული ლექსის ამ საყოველთაო აღიარებაში ქართველი საბჭოთა პოეტების, ჩვენი გამოჩენილი სიტყვის ოსტატების წვლილი ცოტა როდია. მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიის ერთიან კულტურაში მაღალი მწვერვალებივით გამოჩნდა ქართული პოეტური სიტყვის ძალა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ ბოლო წლებში ეს წვლილი ქართველი საბჭოთა პოეტებისა ერთიან სოციალისტურ პოეტურ კულტურაში უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს 30-იან ან 40-იან წლებში იყო. ყოველივე ამას ცოტა მიზეზი როდი აქვს, და ამ მიზეზების ძიებას ჩვენ ახლა ვერ შევუდგებით, ოღონდ ვიტყვით, რომ უმთავრესი მიზეზი მაინც ის არის, რომ ქართული პოეზიის პირველხარისხოვანი ოსტატები ამ ბოლო ხანებში ცოტას სწერენ დიდსა და საინტერესოს, და ამ ცოტას გატანა და სათანადო პოპულარიზაცია ქართულმა კრიტიკამ ვერ მოახერხა. უკანასკნელი წლების ქართული პოეზიის საინტერესო მიღწევათა შორის ჩვენ გვეგულება რევაზ მარგიანის ლექსების ახალი წიგნი, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“.

უკვე სამი ათეული წელია, რაც ჩვენს პოეტურ კულტურას შეემატა რ. მარგიანი, როგორც ნიჭიერი ოსტატი ქართული სიტყვისა. პირველი ლექსებიდანვე მიიპყრო მან მკითხველის ყურადღება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „ბირანგულა“. ამ ლექსში უკვე გამოჩნდა ის ორიგინალური და რომანტიკული პოეტური ინტონაცია, რომელმაც ერთბაშად დაიპყრო ქართველი მკითხველი. სვანეთის მთებისა და ენგურის ექო თითქოს „ლილეოს“ ომახიან გუგუნს შეუერთდა ამ ლექსში.

სვანეთის მთებიდან მოტანილი ეს ახალი ინტონაცია გაუჩუნარად შერჩა რ. მარგიანის ლექსებს და ეს არის მისი, როგორც პოეტის, უპირველესი ღირსებაც და თვისებაც. ამის ნათელი დადასტურებაა რ. მარგიანის „ისევ ახალი“ ლექსების ეს მოზრდილი წიგნი. ვფურცლავთ მას და თვალში გვეცემა ჩვენთვის უკვე ნაცნობი მთის სურნელება; ხოლო, როდესაც ამ ლექსებს ხელმეორედ ვკითხულობდი, თვალწინ დამიდგა ჩვენი გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და მწერლის პავლე ინგოროყვას დიდი გამოკვლევის — „რუსთველიანას ეპილოგის“ ერთი ადგილი. აი ეს ადგილიც. „ადიდენ... **ერთობილი საქართველო** და ერთობილი სვანნი, და ხევი ლატალისა, და აღაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაილისა და ხევნი მადიდებელნი შენნი, ამენ“. დიდად საგულისხმო წარწერაა! მე-13 საუკუნეში, სვანეთში, და ეს არა რომელიმე ცენტრში, არამედ მთის მივარდნილ სოფელ ლაილში, აკეთებენ წარწერას სადიდებლად **ერთობილი საქართველოსი**, ხოლო ერთობილი საქართველოს ფარგლებში—ერთობილ სვანთა. რა დიდი ეროვნული შეგნებაა! ამ ეროვნულ შეგნებას ემყარებოდა საქართველოს სახელმწიფოს შეურყეველობა ამ ეპოქაში“ (პავლე ინგოროყვა).

ლაილის ეს წარწერა, როგორც ეროვნული ლოცვა, ისე გაისმის. ყოველი შეგნებული ქართველი, საქართველოს ყოველ კუთხეში დედის ნანასთან ერთად იმეორებდა ერთიანი საქართველოს სადიდებელ ჰიმნს. ამავე დროს საქართველოს ყოველი კუთხის შვილს ერთიანი საქართველოს ძლიერებაში თავისი წვლილი შეჰქონდა. და სანამ ამ ერთიანობის გრძნობა ძლიერი და შეურყეველი იყო, საქართველოც მუხასავით იდგა. ხშირად ამ ერთიანობის სულისკვეთებას, ავის მოსურნეთა მეოხებით, ძირი გამოეთხრებოდა ხოლმე. მაშინ იშლებოდა და კნინდებოდა ჩვენი დედა საქართველოც. ამ ძველი უკეღმართობისა და უგუნურების ერთი ანასხლეტი ჩვენი დროის საქართველოსაც მოხვდა, რამაც ცოტა ზიანი როდი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. ყოველი ქართველის მოვალეობაა მუდამ ფხიზლად იდგეს ერთიანი და მთლიანი საბჭოთა საქართველოს სადარაჯოზე.

რევაზ მარგიანს, როგორც პოეტს, არჩეული აქვს საკუთარი ადგილი, საიდანაც ის უთვალთვალებს ქვეყანას და აკვირდება ყველაფერს, რაც გარშემო ხდება. ასეთი დედა-ადგილი მისთვის სვანეთია. მის ლექსებში პირდაპირ ან შოარებით სვანეთია ნახსენები, და ეს ადგილი ქვეყნის გადასახედია პოეტისათვის, რომელსაც თავისებური არომატი შეაქვს ლექსებში. ეს არ არის ვიწრო, ორღობეებით შეძოზღუდული ადგილი, არა, ეს ის სათვალთვალო წერტილია, საიდანაც იგი ფართოდ გახელილი თვალებით უმზერს სამყაროს. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი სვანური ლოცვა, როგორც თავისებური ქვეტექსტი, გასდევს რ. მარგიანის პატრიოტული ლექსების ციკლს. ერთ ლექსში პოეტი კითხულობს: „უენგუროდ, უსვანეთოდ გავძლებ განა?“ ან რა იქნებოდა ეს ქვეყანა უენგუროდ და უსვანეთოდ? და იქვე უპასუხებს: ვერ გაძლებსო პოეტი უენგუროდ და უსვანეთოდ, როგორც უარაგვოდ, ურიონოდ და საერთოდ, უმამულოდ. მაშ ვისღა უნდა უერთგულოს პოეტმა, თუ არ სამშობლოს, მამულს, რომლის ერთ ნაწილს—სვანეთი წარმოადგენს. ასე ქმნის პოეტი ერთიანი საქართველოს სურათს და ამ ერთიანი საქართველოს პატრიოტულ განწყობილებაში სვანეთი საქართველოს ნაწილია. პოეტი ამ განწყობილებას უფრო ნათლად ამეღავნებს მეორე ლექსში, „ჩითილი“:

მე როცა მთიდან გადმომრგეს ბარში,
სუსტი ვიყავი, როგორც ჩითილი.
მთებს მივტიროდი პატარა ბავშვი
და ბევრჯერ, ბევრჯერ წამსკდა ქვითინი.

მაგრამ მე თბილისში ლაღად გავიდგი ფესვი და ისევე ვავიხარეო, როგორც სვანეთში.

ახლაც აქ ვხარობ კვლავ ფერუცელელი.
და ტრფობით ფეთქავს გული მღელვარე,
ყელმოღერილი შორით ეუცქერი
კავკასიონის ამაყ მწვერვალებს.

ასე იხატება პოეტის წარმოდგენაში დიდებული მამულის, საქართველოს სიდიადე. ამ პატრიოტულ გრძნობას არაფერი

აქვს საერთო ნაციონალიზმთან, პატარა ადამიანების ამ მდაბალ გრძნობებთან. არა! ეს ჭეშმარიტი, მაღალი საბჭოური პატრიოტიზმია, გზას რომ გვინათებს და გვინერგავს ძმობისა და მეგობრობის უუკნობ გრძნობებს.

ლექსების ეს წიგნი თემატიკურად მრავალფეროვანია: თქვენ აქ ნახავთ ლექსებს არა მარტო პატრიოტიზმის თემაზე, არამედ აქ უხვადაა წარმოდგენილი სატრფიალო ლირიკა. სიყვარულის საოცარი ზღაპარი, „ვისი და რამინის ზღაპარი“ ახალი პოეტური ალით არის განათებული ამ წიგნში. პოეტი უმღერის უმწიკვლო სიყვარულს, ძლიერს, ძელქვაზე მაგარს („ეს გაუმარჯოს“). პოეტი სატრფოს, გულის სწორს, ბაშინაც დაეძებს, როდესაც იგი ცის სამყაროში აფრენილ ვეფკაცს გერმანე ტიტოვს მიმართავს:

ხომ არ გინახავს ავლილ-ჩავლილი,
ჩემზე გამწყრალი ბედის - ვარსკვლავი,
განათებული ნატვრის თვალივით,
ალმოდებული მისი ნაწნავი.
თუ მართლა ნახე, რა დაგაბარა?
მე როგორ გავხსნა ზეცის კარედი!
ეს რომ მცოდნოდა, როგორც ამხანაგს,
მოკითხვას მაინც დაგაბარებდი.

ასეთ რომანტიკულ სურათს დიდი ინტიმი შეაქვს ამ ციკლის ლექსებში, რომელშიც პოეტი თანამედროვე ადამიანთა საგვირო საქმეს და შრომას უმღერის. ლექსების ამ ციკლს სცვლის ატომურ ომის თემაზე დაწერილი ლექსები. ახალ ომის გამჩაღებლებს კიცხვით და გმობით იხსენიებს პოეტი. აი ლექსი „ხიროსიმა“. „თავისუფლების სამყაროს“ ამერიკელი მოციქულების მიერ ატომის ხანძრით გადაბუგული იაპონური ქალაქი! სამუდამოდ დასახიჩრებული ადამიანების გოდება ისმის ამ ლექსში: „მას შემდეგ ბალახს სიცოცხლე არ აქვს, ვერ შველის მზე და ჟუჟუნა წვიმა. ო, ფერფლი, შენი ბავშვების ფერფლი,—ცრემლგარეული ბუტბუტებს ღველფი... მჩხვლეტს, არ მასვენებს შენი სახელი და ჩემს მდუღარე სტრიქონში კვნესის“,—აცხადებს პოეტი. ხიროსიმაში ჩადენილ ამ ბოროტების სურათს კვლავ სცვლის მოგონება სამამულო ომზე, ჰიტლერელი ბანდიტების მიერ

დათესილი შავი სიკვდილის ქროლვაში დაღუპული და დაჭრილი ძმებისა და მეგობრების მოგონება: („ქერჩი, 1942“).

წიგნში თავისებური ინტონაცია შეაქვს ლექსების ციკლს მთასვლელებზე. („ჩვენს მიწას ხნიერს“, „მიძღვნა ქართველ მთასვლელებს“, „ილიკო გაბლიანი“). მთასვლელობის პიონერები ჩვენში მუხლმაგარი სვანები იყვნენ, და ახლაც პირველობა მათ ეკუთვნით. ლექსებში დიდი გრძნობით არის გაცოცხლებული მათი საგმირო საქმე და ამავე დროს დიდი ვულისტკივილით არის დატირებული ბუნების სტიქიასთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული მეგობარი ილიკო გაბლიანი.

რ. მარგიანი დაფიქრებული და დაკვირვებული პოეტია, როდესაც რ. მარგიანის ლექსების წიგნს ვკითხულობთ, ჩვენს ყურადღებას იქცევს ის შემოქმედებითი იქვი, რომელიც პოეტის სულში შეპარულა და რომელსაც იგი დაუფარავად გვიმხელს. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ეს შემოქმედებითი ეჭვი ჩვენს საუკეთესო პოეტებს დაებადა ამ ბოლო წლებში. ამას ბევრგვარი ახსნა შეიძლება ჰქონდეს, მათ შორის წმიდა შემოქმედებითი ხასიათის ახსნაც, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა გარემოებას მინდა ხაზი გავუსვა. ცნობილია, რომ ჩვენს გამოჩენილ საბჭოთა პოეტებს, რევოლუციის მიერ ზურგგამაგრებულებსა და აღფრთოვანებულებს, როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. და ეს დიდი რომანტიკა სავსებით ბუნებრივი იყო. ბუნებრივი იყო, როდესაც მაიაკოვსკი აცხადებდა — „ჩემია რევოლუცია, რევოლუცია ჩემია“. ეს იდეური პოზიცია სიამაყით მსჭვალავდა ჩვენს პოეტს. და ეს სიამაყე თანაბრად გადაედო რევოლუციის დიდსა და პატარა პოეტს. შემდეგ და შემდეგ გამოირკვა, რომ მართალია, ლექსისთვის უმთავრესია იდეური მიზანდასახულობა, მაგრამ ასევე აუცილებელია, შეგწევდეს ძალა და ნიჭი, მაღალი პოეტური სიტყვით ემსახურო შენს ხალხს. და იმის ფიქრი, რომ რამდენად ნიჭიერად ემსახურება თავის საქმეს პოეტი, ყოველ ჭეშმარიტ მწერალს თან დაჰყვება, როგორც მისი სულის ორეული. ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს მუდამ აწუხებდა კითხვა, მოახერხა თუ არა იმის თქმა, რაც სურდა ეთქვა თავისი ხალხის-

თვის, თუ წყლის ნაყვა იყო ყველაფერი, რაც მას დიდი პოეტობის პასპორტად მიაჩნდა!? და ვისაც ასეთი იქვი არ აღეძვრის, ვისაც ასეთი კითხვა არ აწუხებს, ის, პირდაპირ უნდა ითქვას, მეტისმეტად იოლად უყურებს თავის საქმეს და მოვალეობას. ეს კითხვა აწუხებს რევაზ მარგიანსაც.

ო, რა ძნელია,
ო, რა მწველია,
როცა აღმართზე მისდევ ბილიკებს,
იქ ახვალ, სადაც ჯერ არ გელიან,
და უცბად ვიღაც გაგაქილიკებს.
არა, არ მინდა, როგორც საწყალი
უხმოდ წავიდე სირცხვილნაჭამი,
თუ დაღვინება ვერ მოვასწარი,
ვინმეს ხსოვნაში ჩავრჩე მაჭარი.

ან კიდევ:

იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარილი...
იქნებ!
არ ვიცი, მკლავენ ეჭვები,
სიტყვა არ მიჭრის ბასრი ხმალივით...

ამიტომაც დარდიანი დავიარებიო ჩემს მამულში, თუმცა ქართულ სიტყვასთან შეჭიდებული მაინც აცხადებს:

ვერ დავიჯერებ, ვერ შევეჩვევი,
რომ მართლა ჩემს ლექსს აკლდეს მარილი...

რ. მარგიანი რეალისტი მხატვარია. მისი ლექსების მხატვრული ფაქტურა უაღრესად რეალისტურია და მაინც იგი არ არის ტრადიციული ლექსით შემოფარგლული პოეტი. მის პოეტურ სულს ღრმად ჩაეწვეთა ის ახალი პოეტური ინტონაცია და განახლება ლექსისა, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის სახელს დაუკავშირდა: რ. მარგიანის პოეტური სამყაროს გაცნობა ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რაოდენად დავალებულია უმცროს თაობათა ლექსები იმ პოეტური კულტურით, რომელიც გალაკტიონ ტაბიძემ მოიტანა ჩვენს პოეზიაში. გალაკტიონმა უდიდესი როლი შეასრულა მე-20 საუკუნის ახალი ლექსის ესთეტიკური პრინციპებისა და გემოვნების ჩამოყალიბების საქმეში. მისი მეოხებით

ტრადიციული ქართული ლექსი კვლავ ახალი დიდებით გაბრწყინდა. რ. მარგიანი ისე, როგორც ქართული საბჭოთა პოეზიის სხვა გამოჩენილი ოსტატი, მიმართავს გალაკტიონ ტაბიძის ამ ახალ პოეტურ სამყაროს, მაგრამ მისგან ბრმად არაფერს სესხულობს. აქ საკითხი ეხება იმ ახალი ნოვატორული გზის შემოქმედებით ათვისებას, რომელსაც სათავე გალაკტიონ ტაბიძემ დაუდო. რ. მარგიანის ლექსების რეალისტურ ქსოვილს, გამომსახველობით მხატვრულ ხერხებს თან ახლავს სისადავე, ლაპიდარობა და ყოველივე ეს ოავისებურად არის გამდიდრებული რიტმიკის, მელოდიკის და ინტონაციის ახალი ხერხებითა და საშუალებებით. რ. მარგიანის პოეტური სამყარო არის იდუმალი ძაფებით გაბმული ვაჟას, აკაკის, ილიას პოეტურ ხმებთან და იგიც დიდის თაყვანისცემით იხსენიებს მათ ღვაწლსა და საქმეს. პოეტი მიმართავს აკაკის:

რომ არ გვყოლოდი, არ იქნებოდა
ასე ლამაზი ჩვენი მთა-ბარი!
შენ და ილიას სიტყვამ გაგვჭედა,
მტკიცე იყავით, როგორც ქვიტკირი.
რა ღონიერად, რა უცაბედად
ჩამოაცალეთ მამულს სიკვდილი.
შენ და ილიამ ერთ ძნად შეგვკარით.
გვდევდნენ და არსად გავიხიზნეთ.
ალბათ მიტომ ვართ ასე მედგარი,
ალბათ მიტომ ვართ ასე ფხიზელი.

და პოეტს სურს მათ გზას, მათ მადლს ახალი შუქი მოჰფინოს. და ამ გზას ნათელი ზოლივით გასდევს სვანეთიდან მოტანილი ახალი მხატვრული სახეები, უშბასა და თეთნულდის ზვიადობა, ენგურის მშფოთვარე ხმაური, რომლითაც გვიხატავს სვანი მეჯოგისა თუ მონადირის, ფოლადის მდნობელისა თუ საკოლმეურნეო მინდვრის ხელმარჯვე კაცის შრომის ბარაქასა და ხვავს.

„ამ ჩემს მამულში“ დიდი სილამაზე, დიდი ხელხვავი და დოვლათი. თანამედროვე კაცის მარჯვენით შექმნილი, ახარებს პოეტის გულს:

წელო ახალო, ერთად ვიქნებით
სიძნელის ბევრის გადამლახველი,
გასტყორცნე უფრო თავდავიწყებით
ჩემი მშობელი ქვეყნის სახელი.

ასეთი მღელვარებით არის გადაჯაჭვული პოეტი თანამედროვე საქართველოსთან, მის ტკივილებთან და სიხარულთან. და, როგორც ვთქვით, ჩვენი ცხოვრების ეს სიხარული და ტკივილი პოეტმა წარმოსახა მრავალფეროვნებით, და აქ ის, კლასიკური პოეზიის ტრადიციების ერთგული, დიდად დაესესხა ახალ პოეტურ მიღწევებსა და მონაპოვარს. ამის ნათელი ილუსტრაციაა ლექსი „რიწა“:

რიწა.
რიწა.
რიწა.
ღალის ლურჯი თვალი,
მწვანე დედამიწა,
მთების გალავანი.
ოცნებათა ლმერთი
უხსოვარი ხნისა.
ლალით სავსე მკერდი —
ვარსკვლავების ქისა...
ჩემო გულისძგერავ,
შენს სიწმინდეს ვფიცავ.
ჩემს საფლავზე, მჯერა.
წვიმად მოხვალ, რიწავ!

ლექსის მიჯრილ რიტმს, მუსიკალურ განმეორებას და ფრაზების ოსტატურ შერჩევას მაღალ პოეტურ ხარისხში აჰყავს ლექსი. სხვა ლექსში ამგვარ რიტმს პოეტი სცვლის უფრო მსუბუქი სიტყვების თამაშით. აი, ეს მაგალითიც:

ისევ გვალდა, გვალდა,
მჭრელზე მჭრელი ცელი,
სიყვარულის გარდა
მე არაფერს ველი...
ცელი—ბასრი, მწველი,
ყველაფერზე მკვეთრი
შენი თეთრი ხელი,
ყველა ხელზე თეთრი.

ვინც ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილ ამ ორ ლექსს დაკვირდება, ადვილად იპოვის, თუ რა განსხვავებული პოეტური ფერებით, რიტმითა და მუსიკალური მელოდიებით ახერხებს იგი გვითხრას სათქმელი. და, როცა უფრო ღრმად დავაკვირდებით ამ სტრიქონებს, ჩვენ არ შეიძლება ფარულად არ აღმოვაჩინოთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ის ასალი მონაბერი. რომელიც მან მთელს ჩვენს მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიას უზიარა. დიახ, აქ რ. მარგიანი ნამდვილად გამოდის გ. ტაბიძის პოეტური სამყაროდან და გამოდის, როგორც ოსტატი და გამგრძელებელი იმ ინტონაციებისა, რომელითაც გალაკტიონ ტაბიძემ ასე გაამდიდრა ჩვენი ქართული პოეზია.

არ ვიქნებოდით მართალი, თუ ვიტყოდით, რომ რ. მარგიანის ლექსების ეს წიგნი ყველგან თანაბარი პოეტური ოსტატობით იყოს გაბრწყინებული. არა, ლექსების ამ წიგნში გვხვდება სუსტი ლექსებიც, ხანდახან რიტორიკული და ტრაფარეტული. ასეთია, კერძოდ, „ფიქრები მამულზე". ეს გრძელი და გაჭიანურებული ლექსი სავსეა ნაცვალსახელებითა და ზედსართავებით; ხოლო მიმართვები „მე" და „შენ" ლექსს არაფერს მატებს და უფრო ნათელი ხდება მომაბეზრებელი გამეორება ათასჯერ თქმულის და წაკითხულისა.

პოეტურ ნაწარმოებში ფრაზების, სიტყვების შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჭეშმარიტი პოეტი ათასსა და ათი ათასს სიტყვაში შეარჩევს, ხელმეორედ აღმოაჩენს ასალ სიტყვას, ან მრავალჯერ ნახმარ სიტყვას სულ სხვა პოეტურ სულს შთაბერავს. ისეთ კონტექტში ჩასვამს, ისეთ კონსტრუქციაში მოაქცევს სიტყვას, რომ სულ სხვა ელერა ენიჭება მას, სულ სხვა ემოციონალურ ელფერსა და გავლენას ახდენს მკითხველზე. და თუ ასეთი პოეტურობა არა აქვს მინიჭებული სიტყვას, გრამატიკული სისწორის დაცვა (გრამატიკული სიზუსტის დაცვა კი ელემენტალური ვალდებულებაა ყოველი მწერლისა) თავისთავად არაფერს იძლევა. დიახ, ჭეშმარიტი პოეტი სიტყვის აღმომჩენია. პოეტი რ. მარგიანი საერთოდ სიტყვის საინტერესო ოსტატია, მისი ფრაზა პოეტურია, მაგრამ ამასთან ერთად ზოგიერთ მის ლექ-

სში გვხვდება მძიმე, ჩავარდნილი, პროზაული სიტყვები. ეს არაპოეტური სიტყვები, ხანდახან დიდი გრძნობის გამოსახატავად ხმარებული, ერთგვარ უხერხულობასაც ქმნის. ასე, მაგალითად, პოეტი მიმართავს ცნობილ პოეტს და მის ახალგაზრდულ თვისებას ასე გადმოგვცემს:

სამოცს გადაცილდა
მისი გულისძგერა,
ტაბასმელას, შილდას
მკვრივ გოგოებს ზვერავს.

სიტყვების ამ კონსტრუქციაში „მკვრივ გოგოებს ზვერავს", — არაბუნებრივია და უხეშად ჟღერს.

ეს მაგალითი იმიტომ გავიხსენეთ, რომ თვით ისეთ ნიჭიერ პოეტსაც კი, როგორიც რ. მარგიანია, მართებს უფრო მეტი პასუხისმგებლობით შეარჩიოს თითოეული სიტყვა, თითოეული წინადადება. ვიმეორებ, რომ პოეზია, უპირველეს ყოვლისა, სიტყვის აღმოჩენაა. სიტყვისა და ინტონაციებით პოეტური აღმოჩენა, რომლის მეოხებით პოეტი ქსოვს თავის იდეურ სამყაროს და განწყობილებას გადმოგვცემს. რასაკვირველია, წიგნში გვხვდება სუსტი ლექსებიც, მაგრამ ეს მაინც ცალკეული ნაკლია და სრულებით არ ჩრდილავს ლექსების ამ კრებულის მაღალ ღირსებას. ყოველივე ამის გამო რევაზ მარგიანის ახალი ლექსების ეს კრებული ჩვენ მიგვაჩნია ნიჭიერ და საინტერესო მოვლენად ბოლო წლების ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

სამსჯავროს წინაშე

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარას“ დადგმის გამო

„ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვთხოვთ,—წერდა მე-19 საუკუნის საქართველოს ჰამა ილია ჭავჭავაძე, — პირველი, რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმათავისუფლებელი და მწვრთნელი, და მეორე — იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა უნდა წარმოდგეს მთელი თავისი მშვენებითა და სიმდიდრითა... ამიტომაც საჭიროა ჩვენში სცენას იმისთანა გონებაგახსნილი ზედამხედველობა ჰქონდეს ვისგანმე, რომ ამ ორ სანატრელს საქმეს სცენა არ გადაუდგეს“...

ვისაც უყვარს ქართული ენა, დიდებული საბჭოთა კულტურა, არ შეიძლება არ აღელვებდეს ქართული თეატრის ბედი და მისი ახლანდელი მდგომარეობა. ისტორიულად ქართულ მწერლობასთან ერთად თეატრი იყო ფარი და ხმალი ქართველი ერისა. მათ აღზარდეს ჩვენი ხალხი დიდი სოციალური გრძნობებითა და მაღალი ეროვნული იდეალებით, გამოაწრთეს ჩვენი ფიქრი და ოცნება ახალი, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში. ხოლო ამ ახალ საქართველოში თეატრმა უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა სახელმწიფოს დამკვიდრებისა და განმტკიცების საქმეში, ქართველი კაცის რევოლუციური რომანტიკით აღტკინების საქმეში. ქართულმა თეატრმა დაგვანახა არა ერთი და ორი მებრძოლი რევოლუციონერის სახე. საქვეყნოდ გამოაფინა ყოველი დოვლათისა და სიკეთის შემქმნელი მშრომელი ქართველის სახე დახასიათი... და ამ დიდ საქმეში ნაციონალურ ქართულ თეატრს, ჩვენი ქართული დრამატურგია კვებავდა. ის იყო და არის

ედებოძი ეროვნული ქართული თეატრისა. ასე იყო ეს ისტორიულად. ასეა დღესაც.

ძველ ქართულ მწერლობას არ შეუქმნია ქართული პროზისა და პოეზიის ტოლფარდი დრამატურგიული ჟანრი. უფრო მეტი შეიძლება ითქვას. რუსთაველის ქვეყანაში მე-19 საუკუნემდე ჩვენ არ გვაქვს დრამატული ნაწარმოების ისეთი ნიმუში, რომელიც შეგვეძლოს გვერდში ამოვუყენოთ პროზისა და პოეზიის საყოველთაოდ ცნობილ ნიმუშებს.

ეროვნული თეატრის დაარსება და აღორძინება, ევროპული ტიპის თეატრალური კოლექტივის შექმნა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს უკავშირდება. ქართულ მწერლობასთან ერთად თეატრი იყო ერთადერთი დარგი, საიდანაც ცარიზმის შავბნელ ხანაში ქართული ენა გაისმოდა, ქართული სიტყვა ჟღერდა.

დრამატურგიის ჟანრს არასდროს არ ჰქონია ისეთი ხვედრითი წონა, როგორიც მან საბჭოთა ეპოქაში მოიპოვა. საბჭოთა სინამდვილემ ააღორძინა და მანამდე არნახულ სიმაღლემდე აიყვანა ქართული დრამატურგია. მიუხედავად ამისა, ქართული თეატრი, ქართველი მაყურებელი დიდად განებიერებული როდია ახალი, ნიჭიერი დრამატურგიული თხზულებებით. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ეს ამ უკანასკნელ წლებში. ასეთ ვითარებაში ჩვენ ყველანი, ხოლო პირველ რიგში ქართული თეატრის მესვეურები, — ვალდებული ვართ ყოველივე ახალს, ყოველ ნიჭიერ ნაწარმოებს, რომელიც კი დრამატურგიაში გამოჩნდება, გონივრულად მოვეპყროთ. სამწუხაროდ, ყოველთვის ასე როდი ხდება. ამის ნათელი დადასტურებაა პოლიკარპე კაკაბაძის ახალი პიესა „ცხოვრების ჯარა". ეს პიესა საკმაო ხანია დევს ჩვენი თეატრების პორტფელში. იგი დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობის" ნომრებში და მაინც ამაოდ ელოდება მაყურებელი პიესის განხორციელებას თბილისის თეატრებში. როგორც ჩანს, მეტი გამჭრიახობა, დაკვირვება და ინიციატივა გამოიჩინეს პერიფერიელმა ამხანაგებმა. პირველად, აღნიშნული პიესა განახორციელა ჭიათურის თეატრმა და, როგორც ამბობენ, დიდი წარმატებითაც, ხოლო რამდენიმე ხნის წინ ჩვენ იგი ვიხილეთ დიდი თეატ-

რ-ლური ტრადიციების მქონე ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე

პოლ. კაკაბაძე, დ. ბენაშვილი, ვ. წულუკიძე და ამ სტრიქონების ავტორი სპეციალურად გავემგზავრეთ ქ. ქუთაისში, რათა გვენახა ქუთაისის თეატრის ეს ახალი დადგმა. სიმართლე უნდა ითქვას, ჩვენ არანაკლებ ვღელავდით, ვიდრე პიესის ავტორი პ. კაკაბაძე, როდესაც ამ სპექტაკლს ვუყურებდით ქუთაისის თეატრში. უდიდესი სიამოვნება და კმაყოფილება მოგვანიჭა ქართული დრამატურგიის ამ პირველხარისხოვანი ოსტატის ახალმა ქმნილებამ.

პ. კაკაბაძე კომედიოგრაფია. როგორც ცნობილია, კომედიაში კონფლიქტი ჩვეულებრივ ეფუძნება დაცინვას—მხილებას სიმახინჯისას, ყოველივე დრომოჭმულისა და უვარგისისას. მაგრამ დაცინვა და მხილება ყოველთვის როდი ემყარებოდა მძაფრ სოციალურ ძალებსა და იდეალებს. საკმაოდ გავრცელებული იყო კომედიაში იაფფასიანი გასართობები, თვითმიზნური კონფლიქტები. ჯერ კიდევ ვლ. მაიაკოვსკიმ განსაზღვრა ძირითადი მოვალეობა და ფუნქცია კომედიისა. საბჭოთა კომედიოგრაფები, ჩვენი მოწინავე დრამატურგები, მუდამ მძაფრად ამხილებდნენ და კიცხავდნენ ყოველივეს, რაც ხელს უშლიდა და აფერხებდა ჩვენს წინსვლას. საბჭოთა კომედიის პათოსს განსაზღვრავს საბჭოთა ადამიანის პოზიცია, მისი მორალური კოდექსი, რეალიზმის პრინციპი. სწორედ ამიტომ მუდამ დიდი საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა და აქვს საკითხთა იმ სფეროს, რომელსაც საბჭოთა კომედიოგრაფი ეხება.

პ. კაკაბაძის კომედიებში ყოველთვის გაკიცხულია, ის, რაც შეუფერებელია ჩვენს საზოგადოებრივ გრძნობებთან. ამ გზაზე პ. კაკაბაძის იდეური პოზიცია სავსებით ნათელია და თანმიმდევრულად ემორჩილება რეალიზმის პრინციპს. „უვარყვარე თუთაბერი“ ოციანი წლების საბჭოთა საქართველოს პირველი წლების სურათს მეტად ნიჭიერად და საინტერესოდ გადმოსცემდა კომედიის ფორმაში, „კოლმეურნის ქორწინებაში“ ასევე ნიჭიერად, გვიხატავდა დრამატურგი სოფლის ცხოვრების სურათებს, ხოლო პიესა „ცხოვრების

ჯარა“ თანმიმდევრულად ავითარებს ამ პოზიციას და სიმარ-თლით გამოხატავს სამოციანი წლების ჩვენი ცხოვრების სუ-რათს. ამ მხრივ ეს სამი პიესა ერთი მაღალი საზოგადოებრი-ვი სტილის, ერთი სუნთქვის და მორალის გამომხატველი ნა-წარმოებებია. ამ ტრილოგიას ერთი საერთო პათოსი აერ-თიანებს.

მე-20 საუკუნის რევოლუციურმა ეპოქამ, პირობითად რომ ვთქვათ, ორი ლიტერატურული ტიპი წარმოშვა: ერთი და უმთავრესია ტიპი რევოლუციური ადამიანისა, საზოგა-დოების უკეთესი იდეალებისათვის მებრძოლი გმირისა, რო-მელიც გამსჭვალულია რევოლუციის რომანტიკით, ურყევი რწმენითა და შემართების პათოსით, ახალი ცხოვრების დამ-კვიდრებისა და განმტკიცების პათოსით. მეორეა—რევოლუ-ციასთან მიტმასნებულის, პირადი კეთილდღეობისათვის, გამორჩენისათვის მებრძოლი ტიპი. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციასთან, კომუნისტურ პარტიასთან და მის საქმია-ნობასთან შემთხვევით მიტმასნებულ ამგვარ ადამიანთა კლასიკური სახე პ. კაკაბაძემ ჯერ კიდევ „ყვარყვარე თუთა-ბერში“ დაგვიხატა. საბჭოთა წყობილებასთან მიტმასნებუ-ლი დიდი პორტფელის მფლობელი პარტიული კაცის კლასი-კური სახე უთუოდ არის ნაჩვენები „ცხოვრების ჯარაში“ ლოპიანის სახით. ამ ხასიათის მხილებას საკმაოდ კონდენსი-რებულად და გამომეტყველი ფერებით უკავშირებს მწერა-ლი იმ სიმახინჯესა და წინსვლის ტკივილებს, რომელიც თან ახლდა ახალი საზოგადოების დაფუძნების ამ მძაფრსა და მღელვარე წლებს.

ნამღვილი საბჭოთა კომედია ის არის და ის აღწევს თავის მიზანს, რომელიც მძაფრად ამხელს და დასცინის უხეირო ადამიანს, უხეირო საქმეს, უხეირო მოქმედებასა და ამავე დროს მკითხველი ხედავს იმ გაცნობიერებული იდეალს, რომელსაც ემსახურება შემოქმედი ამ ნა-კლის მხილების დროს. და მხოლოდ ამ გზით არის ნათელი მკითხველისათვის, თუ ვის და რის წინააღმდეგ არის მიმარ-თული სატირის გესლი. საბჭოთა მწერალი ულმობლად უნდა ამხელს. რაც სახელს უტეხს ჩვენს ცხოვრებას, ჩვენი ადა-მიანის რევოლუციურ იდეალს, საბჭოთა მორალურ კოდექსს,

მაგრამ ამ მხილებაში უნდა ჩანდეს, თუ საითკენ მოგვიწოდებს და გვეძახის მწერალი. მას გულით უნდა უყვარდეს ის, რაც შხარდაჭერის ღირსია. უნდა ვთქვათ, რომ „ცხოვრების ჯარაში“ ზედმიწევნით არის დაცული საბჭოთა დრამატურგის ეს პოზიცია.

„ცხოვრების ჯარა“ თანამედროვე კომედიაა. თანამედროვე, ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით. პიესა მოგვითხრობს იმ დიდი ტკივილების შესახებ, რომელიც ჩვენი ცხოვრების განვლილ ეტაპს თან ახლდა. აქ გამოყვანილი მთავარი მოქმედი გმირი—ლოპიანე, დიდი თანამდებობის პირი, პირადი განდიდებისა და მომხვეჭელობის პათოსით მოქმედებდა. მან გარშემო შემოიკრიბა მავნებლების, მლიქვნელების, შინაკაცების, სულნამცეცა ადამიანების ჯგუფი. ეს შინაკაცები ქება-დიდებას ასხამდნენ მას, უსაფუძვლოდ განადიდებდნენ, ფეხქვეშ ეგებოდნენ და ისიც წლების განმავლობაში პარპაშობდა, თვითნებობდა და ცოტა ზიანი როდი მიაყენა ჩვენი დროის ადამიანებს. და ამ საქმეში ამ ფუყედ გაბერილ კაცუნას ხელს უწყობდნენ, პირადი კეთილდღეობისა და კარიერის მაძიებელი ადამიანები. ზოგიერთ მათგანს თავისთავად როდი აქვს ცუდი ბიოგრაფია. ავიღოთ, მაგალითად ზეფორე. ეს მშრომელი, მუშა ქალი იყო, შემდეგ დაწინაურებულმა მოღვაწე ქალის ყალბი ტახტი დაიდგა. ლოპიანეს წინაშე მლიქვნელობამ იგი გადაგვარების გზაზე დააყენა. ასე დაჰკარგა მან მოწინავე ქალის ღირსება. ასე დაემართა გერასიმეესაც. იგი ქარხნის დირექტორია, ამ თანამდებობას ლოპიანეს წყალობით მიაღწია. ამიტომაც საზიზღრად მლიქვნელობს მის წინაშე. მას დაუკარგავს თავისი სახე. ახლა ის ნაკაცარია, ლანდია ლოპიანესი.

მათ როდი ჩამორჩება ვიღაც მიჭუჭუნე, ეს უნიჭო მოლექსე, რომელიც უნიჭო ლექსებით განადიდებს და დაუმსახურებელ ქება-დიდებას ასხამს ლოპიანეს. მლიქვნელთა ამ ოჯახს აგვირგვინებს სინდის-ნამუსზე ხელაღებული კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქრისტოსტორე. ასეა შექმნილი ჭაობი, სადაც ეს გადაგვარებული ადამიანები, ორპირი და პირფერები დამყაყებულან. მწერალი დაუნდობლად ამხელს მათ და მზის სინათლეზე გამოაქვს მათი შავბნელი საქმიანობა. როცა მათ

მოქმედებას უყურებ, გული გტკივა —აი, სადამდე მისულან ეს ადამიანები, სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირნი, რომელთაც ხალხის ბედი აბარიათ. მათ დაუკარგავთ სულიერი სილამაზე, სიყვარული და პატივისცემა საზოგადოებისა; ავტორი ულმობლად ამხელს მათ საქციელს, მაგრამ ეს როდია კაცთგასართობი მხილება. ამ ადამიანებს, რომელნიც ჩვენს ცხოვრებას ტალახს ესვრიან, მწერალი მკაცრად სჯის. მხილებული არიან ისინი ამავე პიესაში წარმოდგენილი დადებითი გმირების მეშვეობით.

კომედიოგრაფმა როდი დააკლო ფერები და საღებავები კომედიის დადებით გმირებს. ეს მოწინავე, მაღალი იდეალების მქონე ადამიანები მწერალმა აღჭურვა დიდი სულიერი სილამაზით, ნათელი მიზანდასახულობით, საზოგადოებრივი მისწრაფებებითა და გრძნობებით. ეს დადებითი გმირები ახალგაზრდები არიან: იქნება ეს—თორნიკე — ქარხნის ოსტატ-გამომგონებელი თუ მისი მეგობრები: ციცინო, ჟუჟუნა, გვარამი და ბახუტა. სწორედ ისინი აღშფოთდებიან ლოპიანესა და მისი დამქაშების წინააღმდეგ. და პიესის კომედიური კონფლიქტიც ამ ძალთა ბრძოლის გზით მიიმართება. ამიტომ არის, რომ ფინალში დიდი ოპტიმიზმით ჟღერს აღნიშნულ კონფლიქტზე დაფუძნებული ხასიათების ბრძოლაში გამარჯვება კეთილი ძალებისა, მხილება გადაგვარებული კაცუნებისა. ეს ოპტიმისტური ხმა მოწინავე ადამიანებისა შთაგონებს ჩვენს მაყურებელს, რომ ლოპიანესა და მის მსგავს ადამიანებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ცხოვრების ჯარამ გააცამტვერა ეს პარაზიტები და მუქთახორები, ეს ყალთაბანდები და მლიქვნელები. განწირულია მათი ფართიფურთი. ეს ოპტიმიზმი აძლევს კომედიას უაღრესად თანადროულ, საზოგადოებრივ ჟღერას.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვნახეთ ჭეშმარიტად პროფესიონალური პიესა, შთაგონებული დიდი საზოგადოებრივი პათოსითა და გრძნობებით, აჟღერებული თანამედროვე საზოგადოებრივი მიზანსწრაფვით, მომხიბვლელი მხატვრული სრულყოფითა და ფორმით.

პ. კაკაბაძე, როგორც დრამატურგი, უფრო ხატვის ოსტა-

ტია, ვიდრე მოქმედებისა. მის პიესებში აქცენტი გადატანილია სიტყვიერ მასალაზე. იგი შეგნებულად გაურბის სიუჟეტზე დამყარებულ გამოგონილ „ტრიუკებს". მას მთელი სიძძიმე გადააქვს სიტუაციაზე, დიალოგზე, სიტყვაზე. შეიძლება ითქვას, რომ ხშირად ეს ლიტერატურული ღირსება პ. კაკაბაძის პიესებისა, დაბრკოლებად იქცევა ხოლმე, რადგან ამგვარი ხასიათის პიესებს თავისებური, სცენიური, თეატრალური გახსნა სჭირდება. დრამატურგის ენა ხატოვანია. ძოსწრებული ხალხური თქმები, ქვეტექსტები, იდიომები ისე ღრმად არის შეჭრილი პიესაში, რომ ის თუ არ აღმოაჩინა თეატრმა, ის თუ არ აღმოაჩინა რეჟისორმა, შეიძლება ეს მარგალიტები სავსებით დაიკარგოს და სცენურ შემოქმედებაში არც კი გამოჩნდეს.

ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს ნიჭიერად გაუხსნია პ. კაკაბაძის ახალი პიესის „ცხოვრების ჯარას" მხატვრული ჩანაფიქრი. დამდგმელი რეჟისორის ოთარ ალექსიშვილის სასახელოდ ასევე მსახიობთა მთელი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ძირითადად ნიჭიერად აღმოაჩინეს ამ პიესის მხატვრული სახეები, ისინი აამეტყველეს სცენაზე. მაყურებლისათვის მისაწვდომი გახადეს. ამით აიხსნება, ჩვენის აზრით, ის დიდი კონტაქტი წარმოდგენასა და მაყურებელს შორის.

შემსრულებელთაგან, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ რესპ. დამს. არტისტის შოთა პირველის მიერ შექმნილი სახე. როგორც ვთქვით, პიესაში გერასიმე წარმოდგენილია, როგორც ლანდი, სახედაკარგული კაცის აჩრდილი. იგი მექანიკურად მოქმედებს, სხვა კაცის ბრძანებით. ეს სახე შესანიშნავად გადმოგვცა მსახიობმა. აღსანიშნავია, რომ პიესაში ყველაზე უფრო ნაკლები სიტყვიერი მასალა აქვს მას, მაგრამ ისეთ მძაფრ პორტრეტულ ნიღაბს განასახიერებს შოთა პირველი თავისი ნიჭიერი გარდასახვით, რომ ერთბაშად სრულყოფს ავტორის ჩანაფიქრს.

ასევე საინტერესოდ წარმოადგინა ზეფორეს როლი რესპ. დამს. არტისტმა ქ. კოლხიდელმა. ეს რიგითი მშრომელი ქალი, შემდეგ დაწინაურებული და თანამდებობით განდიდებული, ბოლოს პატივმოყვარე მეშჩანური სულისკვეთებისა და

ფსიქოლოგიის ქალი,—მლიქვნელობისა და მავნებლობის ბუ-
დედ ქცეული—შესანიშნავად განასახიერა მსახიობმა. განსა-
კუთრებით ძლიერად წარმოადგინა ეს ხასიათი ფინალში, რო-
დესაც საბოლოოდ ნიღაბახდილი და განიარაღებული, ყველა-
საგან მიტოვებული მკაცრად ამხელს თავის საქციელს და ახალ-
გაზრდობის წინაშე აღსარებას წარმოთქვამს. ის გააფთრებული
დედა არწივს ჰგავს, რომელიც მზად არის,—ოღონდ ბუდე,
კერა არ მოეშალოს, ერთადერთი ვაჟიშვილი არ დაჰკარგოს
და ცხოვრება თავიდან დაიწყოს. ასევე შესანიშნავად გადმო-
გვცა ფუყე, გაბერილი, შინაგანად ცარიელი, მდგომარეობით
განდიდებული და შემდეგ მხილებული ლოპიანეს ხასიათი
რესპ. დამსახ. არტისტმა ვ. გვენეცაძემ.

როგორც ვთქვით, პიესაში დიდი როლი აქვს დაკისრე-
ბული ახალგაზრდებს. ამ პიესის დადებითი პათოსი მათ მო-
ქმედებასა და საქციელზეა დაფუძნებული. ამ მოწინავე ახალ-
გაზრდების იდეალი, მათი შრომითი რომანტიკა, მათი სუ-
ლის სიწმინდე და სიმშვენიერე შესანიშნავად განასახიერეს
ახალგაზრდა მსახიობებმა თ. ცისაურმა (ციცინო) და ზ. ქა-
ფიანიძემ (თორნიკე).

თუმცა მთელმა კოლექტივმა დიდი მონდომებით, სიყვა-
რულითა და გულწრფელობით განასახიერა მათზე მინდო-
ბილი როლი, უნდა შევნიშნოთ, რომ რეჟისორსა და მსახიო-
ბებს ჯერ კიდევ დასჭირდებათ უფრო ღრმად ჩასწვდნენ ავ-
ტორისეულ ტექსტს. მაგრამ მთავარი უკვე მიღწეულია და
ეჭვი არ არის, ისინი თანდათან გაამდიდრებენ ამ პიესას რო-
ლების სრულყოფით.

არ შეიძლება კვლავ განსაკუთრებით არ მივესალმოთ ქუ-
თაისის თეატრის ნიჭიერ კოლექტივს, რომელსაც სათავეში
უდგას აკაკი ვასაძე და რომელნიც ნამდვილად გრძნობენ იმ
დიდ პასუხისმგებლობას, რომელსაც აკისრებთ საბჭოთა
ხელოვნების, ქართველი ხალხის სამსახური. ამ პასუხისმგე-
ბლობისა და პატრიოტული შეგნების ნამდვილი გამოვლინე-
ბაა, რომ ასე გაბედულად მოჰკიდეს ხელი გამოჩენილი ქარ-
თველი დრამატურგის პ. კაკაბაძის ახალ კომედიას „ცხოვრე-
ბის ჯარას“ და ნიჭიერად აამეტყველეს იგი სცენაზე.

მიბვაცილებს ლექსების ტაში

მწერალს, თუ ის ნამდვილი, ჭეშმარიტი მხატვარია, უფლება არა აქვს მღელვარე ცხოვრების მიღმა იდგეს, თავს ირთობდეს წვრილმანი, ნეიტრალური თემებით. ჭეშმარიტი მწერალი ხალხის, ყოველი სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი ხალხის სიხარულითა და ტკივილებით უნდა ცხოვრობდეს, შრომობდეს და მოღვაწეობდეს. და ის, ვინც ახერხებს უშუალო შემოქმედებითი კონტაქტი დაამყაროს თავის ხალხთან, თავის მკითხველთან, ხალხის მიერ აღიარებული მწერალი ხდება. მკითხველის აღიარება და მოწონება კი დიდი ფაქტორია და დიდი ჯილდოც მწერლისათვის. იოსებ ნონეშვილი მკითხველისაგან საკმაოდ განებივრებული პოეტია. და ის ფაქტი, რომ ი. ნონეშვილის ლექსების წიგნის ორი ტირაჟი ასე ერთბაშად გაიყიდა, უთუოდ პოეტის პოპულარობაზე მეტყველებს.

იოსებ ნონეშვილს საინტერესო პოეტური ბიოგრაფია აქვს. იგი დიდი სამამულო ომის, ჩვენი ხალხის ამ მძაფრი ფიზიკური და სულიერი გამოცდის წლებში დავაქაცდა, როგორც პოეტი.

სამამულო ომის ქვემეხების გუგუნში პოეტი მთელი გზნებით უმღერდა საბჭოთა მეომრებს, ფოლადის მუზარადიან ჯარისკაცებს, მათ, ვინც სიკვდილის წინააღმდეგ სიცოცხლისა და სიყვარულის გამარჯვებისათვის იბრძოდა. მათ, ვინც ხალხთა გამარჯვებას სჭედდა, ვინც ჩვენი სიცოცხლის გაზაფხულს იცავდა. პოეტი ნიღაბს ხდიდა ომის, რბევის, ვანადგურების, ხალხთა დამონების მოსურნე ჰიტლერელ ჯაციჭამიებს. აღაგზნებდა ჩვენს ხალხს სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობით.

ი. ნონეშვილის ლექსები იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, თვითონ ჯარისკაცი უკითხავდა ამ ლექსებს საბჭოთა არმიის ქართულ შენაერთებს და მხურვალე ტაშით აჯილდოვებდნენ ჭაბუკ პოეტს. სრულიად ახალგაზრდა პოეტმა იმთავითვე ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ი. ნონეშვილი ერთბაშად პოპულარული პოეტი გახდა.

პოეტის ეს სამწერლო გზა თანმიმდევრულად განვითარდა ომის შემდგომ წლებში.—„მეც მსურდა მეთქვა ისეთი ლექსი, არ ყოფილიყო სტრიქონში ომი".—ამბობს პოეტი და აი, იგი უმღერის საბჭოთა ხალხის დიად სოციალისტურ აღმშენებლობას, ეხმაურება მის ყოველდღიურ ცხოვრებას. მრავალფეროვან სულიერ ინტერესებს.

ახლა, ჩვენს წინ ძევს პოეტის ოცი წლის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი. ყოველი მისი ფურცელი ჩვენი ცხოვრების მატიანეა, სავსე მღელვარებით, გულწრფელი განცდით, ხალასი გრძნობით.

საერთოდ, ყოველი წიგნი იმ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, რა როლი შეუსრულებია მას ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. თუ ამ პრინციპით განვიხილავთ იოსებ ნონეშვილის ლექსების წიგნს, პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი ლექსები იმთავითვე დიდად ეხმაურებოდა ჩვენი ხალხის ცხოვრებას. სამამულო ომის წლებში ეს ლექსები მოგვიწოდებდა დაგვეცვა ჩვენი სამშობლო, ხალხთა საოცნებო პირველი სოციალისტური სახელმწიფო. ომის შემდგომ პერიოდში ნონეშვილის ლექსები კვლავ მოგვიწოდებს გმირული შემოქმედებითი შრომისაკენ, მშვიდობისა და სიცოცხლის დასაცავად, მისი ლექსები სიყვარულში გვაფაქიზებს, ძმობაში გვაჯიბრებს. და მომავალი მემატიანე, როცა გადაშლის ამ წიგნს, წაიკითხავს და მადლიერების გრძნობით დახურავს.

* * *

აი პირველი ლექსი, პირველი სიტყვა... („მობრძანდით, გელით"...) იგი ეკუთვნის მას, რითაც ვამაყობთ და მოგვაქვს თავი, რაც ყველაზე ძვირფასი, ყველაზე სანუკვარი და სათა-

ყვანებელია. იგი მიმართულია დედა სამშობლოსადმი, მათდამი, ვინც მძიმე განსაცდელში ურიცხვი მტრისაგან დაიცვა ჩვენი სამშობლო, ჩვენი ხალხი, ჩვენი ენა ქართული. რა უბრალოდ, რა სადად არის გამოთქმული ქართველი კაცის მადლიერების გრძნობა დედა სამშობლოსადმი. სიტყვის სისადავე ყველაზე დიდი სიბრძნეაო, ამბობდა სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი. ამავე დროს ეს სისადავე ძნელად მისაგნებია. ი. ნონეშვილი ხშირად ახერხებს გადამდები ემოციური ეფექტით ერთბაშად დაიპყროს მკითხველი. ამ მხრივ განსაკუთრებით ძლიერია მისი პატრიოტული ლირიკა. მოვიგონოთ თუნდაც: „თუ დედა ენით არ ხარ გაზრდილი“, „თუ საქართველო არის ედემი“, „არის ასეთი ქვეყანა“, „კახეთი“, „ჩვენი, ქართული“... ამ პატრიოტულ ლექსებს ავტორი მაღალ პოეტურ ბრწყინვალებას ანიჭებს.

ჩვენ კარგად ვიცით სიბრძნე ნამდვილი,
შენს წმინდა წიგნში ამოქარგული;
თუ დედა ენით არ ხარ გაზრდილი,
გულში გაკლია ცეცხლი ქართული.—

ასე მიმართავს პოეტი „დედა ენის“ ავტორს—იაკობ გოგებაშვილს, ან ავიღოთ ლექსი „საქართველო“. შეიძლება ითქვას, ჩვენში არც ერთ საგანზე იმდენი არ დაწერილა, რამდენიც საქართველოზე, მაგრამ მაინც მარად ახალი და დაუბერებელია ეს ძველი თემა. ი. ნონეშვილის დასახელებულ ლექსში კვლავ მაღალი პატრიოტული ჟღერა მოიპოვა სამშობლომ, დედა საქართველომ. პოეტი არ ივიწყებს წარსულის სურათს. მართალია, „მტერს მტრულად ხვდებოდა ძველი ქართლი და კოლხიდა“, მაგრამ „სიკვდილი ჰქროდა ველებზე, ნასახლარს ხავსი ჰფარავდა“. საქართველოს ნამდვილი განახლება, მისი აღორძინება და აყვავება ჩვენს ეპოქაში მოხდა... მარჯვნივ შავი ზღვა ლივლივებს, მარცხნივ ამაყი მთები აზიდულა და ყველგან შემოქმედებითი შრომის ზეიმია. მზიანი, ბარაქიანი გამხდარა საქართველო, ყველგან „გამარჯვებული ხალხის გუგუნი“ ისმის. ასე გამოხატავს პოეტი საბჭოთა პატრიოტიზმის აზრსა და გრძნობას. ი. ნონეშვილის

ლექსებში ქართველი კაცის ფიქრი და აღმაფრენა დასატულია დიდი პოეტური ძალით და პოეტური ჰიპერბოლაც ხშირად ამ პატრიოტულ აზრს ემყარება:

> აბა ვინ თქვას: თავის მთით და ბარითა
> პატარაა საქართველოს მიწა...
> მზეს ეხება, ისე მაღლა ავიდა,
> ალბუზით მეშვიდე ცას მისწვდა.

(„არის ასეთი ქვეყანა“)

ცალკე უნდა აღინიშნოს ლექსი „ლენინი“. ეს საინტერესო სიუჟეტიანი ლექსია. 1942 წელი... ცაზე შავი ღრუბლები ჩანდა, მძიმე ჩექმით, საველე ჩანთით ომში მიმავალი ჯარისკაცები ფიცს სდებენ „დიდი აკლდამის წინაშე“:

> ვერას გვაკლებდა
> ტყვია წყეული,
> რადგან სიკვდილთან კვეთების დროსაც
> გვფარავდა მარად
> ცადაწეული
> დიდი ლენინის ფრთალაღი დროშა.

ლენინის დროშა წინ მიუძღოდა არა მარტო ჩვენს ხალხს, არამედ მსოფლიოს ყოველ პატიოსან მშრომელს, როცა პრაღასთან მოკლულ ჩეხს დახვდეს, აღმოჩნდა, რომ „ჩეხს სურათი ლენინისა დაემალა გულთან“. ომში გამარჯვებულ ხალხს შრომაშიაც ეს დროშა მიუძღვის წინ და ახლაც იგი მხარში უდგას მშვიდობის მომხრეთ. „ლენინი“ ერთი საინტერესო ლექსთაგანია მათ შორის, „რომელნიც დიდი ბელადის შესახებ დაწერილა.

* * *

ი. ნონეშვილის პოეტური დაჭაბუკება, როგორც ზევით ვთქვით, ომის წლებში მოხდა. თუ რამდენად ნაყოფიერად მუშაობდა პოეტი ომის ქარიშხლიან წლებში, ნათლად ჩანს წიგნში. აქ ყველაზე დიდი ადგილი სწორედ ომის თემაზე დაწერილ ლექსებს უჭირავს. ამ ლექსებში გვესმის პოეტის მართალი გულის ფეთქვა, საბრძოლო ყიჟინა მტრის წინააღმ-

დეგ ამხედრებული ხალხისა. შიგადაშიგ ომის მძიმე განსაცდელით გამოწვეულ სევდიან სტრიქონებსაც შეხვდებით, მაგრამ აქაც მთელი ხმით ღაღადებს იმედი, გამარჯვების რწმენა.

ლირიკული განცდით არის დაწერილი „ჯარისკაცის სიმღერები". ლექსიდან ნათლად ჩანს, მჭედელი თუ ხარატი, მევენახე, მწყემსი თუ გუთნისდედა, რა გმირულად იცავდნენ საბჭოთა მიწის ყოველ მტკაველს. „თუ რამდენი წმინდა სისხლი დაეპკურა მიწას, რომ გვეხილა შუქნათელი გაზაფხულის დარი"...

ულმობელ ბრძოლაში ბევრი ახლობელი ადამიანი დაეცა. ამ ტკივილით გამოწვეულ გრძნობას გამოხატავენ გულის დამწველი სტრიქონები:

სად ხარ, ძმაო, ჩვენ სიმღერა
ერთად უნდა გვეთქვა.
ტყვიამ როგორ ჩააჩუმა
შენი გულის ფეოქვა?!
ღებერვალი მიიწურა,
მარტი კარებს აღებს,
მზემ ღიმილით გადმოხედა
საქართველოს ბაღებს.
ალბათ ახლა ჩრდილოეთშიც
ჯარისკაცის საფლავს
უკვე გაჰკრა გაზაფხულმა
ფრთამაღალი აფრა.
და პირველი ია-ია,
შენს საფლავს რომ შვენის,
სამშობლოზე ოცნებაა,
ოცნებაა შენი.

პოეტმა იცის, რომ უკვდავია სამშობლოსათვის თავდადებულთა სახელი — „მე ვნახე, როგორ უკვდავი სიცოცხლის გამომხატველი თავზე დაადგა მათ საფლავს მარადიული ნათელი". ბატალურ სცენებს, ომის სურათებს, მომწოდებელ მებრძოლ ხმებს ი. ნონეშვილი ხშირად დიდი ლირიკული ინტერმეცოთი ცვლის, და ეს ისე ბუნებრივია, თითქოს იგი ერთგვარ სულიერ შესვენებას ემსახურება. როცა მიწუნარდება ქვემეხების გრიგალი, სანგარში შუქად ჩამოდგება სატრფოს აჩრდილი:

წამით, როცა მიწუნარდება
ზეცა ნაგრიგალები,
სანგარს შუქად დაადგება
შენი წუნარი თვალები.
დამიდგები ისევ თვალწინ
თოვლისფერი კაბითა...
პეპლებს იჭერ ცისფერ ბადით
წყაროს მწვანე ნაპირთან.

პოეტი ქმნის ჯარისკაცის ინტიმური ცხოვრების გამომსახველ შესანიშნავ ლირიკულ პასაჟს. შემდეგ იმ რომანტიკულ თხრობას კვლავ სცვლის მებრძოლ ქალთა სახეები, სამშობლოსათვის სიცოცხლედაუზარელი „თეთრი და ქერათმიანი" გოგონების თავგადასავალი. მათ შორის დაუვიწყარი პოეტური მადლით არის გასხივოსნებული ზოია კოსმოდემიანსკაიას, ამ გმირთაგმირი ქალის სახე: „მოდიან და შენს საფლავთან ქედს იხრიან გმირები". შეუდრეკელი ნებისყოფა ჩვენი დროის სახელოვანი ქალიშვილისა დახატულია დიდი პოეტური მგზნებარებით. ანდა, ავიღოთ მეორე ლექსი „ჩვიდმეტნი". ჩვიდმეტმა ვაჟკაცმა ზღაპრულად ისახელა თავი. უთანასწორო ბრძოლაში, „ვიდრე მაჯა ჰქონდათ", ხოცეს და ხოცეს ყვავ-ყორნები, მაგრამ სძლია მტრის სიჭარბემ და ტყვედ ჩავარდნილ დაჭრილებს წინადადებას აძლევენ: თუ გინდათ სიცოცხლე შეინარჩუნოთ, „უნდა ყველამ დაიძახოს, გაუმარჯოს ჰიტლერს". სამშობლოს პატრიოტებმა თვალით გაზომეს ერთმანეთი და შემდეგ ერთხმად სამშობლოს უსურვეს გამარჯვება.

* * *

იოსებ ნონეშვილის ლექსი ჩვენი ხალხის შრომისა და სულიერი ცხოვრების გამოძახილია. იქნება ეს სამგორის ველის ნაკადულის ხმით ამღერება, ახალი საქართველოს სიამაყის— რუსთაველის, ქუთაისის ავტოქარხნის, თუ სოციალისტური სოფლის შრომის გმირების ხელუხვი შემოქმედებითი შრომა... პოეტი გვიხატავს იმას, რაც საბჭოთა ადამიანის გულმხურვალე აღტაცებას იწვევს. იგი უმღერის ჩვენი ადამიანების პატრიოტულ ღვაწლს და ყველგან ყურადღების ცენტრში ახალი, საბჭოთა ადამიანია, მისი დაუშრეტელი ენერგია, მისი

შართალი გრძნობა და კეთილშობილური მიზნები. ამ მხრივ გვიტაცებს ლექსების ციკლი „ახალი თბილისი“. პოეტი უმღერის ახალ თბილისს, საქართველოს დედაქალაქს, მის გამშვენიერებას და აღორძინებას. „ჩემი თბილისის მხრები ბებერი, გამხდარა ტახტი გაზაფხულისა და ნათელი მზის საბრძანებელი“, დედასავით დასაფიცარი. თბილისი ჩვენი ნატვრის თვალია. მშვენიერია არა მარტო ლამაზი ხეივნებით, ბაღებითა და ფოთლების ენით, არამედ მოწინავე ადამიანებით,—თბილისი, გმირთა საბუდარი, „ხარაჩოების გვირგვინში ელავს“. პოეტი უმღერის ინდუსტრიულ თბილისს, ახალ ქარხნებს, თავდადებულ მუშებს, ვისი ალალი მარჯვენითაც ჩვენი ქალაქი ლამაზდება. აქ მრავალი საყურადღებო ლექსია. მათ შორის გამოირჩევა „ლენინის რაიონის მუშებთან“, „ავლაბრის სტამბასთან“, „რას ამბობს მტკვარი“, „შემოდგომა თბილისში“.

ი. ნონეშვილის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სატრფიალო ლირიკას. ნათელი პოეტური საღებავებით გვამცნობს პოეტი თავისი სულის ინტიმს. უთუოდ დასამახსოვრებელი ლექსებია: „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“, „გამიგონია“, „მაგრამ გაგიბედავ“ და სხვ.

წიგნში რამდენიმე ლექსი მიეძღვნა ხალხთა მეგობრობის თემას. ეს ლექსები გვიტაცებენ გულწრფელობით, უშუალობით. ჩვენი ადამიანების მეგობრობის გრძნობა დიდი ბუნებრიობით არის გამოხატული. აი ულიანა ბაბინა. ამ ციმბირელ გოგონას კრემლში, საბჭოთა ადამიანების ამ საოცნებო სახლში, გაიცნობს საკავშირო ალკა მეთერთმეტე ყრილობის დელეგატი პოეტი. პოეტი უყვება მას ქართველ მონადირეთა თავგადასავალს, მაგრამ მისმა მონათხრობმა „ამბავმა გასაოცარმა“ როდი გააკვირვა ქალი. ეს ცისფერთვალა, კაფანდარა, ციმბირელი ქალიშვილი თავად ყოფილა ცნობილი მონადირე:

...და როდესაც, ყრილობაზე
ყურს ვუგდებდით ხარბად —
იმ პატარა მონადირის
დიდს, ვაჟკაცურ ამბავს,

სიხარულის, სიამაყის
ფიქრმა გამკრა გულზე.
დე, იცოდეს ჩვენს ქვეყანას
ვინც მგელივით უმზერს,

რომ პატარა გოგონასაც
ჩვენში გმირი ჰქვია
და ორფეხა ნადირებსაც
არ აცდენს ტყვიას!

ასე ახერხებს პოეტი უაღრესად ადამიანური გრძნობების ფონზე დახატოს ხალხთა მეგობრობის უტყუარი სურათი. ეს სურათი გვხიბლავს უშუალობით და ხალასი გრძნობით.

ი. ნონეშვილმა ხანგრძლივად იმოგზაურა ყაზახეთსა და სომხეთში და შექმნა ლექსების მთელი ციკლი მათზე. ამ განყოფილებაში ყურადღებას იპყრობს ლექსები „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი", „ყიზი ყუუ—დაეწიე ქალიშვილს", „ოჯახი, დროშა, ჭეშმარიტება" და სხვ.

ასევე გულწრფელი სტრიქონები უძღვნა პოეტმა დიდ აშუღს საიათნოვას, რომელიც სამ ენაზე უმღეროდა ძმობას და „ოცნებობდა ხიდის გადებას სამ ძმათა შორის". მხოლოდ ჩვენს დროში განხორციელდა მოწინავე ადამიანების ეს სანუკვარი ოცნება:

სამი კი არა, ასობით ხალხი
ძმად შევფიცულვართ... სხვაც ჩვენთან მოვა.
გაიხარებდი დღეს ჩვენი ნახვით,
ჩანგცეცხლიანო, საიათნოვა...

ძმობისა და მეგობრობის ფიცით შეკრულ საბჭოთა ხალხებს მშვიდობა სურს, მაგრამ გულშავი მტერი არ ისვენებს, „ზღვის გალმა ღრინავს მტერი ტიალი". თავისუფლების მოყვარე ხალხი არავის დაანებებს, კვლავ ზარბაზნების კვამლით დაინისლოს მსოფლიოს მიწა. ხალხი ამხელს ომის გამჩაღებლებს.

მაგრამ თუ თავხედი მტერი კვლავ მახვილს ამართავს ღედა სამშობლოს წინააღმდეგ, ჩვენი ხალხი ნატყვიარი დროშებით აღსდგება, როგორც ერთი კაცი. კარგად ამბობს პოეტი:

ღედა სამშობლოს დიად ძახილზე
მოვა გმირების რაზმი ფრთამალი,
ამ მთებზე უფრო გოლიათები,
ამ ვარსკვლავებზე უფრო მრავალი.

იოსებ ნონეშვილის ლექსების ამ წიგნში ყველაფერი როდია უნაკლო. მაგალითად სუსტია ლექსი „არწივო, წაიღეგული სისხლიანი“:

ჩამოდგა სიჩუმე.
ვით ვეფხვმა დაჭრილმა,
გრიგალმა ომისამ
შორს გადიღრიალა.
ნისლივით ჩაივლის
სიკვდილის აჩრდილი
და ერეოლა დაუვლის
ნაომარ იარაღს.

ამ ლექსში არც აზრია ნათელი. სამწუხაროდ, ასეთი დაშტამპული ლექსებიც გვხდება კრებულში.

* * *

საქართველოს ალკა მე-17 ყრილობისადმი მიმართულ ლექსში იოსებ ნონეშვილი ამბობდა, — ჩვენ ვალდებული ვართ თქვენი გმირობა კალამს გავანდოთ, თქვენი ეპიკური სახე პოეტურ სიტყვაში გამოვხატოთ. უნდა ვთქვათ იმათ შესახებ, „ვინც სიკვდილს შეება ასე ძლიერად, რომ ქვეყნად სიცოცხლეს ებედნიერა“:

სიმფეროპოლის ბნელ ჯურღმულიდან
გვიხმობს ზოია რუხაძის ლანდი.

და მართლაც, ი. ნონეშვილი წავიდა იმ გმირ ქალაქში, ყოფილი ბრძოლის ველი ინახულა, ზოია რუხაძის ამბავი დაწვრილებით გამოიკითხა და სამი წლის შემოქმედებითი შრომის შემდეგ დასწერა პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა“. პოემაში გაცოცხლებულია საბჭოთა პატრიოტის, ზოია რუხაძის თავგადასავალი, მისი თავგანწირვა სამშობლოსა-

თვის, მისი პარტიზანული ცხოვრება. განსაკუთრებით შთამ-ბეჭდავია თავები: „ფიქრები მშვიდობაზე“, „ყირიმის ტყეში“, „წამება“ და „უკვდავება“. პოეტი ზოია რუხაძეს სახელოვან წინაპრებთან, სამშობლოსთვის წამებულ შუშანიკსა და ქეთევანთან აკავშირებს და ამბობს:

მაგრამ, იაკობ, შენც თეიმურაზ,
განა ზღაპრადაც გაგიგონიათ,
წარმოიდგენდით განა იმ სურათს,
როგორ აწამეს ჩვენი ზოია.

ზოია რუხაძე პოემაში ნაჩვენებია, როგორც ზოია კოსმოდემიანსკაიას შემოქმედებით შთაგონებული გმირი. პოეტი ასე გამოხატავს მათს სულიერ თანაზიარობას:

მე შენ გამოგყე ბრძოლის დიდ გზაზე,
მეც ჩვენი ქვეყნის სიკეთე მსურდა,
გამბედაობას და სიმამაცეს,
დაო, მე შენგან ვსწავლობდი მუდამ!..
—ჩვენ ხომ ორივეს გვსურდა მშვიდობა,
სწავლა გვინდოდა, შრომა გვინდოდა!..

პოეტი ანზოგადებს სამშობლოსათვის თავგანწირულ ადამიანთა უკვდავების იდეას. ახლაც, შორეულ კორეაში, როცა ამერიკელებისაგან ხეზე მიკრულ, საკინძეჩამოხეულ გოგონას ეკითხებიან, ვინა ხარ? სად იყავ, თქვენი ნაწილი სად არისო? ის შეუდრეკლად უპასუხებს: „—ჩვენი ნაწილი სუყველგან არის, სახელი გინდათ? ზოია მქვია“. მოჰყავთ მეორე, მოჰყავთ მესამე, „ზოია მქვია, ზოია მქვია“, იმეორებენ ისინი. და ბოლოს დასძენს პოეტი: „სამშობლოსათვის მებრძოლ ქალიშვილს, ყველა ქალიშვილს ზოია ჰქვია“. ასე ქცეულა ზოია გმირობისა და ვაჟკაცობის სიმბოლიურ სახელად. პოემა მაინც არ არის ძლიერი. ჩვენი აზრით, არ არის მხატვრულად დამაჯერებელი და ნათლად მოტივირებული ზოიას მიერ გერმანელი ოფიცერის შეცდომაში შეყვანა, ასევე მეტი მოტივირება სჭირდება ფაშისტი ოფიცრების ტანისამოსში გადაცმული ქართველებისა და ზოიას პირველი შეხვედრის სცენას; არც პოემის სიუჟეტია კომპოზიციურად შეკრული.

* * *

პოეტური მეტყველების ღირსება უმთავრესად მის ორიგინალობაში, ინდივიდუალობაში უნდა ვეძიოთ. მხოლოდ პოეტურ ორიგინალობაში როდი იგულისხმება, თითქოს პოეტი ზეციური არსება იყოს, არავინ ჰყავდეს წინამორბედი. ყოველ ორიგინალობას ლიტერატურულ ტრადიციაში ღრმად აქვს ფესვი გადგმული. მასში აღბეჭდილია ნაციონალური ღირსება თუ თვისება წარსული პოეტური კულტურისა. ი. ნონეშვილის შემოქმედებაში ბევრჯერ იპოვით ამ ტრადიციებთან უშუალოდ დამაკავშირებელ ძაფებს.

პოეტური ნაწარმოების უმთავრეს ღირსებას საღებავების, ფერების, სიტყვების სათანადო შერჩევა, მოვლენისა და საგნის მხატვრული ასახვა წარმოადგენს. რამდენადაც მდიდარია ლექსის მხატვრული ინვენტარი, იმდენად საინტერესოა ლექსი და პირიქით. როგორადაც არ უნდა იყოს აქტუალური თემა, შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მივიღოთ, თუ ის პოეტურად ღარიბია. აქტუალურ თემაზე დაწერილ ლექსს არავითარი აზრი არ ექნება, თუ აქ მხოლოდ საკითხის შიშველ თემატიკურ მხარეს ვიგულისხმებთ და ლექსის მხატვრულ ღირსებას უგულებელვყობთ.

ვისაც პოეტობა მარტოოდენ რითმის შეწყობა ჰგონია, არასოდეს გახდება მკითხველის საყვარელი პოეტი. რითმის შეწყობა ელემენტარული პირობაა. უმთავრესი მაინც ის არის, როგორი პოეტური ძალით, რა ორიგინალობით არის შეზავებული პოეზიის ძირითადი მოთხოვნილება—სახეებით აზროვნება. ვინც ახერხებს ადამიანის ბუნებრივი გრძნობა, ხალხის ფიქრი, განწყობილება და სურვილი სადად, მაგრამ მდიდარი პოეტური ინვენტარის ორიგინალური შერჩევით გამოხატოს, მისი ნაწარმოები ხალხის კუთვნილებად იქცევა. სწორედ ამიტომ მწერლობაში მუდამ მწვავედ იდგა შინაარსისა და ფორმის ერთიანობის თუ მთლიანობის საკითხი, მით უმეტეს, დღეს, სოციალისტური რეალიზმის უპირველესი მოთხოვნაა საბჭოთა სინამდვილის შესატყვისი მაღალმხატვრულობით ასახვა.

ლექსის ღირსება მის ემოციურ ძალაშია, იმაში, თუ რამ-

დენად ხვდება იგი ჩვენს გულს, რამდენად აგვაღელვებს, აღგვაგზნებს ის გრძნობა, რომელიც პოეტს განუცდია. მრავალი ლექსი კაბინეტური აკადემიზმის სრული დაცვით იწერება. პოეტიკის წესით აქ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ხშირად ამგვარი ლექსების წიგნს ვფურცლავთ, ვხურავთ, შემდეგ კი არავითარი შთაბეჭდილება არ გვრჩება.

ჩვენ ბევრჯერ შევსწრებივართ ასეთ ფაქტს: ტრიბუნაზეა იოსებ ნონეშვილი, ლექსის კითხვით მოხიბლული აუდიტორია აღარ ეშვება პოეტს, ტაშისაგან ზანზარებს დარბაზი. გვიან, გვიან ჩადგება ხოლმე ეს ქარიშხალი. დარბაზიდან გამოვდივართ და თან მოგვაცილებს ლექსების ტაში.. ცნობილი ამერიკელი პოეტი ლუის სიმპსონი ამას წინათ ჟურნალ „ამერიკაში" გამოქვეყნებულ ანკეტაში აცხადებს: ვერ ვიტან პოეტებს, რომლებიც საზოგადოებაში ტრიბუნაზე შედგებიან და ლექსებს კითხულობენო. მაგრამ იმავე ჟურნალის ფურცლებზე მეორე, არანაკლებ ცნობილი პოეტი, თავის აზრს შემდეგნაირად აყალიბებს: ვისაც კარგი ლექსის ემოციურად წაკითხვა არ შეუძლია, არც გრძნობა აქვს პოეზიისაო. პოეტი ვალდებულია გაახალისოს ჩვენი გრძნობა ლექსის კარგად წაკითხვითო. რასაკვირველია, ლექსის არტისტულ კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს და არა ერთსა და ორ პოეტს მოუპოვებია ამ გზით პოპულარობა. პოეზიის მოყვარულებზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს კარგად წაკითხული ლექსი, ოღონდ ყველა როდი ახერხებს დეკლამაციით დაგვატკბოს, მხოლოდ ზოგიერთი აღწევს ასეთ შედეგს. ლექსი წაკითხვის უმალვე ამჟღავნებს, რამდენად სიცოცხლისუნარიანია იგი. ყოველ შემთხვევაში, მხატვრული წაკითხვა ახალი ლექსის ბედის გადამწყვეტ ფაქტორად ითვლებაო. წერილის ავტორი აქვე იმოწმებს დილან ტომასს: „ყველაფერი, რასაც ამ ეფექტის მისაღწევად შეიძლება დაეყრდნოს ავტორი-დეკლამატორი— ეს არის გადასცეს მსმენელს ის პირველი იმპულსი, პირველი შთაბეჭდილება, რომლებმაც უბიძგა პოეტს შეექმნა ეს ნაწარმოები. გააღრმაოს შინაგანი აზრი, ქვეტექსტი ლექსისა." ეს სწორედ ის მხარეა ლექსისა, რომელსაც ასე მახვილად აღიქვამს მსმენელი.

ი. ნონეშვილი დიდი ოსტატობით ახერხებს მკითხველამ-

დი მიიტანოს ლექსის მთავარი მხარე, აზრი, რომლის გამოც დაიწერა ეს ლექსი.

ი. ნონეშვილს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ტაშით ხვდებიან და გულისყურით უსმენენ, უყვართ და პატივს სცემენ. რით აიხსნება ეს? ზოგიერთს ჰგონია, ეს გამოწვეულია იმით, რომ ი. ნონეშვილი კარგად, უაღრესად არტისტულად კითხულობს თავის ლექსებს. რასაკვირველია, კითხვას, არტისტულ კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს და ლექსის ემოციურ ზეგავლენას დიდად ხელს უწყობს, მაგრამ თუ თვითონ ლექსში არაფერია პოეტური, მაშინ კარგი წაკითხვა, რაგინდ არტისტულიც არ უნდა იყოს იგი, საქმეს ვერ უშველის. უმთავრესი მაინც თვითონ ლექსია, მისი იდეურ-მხატვრული ღირსება. ბოლოს და ბოლოს, ი. ნონეშვილის ლექსებზე წარმოდგენა უმუშავდება მკითხველს არა მარტო ავტორის წაკითხვით. არამედ იმითაც, რომ ნონეშვილის ლექსებს თვითონ კითხულობს და ხშირად იზეპირებს კიდეც. და ამ ლექსებს თვითონ რომ არ ჰქონდეთ მაღალი პოეტური ღირსება, მაშინ საპნის ბუშტივით გაქრებოდა მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება. ი. ნონეშვილის პოპულარობის პირველი წყარო მისი ლექსებია.

ი. ნონეშვილი უაღრესად ნაციონალური პოეტია, ეროვნული ემოციების პოეტი, ამასთან მახვილი და იდეურია მისი ლექსები. როდესაც ი. ნონეშვილის ლექსებს კითხულობთ, გრძნობთ ქართული ლექსის სურნელს; ყოველივე ამას პოეტი ოსტატურად უფარდებს სათქმელს. მისი ლექსების ინტონაცია მოწოდებითია, ფართო აუდიტორიისათვის განკუთვნილი. ამ ინტონაციის მახვილი კი ყოველთვის გამომწვევია, მიზნობრივად გაანგარიშებული, რაც მის ლექსებს თავისებურ ელფერს ანიჭებს. დაღვარჭნილი, განგებ გაბუნდოვნებული, დანისლული სტრიქონები არ სჩვევია პოეტს. ბარაქიანი ქართული ენა თავისუფლად და ძალდაუტანებლად მოედინება. მის სტრიქონებში ხშირად იელვებს კლასიკოსების ლექსებთან უშუალო მსგავსება; ასე, მაგალითად:

მოღუღუნებენ ჩონგურნი,
ზედ ლამაზები გალობენ,
ქალები ვარდებს სწუნობენ,
ვარდები ყმაწვილქალობენ.

მთას შვენის ელვის პირბადე,
ცას—ცისარტყელის ქამარი.
თეთრად თოვს თეთრი ზამბახი,
მუქლურჯად—იასამანი.

ამ ლექსის წაკითხვისას უთუოდ მოგაგონდებათ აკაკის ფრაზეოლოგია და ვაჟას სტრიქონებიც. მაგრამ ეს ცუდი როდია. ი. ნონეშვილი იცნობს, ზედმიწევნით კარგად იცნობს ქართული ლექსის ტრადიციას და თავისი პოეტური სიტყვით ეხმაურება ქართული ლექსის სახელოვან წინაპრებს.

ი. ნონეშვილის წერის მანერის ზოგად ნაკლად მიგვაჩნია, რომ პოეტი ხშირად სადეკლამაციო მომენტს სწირავს პოეტურ ჩანაფიქრს. ღრმა ქვეტექსტები ნაკლებად გვხვდება ი. ნონეშვილის ლექსებში. მის ლექსებში ერთბაშად ყველაფერი გასაგებია და ამ მიზნით გამარტივებული. მეტისმეტად გამარტივება კი ლექსს აღარიბებს. პოეტი უნდა ერიდოს ასეთ ზღვარზე ყოფნას.

ი. ნონეშვილმა ერთ ლექსში მდინარე ივრის მიერ გაცოცხლებულ სამგორის ველს ხალხის გაზაფხულის სიმღერა უწოდა: „ვით ბუნების და ხალხის გულისხმა, ისმის სიმღერა გაზაფხულისა". კარგად არის ნათქვამი. ეს დახასიათება სადღაც ეხმაურება თვით ი. ნონეშვილის პოეზიის არსს. მისი ლექსები სიმღერაა, სიმღერა ხალისის, ახალგაზრდობის, გაზაფხულისა. ეს ოპტიმისტური ხალისი და პათოსი დამახასიათებელია ი. ნონეშვილის პოეზიისათვის,

ალაზანზე

უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა პროზას რამდენიმე თვალსაჩინო ნაწარმოები შეემატა, რომელთაც მოიპოვეს ჩვენი მკითხველის ყურადღება და სიყვარული. მე მხედველობაში მაქვს შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი“, კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, ა. ბელიაშვილის „უღელტეხილზე“, ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“ და თ. დონჟაშვილის „ალაზანზე“.

ამ რომანების გამოქვეყნება უთუოდ წარმოადგენს ერთგვარ მობრუნებას, გარდატეხას ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. პროზის ეს ერთგვარი აღმავლობა არ შეიძლება სიხარულს არ იწვევდეს მკითხველის გულში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი სოციალური მოვლენების, ხასიათების შექმნას, ერის ნაციონალურ თვისებათა და ღირსებათა გამოხატვას უპირატესად დიდი მხატვრის ეპიკური ტილოები ახერხებენ. დიდი მწერლობა წარმოუდგენელი იქნებოდა ამ ფართო მხატვრული ტილოების გარეშე, ეს განსაკუთრებით შეეხება ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას.

თ. დონჟაშვილის რომანი „ალაზანზე“ ყურადღებას იპყრობს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემის მხატვრული დამუშავებით. ავტორი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში ტრიალებს და აქტუალური პრობლემის გაბედული განზოგადებით გვაჩვენებს იმ რთულ საზოგადოებრივ ვითარებას, რომლის ფონზე იბადება ახალი, რომელიც ებრძვის ყოველგვარ ძველსა და დრომოჭმულს. გადალახვა იმ დაბრკოლებებისა და წინააღ-

მდეგობებისა, რომელიც ახლისათვის ბრძოლაში იქმნება— არის ამ რომანის ძირითადი პათოსი.

თ. დონჟაშვილმა მოახერხა, ამ რომანის მიხედვით, ვრცლად გამოეხატა საყოველთაო აზრი, რომ ისტორიის წამმართველი ძალა ხალხია. და ეს ნაჩვენებია არა ზოგადი დეკლარაციებითა და სქემებით, არამედ რომანის მდიდარ მხატვრულ ქსოვილში, მის სულში ჩანს ეს ჭეშმარიტება; ხალხში არასოდეს ყოფილა ისეთი ნამდვილი მშენებელი და შემქმნელი ისტორიისა, როგორც დღეს არის. სწორედ ამიტომ თანამედროვეობის თემაზე მომუშავე ავტორებს მართებთ, ყურადღების ცენტრში დააყენონ რიგითი ადამიანები და მასთან დაკავშირებული მოვლენები და ფაქტორები. გამოსახო და აჩვენო ხალხი, როგორც ქვეყნის დოვლათის, სიკეთის შემქმნელი—საბჭოთა რომანისტის უპირველესი მოვალეობაა. რომანში „ალაზანზე“ ნაჩვენებია, რომ ცალკეულ ადამიანებს, თვით ხელმძღვანელ მუშაკებსაც კი, თუ ისინი ხალხს გამოეთიშებიან, ადგილის დედას მოწყდებიან, შეცდომებსაც უშვებენ, გავლენის ქვეშაც ექცევიან და ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდაც მოქმედებენ. ახალი დროის ხელმძღვანელს, უპირველესად ყოვლისა, სწორედ ხალხთან განუყოფელი კავშირი მოეთხოვება, ხალხისაგან გამოთიშვა არის საფუძველი გადაგვარებისა, ბიუროკრატიზმისა.

მოსაწონია ავტორის გაბედულება—უარყოფითი ადამიანები მონახოს არა მარტო რიგით ადამიანებში, არამედ ზედა წრეშიაც. ამ რომანის მიხედვით შეცდომა მოსდით არა მარტო ბუღალტრებს, საწყობის გამგეებს, მომმარაგებლებს, როგორც ეს ჩვეულებისამებრ, სქემის მიხედვით დაწერილ რომანებშია, არამედ თვით ზოგიერთ ხელმძღვანელსაც ახასიათებს ეს მანკიერებანი. სწორედ ამ უკანასკნელთა შორის არის უფრო საშიში და სახიფათო ეს დამახინჯებანი და შეცდომები.

თ. დონჟაშვილმა რომანის ცენტრში დააყენა რაიკომის მდივანი გედეონ ვარამაძე, ადამიანი, რომელიც თავის წარსულით ხალხთანაა დაკავშირებული, რომელსაც პარტიული მუშაობის დიდი სკოლა, გაუვლია და არც თეორიული ცოდნა აკლია. მწერალი გვიჩვენებს, როგორ თანდათანობით გადა-

ჯვარდა იგი და გახდა მიზეზი იმ შეცდომებისა, რომელიც ლელიანის რაიონში მოხდა.

ნაწარმოების ღირსება ის არის, რომ აქ არა მარტო ჩანს ეს გადაგვარებული ტიპი, არამედ ახსნილია, ნაჩვენებია მთელი გზა გადაგვარებისა. მწერალი მართებულად ხაზს უსვამს, რომ გედეონ ვარამაძის გადაგვარება იწყება სწორედ მას შემდეგ, რაც ის ორ-სამ მაამებელს, მლიქვნელს, გაიძვერა კარიერისტს დაეყრდნობა და მოწყდება ხალხს. გედეონ ვარამაძე, როგორც პიროვნება, კეთილი და პატიოსანი კომუნისტი იყო. მაგრამ მის განზრახვასა, სურვილსა და მოქმედებას შორის ბზარი ჩნდება. ეს ბზარი თანდათანობით ძლიერდება და დამღუპველ ძალად იქცევა. ნაწარმოებში ყოველივე ეს დამაჯერებლად არის დასაბუთებული. გედეონ ვარამაძე სადღაც თავისთავში ატარებს სუსტ მხარეს, გაბზარულია. არ არის მთლიანი. ეს ბზარი ოჯახშივე იჩენს თავს. იწყება იმ დღიდან, როდესაც მან, საკმაოდ გაურკვეველმა შექმნილ სიტუაციაში, ცოლად შეირთო დოფინე. დოფინემ არსებითად ხელთ ჩაიგდო ეს პატიოსანი კაცი, გედეონ ვარამაძე, მის მიერ მოქსოვილ ბადეში გაახვია, შემდეგ ოჯახური სითბო და სიამოვნება წაართვა. მარტო დატოვა. ასე და ამგვარად, გედეონის სულიერი ცხოვრება მუდამ დაუკმაყოფილებელი და გაბზარული იყო. ოჯახური ცხოვრების ეს მანკიერებანი უკვე მიგვანიშნებენ, რომ გედეონს არ ჰყოფნის ნებისყოფის სიმტკიცე, დოფინესთან მტკიცე პოზიცია აირჩიოს, ოჯახი თავის გავლენის ქვეშ იყოლიოს, მოაწესრიგოს და მოაგვაროს, ან ეს გამოუსწორებელი, მეშჩანი ქალი თაეიდან მოიცილოს. მწერალი აქ მოხერხებულად ურთავს გედეონ ვარამაძისა და ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის დამოკიდებულებას. ცენტრალური კომიტეტის მდივანს ჭირის დღესავით სძულს კაცი, რომელიც ცოლს გაეყრება, ოჯახს ანგრევს. გედეონ ვარამაძეს კი რიდი აქვს მისი. ამ მომენტით სარგებლობს დოფინე და მეტისმეტადაც სარგებლობს. გედეონს გულწრფელად შეუყვარდება თამარი, მისი პირადი მდივანი, თავდადებული და ერთგული მუშაკი, ქალი ამ სიყვარულს ეწირება, იგივე გარემოება გახდება სა-

ბაბი, კოლექტივთან კონფლიქტში მყოფი გმირის, გედეონ ვარამაძის დაღუპვისა.

უმთავრესი მიზეზი გედეონის მარცხისა ის არის, რომ იგი დასცილდა ხალხს, რომ ვარამაძემ თავის გარშემო თავი მოუყარა გაიძვერა მაამებლებს: ფერაძეს, ბაბუციძეს... შეიკრა წრე გაიძვერა ადამიანებისა: დემურიშვილისა, ჩიორასი, ტურიასი და სხვ. მწერალს მზის სინათლეზე გამოაქვს ამ ადამიანების ბოროტი ზრახვები. ისინი ებრძვიან კეთილსა და პატიოსან ადამიანებს, მათ მიზანში ამოიღეს ნიკო ხელაშვილი, კოლმეურნეობის გამოცდილი ხელმძღვანელი, ხალხის საყვარელი ადამიანი. ნიკო ხელაშვილი რომანის დადებითი გმირია, ხალხისთვის თავდადებული, უანგარო საზოგადო მოღვაწე. გედეონ ვარამაძისაგან განსხვავებით, ნიკოს პირადი საქმეც მოწესრიგებული აქვს და ხალხთან ურთიერთობაც. შვილები, შვილიშვილები, სამამულო ომში დაღუპული შორეული ნათესავების ბავშვები გარს ახვევია მას, ოჯახშიც კეთილია იგი და ოჯახს გარეთაც. ხელაშვილი უყვარს ხალხს, ხელაშვილი ხალხთან არის განუყოფელად. ბაბუციძეებმა, ფერაძეებმა ეს პატიოსანი კომუნისტი მიზანში ამოიღეს. მოახერხეს გედეონ ვარამაძისათვის შეეძულებინათ ნიკო ხელაშვილი. გედეონმა ნიკოს დაუპირდაპირა ნაომარი ჯარისკაცი, სოფლის მექანიზაციის თავგამოდებული მომხრე ზაქრო სიყმაშვილი. გედეონმა იგი ჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დააწინაურა, შემდეგ სცადა გამსხვილებული, გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაენიშნა და ამ გზით დაეპირისპირებია ნიკო ხელაშვილისათვის. ამ ფონზე აშკარა გახდება ხალხსა და რაიკომის მდივანს შორის ბზარი. ხალხი წინ აღუდგება ვარამაძისა და მის გარშემო თავმოყრილ გაიძვერათა განზრახვას — კოლმეურნეობის თავმჯდომარედ სიყმაშვილი დანიშნონ: ეს ამბავი კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ხდება. რომანის საუკეთესო თავია კრების აღწერა, სადაც ხალხი იცავს ნიკო ხელაშვილს. მართალია, მხარს უჭერენ ზაქრო სიყმაშვილსაც, მაგრამ არ მიაჩნიათ იგი ამ საქმისათვის ღირსეულ კანდიდატად. კრებაზე ხალხი პირდაპირ გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას სიყმაშვილის მომხრეების მისამარ-

თით, მათ მიმართ ვინც ვერ ამჩნევს იმ შეცდომების სათავეს, რომლის გამო კოლმეურნეობა ჩამორჩა და უკან წავიდა.

აქ, ამ საერთო კრებაზე, გედეონ ვარამაძე მიხვდება, რომ ხალხი მართალია, მაგრამ ის უკვე იმდენადაა დაავადებული განდიდების მანიით, იმდენადაა შთაგონებული მაამებლების მიერ — რომ ის ყოვლისშემძლეა, რომ ყველა მიღწევა რაიონისა მხოლოდ მის სახელს უკავშირდება, რომ აღარ ძალუძს სიმართლე აღიაროს და თავისი შეცდომების მიმართ ბოლომდის კრიტიკულად იყოს განწყობილი. გედეონი გადაწყვეტს კრების მიერ გადაყენებული თავმჯდომარე, ზაქრო სიყმაშვილი გამოიყენოს ხელაშვილის წინააღმდეგ და აგრეთვე სიდამონიძის წინააღმდეგაც, რომელმაც ხელაშვილს მხარი დაუჭირა. რომანში ცალკე თავს წარმოადგენს გადაყენებული თავმჯდომარის ზაქრო სიყმაშვილის ბოღმისა და სიძულვილის ასახვა.

ნიკო ხელაშვილის შვილობილი ზაქრო სიყმაშვილი მშრომელი და პატიოსანი კაცია. მას ბევრი დადებითი თვისება გააჩნია, რისთვისაც აფასებს ხალხი. მეორეს მხრივ, ზაქრო სიყმაშვილი, გედეონის ახლო მეგობარია, გედეონი მფარველობს მას, ეხმარება. თუმცა სიყმაშვილი გრძნობს შექმნილი ვითარების სიყალბეს, მაგრამ არ ჰყოფნის ძალა კავშირი გაწყვიტოს გედეონთან ან ამხილოს იგი. ეს გარემოება ზაქრო სიყმაშვილშიაც ბადებს გარკვეულ ბზარს. ისევე, როგორც გედეონთან, ეს ბზარი ჯერ ზაქროს ოჯახში იჩენს თავს. სიყვარულით შერთული ცოლი ანიკა მას თანდათან შესძულდება. ზაქრო თანდათანობით სცილდება ხალხს და ხალხიც ზურგს შეაქცევს მას. თუმცა ზაქრო სიყმაშვილი დარწმუნებულია თავის გულწრფელობაში, მაგრამ ის ისევე ცდება აქ, როგორც მანანასადმი სიყვარულში შეცდა.

რომანში „ალაზანზე“ დახატულია ორი წრე—ერთი ხალხი და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხელმძღვანელები: ხელაშვილი, ბექაური, ფირუზა, აგრეთვე ნენე, ანიკა, მანანა და სხვანი. მეორე მხარეზეა: ეს ბაბუციძეები, ფერაძეები, რომლებსაც ვარამაძე მფარველობს. რომანი ამ ორთა კონფლიქტის მიხედვით ვითარდება და მთავრდება იმით, რომ დადებითი ძალები იმარჯვებენ, რადგან ხალხია დადებითი

ძალა, ხალხია წამმართველი ცხოვრებისა. საზოგადოდ, ეს რომანი გვიპყრობს გმირთა მრავალფეროვანი გალერეით და გამოსახვის ძალით. რომანის ცენტრში არიან თანამედროვე ადამიანები; მათი ნება და ფიქრი, მათი განწყობილება და აზრი რომანის მთავარი საგანია.

შესანიშნავად არის გამოხატული, ერთის მხრივ, ანიკასა და ზაქროს, მეორე მხრივ თამარისა და გედეონის სიყვარული და სულიერი ბრძოლა. საინტერესოდ არის გამოძერწილი პატიოსანი, ოჯახის ერთგული ქალი ანიკა.

„არაფრის ფიქრი არ მინდა... იქით ხალხია, სინათლეა, სურათს უყურებენ, საქმეზე ლაპარაკობენ. იქით ჩემი სახლია, ბნელი და ცარიელი... არაფრის ფიქრი არ მინდა... იქამდე მივალ, აი, რაღაცა ჩრდილი რომ მოჩანს და დავჯდები, დავისვენებ... რა დაემართა მაიას? ცხვარივით უენო და უწყინარი ქალია. არაფერიც არ დაემართა, არ გაუხარდა ჩემი დანახვა და იმიტომ მიყვიროდა რაღაცას... ჩემი დანახვა არავის არ უხარია... არა, არაფრის ფიქრი არ მინდა. აი, იქ პატარა ღელეა, იმის იქით კი უდაბნოსავით მწირი მინდორი. მინდორს ბოლოს ალაზანი ჩაუდის. აქ ძალიან ვიწროა ალაზანი... იმ დღეს შიგ ერთი კაცი დამხრჩვალიყო... აი მე იქამდი მივალ... ჩრდილი რომ მოჩანს. იქ დავისვენებ. აა, ეს ლოდი ყოფილა. უჰ, რა დიდი ლოდია. ოხ, რა კარგია დასვენება... რა ცოტა რამ არის საჭირო ადამიანის ბედნიერებისათვის. ახლა აღარც ფეხი მტკივა, აღარც გული მერევა. მხოლოდ მეძინება... ამ უდაბნოს იქით ალაზანია. მერე რა? არაფერი. ვიწრო და ღრმაა. ვიღაცა დაიხრჩო შიგაო. რა კარგია ეს სიჩუმე. არავინ არ ყვირის. იქ ყველანი ყვირიან. აქ კი რა კარგი სიჩუმეა, იმიტომ არის სიჩუმე, რომ ეს უდაბნოა, და აქ არაფერი არა ხარობს. მწირია. უსიცოცხლო. ვეებერთელა მიცვალებულია და გულზე ეს ლოდი ადევს... არაფრის ფიქრი არ მინდა... მეძინება, მეძინება, მეძინება...“

დასამახსოვრებელი სახეა თავის გრძნობებში გულმართალი ანიკო. ცოტა როდია ამ რომანში საინტერესო, ხალხური პასაჟები. ამ მხრივ ერთი საუკეთესოთაგანია საოთესად გასული ხალხი, თედოს ლოცვანი და სხვ.

თ. დონეაშვილს არ ახასიათებს სანტიმენტალისტური ხა-

ტვა მოვლენებისა და ხასიათებისა. გამოჩენილი ქალი მწერლებისათვის დამახასიათებელი იყო ქალური სინაზე და სირბილე. ხასიათების გამოხატვის ეს თვისება ხშირად სანტიმენტალისტურ-რომანტიკული, ცრემლნარევი კილოთი იყო შეზავებული. მეტწილად ამ გზას. მისდევდნენ ქართველი მწერალი ქალებიც. მათი ნაწერების ერთი თვალის გადავლებითაც თვალში გეცემათ ნაწარმოების ეს მხარე—ქალური მინაზებული ფორმა, ეპიკური ხასიათების ლირიკული აქცენტით გადმოცემა. ეს გარემოება თავისებურ იერს აძლევს მათ ნაწარმოებს.

თინა დონჟაშვილი უფრო მებრძოლი სტილის მწერალია, ყოველი მისი ნაწარმოები დაუოკებელი შეჭიდება და შებრძოლებაა. ეს ჩახმახზე შეყენებული ხასიათები, რასაკვირველია, ისევე ქალის ხასიათიდან გამოდის. ეს ერთი საზოგადოებრივი, ფსიქოლოგიური მოვლენის მეორე მხარეა—ერთი მედლის მეორე მხარე. ეს შემტევი სტილი, შეურიგებელი შემართება უარყოფით მოვლენებთან აძლევს თინა დონჟაშვილის სტილს განსაკუთრებულ ელფერს. ამ პრინციპს ემორჩილება მისი ნაწერების მხატვრული ქსოვილიც, ენაც და სხვა მხატვრული სამკაულებიც. გამოყენებული ხასიათების გამოსახატავად. ეს სტილიური თავისებურებანი მთელის სისრულით არის გამოვლინებული თინა დონჟაშვილის რომანში „ალაზანზე“.

ნაწარმოების ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ გმირები ყოველთვის არ არიან თანმიმდევრულად გამოხატული, თავიანთი ვნებებითა და გრძნობებით ლოგიკურად ჭანვითარებული. ამ მხრივ ბევრი რამ აკლია ტუხას და ტარიელის სახეს. ტუხასა და ანიკას სიყვარულს მოტივირება აკლია. ასევე არ არის თანმიმდევრულად გამოძერწილი ნენეს სახე. ნენე ჭორიკანა ქალია, ანიკამ ის შინიდან გამოაგდო, როგორც უღირსი ადამიანი. ხალხი ერიდება მას, როგორც ავყიას, მოენეს, ენაჭარტალას. მაგრამ რომანის ფინალში, საკვლევით დაუსაბუთებლად, იგი მთავარ გმირად გვევლინება. სწორედ ის აგროვებს მამხილებელ საბუთებს გაიძვერა საქმოსნების შესახებ და ამის მიხედვით გამოაქვთ განაჩენი. ეს თვისება, ცხადია, ნენეს ხასიათიდან არ მოდის. ავტორი ამ

შემთხვევაში არ არის თანმიმდევარი. რომანში ვითარება ისეა გამოხატული, რომ ეარამაძის ნამდვილი მხილება ხდება კოლმეურნეობის საერთო კრებაზე. მეტისმეტად ტრაფარეტულია კრებაზე აღწერილი ვითარება. თვით გედეონის გადაგვარებაშიაც ბევრი რამ არაზუსტია და აუხსნელი, მაგრამ ეს ცალკეული ნაკლოვანებანი ვერ ჩრდილავენ რომანის საერთო ღირსებას და მთლიანად თ. დონქაშვილის რომანის „ალაზანზე“ უთუოდ საინტერესო მოვლენაა ჩვენს მწერლობაში.

ტრაგიკული სიყვარულის ისტორია

„ქართული ფილმის“ ახალი ნაწარმოების „ფატიმას“ გამო

ქართველი ხალხი აღსავსეა კანონიერი სიამაყის გრძნობით იმის გამო, რომ მას უძველესი და უძლიერესი კულტურა აქვს, მაგრამ ჩვენ არა მარტო წარსულით ვამაყობთ, არამედ ჩვენი თანამედროვე დიდი და მაღალი სულიერი კულტურითაც. ამ კულტურაში ბევრი რამ ისეთია, რაც სწორედ ჩვენი ეპოქის, საბჭოთა ეპოქის პირმშოა. ასეთია, კერძოდ ქართული კინოხელოვნება.

ქართველი ხალხის კულტურაში მწერლობას თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში წინამძღოლის როლი აქვს მინიჭებული. იგი ზრდის ქართველ ხალხს პატრიოტიზმის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის მაღალი იდეალებით. ქართულ მწერლობას უმცროს ძმად მუდამ გვერდში ედგა ქართული თეატრი, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დროს მათ მესამე ძმად შეემატათ ქართული კინოხელოვნება. ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, ჩვენი თეატრი და კინოხელოვნება ჰქმნიან ახალი სოციალისტური კულტურის საგანძურს. ყოველ ქართველ კაცს, ყოველ საბჭოთა ადამიანს გულს უხარებს ის თვალსაჩინო წარმატებანი, რომელიც ამ ბოლო წლებში ქართულმა კინოხელოვნებამ მოიპოვა.

ჩვენს ხელოვნებაში ამჟამად ძველს, სახელოვან გვარდიას წარმატებით ეჯიბრება ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა. ეს ახალგაზრდობა ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში გამოჩნდა და ყველგან ახალი სიტყვა მოიტანა. ახალგაზრდა ოსტატებმა საყოველთაო აღიარება და ყურადღება დაიმსახურეს და ეს მარტო იმიტომ კი არა, რომ ისინი ასაკით ახალგაზრდანი არიან. ჭეშმარიტი ახალი თაობა ისაა, ვისი სუ-

ლიერი სამყაროც ჭაბუკურია თავისი ბუნებით, ვისაც ახალი ფორმები და ახალი ძიებანი შემოაქვს, ვინც ნოვატორობისაკენ გზას ჰკაფავს, ვინც ახალს, ორიგინალურ სიტყვას ამბობს. ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელია ძიება, იგი არ მიდის გატკეპნილი, გაცვეთილი გზით, მაგრამ ძიება მაშინ არის ნაყოფიერი და გამართლებული, როცა კარგად იცნობ ყველა იმ გზასა და ხერხს, რაც უფროს თაობას გამოუყენებია. ეპიგონობას, მიმბაძველობას მხოლოდ ის ახალგაზრდა დააღწევს თავს, ვინც კარგად იცნობს როგორც ეროვნულ ტრადიციას, ისე კაცობრიობის მიერ მიღწეული კულტურის საერთო დონეს; ყოველ ნიჭიერ ახალგაზრდას ნოვატორის სახელი ამ ტრადიციების განვითარებითა და გაგრძელებით მოუპოვებია. სწორედ ამიტომ. ახალგაზრდა კაცი, თუ მას სურს რაიმე კვალი დააჩნიოს თავის ეროვნულ კულტურას, კი არ უნდა ეთიშებოდეს ამა თუ იმ დარგში მოპოვებულ წარმატებებს, არამედ პატივისცემით ეპყრობოდეს მას და ანვითარებდეს. ყოველივე ამის გამო ჩვენ სასტიკი წინააღმდეგნი ვართ თაობათა დაპირისპირებისა. მთელი ჩვენი ხელოვნებისა და მწერლობის არმია, მისი ყველა თაობა, ერთ მხატვრულ პოზიციაზე დგას, ერთ დიდ საქმეს ემსახურება: ესაა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცების, მისი ხელოვნებისა და მწერლობის განვითარების საქმე.

ამიტომ დიდი შეცდომაა, როდესაც ზოგი ამხანაგი ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას ხელაღებით აქებს და ხშირად უპირისპირებს მას ჩვენი წინა თაობების წარმომადგენლებს. ასევე დიდი შეცდომაა, როდესაც ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას, რომელსაც ახალი ფერები, ახალი საღებავები, ახალი სიტყვა მოაქვს ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში მეტისმეტად მკაცრად ვეპყრობით და დაუმსახურებლად მივაკერებთ ხოლმე უცხო იზმების იარლიყებს. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო; არ გვგონია, რომ ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს შორის ერიოს ისეთი ადამიანი (თუ ის მართლაც ნამდვილი შემოქმედია და არა შემთხვევით ამოტივტივებული კაცი), ვინც პატივისცემით არ ეპყრობოდეს ყო-

ველ გამოჩენილ და დამსახურებულ მოღვაწეს, რომელსაც რაიმე მნიშვნელოვანი შეუძენია ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი კულტურისათვის. კერძოდ, არა მგონია ვინმეს აზრად მოუკიდეს არ დააფასოს ის დიდი დამსახურება, რომელიც ქართული კინოხელოვნების წინაშე მიუძღვით ნ. შენგელაიას, მ. ჭიაურელს, ს. დოლიძეს, დ. რონდელს, ლ. ესაკიას და სხვებს.

ძველ თაობას ჩვენი კინოხელოვნების ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს არა მარტო თავისი წარსული დამსახურებით, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ ამ თაობის ოსტატები დღესაც აქტიურად მოქმედ ძალას წარმოადგენენ. ეს ნათლად ჩანს „ქართული ფილმის“ მიერ ამ ბოლო დროს გამოშვებული კინოსურათების მაგალითზე. ამასვე ადასტურებს ახალი ფილმი „ფატიმა“. ვინც უკვე ნახა იგი, არ შეიძლება გულწრფელად არ დაგვეთანხმოს, რომ ეს სურათი ქართული კინოხელოვნების ახალი გამარჯვებაა. „ფატიმა“, უპირველეს ყოვლისა, გვაჯადოებს მძაფრი ცხოვრებისეული სიმართლით, ნათელი რეალიზმით, წარსულის ბნელი ყოფაცხოვრების, სოციალური ვითარების მკვეთრი გადმოცემით.

კინოფილმის სცენარს საფუძვლად უდევს ოსეთის დიდი კლასიკოსის კოსტა ხეთაგუროვის ამავე სახელწოდების პოემის სიუჟეტი. ოსური ლიტერატურის ფუძემდებელს კ. ხეთაგუროვს ისეთივე ადგილი უჭირავს ოსი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, როგორც საქართველოში ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. კ. ხეთაგუროვი ილიას სახელოვან თაობას ენათესავება თავისი სულიერი ზრახვებით, ჰუმანიზმით და პატრიოტიზმით. ოსი ხალხი თვალისჩინივით უფრთხილდება თავისი სახელოვანი კლასიკოსის ტრადიციებს. ყოველ ერს ხომ აქვს თავისი ნაციონალური ღირსება, საკუთარი სიამაყე. და ყოველი პატიოსანი კაცი, ამ ერის შვილი იქნება იგი, თუ სხვა ერისა, ვალდებულია ღრმა პატივისცემით ეპყრობოდეს ერის ამ საგანძურს. სცენარისტმა და კინორეჟისორმა ს. დოლიძემ ეს ამოცანა წარმატებით დასძლია: იგი დიდი სიფრთხილითა და მოკრძალებით მოეკიდა ოსეთის დიდი კლასიკოსის ნაწარმოებს და ჩინებულად გადაიტანა იგი კინოს ენაზე. კ. ხეთაგუროვის პოემის იდეა და მხატ-

ეკრული ქაოვილი მთელის ძალითაა შემონახული სცენარშიც და ფილმშიც. სცენარის ავტორი არსად არ უხვევს და არ ბღალავს პოემის დედააზრს. მას ოსტატურად გადააქვს კინოს ენაზე მთელი ის დრამატიზმი, ის სულიერი სამყარო, რომლითაც ცოცხლობენ და მოქმედებენ პოემის გმირები. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სცენარისტს მექანიკურად და უცვლელად გადმოჰქონდეს პოემიდან ამბავი, იმავე თანმიმდევრობით და იმავე დეტალებით, როგორც ეს პოემაშია: ჯერ ერთი, პოემაში მოქმედ გმირებად კავკასიის მთიანეთში მოსახლე სხვა ტომის ადამიანები—ინგუშები გამოდიან, აქ კი, სცენარში ს. დოლიძეს ოსები გამოჰყავს; ამის მიხედვით, ოდნავ შეცვლილია ამ გმირების გარეგანი ხასიათი, ასევე შეცვლილია პოემის კონფლიქტის ზოგიერთი დეტალი, მაგრამ ყველაფერი ეს გაკეთებულია დიდი სიფრთხილით, გაკეთებულია ისე, რომ ძირითად აზრს და სახეს არ უცვლის იმას, რაც პოემაში ჩაფიქრებული ჰქონდა კ. ხეთაგუროვს.

ფილმი იწყება აწეული ტონით, ერთგვარი აფეთქებით. ძველებური კოშკის წინ, დიდი მუხის ახლოს, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, კაჟიანი თოფით შეიარაღებული, ნაბადწამოსხმული მთიელი. იგი მიზანში ამოიღებს ტყისპირად, შარა გზაზე ცხენით მიმავალ, თეთრ ჩოხაში გამოწყობილ კაცს. გავარდება თოფი, ცხენი შეტორტმანდება და კაცი უსულოდ ეცემა მიწაზე. ამას ახალი კადრი მოსდევს: შინ დაბრუნებული მკვლელი ცოლს მიმართავს — მოვკალიო ჩვენი შეურიგებელი მტერი, ახლა აქედან უნდა გავიპაროთო. და რომ გზაში ხელი არ შეეშალოთ, თავიანთ თოთო ბავშვს მეზობელ თავადიშვილს მიუგდებენ. ამ პირველ კადრში ნათლად არის აღბეჭდილი ძველი ტრადიციის, გარდასული ბნელი ცხოვრების სურათი.

მომდევნო კადრებში უკვე თავადის სასახლეს ვხედავთ. თავადს ცოლი და ბავშვი ერთი წლის წინათ გარდაცვლია, ის ახლა ერთადერთ ვაჟს, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ მომავალ ჯიგიტს, რაინდული წესებითა და ადათებით ზრდის. და ეკრანზე ვხედავთ: ჭიდაობს ორი პატარა ბიჭი—თავადიშვილი ჯამბულათი და მოჯამაგირე იბრაჰიმი. თავადიშვილს მო-

ჯამაგირე ამარცხებს. განრისხებული მამა ამბობს: მართალია, თქვენ ძუძუმტეები ხართ, მაგრამ მოჯამაგირემ უნდა იცოდეს ბატონის ყადრი ყველგან და ყოველთვისო. სწორედ ამ დროს მოისმის პატარა ბავშვის ტირილი. ეს ის მიგდებული ბავშვია. თავადი მას სიხარულით აიყვანს, თავისი დაკარგული გოგონას სახელს—ფატიმას შეარქმევს და ჯამბულათს შთააგონებს—ეს შენი და არისო.

ყველაფერი ეს ექსპოზიციაა, რომელიც ამზადებს მაყურებელს დიდი და მწვავე კონფლიქტისათვის, ვნებათაღელვის დიდი შეჯახებისათვის, უაღრესად მძაფრი ადამიანური განცდებისათვის. გადის დრო. ჯამბულათი და ფატიმა, რომელთაც უკვე იციან, რომ ისინი და-ძმანი კი არ არიან, არამედ სხვადასხვა დედ-მამის შვილები, ერთმანეთს გულწრფელად შეიყვარებენ. მათი რომანის მოწმე, მოჯამაგირე იბრაჰიმი, ასევე გახელებულია ამ გოგონას სიყვარულით. უიღბლო მოჯამაგირე ცასა და მიწას შესჩივის თავის უბედობას. და აი ფატიმას გათხოვების დროც მოვიდა. მამობილი გადაწყვეტს მას შესაფერი სასიძო მოუძებნოს, მთხოვნელები ბევრნი არიან—თავადებიც, აზნაურებიც; ამიტომ არჩევანი ძნელი ხდება და ბედი დოღმა უნდა გადაწყვიტოს. დოღის წინ თავადი ნადიმს მართავს. აქ არიან ეს რჩეული სასიძოები, დოღში მონაწილეობას ღებულობს მოჯამაგირე იბრაჰიმიც. იგი ყველას გაუსწრებს, მაგრამ ფინიშთან შეგნებულად შეჩერდება და გამარჯვებას, თავისი ნებით, ბატონიშვილ ჯამბულათს დაუთმობს. რადგან იბრაჰიმმა იცის, რომ ერთადერთი კაცი ამქვეყნად, რომელსაც ფატიმა ცოლად წაჰყვება—ეს ჯამბულათია.

სწორედ ამ დროს აულში აცხადებენ მეფის ბრძანებას ახალგაზრდების ჯარში გაწვევის თაობაზე; იწყება რუსეთ-თურქეთის ომი. ფრონტზე წასვლა წილად ერგო ჯამბულათს. იგი თავის სატრფოსთან ასეთ პირობას დასდებს: ფატიმამ უნდა უცადოს ჯამბულათს ხუთი წლის განმავლობაში. და აი დამთავრდა ომი. მაცნემ ჯამბულათის დაღუპვის ამბავი მოიტანა. ფატიმამ და მთელმა ოჯახმა გამოიგლოვეს ჯამბულათი და ბოლოს ფატიმა, სატრფოსთან დადებული პირობის თანახმად, ცოლად მიჰყვება ყველაზე ღატაკს—ეს იბრაჰიმია. ამიერიდან კეთილად მოეწყო მათი ცხოვრება. თავის

ვაჟს ფატიმამ დაღუპული სატრფოს პატივსაცემად ჯამბულათი შეარქვა.

გეჩვენებათ, თითქოს ამბავი აქ მთავრდება. მაგრამ სწორედ ახლა იწყება უფრო მძაფრი კონფლიქტი, უფრო დიდი ვნებათაღელვა. ირკვევა, რომ ჯამბულათი დაჭრილი ყოფილა და არა მკვდარი; იგი ტყვედ ჩავარდნილი, გაუყიდიათ თურქებს, გაქცევა უცდია, დაუჭერიათ და ციხეში ჩაუგდიათ. დიდი წვალებით მას მაინც თავი დაუღწევია ციხისათვის და სოფელში დაბრუნებულა. აქ მან გაიგო მამის სიკვდილისა და სატრფოს გათხოვების ამბავიც. ჯამბულათი მწვავე სულიერმა ტკივილებმა შეიპყრეს. განრისხებული ტყვეყოფილი გადაწყვეტს კვლავ დაიბრუნოს ქალი, მაგრამ მის ამ სურვილს ფატიმა აღარ თანაუგრძნობს. „მე უკვე დედა ვარ, დედა შვილისა და პატიოსანი ცოლი ქმრისა“, — უპასუხებს იგი ყოფილ მიჯნურს. ჯამბულათი ძალადობას მიმართავს, მაგრამ სწორედ ამ დროს შემოდის სახლში სამუშაოდან დაბრუნებული იბრაჰიმი, ახლა მათი ბედი დუელმა უნდა გადაწყვიტოს და ამ დუელშიც იბრაჰიმი იმარჯვებს, იგი თავადს ხელიდან ხმალს დააგდებინებს, მაგრამ არ ჰკლავს: „მე შენთვის სიცოცხლე არ მომიცია და არც წაგართმევო მას, ჩვენ ერთი დედის ძუძუ გვიწოვია და ცხრამეტი წელიწადი შენს ოჯახში მიმსახურნიაო“. მერე ცხენს შეაბრუნებს, მაგრამ ვერაგი ჯამბულათი მას ზურგში დამბაჩას დაახლის და ჰკლავს. ამ ამბის გამგონე ფატიმა ჭკუიდან შეიშლება, ბავშვი კი ამ სოფელში მომუშავე რუს ინჟინერს მიჰყავს აღსაზრდელად.

ასეთია ამ სცენარის მოკლე ქარგა. ჩვენ განგებ მოვყევით მთელი ამბავი, რომ ნათლად დაგვენახვებია იმათთვის, ვისაც ეს ფილმი ჯერ არ უნახავს, თუ რა მწვავე კონფლიქტი უდევს საფუძვლად ამ ფრიად საინტერესო ფილმს. ფილმის უპირველესი ღირსება ისაა, რომ ამ ახალგაზრდა ადამიანების ვნებანი, მათი განცდები, მათი მწვავე სატრფიალო თავგადასავალი დიდი სოციალური კონფლიქტის ფონზეა ნაჩვენები. ამასთან ახალგაზრდებიცა და მოხუცებიც დამოუკიდებელი, გამოკვეთილი სახით ცხოვრობენ და მოქმედებენ ფილმში. ყველა ეს სახე დამთავრებული და მხატვრუ-

ლად ხორცშესხმულია, ყველა მათთაგანს თავისი კუთხე და ადგილი აქვს მოძებნილი. ფილმიდან ნათლად ჩანს, რომ წარმატებით უმუშავნია არა მარტო რეჟისორს, არამედ ოპერატორსაც (დ. მარგიევი). მას წარმტაცი ფერების შეხამებით გაუცოცხლებია ჭაღარა კავკასიის მთები და ეს თავისთავად მომჯადოებელი პეიზაჟი ამ ადამიანთა ხასიათების გამოკვეთის სამსახურში ჩაუყენებია. გასაოცარი ოსტატობითაა შეხამებული ურთიერთშორის კავკასიის ბუმბერაზი მთები, მათს წიაღში მოქმედი ბუმბერაზი მოხუცებისა და ვნებიანი ჭაბუკების თავგადასავალი.

ამ ფილმის დიდი ღირსება ისიც არის, რომ ჩვენ აქ პირველად ვნახეთ ბევრი სრულიად ახალგაზრდა შემსრულებელი, დიდი გემოვნებით შერჩეული რეჟისორის მიერ. ამ მსახიობების თამაშში ჩვენ გვიზიდავს არა იმდენად მათი არტისტული ოსტატობა, რამდენადაც წრფელი უშუალობა, ბუნებრივობა; მსახიობთა შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ფატიმას როლის შემსრულებლის თ. კოკოევას თამაში. მან მშვენივრად გამოჰკვეთა ჯერ შეყვარებული ქალწულისა და შემდეგ კეთილშობილი დედის, მთიელი ქალის სახე, დახატა იგი მწვავე ტრაგიკული და ლირიკული ტონების შესანიშნავი შეხამებით. მის სინაზეში ჩვენ ვგრძნობთ მთიელი ქალის მთელს მომხიბვლელობას; მთის ჯეირანივით ლამაზი და თავისუფალია ფატიმა. ასეთად გვიხატავს ამ მთიელი ქალის სახეს მსახიობი თ. კოკოევა ფილმის დასაწყისში; შემდეგ ვხედავთ დედის მოვალეობის წინაშე უაღრესად დიდი პასუხისმგებლობით გამსჭვალულ ქალს, რომელიც იმავე დროს ტრაგიკული სიყვარულის სლართებში გაბმულა და დატანჯულა. ასეთია კოკოევას ფატიმა ფილმის ბოლოს.

ჯამბულათის სახე მსახიობ ო. მეღვინეთ-უხუცესს საერთოდ კარგად აქვს გააზრებული. ეს არის ეგოისტი, პირადი ჟინით და ვნებათა-ღელვით გახელებული ჭაბუკი. ფუფუნებაში აღზრდილი ამ თავნება ჭაბუკის გარეგნული სახის, მისი სოციალური ინსტინქტების, ამავე დროს გულწრფელად შეყვარებული მიჯნურის ძლიერი ვნებათა-ღელვისა და ემოციების ჩვენება, რასაკვირველია, დიდ ოსტატობას მოითხოვდა მსახიობისაგან. მეღვინეთ-უხუცესი ამგვარ ოსტატო-

ბას ყოველთვის ვერ ამჟღავნებს, მაგრამ საერთოდ კი უთუოდ გაართვა თავი ამ რთულ როლს.

ასევე რთულია იბრაჰიმის სახეც. ესაა ძველი ცხოვრებისაგან დაჩაგრული ადამიანი, დიდი სულიერი კეთილშობილებით აღსავსე, პატიოსანი მიჯნური და ერთგული ძეუღლე ფატიმასი. ამ სახის გამოსაკვეთად არანაკლები ოსტატობა იყო საჭირო და უნდა ითქვას, რომ მსახიობი გ. ჭოხონელიძე ახერხებს ამ მეტად რთულ სახეს, ამ ადამიანის ძძაფრ სოციალურ და ინტიმურ ვნებებს მოუნახოს თავისი ფორმა.

კარგად არის გამოკვეთილი მოხუცი იოსების ხასიათები. აქ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მოხუცი თავადი, ჯამბულათის მამა, რომლის როლს ოსეთის სახალხო მსახიობი ვ. თხაპსაევი ასრულებს. ასევე საინტერესოა დ. მამიევის თამაში, რომელშიც განზოგადებულად არის ნაჩვენები ხსენებული სოციალური წრის ადამიანთა მთელი ბუნება. საზოგადოდ, ეს მოხუცი ოსები, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ეს ვეება მოხუცები დიდი ორიგინალობითაა შეხამებული მთის ზვიად ბუნებასთან. მათ ხასიათში კარგად არის შერწყმული მთიელთა ჩვეულებანი, მათი ტრადიცია, მათი ადამიანური გრძნობები და ფიქრებიც. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ აქ წინა პლანზე გამოდის მთლიანი ანსამბლი, მაგრამ ამ ანსამბლში ყველა ადამიანს, ყველა მოქმედ გმირს თავისი სახე აქვს, თავისი სული უდგას, თავისი ვნებები და ფიქრები გააჩნია. ესენი ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანები არიან.

ბევრია ამ ფილმში ოსტატურად შესრულებული ეპიზოდი: გავიხსენოთ, მაგალითად, ფილმის დასაწყისი. ან და შემდეგ ჯამბულათის საუბარი მწყემსებთან, მაგრამ ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ჯამბულათისა და იბრაჰიმის ღუელი და შემდეგ ფატიმას გაგიჟების სურათები.

ასეთია ჩვენი საერთო შთაბეჭდილება ამ ფილმის შესახებ. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ფილმს ან ცალკეულ შემსრულებლებს არ ჰქონდეთ თავიანთი ნაკლი, მაგრამ ფილმი მთლიანად იმდენად ძლიერია და ემოციური, რომ ეს ცალკეული ნაკლოვანებანი სავსებით იკარგებიან და მათი აღნიშვნის საჭიროებასაც ვეღარ გრძნობთ.

დიდად შთამბეჭდავია ფილმის მუსიკა. მუსიკის ავტორებს ბ. გალაევსა და ა. კერესელიძეს, უხვად გამოუყენებიათ რა ოსი ხალხის მდიდარი მუსიკალური ფოლკლორი, მარჯვედ მოუძებნიათ კინოფილმის საერთო სულიერი განწყობილებისათვის, მოქმედ გმირთა სულიერ სამყაროსთვის შესაფერისი ხმები და ინტონაციები.

ამ ფილმის გამარჯვება იმიტომაც გვახარებს, რომ ის არის კინოხელოვნების ქართველი და ოსი ოსტატების საერთო შრომის ნაყოფი. ეს არის ჭეშმარიტი გამოხატულება იმ ძმობისა და მეგობრობის, იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა, რომელსაც ურთიერთის მიმართ განიცდიან ჩვენი ხალხები. ეს არის ქართველი და ოსი ხალხების ძმობისა და მეგობრობის ნამდვილი გამოხატულება და ამ მხრივაც სასიხარულოა წარმატება, რომელიც ამ ფილმს ხვდა.

კეთილი ადამიანების მხატვარი

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს ფორმების, გამოსახვის საშუალებების, მხატვრული ფერებისა და საღებავების იმ დაუცხრომელ ძიებას, რომელსაც ეწევიან თანამედროვე ქართული პროზის ოსტატები. ამ ძიებაში ბევრი რამ არის საინტერესო და სასარგებლო, ბევრი კი— უკუსაგდები. ეს უკანასკნელი უმთავრესად შეეხება ცდებს— კვლავ აღადგინონ ან გაიმეორონ ის ფორმები, რაც არა ერთხელ გამოუყენებიათ დეკადენტებს, ხოლო ლიტერატურის ისტორიას არ მიუღია.

როგორც ყოველ დარგში, ასევე ლიტერატურაშიც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვაჩვენოთ და საყოველთაო ყურადღების საგნად გავხადოთ დადებითი მოვლენები, წავახალისოთ და გავავრცელოთ ის, რაც ჭეშმარიტად მოწონების ღირსია.

ჩვენი აზრით, თანამედროვე ქართულ პროზაში ცოტა როდი გამოჩნდა ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსი, რომელნიც ამ მხრივ საგანგებო ყურადღებასა და მხარდაჭერას იმსახურებენ. ამ შემთხვევაში მხედველობაში მყავს რევაზ ინანიშვილი — მან სულ მოკლე ხანში თავი გამოიჩინა როგორც დაკვირვებულმა და ნიჭიერმა ოსტატმა.

რ. ინანიშვილის სტიქია უმთავრესად პატარა მოთხრობებია. მწერალი განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს უბრალო, რიგითი ადამიანების, ჩვენი ცხოვრების ყოველი სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი ადამიანების განცდებს, მათ დამოკიდებულებას ცხოვრებასთან, სამყაროსთან. მწერლის თემატიკაში დიდი ადგილი უჭირავს სტუდენტების კომკავშირლების ცხოვრებას, შრომას, მათ ინტიმურ განცდებსა და ფიქრებს.

რ. ინანიშვილი ცდილობს დახატოს ადამიანი მთელი მისი სულიერი ცხოვრებით და სულიერი სამყაროს ამ ნახატში წარმოგვიდგინოს თავისი დამოკიდებულება საგნებთან და მოვლენებთან. მის ნახატს აქვს დიდი უშუალობა და ბუნებრიობა, უბრალოება და მიმზიდველობა. საილუსტრაციოდ ავიღოთ პატარა მოთხრობა „ფიქრები წყაროსთან". თანამედროვეობის მეტად მღელვარე საკითხი აქ გამოხატულია ყოველგვარი ხმაურისა და შიშველი შეგონებების გარეშე. მოთხრობაში აღწერილია ქალაქელი ყმაწვილის ჩასვლა სოფლად. ახალგაზრდა მეგობართან ერთად იგი მუშაობს სკოლმეურნეო მინდორზე; ისინი ოთხ თუ ხუთ ჰექტარზე მანქანის მიერ მოთიბულ ბალახს აბულულებენ; დღის ბოლოს, შრომისაგან დაღლილები წყაროსთან ისვენებენ. მათ შორის საუბარი იმართება და ქალაქელი ყმაწვილი დიდ სიხარულს გამოსთქვამს სოფლად გატარებული დღეების გამო.. იგი ამბობს: „ეს დღე სიკვდილამდე მეხსომება!—ვამბობ მთელი გულით, მთელი ამოსუნთქვით". სოფლელი ბიჭი ბეჟანი გაკვირვებით შესცქერის მეგობარს და ასე უპასუხებს: „შარშან აქ გოგოები მყავდა — ჩემი ბიძაშვილი ნანა და იმისი სტუმარი ციური, მაშინაც თივას ვაბულბულებდით და იმ ციურიმაც ეგრე თქვა—ეს დღე სიკვდილამდე არ დამავიწყდებაო. თქვენ, ქალაქელები, რაღაცით ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს გოგოები და ბიჭები..." ამ გადაკვრით ნათქვამ საყვედურს ცალკეული ქალაქელი უსაქმური ახალგაზრდების მიმართ ასეთი ავტორისეული რემარკა მოსდევს.

„იქ ბევრი ასეთი ლურჯად აბოლქვილი ხეები დგას, ბევრი წყაროები მოჩუხჩუხებენ, ბევრი ბალახია, ბევრი ჰაერი, ბევრი ასეთი ბეჟანასავით ჯან-ღონით სავსე ბიჭი და, რაც მთავარია ბევრი ლამაზი გოგონა, რომლებსაც სიკვდილამდე ახსოვთ მინდორში გატარებული ერთი მზიანი დღე.

ასე უბრალოდ და საინტერესოდ არის გამოხატული თანამედროვე სოფლის სურათი, რომელიც ასე უყვარს ახალგაზრდა ბეჟანს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მწერალმა ქალაქისაკენ გაქცეულ ბევრ უსაქმურ ახალგაზრდას უჩვენა, თუ რა საინტერესოა ცხოვრება სოფელში; უაღრესი ადამიანური გულთბილობითა და უშუალობით გვაგრძნობინა .. მან

მიწისა და ბალახის სურნელება, შრომის წარმტაცი რომანტიკა.

რ. ინანიშვილის მოთხრობებში ხშირადაა ნაჩვენები ახალგაზრდათა სამიჯნურო თავგადასავალი. ვნებიან ახალგაზრდულ გრძნობებს ამ ნაწარმოებებში ყოველთვის მონახული აქვთ უაღრესად ადამიანური საწყისები და ყველაფერი ეს დანახულია თანამედროვე ადამიანის თვალით. აი პატარა ეტიუდი „კოცნა". ტრამვაის გაჩერებასთან დარბაისელ დიასახლისს ნინოს ახალგაზრდა ყმაწვილი აედევნება, ტრამვაიშიც აჰყვება, ქალი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, გამომწვევად უყურებს ახალგაზრდას. მაგრამ გამოირკვევა: ეს ახალგაზრდა თავის მიჯნურს დაეძებს, რომლის მისამართი არ იცის. და აი, ეს დარბაისელი ქალი თავისი სატრფოს დად თუ ახლობლად ჩასთვალა და ამ გზით უნდოდა დაედგინა სატრფოს მისამართი. ბოლოს გაბედა და ყველაფერი ეს გაუმხილა ქალს. ყმაწვილის ბედმა სადღაც თავისი თავი მოაგონა ქალს და მანაც თანაგრძნობით შეხედა ჭაბუკს. შინ დაბრუნებული ნინო, ანგარიშმიუცემლად გადაეხვია ქმარს და ვნებიანად აკოცა. ყველაფერი ეს დიდი სიფაქიზითაა გადმოცემული. მოთხრობა „მძიმე ფეხსაცმელი" გვიხატავს სოფლელ ახალგაზრდა მთასვლელს. „ნატიფი გემოვნების" ქალაქელ გოგონას იგი ცოტა უხეშად მოეჩვენება. ვაჟი გრძნობს, რომ მათ შორის სულიერი სიახლოვე არ არსებობს და ზურგს შეაქცევს სატრფოს. მეორე შემთხვევაში (მოთხრობა „გადასასვლელზე") ნაჩვენებია ახალგაზრდა ქალ-ვაჟი. ისინი მსახიობების მსგავსად თამაშობდნენ პირველ სიყვარულს; მერე ერთმანეთს ჩამოცილდებიან და შეუფერებელ მეგობრებს აირჩევენ ცხოვრების გზაზე. შემდეგ უკვე თავ-თავის ოჯახებს მოკიდებულნი, კვლავ „ბედნიერი" ადამიანების როლს თამაშობენ. მწერალი ამხელს ამგვარი ახალგაზრდების საქციელს.

მაგრამ მწერალს გადმოცემული აქვს უაღრესად გულწრფელი სიყვარულის ამბებიც. ასეთია, კერძოდ, მოთხრობები „საყვარელი დღეები" და „კისკისა". ამ ციკლის ნაწარმოებებში ბევრნაირი ადამიანი გვხვდება: დინჯიც და აჩქარებულიც, ჭკვიანიც და ცერცეტიც, ზარმაციც და შრომის-

მოყვარეც. ყველა მათგანის დასახატად მწერალს თავისებური ფერები და საღებავები აქვს გამოძებნილი.

როგორც ვთქვით, რ. ინანიშვილის მოთხრობებში დიდი ადგილი უჭირავს რიგითი ადამიანების ცხოვრებას. აქ თქვენ შეხვდებით კოლმეურნეებს, მუშებს, სკოლის დარაჯებს, ცეცხლფარეშებს. ეს მშრომელი და პატიოსანი ადამიანები მწერალს დახატული ჰყავს დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით; მოთხრობა „ბუდრუგანაში" დარაჯი ნიკალა ვიღაც ხეიბარს — გიგას გაიცნობს. ხეიბარი შესჩივის ნიკალას, რომ ვერსად სამუშაო ვერ იშოვა — ვის უნდაო ხეიბარი კაცი. ნიკალა იმ კაცის წასვლის შემდეგ გონს მოვა და წერილს წერს გიგას, რომ ჩამოვიდეს და მისი ადგილი დაიკავოს, მას კი სხვა სამუშაოს შესრულებაც შეუძლია.

ჭეშმარიტი მწერალი ის არის, ვინც ათასი და ათიათასი სიტყვიდან ყველაზე ზუსტს შეარჩევს, ვინც ისეთ ფრაზას მოძებნის, რომელიც ყველაზე შთამბეჭდავად გადმოსცემს აზრს. ამ გულმოდგინე და დაუცხრომელი მუშაობის შედეგად იბადებიან ყველაზე საუკეთესო შედარებები, ეპითეტები, სახეები; მხატვრული ნაწარმოები — ხატოვანი აზროვნებაა. ეს თანაბრად შეეხება ლიტერატურის ყველა დარგს. თვით ზღაპრებიც, სადაც მოყოლას ემორჩილება მკითხველისა თუ მსმენელის ინტერესი, ამგვარი აზროვნების ნიმუშებია: ჩვენი მკითხველი მწერლისაგან მოითხოვს მეტ დაფიქრებას ცხოვრებაზე, აზროვნებას სახეების, ხატების საშუალებით; ნაწარმოებში უნდა იყოს ჭეშმარიტი შეგონებანი და ამ გზით უნდა იქმნებოდეს და იბადებოდეს მხატვრული სახე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მწერალმა ადამიანის ნამდვილი და ცოცხალი სახე გამოხატოს. პროზაში თხრობას, მოყოლას თავისი ფუნქცია აქვს. მაგრამ ისიც ისე, როგორც ყველა საშუალება მწერლობისა (ენა, მხატვრული შედარებები, სახეები) უნდა ემორჩილებოდეს ხასიათის შექმნის ამოცანას, სიუჟეტს მოტორის მნიშვნელობა ენიჭება არა იმდენად მოყოლაში, რამდენადაც ხატვაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ პოეზიის ელემენტები პროზამ ახლა უფრო ფართო მასშტაბით შეითავსა, ვიდრე ძველად. პოეზიიდან უხვად შევიდა პროზაში მოკლედ, სხარტად, გაუ-

ჭიანურებლად თქმა, საგნის, მოვლენის, შთაბეჭდილებების ლირიკული ფერებითა და საღებავებით გამოსახვა. ამრიგად, ლირიკის კანონები პროზაშიაც შეიჭრა და ამ გზით პროზაც კი არ შეცვალა ლირიკა, არამედ შეითავსა ელემენტები ლირიკული აზროვნებისა. ამის მაგალითები უხვად გვხვდება თანამედროვე ქართულ პროზაში. ამ ელემენტებს ვხედავთ ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი პროზაიკოსების, კერძოდ ინანიშვილის ნაწარმოებებშიც.

როგორც ვთქვით, ინანიშვილი მცირე ფორმის მოთხრობების ოსტატად გვევლინება. ამგვარ თხრობას სჭირდება დიდი ეკონომია, დიდი სიზუსტე ენობრივი მასალის გამოყენებისას. აქედანვე წარმოსდგება ერთგვარი სიმკაცრე როგორც ლექსიკაში, ისე კომპოზიციაში.

მცირე ფორმის მოთხრობებში (და საზოგადოდ ყოველგვარ მხატვრულ ნაწარმოებში) უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების პირველ სტრიქონებს, ინტონაციას, რომლითაც პროზაიკოსი თხრობას დაიწყებს. ამ მხრივ რ. ინანიშვილის მოთხრობებში ბევრი რამ არის მოსაწონი და საინტერესო. აი რამდენიმე მაგალითი:

„...მითხრეს — ლამაზი სტუმარი ჩამოვიდაო. ოცი წლის ვიყავი, სიყვარული მწყუროდა და, რა თქმა უნდა, ამ ამბავმა დამაინტერესა. ავდექი და მაშინვე წყალზე გავიქეცი“ („გადასასვლელზე“); ამ პირველივე ფრაზებიდან უკვე აღძრულია ინტერესი. მკითხველი უკვე დაინტერესებულია ვინ არის ეს სტუმარი, როგორ შეხვდება მას ახალგაზრდა და რით დამთავრდება მთელი ეს ამბავი.

რ. ინანიშვილის მოთხრობის დასაწყისი, უმრავლეს შემთხვევაში, უაღრესად კონკრეტულია და გასაგნებული. ძას აქვს განზოგადებული დასაწყისიც მოთხრობისა და მწერალი აქაც უმალვე ახერხებს გამოიწვიოს ინტერესი მკითხველისა:

„ახალგაზრდები ვიქნებით თუ მოხუცები, ცხოვრებისაგან გალაღებულნი თუ დაჩაგრულნი, მაინც ყოველთვის ბევრი რამე გვაქვს ხოლმე მოსაგონებელი, ზოგი მოგონება სევდას მოგგვრის, ამას, თითქო აბეზარი ბუზანკალი ყოფილიყოს, თავის გაქნევით და ხელის აკვრით ვიშორებთ. ზოგს კი ღიმილითა და თვალების მილულვით ვეგებებით, გატოკებასაც

კი ვუფრთხით, გვეშინიან,—ემანდ სხვა არაფერი არ ჩაგვერიოს და არ გაგვიფანტოსო". მთელი ეს ფრაზა ხატოვანია, ინტერესის აღმძვრელი, ყოველი სიტყვა აქ თავის ადგილზეა.

პროზაიკოსის უმთავრესი საზრუნავი მაინც ხასიათებია. ხასიათის გამოკვეთა უდიდესი ხელოვნებაა. აკი მაქსიმ გორკი მწერლობას ადამიანთმცოდნეობას უწოდებდა. რასაკვირველია, ახალგაზრდა პროზაიკოსს ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვაპატიოთ, მაგრამ ის, რაც მას უკვე აქვს, უდავოდ მის ნიჭიერებაზე მიუთითებს.

რ. ინანიშვილის მოთხრობებში ხასიათი, უმთავრეს შემთხვევაში, ლოგიკურად ვითარდება. იწყება ნახატი, მერე მდიდრდება ის ფერები, რომლებიც მწერალმა ფუნჯის პირველი მოსმისას გამოიყენა. საილუსტრაციოდ ავიღოთ მოთხრობა „ჩურჩხელები". ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით, მოთხრობის პერსონაჟი იაგორა უაღრესად კეთილი კაცია. პროზაიკოსმა მკითხველს ამ კაცის სახე უნდა დაუხასიათოს, დაუხატოს. და მართლაც, პირველი ფრაზიდანვე ვიგებთ, რომ იაგორა კარგი კაცია სახლშიც და გარეთაც. მას უნდა ყველას მიუალერსოს, ყველას მოეფეროს, თავისი გულის სითბო ყველას გაუზიაროს. ამას მოსდევს ხასიათის სხვა თვისებებიც. ეს რიგითი კაცი ჩვენი ცხოვრების საერთო ფერხულშია ჩაბმული. ავტორი გვამცნობს, რომ მისი ინტერესი უაღრესად ფართოა: „ელისაბედი რომ სუფრის ალაგებას შეუდგება, ის რამდენიმე ადგილას ძაფით გადახვეულ სათვალეს გაიკეთებს, სინათლეს აანთებს და გაზეთის კითხვას იწყებს. კითხულობს ხმამაღლა: „საბჭოთა საქართველოში ქვანახშირი ამოიღეს გეგმის გადამეტებით". ერთ წერილს რომ ჩაათავებს, სათვალეს გაიწმენდს, მიიხედ-მოიხედავს და ისევ განაგრძობს: „გაერთიანებული ერების ასამბლეაზე". შემდეგ ავტორი ამ გმირს გვაცნობს სამსახურში, სკოლის ცეცხლფარეშის როლში. აქაც კეთილია მოხუცი, ბავშვების მეგობარი. მისი საყვარელი ფრაზა ასეთია: „ჩვენ, ძმაო, ბავშვებს ახლა სხვანაირად ვზრდით, წესრიგს ვაჩვევთ, მაგრამ არ ვჩაგრავთ".

და აი, ეს კეთილი მოხუცი საკლასო ოთახში ორ სტუდენტს შენიშნავს, რომლებიც გამოცდებისათვის ემზადე-

ბიან (შინ სტუმარი მოსვლიათ და სკოლას შეკედლებიან) იაგორა გამოკითხავს მათ ამბავს, გაიგებს, რომ ისინი საგახს ამზადებენ, გაიგებს პროფესორის გვარსაც, რომელსაც ისინი გამოცდას ჩააბარებენ. იგი აქაც ჩვეულ ინტერესს იჩენს და სთხოვს სტუდენტებს, შეატყობინონ გამოცდების შედეგები; ამის მერე იაგორა შინ ბრუნდება, მაგრამ ვერ ისვენებს. სასოებით შენახულ ჩურჩხელებს გამოასვევს და მეორე დღეს სკოლაში მიაქვს, რომ სტუდენტებს გაუმასპინძლდეს. სკოლაში მოსული უმალვე ეკითხება თავის მეგობარს, იმ ყმაწვილების ნაცნობს, თუ რა ბედი ეწვიათ სტუდენტებს. ბიჭები კი არ ჩანან. იაგორა ჩურჩხელებს მაინც არ იცილებს და დამწუხრებული ფიქრობს: უთუოდ გაცივდნენ ბიჭები, ღუმელი რომ არ გამახურებინეს, უთუოდ, ცუდად გახდა რომელიმე მათგანი, უთუოდ სხვა, უფრო დიდი საქმით არიან გართულიო. ავტორი ასე ამთავრებს: „და თუმცა ბოღმის ჭია წიწკნიდა და აბორგებდა, ერთი წუთითაც არ უნდოდა აზრად გაევლო, რომ გამოცდების შემდეგ ბიჭები კინოში იყვნენ, მთაწმინდაზედაც — თხილამურებით საცურაოდ, ხოლო სადღაც სკოლაში მობორიალე ცეცხლფარეშისათვის მიცემული სიტყვა ისე არ გახსენებიათ, როგორც შარშანდელი სიზმარი“.

და ასე, ავტორი იაგორას ხასიათს გვიხატავს ადამიანებთან — მეგობარ სილიბისტროსთან, ცოლთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან ურთიერთობაში. ყოველი დეტალი აქ იმისთვისაა გამიზნული, რომ ამ კეთილი კაცის ხასიათი სრულყოფილად წარმოგვიდგინოს, არ დააკლოს მას არც ფერი და არც საღებავი. ბუნების აღწერას ინანიშვილის მოთხრობაში მეტად განსაზღვრული ადგილი უჭირავს, მაგრამ იგი მუდამ პლასტიკურია, შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი. აი, ერთი მაგალითი: „ჩვეულებრივი ზამთრის საღამო იყო, როცა ცა მოწმენდილია, არც მოწმენდილი, თხელი ბურუსი გადაჰკვრია, ბურუსიც არ ეთქმის; ყინვაა, ნოტიო ყინვაა, თოშავს ხეებს, პაწაწკინტელა ნემსებად ეკიდება ტელეგრაფის მავთულებს, ელნათურების შუქს ბუნდოვანს ხდის და გამვლელ-გამომვლელს კბენს“.

რ. ინანიშვილის წერის მანერა რეალისტურია, რეალიზ-

მის პრინციპს ემორჩილება ხასიათების გამოსახვაც, ენაც და მთელი სტილიც მწერლისა; იგი სიტყვიერი ქსოვილის, ფრაზის საინტერესო ოსტატია; ეს ქსოვილი ყოველთვის ბუნებრივია, პოზიორობისაგან თავისუფალი. ბუნებრივი და ძარღვიანი ქართული ენა დიდ ღირსებას ანიჭებს ამ მოთხრობებს. და ენა ხომ უმთავრესი მასალაა მწერლისათვის. მიხ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავდა: „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღი. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენს ჰგავს; გენიოსიც რომ იყოს, ვერ გაიქცევა და ვერ დაიძვრება“. ინანიშვილის სამწერლო ენაზე კარგის მეტი არაფერი ითქმის. მას მდიდარი ლექსიკა და დახვეწილი ფრაზა აქვს. რაც მთავარია, ყოველივე ეს — ხასიათები, ენა, მთელი სამწერლო სტილი — იმას ემორჩილება, რომ უფრო მკაფიოდ გამოხატოს ჩვენი ადამიანები, მათი გრძნობები და ფსიქოლოგია.

რ. ინანიშვილი პროზით ინტონაცია ოპტიმისტურია; მისთვის უცხო როდია სევდაც, სიძნელეებით გამოწვეული გულისწუხილი და დაფიქრება, მაგრამ აქაც, ასეთ შემთხვევაშიც, ის სიცოცხლეს ეტრფის, სიხარულს აღვივებს და სამყაროს ახალი დროის კაცის თვალით უყურებს. სწორედ ამისთანა მწერალს შეეძლო ეთქვა: „და განა გასაკვირია, რომ ყოველთვის აღტაცებული ვიყო სიცოცხლით?“ ეს ცხოვრებისეული ფილოსოფია, ეს ჯანსაღი და ოპტიმისტური მსოფლშეგრძნობა ჩვენს სინამდვილეს ეფუძნება. რ. ინანიშვილის ქართული კლასიკური პროზის ტრადიციებს ეყრდნობა, მისი ეროვნული სურნელით მოსავს მხატვრულ სიტყვას და ამ მხრივ ის ქართული პოეტური სიტყვის ახალგაზრდა ოსტატად გვევლინება.

მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში ყველაფერი რიგზეა? რასაკვირველია, არა! ჩვენი აზრით, მისი უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ მწერალი ხშირად გატაცებულია წვრილმანი თემებით, რომელთა მასშტაბი მისი ეზოს, მისი სტუდენტობის აუდიტორიას, მისი სოფლის ორღობეს არ სცილდება. რასაკვირველია, მწერალი იმის შესახებ უნდა წერდეს, რასაც იცნობს, მაგრამ აუცილებელია ამ ნაცნობი ადამიანების, ნაცნობი გარემოსა და მოვლე-

ნების ერთგვარი განზოგადოება და ამაღლება, დიდი ლიტერა-ტურული ცხოვრების დონემდე აწევა. ეს ერთი. მეორეც, რ. ინანიშვილისთვის ნიშნეულია ადამიანთა ხასიათების იმგვა-რად გამოხატვა, რომ კონფლიქტი ყოველთვის მარტივია (და მისი გადაწყვეტაც სწორხაზობრივად მიემართება); ადამიანუ-რი ვნებების მწვავე შეჯახებანი, მწვავე კოლიზიები, დიდი გან-ზოგადებანი ჯერ კიდევ არ ჩანს, მაგრამ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მწერალი ამ ხარვეზებს დასძლევს და მხატვრული შემოქმედების უფრო ფართო გზაზე გამოვა.

გული დაეძებს გულს

შენიშვნები ახალგაზრდა ლირიკოსის ლექსებზე

შეიძლება არც ერთი ქვეყანა არ იყოს ისე განებივრებული მოლექსეთა მიერ, როგორც საქართველოა. უთქვამთ, თავისი ბუნებით ყოველი ქართველი პოეტიაო. ამიტომაც ნამდვილი პოეტისაგან ძალიან ბევრს მოითხოვს ქართველი მკითხველი. რუსთველის ქვეყანაში ადვილი როდია ლექსის დამწერმა ყურადღება დაიმსახუროს, ჭეშმარიტი პოეტის სახელი დაიმკვიდროს, დროის წინაშე გამოცდას გაუძლოს.

„მწერლობა ზნეობითი და გონებითი მესარკეობაა, — ამბობდა აკაკი წერეთელი;—ნაწერში როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანამედროვეობა, მისი სისწორ-სიმრუდით, რომ საისტორიო სურათებად გადაეცეს მომავალ დროებას. და როგორც სარკეში ის იხატება, რაც მხოლოდ მის გარშემოა და რაც მას გულში ჩაყურებს, ისე პოეტის ნაწერებში იმას უნდა ვხედავდეთ რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს მოხვედრია... რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემომოყვანილ პირობებს“.

ეს აზრი დღესაც ძალაში რჩება. ინტიმური ლირიკის ღმერთი გალაკტიონ ტაბიძე არ იქნებოდა XX საუკუნის ქართული პოეზიის მეთაური, უახლესი ქართული ლექსის ფუძემდებელი, რომ მის პოეზიას არ ამშვენებდეს დიდი საზოგადოებრივი გრძნობებისა და განცდების გამომხატველი ლექსები. გ. ტაბიძე პატარა რანგის კამერულ პოეტად დარჩებოდა, რომ იგი ავტორი იყოს მარტო ლექსებისა: „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „ცამეტი წლის ხარ“, „დომინო“, „ანგელოზს ეჭირა თეთრი პერგამენტი“ და მის პოეზიას გვირგვინად რომ არ ედგას ლექსები: „ზევით ასწიეთ მზე, ზევით“

„გურიის მთებს“, „მთაწმინდის მთვარე“, „გემი დალანდი“. „დროშები“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „ეპოქა“, „ღრუბლები ძაუგთან“ და სხვა ბრავალი. ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა ქართველი ერის სათაყვანებელ მწერლებად გახდნენ სწორედ იმის გამო, რომ მათ ყველაზე უფრო სრულყოფილად გამოხატეს ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ტკივილები, აღძრეს დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური პრობლემები. სწორედ ამგვარი საკითხებისა და პრობლემების მხატვრული გამოხატვით დაიმსახურეს მათ ქართველი ხალხის სულიერი მეთაურების, ერის წინამძღოლების სახელები; ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, რომ ჩვენ არ შეიძლება განურჩეველი ვიყოთ პოეტის წიგნის შეფასებისას იმ მღელვარე საზოგადოებრივი პრობლემების მიმართ, რასაც დღეს ჩვენი დრო, ჩვენი ეპოქა აყენებს. საბჭოთა მწერალს, სულ ერთია ლირიკოსია იგი, თუ ეპიკოსი, სამართლიანად უნდა წავუყენოთ მოთხოვნილება იყოს ჩვენი ეპოქის „ზნეობითი და გონებითი მესარკე“. ჭეშმარიტი ლირიკოსი ისევე მემატიანე უნდა იყოს თავისი ეპოქისა, ჩვენი ადამიანების სულიერი ცხოვრებისა, როგორც ნამდვილი ეპიკოსი. ლირიკას სრულიად საკმარისი მხატვრული საშუალებები გააჩნია იმისათვის, რომ სინამდვილე, ჩვენი ცხოვრება გამოხატოს მთელი მისი მრავალფეროვნებით.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ აქ ლირიკული ლექსის სპეციფიკა არ გაგვეთვალისწინებინა. ლირიკულ ლექსში ეპოქის ნიშნები, ადამიანის სულიერი ცხოვრების თვისებანი გამოხატულია სპეციფიკურ ფორმაში. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს თავისებურება, იგი ლირიკოს პოეტს არ ათავისუფლებს იყოს ეპოქის მემატიანე.

აქაც ჩვენთვის სამაგალითო უნდა იყოს სახელოვანი კლასიკოსების შემოქმედება; როდესაც აკ. წერეთელი ლირიკოსი პოეტისაგან მოითხოვდა თავისი დროის სისწორით გამოხატვას, „ზნეობითსა და გონებით მესარკეობას“, იგი სწორედ მწერლის თანამედროვეობასთან განუყოფელ კავშირს გულისხმობდა. როდესაც გ. ტაბიძე კატეგორიულად აცხადებდა: „დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ლექსს ეს წე-

ლიწადი, დღე და საათი", იგი გულისხმობდა სწორედ იმას, რომ არც ერთი ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილება, არც ერთი ჭეშმარიტი ლირიკული ლექსი არ შეიძლება არსებობდეს ეპოქისა და დროის გარეშე და თვითონ ამის მაგალითს თავისი შემოქმედებით იძლეოდა. გ. ტაბიძის პოეზიაში, როგორც სარკეში აირეკლა XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, ხალხის სულიერი ზრახვები და ფიქრები და სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ იგი ჩვენი დროის ქართული პოეზიის მეთაურად და ფუძემდებლად.

ყოველი წიგნის, ყოველი ნიჭიერი ავტორის, ახალგაზრდაა იგი თუ ხანდაზმული, საზომი ჩვენი მწერლობის ეს წინაპრები, ეს დიდი სახელები უნდა იყოს. ჩვენ მათ ვუფარდებთ, მათი სახელით ვზომავთ ყოველივე კარგსა და ღირსეულს, რაც ჩვენს მწერლობაში კეთდება. ყოველ ახალგაზრდა პოეტს, რომელსაც გადაუწყვეტია პოეზიით ემსახუროს თავის ერს, თავის ხალხს, თვალწინ უნდა ედგას მაგალითებად ეს დიდი სახელები; ქართულ საბჭოთა მწერლობას სხვა საზომი, სხვა პოზიცია არ შეიძლება ჰქონდეს. ამავე საზომით უნდა შევაფასოთ ყოველი ახალი წიგნი, რომელიც ჩვენი ბიბლიოთეკების თაროებზე გამოჩნდება.

რამდენიმე ხნის წინათ გამოვიდა მორის ფოცხიშვილის ახალი წიგნი „გული დაეძებს გულს". ეს ახალგაზრდა პოეტის მეორე წიგნია. იგი იხსნება ლექსით „ჩიტის მოტანილი ამბავი". ხალხური სულით გამთბარი, კარგად ჩაფიქრებული ეს ლექსი უმალვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას და გვაძლევს სრულ წარმოდგენას ავტორის სტილზე და წერის მანერაზე; ფსიქოლოგიური სურათი აქ დახატულია პოეტური ოცნებითა და რაღაც ბავშვური ინტიმით. ვის არ გაუგონია, როგორ არიგებს ხოლმე დედა თავის პატარას: „არ იცელქო, თორემ სახლში ჩიტი ამბავს მომიტანსო": ლექსში ეს მარტივი ფრაზა და აზრი, ამ უცნაური და უხილავი ჩიტის ამბავი მაღლდება, იზრდება, ზოგადდება:

დიდხანს ვძებნე მე ეს ჩიტი,
ვძებნე, ვდიე, სად არ ვდიე,
წლებში შეველ და მის გზა-კვალს
მხოლოდ ახლა მივაკვლიე;

ახლა მიეხვდი, ვინც ყოფილა
ეს ნათელი და მართალი,
ჩემი გზების გამკვალავი,
ჩემზე ფიქრით ძილგამფრთხალი...
ის რომ არა, თურმე, ქვეყნად
ერთხელაც ვერ ვიმღერებდი...
ჩვენ მას დედის გულს ვეძახით,
ბალღობიდან სიბერემდი.

„გონებითი და ზნეობრივი მესარკეობა“ თავისი დროისა როდია ადვილი საქმე; ეს დიდი ტვირთია, დიდი მოვალეობა. ამ დიდი ტვირთის ასაწევად მარტო სურვილი როდია საკმარისი. ამას დიდი ნიჭიერება, დიდი ცოდნა, დიდი გამბედაობა და შემართება უნდა პოეტის მხრივ. აქეთ ეძახის პოეტს მოვალეობა თავისი ხალხის წინაშე. ამ ძალამ პოეტი ოთახიდან გამოიყვანა, ბარი მისცა და „ბალჩაში გლეხკაცივით ჩააყენა“, ეს უხილავი ძალა სწორედ ისაა, რასაც ცხოვრებას ეძახიან, სწორედ ისაა, რასაც ხალხის სამსახური ჰქვია. ცხოვრების ამგვარი მრავალფეროვნებისა და მრავალმნიშვნელობის გახსნაა ლექსი „უცხო, უსახო და უხილავი“.

მ. ფოცხიშვილის ლექსების ეს წიგნი გვიტაცებს ცხოვრებისეული ინტიმით, ცხოვრების წინააღმდეგობების რეალისტური გადაწყვეტით. ამქვეყნად ყველაფერი ია და ვარდით მოფენილი როდია, ცხოვრება რთულია თავისი შინაგანი ხვეულებით, სიძნელეებით, ცოტა როდია გულისწუხილიც. პოეტმა იცის, რომ:

ქარები ჰქრიან, ჯერ კიდევ ჰქრიან,
ჯერ კიდევ გზებზე ეკლები ჰყრია...

ადამიანი იმით არის დიადი, რომ ებრძვის ამ სიძნელეებს, გონებით და შრომით იმორჩილებს ზღვასა და ხმელეთს, აშენებს ქალაქებსა და სახლებს, ხიდებსა და ბაღებს, სიკეთეს, ბედნიერებას სთესავს თავისი დაუღალავი შრომით და ამ გზაზე რაც წინ ეღობება, ებრძვის მას, ებრძვის დაუღალავად. ეს კარგად ესმის პოეტს და ამიტომ მის წიგნში სევდის ნიავის ქროლვას ოპტიმისტური მონაბერი ანელებს. უაღრესად ადამიანურ სევდასაც აქ სიცოცხლის აზრი ერევა, ოპტიმიზმი იმორჩილებს. და ყველაფერი ეს ბუნებრივია,

სწორედ ეს გარემოება იწვევს იმ გულწრფელ მღელვარებას, რომელიც პოეტის სულის ტკივილებთან მკითხველს აახლოებს, მის ბედში ამყოფებს.

ხალხის იდეალების მოტრფიალე პოეტს ყოველი კეთილი და კარგი ახარებს; ამ აზრის გამოხატვა განუზრახავს მას ლექსში „რაღაც ამბავია, კარგი ამბავია". ცნობილია, რომ დეკლარატულობას და აღწერილობას ლირიკული ლექსი ძნელად იტანს; ამიტომაც პოეტები ბევრ რამეს პირობითობით, ასოციაციების გამოწვევით მიგვახვედრებენ და გვანიშნებენ. მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ, როდესაც ეს პირობითობა გადადის მეტისმეტად დაბურულ და ბუნდოვან ქვეტექსტში. ლირიკა პუბლიცისტურ სიმძაფრესა და სინათლეს როდი უარყოფს. ლექსი „რაღაც ამბავია, კარგი ამბავია", თავისი თემატიკური ჩანაფიქრით სწორედ ამგვარ პუბლიცისტურ გადაწყვეტას მოითხოვდა, და არა „ლირიკულ განდგომას". საზოგადოდ, მ. ფოცხიშვილის ლექსებში პუბლიცისტური პათოსი მეტისმეტად შენელებულია; ჩვენ არ ვიტყვით, რომ იგი სავსებით უარყოფილი იყოს პოეტის მიერ. ამას ადასტურებს, კერძოდ უაღრესად თანამედროვე ლექსი „მოვესწრო მინდა". ეს არის თანამედროვე, მოწინავე საბჭოთა ადამიანის ფიქრისა და ოცნების პუბლიცისტური პათოსით გამოხატვის მაგალითი. პოეტი აცხადებს:

ვოცნებობ:
რომ შევძლო მთვარეზე აფრენა...
და მჯერა —
ახდება ოცნება ჩემი.

პოეტს ამ სიტყვებს გულწრფელად დაუდასტურებს საბჭოთა მკითხველი:

ვოცნებობ:
მსოფლიოს ერთ დიად დროშაზე;
ვოცნებობ:
ამქვეყნად საზღვრების მოშლაზე,
რომ ყველგან
მშვიდობით სცურავდნენ გემნი...

და პოეტს მკითხველიც უდასტურებს, რომ ეს ისეთი ოცნებაა, რომელიც უნდა ახდეს, რომლისკენაც მიისწრა-

ფვის ყველა პატიოსანი კაცი, დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა ცხოვრობდეს იგი. ამგვარი პუბლიცისტური მანერით გამოსახვა საკითხისა და მოვლენებისა სწორედ რომ წახალისების ღირსია.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მ. ფოცხიშვილის ლექსების ამ წიგნს დიდი ოპტიმისტური სუნთქვა აქვს მინიჭებული, ეს მაშინაც კი იგრძნობა, როდესაც სევდიანია ლექსის პოეტური ფაქტურა. პოეტმა იცის, რომ ოდესმე „გულზე ყვავილები დააკვდებიან“, რომ ამ ქვეყანაზე ყველაფერს ბოლო აქვს, და იცის რა ეს, ამიტომ მას უფრო ესმის ფასი სიცოცხლისა და სიყვარულისა, ამიტომ აცხადებს იგი—სითბოს ველი და სიყვარულს ვითხოვო. წიგნის პათოსსაც ეს აზრი განსაზღვრავს:

> და მაინც გული ამ გულს დაეძებს,
> თორემ რა არის გული უგულოდ,
> „კაფე თესეო“, ვინ ჩამომძახის,
> იქნებ შენა ხარ, ჩემო გუგულო!

საგულისხმოა, რომ მ. ფოცხიშვილის ლექსებში არა ერთგან გვხვდება სიტყვა „კაფე-თესე“, როგორც სიმბოლო სიცოცხლისა, განახლებისა და გაზაფხულისა; სადაც განახლების ცეცხლი ანთია, სადაც სინათლე და სიკეთე ფეხს იკიდებენ, ბედნიერებაც იქ არის. ადამიანი უნდა იყოს მებრძოლი ამ სიკეთის გამარჯვებისათვის და ის თავის გულს ამ ცეცხლით უნდა ახურებდეს, ამ ცეცხლის სინათლით გზას უნდა უნათებდეს კეთილ ადამიანებს, მომავალ თაობებს:

> როცა ჩვენს გულში ცეცხლი ანთია,
> სიკვდილი რაა, მხოლოდ ლანდია.
> ასჯერ მოვა და ასჯერ დაფრთხება
> ყველგან, სადაც კი ცეცხლი ანთია.

კარგად ნათქვამია, ადამიანი სიცოცხლის, მამულის სიყვარულის, მისთვის თავდადების გრძნობით უნდა ცოცხლობდეს, სიცოცხლისათვის უნდა იბრძოდეს და ვისაც ეს რწმენა აქვს, მას ადვილად შეუძლია დაამარცხოს სიკვდილი, სძლიოს ბოროტებას; ამას გვასწავლის ისტორია, ამას გვასწავლის ჩვენი მამულის წარსული. ჩვენს წინაპრებს თავი შეუწირავთ

მამულისათვის, მტერს არა ერთხელ აუოხრებია ჩვენი ქვეყანა, ბევრს ავდარს გადაუვლია ჩვენი ხალხის თავზე, მაგრამ ვერა და ვერ მოერევნენ ჩვენს ერს, ჩვენს მამულს, იგი მუდამ ფენიქსებრ აღდგებოდა ხოლმე და კვლავ ებრძოდა მტრებს, კვლავ აშენებდა სოფლებსა და ქალაქებს. და ახლა, როდესაც ჩვენს „მამულში დარებია" და „სასიამოდ ფშვინავს მამული", ხალხი აშენებს ახალ ქალაქებსა და ახალ სოფლებს იმ რწმენით, რომ ღიღილო, საქართველოს ღიღილო — ჩვენი ქვეყნის უკვდავების ეს სიმბოლო, მუდამ იყვავილებს ჩვენს მამულში. ასეთ ასოციაციებს იწვევს ლექსი, რომელსაც ჰქვია „შიო მღვიმის ღიღილოები".

პოეტმა იცის რომ ცხოვრება გამუდმებული ჭიდილია სიძნელეებთან, გამუდმებული ბრძოლაა დაბრკოლებებთან. ამ გზაზე იშვიათი როდია დაჩოქებაც, სევდაც, მაგრამ ცხოვრების დიალექტიკა იმაშია, რომ კეთილი სძლევს ბოროტს, სიცოცხლე სიკვდილზე იმარჯვებს:

არაფერი არ დაიჯერო
ამ ლტოლვისა და ამ რწმენის გარდა!
თორემ სიცოცხლეს
არ ექნება აზრი სრულიად.
სადაც იქვია,
იქ ყოველი დაკარგულია.

პოეტი მუდმივ სიცოცხლეს, „სიცოცხლის იმ ესტაფეტას" შეჰხარის, რომელსაც თაობათა კავშირი ჰქმნის, მაგრამ ეს აღტაცება, ეს ოპტიმიზმი როდია ხბოს აღტაცება! პოეტმა იცის, რომ როცა იქნება ეს დედამიწა „გაგვცრის და ქვესკნელში ჩაგვიტანს", „როცა იქნება ესოდენ საფიცარს" ჩვენს მამულსა და ქვეყანას „გამოვეთხოვებით დარდითა", მაგრამ მან ისიც იცის, რომ ამ სიცოცხლისა და სიყვარულის ჭიდილში უპირატესობა სიცოცხლეს ეკუთვნის, უპირატესობა რწმენას ეკუთვნის, ადამიანები ამ რწმენით ცხოვრობენ. წინ იხედებიან და მიაბიჯებენ გოლიათური ნაბიჯებით სიცოცხლისაკენ, მზისაკენ. ასეთ ვითარებასა და ურთიერთობაში აქვს გამოხატული ავტორს ეს პრობლემა არა მარტო ზოგადად, არამედ კონკრეტულადაც; ასეა ეს, კერძოდ, ლექსში „ღიად

დატოვებული კარები". აქ საინტერესოდ არის ძოთხრობილი იმის შესახებ, თუ რა უბედურება მოაქვს ომს ადამიანებისათვის. ომი დამთავრდა, წლები წავიდნენ, ცოლმაც ძაძა გაიხადა, ხალხსაც მიავიწყდა დაკარგული ჯარისკაცი. მისი ხელადა დაშრა, მაგრამ ძმა მაინც ელოდება ძმას და კარს ღიად ტოვებს. პოეტს კარგად ესმის, თუ რა უბედურება მოაქვს ომს და ამიტომ ის ომის მოძულეა, ღია კარი ეძახის და მოუწოდებს ადამიანებს, ხმა აღიმაღლონ ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

წიგნი იხურება ლექსით — „ასი წლისა თუ ათასის მერე". ეს ლექსი მართლაც კარგად ამთავრებს პოეტის მიერ ოპტიმისტურად ჩაფიქრებულ მთელ კრებულს. მართალია, ყველაფერი ცვალებადია ამქვეყნად, თაობას თაობა ცვლის, ადამიანი მოკვდავია, მაგრამ უკვდავია მისი საქმე, იგი გადადის თაობიდან თაობაზე: მუზეუმებში, არქივებში გადანახულ ლექსებსაც მტვერს გადააცლიან, ისევ გაცოცხლდება პოეტის სახელი, თაობიდან თაობას გადაეცემა, რადგან ხალხი უკვდავია, ხალხი ინახავს კაცის სახელს. ხალხი აცოცხლებს პოეტის სახელსაც, იმ პოეტის სახელს, რომელიც სიმართლეს თესავს ხალხის გულში; ამ აზრს ასე ამთავრებს პოეტი:

ასეთი რწმენა მაცოცხლებს მე და
ურწმუნო ჩემში წვეთიც არ არის.

ამ სტრიქონებით მთავრდება წიგნი; ვხურავთ მას და ჩვენს მეხსიერებაში რჩება პოეტის ფიქრის, ოცნების, ძიების გამომხატველი ეს საინტერესო ნაწარმოებნი. ჩვენ მღელვარებით ვეხმაურებით ამ წიგნში წამოჭრილ კითხვებს. ეს კი უკვე დიდი ღირსებაა წიგნისა. დიდ ღირსებად მიგვაჩნია აგრეთვე ისიც, რომ ფოცხიშვილი ეყრდნობა და ავითარებს ჩვენს ლიტერატურულ ტრადიციებს, იცნობს და ანგარიშს უწევს ლიტერატურის განვითარების კანონებს და მისი გამარჯვებაც ამ გარემოებამ განაპირობა. მწერლობას ერთი დიდი ჭეშმარიტება აქვს. ლიტერატურაში ყოველგვარი ძიება ადამიანის სულის მოძრაობის კანონებს უნდა ემორჩილებოდეს, ცხოვრებისეულ სიმართლეს უნდა ექვემდებარე-

ბოდეს, საზოგადოებრივ პირობებს უნდა ეფუძნებოდეს, ხოლო ჩანაფიქრის ხორცის შესხმა და განაღდება პოეტის ნიჭიერებაზეა დამყარებული.

მ. ფოცხიშვილის ლექსები მუსიკალურია, ყრუ სტრიქონს იშვიათად უპოვით მას. ლექსის ინტონაცია აქ ხშირად გვაგონებს გალაკტიონ ტაბიძის ინტონაციებს, მაგრამ მეტწილად იგი ისე ორიგინალურადაა გარდაქმნილი და გარდატეხილი პოეტის შემოქმედებაში, რომ ამ მხრივ ეს დასაძრახი აღარ არის. ამასთან, მ. ფოცხიშვილს გაბედულად შემოაქვს იმპრესიონისტული, მოდერნისტული სახეებიც. ასე, მაგალითად:

ქარი წვიმაში ისველებს თითებს
და ჩემს რვეულებს ფურცლავს სიამით.

ქარი აქ ისეთ ცოცხალ არსებად არის მიჩნეული, რომელსაც თითები აქვს. რეალიზმის მკაცრი კანონით ამ სახეს შეიძლება ვინმე შეედავოს. მაგრამ ჩვენი აზრით, ეს სახე მაინც რეალიზმის ფარგლებში რჩება. ამგვარი სახეები ლექსში გაბედულად შეჰქონდა გალაკტიონ ტაბიძეს; მოვიგონოთ თუნდაც მისი უმშვენიერესი ლექსი „თოვლი“: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფრენა“... განა აქაც იგივე შემთხვევასთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ ამის გამო ვის დაუწუნია გალაკტიონის ეს სტრიქონები!

გალაკტიონ ტაბიძემ რაინდული გამბედაობით გამოარღვია მოდერნისტული კედელი და რეალიზმს მიაშურა, მაგრამ მოდერნიზმიდან ბევრი რამ აიღო მან, აიღო ის, რაც კარგი იყო მასში. ჩვენს ახალგაზრდობას უთუოდ აქვს უფლება მოდერნისტული პოეზიიდან აიღოს ის, რაც კარგია და მოსაწონია; ის, რაც ლიტერატურის ისტორიაში დამკვიდრდა. სოციალისტური რეალიზმი დიახაც გულისხმობს, ყოველი კარგი მონაპოვარი წარსული ლიტერატურული მიმართულებისა გამოვიყენოთ და განვავითაროთ. საკითხი აქ შეეხება კრიტიკულ გამოყენებას და განვითარებას და არა ეპიგონობას. ამ მიმართებით მ. ფოცხიშვილს მხოლოდ ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ხანდისხან, ამ ურთიერთობას მეტისმეტად უშუალო გავლენის კვალი ემჩნევა. ეს ითქმის, მაგალითად

ლექსებზე: „დღე, რომელიც არ უნდა განმეორდეს“ და „საფერხულო სამშვიდობო“. ორივე ამ ლექსში გ. ტაბიძის პირდაპირი გავლენა მოჩანს.

პოეტი ამგვარ გავლენებს უნდა ერიდოს.

ჩვენი უმთავრესი საყვედური მაინც ის არის, რომ ამ წიგნში პუბლიცისტური პათოსი, მგზნებარე შემართება, ცხოვრებაში შეპრის ტენდენციები ხშირად ხელოვნურად არის შენელებული. არ იქნებოდა მართალი გვეთქვა, რომ აღნიშნულ კრებულში სავსებით არ შეიმჩნეოდეს ეს ტენდენციები; ამის რამდენიმე მაგალითი ჩვენ უკვე დავასახელეთ, მაგრამ მაინც ლექსების ნაწილს, უთუოდ აკლია სწორედ ეს მგზნებარე, პოეტური შემართება, ახალგაზრდული, პუბლიცისტური პათოსი. ამის გამო ლექსების ამ საინტერესო წიგნს, ჩვენი აზრით, მაინც პატარა სარკმელი აქვს, პოეტი ცხოვრებას ხშირად ამ ვიწრო სარკმლიდან უცქერის. ჩვენი სურვილი კი იქნებოდა, უფრო ფართოდ შეეღო მას ცხოვრების კარი, უფრო მრავალფეროვანი იყოს პრობლემები და საკითხები, რომელსაც იგი უტრიალებს.

ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი ხანდახან მეტად იოლად წყვეტს რთულსა და ღრმა საკითხებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის ერთგვარი გახუმრება მოვლენებისა და საკითხებისა, რომელიც წიგნში აქა-იქ გვხვდება. მაგალითად, ლექსი „ალბათ არ იცოდი“; „ამ თვალთ შენი დანახვა რომ შეეძლო, ალბათ არ იცოდი... ამ ხელთ შენი ალერსი რომ შეეძლო, ალბათ არ იცოდი... გულს რომ სხვა გულის გათბობა შეეძლო, ალბათ არ იცოდა. ...„ასე გრძელდება ეს შეხუმრება ლამაზ გოგონასთან, რომელიც შეიძლება პოეტის სატრფო ყოფილიყო; ბოლოს პოეტი მიმართავს მას: „ახლა ყველაფერი უკვე გვიანია, მორის ფოცხიშვილი ცოლშვილიანია“. ეს ბოლო ფრაზა კარგია, მაგრამ აქ, ცოტა არ იყოს, გაიოლებულია, მსუბუქი ირონიითაა გამოხატული გრძნობა სიყვარულისა. (ასევეა მეორე ლექსში „ასე თუ შემიყვარდი“). ჩვენ გვგონია, რომ ისეთ ინტიმურ გრძნობას, როგორც სიყვარულია, უფრო მეტი სულიერი ტკივილებით შეჰფერის ასახვა.

წიგნში შეტანილია სუსტი ნაწარმოებებიც, გვხვდება არაპოეტური სტრიქონებიც და შედარებებიც; აქ უნდა დავასახე-

ლოთ ლექსები „გაზაფხულდება როცა“, „წუხილი თუ სიხარული“, „რაც არ იყო და რაც იყო“, „ვინც გაგვიხსენებს“ და სხვ.

ეს ცალკეული შენიშვნები სრულებით არ ანელებენ იმ დიდ ინტერესს, რომელსაც მ. ფოცხიშვილის ლექსების წიგნი იწვევს. ეს ერთი საინტერესო და ნიჭიერი პოეტური ძოვლენაა უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიაში.

ლირიკული გმირი და სინამდვილე

გასულ წელს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ბევრი რამ საინტერესო და ახალი მოხდა; კერძოდ, ფრიად სასიხარულო მოვლენა ამ წლისა — იყო ჩვენი ახალგაზრდა პოეტების — მ. მაჭავარიანის, ნ. კილასონიას, ნ. გურეშიძის ლექსების კრებულების გამოსვლა. ამ წიგნებმა ბევრი რამ ახალი უთხრეს მკითხველებს; გასული წლის ბოლოს ამ საინტერესო წიგნებს მიემატა კიდევ ერთი ახალი წიგნი — მედეა კახიძის „სიყვარულის ასაკი".

ყოველი ახალი წიგნი მწერლისათვის დიდი გამოცდაა. პირველი წიგნი კი ყველაზე მკაცრი გამოცდის წინაშე აყენებს ავტორს. ამ წიგნის მიხედვით უნდა შეიყვაროს იგი მკითხველმა, მოიწონოს ან დაიწუნოს. საბჭოთა მკითხველი სიხარულით ხვდება ყოველ ახალ ლიტერატურულ მოვლენას, ყოველ ახალ წიგნს. იმავე დროს, იგი მაღალკულტურული, მკაცრად მომთხოვნელი მკითხველია. ახალ წიგნში იგი ეძიებს პასუხს იმ კითხვებზე, რომლებსაც ცხოვრება აყენებს, ეძიებს თავისი ფიქრების, განწყობილებისა და სულიერი მღელვარების გამოხატვას. და თუ წიგნი არ პასუხობს საბჭოთა ადამიანის განცდებს და ფიქრებს, არ ეხმაურება მის მრავალფეროვან ცხოვრებას, ისე, ახალი იქნება იგი თუ ძველი, არ შეიძლება რაიმე როლი შეასრულოს საბჭოთა ადამიანის სულიერ ცხოვრებაში და გახდეს მოწონების საგანი. ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ყოველი ახალი წიგნი, ამავე საზომით უნდა შევაფასოთ მ. კახიძის ახლახან გამოსული ლექსების კრებული „სიყვარულის ასაკი".

ამ ლექსების ლირიკული გმირი—თვითონ პოეტია. იგი, უპირველეს ყოვლისა, ავტორის მიზანსწრაფვას, მის გრძნობებსა და ფიქრებს, იდეალებსა და ოცნებას გამოხატავს;

ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონოთ, რომ ამ ბოლო დროს ბევრი იწერება ჩვენს პრესაში ე. წ. ლირიკული გმირის შესახებ და საზოგადოდ ლირიკის შესახებ. მაგრამ ხანდახან ივიწყებენ, რომ სწორედ ლირიკულ გმირს ევალება, უპირველესად ყოვლისა, იყოს გამომხატველი, ჩვენ ვიტყოდით, ტიპიური გამომხატველი საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრებისა, მისი მაღალი იდეალებისა. ბოლოს და ბოლოს, ყოველი ლიტერატურული გმირი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. გმირის ხასიათში, აშკარად თუ ფარულად, ავტორის დამოკიდებულებაა საგანთან, მოვლენასთან, სინამდვილესთან, ოღონდ ეს დამოკიდებულება გამოთქმულია ლიტერატურული გმირის მეშვეობით. ლირიკული გმირი კი თვითონ ავტორია; ამ შემთხვევაში უფრო აშკარად და ნათლად არის გამოვლინებული ავტორის სულიერი ცხოვრება, მისი მიზანსწრაფვა, მისი დამოკიდებულება სამყაროსადმი და ამის მიხედვით, მისი მსოფლმხედველობაც; არც ერთ ლიტერატურულ გმირზე, მისი ფიქრებისა და განწყობილების გადმოცემის დროს, ისე უშუალოდ არ აგებს პასუხს ავტორი, როგორც ლირიკულ გმირზე. ამიტომ, როდესაც ლირიკული გმირის შესახებ ვმსჯელობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ავტორისა მეტია.

საკითხს არ სცვლის ის გარემოება, რომ ეს ლირიკული გმირია და არა ეპიკური. აქ სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ლირიკულ გმირს, რასაკვირველია, არ შესწევს ძალა და უნარი ისე ვრცლად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება მოვლენასთან, საგანთან, ცხოვრებასთან, როგორც ენ ეპიკური ნაწარმოების გმირს შეუძლია. ლირიკის ფორმა, ეპიკური ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, წინასწარ განსაზღვრავს, საზღვრებს უქმნის ავტორს, მაგრამ ეს მცირე ფორმა სულიერი ცხოვრების გამოხატვისა მას პასუხისმგებლობისაგან როდი ათავისუფლებს, რაღაც განსაკუთრებულ უფლებებს როდი ანიჭებს. პირიქით, ლირიკული გმირი, რომელიც ასე უშუალოდაა დაკავშირებული პოეტის ფიქრებსა და განცდებთან, ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, რომელიც თავად პოეტია, გულისხმობს, რომ უფრო ნათლად, გარკვევით, უფრო სწორად და მართებულად, უშუალოდ და ამაღლებულად

გამოხატოს თავისი დამოკიდებულება სინამდვილესთან, ცხოვრებასთან; და თუ ავტორი ჭეშმარიტი საბჭოთა პოეტია, მის ქმნილებებში ჩვენი თანამედროვე საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების გამომხატველი ზრახვები და ფიქრები უნდა ამოვიკითხოთ. საბჭოთა მკითხველმა უმალვე უნდა შეიცნოს თავისი თავი, იგრძნოს ის, რაც მასაც აწუხებს და აფიქრებს. არ შეიძლება გმირი, იქნება ეს ლირიკული თუ ეპიკური, ეთიშებოდეს ჩვენს სინამდვილეს, ჩვენს ცხოვრებას. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ლირიკული გმირი სხვა არა არის რა, თუარ თვით საბჭოთა პოეტი, საბჭოთა მოქალაქე თავისი მოწინავე იდეალებით და განცდებით, ფიქრებითა და ოცნებით.

ჩვენ უკვე ვთქვეთ, რომ მ. კახიძის ლექსების ლირიკული გმირი თვითონ პოეტია. მისი განცდები და ფიქრები ხშირად გვაჯადოებს, გვხიბლავს. და ეს ხდება მაშინ, როდესაც პოეტი ახერხებს თავისი ლირიკული განცდების გამოხატვას პოეტურად, ამაღლებულად, განზოგადებულად, გულწრფელობითა და სიმართლით.

და როდესაც პოეტი, მოწინავე კომკავშირელი ქალიშვილი, სამშობლოს მგზნებარედ მიმართავს, გვჯერა, რომ ასევე მოიქცეოდა ყოველი ჩვენი მოწინავე ქალიშვილი და ჭაბუკი. იგი გულწრფელად გაიმეორებდა ავტორის სიტყვებს:

> თუ მტერმა კანჭი ჩაგასო,
> ფოთოლთ შეწყვიტონ გალობა,
> არ შეეწირო სამშობლოს,
> დაიწვას ჩემი ქალობა.
> თუ დაგიჭირო სიცოცხლე,
> მტრებს არ დაგაცხრე ორბივით,
> მზე ჩამიღამდეს თვალებში,
> მიწამც დამიგოს ლოგინი.

პოეტი ქალი ვაჟკაცურ შემართებას გამოხატავს მაშინაც, როცა იგი იხსენებს შეუპოვარ მთასვლელ ქალს, მგზნებარე და დაუცხრომელ ალექსანდრა ჯაფარიძეს. ჩვენ გვწამს პოეტის სიტყვები, რომ მას ცხოვრების გზას უნათებს ზვავებთან შებრძოლი ქალის სახე:

ზვაეთა რისხვას შეება,
ჯიხვს სიმკვირცხლე მოსტაცა,
მგლის მუხლები შეიბა,
ქალი იქცა ლომქალად.

ეს შემართება ბუნების მრისხანების წინააღმდეგ იტაცებს ლექსის ლირიკულ გმირს, თანაგრძნობით ეპყრობა მას, მაგალითად სახავს მის საგმირო საქმეს.

თვალი ეშხით დამტკბარა,
ნისლო, საით წახველი,
წინ მიმიძღვის ლამპარად
ჯაფარიძის სახელი.

მაგრამ ამგვარ მოტივებსა და განწყობილებებს წინამდებარე კრებულში მაინც უფრო ნაკლებად ვხვდებით. ამ ლექსების ლირიკული გმირი, უპირატესად, შეყვარებული გოგონაა, სიყვარულის ასაკის ქალიშვილი; ამ თვალით არის დანახული ყოველი მოვლენა, ყოველი საგანი. ამ სფეროში ამეღავნებს პოეტი დიდ უშუალობას, ბუნებრიობას, პოეტურ აღმაფრენას. და ეს როდია ცუდი, ჩვენი ცხოვრება მრავალფეროვანია, ადამიანის დამოკიდებულება მასთან ასევე მრავალმხრივია, ადამიანის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭრავს სიყვარულსაც. ადამიანი დაუცხრომლად მიისწრაფვის ამ მაღალი და კეთილშობილური გრძნობისაკენ. მ. კახიძის ლექსების მთავარი ლირიკული გმირიც შეყვარებული გოგონაა. წიგნის სათაურიც ამაზე მიგვანიშნებს და აქ მოთავსებული ლექსებიც ამაზე მეტყველებენ. ამ გზით იგი ბევრ შესანიშნავ სურათს ხატავს, მომხიბლავ დეტალებს ქმნის. ეს შეყვარებული გოგონა ფუქსავატი ადამიანი როდია, ის ჩვენი ცხოვრების ფერხულში ჩაბმული მოწინავე ადამიანია.

ჩუქურთმის მჯრელი გოგო ვარ,
ჩემს საქმეს ნეტავ სხვა რა სჯობს,
შევხარი უცებ წამოზრდილ,
ცამდე აზიდულ ხარაჩოს,
უენო ქვაში გამოვთლი
წითელკაბიან ყაყაჩოს.

პოეტი ხატავს სიყვარულს, როგორც უძლიერეს გრძნო-

ბას, ადამიანის სიცოცხლის საფუძველს, მისი გმირობისა და ვაჟკაცობის წყაროს:

რა იქნებოდა ლაჟვარდი
ლეგა ღრუბლების ამარა,
რა იქნებოდა ნეტავი,
უმზეოდ ზეცის კამარა.
ან გული უსიყვარულოდ,
მზემ ერთხელაც არ დახედოს,
იალაღები უჯიხვოდ,
არაგვი უკალმახებოდ.

ადამიანის გული სიყვარულის გარეშე ცარიელია, ფუტუროლ ხეა, სადაც სიცოცხლე ფესვს ველარ გაიდგამს. სიყვარული სიცოცხლის ძლიერი ძალაა და ადამიანი არ უნდა ეურჩებოდეს მას, არ უნდა გაურბოდეს. უსიყვარულოდ ყოფნას აზრი არა აქვს. კარგად ამბობს პოეტი:

ან ღამე მთებში ჩაწოლილს
დილამ ფერი არ უცვალოს,
არ მინდა ყოფნა უშენოდ,
არ მინდა ყოფნა უცალოდ.
შორით რას მესაუბრები,
იქნება ამ გულს უშველო,
მოდი, გაფანტე ღრუბლები,
ცოდო ვარ, ბიჭო, უშენოდ.

და აი, პოეტი მთელი გულწრფელობით, დიდი უშუალობით, ვნებათაღელვით, დაეძებს ცალს, უხმობს შეყვარებულს.

ის, რაც ჩვენ აქ ნიმუშებად მოვიტანეთ, კარგად გვამცნობს პოეტის ფიქრსა და განწყობილებას, მის ზრახვასა და მიზანს, გვამცნობს საინტერესო პოეტური ფერებით და საღებავებით, აღგზნებული გულითა და ანთებული სიყვარულით. ყველაფერი ეს როდია ურიგო, ოღონდ აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლირიკული გმირი მეტისმეტად შეყვარებულია თავის თავზე, მეტად გაზვიადებული წარმოდგენა აქვს თავის განცდებსა, გრძნობებსა და პირად ღირსებებზე. მით უფრო გეცემა ეს თვალში, როდესაც პოეტი თავისი ლირიკული გმირის ცხოვრების გარეგნულ მხარეს შეეხება:

მზეს სურს შენთან სიახლოვე,
ლამის მოწყდეს ტატნობს,
თურმე შენთან ახლოს ყოფნა
ყურძნის მტევნებს ათრობს.
სტუმარი თუ მასპინძელი
შენთან ყოფნას ნატრობს.
შენ ველების ცისკარი ხარ,
შავგვრემანო ქალო,
მზით დამწვარი მზის ქალი ხარ,
მინდვრის დედოფალო.

როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობთ, უხერხულობას გრძნობთ და ამ უხერხულობაში, პირველად ყოვლისა, თვითონ ავტორი იყენებს თავს. ეს მდგომარეობა ბერძენი მითიური გმირის ნარცისის ავადმყოფურ წარმოდგენას გვაგონებს თავის სილამაზეზე. არა მგონია, ეს იყოს ტიპიური და დამახასიათებელი ამ ლექსების ლირიკული გმირისთვის, მაგრამ ეს არ არის იმდენად საზიანო, რომ მასზე დიდხანს შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. ამ წიგნს სხვა, უფრო სერიოზული ნაკლი აქვს.

როგორც უკვე ვთქვით, წიგნში საინტერესოდ არის დახატული ასაკი სიყვარულისა, გადმოცემულია გრძნობა საბჭოთა ქალიშვილისა. მაგრამ იმდენად ერთფეროვანია განცდათა და გრძნობათა გადმოცემა სხვადასხვა ლექსში, იმდენად შეზღუდულია საკითხთა წრე, აქ ისეა განმეორებული სიყვარულის ასაკის ამბავი მრავალჯერ, რომ მოსაბეზრებელი ერთფეროვნების საფრთხეს ქმნის. ასე ვიწროდ შემოფარგვლა თემისა არ არის მიზანშეწონილი. ლექსთა ამგვარ თემატიკურ განსაზღვრულობას ვერ ითმენს ლირიკული ლექსების კრებული, თუნდაც იგი დიდის ნიჭიერებით იყოს დაწერილი. რა იქნებოდა მაგალითად, ბარათაშვილის ლექსების წიგნი, ან გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული ლექსების კრებულები, რომ იქ მარტოოდენ პირად სიყვარულზე იყოს საუბარი, მარტო სიყვარულის ასაკის ლირიკული გმირი მეტყველებდეს დაუსრულებლივ. სადაც ერთ თემას მიეძღვნება ყველა ლექსი, იქ ერთფეროვნება მკვიდრდება. ერთფეროვნების ეს დალი აზის მედეა კახიძის ლექსების ამ წიგნს და ეს არის წიგნის მთავარი ნაკლი.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნში შეტანილია რამდენიმე სხვა მოტივის, სხვა განწყობილების ლექსები; მაგრამ, როგორც ჩანს, ავტორს ამ თემაზე ისეთი ენერგიითა და მონდომებით არ უმუშავნია. ამიტომ ეს ლექსიც სუსტია, დეკლარაციული. ავიღოთ ლექსი „საპირველმაისო სიმღერა". აი როგორაა აქ გამოხატული პოეტის დამოკიდებულება ისეთ მოვლენებთან, როგორიც არის მშვიდობისადმი მიძღვნილი საპირველმაისო დემონსტრაცია:

ფართო ქუჩებში მოდიან
აგრონომი თუ ხარატი,
სამშობლოს ზეცა დაპნათით,
არ უყვართ უაძიდობა.
გულის ფიცარზე სწერია.
მშვიდობა გვინდა, მშვიდობა.
გულში ხალისი ინთება,
ხალხის ზღვა მოდის ზვირთებად,
მშვიდობის დიდი სიმღერა
ქუჩებს მოედო ღვარებად.
რამდენი სიხარულია,
რამდენი აღფრთოვანება.

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ მიხვდეთ, თუ რამდენად ზერელედ, უფერულად არის გამოხატული აქ პოეტის დამოკიდებულება საგანთან. დეკლარაციული ფრაზები, ხატოვნებას მოკლებული სიტყვები არაფრის მთქმელ მშრალ ლოზუნგებად აქცევენ ამ საკმაოდ გრძელ ლექსს და ეს უთუოდ იმითაა გამოწვეული, რომ პოეტი გულისყურით, მონდომებით და ენერგიით არ მოჰკიდებია საკითხს.

მ. კახიძის, როგორც ახალგაზრდა პოეტის სახე, ამ წიგნში, მკაფიოდ არის გამოვლინებული. მისთვის, როგორც პოეტისათვის, უცხოა სენტიმენტალური აცრემლება, უიმედო განწყობილება. ასევე თავისუფალია მისი ლექსები ნატურალისტური სურათებისაგან. აქ არსად შეგვხვდება უხეში ბანალობა გრძნობისა, არც მანჭვა-გრეხა და მანერულობა. კახიძის პოეტური ფრაზა ყოველთვის ბუნებრივია, ამავე დროს ბუნებრივობისა და პოეტურობის ასე შერწყმას ხელს უწყობს კარგი ქართული; მაგრამ ჩვენის აზრით, ამ წიგნის მიხედვით მაინც

ჩანს, რომ ის დიდი ცოდნა ხალხურისა, ხალხური მეტყველებისა, ბუნების იდიალური სურათების გამოხატვისა, ადამიანის განცდათა დახატვისა მაინც განსაზღვრულ ჩარჩოშია მოქცეული. ზოგადი პოეტური კულტურა, მრავალმხრივობა აზრის გამოხატვისა, დიდი პოეტური ფრთები ხ'შირად აკლია პოეტის ნათქვამსა და ნაგრძნობს. მას დაჭირდება დაუცხრომ'ლად იმუშაოს პოეტური კულტურის ამაღლებისათვის. ასევე დასჭირდება მუშაობა პოეტს თემატიკური მრავალფეროვნებისათვის. ლექსების წიგნში უნდა ჩანდეს პოეტის ინტერესთა არე. ამ მრავალმხრივობის გამოხატვა ლირიკულ გმირს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც ის ადამიანთა ბიოგრაფიას გადმოგვცემს არა ერთი კუთხით, არა ერთი შტრიხით, არამედ საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელი მრავალმხრივობით. ეს მებრძოლი ტენდენცია და მგზნებარება ხშირად აკლია მ. კახიძის ლირიკულ გმირს. მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა ვიყოთ მეტად მკაცრი ამ პირველი წიგნის მიმართ სწორედ ამგვარ სიმკაცრეს ჰგმობს ამ წიგნის ბოლოს მოთავსებული იგავი, სადაც პოეტი ამბობს:

დიდი როგორ გავხდები,
თუ გაზრდას არ დამაცდი?

ორი ახალგაზრდა მწერალი, ორი სტილი, ორი მანერა

ამ უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მოვიდა თაობა, რომელიც იმ ახალ საზოგადოებრივ ატმოსფეროში გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე, 50—60-იან წლებში რომ შეიქმნა. ეს ატმოსფერო უთუოდ მოამზადა იმ საზოგადოებრივმა ვითარებამ, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურიდან სახალხო დემოკრატიული დიქტატურის საწყისებზე გადასვლამ განაპირობა. სწორედ ამ ახალ დემოკრატიულ ატმოსფეროს მოჰყვა ახალი ყლორტების გაფურჩქვნა ჩვენს მწერლობაში. ეს ისეთი ისტორიული ფაქტია, რომლის უარყოფა არც ერთ ჭკუამყოფელ კაცს არ შეუძლია. და რაკი ეს ფაქტია, ყოველი ახალი მოვლენა ამ ვითარების ფონზე უნდა განვიხილოთ. ამ ვითარების ფონზე უნდა განვიხილოთ ახალი ლიტერატურული თაობაც. როდესაც ლიტერატურაში შექმნილ ახალ ატმოსფეროზე ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, ვგულისხმობთ სოციალისტური რეალიზმის პოზიციების იმ თანამიმდევრულ დაცვას, რომელსაც ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა მთელი შეუპოვრობით ეწეოდა და ეწევა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მომხრე ვიყოთ ლიტერატურული პოზიციების განურჩევლობისა, ქაოსისა და ანარქიის ქადაგებისა მწერლობაში. ჩვენში მწერლობა და ხელოვნება ვითარდებოდა და ვითარდება სოციალისტური რეალიზმის ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ შეუპოვარი შეტევის სულისკვეთებით, მაგრამ აქ საკითხი იმას შეეხება, რომ ამ უკანასკნელ წლებში ჩვენს მწერლო-

ბაში მეტი გასაქანი მიეცა აზრსა და ფანტაზიას, ფორმისა და სტილის სხვადასხვაობას, მეტი დემოკრატიზმი აზრისა და შინაარსის მხრივ, მეტი შეჯიბრება მხატვრული ფორმის სრულყოფისათვის ბრძოლაში, უკუგდება და უარყოფა, ტრაფარეტებისა და სქემების, გაყინული ფორმებისა და დოგმების, სოციალისტური რეალიზმის პოზიციის ფარგლებში მეტი თავისუფლება ფანტაზიისა, ინტონაციებისა, ფორმებისა, რაც ნიშნავს, რომ საბჭოთა მწერლობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ერთი მხრივ, ენობრივი ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, პრიმიტივიზმისა და ფორმის ჩამორჩენილობის უკუგდებას, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე მძაფრი ბრძოლა გამოუცხადა აბსტრაქციონიზმისა, ფორმალიზმისა და დეკადენტური სკოლების გადმონაშთებს. როდესაც ვამბობთ, უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ატმოსფერო სრული საბჭოთა დემოკრატიზმის გზით მიიმართება, რასაკვირველია, ვგულისხმობთ, რომ საბჭოთა დემოკრატიზმი დაუძინებელი მტერია ანარქიზმისა. მწერლობაში ისევე საჭიროა დისციპლინა და წესრიგი, როგორც სულიერი კულტურის ყოველ დარგში.

ლიტერატურა საშუალებაა და არა თვითმიზანი. მწერლობა თავისი მაღალი დემოკრატიული სულითა და ჰუმანიზმით უნდა ემსახურებოდეს ხალხს, საბჭოთა ხალხის დიდსა და კეთილშობილურ მიზნებს. ნამდვილი მწერლობა იყო, არის და მუდამ იქნება ხალხის მსახური. ამიტომ ჩვენ ვყოფილვართ და მუდამ ვიქნებით მტერი ყოველგვარი განურჩევლობისა მწერლობაში, თავაშვებულობისა და ინდივიდუალისტური კარჩაკეტილობისა, ეგოისტური, თვითმიზნური, ბატონკაცური გაბღენძილობისა და განდგომისა. აქედან გამომდინარე, დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ იმ ლიტერატურულ ინერციებს, რომლებიც დაკავშირებულია ანტირეალისტური სკოლების ანტიხალხურ ნალექებთან.

მწერლობას ჩვენ ვუყურებთ— როგორც ამას დიდი ილია ამტკიცებდა,—ერის აღზრდის, ერის სამსახურის თვალსაზრისით, როგორც ერის იდეური ძალების აღმზრდელს, მის წამმართველსა და ხელმძღვანელს. და ვინც ამ აღმზრდელობით

ფუნქციას შეგნებულად ებრძვის, ის საბჭოთა მწერლობის პრინციპების მოწინააღმდეგეა და მას არ შეიძლება გულგრილად ვუცქერდეთ. იდეური სიწმინდე, ხალხის ინტერესების სამსახური იყო და მუდამ იქნება ჭეშმარიტი მწერლობის გამოსავალი პრინციპი. და როდესაც ჩვენ ვაფასებთ ახალ მოვლენებს მწერლობაში, ახალთაობის მიერ მოტანილ ინტონაციებსა და ფორმებს, ამ დიდი საზოგადოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ეს ფაქტები და მოვლენები, სხვა საზომი არ ჰქონია და არც ექნება რეალისტურ მწერლობას.

როდესაც ახალთაობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდობა. ამ თაობაში შედიან პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები, კრიტიკოსები, მთარგმნელები და მაინც ყველაზე საგულისხმო არის ის ფაქტი, რომ მათ შორის საკმაოდ მოზრდილი და ფრიად მნიშვნელოვანი ძალა პროზაიკოსებია. და აქ საქმე რაოდენობაში როდია, არამედ იმაში, რომ ეს ახალგაზრდა პროზაიკოსები მოვიდნენ ჩვენს მწერლობაში, როგორც დიდად საიმედო ძალა, რომელთაც თან მოიტანეს დიდი განახლება ფორმისა, ნიჭიერება საზოგადოებრივი ცხოვრების გამოსახვისა, დიდი საზოგადოებრივი ტკივილები და ამ ტკივილების გამოსახვის ორიგინალური და საინტერესო მხატვრული პოზიცია მოძებნეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ოტია იოსელიანის, ნოდარ დუმბაძის, რევაზ ინანიშვილის, არჩილ სულაკაურის, ლადო მრელაშვილის, თამაზ ჭილაძის, როსტომ ბეჟანიშვილის, ნ. წულეისკირის და სხვათა მოთხრობები, რომანები, ნოველები. ამ შემთხვევაში ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ორი ახალგაზრდა პროზაიკოსის ნაწარმოებებზე, ეს არის ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“ და ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“.

ყოველ ახალ ნაწარმოებში უნდა ვეძიოთ, უპირველეს ყოვლისა, ის დადებითი, ნოვატორული, რაც მხარდაჭერის და წაქეზების ღირსია. ყოველი ახალი მიღწევა ახარებს მკითხველს. ამიტომ, ჩვენი აზრით, კრიტიკოსი მოვალეა ყუ-

რადღებას ამახვილებდეს ამ დადებით მოვლენებზე, ახალ ყლორტებზე, რომელიც საზოგადოებრივ მხარდაჭერას იმსახურებენ. ეს როდი ნიშნავს, რომ კრიტიკა არ ებრძოდეს სუსტ, უფერულსა და უვარგის წიგნს. უფერული და სუსტი წიგნი ლიტერატურას ანაგვიანებს, მწერლობის დაქვეითებას იწვევს უთუოდ. ამიტომ ჩვენ დაუნდობელი მტერი უნდა ვიყოთ ყოველივე იმისა, რაც ამდაბლებს მხატვრულ გემოვნებას და მწერლობის ესთეტიკურ დონეს. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა. და ჩვენის აზრით, ამ უფერული წიგნების ბრძოლის თავისებური ფორმა არის, როდესაც ვაქებებთ და მხარს ვუჭერთ ახალსა და დადებითს ლიტერატურაში.

მწერლობა, რასაკვირველია, თაობებად იყოფა, მაგრამ ამ დაყოფაში ჩვენ გვავიწყდება ერთი ჭეშმარიტება: ლიტერატურაში მუდამ იყო ნიჭიერი და ნაკლებად ნიჭიერი მწერალი. მაგრამ მწერლობის წამმართველი, ლიტერატურული პროცესების განმსაზღვრელი სწორედ თაობათა ეს ნიჭიერი წარმომადგენლები ყოფილან მუდამ. საერთო ატმოსფეროს სწორედ ეს ნიჭიერები ქმნიდნენ, ლიტერატურულ ცხოვრებას ისინი წარმართავდნენ, კამათსა და დავას სწორედ მათი ნაწარმოებები იწვევდნენ. ისინი და მხოლოდ ისინი აღძრავდნენ ლიტერატურაში დიდსა და საინტერესო საკითხებს. და ამ დავასა და კამათში სუსტი და უფერული წიგნები, ეს უნიჭო მწერლები განზე რჩებოდნენ, მათ არავინ ებრძოდა, არავინ ერჩოდა. ცნობილია, რომ კეტს სწორედ მწიფე ხილს ესვრიან და არა მკვახეს. ასე ხდება ლიტერატურაშიაც. ამიტომ არის, რომ ყოველ მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას ცხარე კამათსა და ცეცხლში გამოუვლია. სწორედ მათ უცხოვრიათ ელვარე, მგზნებარე ცხოვრებით მაშინ, როდესაც უფერული წიგნები და მათი ავტორები მშვიდად ყოფილან ჩრდილს ამოფარებულნი.

ეს უბრალო ჭეშმარიტება აქ იმიტომ გავიხსენეთ, რომ უფრო ნათლად შევათანხმოთ მოვლენები, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენს მწერლობაში. ფაქტია, რომ ამ ბოლო დროს გამოსულ ახალგაზრდობას ახასიათებს მეტი დაკვირვება, მეტი სიფხიზლე. ფორმის გრძნობამ ისინი ერთბაშად გამოარჩია იმ მწერლებისაგან, რომლებიც ფოტოგრაფიისა და

ილუსტრაციის უნიჭო მოყვარულები იყვნენ. და ამ ფონზე ჩვენ თვალში გვეცემა ფრაზაზე დაკვირვებული მუშაობა, სიტყვის ოსტატობა, რაც ასე დამახასიათებელია ამ ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის. მაგრამ ამასთან უმართებულო იქნება, არ გავიხსენოთ წინა ნიჭიერი თაობა. განა ასევე არ ახასიათებდა მას ეგრეთწოდებული მოჭარბებული ფსიქოლოგიზმი და ფორმის გრძნობა, რაც ამ ახალგაზრდობის კუთვნილებათ გამოვაცხადეთ? განა ამ მხრივ ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს ჭოლა ლომთათიძის „სახრჩობელას წინაშე", შიო არაგვისპირელის „ადე, ჩამოვიდა", ლეო ქიაჩელის „ალმასგირ კიბულანი", ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი"... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. საკითხი შეეხება ნიჭიერ ნაწარმოებსა და უფერულ, სუსტ ნაწარმოებებს, ნიჭიერ მწერალსა და სუსტ მწერალს. და თუ ამის მიხედვით შევხედავთ მოვლენებს, ჩვენთვის ბევრი რამ უფრო ნათელი და გასაგები გახდება. ამისდა მიუხედავად, მაინც მიგვაჩნია, რომ ამ ბოლო წლებში მთელი ფრონტით დაიწყო ბრძოლა ენობრივი ნატურალიზმისა და სქემატიურობის წინააღმდეგ. ოღონდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს თანაბრად შეეხება ყველა თაობის მოღვაწეობას, მეტნაკლებად და ახალგაზრდობის განსაკუთრებულად გამოყოფა არ იქნებოდა მაინცდამაინც მართებული. საქმე ის არის, რომ ამ ბოლო ხანებში საერთოდ უფრო აიწია ჩვენმა ლიტერატურულმა დონემ, უფრო მომთხოვნი გახდა მკითხველი, უფრო გაფაქიზდა მისი გემოვნება, და ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ჩვენს მწერლობაში გარკვეული შედეგი.

ახალგაზრდა პროზაიკოსები მთელის გატაცებითა და მონდომებით მუშაობენ თანამედროვეობის თემაზე; ისინი ჩვენი ხალხის ყოველდღიური ცხოვრებით, მისი მშფოთვარე დღეებით ცოცხლობენ. ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა" და ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს" ჩვენი ცხოვრების მეტად მღელვარე ხანას შეეხება. ეს არის სამამულო ომის დღეები, რომელთა მოგონებისადმი გულგრილნი ვერ დავრჩებით და სამუზეუმო-საარქივო საგნად ვერ ვაქცევთ. ის კვლავ მღელვარე, კვლავ დღის წესრიგში მყოფ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, სანამ მსოფლიოში არსებობენ ბნელი ძალე-

ბი, რომლებიც კვლავ იარაღს აყღარუნებენ და კაცობრიობას ახალი სასაკლაოსაკენ ერეკებიან. ვისაც სურს მშვიდობა, ვისაც უყვარს თავისუფალი შემოქმედებითი შრომა, ოჯახი, ბავშვები, მას არ შეიძლება არ სძულდეს ომის გამჩაღებლები—კაცობრიობის ეს უბოროტესი მტრები. ატომური ომის საშიშროების ვითარებაში არ შეიძლება ფრიად აქტუალური არ იყოს განვლილი ომის გახსენება და მკითხველის აღზრდა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი მამულის, ჩვენი ხალხის სიყვარულისა და დაცვის სულისკვეთებით. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ ბოლო ხანებში არა მარტო ქართულ მწერლობაში, საერთოდ, მთელ საბჭოთა ლიტერატურაში სამამულო ომის თემა ერთი აქტიური, მოქმედი თემაა.

ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა" ომის ცხოვრების სურათებს გვიხატავს. ეს სურათები 12-17 წლის ბავშვის გონების თვალით, მისი მოქმედებისა და საქციელის ატმოსფეროში არის წარმოსახული და გაცოცხლებული. დიდი უშუალობა და პირდაპირობა აქვს მინიჭებული აქ წარმოსახულ ყოველ ეპიზოდსა და სურათს. რომანის ძირითადი პათოსი იმაში მდგომარეობს, რომ გვაჩვენოს ომმა ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად რა ნაადრევად მოამწიფა მოზარდი თაობა, ჩაბა ისინი მკაცრ ორომტრიალში, დაადგა ცხოვრების მძიმე უღელი, წაართვა ბავშვური იდილია, გააუხეშა, წაგლიჯა ოჯახური სითბო და ხალისი. მოთხრობის დასაწყისიდან ჩვენ ბავშვებს ვხვდებით. 10-12 წლის ბავშვები გოგიტა, ტუხუია, კლიმენტია, გოგონა და სხვები რიკტაფელას თამაშობენ, სკოლაში დადიან, საქონელს მწყემსავენ, მდინარეში ჭყუმპალაობენ, შემდეგ, მზეს შეფიცხებულნი, ბავშვურად ოცნებობენ სწავლაზე, წიგნზე, თამაშზე, ბურთზე... და ყველაფერი ეს ბუნებრივია, მაგრამ მოულოდნელმა ომმა ერთბაშად დაარღვია ეს იდილიური განწყობილება და რიკტაფელას ნაცვლად მათ ხელში მისცა კავი, კულტივატორი, ვენახის სასხლავი, ბარი და თოხი... ომმა მოუშალა მათ ბავშვობის ბუდე, ნაადრევად გამოიყვანა ისინი დიდ შრომითი ბრძოლის ველზე. ამ ფონზე ოტია იოსელიანმა შესანიშნავად დაგვიხატა ტიპიური და განზოგადებული ხასიათი ნაადრევად მომწიფებული კაცისა. გოგიტას მამა არმიაში გაიწ-

ვიეს. შინ ყველაზე უფროსი მამაკაცი 12 წლის გოგიტა იყო. შემდეგ დედა, პატარა ძუძუმწოვარა ბალღით, ბებია და 6 წლის ზაზა. მამის ომში წაყვანის მეორე დღიდანვე ოჯახმა თავისი მოითხოვა. გოგიტა პირველსავე წინააღმდეგობას შეეჩეხა: კოლექტივის მიერ ოჯახში მიმაგრებული უღელი ხარის გაძღოლა იყო საჭირო, ან იგი მის მეზობელ კოქლი კლიმენტიასათვის უნდა გადაეცა. თავმოყვარე ბავშვი მამის მოვლილ ხარებს არავის უთმობს, ბრძოლის ჟინით შემართული შრომაში ჩაებმება, ზიგზაგებით, წაბორძიკებით ეჩვევა მუშაობას და ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნე ხდება. ახლა მას ბრიგადირიც ეთათბირება. გოგიტა უკვე ინსტინქტით გრძნობს ვინ არის მისი ოჯახის, მისი მამის მეგობარი. მართალია, ის გამოცდილი მეურნე მამაკაცივით მსჯელობს, მაგრამ აქაც ერთგვარ ბუნებრიობას ინარჩუნებს, როგორც ბავშვი.

„მე გაზეთებიდან ვიცოდი, რომ გერმანელები წინ მოიწევდნენ, ყველაფერს წვავდენ და ჭამდნენ. ზაზამაც იცოდა, რომ მოდიოდა რაღაცა ვეშაპი, თუ მგელი, რომელიც ბავშვებს ყლაპავდა, და მთელი ღამე ლოგინიდან წამოვარდნილი შველას ითხოვდა. მე დავაწვენდი და ვამშვიდებდი, რომ მამა იქაა და ჩვენამდე როგორ მოუშვებს მგელს, თოფს ესვრის, ხიშტს დაკრავს და არ გამოუშვებს-მეთქი.

— ხიშტს?—მკითხავდა ზაზა.

— ხიშტს,—ვიმეორებდი მე. ზაზა წვებოდა, ვიძინებდი მეც“.

ომმა ააფორიაქა მთელი ცხოვრება, სოფლად შიმშილმა და სიღატაკემ დაისადგურა. ბავშვები ხშირად შიმშილობდნენ და აი, გოგიტას მისი მეგობარი ბავშვი ტუხუია ეწვია სტუმრად. დამშეულმა ბავშვმა დედის წილი კერძი და მჭადი ერთბაშად შეჭამა. „როცა ბებია სუფრასთან ჩამოჯდა, ტუხუიამ ისევ გასინჯა შეჭამანდი. და ორი-სამი ლუკმის მერე ჭადი აღარ აღმოჩნდა. ბებია სუფრასთან მოეწყო, მაგრამ კუჭის ტკივილმა შემოუტია, ჭამაზე უარი თქვა და თავისი წილი მჭადი ტუხუიას გადმოუდო:—ჭამე, ბებია, ღმერთი შეგარგებს!—ტუხუია ბებიას კუჭისტკივილით დაინტერესდა, და მჭადზე უარის თქმა კი დაავიწყდა“. მეზობლის დამშეულმა ბავშვმა მას შემდეგ, რაც კუჭი გაიძღო „პერანგი სამ-

კუთხედად იყო გამობურცული ცხელი ჭადის ნატეხით“. შიმშილმა აიძულა მეზობლის ბავშვი ქურდულად წაეღო გოგიტას სახლიდან ჭადის ნატეხი, ხოლო გოგიტას დედა და ბებია შინ მშიერი დარჩა.

ომმა შესცვალა მდგომარეობა სკოლაშიაც, ახლაც ისევე კითხულობდნენ სიას, ისევე უპასუხებდნენ ბავშვები: ვარ. მაგრამ „ხმაზე ძნელი იყო გაგერჩია შარშანდელი ანზორი ან თორნიკე, რუსიკო ან ციალა. ბავშვებს ცელქობა და სიცილი გადააავიწყდათ თითქოს. აი, მასწავლებელმა ბოლომდე წაიკითხა სია, მერე ფურცელი დაკეცა და სათვალეების მოხსნა დააპირა. ცალ ყურზე მოიხსნა, მერე ხელიდან გაუცდა და ცალზე სასაცილოდ ჩამოეკონწიალა. „მეგონა ჯგუფში სიცილი ატყდებოდა, მაგრამ არავის წარბი არ გახსნია“. ასეთი დეტალებით ავტორი ნათელს ხდის, ბავშვობა ბავშვებს როგორ წაართვა ომმა, როგორ გახადა ისინი პირქუში, მოღუშული და დარდიანი. ამ სურათს ასე ამთავრებს ავტორი: „ასე მეგონაო, ნამდვილად დავიჯერე, რომ სხვა ახალ კლასში, სხვა კლასში კი არა, სხვა სკოლაში მოვხვდიო“. ასე შეცვალა ომმა ცხოვრების ჩვეულებრივი ვითარება სოფლად.

ომით გამოწვეული გარდატეხა სოფლის ცხოვრებისა და ამ ნიადაგზე ბავშვთა სულიერი სამყაროს დიდი სახეცვალება საშუალებას აძლევს მწერალს თანდათანობით მოამზადოს მკითხველი გოგიტასა და ფატის სავსებით არაბუნებრივი, და სხვა შემთხვევაში და სხვა გარემოში ავადმყოფური, ანუ გასაკიცხი საქციელის ტრაგიკული შედეგებისათვის, რაც მოჰყვა უქმროდ დარჩენილი ფატისა და გოგიტას ფარულ გრძნობებსა და მოქმედებას. ადრე დაკაცებული გოგიტა სქესობრივადაც ადრე ჩაება ცხოვრების ორომტრიალში და უნებლიე მონაწილე გახდა იმ ტრაგედიისა, რომელიც ნაწარმოების ფინალში მძაფრი ფერებითაა გამოხატული. მოთხრობაში გოგიტა დაჟინებით იმეორებს „—ხომ გეუბნები, არაა ჩემი ბრალი.—არ ვიცი, არ ვიცი, მე ის ვიცი, რომ არაა ჩემი ბრალი“. ერთგვარი ახსნა იმ ფრაზაშიაც არის, სადაც ნათქვამია, რომ „ჩვენ რა ხანია ბავშვები აღარ ვართ, პატარები ცოდვები არიან.“ დიახ, ნაადრევად წაერთვა ბავშვობის უფლება გოგიტას და ამ ნაად-

რევად წართმეულმა უფლებამ ის ისეთ შეცდომამდე მიიყვანა, რომლის ჭრილობა მის სულს დაღად დააჩნდა: „იმ დღიდან მტკიოდა და ვერავის ვუმხელდი, მეშინოდა და ვერავის ვეუბნებოდი“. გოგიტამ დაჰკარგა მამა, დაჰკარგა შეყვარებული ტოლი გოგონა, ოჯახური ბედნიერება და მყუდროება დაუნგრია ომმა, ხელში მისცა გუთანი—წიგნის მაგიერ, ხოლო რიკტაფელას ნაცვლად კულტივატორი შეაჩეჩა. ყოველივე ამან გამოიწვია დიდი დაძაბვა სულიერი ძალებისა, ის ცდუნებანი, რომლის გამო მისდა უნებლიეთ მამა გახდა და ამ ნიადაგზე მკვლელი ქალისა, უფრო სწორად, მონაწილე მკვლელობისა. მამამთილმა ეზიკამ გოგიტას უკანონო შვილის დედა, რძალი, გოგიტას მიერ დატენილი თოფით განგმირა. ეს დიდი და მძიმე ტრაგედიაა, ტრაგედია, რომელიც ომის ვითარებამ წარმოშვა. ტრაგედია, რომელიც ომმა მოამზადა. და მაინც დიდი სამამულო ომის ცალმხრივად წარმოსახვა იქნებოდა, რომ ამ რომანს არ ჰქონდეს მეორე მხარე. მართალია, ომმა დიდი უბედურება მოიტანა, აურაცხელი მსხვერპლი გამოიწვია, მაგრამ იმავე სამამულო ომმა დაბადა გმირები და ვაჟკაცები, რომელთა სასწაულებრივმა თავდადებამ დაიცვა ჩვენი მამული, ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება გერმანიის ფაშიზმისაგან. და ეს არის სამამულო ომის უპირველესი შედეგები. მაგრამ არ ვიქნებოდით მართალნი, რომ თვით ამ რომანში არ დაგვენახა გმირობისა და პატრიოტული თავდადების მაგალითები, რომელსაც ავტორი დიდი უშუალობითა და ბუნებრივობით ხატავს. ჯერ ერთი, თვით გოგიტასა და მისი მეგობრების საქციელსა და მოქმედებაში ცოტა როდია ასეთი გმირობის მაგალითი და რაც მთავარია, რომანის მთელი პათოსი პატრიოტიზმსა და გმირობაში ვლინდება.

თვით რომანში არსად არის აღწერილი უშუალოდ ომის სურათები, საფრონტო ცხოვრება. მაგრამ სოფელი ისეა წარმოდგენილი, რომ იგი განუყოფელია ფრონტისაგან და ფრონტული ცხოვრებით ცხოვრობს.—სოფელი წელში გამართულია და გამარჯვებული, როდესაც ჩვენი ჯარი წინ მიიწევს, ხოლო განსაკუთრებით მძიმე იყო მდგომარეობა, როდესაც ჩვენი ჯარი უკან იხევდა. აი, როგორ აღადგენს ამ

სურათს ავტორი: „მანამდე ალყაში ყავდა ჩვენი სოფელი მტერს, ჩვენ ვერ მოვასწარით გახიზვნა, გვავიწროებდა მტერი, გვაშიმშილებდა და წელს გვწყვეტდა. მაგრამ სოფელი მაინც ჩვენი იყო, ჩვენ მაინც ცოცხალი ვიყავით. ჩვენ მაინც გაუტეხელ ციხესავით ვიყავით და ველოდით ხვალინდელ დღეს. იმ დღეს კი ციხის კარებთან ვერაგულად მოჰკლეს კოწია, შემოიჭრნენ სოფელში და მიწასთან გაასწორეს. იმ დღეს ცეცხლითა და მახვილით გადაუარა მტერმა ჩვენს სოფელს და ქვა ქვაზე აღარ დატოვა. ჩვენი გმირის ცხედარი ყორნებს მიუგდო საჯიჯგნად და მიწის დასაყრელადაც არ დაგვანება. იმ დღეს გამარჯვებას ზეიმობდა მტერი ჩვენს სოფელში“. შემდეგ ვითარება შეიცვალა, სოფელმა ისევ მოიკრიბა ძალა, ხალხი ისევ შეუდგა მუშაობას და ერთი კვირის წინ დამარცხებული სოფელი ისევ აღსდგა ფერფლიდან, ისევ სძლია მტერსა და უიმედობას. ასე ცვლის ამ მოთხრობაში ერთმანეთს ომის ტრაგიკულ ინტონაციებსა და სურათებს ოპტიმისტური სურათები და მებრძოლი სულისკვეთება, შეუპოვარი შემართება და შემტევი სული ხალხისა. რომანის მთავარი მოქმედი პირები, აქ გამოხატული ხასიათები და ადამიანები საერთო ატმოსფეროს გავლენით ცოცხლობენ და მოქმედებენ. ისინი ფიზიკურად და სულიერად არიან ჩართული დიდ სამამულო ომში თავისი დიდი მსხვერპლით, დიდი შრომითა, მიღწევებით და წარმატებებით. ეს მაღალი სულიერი განწყობილება და ფსიქოლოგია არის ამ რომანის უმთავრესი პათოსი. ამ პათოსის კილო ოპტიმისტურია და უაღრესად რეალისტური.

რომანს, ჩვენის აზრით, გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებანი. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ნაწარმოების ფინალს აკლია ბუნებრივობა და ლოგიკურობა. ავტორს შეეძლო თავი აერიდებია ჭარბი ფერებისა და საღებავებისათვის, პორნოგრაფიული სულიერი განწყობილების წინ წამოწევისათვის, რომელსაც ავტორი მიმართავს გოგიტას და ფატის.ურთიერთობის გამოსახატავად, ქართულ ხასიათსა და ქართულ ბუნებას, მით უმეტეს, სოფლის ქალისა და ბავშვის ბუნებას თითქოს ეთიშება ის ფსიქოლოგიური სულისკვეთება, რომელსაც მწერალი მეტად ტენდენციურად და გაზვიადებულად წარმოგვიდ-

გენს. რასაკვირველია, ავტორს ჰქონდა საიმისოდ მომზადებული ნიადაგი, რომ ფერები ეგრერიგად გაემუქებია და მოვლენები ტრაგიკული ინტონაციით წარემართა, მაგრამ მაინც ცალმხრივად გვეჩვენება რომანის ფინალი.

სამამულო ომს შეეხება ნოდარ დუმბაძის რომანი „მე ვხედავ მზეს". თხზულების მთავარი მოქმედი გმირები სასკოლო ასაკის ბავშვები არიან. მათი წარმოდგენებითა და ფიქრით, მათი ურთიერთობითა და დამოკიდებულებით უფროს თაობასთან გამოსახულია ომის სუსხიანი დღეები. ომი მძიმე განსაცდელად დაატყდა ხალხს. სოფლის ყველა ჯანსაღმა, ასაკოვანმა მშრომელმა ფრონტს მიაშურა, ხოლო სოფლად დარჩენილ ქალებს, ბავშვებს, ინვალიდებს დიდი სულიერი და ფიზიკური დაძაბვა და შრომა უხდებათ.

რომანის დასაწყისშივე, მის პირველსავე თავებში დიდის მგზნებარებით არის გაცოცხლებული სამამულო ომის მრისხანე დღეები. პატარა ბავშვი სოსოია მამალაძე პირველად მისვდა, თუ რა არის ომი: „მივხვდი, რომ მოხდა რაღაც დიდი, საოცრად დიდი უბედურება. არასდროს არ მინახავს ამდენი ხალხი ერთად დამუნჯებული, გაფითრებული, შეშინებული და უცებ შემეშინდა ისე, როგორც შუაღამეს სოფლის სასაფლაოზე მარტოდ გავლა. რომ არ მეყვირა, გერასიმე ბიძიას გვერდით ჩამოვუჯექი და მუხლზე ხელი დავადე. გერასიმემ გაკვირვებული თვალებით შემომხედა, მერე თავზე ხელი დამისვა და მითხრა:—წადი ახლა შინ, ნუ გეშინია, ბიძიკო!" ამას მოსდევს რაიონული კლუბის ეზოში თავშეყრილი საომრად მომზადებული სოფლის ადამიანების და მათი გამცილებლების საოცრად ერთმანეთში არეული საუბარი და მღელვარება. იცინიან, მღერიან, ტირიან, ქვითინებენ, რაღაცას თხოვენ და პირდებიან ერთმანეთს. მერე ეხვევიან, კოცნიან, აბარებენ, უბარებენ, არიგებენ, ემუქრებიან, ეალერსებიან, ისევ პირდებიან, ისევ კოცნიან ერთმანეთს". ასე ქმნის მწერალი მეტად მღელვარე სურათს. და მთელი ეს ნახატი ასეთი ეპიზოდით მთავრდება: „მანქანები ნელი გუგუნით დაიძრა. ამ დღეს პირველად დავინახეთ ცრემლი ამდენი ადამიანის თვალზე, ამდენი მწუხარე, შეშინებული და გაფითრებული ადამიანი, ამ დღეს პირველად ვნახე ატირებული მამიდა. ეს დღე

გავდა უზარმაზარ ზღვის მოქცევას, რომელიც მოულოდნელად უკუიქცა და დაგვტოვა ნაპირზე, როგორც თევზები, ნიჟარები, ლოკოკინები და ნაფოტები". ომის მძაფრი დღეების ეს ნახატი ძლიერ კვალს ტოვებს ჩვენს სულში. ომით გამოწვეული დიდ უბედურებასა და მსხვერპლს მწერალი წარმოგვიდგენს არა სანტიმენტალისტური ცრემლის მომგვრელი სტრიქონებით, არამედ დიდი ოპტიმიზმით, გამარჯვების რწმენით და იმედით. მწერალს ამ რომანის ძირითადი აზრი გადმოცემული აქვს კონდენსირებულად, ქართველი კაცის ფიქრისა და განწყობილების გამომხატველი ლირიკული წიაღსვლით: „საით მიდიხარ, ჩემი სოფლის ბილიკო, რომ უერთდები შარას და მიყვები ამ სუფსის პირს დაღმა; საით მიგყავს ჩემი სოფელი, მე პირველად გნახე შენ, ცოცხალი, მოძრავი, ორმოცდაერთში. მაშინ შენ წახვედი და სად წაიყვანე ზღვა ხალხი, სად წაიყვანე ჩემი ხალხი, შარაგზაო, ომში? მერედა სულ დაღმა ხომ არ მიდიხარ, დალოცვილო, სადღაც ხომ თავდები და ბრუნდები უკან. ჰოდა, დამიბრუნე ჩემი ხალხი, შარაგზაო, დამიბრუნე მეზობლები, ყველაფერი დამიბრუნე, რაც წაიღე და რაც წამართვი. ვიცი, მეც წამიყვან შენ ერთ მშვენიერ დღეს, წამიყვან დაღმა, მაგრამ არა დასაკარგავში, მე ისევ დავბრუნდები. თვითონ დამაბრუნებ ადრე თუ გვიან. არ მინდა ჩემი ამბავი სხვამ მოიტანოს ამ შარაგზით, მე მინდა ჩემით დავბრუნდე და ვთქვა: ეს მე ვარ, ხალხო, მე მინდა ასე თქვას ყველამ, ყველა თავის ფეხით დაბრუნდეს, თუგინდ ყავარჯნებით, მაგრამ მაინც თავისით დაბრუნდეს, და თქვას: ეს მე ვარ, ხალხო, ცუცას ქმარი, ვაჟიკო, ეს მე ვარ, ლუკაიას კუკური... გეყურება შენ, შარაგზაო? დამიბრუნე ყველა, ყველა ვინც წამართვი ორმოცდაერთში". ასე ოცნებობდა ასე ლოცულობდა, ასე აღგზნებით მიმართავდა ავტორი ცხოვრების საზოგადოებრივ კანონს და ლოგიკას, სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლ ადამიანთა ბედსა, და გზას. ოცნებობდა და ფიქრობდა ომში წასული ადამიანების დაბრუნებაზე, და აი, მოვიდა ეს დღეც. ავტორი ისევ იგონებს ამ დღეებს. — კვლავ უკან ბრუნდებოდა ორმოცდაერთ წელში, ამ ცუდად მოკირწყლულ შარაგზით წასული ჩემი სოფელი. იგი ბრუნდებოდა ორდენებით მკერდდამშვენებული, დაჭრილი, დაგლეჯილი, სისხლ-

დაკარგული, მაგრამ მაინც ძვალმაგარი, ღონიერი და ძლიერი. იგი ბრუნდებოდა ევროპის უსასრულო შარაგზებიდან ჩექმადამტვერილი, თითო-თითო, გაფანტული, იმავე ბილიკით, რომლითაც წავიდა ივლისის მცხუნვარე დღეს". ამ სტრიქონებში მთელი სისრულით ჟღერს ოპტიმიზმიც, პატრიოტიზმიც, ქართველი ხალხის უკვდავების იდეა, სამშობლოს დამცველთა, ომში წასულ ჯარისკაცთა ძლევამოსილი სიმღერა. ეს მგზნებარე სიმღერაა, თვალხილული შეხედვაა მკაცრი სინამდვილისა, მაგრამ ხილვა ვაჟკაცური, გაუტეხელი სულით, რწმენით, ხალხის უკვდავებით შთაგონებული. სწორედ ამგვარი იდეები და აზრები განსაზღვრავენ რომანის პათოსს.

რომანი დაწერილია იუმორის ხალხური გრძნობით, სიხარულისა და მზით გამთბარი იუმორის გრძნობით. აქ დიდი ტკივილები და წუხილი, ისეთი სიმართლითა და ლოგიკით არის დახატული, რომ ოპტიმიზმის სული დაჰქრის ომისა და სიკვდილის ამ უსაზღვრო ველზე, ჯანსაღი, უაღრესად ნათელი იუმორი და კეთილი საწყისის ძებნა ადამიანში, მათ საქციელსა და მოქმედებაში განსაზღვრავს ამ რომანის მთავარ აზრს, ბოროტებაც კი ამ ნათელ საწყისს ემორჩილება და ამის მიხედვით თვით კაცის მკვლელი და დეზერტირი, ბრიგადირი დათიკოც კი არ გაიმეტა მწერალმა, ის ხალხის რისხვას და წყევლას, მათ განაჩენს პირისპირ წაუყენა, მთელი სისასტიკით ამხილა, დაუნდობლად გაკიცხა. მარტო წისქვილში დახატული სცენა რად ღირს. ბრიგადირმა დათიკომ წისქვილში საფქვავი მოიტანა. მეწისქვილემ, კეთილმა კაცმა, მოძალადე დათიკოს უარით უპასუხა, როდესაც ამ უკანასკნელმა ურიგოდ დაფქვა მოსთხოვა. და, როდესაც ამან არ გასჭრა, მაშინ წისქვილს წყალი გადაუგდო და ამ დეზერტირის წინაშე კედელივით აღიმართა. წისქვილში მყოფი სოფლის დედაკაცი ასე მიმართავს ამ თავზეხელაღებულ დეზერტირს, ხალხის მიერ განკიცხულს: „კაცი ქე მოკალი, სისხლი გადაირე სინდისზე, აწი ალბათ დახვდები ხალხს და მაგასაც იკადრებ, — უთხრა აკვირინე ბებიამ. — კაცი რომ იყო, აკვირინე, მაგ სიტყვებს ენასთან ერთად გადაგაყლაპებდი, — დათიკომ ისეთი ნაფაზი დაარტყა სიგარას, ბოლომდე ჩაიყვანა. — კაცი რომ ვიყო, ფეხქვეშ დაგიდებდი და იმდენს გირტყამდი, გობით

სარაქავ სისხლს შეგიყენებდი, შე უგვანო და ხვადაგო, შენ,— თქვა აკვირინე ბებიამ და ცეცხლში ჩააფურთხა". ეს უკვე ხალხის განაჩენია. არა მარტო აკვირინეს, არამედ სოსოიასაც ჭირის დღესავით სძულს დეზერტირი. მოვიგონოთ სოსოიას სიტყვები: საჭმლის სათხოვნელად მოსულ დეზერტირს, დათიკოს სოსოია ასე მიმართავს: „შენი საჭმელი კი არა, ძაღლი სიმშილით მიკვდებაო".

აკვირინესა და სოსოიას ეს სიტყვები ხალხის განაჩენია ამ თავგზაარეული დამნაშავის მიმართ. და მწერალმა ეს სახალხო განაჩენი აკმარა მას. აქ მთელი სისრულით გამოჩნდა მწერლის მაღალი ჰუმანიზმი, რწმენა, რომ ამგვარ ადამიანებშიაც ჩვენს მიწა-წყალზე დაბადებულ და აღზრდილ ამ ბოროტი სულის ადამიანებშიაც მაინც კეთილმა საწყისმა უნდა გაიმარჯვოს. და აი, რომანის ფინალში როდესაც ხატია ადიდებულ სუფსას მიჰქონდა, ამ თავზეხელაღებულმა დეზერტირმა თავი გასწირა, მდინარის ბობოქარ ტალღებს შეებრძოლა და სულიერად ულამაზესი ქალი, სიბრძნისა და სიკეთის აურწყავი განსახიერება იხსნა და ეს ერთგვარად უთუოდ ამსუბუქებს დათიკოს მდგომარეობას. და მაინც დათიკოს ხასიათი არ არის ბოლომდის ლოგიკური; საქმე იმას შეეხება, რომ ომის დროს დეზერტირობა სამშობლოს ღალატს ნიშნავდა, ხოლო სამშობლოს მოღალატის მიმართ შეურიგებელი იყო ჩვენი ხალხი. მებრძოლი, შეურიგებელი შემართება ომის დეზერტირის მიმართ არ არის გამომჟღავნებული მწერლის მიერ და ეს უთუოდ ნაკლია რომანისა.

ნაწარმოების მთავარი გმირები არიან ეს ბუნების მართალი შვილები. მოსიყვარულე, გამრჯე და პატიოსანი, ერთგული მეგობარი და ამხანაგი. ლირიკული სოსიელა და მისი განუყრელი მეგობარი ხატია. მწერალმა მათ ბავშვურ საქციელსა, მათ ნაადრევად დაკაცებულ ფიქრებსა და განწყობილებაში, მათ ზრუნვასა და ურთიერთობაში შესანიშნავად გამოკვეთა კეთილშობილი ქართველი კაცის ხასიათი და ბუნება. ასევე კეთილი ადამიანებია ქეთო მამიდა, სამხედრო საგნის მასწავლებელი, სოსიელას მეგობარი რუსი ანატოლი და ის გლეხები, რომლებიც სიმართლის, პირუთვნელობის, სიბრძნის მაღალი გრძნობებით აღჭურვა მწერალმა.

მარტო ის სურათი რად ღირს, როდესაც ომში წასული ტყუპი შვილის დედ-მამა სიმინდის საძებნელად წასულ სოსიელასა და ხატიელას შეახვედრა, ამ ბავშვებს რაღაც ძველმანი ნივთების საფასურად სიმინდი მისცა, ხოლო მეორე დღეს გლეხმა ბაბილომ ეს ნივთები ბავშვებს უკანვე დაუბრუნა და სიმინდი უსასყიდლოდ გაატანა. რამდენი სიმართლე და სიკეთეა ამ სურათში.

ოტია იოსელიანის ინტონაციები დრამატიულია, მძაფრი დამძიმებული მუქი ფერებით და სევდიანი სიტუაციებით, ოღონდ ეს სიტუაციები ყოველთვის შეფარდებულია რეალური შეგრძნებით შექმნილ სულიერ მდგომარეობასთან: ომის დროს შიმშილი აწუხებდა სოფელს, შიოდათ, ტუხუიას სახლშიაც და ასეთ ვითარებაში ტუხუიას მისმა საყვარელმა ძაღლმა თოლიამ ჭადის ნატეხი მოსტაცა:

„ტუხუიამ ისეთი ძალით მოუქნია წალდი, რომ ძაღლის თავის ქალა ყველივით გასჭრა. ამ დროს ჩვენც მოვირბინეთ, მაგრამ ორად თავგაჭრილი თოლია ცალ-ცალკე ხუჭავდა თვალს, თითქოს ნახევარ-ნახევარი თავი ცალ-ცალკე კვდებოდა და ორივეს მაინც ჭადის ნატეხზე რჩებოდა სული“.

ამისაგან განსხვავებით ნოდარ დუმბაძეს ყოველი მძიმე სურათი შეზავებული აქვს მსუბუქი იუმორით და ნახატიც ამის მიხედვით ნათელი ფერებისაგან შესდგება. მოვიგონოთ ის ადგილი, როდესაც დეზერტირი დათიკო ბეჟანას კლავს:

„ბეჟანა! — ვიყვირე. — არ მოკვდე ბეჟანა!

— მაცალე, სოსიელა, სიკვდილი!

— მე მოგკალი, ბეჟანა. მე რომ არ გამემხილებია, არაფერს არ იზამდა.

— შენ რისი მომკვლელი ხარ, ბიჭო, შენხელა პიმპილს ვაჭმევ ლობიოზე!“

ასე ხუმრობს სიკვდილის წუთებში დუმბაძის გმირი. საზოგადოდ დუმბაძისათვის დამახასიათებელია ცრემლიანი სიტუაციების შეზავება მხიარული იუმორით. ხალასი, ნათელი ფერებია მოშველებული მაშინაც, როდესაც მწერალი მუქ ეპიზოდებს გადმოგვცემს, სევდიან სიტუაციებში სიცილის ელემენტები შეაქვს, რომ ამით ნახატს სინათლე

მიანიჭოს: სიცილის ნაკადებად მოედინება ეს ხალხური შეხუმრებით გამდიდრებული ეპიზოდები. და ჩვენ თავს ვერ ვიკავებთ ხმამაღალი სიცილისა და ხარხარისაგან. მოვიგონოთ თავები: „ტრიუმფალური შეტევა“, „სამხედრო გაკვეთილი“, „რას გვეკითხება ამოცანა“ და სხვ.

ეს ორი რომანი ერთ სინამდვილეს გამოხატავს, სამამულო ომის სურათს. სამამულო ომზე ცოტა როდი დაწერილა. ამ თემაზე დაიწერა თვით სამამულო ომის პერიოდში. ეს იყო ომის დროს უკვე ცნობილი მწერლების ნაწარმოებები. მოვიგონოთ ლეო ქიაჩელის „მთის კაცი“; კოსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, დემნა შენგელაიას „წითელი ყაყაჩო“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“, მიხეილ მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“ და სხვა. შემდეგ ჩვენ წავიკითხეთ ნაწარმოებები ამ თემაზე ომიდან დაბრუნებული, ომგადახდილი ჯარისკაცებისა, რომელთაც მწერლობას მოკიდეს ხელი: რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, გიორგი ქავთარაძის „ჯარისკაცის ჩანაწერები“, და სხვ. ხოლო ოტია იოსელიანი და ნოდარ დუმბაძე ომის წლებში პატარა ბავშვები იყვნენ და მათ სწორედ ბავშვობის თვალით დანახული ომის სურათები გამოხატეს და სადღაც თავიანთი ავტობიოგრაფიული სულიერი სამყაროც გაგვაცვნეს, ომის წლების მათი ბავშვობის სამყარო. დიდი უშუალობაც და ბუნებრივობაც აქედან მომდინარეობს.

ორივე რომანი სოფელს შეეხება: ერთი იმერეთის სოფელს — „ვარსკვლავთცვენა“, ხოლო მეორე გურიისა — „მე ვხედავ მზეს“. ორივე ამ რომანის გმირები სასკოლო ასაკის ბავშვები არიან. ერთი რომანის გმირი გოგიტა რიკტაფელას თამაშით ერთობოდა. ომმა კი რიკტაფელას მაგივრად ხელში სახნისი შეაჩეჩა მას. მეორე — სოსოია, კახამბალზე შემჯდარი დედალი ჩხართვის ტკბილსმენით ტკბებოდა, ომმა მასაც მოუშალა ეს ბავშვური იდილია და ამის ნაცვლად თოხი და ბარი მისცა ხელში. ორივე ისინი ომმა ნაადრევად ჩააბა ცხოვრების მძიმე უღელში, გააღიზიანა, ბავშვური ხალისი წაართვა; ნაადრევად დააკაცა. ეს ნაადრევად დაკაცებული ბავშვები არიან ამ რომანის კვირები. სოსოიას ისე ეკითხებიან

ჭკუასა და კაცივით ექცევიან, როგორც გოგიტას და მათაც თავი მოაქვთ იმით, რომ ისინი დიდკაცებში გარიეს. აქ სადღაც გვანან მსგავსი საქციელით და მოქმედებით ეს ხასიათები. მაგრამ ფინალში სრულიად განსხვავებული ბუნებით გვევლინებიან ეს გმირები. გოგიტა შედარებით გულგატეხილია, დრამატულად აფასებს და უყურებს მოვლენებს. სოსოია კი უფრო მეტი იმედით შეჰყურებს ყველაფერ იმას, რაც გარშემო ხდება. მას ისიც ჯერა, რომ მის მეგობარს ბრმა ხატიას თვალი აეხილება.

რომანში არიან სხვა მოქმედი გმირები და ხასიათები, რომლებიც უფრო გვანან ერთმანეთს. მოვიგონოთ, ერთი მხრივ ფატი („ვარსკვლავთცვენა"), მეორე მხრივ ცუცა („მე ვხედავ მზეს"). ორივე ეს ნაადრევად დაქვრივებული ქალები, სრულიად ახალგაზრდები, ამავე დროს მშიშრები, მსგავსი განწყობილებებითა და დამოკიდებულებებით გვევლინებიან ვაჟებთან. და ეს შიშის გრძნობა აკავშირებს ერთი მხრივ ფატის გოგიტასთან, მეორე მხრივ ცუცას სოსოიასთან. მაგრამ ასევე განსხვავდებიან ფინალში მათი დამოკიდებულება. გოგიტა უნებლიეთ ხდება მიზეზი ფატის გაუბედურებისა, ხოლო სოსოია თავიდან აიცდენს ცუცასთან დამოკიდებულებაში მოსალოდნელ ხიფათს. ამ ორ რომანში ასევე გვანან ერთმანეთს ეს კეთილი ფოსტალიონები — მათე („ვარსკვლავთცვენა") და კოწია („მე ვხედავ მზეს"). გვხვდება ამგვარი პარალელები გოგონასა და გოგიტას და მეორე მხრივ სოსოიასა და ხატიას დამოკიდებულებაშიაც, გოგონა ცხოვრებიდან აღებული სოფლის გულუბრყვილო, მაგრამ კეთილი გოგონაა. მას უზომოდ უყვარს გოგიტა და სურს მუდამ მის გვერდით იყოს („მოდი მე წამოგყვები შენსას, — მერე შენ მარტო წამოხვალ?—არა, შენ წამომყევი.— მერე? — მერე მე წამოგყვები").

ხატია ბრმაა, მაგრამ დიდი სიკეთის, დიდი შინაგანი სინათლის და სითბოს მქონე. სოსოიას უსაზღვროდ უყვარს ეს კეთილი გოგონა. ასევე უყვარს სოსოია ხატიას და სურთ ერთად იყვნენ. ერთად არიან კიდეც, თუნდაც იმიტომ, რომ ხატია ბრმაა და სოსოია მისთვის აუცილებელი თანამგზავ-

რია. ეს მსგავსი ეპიზოდები. გმირთა ეს გარეგნული მსგავსება და შორეული შეხვედრები მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თვით სოფლის ცხოვრება, თვით ის სულიერი მდგომარეობა, რომელიც სამამულო ომმა გამოიწვია, ქმნიდა იმ ნიადაგს, რომელზედაც წარმოიშვა ეს საერთო სულიერი განწყობილებანი და შეხედულებანი. ნ. დუმბაძის რომანში „მე ვხედავ მზეს" მოქმედ პირებად გამოყვანილია ჭკუაშეშლილი ბეჟანა და უსინათლო ხატია. ორივე თითქმის მთავარი მოქმედი პირია და ორივე ბუნებისაგან დაჩაგრული ადამიანი. ეს გარემოება თითქოს მათ ართმევს უფლებას მოწინავე დადებითი გმირები იყვნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, თუ ღრმად დავაკვირდებით, მაშინ აღმოჩნდება, რომ ბეჟანა და ხატია უაღრესად კეთილი ადამიანები არიან, მათი სული სპეტაკია, მათი მოქმედება კაცთმოყვარული. ხოლო რომ ისინი ბუნებისაგან დაჩაგრულები არიან — ერთი ბრმაა და მეორე ჭკუასუსტი, ეს არსად არ ეწინააღმდეგება რეალიზმის ბუნებას. ჯერ ერთი ბეჟანას შესახებ ვერ ვიტყვით გადაჭრით, რომ იგი გიჟია, თავისი ჭკუამხიარული და კეთილი საქციელით იგი დიდი ადამიანური ბუნებისაა. ამიტომაც ათქმევინებს ავტორი მას „გადარეული კი ვარ, მაგრამ სულელი არ ვარო". მართლაც, ბეჟანა გურიაში გავრცელებული შეხუმრებით შერქმეულს ჭკუამხიარულ კაცს უფრო განასახიერებს ამ რომანში, ვიდრე გიჟის როლს, ხოლო ხატიას ხელს არსად უშლის ის ფაქტი, რომ იგი ბრმაა. მკითხველი მზადაა მას მიუზღოს სამაგიერო სიყვარული იმ სიკეთისთვის, რომლითაც ყელამდე ააესო და გაათბო იგი მწერალმა. ჩვენის აზრით, ხატია და ბეჟანა ისევე დადებითი გმირებია, როგორც ლეო ქიაჩელის მუნჯი ბაჩუა („ტარიელ გოლუა") და მიხ. ჯავახიშვილის ბრმა თინა („ყბაჩამ დაიგვიანა").

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ახალგაზრდა რომანისტს ნ. დუმბაძეს დიდი ოსტატობით აქვს გამოყენებული ხალხური ოხუნჯობა, ხალხის წიაღში გაფანტული სიბრძნე, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ის ყოველთვის როდი იცავს ზომიერებას. ბევრგან გვხვდება უკბილო ხუმრობა, იაფფასიანი ანეკდოტები. და ეს ჩავარდნილი ადგილები უთუოდ ხელს

ჯშლის საერთოდ სუფთად დაწერილი ამ თხზულების ლიტერატურულ ღირსებას.

ურიგოდ ჟღერს მიმართვისათვის წარამარა ხმარებული: „თქვე ჯიბგირებო“, „თქვე მუტრუკებო“, „შე ტვინგაწყალებულო“ და მისთანანი.

ზოგიერთი ცალკეული ეპიზოდებიც არ არის ამ მხრივ მთლად დამუშავებული. მე პირადად არ მომწონს ეპიზოდი, სადაც ნიფხავ-პერანგის პროტოტიპებზეა საუბარი. მთელი ეს დიალოგი იაფფასიანი, ნატურალისტური ბუნებისაა. ჩვენი აზრით, ოტია იოსელიანსა და ნოდარ დუმბაძეს მეტისმეტად იოლად შემოაქვთ კუთხური სიტყვები და გამოთქმები. მართალია, მწერალი უნდა ამდიდრებდეს სალიტერატურო ენას კუთხური მეტყველების წიაღში ნაპოვნი მარაგით, მაგრამ ამ მხრივ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ცხადია, ისეთი კუთხური გამოთქმების შემოტანა, რომელიც არ ეგუება ქართული ენის ბუნებას, დასაგმობია და უკუსაგდები. ამ რომანებში კი უხვად გვხვდება ქვემო იმერულიდან და ვურული დიალექტიდან აღებული ისეთი სიტყვები, (ასე მაგალითად: „მასაფი“, „დაჩენჩერობ“, „კასკაცებენ“ და მისთანანი.) რომლებიც ქართულ ენობრივ ქსოვილში ცუდად ჟღერენ, გაუგებარია და არაკეთილხმოვანი.

როგორიც არ უნდა იყოს ეს ცალკეული ნაკლოვანებანი ოტია იოსელიანისა და ნოდარ დუმბაძის რომანებისა, ისინი, როგორც პირველი რომანები ახალგაზრდა პროზაიკოსებისა, უთუოდ საგულისხმო მოვლენაა ჩვენს მწერლობაში. ისიც ითქვა, რომ აქ ამ ორი რომანის ზოგიერთი დეტალი, ზოგიერთი პასაჟი, ზოგიერთი კომპოზიციური ხერხი სადღაც ენათესავება ერთმანეთს, მაგრამ თუ ღრმად დავაკვირდებით ამ ორ ნაწარმოებს, აღმოვაჩენთ, რომ ოტია იოსელიანი და ნოდარ დუმბაძე სხვადასხვა მანერის, სხვადასხვა ხელწერის მწერლებია. პირველისათვის დამახასიათებელია მკვეთრი ხასიათები, შემართებითა და აღგზნებით ჩახმახზე შეყენებული ხასიათები. ეს ხასიათები, ეს ადამიანები ერთბაშად აფეთქდებიან და ხშირად საბედისწერო ნაბიჯს გადადგამენ. ასე მოიქცა, მაგალითად, რძლის მიმართ ეზიკა. ნ დუმბაძეს კი უფრო მშვიდი ტონით მიჰყავს თხრობა. ამბავი და ხასი-

ათებიც აქ უფრო მშვიდია. მძაფრ კონფლიქტებს ის თითქოს გაურბის, ყოველი შეჯახება აქ მშვიდობით მთავრდება. ბოროტზე ყოველთვის კეთილი იმარჯვებს. ხასიათის ამგვარი განლაგება მწერალს საშუალებას აძლევს ადამიანში იპოვოს კეთილი საწყისი და განაზოგადოს ის. ამ მხრივ უაღრესად ბოროტების განმასახიერებელი დათიკო ბრიგადირიც კი სიკეთით ამთავრებს თავის ცხოვრებას. დუმბაძის გმირები სახეგაბადრული, პირმომცინარი, ხალისიანი ადამიანები არიან. ოღონდ მათ იციან დაღონება, სევდაც, წუხილიც, და მაშინაც, როდესაც წუხან და თვალთაგან ცრემლი სდით, სიცოცხლეს შესტრფიან, და ეს ხალისიანი განწყობილება შეაქვთ ყოველ ძნელსა და რთულ ვითარებაში.

ოტია იოსელიანის გმირები უფრო დაღვრემილი და დაფიქრებულნი არიან, ამავე დროს აღგზნებულები, შემართულები. ისინი მუდამ მზად არიან ეკვეთონ მოწინააღმდეგეს, არაფერი დაუთმონ მას, მოთმინება მათ არ ახასიათებთ, ფიცხი და დაუცხრომელი ხასიათისა არიან. ფერებისა და საღებავების განაწილება, მათი გამოყენება ხასიათების დასახატავად სწორედ ამ განსხვავებულ პრინციპებს ემორჩილება და ამ მხრივ ისინი სულ სხვადასხვა სტილის მწერლები არიან, ხოლო ამ განსხვავებული ხერხებითა და მანერით ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან, ერთ ლიტერატურულ პრინციპს აღიარებენ. თვითმყობადი და ორიგინალურია ორთავეს სტილი.

ორი მწერლის შედარება ყოველთვის სახიფათოა, მით უმეტეს, ახალგაზრდა მწერლებისა, რომლებიც ეს-ეს არის იწყებენ თავიანთ დამოუკიდებელ ლიტერატურულ ცხოვრებას. მაგრამ ამ შემთხვევაში შედარებას იმიტომ მივმართეთ, რომ უფრო ნათლად წარმოგვედგინა, თუ რა ფართო შესაძლებლობას იძლევა ერთი პოზიციის, ერთი მხატვრული პრინციპი წერის სხვადასხვა მანერისთვის, სხვადასხვა სტილისთვის. და ეს განსხვავებაც აღვნიშნეთ არა იმისათვის, რომ გვეთქვა თუ რომელი რომელს სჯობია, არა! თავისთავად არ არსებობს ცუდი და კარგი მხატვრული სტილი. ყოველ მწერალს აქვს თავისი დამოუკიდებელი ხელწერა, თუ ის ჭეშმარიტი მწერალია, და სტილის ამ დამოუკიდებლობაში არის

მისი მხატვრული ხმის ძალაც. და ვინც ამგვარ დამოუკიდებელ სამყაროს, მხატვრული ფერებისა და საღებავების სამყაროს ვერ გამოიმუშავებს, ის ვერც დაიმკვიდრებს მწერლობაში დამოუკიდებელ ადგილს. ნოდარ დუმბაძისა და ოტია იოსელიანის ღირსებად ის მიგვაჩნია, რომ მათ თავიანთი კილო აქვთ, თავიანთი სტილი გააჩნიათ. და ეს დამოუკიდებელი მანერა სავსებით და მთლიანად ეფუძნება ჩვენი კლასიკური მწერლობის დიდ ტრადიციას, წინ სწევს, ავითარებს და ახალი ფერებითა და დიდებით მოსავს ჩვენს მრავალსაუკუნოვან, დიდებულ ლიტერატურას.

ქართული საბჭოთა ნოველა

ქართული საბჭოთა ლიტერატურის საერთო კულტურულმა დონემ, მისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვნებამ ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ იგი ლიტერატურის ყოველი დარგის თუ ჟანრის დახასიათებისათვის სრულფასოვან მასალას გვაძლევს. კლასიკური და თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა არ იცნობს მწერლობის ისეთ დარგს, რომლის ხელახალი აღორძინება და განვითარება არ მომხდარიყოს საბჭოთა ლიტერატურაში.

ამ 40 წლის მანძილზე ქართული საბჭოთა ლიტერატურა გაიზარდა არა მარტო რაოდენობრივად, მოცულობის თვალსაზრისით, არამედ გასაოცრად გამდიდრდა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითა და ფორმებით, რაიც მდიდარ მასალას აძლევს მკვლევარს დიდ ლიტერატურულ პრობლემებზე მსჯელობისათვის, ლიტერატურულ-თეორიული საკითხების გარკვევისათვის. კერძოდ, ეს ითქმის ნოველაზე.

ნოველა პროზის დარგია. იგი ფრიად გავრცელებული ფორმაა ყველა მოწინავე ქვეყნის ლიტერატურაში. მას აქვს თავისი ხანგრძლივი ისტორია. ჩვეულებრივად, სახელმძღვანელოებსა თუ ლექსიკონებში, მის სათავეს იტალიაში პოულობენ. იტალიის მცირე ფორმის მოთხრობები, რომელიც მეტად გავრცელებული ყოფილა მე-13 საუკუნეში, სათავეს უდებს მწერლობის ამ ჟანრს. ოფიციალურად ნოველის ჟანრის დამკვიდრება მაინც ბოკაჩოს სახელთანაა დაკავშირებული. ბოკაჩოს „დეკამერონით“ იწყებენ ნოველის ისტორიასაც. მომდევნო ეპოქებში ნოველა თითქმის ყველგან თანაბ-

რად ვითარდებოდა: საფრანგეთსა თუ ინგლისში, გერმანიასა თუ რუსეთში. საქართველოშიაც მის სათავეებს შორეულ წარსულში ეძებენ. მე-18 საუკუნეში მაინც დადასტურებულად თვლიან ნოველის ფორმის გავრცელებას ქართულ მწერლობაში, მეტადრე სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებში ეძებენ ამ ფორმას. თვით მე-19 საუკუნის კლასიკური პროზის წარმომადგენლებზეც რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენ მაინც გვგონია, რომ საქართველოში ნოველის სრულფასოვანი განვითარება შიო არაგვისპირელის სახელს უკავშირდება.

თუ შევადარებთ სხვადასხვა ეპოქის მწერლის ნოველებს, ამ ავტორების მხატვრულ პოზიციას — დიდ განსხვავებას ვიპოვით მათ შორის თემის, სტილის, ენობრივი მასალის დამუშავების თუ იდეური ჩანაფიქრის მხრივ, მაგრამ ფაქტია, რომ მათ ერთი განუყოფელი ხერხი აერთიანებს სინამდვილის ათვისებისა: ესაა მოკვეთილი, შეკუმშული თხრობა, მარტივი სიუჟეტი თუ ფაბულა, მოულოდნელი ფინალი.

ნოველას ჩვეულებრივად განმარტავენ როგორც მცირე ფორმის მოთხრობას. ეს განმარტება ზოგადად სწორია, მაგრამ არასრული. პროზის ყოველგვარ კუდმოკვეცილ, მცირე ფორმას როდი შეიძლება ნოველა ეწოდოს, ან პირიქით, საკმაოდ დიდი მოცულობის შემცველი ნაწარმოები—შეიძლება იყოს ნოველა. მოცულობა მაინც ერთი მხარეა, მაგრამ არა საბოლოოდ განმსაზღვრელი. ნოველის სრული განმარტება რომ მივიღოთ, საჭიროა იგი წარმოვიდგინოთ დანაწევრებული ელემენტების სახით, რადგან ამ ელემენტთა კავშირი ქმნის ნოველას და არა მისი ცალკე ელემენტები.

ერთი მაინც უცილობელია. ნოველაში აღებული თემა წარმოადგენს მთლიანის, ერთი დიდი მოვლენის რაღაც ნაწილს, ნატეხს. ნოველისტი მოვლენიდან, ადამიანის ცხოვრებიდან იღებს მის რომელსამე მხარეს, ერთ ეპიზოდს და ამის მიხედვით ერთ გარკვეულ სულისკვეთებას თუ განწყობილებას წარმოაჩენს. თუ მოთხრობაში ავტორი მოვლენას მთელის თვალსაზრისით განიხილავს, ნოველისტი მოვლენის, საგნისა თუ ადამიანის ცხოვრების ამგვარ მთლიანობაში გამოსახვაზე უარს ამბობს. ნოველისტს მთელზე წარმოდგენა დანაწევრე-

ბული აქვს. ის ამ დანაწევრებულ ნაწილაკს, ერთ ნატეხს, ერთ ნაგლეჯს მოვლენისას აღწერს. ამის მიხედვით სიუჟეტის განვითარება ნოველაში ᲐᲣᲚ სხვანაირია, ვიდრე მოთხრობაში.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ეპიურ ნაწარმოებში ფაბულისა და სიუჟეტის ურთიერთობა ქმნის სიუჟეტის განვითარების საშუალებას; მათ ურთიერთობასა თუ მოწესრიგებაზე არის დამყარებული თხრობის ხასიათიც. ნოველა უთუოდ ითხოვს ფაბულას, მაგრამ იმის გამო, რომ ნოველაში ერთი ეპიზოდია აღებული ცხოვრებისა თუ მოვლენისა, სიუჟეტის განვითარება ყოველგვარი გართულების გარეშე მიმდინარეობს; შეიძლება ითქვას, რომ ნოველაში სიუჟეტი ფაბულის მდგომარეობაში რჩება და ეს გარემოებანი განსაზღვრავენ მის სხვა კომპოზიციურ მხარეს.

თუ მოთხრობის ავტორი მოქმედი გმირების ყოველმხრივ დახასიათებას გვაძლევს, ამ გმირების მხატვრულ ბიოგრაფიას გვაწვდის, — ნოველისტი გმირთა დახასიათების ამგვარ ხერხს გაურბის. ის პერსონაჟს აღებული მომენტის, აღწერილი ფსიქოლოგიური სულისკვეთების მიხედვით გვიხატავს და თავს არიდებს მისი ცხოვრების სხვა მხარეთა თუ თვისებათა გამოსახვას. აქ თხრობას ცვლის პერსონაჟის სულიერი ცხოვრების ფსიქოლოგიური გამოსახვა. თუ მოთხრობაში მოყოლას „მოტორის“ მნიშვნელობა აქვს, თუ მოთხრობაში „მოტორს“ მოძრაობაში მოჰყავს მთელის ყოველი ნაწილი, და ამის მიხედვით გმირის სულიერი ცხოვრების დახასიათება სხვათა დამოკიდებულებაში, ურთიერთობაშია გამოსახული, — ნოველისტი ამგვარი საშუალებების გამოყენებას შეგნებულად გაურბის.

ნოველისტი უფრო „მოტივირების“ გარეშე ხატავს საგანს, მოვლენას, ადამიანს, ვიდრე აღწერს და ჰყვება მათ თავგადასავალს, მათ ისტორიას. ამ გარემოების გამო ნოველაში ᲐᲘᲢᲧᲕᲘᲔᲠᲘ მასალა უაღრესად შეკუმშულია, მათემატიკური წესით გამოანგარიშებული, რაც მწერლისაგან ენის დიდ ცოდნასა და ოსტატობას მოითხოვს. აქ ყოველი ფრაზა განწყობილების გამოსახვას ემსახურება და ამის მიხედვით ყოველ სიტყვას დიდი დატვირთვა ეძლევა.

ნოველაში მკაცრად განსაზღვრულია მოქმედი გმირები და მათი ხასიათის გამოხატვა. აქ ჩვეულებრივ ერთი, ორი ან სამი მოქმედი პირია გამოყვანილი, ისიც მათი ცხოვრების განსაზღვრული მასშტაბით, გარკვეული ფსიქოლოგიური სულისკვეთებით. პერსონაჟების ხასიათების გაშლას ცვლის ფსიქოლოგიური სულისკვეთების თუ განწყობილების მზამზარეული სახის შემოტანა ნოველაში. ეს განწყობილება და სულისკვეთება თითქოს წინასწარ შემუშავებული სახით არის მწერლის მიერ მოცემული. მუსიკას რომ შევუფარდოთ, ნოველა უფრო სიმფონიას უდრის, ვიდრე ოპერას.

ნოველისტი აღწერს გმირის განცდას, მის ფსიქოლოგიურ სულისკვეთებას, მაგრამ როგორ გაჩნდა ეს განცდა, როგორ დაიბადა ეს სულისკვეთება, ამის ახსნას ნოველისტი არ იძლევა. გმირი თავისი საქციელით, ფსიქოლოგიური სულისკვეთებით მოცემულია, მაგრამ რამ წარმოშვა ეს საქციელი და რამ გამოიწვია, ეს უფრო იგულისხმება ნოველაში. ყველაფერი ეს მოითხოვს თხრობის გასაოცარ ეკონომიას, კონდენსირებულ მეტყველებას, სადა თუ მარტივ სიუჟეტს, ამბის აღწერის ერთგვარ წყვეტილობას, ცოტას თქმასა და ბევრის გულისხმობას და ამგვარად ფსიქოლოგიური განწყობილების გადმოცემას.

ნოველა ერთი ურთულესი ფორმაა პროზისა. ტიპიური ნოველა დიდი სასინჯია მწერლის მომწიფებულობისა თუ ოსტატობისა. არც ერთი დარგი მწერლობისა ამბის ისეთი „ზუსტი ლარის გავლებას“ არ მოითხოვს, როგორც ნოველა. ყოველივე ამის გამო ნოველაში პერსონაჟის გამოსახვა, დიალოგი, პეიზაჟი თუ კომპოზიციის სხვა ელემენტი დიდ დახვეწას საჭიროებს.

რასაკვირველია, ეს თვისებანი, რომელნიც ჩვენ აქ ჩამოვთვალეთ, უფრო ნებისმიერია, ვიდრე პოეტიკის კანონით დადგენილი. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ეპოქის მიხედვით, სხვადასხვა მწერლის შემოქმედებაში სხვადასხვანაირ გადაწყვეტას და აქცენტირებას პოულობდა ნოველისათვის დამახასიათებელი ეს ცალკეული მხარე, ცალკეული ელემენტები.

ის თვისებანი და ხასიათი, რომელიც ჩვენ ზემოთ ჩამოვ-

თვალეთ, კლასიკურ ნოველაში უფრო მეტი სიზუსტითა და სისრულით არის გამოხატული, ამიტომ, რასაკვირველია, მის დახასიათებასაც უპირველეს ყოვლისა ამ ნიმუშების მიხედვით ვგულისხმობთ.

კლასიკურ მწერლობაში მოპასანის ნოველები ერთი ყველაზე უფრო ნათელი საილუსტრაციო მასალაა. მაგალითისათვის ავიღოთ მოპასანის „დუელი", ან „ორი მეგობარი". ორივე ამ ნოველაში მოქმედი პირები ნაჩვენებია ერთი სულიერი განწყობილებით და სულისკვეთებით. პირველ ნოველაში აღწერილია გერმანიის მიერ დაპყრობილ საფრანგეთში ფრანგი მოქალაქის დიუბუას ფსიქოლოგიური განწყობილება. მისი პატრიოტული თავმოყვარეობა შელახულია საფრანგეთში დამპყრობელთა პარპაშით. გაამაყებული გერმანელი ფრანგს უბრძანებს თუთუნი მოუტანოს, ფრანგი შეურაცხყოფად მიიღებს გერმანელის დავალებას და შეურაცხყოფითვე უპასუხებს დამპყრობელს. ამ ნიადაგზე ორთაბრძოლა იმართება. ფრანგი, რომელსაც თოფი ხელში არასოდეს აუღია, ჰკლავს დამპყრობელს. ნაცვლად იმისა, რომ მოპასანს მოეთხრო ამ გმირების თავგადასავალი, ამის მიხედვით მოეცა საომარი კონფლიქტის ვრცელი ახსნა და განმარტება, იგი დასჯერდა ფრანგის პატრიოტული გრძნობის ერთი ეპიზოდის გამოსახვას. იგივე ითქმის მეორე ნოველაზეც — „ორი მეგობარი".

ორი ფრანგი მეგობარი დაპყრობილ საფრანგეთში შიმშილისა და სიღატაკის პირობებში თევზს იჭერს. ამ ამბავს გერმანელები წააწყდებიან, და უდანაშაულო ფრანგებს ხვრეტენ. ხმელეთზე—დაჭერილი თევზების ფართხალი და წყალში ჩაძირული ორი ფრანგი, მეგობარი, უაღრესად განზოგადებულ სურათს გამოხატავს და ღრმა ემოციებს აღძრავს მკითხველში. ამბავი აქაც ეპიზოდურია, მოქმედი პირები განსაზღვრული და სიტყვიერი მასალაც უაღრესად კონდენსირებული.

ქართულ ლიტერატურაში კლასიკური ნოველის მამამთავარი არის შიო არაგვისპირელი. მან შეაღო ახალი კარები ქართულ მწერლობაში, გზა გაუჭრა ნოველის განვითარებას. ნოველის დახასიათებისათვის ყველაზე ტიპიური მაგალითი

უთუოდ შ. არაგვისპირელის ნაწერებია. ავიღოთ არაგვისპირელის ნოველა „ადე, ჩამოვიდა“. მეწისქვილე გეგეს საფქვავი შემოაკლდა. მთელი წისქვილი უკანასკნელად გაჩხრიკა და შიგ ერთი ბეწო ფქვილიც ვეღარ იპოვა. შიმშილისაგან დაუძლურებულ კაცს აგონდება, წინათ ხორბლით დატვირთული ურმების ჯერი რომ იდგა, მეზობლები ერთმანეთს ეცილებოდნენ ჯერში და იყო გამუდმებული ხვეწნა და მუდარა დროზე დაეფქვა მეწისქვილეს საფქვავი. მირაჟმა ისე გაიტაცა გოგია, რომ, როდესაც წისქვილის კარებში თავი შემოჰყო მეზობელმა გეგემ და ნახევარი კოდი საფქვავი მოიტანა, მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ჰა, საფქვავი მოიტანე?

— ჰო!..

— გვიან მოგერგება ჯერი — სხვაგან წაიღე, ვერ ხედავ რამდენი საფქვავია აქ...“

ეს მაშინ, როდესაც უკვე დიდი ხანია საფქვავი წისქვილში არავის მიუტანია, და ერთი ბეწო ფქვილიც არ მოეძებნება ამ საწყალ მეწისქვილეს. იგი ისე გაიტაცა წარსულის მოგონებამ და მირაჟმა, ისე რეალურად იქცა ეს წარსული მის მოგონებაში, რომ ასეთი დიალოგი ბუნებრივად გვეჩვენება. ბოლოს და ბოლოს გოგია გონს მოვიდა და საფქვავი კოდში ჩაყარა, გადაწყვიტა ერთი თეფში ფქვილი მინდში აეღო, მაგრამ იმდენად ცოტა იყო საფქვავი, რომ შერცხვა და გარეთ გავარდა. გარეთ მას შიმშილი არ აყენებს, განიზრახა ერთი თეფში ფქვილი თხოვოს გეგეს. შემოვიდა: გეგეს ჩასძინებოდა, მაშინ განზრახვა იმით შეცვალა, რომ ერთი თეფში საფქვავი მოეპარა, აი, ქურდულად გაავსო კიდეც თეფში ფქვილით, დახედა, ეცოტავა, კვლავ შეცვალა განზრახვა, გადაწყვიტა მოეკლა გეგე და ფქვილი მთლიანად წაეღო, აღმართა ნაჯახი, მაგრამ ამ დროს გეგეს სიტყვები მოაგონდა .შემოსვლის დროს ნათქვამი — „დროზე დამიფქვი საფქვავი, სახლში ცოლ-შვილი სიმშილით მიწივისო“. ამ ამბის გახსენებამ ხელი გაუშეშა მეწისქვილეს და ფეხი ჰკრა დაძინებულ გეგეს: ადე, საფქვავი ჩამოვიდა.

ვინც ამ ნაწარმოებს დააკვირდება, დაგვეთანხმება, რომ ეს ნოველის კლასიკური ნიმუშია; აქ არ არის მოთხრო-

ბილი, თუ რატომ არის ეს მეწისქვილე დამშეული, მოთხრობაში კი აუცილებლად მოყოლილი იქნებოდა, რამ გამოიწვია ეს მდგომარეობა: გვალვამ თუ მოუსავლიანობის სხვა შემთხვევამ. არც ის ვიცით, რატომ არის ეს მეწისქვილე მარტო, ჰყავს თუ არა ვინმე, ნათესავი ან მეგობარი. ასევე არც მეორე გმირის თავგადასავალია მოთხრობილი. შ. არაგვისპირელი გმირების მხატვრულ ბიოგრაფიას, მოყოლას შეგნებულად გაურბის. მწერალი ცხოვრების ერთ ეპიზოდს იღებს, ერთ ფსიქოლოგიურ სულისკვეთებას გამოხატავს, ეს არის შიმშილით გამოწვეული სულისკვეთება და მეწისქვილის ჭიდილი ამ გრძნობასთან. ეს ფსიქოლოგიური სურათი ისეთი სიღრმითაა დახატული, რომ მძაფრ ემოციებს იწვევს ჩვენში.

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ მემკვიდრეობით აითვისა მთელი ის მიღწევები, რაც კლასიკურ მწერლობას მოუპოვებია. შემდეგ ეს დიდი მემკვიდრეობა განავითარა, ახლებურად ააყღერა, ახალი ფერებითა და საღებავებით, ახალი ინტონაციებით გაამდიდრა და წინ წასწია კლასიკური მწერლობის მონაპოვარი. ვინც საბჭოთა მწერლობის განვითარების გზას დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს, თუ რა დაუმცხრალი ძიება ჩაატარა სოციალისტურმა მწერლობამ,— ძიება ფორმისა, სტილისა; ეს ძიება მწერლობის ყველა დარგში შეინიშნება. იგი შეინიშნება ნოველაშიაც. ამ დიდ ძიებაში მხოლოდ ის გზა იმარჯვებს, რომელიც ეყრდნობა და ანვითარებს უკვე მიღწეულსა და მოპოვებულს, განმტკიცებულსა და შემოწმებულს. იმარჯვებს ის მწერალი, რომელიც ტრაფარეტულად კი არ იმეორებს გაცვეთილ ფორმებს, არამედ მიღწეულსა და მოპოვებულს წინ სწევს, ახალ ეღერას აძლევს, ახლებურად წარმოიდგენს.

ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მხატვრულ ლიტერატურაში რეალისტური მიმართულების გვერდით სხვა ლიტერატურული მიმართულებებიც არსებობდა. და სხვათა შორის, ქართული მწერლობა იმითაც არის დიდი მწერლობა, რომ მან მსოფლიოს ყველა თვალსაჩინო ლიტერატურული მიმართულება და გზა გაიარა. დიახაც, ეს დიდი ლიტერატურული წარსული საამაყოა.

თვით მოდერნისტული სკოლის დახასიათებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მისი გამოჩენა თავისებურად კანონზომიერი მოვლენა იყო. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა მსოფლიო მწერლობის საერთო ორბიტში იყო ჩაბმული და მისი განვითარების საერთო დონეს ეხმაურებოდა. რეაქციისა და მსოფლიო ომის წლების სულიერი განწყობილებაც შესაფერისი ნიადაგი იყო მოდერნისტული, სკოლებისათვის საქართველოში. ისევე როგორც რუსეთში. ხოლო რაც შეეხება „წმინდა ლიტერატურულ ფორმებს", აქაც უთუოდ თავისებური „გამართლება" ჰქონდა მოდერნისტული სკოლის გავლენას.

მე-19 საუკუნის მიწურულისათვის, ქართულმა კრიტიკულმა რეალისტურმა სკოლამ თავისი ფორმალური შესაძლებლობანი უმაღლეს დონემდე აიტანა და თითქმის ამოწურა. თვით კრიტიკული რეალისტური სკოლების წარმომადგენლებში ერთგვარი დეკადანსი განიცადა რეალიზმმა; თუ ირ. ევდოშვილმა თავისი რევოლუციური რეალისტური ლექსებით ერთგვარად განაახლა ქართული ლექსი, ახალი პათოსი შეიტანა მასში, შემდეგ ევდოშვილის სკოლის უნიჭო მიმდევრებმა რეალიზმის მხატვრული საშუალებები მეტად გააღარიბეს და დააკნინეს. მხატვრული ფორმის საშუალებების გაღარიბება და ერთგვარი დაკნინება უკვე მწვავედ აყენებდა ლიტერატურაში ახალი ფორმებისა და საშუალებების ძიების საკითხს. მაგრამ ძიებაც არის და ძიებაც. ლიტერატურაში ყოველგვარ ძიებას როდი აქვს გამართლება.

ლიტერატურის ისტორიის განვითარებამ დაადასტურა, რომ დეკადენტური სკოლების ფორმალისტურმა ძიებამ მეტად ცალმხრივი ხასიათი მიიღო, საქართველოში დეკადენტები რეალიზმს იმით გაემიჯნენ, რომ სავსებით უარი განაცხადეს წარსულის მიღწევებზე და ასე დაუპირდაპირდნენ ტრადიციას; მათი ნოვატორობა ტრადიციის უარყოფა იყო. ამ გზამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა.

მეორე მხრივ, ქართულ მწერლობაში აღმოჩნდა სხვა მოწინავე ჯგუფი, რომელიც გრძნობდა, რომ კრიტიკულმა რეალიზმმა ერთგვარად ამოსწურა თავისი საშუალებები, მაგრამ ახლა საკითხი შეეხება არა საზოგადოდ რეალიზმის

უარყოფას, არამედ მის განვითარებას, მის გამოყვანას კრიზისის ამ ჩიხიდან და ამ მხრივ თვით ევროპული სკოლების ზოგიერთ მიღწევათა გამოყენებას; არა უკუგდება და უარყოფა წარსულის ტრადიციებისა, არამედ გამოყენება და განვითარება მისი. ეს იყო მეორე გზა ათიანი წლების ქართულ მწერლობაში, რომელმაც უთუოდ თავისი ბუნებრივი განვითარება ჰპოვა. ამ გზის მეთაურად და დამწყებად პოეზიაში მიგვაჩნია გ. ტაბიძე, ხოლო პროზაში — შ. არაგვისპირელი.

ამგვარად, იდეურადაც და მხატვრული პოზიციითაც, რევოლუციის წინა ეპოქაში ჩვენ საქმე გვქონდა ორ ჯგუფთან: ერთნი, რომელნიც რეალიზმის მოწინააღმდეგეებად გამოდიოდნენ მწერლობაში და სავსებით უარყოფდნენ მის როლსა და მნიშვნელობას; მეორენი, რომელნიც გრძნობდნენ რეალისტური სკოლის ტრადიციის დიდ მნიშვნელობას, და ავითარებდნენ ამ ტრადიციებს. რევოლუციის ეპოქაში ასე ებრძოდა ერთმანეთს ქართულ მწერლობაში ორი ფრთა მე-20 საუკუნის ათიანსა და ოციან წლებში.

საბჭოთა ეპოქის პირველი წლების საქართველოში დეკადენტური მწერლობის ინერცია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ერთბაშად ნათელი გახდა, რომ უპირატესობა იმ ხაზს ჰქონდა მოპოვებული და მომავალი მას ეკუთვნოდა, რომელიც კლასიკური მწერლობის ტრადიციებს ეყრდნობოდა და ახლებურად ანვითარებდა.

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო გზა განვლო. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მხატვრული ფორმის ძიებით არც ერთ ეპოქაში ისე მდიდარი არ ყოფილა ჩვენი მწერლობა, როგორც საბჭოთა ეპოქაში. იგივე ითქმის მწერლობის იმ ჟანრზეც, რომლის შესახებაც ჩვენ აქ ვსაუბრობთ.

რომ შევადაროთ ლ. ქიაჩელისა და კ. გამსახურდიას ნოველები, მათ შორის უთუოდ დიდ განსხვავებას ვიპოვით, განსხვავებას ტრადიციების აღქმისა და მხატვრულ გამოსახულებათა საშუალებების ძიების მხრივ. ასეთსავე განსხვავებას ვიპოვით დ. შენგელაიასა, ს. კლდიაშვილის და კ. ლორთქიფანიძის ნოველებს შორის. ლ. ქიაჩელისა და კ. ლორთქიფანიძის

შემოქმედებაში რეალიზმის საწყისები და ამ საწყისების განვითარებაა გადამწყვეტი. კ. გამსახურდიასა და დ. შენგელაიას ნოველებში კი ზოგ შემთხვევაში გადამწონავი მნიშვნელობა მოდერნისტული სკოლების საწყისებს აქვს მინიჭებული, ხოლო თვით კ. გამსახურდიასა და დ. შენგელაიას ნოველების შედარებაშიაც არსებითი განსხვავება აღმოჩნდება. ასე, რომ აქ უკვე ცალკე გზებსა და სტილზე უნდა გვქონდეს საუბარი და არა მსგავსებაზე. იგივე შეიძლება ითქვას ზოგი სხვა ქართველი საბჭოთა ნოველისტის შეფასების დროს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მე-20 საუკუნის ქართულ პროზაში ახალი კარები შიო არაგვისპირელმა გახსნა. შ. არაგვისპირელმა პირველმა მოახდინა დიდი რეფორმა კლასიკური ქართული პროზისა. თავისი შესანიშნავი ფსიქოლოგიური ნოველებით, ეტიუდებით, ესკიზებით ახალი ხანა შექმნა ქართულ მწერლობაში; ამას გრძნობდნენ მისი თანამედროვეები. ეს შენიშნეს ჩვენმა დიდმა კლასიკოსებმაც — ილიამ და აკაკიმ. აკაკი წერეთელი ჯერ კიდევ 1898 წელს შიო არაგვისპირელის შესახებ სპეციალურ სტატიაში არაგვისპირელს თვლიდა ახალი სკოლის მეთაურად, ხოლო მისი ფსიქოლოგიური ეტიუდები ყველაზე უფრო საუცხოო მოვლენად მიაჩნდა მთელს ჩვენს ქართულ მწერლობაში*. უფრო ადრე კი, აკ. წერეთელმა, შ. არაგვისპირელს სპეციალური ლექსიც მიუძღვნა:

> როდესაც ჩვენში მწერლობა
> თანდათან იშრიტებოდა,
> შენ მოგელოდი „ხე წმინდად“,
> დანახვა მენატრებოდა.
>
> მოხველ თავმდაბლად და ამბობ:
> „გიახელ ახალ დვრიტადო“,
> და მეტს რას გეტყვი მოხუცი,
> თუ არა,—ჭეშმარიტადო?!

---

* აკაკის თვიური კრებული № 11, 1898 წ.

ასე იგრძნო დიდმა მხატვარმა ის სიახლე, რაც არაგვისპირელის სახელს დაუკავშირა.

შ. არაგვისპირელი, დიდი ნოვატორი ქართული პროზისა, რეალიზმის ფარგლებში რჩებოდა და ამ გზით იწყებდა იგი ახალ გზას ჩვენს მწერლობაში. რეალიზმის ფარგლებში მომ-ხდარი დიდი განახლება ქართული პროზისა შ. არაგვისპი-რელის სახელს დაუკავშირდა. ასევე, საბოლოო ანგარიშში, რეალიზმის ფარგლებში დარჩა მეორე დიდი პროზაიკოსი, რომელიც მე-20 საუკუნის ქართული პროზის კარებთან დგას, როგორც საინტერესო ნოვატორი. ჩვენ მხედველობა-ში გვაქვს ნ. ლორთქიფანიძის პროზა. ოღონდ ნ. ლორთქი-ფანიძე უფრო დიდად იყო დავალებული მოდერნისტული სკოლის გავლენისაგან, მან უფრო ძლიერად განიცადა ეს გავლენა.

ნ. ლორთქიფანიძე წერს: „განა მწერალს, როგორც ყოველ ადამიანს, ცოტა ყავს ნაცნობები, რომლებიც მზის დაბნელე-ბასავით ერთხელ უნახავს, რომლებზედაც გაუგონია ერთი სიტყვა და უბრალო შეხვედრაც მეხსიერებიდან ვერ ამოუ-ფხვრია. განა უფლება არა აქვს ბელეტრისტს შემთხვევითი შეხვედრანი, ყურმოკრული ხმები, წუთიერი შთაბეჭდილე-ბანი გადასცეს თავის მეგობარ მკითხველს. მწერლები კი გმირის ცხოვრებას თუ მიყვეს ხელი, დაიწყებენ იმ წამიდან, როცა პირველად ეახილა თვალი მოქმედმა პირმა და ჩაჰყვე-ბიან უკანასკნელ სადგომში—საფლავში... მე სხვადასხვა სუ-რათს მოგართმევთ ცხოვრებიდან... მათი ერთმანეთთან შე-კავშირება შენთვის მომინდვია... მე მაინც მგონია, რომ მე-ტი ადგილი უნდა დაეთმოს მკითხველს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის... მკითხველს მოწყინდა ყველაფერი უკვე შემუშავებული თავის ადგილზე ჰპოვოს...“ ეს ამონა-წერი კომენტარებს არ მოითხოვს, ნ. ლორთქიფანიძე თავად იცავდა იმპრესიონისტული სკოლის ამ პრინციპს. აქედან წარმოსდგებოდა მისთვის დამახასიათებელი დიდი ლაკონიზმი. მკვრივი სიუჟეტი, დაქუცმაცებული თხრობა, შეკუმშული ფრაზა, მრავალწერტილები, მკაცრ კომპოზიციურ თანმიმდევ-რობაზე უარისთქმა და ა. შ. მაგრამ არ იქნებოდა მართალი, ნ. ლორთქიფანიძე დეკადენტ-ნოველისტად მიგვეჩნია. არა, მის

შემოქმედებაში ეს ძიებანი. მოდერნისტული სკოლიდან წამოღებული, რეალიზმის ტრადიციას არ უპირდაპირდებოდა. დიდი სოციალური და საზოგადოებრივი ვნებების გამოხატვას იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. თუმცა, ნ. ლორთქიფანიძეს აქვს რამდენიმე ნოველა, რომელიც ამოვარდნილია რეალიზმის საერთო პათოსიდან და უთუოდ დეკადენტობის ფარგლებში რჩება. მე მხედველობაში მაქვს მისი „შელოცვა რადიოთი", „პანაშვიდი" და რამდენიმე სხვა ნოველა.

შემდეგ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნ. ლორთქიფანიძე დარწმუნდა, რომ მწერალი რომელიც თავისი ერის, ხალხის სულიერი ინტერესებით არ ცხოვრობს და დიდ სოციალურ ვნებებს არ გამოსახავს, ნამდვილი და ჭეშმარიტი მხატვარი არ არის; ოღონდ მწერალს უფლება აქვს ამ დიდი ვნებების გამოსახატავად თავისებური ფორმა აირჩიოს, თავისი მანერით წეროს. ნ. ლორთქიფანიძე გრძნობდა ამას და თვითონ, როგორც მხატვარი, იცავდა მწერლობის საზოგადოებრივი დანიშნულების პოზიციას. ეს ჩანს თვით ნ. ლორთქიფანიძის ნოველებიდან. მოკვეთილი და შეკუმშული ამბავი, დეპეშის სტილი, მრავალწერტილები, ცალკეული ფრაზები, უფრო მეტის მინიშნება, — ვიდრე თქმა დამახასიათებელია ნ. ლორთქიფანიძის ისეთი რეალისტური ნოველებისათვის, როგორიცაა „თავსაფრიანი დედაკაცი" და „ტრაგედია უგმიროდ".

„თავსაფრიანი დედაკაცი" ერთი უბრწყინვალესი ნოველათაგანია მე-20 საუკუნის ქართულ პროზაში. ამავე დროს ის ნ. ლორთქიფანიძის მხატვრული სტილის ყველაზე უფრო ტიპიური გამომხატველიცაა. აქ სულ რამდენიმე გვერდზე წარმოდგენილია დაქვრივებული ქართველი ქალის დიდი შინაგანი სულიერი დრამა. თავსაფრიანი დედაკაცის გათხოვების ამბავი, მისი შრომითი ცხოვრების ფურცლები გადმოცემულია აქ უაღრესად შეკუმშული სახით. თავისი დაუცხრომელი შრომის ნაყოფით, შვილებისა და შვილიშვილების სიმრავლით თითქოს ახლა უნდა გაიხაროს. მოხუცის გულმა, მაგრამ ასე როდი ხდება, მოულოდნელი ფინალით მთავრდება მისი ცხოვრება; უმადურმა რძალმა უბრალო რეპლიკით შელახა ქვრივის თავმოყვარეობა. თავმოყვარე დედა

ოჯახს ტოვებს. ბოლოს ამ კეთილშობილი და უაღრესად თავმოყვარე ქალის გვამს სადღაც ქალაქში იპოვნიან.

მშრომელი და თავმოყვარე ქართველი ქალის ხასიათს მწერალი მეტად ძუნწი შტრიხებით ძერწავს, მრავალწერტილებით, გაწყვეტილი ფრაზებით ცვლის გაჭიანურებულ თხრობას. ფრაზები და სიტყვები აქ იმგვარადაა შერჩეული, ისეთი ხატოვანია მთელი ეს ლექსიკური მასალა, რომ მწერალი ქმნის ძლიერსა და მონუმენტურ სახეს. ვინც გონების თვალით დააკვირდება, ადვილად დაინახავს, რომ ამ ნოველის საერთო სული, მისი გმირის — თავსაფრიანი დედაკაცის გამოხატვის პათოსი სადღაც ი. ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივის ხასიათს ენათესავება, მაგრამ ისე ორიგინალურად და ოსტატურად, რომ მხოლოდ შორეულად შეიძლება ამაზე ლაპარაკი. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ნ. ლორთქიფანიძეს ჰქონდა და ძლიერადაც ჰქონდა კავშირი ქართული ეროვნული მწერლობის ტრადიციებთან.

ახლა გავეცნოთ ნ. ლორთქიფანიძის ნოველას—„ტრაგედია უგმიროდ". აქ, სულ მცირე მოცულობის მასალაში, ნ. ლორთქიფანიძე ახერხებს დაგვიხატოს უაღრესად მღელვარე, ემოციური სურათი, მძაფრი ფსიქოლოგიური ტრაგედია ღარიბი კაცისა. ამ გვერდნახევრიან ესკიზში იმდენად ოსტატურადაა განზოგადებული ღარიბი გლეხის რევოლუციამდელი ცხოვრება, რომ ამაზე უფრო მძაფრ სოციალურ სურათს დიდტანიანი ნაწარმოებიც ვერ მოგვცემდა.

ღრმა ფსიქოლოგიური განცდით და უდიდესი ოსტატობით არის დახატული სამი შვილის მამის სულიერი ტრაგედია; შიმშილისაგან ქანცგამოლეული მამა და ბავშვები სადღაც მეზობელთან ნახევარ ჯამ ფქვილს იშოვიან და ეხლა ბავშვები მამას ხელში შესციცინებენ, ეხმარებიან, მოუთმენლობას იჩენენ, არ აცლიან მჭადის გამოცხობას, რის გამოც ისინი მეზობელთან გაისტუმრა მამამ, ხოლო თავად მჭადის სუნმა ისე გაიტაცა, რომ კეციდან აიღო და გასაცინჯად ლუკმა პირში ჩაიდო. შიმშილის ინსტინქტმა დააბრმავა მამა, გამგელებულ კაცს დამშეული შვილები დაავიწყდა. სწვავდა ენას და მაინც ჭამდა, ხოლო როცა გონს მოვა, შვილების მოყვარული მამა თავს იღრჩობს.

ამ ნაწარმოებს ნოველის ყველა ნიშანი აქვს; ჩვენ არ ვიცით, რატომაა ეს გლეხი დამშეული, ან რატომ არიან ეს ბავშვები უდედოდ დატოვებულნი. გმირების თავგადასავალს აქ ადგილი არა აქვს; მოცემულია მხოლოდ ფსიქოლოგიური სურათი იმ სულისკვეთებისა, რომელიც შიმშილმა გამოიწვია და ამ ფონზეა გამოხატული კეთილი მამის ცხოვრების ერთი ეპიზოდი. სიუჟეტის სიმკვეთრით, სიტყვიერი მასალის დიდი ეკონომიით, მოქმედი პერსონაჟების დახასიათებით, და მოულოდნელი ფინალით ეს ნაწარმოები ერთ-ერთი ტიპიური რეალისტური ნოველაა.

ასე გაემიჯნა ნ. ლორთქიფანიძე დეკადენტობას.

უფრო მკვეთრად გაემიჯნა დეკადენტური ნოველების ცდუნების გზას თავისი სამწერლო ბუნებითა და სტილით უაღრესად რეალისტი პროზაიკოსი ლეო ქიაჩელი. ცდუნების გზასო,—ვამბობთ იმიტომ, რომ თვით ლეო ქიაჩელიც არ ყოფილა თავისუფალი დეკადენტური სკოლების გავლენისაგან. უფრო მეტი — მან არსებითად გაიზიარა მოდერნისტული სკოლის იდეური პოზიცია, მაგრამ „ტარიელ გოლუას“ ავტორს არ გასჭირვებია მკვეთრად გამიჯნოდა მოდერნიზმს, საბჭოთა პერიოდში იგი გახდა ერთ-ერთი ფუძემდებელი რეალისტური ნოველისა. მე მხედველობაში მაქვს ლ. ქიაჩელის ბრწყინვალე ნოველები: „თავადის ქალი მაია“, „ჰაკი აძბა“ და „ალმასგირ კიბულან“.

ფრიად საინტერესო, რეალისტურ ნოველად მიგვაჩნია ლ. ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“. აქ საქმე გვაქვს ჭეშმარიტი რეალისტი მწერლის გასაოცარ ინტუიციასა და ოსტატობასთან. ეს იგრძნობა თემატურ გადაწყვეტაში, ენობრივი ქსოვილის დამუშავებასა და წერის მანერაშიაც.

თემატურად აქ მეტად საინტერესო პრობლემაა დასმული და გადაწყვეტილი. თებერვლის რევოლუციამ ისტორიის სანაგვე ყუთში გადაჰყარა ყველა მუქთახორა: თავადი, აზნაური, ბურჟუა... ისტორიული ცხოვრების ამ კანონს მწერალი მართალ ფსიქოლოგიურ სურათში გვიხატავს.

ოდესღაც ბრწყინვალე არისტოკრატიის ბრწყინვალე ასული, თავადის ქალი მაია გაღატაკდა, გახუნდა მისი სილამაზეც, დაბერდა, მოტყდა. თავის დროზე კი ამ თვალისმომ-

ჭრელ სილამაზეს თავადის ასულისას არა ერთი და ორი ვაჟკაცი შეეწირა. მაგრამ ის დრო წავიდა; თავადაზნაურობამ დაკარგა თავისი სოციალური ბრწყინვალება, ამას ზედ დაერთო თავადის ასულის სილამაზის დაჭკნობაც, მასზე გული აიყარა მისმა უკანასკნელმა მიჯნურმა, თავადიშვილმა ბონდომ. ამ უკანასკნელმა იგი ეშხით სავსე გლეხის გოგონაზე, დაფინოზე გაცვალა, დაფინოზე, რომელსაც ახალმა დრომ ყველა პრივილეგია მიანიჭა. ეს ლამაზი გლეხის გოგონა თავადის ასულის ყოფილ მოჯამაგირეს ამბაკოს მოსწონს.

ძუნწად, რამდენიმე ფრაზაში გვიხატავს მწერალი წელში გამართული, გაამაყებული ყოფილი მოჯამაგირეების, დაფინოსა და ამბაკოს გულწრფელ სატრფიალო გრძნობებს. მათი ცხოვრება, მათი მომავალი, მათი სიყვარული პერსპექტივის მქონეა, ბონდოსა და მაიას სიყვარულის მზე კი ჩაესვენა, მსგავსად მათი წოდებრივი ბრწყინვალებისა.

მაიამ ნათლად დაინახა საკუთარი ცხოვრების დასასრული; სოციალურად განიარაღებული, ახალგაზრდული ქალური ვნებებისაგან დაცლილი თავადის ქალი თავს იღრჩობს. ბონდოს კი დაფინოს სიყვარულს, ქათამივით წააკლავს მკლავმაგარი და ღონიერი გლეხი ამბაკო.

გასაოცარი ისტორიული სიმართლით გამოხატა ლ. ქიაჩელმა ძველისა და ახლის გაყრა „თავადის ქალ მაიაში". ეს ნაწარმოები ტიპიური ნოველაა თავისი მოულოდნელი ფინალით. ვითარება ისეთია, თითქოს ეს ვნებააშლილი ქალი ბონდოზე არავის გაათამამებს, ოსტატურად გათამაშებული მძაფრი ინტრიგის შედეგად კვლავ დაიბრუნებს თავის ადგილს ადამიანთა ურთიერთობაში. მაგრამ ფინალში ბონდოც კვდება და მაიაც თავს იხრჩობს. იდეურად ეს სავსებით კანონზომიერი ფსიქოლოგიური სურათია, რომელშიაც ნათლად არის გამოსახული, რომ ძველმა ადამიანებმა ცხოვრების გზა ყოფილ მოჯამაგირეებს—დაფინოსა და ამბაკოს დაუთმეს. ისტორიის ამ განაჩენის შეცვლა არავითარ ძალას არ შეუძლია.

სხვა პლანითაა დაწერილი ლ. ქიაჩელის მეორე ნოველა „ჰაკი აძბა". თუ პირველი ნოველა სოციალური მოვლენების ფსიქოლოგიურ გამოსახვას ეფუძნება, მეორე ნოველა უფ-

�о პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ სურათს გვიხატავს. ნოველის ძირითადი პათოსი ოქტომბრის რევოლუციის პოლიტიკურ აღქმას ეფუძნება. ოქტომბრის რევოლუციამ დაუნდობლად მოსპო და გაანადგურა ყოველივე. რაც ახალს, რევოლუციურს ებრძოდა, ისტორიის სანაგვე ყუთში გადაისროლა არა მარტო ძველი კლასები, არამედ ნიადაგი გამოაცალა ძველ შეხედულებებს და აზრებს. რაც არ ეგუება ახალს, ის ულმობლად ისპობა რევოლუციის კანონით.

აი, გლეხის წრიდან გამოსული ჰაკი აძბა. მან ვერ გაიგო ეს ახალი გზა. საუკუნეების განმავლობაში მისი წინაპრები მონურად ემორჩილებოდნენ თავადიშვილებს, მეფის სამხედრო სამხრეებიან ეშხებს. ჰაკი აძბა მონის ფსიქოლოგიისაგან ვერ განთავისუფლდა მას შემდეგაც, რაც რევოლუციის ჯარისკაცები განაიარაღებენ და ხვრეტენ უჯუ ემხას. მრისხანე კუზმას, „შმიდტის“ კაპიტანს, თან მიჰყავს მონური ბუნების ჰაკი აძბა, გზად შეეცდება გადაარწმუნოს და გაანთავისუფლოს ის ძველი ფსიქოლოგიისაგან, მაგრამ ამაოდ. მაშინ მასაც ხვრეტენ და ზღვაში გადაისვრიან.

რევოლუცია დიდის მრისხანებით ანადგურებს ყველაფერს დახავსებულს და დრომოჭმულს. ასეთია პათოსი, რომელიც გამოხატა ავტორმა ღრმა ფსიქოლოგიითა და ოსტატობით. ასეთი პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ნოველის დაწერა დიახაც შეეძლო პოლიტიკური ცხოვრების ისეთ დიდ სკოლაგამოვლილ მწერალს, როგორიც ლ. ქიაჩელი იყო.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ერთ-ერთ ბრწყინვალე ფსიქოლოგიურ ნოველად მიგვაჩნია „ალმასგირ კიბულანი“. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს უფრო ძლიერი ფსიქოლოგიური სურათი შვილის დაღუპვით გამოწვეული ადამიანის ტრაგედიისა, ვიდრე ეს ამ ნოველაშია გამოხატული. ალმასგირ კიბულანის განცდები, მისი სულის მოძრაობის ყოველი დეტალი ტრაგიკული ტონებითა და განწყობილებით არის გადმოცემული. სამივე ეს ნოველა წერის მანერით, ხასიათებით, ფსიქოლოგიური განცდების გამოსახვით, მთელი მხატვრული ქსოვილით რეალიზმის პრინციპს ეფუძნება. ჩვენი ადამიანების შეგნებაში მომხდარი დიდი ისტორული

და ფსიქოლოგიური გარდატეხის პროცესი, ასევე რეალიზმის პრინციპს ემყარება.

მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში კლასიკური საზღვრები მცირე ფორმის მოთხრობებისა ერთგვარად დაირღვა: მოთხრობაში შეიჭრა ნოველის ელემენტები და, პირიქით, ნოველაშიაც მოთხრობის ელემენტები შევიდა.

მ. ჯავახიშვილი თავისი სტილით ტიპიური მოთხრობის ავტორია. მისი სამწერლო სტიქია უმთავრესად მოთხრობებში გამოვლინდა და ჩვენ არ გვეგულება მე-20 საუკუნის პროზაში უფრო ტიპიური მოთხრობის ავტორი. მაგრამ ფაქტია, რომ მასაც შეეპარა თავის მოთხრობებში ნოველების სტილის თვისებანი და ხასიათი. საილუსტრაციოდ ავიღოთ მ. ჯავახიშვილის „ყბაჩამ დაიგვიანა". ეს ერთ-ერთი უბრწყინვალესი მოთხრობაა. უმთავრესი პათოსი ამ მოთხრობისა იმაშია, რომ გვაჩვენოს ბუნებისაგან დაჩაგრული ქალის, ბრმა ქალის დიდი ერთგულება თავის საქმროსადმი, უფრო სწორად—იმისადმი, ვისთანაც პირველი სარეცელი მამაკაცისა გაიზიარა. ბრმა ქალს შეუცნობელი ინსტინქტით უყვარდა მეზობელი ახალგაზრდა, მისი ტოლი, მოჯამაგირე ყბაჩა. ქალურ ვნებათა სიმწიფის პერიოდში მასთან დაახლოებული ვაჟი ერთბაშად ჩამოცილდა ახალგაზრდა ქალს, — სხვაგან წავიდა მოჯამაგირედ, ხოლო ამ დროს მას დაუახლოვდა ვიღაც ქალაქელი, კოჭლი და მახინჯი სოლო. ვნებით გახელებული ბრმა ქალი უკავშირდება ამ მამაკაცს. ამავე კაცის ზრუნვით საავადმყოფოში თვალი აეხილა თინას, და როცა თვალახელილმა ლამაზმა ქალმა ამ ჯოჯო ქმარს შეხედა, მთელი ტანით შეაკრეოლა, ხოლო როცა ერთმანეთს შეადარა ყბაჩა და სოლო, პირველის უპირატესობა უფრო მწვავედ იგრძნო. მაგრამ მან არ დაუკარგა ამაგი სოლოს და საბოლოოდ დაუკავშირდა გარეგნულად შეუსაბამო საქმროს. ყველაფერი ეს გამოხატულია დიდის ვნებითა და ფსიქოლოგიური სიმართლით.

მოთხრობაში ერთ ასპექტშია მოცემული გმირების სულიერი ცხოვრების გამოსახვა. მ. ჯავახიშვილი დაწვრილებით არ გვამცნობს და არ აგვიწერს გმირების ბიოგრაფიას; მას უფრო იმ ფსიქოლოგიური სულისკვეთების გა-

მოხატვა აინტერესებს, რომელიც ბრმა ქალის შეცნობილი და შეუცნობელი ინსტინქტების განმარტებას უკავშირდება. წერის ამგვარი მანერა დამახასიათებელია ნოველისათვის. ამიტომ მიგვაჩნია ეს მოთხრობა ნოველისაგან დავალებულად. იგივე შეგვეძლო გვეთქვა მ. ჯავახიშვილის „ფინჯანისა“ თუ „ორი განაჩენის“ შესახებ. ეს მაგალითები ნათელყოფენ, რომ მე-20 საუკუნის პროზაში კლასიკური ფორმები მოთხრობისა, ნოველისა, ეტიუდისა, ესკიზისა და სურათისა როდია ისე დაცული და შენახული, როგორც კლასიკურ მწერლობაში.

ჩვენს დროში ჟანრების კლასიკური ფორმების საზღვრები დაირღვა. მათი ურთიერთშერწყმის პროცესი კვლავ გრძელდება მწერლობაში. მაგრამ მოხდა არა მარტო ჟანრების კლასიკური ფორმების აღრევა, არამედ ეს პროცესი სტილსაც შეეხო.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით კ. გამსახურდიას ნოველები. კ. გამსახურდიამ თავისებურად „მოარიგა“ კლასიკური და მოდერნისტული ნოველების სტილი. ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვა მ ო ა რ ი გ ა ს, ვიცით რა, რომ ჩვეულებრივ ორი საწინააღმდეგო სტილის მორიგება არ ხდება. მაგრამ აქ საქმე შეეხება იმას, რომ კ. გამსახურდიამ მოდერნიზმისაგან აიღო ის ახალი ძიებანი ფორმისა, რომელიც ყოველგვარი დიდი მწერლობის პირველი პირობათაგანია.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ქართულმა კლასიკურმა პროზამ მე-20 საუკუნის ათიანი წლებისათვის თითქოს ამოწურა თავისი მხატვრული საშუალებანი: ერთი მხრივ ნატურალისტური გამარტივებანი მხატვრული საშუალებებისა და მეორეს მხრივ, კლასიკური მწერლობის მიღწევათა უარყოფის გზით ახალი ფორმალისტური ძიება—ასეთი იყო მე-20 საუკუნის ათიანი წლების ქართული მწერლობის გზები. კ. გამსახურდიამ ორივე ეს უკიდურესობა უკუაგდო. მოდერნისტული მწერლობის საერთო იდეურ ატმოსფეროში და მის წინაშე დიდი ხარკის ხარჯზე თავისებური გზა აირჩია. კ. გამსახურდიას ნოველები ამ მხრივ საყოველთაოდ ცნობილია. მათ შორის, ჩემის ფიქრით, ყველაზე ტიპიურია მაინც „ზარები გრიგალში“ და „ხოგაის მინდია“. ორივე ამ ნოველაში

არის დიდი გრძნობა ფორმისა და ამავე დროს სათქმელის გამოხატვის დიდი სინათლეც. პირობითად რომ ვთქვათ, ეს მოდერნიზებული რეალიზმია.

„ზარები გრიგალში“ მოცემულია პატარა კაცის ტრაგედია; ზარების გრიგალს, რევოლუციის გრიგალს გაყოლილი, გულუბრყვილო, ძველი ცხოვრების მონა კაცის ფსიქოლოგია. ამ პატარა კაცის მოვალეობა ასევე პატარა იყო: ზარების რეკვას შეალია ოქროპირმა მთელი თავისი ცხოვრება და ამ ზარების ხმებს ისე შეეთვისა მისი სული, ისე გახდა იგი მონა ეკლესიისა, რომ რევოლუციის მიერ მოტანილი დიდი სინათლე ვერ დაინახა. რევოლუციამ კი ნიადაგი გამოაცალა ამ პატარა კაცის ფსიქოლოგიას, ეკლესიაცა და მისი პატრონებიც ისტორიას ჩაბარდნენ. ახალი დროისა და ახალი ეპოქის გაგება უფრო ხუცესმა შესძლო: მღვდლობაზე ხელი აიღო, გაიპარსა და სადღაც შარაგზაზე სამიკიტნო გახსნა. ერთხელ ამ ხუცესის სამიკიტნოში დათვრა ოქროპირი, შემდეგ ესტუმრა სამრეკლოს, წვიმისაგან დამპალი თოკები დაარხია, ისევ ააგუგუნა თავისი საყვარელი ზარები და მის უკანასკნელ ხმებს თან გადაჰყვა ძველის ნასუფრალით აგზნებული ოქროპირი.

ასე საინტერესოდ არის გამოხატული ტრაგედია პატარა კაცისა.

აქ კ. გამსახურდია გასაოცარ ძალას იჩენს, ფერწერით ძალას ადამიანის ხასიათის გამოსახვისას, მისი ფსიქოლოგიური ნიუანსების სიზუსტით გამოხატვისას.

არანაკლებ საინტერესოა კ. გამსახურდიას მეორე ნოველა — „ხოგაის მინდია“. ეს არის ცნობილ ხალხურ ამბავზე შექმნილი ნოველა. ამბავი ხალხურ მინდიაზე სხვადასხვა ასპექტით გააცოცხლეს და აამეტყველეს ვაჟა-ფშაველამ და კ. გამსახურდიამ. კ. გამსახურდია იჩენს ხალხური ამბის გარდასახვის იშვიათ ოსტატობას: წარსული ტრადიციების შედეგად ისტორიულად გადაკიდებული სხვადასხვა ტომის ზღუდეშემოვლებული ხალხების გაერთიანების მოსურნე ხოგაის მინდია არა მარტო ხალხთა მორიგების ინსტინქტით გვევლინება, არამედ როგორც უებარი სატრფო ულამაზესი ქალისა. ამ ფონზეა გამოსახული ხოგაის მინდიას ხასიათი და თვისებანი ნოველაში.

ჩვენ აქ საილუსტრაციოდ უფრო ისეთი ნოველები ავიღეთ, სადაც რეალიზმის ძალა ნათლადაა გამოვლენილი. კ. გამსახურდიას აქვს დეკადენტური ხასიათის ნოველებიც, სადაც მოდერნისტულ ფორმალისტურ ძიებას ეფუძნება ფორმის ნოვატორობის პრეტენზია. რეალიზმის სკოლის ტრადიცია შემდეგ მან თავისებურად გაამდიდრა მოდერნისტული სკოლის ფორმალური მიღწევებით. ამ ძიების გზაზე კ. გამსახურდიამ გამოიმუშავა საკუთარი, ორიგინალური წერის მანერა, რომელმაც ალიარება ჰპოვა ჩვენს მწერლობაში.

საბჭოთა ნოველის უმთავრესი პათოსი იმაშია, რომ ისინი გვიხატავენ ჩვენს ახალ ადამიანებს, საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბებული ადამიანის ფსიქოლოგიას, მათ ვნებას, ქცევასა და საქციელს. ახალი ადამიანების ხასიათის გამოსახვის საშუალებას სხვადასხვა მანერით აღწევდნენ ჩვენი მწერლები. და ვინც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გზას დააკვირდება, დაინახავს, რომ თითქმის ყველა ეტაპი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა გამოხატულებას პოულობდა ნოველაში ისევე, როგორც მწერლობის ყველა სხვა ჟანრში. თუ ლ. ქიაჩელი თავისი პირველი რეალისტური ნოველებით ასახავდა საბჭოთა ეპოქის პირველი წლების ადამიანის ფსიქოლოგიას, მათი ჩამოყალიბების პროცესს, ქართული მწერლობის მომდევნო თაობამ ასევე სრულყოფილად გამოხატა შემდეგი ეტაპი ჩვენი ხალხის ცხოვრებისა. ამ მხრივ კ. ლორთქიფანიძის ნოველები ამ დებულების ნათელი დადასტურებაა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „პირველი დედა", „მოგზაური", „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური".

კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ყველაზე უფრო ტიპიურ ნოველად მე მაინც მისი „მოგზაური" მიმაჩნია. ამ ნოველის მთავარი გმირია სოციალისტური მწერლობის ფუძემდებელი მ. გორკი. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ეს მხარბეჭიანი, ტანმაღალი, ნამეხარ მუხასავით გაშავებული უბილეთო მგზავრი, გორის სადგურში რომ ჩამოსვეს. აქ ის მოწმე გახდა სანდრო ხუბულურისა და მისი მეგობრის ჩამოხრჩობისა.

კ. ლორთქიფანიძემ გასაოცარი სიძლიერით გამოხატა სუ-

ლის სიმტკიცისა და ნებისყოფის გოლიათური ძალა საბჭოთა რიგითი ადამიანისა ნოველაში „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური". ეს ერთი უბრწყინვალესი ნაწარმოებია საზოგადოდ. მასში ორიგინალურადაა გახსნილი ხალხური ანდაზა: ხანჯალი თუნდაც ხის იყოს, ოღონდ გულ იყოს რკინისა.

ვასილ ჟიგა, მოხუცი მებადური, ორი შვილის მამა, ერთგული ქმარი, შრომით გახარებული კაცი, ბედნიერად ცხოვრობდა, ეს ბედნიერება დაირღვა. ფაშისტური გერმანიის მიერ დაპყრობილი უკრაინის მიწის სევდა ჟიგას ოჯახმაც გაინაწილა. ჟიგას ცოლი გერმანელების მსხვერპლი გახდა. ორი ვაჟიშვილი ფრონტზეა. მარტო დარჩენილი ჟიგა კი ტყისიერს დამსგავსებია. გერმანელებისაგან გაბოროტებული მზად არის შური იძიოს მტერზე. სწორედ ამ დროს შეხვდა მას საბჭოთა მზვერავი, რომელიც მოხუცმა შეიკედლა და გერმანელების მიერ შენიღბული ქვემეხების საიდუმლოება ამცნო. ამ დროს განგაში ატყდა, ჟიგაცა და მზვერავიც დააპატიმრეს. გერმანელების ბრძანებით ყოველი მეხუთე კაცი უნდა დაეხვრიტათ. რიგით მეხუთე აღმოჩნდა მზვერავი, მაგრამ მას ერთბაშად ადგილს შეუცვლის მოხუცებული და მის მაგივრად კვდება.

ამ ნოველაში ბევრი რამ არის მოთხრობისეული. ვასილ ჟიგას ცხოვრების აღწერით, გმირის ბიოგრაფიული ელემენტებით, ჟიგას შვილების, მისი ცოლის თავგადასავლის შემოტანით. კ. ლორთქიფანიძე „არღვევს" ნოველის ჩვეულებრივ საზღვრებს, მაგრამ უმთავრესი მაინც ფინალია, ნოველისებური ფინალი. გმირის ხასიათის გამოსახვით და ფსიქოლოგიითაც აღნიშნული ნაწარმოები უფრო ნოველაა, ვიდრე მოთხრობა. ეს გარემოებაც იმას ამტკიცებს, თუ როგორ დაირღვა ახალ დროში საზღვრები მოთხრობასა და ნოველას შორის.

ქართულ საბჭოთა პროზაში მცირე ფორმის მოთხრობებს, კერძოდ, ნოველას, ვერ ვიტყვით, მოცულობის მხრივ დიდი ადგილი ჰქონდეს მიკუთვნებული; ჩვენს მწერლობაში კურსი უფრო რომანისკენაა აღებული, საერთოდ, დიდი ტილოებისკენ მიდრეკილებაა დამახასიათებელი. ახლა, როდესაც ვაჯამებთ

განვლილი სახელოვანი 40 წლის გზას ქართული მწერლობისა, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ პროზის მცირე ფორმებს, კერძოდ, ნოველას საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ქართულ პროზაში და ეს საპატიო ადგილი კვლავ რჩება მას.

ამ დებულების საილუსტრაციოდ კიდევ მაგალითებს შევმართოთ.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ დემნა შენგელაია მე-20 საუკუნის ქართულ პროზაში გამოირჩევა წერის თავისებური მანერითა და სტილით. ასევე გამოირჩევა იგი ნოველაშიაც. დ. შენგელაიას „კაც“ ერთ-ერთ საინტერესო და ოსტატურად დაწერილ ნოველად მიგვაჩნია. ნაწარმოების გმირი ანდრია რაშაძე ნამდვილი ნაკაცარია, მენშევიკების დროს გაერთიანებული თვითმმართველობის ყოფილი თავმჯდომარე. წინათ მასთან სათხოვნელად მოსულ გლეხს არავინ უშვებდა, ეხლა რევოლუციამ დარბაზებიდან გამოაბრძანა ეს მენშევიკები. კინწისკვრით გამოაგდეს ანდრია რაშაძეც №-ში რკინიგზის შენობის დიდი დარბაზიდან.

დაბა №-ში ახალი დაწესებულებები გაჩენილა: აღმასკომი, ჭლესკომი, რევოლუციის ტრიბუნალი; კომისრები და პარტიულები დადიან საქმიანად, ცოტას ლაპარაკობენ, ბევრს აკეთებენ... „კერძო ვაჭრები მსუქანი ბაყაყებივით ისხდნენ დუქნების წინ. ამთქნარებდნენ და ოქროების მაგიერ ქარვის კრიალოსანს სთვლიდნენ, ვაჭრობა არ იყო, მუშტარი კოოპერატივმა დაიტაცა. ვაჭრები გულში აგინებდნენ კოოპერატივსა და საბჭოს“... ნაღვლიანი და ფრთებდაქნილი ბრუნდებოდა შინ ანდრია რაშაძე. ასევე ნაღვლიანი არიან მისი თანამოსაგრენი, მისი სულის თანაზიარნი, ყოფილი ადამიანები, ოთარ ბახუსოვიჩი და ადელაიდა თენგიზოვნა. ისინი დედაბრულად ბუზღუნებენ, ჩიფჩიფებენ, იგინებიან და იწყევლებიან. მაგრამ ახალი ცხოვრება თავისი გზით მიდის. ამ ახალმა ცხოვრებამ ძირს დასცა ეს ყოფილი ადამიანები. ახლა ახალი დაბის მეთაური კომუნისტი თაბაგარია. ამას გრძნობს ნაკაცარი რაშაძე: „არა... მე უკვე განვისვენე... მაგრამ ძნელია, მეტად ძნელი, როცა წარსული არ გავიწყდება...

გინდა ისევ იყო... და აი მე არ ვიცი. ვინ ვარ მე... მე არ ვიცი ჩემი დანიშნულება... ნუთუ გათავდა? ნუთუ ჩვენ აღარაფერს ვნიშნავთ? მაშინ იქსი ნულს უდრის და მე არ მინდა... ძნელია ეს, ადელაიდა თენგიზოვნა, ძნელია, როცა შენ იქსი ხარ და ეს იქსი ნულს უდრის. ყოველ ადამიანს რაიმე დანიშნულება აქვს, თუნდაც სტატისტიკისათვის. ეს სიცოცხლის აზრია... მე დავკარგე ეს დანიშნულება... თქვენ იცით, ფსალმუნში წერია: მე მატლ ვარ და არა კაც. მე არ მინდა მატლი ვიყო, მე კაცი მინდა ვიყო, კაცი და არა კაც. თქვენ არ იცით კაცი სახელობითი ბრუნვაა, მე კაც ვარ, მე უსახელო ბრუნვა კაც ვარ. მე ოდესღაც ვიყავი კაცი, ახლა მე კაც ვარ, ანდა უკეთ რომ ვთქვათ, ნაკაცარი... აი... ხომ ხედავთ, ადელაიდა თენგიზოვნა, ხომ ხედავთ?.. დილა მშვიდობისა, ქალბატონო, თქვენ ეს არ იცით და მე ვიცი.. "

გასაოცარი ლაკონიზმით და სიმართლით არის ამ სევდიან მონოლოგში გამოხატული ნაკაცარის ტრაგიკული ფსიქოლოგია. ახალი დროის მეთაური თაბაგარი ბოლოს ცოლსაც ართმევს უიღბლოდ შეყვარებულ ანდრია რაშაძეს. ასე გააშიშვლა მწერალმა ნაკაცარის ფიზიკური და სულიერი სიკვდილი რევოლუციასთან, ახალ დროსთან კონფლიქტში.

ეს მძაფრი პოლიტიკური ნოველაა. ადამიანების ხასიათის გამოსახვა აქ ეფუძნება უაღრესად გამოანგარიშებულ სიტყვიერ მასალას, ყურადღება სიტყვიერ ხატვაზეა გადატანილი. ნოველაში მოყოლის ელემენტი თითქმის გამორიცხულია. ასევე გამორიცხულია მთავარი გმირის ვრცელი ბიოგრაფია, იგი ერთი შტრიხით. ამ ახალთან კონფლიქტის შტრიხით არის ნაჩვენები. ამიტომ მიგვაჩნია ეს ნაწარმოები ტიპიურ ნოველად.

ამავე პრინციპს ეფუძნება დ. შენგელაიას მეორე ნოველა „მორდუ". ხალხს სწამდა, რომ ტოჩი ჯადოსნობის ნიჭით იყო დაჯილდოებული. ამ ყაჩაღს, ონავარ, ღვარძლიან, ბოროტ კაცს ყველა გაურბოდა. ამგვარი ტიპის, ფსიქოლოგიური ტიპის გამოსახვას ემსახურება ყველაფერი ნოველაში. იგი არ არის მრავალპლანიანი: არც დაწვრილებითი მოყოლაა ამბისა, ეს არის სურათი, ძლიერი მხატვრული სურათი ტიპის თუ

ხასიათისა. ამ პრინციპით არა მარტო ადამიანებს ხატავს მწერალი, არამედ მოვლენებსაც, საზოგადოებრივი ცხოვრების სურათსაც. ასეა კერძოდ, ნოველაში „თბილისი". ეს არის სურათების მიხედვით სახე ძველი და ახალი თბილისისა: რევოლუციის მიჯნაზე ძველი თბილისი თავისი სირაჯხანით, ბანიანი სახლებით, ვიწრო ქუჩებით, სიონით, ანჩისხატით, ნედლი ტყავისა და დამარილებული თევზის სუნით. ჰინით შეღებილი თათრები სხედან ყაფაზასავით პატარა დუქნებში, „წითელი ვარდებით მოხატული პატარა ჭიქებით შაქრის მოკვნეტით სვამენ დარიჩინიან ჩაის, სწევენ ნარგილეს და ჰყიდიან: ჰინას, ბასმას, კევს, ყვითელ კოჭს, კაიმაკს, კაკილებს, ძველ პაგონებს და თვალს აყოლებენ აბანოში მიმავალ ქალებს". ამას ცვლის ახალი თბილისის სურათი, თბილისი თეატრებით და კინოებით, ზაჰესის შუქით გაჩირაღდნებული პროსპექტებით, ახალი თბილისი, პოეტური ოცნებითა და ყოფითი მომენტების გამოსახვით, და ასე სურათი სურათს ცვლის, ეტიუდი ეტიუდს, ეს მხატვრული ჩანახატებია, რომელთა შეერთება ქმნის ერთ მთლიან ტილოს. ეს ფერწერითი ოსტატობით გაცოცხლებული ძლიერი ფსიქოლოგიური სურათებია ძველისა და ახლის გაყრისა.

დ. შენგელაიას ეხერხება ასეთი დიდი, ისტორიული გარდატეხის სულიერი ცხოვრების გამოსახვა. იმავე გარემოებასთან გვაქვს საქმე ნოველაში „თებერვალი". მასში მხატვრის დიდი ალღოთი გამოხატულია მენშევიკური ჯარისკაცების გაქცევის, უპატრონოდ მიტოვებული თბილისის, შიშისა და ახლის მოლოდინით გაყუჩებული თბილისი. ეპიზოდს ცვლის ეპიზოდი, რომლებშიც დიდი სულიერი გარდატეხაა გადმოცემული და ყველაფერი ეს შესრულებულია ჭეშმარიტი ფერწერული საშუალებებით. ასევე სურათის მონუმენტურ ნიმუშად მიგვაჩნია დ. შენგელაიას „ოროველა"; ამ პატარა ნოველაში ნაჩვენებია ხვავისა და ბარაქის მკათათვე კახეთში. მოულოდნელი ფინალით უთუოდ ნოველაა „ლაფშაც". აქ აღწერილია თავზეხელაღებული აბრაგის თენგიზ ფაცაციას ავადმყოფური სიყვარული ცხენისადმი. ამას მოსდევს მის

მიერ ბანქოსა და ნარდის თამაშის აზარტული სურათების აღწერა, და ბოლოს—მოპარულ ლაფშაზე წასწრებული თენგიზ ფაცაციას საკუთარი ყელის გამოღადვრის სცენა. სურათებითა და მხატვრული ეპიზოდებით აგებული კომპოზიცია თავისებურ იერს აძლევს დ. შენგელაიას ნოველებს, რაც მისი წერის თავისებურ მანერად მიგვაჩნია. ლაკონიზმით, სიტყვიერი მასალის მომჭირნეობით, გასაოცარი ხატოვანი ფრაზით, ფორმით დიდი გრძნობით დ. შენგელაიას ნოველები ერთგვარად ენათესავებიან ნ. ლორთქიფანიძის ნოველებს.

გეოგრაფიული სამყაროს გარდა ნ. ლორთქიფანიძესთან არაფერი აქვს საერთო სერგო კლდიაშვილს. თუმცა ს. კლდიაშვილი სიტყვიერი მასალის უაღრეს მომჭირნედ გვევლინება პროზაში.

ვინც გონების თვალით დააკვირდება ს. კლდიაშვილის პროზას, დამეთანხმება, რომ მისი წერის სტილი, მხატვრის სტიქია მცირე ფორმებში ვლინდება და თვით რომანებშიაც წერის ეს მანერა შეაქვს მწერალს. ერთი მისი ყველაზე საინტერესო რომანი „მყუდრო სავანე“ ნოველის სტილითაა დაწერილი, ისე როგორც შ. არაგვისპირელის რომანი „გაბზარული გული“. ს. კლდიაშვილის მოთხრობების თუ ნოველების ამბავი ყოველთვის მარტივია, ეპიზოდური, მკაცრად მოკვეთილი და ოსტატურად დამუშავებული, დიალოგები ნათელი და სხარტი, მარტივ კონფლიქტზე აგებული ამბავი საინტერესოა და ერთი ამოსუნთქვით დაწერილი.

ს. კლდიაშვილის ნოველას „ჭინკა ბიჭები“ ქვესათაურად აქვს „ერთი უბნის მოკლე მატიანე“. მართლაც რომ მატიანეა ეს ნოველა, აბესაძეების გვარის მატიანე. მაგრამ მწერალი ამ გვარის გენეოლოგიას, მათი შთამომავლობის აღწერას როდი გვაძლევს. პირიქით, ეს სულ სამგვერდიანი ნოველაა და აბესაძეების გვარის გრძელი სია ერთი აზრის განმარტებას, ერთი განწყობილების გამოხატვას ემსახურება. დიდი ოსტატობით გვიხატავს მწერალი ომისაგან მოტანილი უბედურების სურათს. ამ ნახატის კონკრეტული შინაარსი ისაა, რომ პირველმა მსოფლიო ომმა ერთი ოჯახის შვიდი აბესაძე იმსსვერპლა, (შვიდიდან მხოლოდ ერთი დაბ-

რუნდა, ისიც ხეიბარი), მეორე სამამულო ომმაც—აბესაძეების მომდევნო თაობის კიდევ შვიდი კაცი წაიყვანა. ასეთია ომის მკაცრი კანონი, მაგრამ ომი, სიკვდილი სიცოცხლეს მაინც ვერ სპობს. სიცოცხლე იმარჯვებს სიკვდილზე; ასეთ დასკვნას ამოიკითხავს ამ ნოველის ფინალში მკითხველი. რამდენიმე წლის შემდეგ აბესაძეების უბანში ხუთი მოჩიტული ჭინკა ბიჭი შეხვდა მწერალს: „რალაც უნაზესმა მოგონებამ გაიღვიძა ჩემში უეცრად. გადავუდექ მათ გზაზე და ისე ჩუმად, თითქოს მეშინოდა, ვკითხე:

— ვინა ხართ, ვისი ხართ, ბიჭებო?

გაკვირვებით შემომხედეს უცხოსა და ერთმა, რომელიც სხვებზე უფრო თამამი იყო, პასუხი არ დააყოვნა:

„აბესაძეები ვართ, ეგერ იმ უბნიდან“.

სურათს ეს სიტყვები ოპტიმისტურად მოსავენ, ხოლო მთელი ეს ნახატი შემდეგი სიტყვებით მთავრდება:

„მოწყურებული, ხარბად დავეწაფე წყაროს და ისევ იმ გზით გავბრუნდი. ბროწეულის ყვავილების ცეცხლი მოსდებოდა ორღობეებს. გადამწიფებული ალუჩა მოწითალო მტევნებად ეკიდა ტოტებზე და იქ, სადაც ნაყოფი მიწაზე დაცვენილიყო, მაჭრის მსგავსი ტკბილი სურნელი იდგა. ჩემს ახლოს შაშვი ავარდა ბუჩქიდან და ჭახჭახით გადმოიარა. გარშემო ჭრიჭინების დაუცხრომელი საგალობელი ისმოდა. მზე დაღვრილიყო მთელს გარემოზე“.

ერთი ამოსუნთქვით დაწერილი ეს ნოველა დიდი და ღრმა შინაარსის შემცველია; აქ დიდი სიტყვიერი ეკონომიითა და აზრის დატვირთვით გადმოცემულია მძაფრი ჭიდილი სიკვდილისა და სიცოცხლისა, ომისა და მშვიდობისა. ფურცლავთ ამ სამგვერდიან ნოველას და ასე გგონიათ, დიდი, სქელტანიანი რომანი წავიკითხეთ, ომის სურათებითა და ეპიზოდებით სავსე.

ერთგან ს. კლდიაშვილი შენიშნავს: „თხრობა გაჭიანურდება, თუ რომ ნაცარასა და ხატაურას ცხოვრების თვითეულ დღეს თანმიმდევრობით აღვწერთ, წამკითხველისა და უპირველეს ყოვლისა, მთხრობელისათვის, სასარგებლო იქნება გამოვიჩინოთ მომჭირნეობა“. თხრობის გაჭიანურება სძაგს ს. კლდიაშვილს. მომჭირნეობა, მომჭირნეობა და მომ-

ჭირნეობა სიტყვიერი მასალისა დამახასიათებელია მისი წერის მანერისათვის. ს. კლდიაშვილს, როგორც პროზაიკოსს, ცხოვრების მიერ წამოჭრილი საკითხი უფრო აინტერესებს, ვიდრე თვით ამ ცხოვრების აღწერა, უფრო პრობლემა, ვიდრე სიუჟეტური ხლართი, ნოველისტს თვით პრობლემის არსი აინტერესებს და არა ამ პრობლემის დაწვრილებითი ახსნა-განმარტება. ამ მხრივ საინტერესოა ს. კლდიაშვილის „ნაბოლარა", ამ ნოველაში მეტად მღელვარე პრობლემაა წამოჭრილი.

იორდანე ბუგაშვილს რამდენიმე შვილი ჰყავდა. ერთი ომში დაიღუპა, მეორე გაათხოვა, მესამემ უმაღლესი დაამთავრა და, დიდკაცურად მორთული და მოკაზმული, სოფელს არ ეკარება. ბოლოს ერთი დღით ესტუმრა მამას და ისე გაქრა სოფლიდან, რომ ერთი ღამეც არ გაუთევია მამისეულ ოჯახში. ესაა მთელი ამბავი. იგი მწერალს სჭირდება იმისათვის, რომ მოხუცი კაცის პირით გვამცნოს: „ეს მითხარი, ამ ნასწავლ ხალხს სოფლად არ დაედგომება თუ რავაა საქმე, აქ მათი საქმე არ მოიძებნება, რომ ქალაქ ადგილას გარბიან. ან რომელ წიგნში ამოიკითხეს: 'სახლ-კარი მიატოვე, გადაშენდი, გადაგვარდი, შენიანი დაივიწყე და ბუდეც მოშალეო. კიდევ მადლობა ღმერთს, ყველა ჩემი შვილივით არ არის, ზოგ-ზოგი ვინმე, ვინც აქ დარჩა, ურიგოდ არ ცხოვრობს, ვინც შრომას არ გაექცა, ეგერ შენც ხედავ, ახალი ოდები წამოჭიმეს, წინათ რომ ჭრაქით ყიჟვარტლებოდით, ახლა აქაურობა ელექტრონით არის გაჩაღებული, კარგი საქმეა, მაგრამ ბატონო, ეს ხალხი თუ ჩამოეცალა სოფელს, ვიღას გაუნათოს ელექტრონმა". სოფლის პრობლემა თანამედროვეობის დიდი და მღელვარე საკითხია. მწერალი ამ პრობლემას უტრიალებს, ჩვენს ყურადღებას მასზე ამახვილებს, მაგრამ იგი როდი გვაძლევს დაწვრილებითს ახსნა-განმარტებას იმ გონებრივი შეზღუდულობისა, რომელსაც ზოგიერთი ახალგაზრდა იჩენს: მწერალი გრძნობს, რომ მცირე განმარტება მოგვცა და თვითონ შენიშნავს: „რა თქმა უნდა, აქ საჭიროა მცირედი სამკაულით მაინც ამეკრელებია ამბავი; ბოლოს აღმეწერა თუ როგორ დავემშვიდობე იორდანეს, როგორ თანდათან დაეშვა ბინდი და ცის სიმაღ-

ლეში როგორ აკიაფდნენ ვარსკვლავები". მაგრამ სწორედ ამგვარ დაწვრილებით აღწერას გაურბის მწერალი.

ამავე მანერითაა დაწერილი ს. კლდიაშვილის „შორეული". აქ ჭრელ-ჭრელი ფრაზებით კი არ არის ამბავი მოყოლილი, არამედ ის აზრია გაბატონებული, რომ ყოველ კაცს თავისი დედა ურჩევნია სხვისას, თუნდაც ულამაზო იყოს. ასევე ყოველ ადამიანს თავისი სამშობლო ურჩევნია სხვისას, თუნდაც უფრო სუსხიანი და ყინულიანი იყოს იგი. ამ აზრის „დასამტკიცებლად" მოთხრობილია იმერეთის ერთ სოფელში ჩამოსიძებული უცხოელის ვინარ მიხალაინენცის ამბავი. ორმოცი წელი ცხოვრობდა იმერეთის სოფელში იგი. სამხრეთის ბუნება, ვენახის, ატმის სურნელება ღრმად ჩაებეჭდა მას, და მაშინ როდესაც ცოლი გარდაეცვალა და აღარავინ ამაგრებდა ახლა სხვის მიწაზე, ის თავის სამშობლოში ბრუნდება, თუმცა იქ არც ვენახი ხარობს და არც ლეღვი. ასეთია მიწის ძალა, სამშობლოს ძახილი, რომელიც ადამიანს თავისკენ უხმობს. ეს დიდი და მღელვარე პრობლემა განმარტებულია მცირე ამბის ფონზე. სწორედ წერის ამგვარი მანერაა დამახასიათებელი სერგო კლდიაშვილის ნოველებისათვის.

ხალხში გავრცელებულია ანდაზა: „გადაჩვეულს ნუ მიმაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადამაჩვევო". ეს ანდაზა შეიძლება წარვუმძღვაროთ ს. კლდიაშვილის ნოველას — „შეშოდგომის წვიმა"; გადასაწვიმებლად შემოსული მოხუცი მათხოვარი გაათბეს, გააძღეს, დააბინავეს და მოუარეს. ეს უჩვეულო მდგომარეობა ისე მოეწონა მოხუც მათხოვარს, რომ სახლიდან არ მიდის და ბოლოს თითქმის ძალით გაისტუმრეს იგი. უხმო, მოხუც მათხოვარს მხოლოდ ესღა აღმოხდა: „მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო, ღმერთი სიკეთით გადაგიხდის..." ისევ მდაბლად დაუკრა თავი და მერე ამოოხვრით დაუმატა: „შენი კარგად ყოფნით, ნეტავი მართლაც არ გაგეთბე..." და ამ მრავალწერტილის აზრი მკითხველისათვის ყოველგვარი კომენტარის გარეშე ნათელია. სადად, დიდი პოეტური ხილვით, მოკვეთილად გადმოცემა ერთი ეპიზოდისა, თუ ერთი სულიერი განწყობილე-

ბისა, ნიშანდობლიეია ს. კლდიაშვილის წერის მანერისათვის.

როგორც უკვე ვთქვით, სერგო კლდიაშვილი ტიპიური ნოველისტია. მაგრამ ასეთ ტიპიურ ნოველისტსაც კი ძლიერად შემოეპარა მოთხრობის ნორმები და ელემენტები. კლასიკური ნოველის საზღვარი მანაც ვერ დაიცვა. ასეა კერძოდ მისი უმშვენიერესი მოთხრობების ციკლში, რომელსაც „სვანური მოთხრობები“ ეწოდება. ამ ციკლის მოთხრობებიდან შემდეგ ს. კლდიაშვილმა რამდენიმე ნაწარმოები ნოველების კრებულში გადაიტანა. ეს ფაქტი მიგვითითებს, რომ თვითონ ავტორიც გრძნობდა, ეს ნაწარმოებები ნოველისა და მოთხრობის მიჯნაზე იდგა.

ნოველის საფუძვლად პრობლემის გამოყენება დამახასიათებელია აკ. ბელიაშვილისათვისაც. ისეთი ნოველები, როგორიცაა „ამბავი რუსთაველისა“, „ციალა“, „შეხვედრა“ ამ მხრივ იპყრობენ ჩვენს ყურადღებას. ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანს“, ამ უბრწყინვალეს ქართულ რომანს, ბრძოლა გამოუცხადა ეკლესიამ და უწმინდური წიგნების რიცხვში ჩარიცხა. ეს საკითხი აქვს აღებული აკ. ბელიაშვილს თემად ნოველაში „ამბავი რუსთაველისა“. აქ აღწერილია, თუ როგორ ამოხია „ქართლის ცხოვრებიდან“, კათალიკოსის მეთაურობით, მღვდელთმსახურების კრებამ ის ადგილი, სადაც რუსთაველის ვინაობა და ღვაწლი იყო აღწერილი. მტკვარში გადაყრილი ეს დაშლილი ამოხეული ქაღალდები მეტივეებმა გადაარჩინეს, თვითონ არ იცოდნენ წერა-კითხვა და ხუცესს წააკითხეს. მან კი ცეცხლს შეუკეთა მეტივეების მიერ გადარჩენილი ფურცლები.

ავტორი ამ ნაწარმოებს თვითონ უწოდებს ნოველას და მართლაც ნოველაა იგი. აქ მოტივი, საკითხი, პრობლემა რუსთაველის დევნისა ეპიზოდური ამბის მიხედვითაა მოთხრობილი.

ამბის ამგვარი მოტივირებაა დამახასიათებელი ა. ბელიაშვილის მეორე ნოველისათვისაც, რომელსაც „ციალა“ ჰქვია. ფარსადანი, ცხრა ქალიშვილის მამა, ახლა გატენილი თოფით ის მახარობელს ელოდება, ასეთი მოლოდინი ჰქონდა

მას პირველი ქალიშვილის შემდეგ ყოველთვის, მაგრამ ცხრაჯერ უმტყუნა ბედმა. ახლაც ბებიაქალმა ქალიშვილის დაბადება აუწყა. გულდამწუხრებული კაცი თოფს გადაადგებს და ისევ იმეორებს მის საყვარელ ფრაზას: „პიანინოს გავატან მზითვად, კი, ბატონო, კი პიანინოს, მანამდე არ ადგა მათი გვერდები. რა ღვთის რისხვაა ამ ჩემს თავს, ქე მაინც ვიცოდე“.

პიანინო ფარსადანს ენახა ზურაბ აბაშიძის სახლში, როდესაც ის ყმა იყო აბაშიძეებისა. გავიდა დრო და მოხდა სასწაული, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში უმაღლეს განათლებამიღებული ეს მეათე ქალიშვილი ციალა მართლაც პიანინოს შემოიტანს ფარსადანის ოჯახში. ამ დეტალის მიხედვითაა ნაჩვენები, თუ როგორ შესცვალა რევოლუციამ ღარიბი გლეხკაცის ბედი. ასეთი მარტივი ეპიზოდით რთულ პრობლემას ნათელს ხდის ნოველისტი.

სხვა ხასიათისაა ა. ბელიაშვილის „შეხვედრა“. მენშევიკების დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს მენშევიკი აგიტატორის მიერ სასაცილოდ აგდებულ გლეხს სარიდანს ოცი წლის შემდეგ საბჭოთა პარლამენტის დეპუტატად ასახელებენ. სარიდანი ამომრჩევლებს უყვება ოცი წლის წინანდელ, მენშევიკების არჩევნების ამბავს, იმის შიშით, რომ არ შეამჩნიონ, ყოფილი მენშევიკი აგიტატორი, კოსტა კრებიდან ჩუმად გაიპარება. ეს სატირული ხასიათის ნოველა პოლიტიკური ფელეტონის ნიმუშია.

საკითხის პრობლემატური დაყენებაა ნოველაში „სიხარული“. ინათებდა თუ არა, ქიტესა მაშინვე ფეხზე იდგა, და სანამ ბრიგადირი ჩამოივლიდა, ის უკვე ათას საქმეს ასწრებდა. აქ საბძლის მორებს გარანდავდა, იქ რიყის ქვებს მოზიდავდა, სასაპნე რქას გათლიდა, ცულს ტარს დაუგებდა და ვინ მოსთვლის, კიდევ რას არ გააკეთებდა. მერე მიდიოდა ყანაში სამუშაოდ და აბა რომელი დაუდგებოდა წინ! მაგრამ ერთი რამ აწუხებდა ქიტესას. რამდენადაც, ქიტესა მშრომელი იყო, იმდენად მისი შვილი თედო ზარმაცი და უქნარა გამოდგა. ვერაფრით უშველა მას და აი იგი

ჯარში გაიწვიეს.. ჯარმა შრომა შეაყვარა, კაცად აქცია. და როდესაც კოლექტივის ტრაქტორი შეაკეთა, ყველა განცვიფრებაში მოიყვანა შეებულებიდან დაბრუნებულმა თედომ.

ბელიაშვილის ნოველებში ამბავი ხშირად ანეკდოტს ეფუძნება. კლასიკური ნოველებისათვის იყო დამახასიათებელი ანეკდოტურ ამბავთა გათამაშება. ა. ბელიაშვილი აქ უთუოდ კლასიკური ნოველის ფარგლებში რჩება. ამ მხრივ საინტერესოა „კალისტროს გასაჭირი", „წუწკი", „ანაფორა", „ტურისტი მთაში".

მურაბის ქარხნის უხეირო დირექტორი კალისტრო უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის საქმეს; ქარხანა უხარისხო მურაბებს უშვებს; ერთ საპასუხისმგებლო ადგილას დირექტორს მისი ქარხნის მურაბას გაუხსნიან და უბრძანებენ შეჭამოს. მურაბაში ხოჭოა, ამას დირექტორი შიშით ვერ ამხელს და იძულებულია გადაყლაპოს ხოჭოიანი მურაბა. იაფფასიანი ანეკდოტი უძევს საფუძვლად მის მეორე ნოველასაც „წუწკი". ვიღაც ბუღალტერი თეატრში ლამაზ ქალს გადაეყრება და აი, იგი არ იშურებს ძალასა და ღონეს, რათა ხელთ იგდოს ქალი. მოირთვება, მოიკაზმება, ნაირ-ნაირ ოდეკოლონს ისხურებს, ამისათვის მას ჯამაგირი არ ჰყოფნის და ფლანგავს სახელმწიფო ფულს. ბოლოს ეს ლამაზი ქალი მასთან გამოცხადდება, როგორც რევიზორი, და თავისი ლამაზი ხელით პროკურორთან გასაგზავნ საბრალმდებლო ოქმს ხელს აწერს.

„ანაფორაში" მოთხრობილია იმერეთიდან თბილისში ანაფორის შესაკერად ჩამოსული ხუცესის, ქსენოფანტეს ამბავი. ქსენოფანტემ მთელი თბილისი შემოიარა, ყველა მკერავს მიაკითხა, მაგრამ ვერსად შეაკერია ანაფორა, ყველას გადაუვიწყნია ან უსიამოვნო საქმედ მიუჩნევია ანაფორის შეკერვა. დაღონებული ხუცესი ბრუნდება თავის სოფელში, მატარებელში დაეკარგა ეს საანაფორო ქსოვილი. მგზავრები კი ასეთ ანეკდოტს ყვებიან: ერთხელ თურმე მოლას ანაფორა მოპარეს, „მადლობა ალახს, მადლობა ალახს, — იძახდა მოლა. კითხეს: „ბიჭო, ანაფორა მოგპარეს

და ღვერძის მადლობას რაღ უსდიო". კიდევ კარგი, რომ ტანზე არ მეცვა თორემ მეც მომიპარავდნენო, — უთხრა თურმე ბოლამ". სწორედ ამ დროს შესვეული ფუთა მოართვეს ხუცესს, რომელშიაც საანაფორო მატერია იყო გამოხვეული.

ასეთივე სურათია ნოველაში „ტურისტი მთაში". ხევსურეთის დასათვალიერებლად ჩასული მთასვლელი გიორგი, გადაეყრება სევსურ მგელიკას, რომელსაც შინ მიჰყავს ეს მოკზაური. პატივს სცემენ სტუმარს, დააწვენენ, ღამე ქალიშვილი აგუნდაი ჩაუწვება სტუმარს. ეს ვნებისაგან გახელებული ქალი კოცნის, რკინის სალტესავით შემოეკვრება მამაკაცს. სულგანაბული და დამფრთხალი ტურისტი ხმას არ იღებს, გახელებულ ქალს ერთი ფრაზა აღმოხდება: „შენ კაცობა არა გაქვსო"? და ლოგინიდან გავარდება. მეორე დილით შეშინებული და დამფრთხალი ტურისტი ადრე გაიპარება სევსურის ოჯახიდან.

როგორც ვნახეთ, აკ. ბელიაშვილისათვის ნიშნეულია სეტიოზულისა და ანეკდოტურის, მარტივისა და რთულის, ფელეტონური და იუმორისტული დეტალების ნოველისებური დამუშავება. ამ ნოველების ფინალი ყოველთვის მოულოდნელია.

წერის თავისებური მანერით, მხატვრული ხერხით ყურადღებას იმსახურებს ან. ლომიძის მცირე ფორმის პროზაული ნაწარმოებები.

ანდრო ლომიძის ნოველებისათვის დამახასიათებელია სადღეისო საკითხის დასმა. ამ მხრივ საინტერესოა ნოველა „განაჩენი": თეიმურაზს ახალგაზრდა ექიმი ქალი ნუნუ უყვარს. ნუნუც არ არის გულცივი თეიმურაზის მიმართ. მაგრამ მაინც ვერ გადაუწყვეტია გაჰყვეს მას, რადგან თეიმურაზი ხშირად თვრებოდა და ლოთი კაცის გამოსწორებაში ქალი არ იყო დარწმუნებული. ამ დროს ალიმენტის გადახდის შესახებ ოდესიდან სასამართლოს განაჩენი მოსდის თეიმურაზს. ეს გაუგებრობაა. გაუგებრობა რომ გაარკვიოს, თეიმურაზი ოდესაში მიდის და როცა იგი მომჩივანი ქალის პირისპირ წააყენეს, ქალმა სთქვა, ეს კაცი არსად მინახავსო,

ირკვევა: მორიგი ლოთობის დროს თეიმურაზის დაკარგული საბუთი სხვას გამოუყენებია. ამ დავიდარაბაში ნუნუ სხვას გაჰყვება. ასე ისჯება ლოთობას აყოლილი კაცი. ამ ნაწარმოებს ნოველის ერთი მეტად დამახასიათებელი მხარე აქვს. ესაა ალიმენტის ამბავი მოულოდნელი ფინალით.

ანდრო ლომიძის ნოველების გმირები მეტწილად მეზღვაურები არიან, მეზღვაურები თავიანთი ინტიმური ცხოვრებით; ზღვა, ზღვისპირა პეიზაჟი, ბარის ბუნება, კატერი, ნავი თუ გემი დამახასიათებელი სპეციფიკითაა და ინვენტარით საინტერესოდ შემოაქვს მწერალს ნოველებში.

ანდრო ლომიძის მცირე ფორმის მოთხრობები ბევრ შემთხვევაში წარმოადგენენ თავისებურ ეტიუდებს. გმირების ცხოვრება დახატულია აქ მათი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდებით. ეს ეპიზოდები ხშირად თითო აბზაცისაგან, ან რამდენიმე ფრაზისაგან შედგება. და ასე იქმნება ეპიზოდების თუ ეტიუდების კრებული — ნოველა. ამის საინტერესო ილუსტრაციას წარმოადგენს „მამა“, მოხუცი კაპიტანი“ და „ორმოცდაათი წელი“.

მეზღვაური, უმცროსი ლეიტენანტი ლომჯარია მამის საქმეს აგრძელებს (ნოველა „მამა“). განუზომლად უყვარს მას მშრომელი, აღმზრდელი მამა. დიდი ლირიკული სითბოთი არის ნაჩვენები ეს სიყვარული მამა-შვილისა, მამისადმი თაყვანისცემა უკავშირდება სამშობლო მიწის სიყვარულს. ასე ეძლევა ამ ინტიმურ ეტიუდს პატრიოტული ხასიათი.

„მოხუც კაპიტანში“ — დახატულია კაპიტან გოგიტიძის რაინდული, ვაჟკაცური საქციელი ისე, რომ აქ მოხუცი კაპიტანის ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდია შემოტანილი. ეს ეპიზოდები რამდენიმე სიტყვით თუ ფრაზით არის გადმოცემული. ცხრაას ხუთში კაპიტანს საზღვარგარეთიდან ფარულად შემოჰქონდა იარაღი და მუშებს ურიგებდა. ერთხელ მეფის ძაღლებმა ეჭვი აიღეს თურმე და დაედევნენ. კაპიტანი რომ ვერ შეიპყრეს, გაცოფებულებმა მის შვილზე, ბიძინაზე იყარეს ჯავრი. უწამებიათ და ისე მოუკლავთ. კაპიტნის ცოლი მაშინვე გარდაიცვალა. აი, ასე, რამდენიმე ფრაზით გვაძლევს ა. ლომიძე ვრცელი ბიოგრაფიის ნაცვლად

გმირის ცხოვრების ეტიუდებს. ხოლო რაც შეეხება „მე და მამა“ და „ორმოცდაათი წელი“, ეს თავისებური ორი ეტიუდი უფრო ლირიკული აღსარებაა თუ მონოლოგი, საინტერესოდ დაწერილი. ამგვარი ფორმა მონოლოგისა თუ ლირიკული აღსარებისა ხშირად გვხვდება ანდრო ლომიძის ეტიუდებში.

გიორგი ნატროშვილი უმთავრესად მოთხრობების ავტორია, მაგრამ პროზაში მან შემოიტანა ისეთი თავისებური სიზუსტე აზრისა და ლაკონური გამოხატვა სათქმელისა, რომ ამ მხრივ იგი უთუოდ ნოველას დაესესხა, როგორც ოსტატი. ამავე დროს გ. ნატროშვილმა წერის ამგვარ ფორმას პუბლიცისტური სიმძაფრე მისცა. ამ ტენდენციურ სიმძაფრეში კარგად ვლინდება ჩვენი დროის კაცის ფსიქოლოგია, განწყობილება და ხასიათი. ყველაფერ ამას აღწევს მწერალი იმის მეოხებით, რომ ადამიანებს, სურათებს, მოვლენებს, მეტწილად დიდი ოპტიმიზმით ანათებს. სიცოცხლის დიდი სიხარულით სუნთქავს მწერლის მიერ დახატული ყოველი მოვლენა, ყოველი ეპიზოდი, ადამიანი თუ ბუნება. მისი მოთხრობების გვირგვინი ცხოვრებით კმაყოფილი კაცია, გახარებული დიდი თუ პატარა საქმით, პატარა თუ დიდი საფიქრელით. ასეა, კერძოდ, იმ ნაწარმოებებში, რომელსაც მწერალმა „უდარდელი კაცის სიკვდილი“ უწოდა. ამ მოთხრობის პირველივე სიტყვიდან ბოლომდის მკითხველი ცხოვრების დიდი ოპტიმიზმით სუნთქავს:

„მომხიბვლელი გაზაფხული იცის გედიქის ხევმა: მიწა ღონივრად რომ გაიზმორებს და გაიღვიძებს, შიშველ, მუქ წაბლისფერ სერებსა და ფერდობებზე ბაცი ალისფერი ენძელა და ყოჩივარდა რომ ამოვლენ, მაშინ იმ ფერდობებში ჯერ სადღაც შორიდან, ტყიდან დაიძახებს ოფოფი, უეცრად ახლოს გამოჩნდება, საქონლის საყართან, ერთი ორჯერ დაჭკრავს გრძელ ნისკარტს მიწას, მერე აფრინდება და გაშლის თავის ნარინჯისფერ ქოჩორს.

სახლების სახურავებზე ბელურები გაცხარებით ჩხუბობენ, კაჭკაჭები დაუსვენებლად დაფრინავენ, ბუდისთვის ადგილს ეძებენ, ატირებული ბავშვივით ბღავიან ხბოები,

ჭისვინებენ პატარა კვიცები. ვარდისფრად ჰყვავიან ატმები და ყველაფერს ამას გაზაფხული ეწოდება“.

ბუნების ამ საზეიმო სურათს, სიცოცხლის ამ დიდ სუნთქვას ასეთი ეპიზოდი მოსდევს:

„მაგრამ არაფერს ისე არ უხდება ის გაზაფხული, როგორც იმ წითელ კრამიტიან სახლებს ხეობაში, გზისპირებზე გაშენებულ სოფლებში რომ შეგხვდებათ. ბევრი სოფელია ამ ხევზე და ის სახლები შორიშორს არიან ერთიმეორისაგან, მაგრამ ღვიძლ დებსა ჰგვანან, ერთი მამის შვილებს, სხვადასხვა სოფლებში გათხოვილებს. მათ ერთნაირი ფერი აქვთ, ერთნაირი ფაქიზნი არიან, ძალზე უბრალოხი, მაგრამ შნოიანი... ეტყობა ამ სახლებს, რომ ისინი ვიღაცას გულლაღსა და გულმხურვალე კაცს უშენებია. სიცოცხლეზე დახარბებული რომ ყოფილა, ზაფხულში ლურჯი გრილო რომ ყვარებია და ცისფერი აივნებიც ალაზნის ველიდან წამოსული ნიავწანწალასათვის პირდაპირ შუბლი შეუგებია“. ბუნების ზეიმს, სოფლის ამ სილამაზეს, ლაზათსა და ეშხს ცხოვრებით გახარებული კაცის მარჯვენა აძლევს.

ადამიანია გვირგვინი სიცოცხლის, ბუნების...

სიცოცხლეს დახარბებული კაცი, თავისი კვიმატი სიტყვითაც, ხუმრობითაც და ლაღობითაც, ხარივით მუშაობითაც — უყვართ სოფელში. ამავე სიყვარულით შეარქვეს მას უდარდელი თუ უბერებელი კაცის სახელი. კალატოზი მიხო ტიპიურია ჩვენი სოფლისა და ქალაქისათვის. მაგრამ მწერალმა იცის, რომ სიხარულსაც, სიცოცხლის ზეიმსაც, ყველაფერს ამ ქვეყანაზე თავისი ბოლო აქვს. კალატოზ კაცს, ოსტატ მიხასაც ბოლოს და ბოლოს დარდი ეწვია: ჯერ ცოლი მოუკვდა, შემდეგ თვითონაც დაბერდა, ქალაქად გადავიდა და შვილიშვილებში ერთხელ კიდევ გაიხარა, შემდეგ ისევ თავის საყვარელ სოფელს დაუბრუნდა და ამ გზაზე ავტომანქანის კატასტროფის მსხვერპლი გახდა. ასე დაამთავრა მოხუცმა კალატოზმა თავისი ცხოვრება, მაგრამ ამ ქვეყნიდან უფრო გახარებული გულით წავიდა, ვიდრე დარდით და სევდით გულგამოქმული. როცა მისი კუბო მიჰქონდათ, მას წინ მიუძღოდა მისი შვილიშვილის მიერ დახა-

ტული სურათი; სურათზე გახარებული და მოღიმარი მიხო ქლიავით ხელში თავისებური სიმბოლოა სიცოცხლის უკვდავების, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების. ნოველის მანერით შესრულებული ეს ფინალი ფრიად საინტერესოა არა მარტო ფორმის თვალსაზრისით, არამედ მასში გამოხატული ოპტიმისტური შინაარსითაც. ამგვარი ოპტიმისტური ხილვა ადამიანებისა და მოვლენებისა დამახასიათებელია ნატროშვილისათვის. ასეთივე განწყობილებით გვიხატავს ის ადამიანებსა და მოვლენებს ნოველაში—„ნიშნობა".

ეს ოპტიმისტური განწყობილება კაცისა ყოველთვის როდია გამხელილი, ბევრ შემთხვევაში ვერ გამოუთქვამთ, სიტყვით ვერ გამოუხატავთ ეს გრძნობა სიცოცხლით ვახარებულ ადამიანებს. ასეა ეს ამ შემთხვევაში („ნიშნობა"). აი, ალაზანზე კამეჩის ფერმაში მომუშავე ზაქრო, ზაქების მომვლელი, ზაქივით გულუბრყვილო, უთქმელი და გულკეთილი. იგი ვერ ახერხებს სიყვარულისაგან დამწვარი გულის საიდუმლო ჯერ სატრფოს, ნატოს, და შემდეგ მის მშობლებს გაუმხილოს. მაგრამ ამ უთქმელობაში დიდი სიხარული და ოპტიმიზმი იმალება, ცხოვრების ზეიმი, სიცოცხლის ზეიმი, იხატება. ვინც ჩვენს მიერ დასახელებულ ამ ორ ნაწარმოებს დააკვირდება, ადვილად დაგვეთანხმება, რომ ხასიათების გამოძერწვის მანერით, ადამიანების ცხოვრების დახასიათებითაც ეს ნაწარმოებები უფრო ნოველებია, ვიდრე ტიპიური მოთხრობები.

თანამედროვე ცხოვრების გაშოხატვის თავისებური პათოსი გააჩნია მწერალ ბორის ჩხეიძეს. მართალია, ბორის ჩხეიძის შემოქმედებაში რომანები სჭარბობენ მცირე ფორმის მოთხრობებს, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ბ. ჩხეიძე უფრო ძლიერია მცირე ფორმების ნაწარმოებში. თუმცა იგი ყოველთვის ნოველისტისათვის საჭირო ენობრივ სიზუსტეს არ იჩენს. მწერალი თავის სათქმელს მაინც უფრო ნათლად და ემოციურად ნოველებში გვიხატავს. ასეა, კერძოდ, ნოველაში „ხოხბის წყაროსთან". აქ მეტად საინტერესოდაა ნაჩვენები სოფლისა და ქალაქის ურთიერთობა, მოსწავლე თუ ნასწავლი ახალგაზრდობის დამოკიდებულება სოფელთან. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული

ახალგაზრდა აგრონომი მარინე სანებლიძე სოფლისაკენ მიემგზავრება სამუშაოდ. მაგრამ თავისი გარეგნობითა და მოდური ჩაცმულობით ის ჯერ კიდევ ავტობუსში, მგზავრებს შორის, ეშვს იწვევს: გულწრფელად აურჩევია თუ არა მას გზა სოფლისაკენ.

„მარინეს გარეგნობას არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიეპყრო, ის ტანად მაღალი, შოლტა ქალი იყო, მზესავით თეთრ სახეზე გიშერივით შავი თვალწარბი ჰქონდა, უკან გადავარცხნილი ხშირი, შავი, ოსტატურად დაწნილი თმა, სუროსაგან დაგრეხილ გირლიანდებივით ედო ძალუმ და მოხდენილ ბეჭებზე. ტანთ ემოსა სპორტსმენულად შეკერილი მოყვითალო აბრეშუმის კაბა-პიჯაკი. წერწეტა წვივებს, პატარა ფეხებს უმშვენებდნენ ნეილონის ჩულქები და რბილი ტყავის სარკესავით გაპრიალებული ფეხსაცმელები. მარცხენა ხელში ეჭირა თეთრი ძვლის სახელურიანი ლურჯწითელი ზოლებით დასერილი ქრლგა, რომლითაც მზის გახურებული სხივების შემოტევას იგერიებდა“.

ქალაქის პროსპექტზე მოსეირნე ქალიშვილის მსგავსად მორთულ მარინეს ალმაცერად უყურებენ სოფელში. მათ ბევრი უნახავთ ასე ლამაზად ჩაცმული, ტუჩებ და ფრჩხილებ შეღებილი ქალიშვილები, რომელთა გულს ახლო არ გაჰკარებია ხნულის სურნელება, ვენახისა, თუ ზვრების რომანტიკა. ისინი რამდენიმე დღის შემდეგ ასევე უკან გაქცეულან ქალაქში. მაგრამ მარინე სხვა აღმოჩნდა, იგი დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდებს ხელს თავის პროფესიას, აგრონომობას და ყველა სკეპტიკოსის ვარაუდს აბათილებს.

სოფლელების განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ეს ნაზი ასული უთენია ადგა, საკოლმეურნეო მინდვრებს მიაშურა და თვით ყველაზე უფრო გამოცდილ გლეხებს აჯობა თავისი დაკვირვებით. მარინე დიდის აღფრთოვანებით იწყებს ზვრების გაშენებას ხოხბის წყაროსთან. ამ ახალგაზრდა ქალიშვილის მოქმედებას, მის დამოკიდებულებას ადამიანებისადმი, საქმისადმი, შრომისადმი — მწერალი ხატავს დიდის ბუნებრიობით. ამ ენთუზიასტი ქალის ხასიათი და განწყობილება გამოხატულია მისი ვრცელი ბიოგრაფიის გარეშე, მწერალი მხოლოდ ერთი ფრაზით

ვმაყოფილდება, რომ მამამისი ნათმარი, ამ სოფლის კოლშეურნეობის თავმჯდომარის მეგობარი კაცი იყოო. ხოლო თვით მარინეს შესახებ მწერალი მარტო იმას გვატყობინებს, რაც მის პირველ გამოჩენას შეეხება სოფელში, არ მისდევს გმირის დაწვრილებითი ბიოგრაფიის მოყოლის ხერხს. ამიტომ ეს ნაწარმოები ისევე, როგორც მისი „თამალოელი ბრიგადირი“. ჩვენ უფრო ნოველად მიგვაჩნია, ვიდრე მოთხრობად.

საერთოდ ცნობილია, რომ ნოველები და მოთხრობები ერთი მეორისაგან განსხვავდებიან მოტივირების დოზით; მოტივირება, ახსნა-განმარტება ნოველასაც სჭირდება ისე, როგორც მოთხრობას, მაგრამ ნოველაში მეტ შემთხვევაში მოტივირება მოცემულია მზამზარეული სახით და არ წარმოებს მისი გაშლა, ახსნა-განმარტება; ნოველაში მოტივირების ურთიერთდაკავშირება და გაშლა გამორიცხულია. ნოველაში აღებული ერთი ეპიზოდი გმირის ცხოვრებისა, თუ ერთი მომენტი მოვლენისა, მოტივირებათა მკაცრ ლოგიკას არ მოითხოვს.

აკაკი გაწერელია, ისევე როგორც გ. ნატროშვილი, პროზაში მწერლობის სხვა დარგიდან მოვიდა. მოვიდაო, ვამბობთ, თუმცა ვგრძნობთ, რომ ეს ტერმინი მთლად ზუსტი არ არის. ჯერ ერთი, ზუსტი არ არის იმიტომ, რომ ა. გაწერელია თავიდანვე იყო გატაცებული პროზით და მისი ყრმობის პერიოდის პროზაული ნიმუშებიც ჩვენთვის ცნობილია. მეორეც ის, რომ კრიტიკაც ასევე მწერლობის დარგია. ვინც ა. გაწერელიას კრიტიკულ წერილებს იცნობს,—დამეთანხმება, რომ ამ წერილებში ისევე ჭეშმარიტი მწერალი მეტყველებს, როგორც ნოველების იმ კრებულში, რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა, და მაინც ეს კრებული აღმოჩენაა, აღმოჩენა ნიჭიერი ნოველისტისა.

გაწერელიას ნოველების კრებული ყურადღებას იპყრობს მწერლის ფართო დიაპაზონით, ხატოვანი ენით, გამოთქმის სიზუსტით. საილუსტრაციოდ ავიღოთ „მხატვრის ნაამბობი“. მეტყველების კონდენსირებული ფორმით, სიუჟეტის სიმარტივითა და მოულოდნელი ფინალით ეს საინტერესო ნოველაა, კლასიკური ნოველის კვალზე დაწერილი და შექმნილი. აქ ნაჩვენებია ერთი მომენტი მხატვრის

ცხოვრებისა, რომელიც მთელი სისრულით გვამცნობს მის პროფესიონალურ სულისკვეთებას. მხატვარმა ვერ მიაგნო, ვერ იპოვა საჭირო შტრიხი თითქმის დამთავრებული სურათისათვის. ერთ საღამოს სეირნობიდან დაბრუნებულს ბოშა ქალი შეხვდა ბავშვითა და კარტით ხელში. იგი მხატვარმა შინ შეიპატიჟა, გაუმასპინძლდა, პატივი სცა და მის ცნობიერებაში ერთბაშად აღსდგა ბოშა ქალი თამარი, მისი ძველი ნაცნობი. როდესაც მხატვარი მეორე ოთახში გავიდა, ბოშა ქალმა მოასწრო მოეპარა მისთვის ვერცხლის ფიალა და კოვზი. ხოლო როცა მხატვარმა მეორედ დააპირა გასვლა ოთახიდან, კივილის მსგავსი ძახილი შემოესმა:

„— არ წახველი, არ წახველი!..

შეკტრიალდი. უზომოდ გამაოცა თამარის ფართოდ გახელილმა და შეძრწუნებულმა თვალებმა. თანაც როგორ დამაბრმავებლად კიაფობდნენ ისინი! ახლა ჩემს წინაშე ისევ ის, ძველი თამარი იდგა! მისი თვალების გუგებში თითქოს იხატებოდა ღამეები, ტაატით მიმავალი ურდოები ბოშებისა, მესმოდა მათი გრძელი შოლტების ტლაშუნი, სევდიანი კილო მონოტონური სიმღერებისა“.

შემდეგ ბოშა ქალმა თვითონვე ამოალაგა მოპარული ვერცხლის პატარა ფიალა და კოვზი, პატრონს დაუბრუნა და უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან. მთელ ამ ამბავს ასეთი ფინალი მოსდევს: „იმ ღამით მივაგენი შტრიხს, რომელსაც დიდხანს ქვეშეცნეულად ვეძებდი ჩემი სურათისათვის“.

ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩვენთვის ნათელია, რომ საჭირო შტრიხი მხატვარს ბოშა ქალმა აპოვნინა, მისმა ფართოდ გახელილმა შემკრთალმა თვალებმა. ეს აღგზნება კი ბოშა ქალში მხატვრის კეთილმა მოქმედებამ გამოიწვია. ა. გაწერელიას ნოველა ჩვენს ყურადღებას იმსახურებს თავისებური სიახლით. ეს არის გემოვნებითა და ლიტერატურული ალღოთი დაწერილი ნაწარმოები. მწერლის ფანტაზია ზომიერების მკაცრ კანონებშია მოქცეული. ჩანს, რომ ავტორი იცნობს ნოველის პოეტიკის კანონებს და მას ბუნებრივად უფარდებს სათქმელს. ყოველი ფრაზა აქ თავის ადგილზეა, ვერ იპოვით ვერც ერთ ყალბსა და ზედმეტ ადგილს. ჩვენ ა. გაწერელიას ერთ ნოველაზე შევჩერდით მხოლოდ.

არ არის ადგილი, თორემ კრებულის სხვა ნოველების („ამ-ბოხი", „საბედისწერო შემთხვევა") გარჩევაც კვლავ დაადასტურებდა უკვე თქმულს. რომ ა. გაწერელია ნოველებში დიდ ლიტერატურულ გემოვნებასა და ნოველის ჟანრის უტყუარ გაგებას იჩენს. რასაკვირველია, ნოველაში მაინც უმთავრესია ხასიათის შექმნა. ამ მხრივაც ყურადღებას იპყრობს ა. გაწერელიას ნოველები. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს „ამბოხი". პატიოსანი სახელისათვის თავშეწირული ქართველი ქალია მასში დახატული დარეჯანის სახით. იგი ერთი დასამახსოვრებელი ლიტერატურული სახეთაგანია.

გიორგი შატბერაშვილი უმთავრეს შემთხვევაში, სიუჟეტის შესანიშნავ ოსტატად გვევლინება. სწორედ სიუჟეტის აგების ორიგინალური ხერხებით ბრწყინავს მისი ერთი საუკეთესო ბოლოდროინდელი მოთხრობა „მკვდრის მზე". მაგრამ არ იქნებოდა სამართლიანი, არ შეგვენიშნა, რომ მოთხრობების ეს ნიჭიერი ოსტატი ბევრ შემთხვევაში დასესხებია ნოველის ფორმასაც. ამის ნიმუშია გ. შატბერაშვილის „ხექალა". ეს უფრო ნოველაა, ვიდრე მოთხრობა, თუმცა თვით ავტორი მას მოთხრობას უწოდებს. საქმე ის არის, რომ გ. შატბერაშვილს ამ ნაწარმოებში ნაკლებად აინტერესებს გმირების თავგადასავალი, მათი ცხოვრების აღწერა, მკითხველის ყურადღება მას უფრო გმირების საქციელსა და მოქმედების ერთ გარკვეულ სულისკვეთებაზე გადააქვს.

აქ დახატულია ჩვეულებრივი სამკუთხედი. გამრჯე, თავისებური ოთარაანთ ქვრივი—დარე, რომელიც გაზეთის რედაქტორად აურჩევიათ, უქნარობისა და სიზარმაცის მტერია. ეს ახალგაზრდა ქალი შეუყვარდა ამავე კოლმეურნეობის მოანგარიშეს, ნაომარ ვაჟკაცს, გიგას. სწორედ ამ დროს სოფელში გამოჩნდება კომბაინერი, კახელი მიტო თანდიშვილი. ეს ბრგე, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, სახელოვანი მშრომელი, რომელსაც ერთ დღეს ბენზინი შემოაკლდა, მხართეძოზე წამოწოლილი ფოტოაპარატით გადაიღო დარემ და სურათი კედლის გაზეთში მოათავსა. დარესა და მიტოს შეხვედრამ მათ სიყვარულს საფუძველი ჩაუყარა. მიტოს ჰგონია, რომ ხელს უშლის გიგა. გიგა კი თავის მხრივ რომანის ჩაშლას

მიტოს გამოჩენას აბრალებს. მათ შორის მტრობა თუ შური იჩენს თავს. ბოლოს ახოვანი თანდიშვილი ჭიდაობაში გამოიწვევს ომში ცერდაკარგულ გიგას და, აი როდესაც მოჭრილ ცერზე შეხედავს, გაოგნდება, ამ მომენტით ისარგებლებს გიგა და წააქცევს ვეება ვაჟკაცს. დარეს სიმპატია თანდათანობით მიტო თანდიშვილისკენ იხრება, მაგრამ გიგაც ეცოდება თითქოს. ნაწარმოებში სატრფიალო თავგადასავალია სიუჟეტის ფოკუსში მოქცეული, ამ სულიერი განწყობილებით გვესახებიან გმირებიც. ომში ნამყოფი ჯარისკაცისა თუ კომბაინერი ოსტატის ბიოგრაფია უფრო რთულია, მაგრამ ავტორი ჩვენს ყურადღებას ამაზე არ ამახვილებს. შეგნებულად ამგვარი განრიდება ამბისა და ყურადღების გამახვილება ერთ სულისკვეთებაზე ამ ნაწარმოებს ნოველასთან აახლოებს.

გმირის ცხოვრების ერთი ეპიზოდია გადმოცემული ეტიუდში, „მამალხინე“: „რთველობას ცხრა მსხმოიარე ვაზი დაუტოვებია მოუკრეფავი, ორმოებში ჩაუწვენია ცხრათავე. ზევიდან წალამი დაუხურავს, წალამზე ბელტი მიუყრია... არავისათვის უთქვამს, უჩუმრად შემოუნახავს გულში“. და აი, ომიდან დაბრუნებულ ბიჭს და მის ოსტატს მამალხინემ უჩვეულო რთველობა გაუმართა იანვრის სუსხიან დღეს, გაუშართა იმ მეომარ ბიჭს, რომელიც ვინ იცის სად არ ყოფილა, ნახევარი მსოფლიო მოუვლია, ყველგან სიკვდილს ებრძოდა, მიიწევდა და ამარცხებდა.. ამ ეპიზოდურ ამბავშია ნაჩვენები სურათი ომისა, გამარჯვებული ნაომარი კაცის დაბრუნებით გამოწვეული ოჯახური სიხარული. ეს მცირე ფორმის მინიატურა თუ ესკიზი ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მარტოოდენ მოცულობა არ არის ნოველის ჟანრის განმსაზღვრელი თვისება. ასე, მაგალითად, მოცულობით ვრცელია გრ. ჩიქოვანის მოთხრობა „ბერძენი“, მაგრამ თავისი კომპოზიციური აგებულებით იგი უთუოდ ნოველას უახლოვდება. „ბერძენში“ მოცემულია სულისკვეთება იმ კაცისა, რომელიც სამშობლოს მოჰგლიჯეს, ოჯახი აუოხრეს, ცოლი მოუკლეს და შვილის ასავალ-დასავალი არ იცის. გადაკარგული კაცის ფსიქოლოგიაა აქ გამოხატული გასაოცარი ძალით და ნიჭიერებით, გამოხატულია

საშობლოს, შვილის, ოჯახის დარდისაგან გულშეპმული მარ-
ტოხელა კაცის ფსიქოლოგია.

არავინ იცოდა, ვინ იყო, საიდან მოვიდა, ჰყავდა თუ არა
თვისტომი და ნათესავი. არც გვარი და სახელი იცოდნენ მი-
სი. ბერძენი, ბერძნის დუქანი,—ასე იცნობდნენ მას, ჩვეუ-
ლებრივი ვაჭრებისაგან განსხვავებული ხასიათის კაცს. რა-
ღაც ვარამი და მწუხარება ღრღნიდა მის სულსა და გულს.
შემდეგ რამდენიმე სიტყვით არის გმირის ბიოგრაფიული
შტრიხი შემოტანილი: კიპრში ინგლისელები ეძებდნენ დამ-
ნაშავეს; ეს უდანაშაულო გიორგიოს მორატიტოსი დამნა-
შავედ ცნეს ინგლისელებმა, ორი ათას ლირად შეაფასეს ის
და მაინც ხელთ ვერ იგდეს. მერე იყო და, ოჯახი გადაუბუ-
გეს, ცოლი მოუკლეს. მისი შვილი, ურანია, სადღაც გადაი-
კარგა. ბერძენი, მალულად შემოპარული საქართველოს
ზღვისპირა სოფელში. პატარა დუქანს გამართავს. მარტოხელა
კაცი პატარა ცირუს იშვილებს, ცირუს, რომლის მამა ავად-
მყოფობას უმსხვერპლია, ხოლო დედა თათია, მძიმე შრო-
მას შეუწირავს. ბოლოს ბერძენთან ჩამოდის მისი შვილი
ურანია, მაგრამ ბერძენი ტრაგიკულად იღუპება. ურანია და
ცირუ ერთად დასტირიან მომაკვდავ მამასა და მამობილს. ეს
ფსიქოლოგიური სურათი ნოველაში აღბეჭდილია დიდის ემო-
ციურობით, გმირების ცხოვრების დაწვრილებით აღწერის
გარეშე.

მოცულობით ვრცელია აგრეთვე ლ. ავალიანის „დედის
ომედი", მაგრამ აქ, მოთხრობილი ამბის მიხედვით, საქმე
გვაქვს ტიპიურ ნოველასთან. მასში აღწერილია გამრჯე კოლ-
შეურნე ქალის ქეთევანის განცდები და სულისკვეთება, ერთ
გარკვეულ ფოკუსში თავმოყრილი. მუშაობით დაღლილი შინ
დაბრუნებული ქალი გვიან შეიტყობს, რომ მისი შვილი, მახა-
რე, საბჭოთა არმიაში მიჰყავთ. ღამით ის მოძებნის შოფერს,
რომელმაც სამუშაოდან მოიყვანა და ქალაქისაკენ გასწევს.
გზად ბენზინი შემოელევათ. შვილის ბედით აფორიაქებული
ქალი ფეხით მიდის ქალაქში, ოთახი მას გამოკეტილი დახ-
ვდება. მეზობელი ქალისაგან შეიტყობს, რომ შვილი უკვე საბ-
ჭოთა არმიაში იბრძვის. მას სინანული შეიპყრობს, რომ წასვლის
წინ ვერ მოეფერა საყვარელ პირმშოს. ამ ფონზე გამოხატულია

არა მარტო ქეთევანის, არამედ დათასი, მარინესი და შოფრის. თავდადება და სიყვარული დედასამშობლოსადმი, მათი პატრიოტული სულისკვეთება, მაგრამ ისე, რომ ჩვენ არ ვეცნობით ქვრივი ქალის თავგადასავალს, არ ვიცით როდის დაქვრივდა იგი, რატომ არის შვილი მარტო ქალაქში და ა. შ. არც სხვა გმირების ამბავია აქ მოთხრობილი. თავისი სულისკვეთებითა და აქ აღწერილი ფსიქოლოგიური სურათით ეს ტიპიური ნოველაა.

ჩვენ არ გაგვიხილავს ყველა ნოველა და ყველა ავტორი მცირე ფორმის მოთხრობებისა. ამჟამად უფრო საკითხი და მისი ისტორია გვაინტერესებდა, თორემ გაუმართლებელი იქნებოდა ზოგიერთი ჩვენი ცნობილი ავტორის ნაწარმოების გვერდის ავლა. ცნობილია, რომ მცირე ფორმა პროზისა გამოყენებული აქვს თითქმის ყოველ ქართველ პროზაიკოსს, და ამ მხრივ ჩვენ შეგვეძლო ბევრი რამ გვეთქვა ისეთ ბელეტრისტზე, როგორიცაა „გიორგი რუსისა" და „გვირგვილიანების ოჯახის" ავტორი—შ. დადიანი, მით უმეტეს, რომ მცირე ფორმის მოთხრობებით, მინიატურებით დაიწყო მან მოღვაწეობა. ასევე არაფერი გვითქვამს ა. ქუთათელის, ი. ლისაშვილის, დ. სულიაშვილის, ე. ზედგინიძის, რ. გვეტაძის, მ. მრევლიშვილის, თ. დონეაშვილის, ლ. გოთუას, პ. ლორიას, მ. ასათიანის, ო. დგებუაძის, არ. ჭუმბაძის მცირე ფორმის ნაწარმოებებზე.

ნოველის თავისებური სახეობაა მინიატურა, რომელმაც ჩვენს დროში დაკარგა გავრცელება. ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა პროზის ამ ფორმამ 1905 წლის რევოლუციისა და რეაქციის ეპოქაში, როგორი გავრცელებული ფორმა იყო მინიატურა მაშინ მოწინავე რევოლუციური აზრის გამოსახატავად რუსეთსა და ჩვენში. ქართულ საბჭოთა მწერლობაში მინიატურებს არა ერთხელ მიუბრუნდა ზოგიერთი ჩვენი მწერალი, მაგრამ ის ვერ იქცა მათი შემოქმედების მთავარ ფორმად. ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს ი. რუტუას მინიატურები. მან გამოაქვეყნა მინიატურების მთელი კრებული, რომელიც ყურადღებას იპყრობს აქტუალური თემატიკით, აზრის ლაკო-

ნური გამოთქმით, შეგონებისა და აფორიზმების ერთგვარი განზოგადებით.

ცოტა ნაწარმოებები როდი გამოაქვეყნეს პროზაიკოსებმა ნ. ნაკაშიძემ, ო. ჩიჯავაძემ, ს. მთვარაძემ, ა. ხახუტაშვილმა, მარიჯანმა, ა. ჩანიბაიამ, ნ. დოლიძემ, კლ. გოგიავამ. კ. რუსიძემ, ფ. დგებუაძემ, მ. გვასალიამ, მ. გარიყულმა კლ. დევდარიანმა, ს. წვერავამ, რ. ქორქიამ, ელ. უბილავამ, მ. გოგიჩაიშვილმა, ვლ. თორდუამ, ირ. ქავჟარაძემ, ნ. აბაშიძემ, ს. ფხაკაძემ, ჭ. ელისაბედაშვილმა, დ. კვიცარიძემ, რ. ჩაჩანიძემ, ლ. ჭიჭინაძემ, კ. მუმლაძემ, ოღონდ ესენი უმთავრესად მოთხრობებისა და ნარკვევების ჟანრში მუშაობენ.

ყველაფერი, რაც ზემოთ ვთქვით, ამტკიცებს, თუ როგორ გაიზარდა ჩვენი საბჭოთა მწერლობა რაოდენობრივადაც და მრავალფეროვნებითაც.

* * *

ამ 40 წლის მანძილზე ჩვენს მწერლობაში რამდენიმე თაობა მოვიდა. ყველა მათგანმა თავისი ფერები და საღებავები, ახალი ინტონაცია და მანერა წერისა თან მოიტანა. უფროს თაობათა შემოქმედების განხილვამ ნათლად დაგვანახა ის სიახლე, რომელიც მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში, კერძოდ ნოველის ისტორიაში, საბჭოთა ეპოქის მწერლობამ შეიტანა.

ქართული საბჭოთა ნოველის განვითარების ისტორიაში დიდი სამამულო ომის შემდეგ მოსულმა ახალთაობამ კვლავ მოიტანა ამ თაობისათვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული მხატვრული ფერები. ჩვენ ყველა მათგანის შემოქმედების განხილვას ვერ შევუდგებით. მხოლოდ ვიტყვით, რომ ქართული ნოველის ისტორია არ იქნებოდა სრული, რომ ზოგიერთის შესახებ არ გვეთქვა რამდენიმე სიტყვა. მე მხედველობაში მაქვს, პირველ ყოვლისა, პროზაიკოსი რევაზ ჯაფარიძე.

რ. ჯაფარიძე უმთავრესად სქელტანიან რომანების ავტორად გვევლინება. მაგრამ ვინც დააკვირდება მის მცირე ფორ-

მის პროზაულ ნაწარმოებებს, დაინახავს ამ ნიჭიერი პროზაიკოსის ორიგინალურ სტილსა და წერის მანერას. რევაზ ჯაფარიძე ხედვის ნიჭით დაჯილდოებული მხატვარია, ნიჭიერი, დაკვირვებული რეალისტი. ის გასაოცარი სინათლით ხედავს და ხატავს მოვლენას. სამამულო ომიდან მან მოიტანა ეს სიზუსტე და სინათლე მოვლენებისა და საგნის დანახვისა. ეს მანერა წერისა ნათლად ჩანს მის ნოველებშიაც.

საილუსტრაციოდ ავიღოთ ნოველა „ნობათი". აქ აღწერილია ერთი ეპიზოდი გმირის ცხოვრებისა, ეპიზოდი, რომელშიაც ამავე დროს, როგორც ფოკუსში, არეკლილია ომის საშინელებით გამოწვეული მწუხარება საბჭოთა ადამიანებისა.

ნოველის გმირი ექიმი მარინე თავისი პატარა ქალიშვილით — ცისანათი ქმარს ელოდება. ომი დამთავრდა, მაგრამ მეომარი ჯარისკაცი არ ჩანს. ქმრის მეგობრები ბარათსაც უგზავნიან და ნობათსაც—მარინეს პატარა ქალიშვილს ცისანას. ერთი ბარათი იმასაც იტყობინება, რომ ამა და ამ დღეს ჩამოდიან ისინი თბილისში. ნაომარ ჯარისკაცებს მარინე და ცისანა სადგურზე ხვდებიან, ქმრის მეგობრები გამოჩნდნენ, თავად ქმარი არსად ჩანს. ისინი უსიტყვოდ ესალმებიან ერთმანეთს და ამ დუმილში ირკვევა, რომ ქმარი არასოდეს დაბრუნდება; მამის ერთი მეგობართაგანი ცისანას გადასცემს ძვირფას ნობათს პატარა დედოფალას, მამის ხელით გაკეთებულს. მღელვარე დეტალებით, უსიტყვო ეპიზოდებით გვიხატავს მწერალი მარინესა და ნაომარი ჯარისკაცების შეხვედრის სცენას. იგი აღწევს შექმნას ომით მიყენებული დიდი ჭრილობების სურათი, რომელიც ჩვენმა ხალხმა ასე გმირულად გადაიტანა. ყოველი ფრაზა და სიტყვა ამ სულიერ განწყობილების გამოსახვას ემსახურება, არაფერია აქ ზედმეტი, გამოგონილი და ხელოვნური.

ასევე საინტერესოდ გახსნა გმირის ხასიათი, მშობელი დედის სულიერი განწყობილება რ. ჯაფარიძემ სულ რამდენიმე გვერდიან ნოველაში „თეთრკაბიანი ქალი". თეთრკაბიანი ქალი უნაზეს სიყვარულს იჩენს ბავშვებისადმი. ქალის ეზოში

ატმის ხეა, ატმის ხე უხვად ისხამს ნაყოფს. ამ ხის ნაყოფს თეთრკაბიანი ქალი ბავშვებს ურიგებს, თვითონ მხოლოდ ერთ ატამს იტოვებს. ერთ ქარიშხლიან და წვიმიან ღამით მან მოკრიფა ატმის ნაყოფი და სხვენში შეინახა; გაზაფხულზე მიაგნო ამ გადანახულ ატმებს და ის კვლავ ბავშვებს დაურიგა, ხოლო ატმის კურკებისაგან ბავშვებს ატმის ბაღი გააშენებინა. შემდეგ ბავშვები უნაწილებენ ამ თეთრკაბიან ქალს ატმის ნაყოფს, რომელიც ქალს ჩაის პლანტაციაში მიაქვს და მეზობელ ქალებს ურიგებს—მისი გულის ხვაშიადი ერთი ფრაზით ირკვევა: „ჩემს ნოდარს უყვარდაო, ენაცვალოს დედა, — იტყოდა ხოლმე, — გასინჯეთ რა საუცხოო ატამია". ბავშვები გაკვირვებით კითხულობენ: ნეტავ ვინ იყო ნოდარი? ეს მკითხველმა უნდა წარმოიდგინოს, მკითხველმა უნდა შეავსოს. ასეთი წესით დახატვა ადამიანის განწყობილებისა და სურათის ფსიქოლოგიური გამოხატვა ნოველისათვისაა დამახასიათებელი. ძუნწად, დაწვრილებითი აღწერისა და განმარტების გარეშე გადმოგვცემს რ. ჯაფარიძე ღრმა ფსიქოლოგიურ სურათს.

რ. ჯაფარიძის თაობის მწერლებს თ. გოგოლაძის, ო. ჩხეიძის, ვ. ურჯუმელაშვილის, ე. მაისურაძის, ლ. მრელაშვილის, ა. გეწაძის მცირე ფორმის პროზაული ნაწარმოებების განხილვას ასევე შეეძლო ნათელი გაეხადა, რომ ახალმა თაობამ რეალისტური ნოველების ტრადიცია მიიღო და განავითარა. ამ მხრივ საინტერესოა უმცროსი თაობის მაგალითებიც. მე მხედველობაში მაქვს ა. სულაკაურის, რ. ინანიშვილის, ო. იოსელიანის, ე. ყიფიანის და რ. ბეჟანიშვილის მცირე ფორმის პროზაული ნაწარმოებები.

რ. ინანიშვილმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო თავისი მცირეფორმიანი მოთხრობებით, ნოველებით, ეტიუდებით, ამ ნაწარმოებების მთავარი გმირი, უმთავრეს შემთხვევაში, უბრალო, რიგითი ადამიანია, ქვეყნის ყოველი სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი ადამიანი. რ. ინანიშვილის მცირე ფორმის ნაწარმოებები გვიზიდავენ ლირიკული ხმითა და პოეტური განწყობილებით. რ. ინანიშვილს გმირი და მისი დამოკიდებულება სხვა ადამიანებთან მრავალი პლანით შემოაქვს, მაგრამ ამ პლანების გადაწყვეტა ხასიათის ლირიკული, პოეტუ-

რი ინტონაციებით გამოხატვას ემორჩილება. ამიტომ ეს მცირე ფორმის მოთხრობები უფრო ესკიზს, ეტიუდს თუ ნოველას უახლოვდება, ვიდრე ტიპიურ მოთხრობას. საილუსტრაციოდ შეიძლება ავიღოთ მისი ერთი საინტერესო ნაწარმოები „ბუდრუგანაში". დარაჯი ნიკალა ვიღაც ხეიბარ გიგას გაიცნობს. ხეიბარი შესჩივის ნიკალას, რომ ვერსად სამუშაო ვერ იშოვა, ახლა ვის უნდაო ხეიბარი კაცი. კეთილი ნიკალა ამაზე მაშინ დაფიქრდება, როდესაც გიგა უკვე წავიდა. ნიკალა, შეშფოთებული გიგას ბედით, წერილს წერს ამ უკანასკნელს, რომ ჩამოვიდეს და მისი ადგილი დაიკავოს, მას კი, რომელსაც ორივე ხელიც აქვს და ფეხიც, სხვა სამუშაო შეუძლია მოძებნოს. აი, ამ ფონზეა გამოხატული, უაღრესად ლირიკული განწყობილებით რიგითი ადამიანის სულიერი ცხოვრება. მათი ამგვარი ინტონაციებით გამოხატვა გმირებისა და მათი სულიერი ცხოვრებისა საზოგადოდ დამახასიათებელია რ. ინანიშვილისათვის.

პოეტური, ლირიკული ელემენტები ჭარბად შემოაქვთ პროზაში და ხასიათებს ამ საშუალებით ძერწავენ ა. სულაკაური და ო. იოსელიანი, იმ განსხვავებით, რომ სულაკაურის ლირიკული განწყობილებისათვის დამახასიათებელია ზომიერი, რომანტიკული საღებავები, ო. იოსელიანისათვის კი უფრო ჭარბი რეალისტური ფერები. „მტრედებისა" და „თეთრი ქალიშვილის" მოტივები გარეგნულად მსგავსია, და თვით არჩეული მასალაც ორივე ავტორს თანაბრად აძლევს საშუალებას გამოიყენონ სევდიანი, მინორული განწყობილება და მოტივები გმირების ხასიათისა და მდგომარეობის გამოსახატავად. ამისდა მიუხედავად, სხვადასხვანაირია ავტორის მიდგომა აღებული საკითხისადმი.

ა. სულაკაურს ნოველაში „მტრედები" აღწერილი აქვს ჭაბუკისადმი გოგონას უმწიკვლო სიყვარულის ამბავი. ომის საშინელ დღეებში ისინი სახურავზე მორიგეობენ. მათს ახალგაზრდულ მისწრაფებებსა და სატრფიალო რომანტიკას ძუნწად, დიდი ტაქტით გადმოგვცემს პროზაიკოსი. შემდეგ ეს ყმაწვილი არ ჩანს, სახურავზე ამ გოგონასთან ერთად სხვა მორიგეობს. ჰოსპიტლიდან დაჭრილი მეო-

მრებიც ამჩნევენ ამ ცვლილებას. ასე იხატება სატრფოს ფრონტზე წასვლით გამოწვეული სევდა ახალგაზრდა ქალიშვილისა. ამავე დროს ნოველაში განზოგადებულია ომით ჩაშლილი ბევრი სიყვარული. ნაწარმოების შინაგანი ინტონაცია სევდიანია, დამაღონებელი, ოღონდ მხატვრული ზომიერებით შესრულებული.

სხვანაირი ვითარებაა ო. იოსელიანის „თეთრ ქალიშვილში". აქ მთავარ მოქმედ გმირად გამოყვანილია ავადმყოფი ქალიშვილი და ნაჩვენებია მისი სულიერი ინტერესები. მეგობრებს, შრომას ჩამოცილებული, ოჯახში ჩაკეტილი და სარეცელზე მიკრული ქალიშვილის ცხოვრება ერთბაშად შეიცვლება, როცა ამ სოფლის ახალგაზრდა ბრიგადირი მას შრომის ფერხულში ჩააბამს. ავადმყოფი ქალიშვილის ფსიქოლოგიის გამოსახვა აქ ძველებურ, სენტიმენტალურ მანერას სავსებით სცილდება. ჭლექისაგან ფილტვგამოჭმული ახალგაზრდების უიღბლო სიყვარულის შესახებ სევდიანი და სენტიმენტალური ცრემლის მომგვრელი რომანი არა ერთი წაგვიკითხავს. ო. იოსელიანი ფსიქოლოგიური სურათის ამგვარ ხატვას გაურბის. აქ რეალიზმის, ჯანსაღი ოპტიმიზმის პათოსს ემყარება ყველაფერი: სიცოცხლის მომღერალი მხატვარი ნათელ ფერებსა და განწყობილებებზე აფუძნებს მთელ ამ ფსიქოლოგიას, რითაც საზოგადოდ ახალი ადამიანის ხასიათის აღწერას აღწევს. ახალი ადამიანის ბუნების პათოსს ეფუძნება ნოველაში გამოხატული ფსიქოლოგია, თუმცა დეტალურად რომ დავანაწევროთ თეთრი ქალიშვილის ცხოვრების სურათი, შეიძლება აქ ბევრი რამ გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს. ამგვარი მხატვრული გაზვიადება დამახასიათებელია მისთვის.

საზოგადოდ ნიჭიერი ახალთაობის სახელი ქართულ პროზაში პირველ ყოვლისა მათ დაიმკვიდრეს, ვინც ოპტიმისტური განწყობილებით გვევლინებიან რეალიზმის ტრადიციების გამგრძელებლად. ნათქვამი როდი ნიშნავს, რომ მათ შემოქმედებაში ადგილი არ ჰქონდეს სევდიან და რომანტიკულ სტრიქონებს. ეს ბუნებრივია მაშინ, როდესაც თვით

აღებული მასალა ამგვარი განწყობილებისათვის ამზადებს მკითხველს, მაგრამ ამბის გადაწყვეტა თავისი სულითა და პათოსით უაღრესად ოპტიმისტურია. ამის საილუსტრაციოდ ე. ყიფიანის „ეკლიანი ვარდები“ ერთი საუკეთესოთაგანია.

მასწავლებელი ოცი წლის შემდეგ ძველ საკლასო ოთახში ხვდება მოსწავლეთა ჯგუფს, ისინი უკვე დიდი ხანია მოსცილებიან სკოლის მერხს. ახლა, სიის ამოკითხვის დროს, ბევრი თმაჭაღარა ისევე პასუხობს მასწავლებელს: „აქ ვარ“, როგორც რამდენიმე წლის წინათ. მაგრამ ბევრის მაგიერ ახლა სხვა პასუხობს, — მათი მემკვიდრეები, ცოლი თუ შვილი, მათ, ვინც არ პასუხობს, სიცოცხლე ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენი სამშობლოს დაცვისათვის შეუწირავთ. ახალი თაობა, მათი მემკვიდრეები, მათ საქმეს აგრძელებენ. ასეთი ოპტიმისტური სულითაა გაცოცხლებული ყოველი ფრაზა, ყოველი დეტალი, ყოველი ეპიზოდი.

კიდევ ერთი მაგალითი: რ. ბეჟანიშვილის „ბუდე“. შუქრიამ და ანომ შრომითა და სიყვარულით შექმნეს ოჯახი. მათ უკვე ერთი შვილი ჰყავთ—მამუკა. ანო მეორე შვილსაც მოელის. ამ დროს შუქრიას ძველი მეგობარი მეგი შეხვდება და მასთან განაახლებს რომანს. მეგი ფუქსავატი ქალია. მას სულიერად არაფერი აკავშირებს მეგობართან. შუქრია მაშინ მიხვდება ამას, როდესაც ავადმყოფი ცოლი ლოგინში წევს და მიტოვებული ბავშვი ტირის. შუქრია ტოვებს ცდუნების გზას და უბრუნდება თავის ბუდეს. ეს, ყოფით თემაზე დაწერილი ნოველა, განგებ ავირჩიე იმისათვის, რათა ნათელი გამეხადა, რომ რ. ბეჟანიშვილი არ აჰყვა ოჯახის თემის ტრაფარეტულ გადაწყვეტას, ცრემლიანი, მეშჩანური დრამის გზას და შეგნებულად დახატა ასეთი ოპტიმისტური სურათი ყოფით თემაზე.

ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითები ამტკიცებენ, რომ სწორედ რეალისტური ტრადიციების განვითარების გზით აღწევენ ეს ნიჭიერი ახალგაზრდები აღბეჭდონ ახალი თაობის კვალი ჩვენს მწერლობაში.

ნოველაში, და საზოგადოდ, ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში, უმთავრესია ისეთი ხასიათის გამოსახვა, რომელიც მკითხველს დაამახსოვრდება, აედევნება, მასთან გაათევს ღამეს, შემდეგ თან დაჰყვება, და მის საქციელს ზომავს და წონის. მკითხველსა და მწერალს შორის ურთიერთობაც ამის მიხედვით მყარდება. ასეთი დამახასიათებელი სახეები ქართველ საბჭოთა ნოველისტებს ცოტა როდი შეუქმნიათ. საკმარისია მოვიგონოთ ლეო ქიაჩელის თავადის ქალი მაია და ჰაკი აძბა (ამავე სახელწოდების ნოველებიდან) კ. გამსახურდიას ოქროპირი მნათე („ზარები გრიგალში") და დიდი იოსები (ამავე სახელწოდების ნოველიდან), კ. ლორთქიფანიძის ვასილ ჟიგა („როგორ მოკვდა მოხუცი მებადური"), დ. შენგელაიას ანდრია რაშაძე („კაც") და სხვები და სხვები.

ნოველაში ასევე სავალდებულოა მკვეთრად იყოს გამოხატული მოვლენა თუ საგანი. არც ერთ ჟანრს არ ესაჭიროება ისეთი სიზუსტე მხატვრული დეტალისა, როგორც ნოველას. ქართულ საბჭოთა ნოველაში ცოტა როდია ისეთი მხატვრული დეტალი, რომელიც მუდამ თვალწინ გვიდგას და მტკიცედ აღბეჭდილა ჩვენს მეხსიერებაში. მოვიგონოთ სერგო კლდიაშვილის ნოველა „შემოდგომის წვიმა". თითქოს ახლაც გვესმის მოხუცი მათხოვრის სიტყვები: „შენი კარგად ყოფნით ნეტავ მართლაც არ გაგეთბე".

ნოველის მხატვრული დეტალები ერთბაშად აცოცხლებენ ჩვენს წარმოდგენაში ამბავს და ხაზს უსვამენ გმირის ბუნებას. გავიხსენოთ მაგალითად, აკაკი ბელიაშვილის ნოველაში „კალისტროს გასაჭირის" ის დეტალი, როდესაც ქარხნის დირექტორი კალისტრო იძულებულია ხოჭოიანი მურაბა შეჭამოს, რადგან იგი ამ უხეირო დირექტორის უხეირო ქარხანაშია დამზადებული. ნოველაში ამგვარი დეტალების შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო უარყოფითი ხასიათისათვის სათანადო დეტალების მიგნების მნიშვნელობა, არამედ ვგულისხმობთ დადებითი მოვლენებისა და ხასიათებისათვის საჭირო დეტალებსაც. ამ მხრივაც შეგვეძლო უამრავი მაგა-

ლითი მოგვეტანა. ჩვენს მიერ ზემოთ გარჩეული ნოველებიდან. საკმარისია, მოვიგონოთ თუნდაც ნატროშვილის „უდარდელი კაცის სიკვდილი". რა ზუსტი დეტალია ამ გმირის დასახასიათებლად აქ მოძებნილი, კარგი კალატოზისათვის დამახასიათებელი დეტალი. ახლაც გვახსოვს ავტორის სიტყვები, რომ ეს ლამაზი სახლები, ამ კალატოზის მიერ აშენებული სახლები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც სხვადასხვა სოფლებში გათხოვილი ტყუპი დები.

ქართველი საბჭოთა ნოველისტები, მსგავსად კლასიკოს-ნოველისტებისა, ბევრ შემთხვევაში ზუსტად იცავენ ნოველისათვის საჭირო სიუჟეტის სიმკვეთრეს და ასე აღწევენ ხასიათის გამოხატვას ერთი ფსიქოლოგიური სულისკვეთებით. ჩვენ ცოტა მაგალითი როდი გავიხსენეთ იმის დასამტკიცებლად, თუ რა ოსტატობით აღწევენ ქართველი ნოველისტები „ამბის ერთი ლარით გავლებას".

ქართული საბჭოთა ნოველის განხილვისას ნათელია, თუ როგორ მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე მხატვრული სიტყვის, ფრაზის, ოსტატობის მხრივაც: ქართული ენის სინარნარით, ლექსიკური მასალის მომჭირნეობით, სიტყვიერი ფრაზის ხატოვანებით არა ერთი და ორი ნოველა ბრწყინავს.

კლასიკურ და თანამედროვე ნოველაში ხასიათების გამოხატვა იმდენად ამბის მოყოლას როდი ეფუძნება, რამდენადაც დეტალების შერჩევას და მოულოდნელ ფინალს. ფინალის მოულოდნელობას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ის ერთბაშად გვამცნობს ავტორის ჩანაფიქრს, ეს ისეთი კომპონენტია, რომელიც ერთბაშად ნათელს ხდის ხასიათსაც და ამბავსაც.

ყველაფერი ეს ამტკიცებს, თუ როგორ განავითარა და ახალ საფეხურზე აიტანა ქართულმა საბჭოთა ნოველამ კლასიკური ნოველის კომპონენტები. ამასთან ერთად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ქართულმა საბჭოთა ნოველამ ბევრ შემთხვევაში დაარღვია ტრადიციული კლასიკური ნოველის პოეტიკური კანონები და ნორმები. ცოტა როდია ისეთი მაგალითი, როდესაც ადგილი აქვს ნოველის, მოთხრობის, ეტიუდისა და სურათის პოეტური ნორმების ურთიერთსესხებას.

საბჭოთა მწერლობაში გრძელდება პროცესი ჟანრებისა და დარგების ურთიერთშერწყმისა თუ ურთიერთსესხებისა. ერთი მაინც უცილობელია: ყველაზე უფრო საინტერესო ის ნოველაა, რომელშიაც ჩვენი სინამდვილე, ახალი ადამიანის ხასიათია გამოვლენილი; რომელშიაც ახალი ადამიანი გამოხატულია თავისი ფიქრებითა და განცდებით, ტიპიურად და დასამახსოვრებლად.

ჩვენ თანამედროვე, საბჭოთა მწერლობის რამდენიმე თაობის შემოქმედებას შევეხეთ. ქართველი საბჭოთა ნოველისტები ფეხდაფეხ მიჰყვებიან ახალ ცხოვრებას. პროზის მცირე ფორმების საშუალებით ისინი ახერხებენ გადმოსცენ ჩვენი ადამიანის რთული, მდიდარი და საინტერესო სულიერი სამყარო; გამოხატონ მათი საბრძოლო შემართება და ინტიმური მხარეები, აჩვენონ ახალი ადამიანის ცხოვრების ყოველი მხარე მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და სიდიადით. კლასიკური პროზის მცირე ფორმები: ნოველა, ეტიუდი, ესკიზი, სურათი — მთელი სისრულით იყო გამოყენებული საბჭოთა მწერლების მიერ ახალი ადამიანების განცდებისა და ფიქრების გადმოსაცემად, რითაც ქართული ნოველა გამდიდრდა ახალი ელვარებით — ახალი ინტონაციებით, ფერებითა და საღებავებით.

ახალი ამოცანების წინაშე

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა განუყოფლად დაკავშირებულია საბჭოთა ხალხთან, ჩვენს სახელმწიფოსთან, ჩვენი კომუნისტური პარტიის ისტორიასთან. საბჭოთა მწერლობის ბუნება, მისი ხასიათი, სწორედ ხალხის, სახელმწიფოს და მწერლობის ერთიანობის პრინციპზე აღმოცენდა და განვითარდა. ხოლო საბჭოთა მწერლობამ გამოსახა, განაზოგადა ჩვენი ხალხის, ჩვენი სახელმწიფოს განვლილი ისტორიული გზა, აღსავსე მძაფრი ქარტეხილებით და მღელვარებით.

გავა დრო, მოვლენ სხვა თაობები, რომელთაც შეეძლებათ სწორედ ჩვენი მწერლობის საშუალებით, მემატიანის სიზუსტით აღადგინონ ჩვენი ხალხის ეს განვლილი ისტორიული გზა.

საბჭოთა მწერლობა მუდამ გვერდში ედგა თავის ხალხს და მისი სასიცოცხლო ინტერესებით ცხოვრობდა. ამ ორმოცი წლის განმავლობაში ცოტა როდი შეიქმნა ისეთი წიგნები, რომლებიც ისევე დარჩებიან ჩვენი ეპოქის ძეგლებად, როგორც ჩვენი სახელმწიფოს მიერ ახლად აშენებული ქალაქები და რაიონები, ელექტროსადგურები და ფაბრიკა-ქარხნები, ინდუსტრიის გიგანტები; რაც მთავარია, ეს შესანიშნავი წიგნები, შექმნილი საბჭოთა მწერლების მიერ, იქცნენ ჩვენი ადამიანების აღზრდის უმნიშვნელოვანეს სულიერ ძალად. ამ მხრივ საბჭოთა მწერლობამ უთუოდ შეასრულა დიდი ისტორიული მისია თავისი ხალხის, სახელმწიფოს წინაშე.

ასეა გადაჯაჭვული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია საბ-ჭოთა სახელმწიფოს ისტორიასთან. ასე იყო და ასე იქნება მომავალშიაც.

სახელოვანი კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში შევა, როგორც ახალი ეტაპი. ყრი-ლობის დოკუმენტები, ყრილობის მიერ მიღებული და დამ-ტკიცებული ჩვენი პარტიის ახალი პროგრამა, ეს არის კომუნის-ტური საზოგადოების აშენების რეალური და, ამავე დროს გრანდიოზული გეგმა. დამახასიათებელია, რომ ამ ისტორიულ ყრილობას რამდენიმე თვით უსწრებდა კაცობრიობის ისტო-რიაში ადამიანის გენიის უდიდესი გამარჯვება — კოსმოსის დაპყრობა. და ამ კოსმოსის პირველი დამპყრობლები სწო-რედ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ, ჩვენი საბჭოთა მწერ-ლების წიგნების მიერ აღზრდილი საბჭოთა ადამიანები იყვნენ. სამამულო მეცნიერების, საბჭოთა ადამიანების ამ უდიდესი სასწაულის შემდეგ განვლო სულ რამდენიმე თვემ და ჩვენმა სახელმწიფომ, ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ მიიღო ახალი პროგრამა, კომუნიზმის აშენების პროგრამა; ჩვენი ქვეყანა გახდა ინტელექტის, გონების, საოცრების ქვეყანა, ჩვენი სახელმწიფო არის ახალი კომუნისტური საზო-გადოების შუქურა, რომელიც გზას უნათებს მთელ პროგრესულ კაცობრიობას ცხოვრების ახალი, უფრო მაღალი მწვერვალებისაკენ.

ჭეშმარიტად, ჩვენი ქვეყანა თავისი განვითარების ახალ ისტორიულ ფაზაში შევიდა, ხოლო ჩვენი პარტიის ახალი პროგრამა ამ ეპოქის ისტორიული დოკუმენტია.

მთელი ჩვენი ხალხი პრაქტიკულად შეუდგა ეპოქის ამ დიდი დოკუმენტის — პარტიის პროგრამის განხორციელებას. ბუნებრივია, ამ ვითარებაში ჩვენი მწერლობა, რომელიც ასე განუყოფელია საბჭოთა ხალხის ისტორიისაგან, ვალდებულია ღრმად ჩაუფიქრდეს ამ დოკუმენტს, რომე-ლიც ჩვენს წინაშე, საბჭოთა მწერლობის წინაშე ახალ ვალ-დებულებას აყენებს.

XXII ყრილობას მართლაც რომ განსაკუთრებული ადგი-ლი უჭირავს ჩვენი ხალხის, ჩვენი პარტიის ისტორიაში, განსა-

ქუთრებული მნიშვნელობისა იყო ეს ყრილობა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების განხილვის თვალსაზრისითაც. საკმარისია ითქვას, რომ ყრილობაზე ხუთი მწერალი გამოვიდა: მ. შოლოხოვი, ა. ტვარდოვსკი, ა. გრიბაჩოვი, ა. კორნეიჩუკი, ვ. კოჩეტოვი.

ჩვენი პარტიის ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ყრილობაზე ასე ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი ჩვენი გამოჩენილი მწერლები; მაგრამ აქ უმთავრესი ის არის, რომ მწერალი-დელეგატები თავისუფალნი სქემებისა და ტრაფარეტებისაგან, მეტად საინტერესო საკითხებს აყენებდნენ. ბევრი მათგანი შეიძლება საკამათოა, მაგრამ ეს სიტყვები ყურადღებას იმსახურებენ აზრის, ფანტაზიის გაბედულებითა და ორიგინალობით. როდესაც ამის მიხედვით ვაკვირდებით მწერლობაში შექმნილ ახალ მდგომარეობას, არ შეიძლება თვალში არ გვეცეს ის სიახლე, რომელიც ამჟამად ჩვენს მწერლობაში ასე ძლიერ ნაკადად შემოიჭრა.

მაინც რა არის ის ახალი, რომელიც ასე საყოველთაო გავრცელებას პოულობს ჩვენს მწერლობაში? პირველი და უმთავრესი, ჩვენი აზრით, აქ ის არის რომ ვხედავთ მეტ თავისუფალ ლიტერატურულ აზროვნებას, თავისუფალ ლიტერატურულ კამათსა და დავას, ფანტაზიის მეტ გასაქანს. მოხდა უკუგდება და უარყოფა ისეთი მდგომარეობისა, როცა ერთი ლაპარაკობდა და დანარჩენი ტაშს უკრავდა, ერთი ფიქრობდა ყველას მაგივრად. ლიტერატურის ფარგლები გაფართოვდა და მოეხსნა მას ბევრი შემფერხებელი ბორკილი. საქმე ისაა, რომ ლიტერატურაში ერთი კაცის აზრი, რა გინდ გენიოსური არ იყოს იგი, მომაკვდინებელია. ერთი სავალდებულო მაკრატელით გაკრეჭა მწერლობისა—დამღუპველია. და აი, ბოლო წლებში ეს ხელოვნური სქემები, სავალდებულო ტრაფარეტები დაიმსხვრა, ან იმსხვრევა და არ შეიძლება ამას საბჭოთა მწერალი, თუ მას ნამდვილად პროფესიული მწერლის გრძნობები და სული გააჩნია, არ მიესალმოს. ლიტერატურული ნაწარმოების შეფასება, უპირველეს ყოვლისა, თვით ლიტერატორთა, მწერალთა საზოგადოების საქმე უნდა იყოს. ამ საქმეს, უპირ-

ველეს ყოვლისა, თვითონ მწერლები უნდა განაგებდნენ და ეს უნდა მოხდეს არა მარტო ერთგან, არამედ ყველგან, სადაც კი მწერლობის საკითხი წყდება.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ხელი ავიღოთ და უარი ვთქვათ საბჭოთა მწერლობის ხელმძღვანელობაზე, პარტიის ხელმძღვანელობაზე მწერლობის მიმართ. რასაკვირველია, არა! მაგრამ ერთია წარმართვა და ხელშეწყობა და მეორეა თავს მოხვევა და მბრძანებლობა.

ლენინი ამბობდა: „უდავოა, ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა, ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებას, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“. მე აქ ხაზს ვუსვამ „მექანიკურ შეთანაბრებას“. სამწუხაროდ, ასეთი მექანიკური შეთანაბრებანი და შეცდომანი ცოტა როდი იყო. ჩვენ ერთი მექანიკური შეთანაბრებით ვარკვევდით სრულიად საწინააღმდეგო სტილის და ბუნების მწერლებს და სავსებით ვივიწყებდით მწერლის ინდივიდუალურ თავისებურებას და მისი წერის მანერას. ჩვენ ხშირად ერთმანეთში ვურევდით იდეურ-თემატურ პოზიციებს და ინდივიდუალური სტილის, ფორმის, ხასიათის ცნებებს მწერლობაში. აქედან გაჩნდა დამღუპველი ერთფეროვნება; რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ მწერლობის იდეურობაზე და ნაწარმოებთა იდეურობის საზომით დახასიათებაზე უარი ვთქვათ. საჭიროა, რათა ჩვენ თოფის წამალი მუდამ მშრალი გვქონდეს იმ დიდ იდეურ ბრძოლაში, რომელსაც საბჭოთა მწერლობის მოწინააღმდეგეები, სოციალისტური რეალიზმის საპირისპიროდ აწარმოებენ, შინ იქნება თუ გარეთ. აქ ლაპარაკია არა იდეური პოზიციის დათმობაზე, არამედ იმაზე, რომ ყურადღების ცენტრში დავაყენოთ მწერლის ინდივიდუალური თვისებები და მიდრეკილებანი. აი ამას მინდა ხაზი გავუსვა. ჩვენი ლიტერატურის განვითარების გზას მუდამ წარმართავდა და ხელმძღვანელობდა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია და ასე იქნება მომავალშიც. მაგრამ

აქ საკითხი შეეხება იმ მახინჯ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში. ახლა ვისთვის არ არის ნათელი, რომ ჩვენი მწერლობა თანდათანობით თავისუფლდება იმ მექანიკური გათანაბრების საშიშროებისაგან, რომელსაც ლენინი ასე მწვავედ ებრძოდა. იმ შაბლონისა და შტამპისაგან, რომელსაც „იდეურობის პოზიციით" ვიცავდით ხშირად. ამ ბოლო წლებში ამგვარი შეზღუდულობისაგან თავისუფლდება ჩვენი ლიტერატურა, და ჩვენ ამას უნდა მივესალმოთ და მხარი უნდა დავუჭიროთ.

საკითხი შეეხება არა რევიზიას, პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის რევიზიას, არამედ ჩვენი, საბჭოური, საუკეთესო ტრადიციების აღდგენას ლიტერატურაში. შორს ნუ წავალთ, მოვიგონოთ 20-იანი წლების ქართული მწერლობა. უფროსი თაობის მწერლებს კარგად ახსოვთ ეს წლები და ისიც ახსოვთ, თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში რა გაფთრებული ბრძოლა იყო, მძაფრი იდეური ბრძოლა. ამ ვითარებაში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელები აქ, მწერალთა კავშირში მოდიოდნენ ან სხვაგან, დიდ დარბაზებში ხვდებოდნენ, ჩვენს მწერლებს, ეკამათებოდნენ და ედავებოდნენ, როგორც სწორნი. ამ კამათის ანგარიშები იბეჭდებოდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ეს იყო მღელვარე პაექრობა ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე, მაგრამ ეს იყო კამათი იმის შეგნებით, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება დადგინდეს ჭეშმარიტება. შემდეგ ეს შესანიშნავი ტრადიცია თანდათანობით გაქრა, სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა ჩვენს მწერლობაში. ჩვენ ვალდებული ვართ ამ შემოწმებულს, შესანიშნავს, ჩვენი საბჭოური ლიტერატურის განვითარების ბუნებრივ გზას მივუბრუნდეთ, აღვადგინოთ, წინ წავწიოთ და განვავითაროთ, ე. ი. საკითხი შეეხება კომუნისტური პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის მოწინავე, შემოწმებული პრაქტიკისა და ტრადიციების აღდგენას და არა პარტიის ხელმძვანელობის უარყოფას ჩვენს მწერლობაში, არა ანარქიის დამკვიდრებასა და თავაშვებულების ქადაგებას,

ერამედ წესრიგის დამყარებას. საკითხს ამ მხრივ უნდა შეეხედოთ, როდესაც ვეხებით ლიტერატურაში შექმნილ ახალ მდგომარეობას, ახალ პირობებს.

ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲡᲐᲥᲐᲜᲘ ᲐᲖᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐᲡ

ახლა ვიკითხოთ, ამ ახალ ვითარებათა ფონზე რა მდგომარეობა გვაქვს მწერლობაში?

დავიწყოთ პოეზიით.

როდესაც ქართული პოეზიის შესახებ ვმსჯელობთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართულმა პოეზიამ უმაგალითო განვითარებას მიაღწია. მისი დიდი მიღწევები ჩვენი ქვეყნის ფარგლებსაც გასცილდა და თავის მხრებზე აზიდა და გაიტანა საქართველოს მაღალი სახელი. სულ რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე, ერთი ჩვენი მეგობარი პოეტი გულწრფელად აცხადებდა: „კავკასიის მთების მიღმა, საქართველოში შეიქმნა ისეთი დიადი და მაღალი პოეზია, რომელიც დედამიწის ყოველი წერტილიდან მოჩანს, როგორც იალბუზის მაღალი მთებიო“. დიახ, ეს ასე იყო ნათქვამი და ამ სიტყვებმა ყოველი ქართველი გაახარა.

განავითარა რა კლასიკური მწერლობის დიდი ტრადიციები, ქართულმა საბჭოთა პოეზიამ წინ წასწია ქართული პოეტური სიტყვა. ჯერ კიდევ 1936 წელს მიხ. ჯავახიშვილი წერდა: „გართულდა და გახალისდა ტექნიკა ლექსისა და პროზის, სისტემა სახისა, ლექსიკა, რითმა. ლექსის სინტაქსმაც კი იერი შეიცვალა“.

რასაკვირველია, ზემოთმოხსენებული სტრიქონების ავტორი გულისხმობდა სოციალისტური რეალიზმის მიერ მოტანილ მხატვრულ რეალისტურ ხერხებს, რომელნიც ეყრდნობოდნენ და ავითარებდნენ ქართული კლასიკური მწერ-

ლობის მიღწევებს. და ჭეშმარიტად ვამაყობთ ჩვენი დროის პოეტებისა და პროზაიკოსების შესანიშნავი წიგნებით. ჩვენ მუდამ უნდა გავუფრთხილდეთ და განვავითაროთ ის შესანიშნავი ტრადიცია, რომელიც საბჭოთა მწერლობამ შექმნა. უნდა წინ წავწიოთ საზოგადოებრივი ლირიკის ის ჯანსაღი ტრადიცია, რომელიც ჩვენმა პოეზიამ დაამკვიდრა. უნდა შეინახოთ და განვავითაროთ გ. ტაბიძის „ეპოქის", ალიო მირცხულავას „დამკვრელი ბრიგადების", ს. ჩიქოვანის „უშგულის კომკავშირის", კ. კალაძის „უჩარდიონის" საზოგადოებრივი ინტონაციები და პათოსი, რომლებიც 30-იან წლებში გამომუშავდა და, რომელნიც ზედმიწევნით გამოხატავდნენ იმ დიდ რომანტიკას, რაც რევოლუციამ მოიტანა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წინ უნდა წავწიოთ ის საზოგადოებრივი და სამოქალაქო ინტონაციები და მოტივები, რომელნიც სამამულო ომის ძძაფრ დღეებში შეიქმნა. აქ უნდა გავიხსენოთ ირ. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძის", გ. ლეონიძის „არ დაიდარდო, დედაოს", ი. გრიშაშვილის „ორი სიტყვის", გრ. აბაშიძის „ზარზმის ზმანების", დ. გაჩეჩილაძის „ძახილი უკვდავებისას" და სხვათა მაღალი პოეტური ინტონაციები. უნდა განვავითაროთ და წინ წავწიოთ პატრიოტული ლირიკის ისეთი მოწინავე ტრადიციები, რომელნიც გამოხატეს ირ. აბაშიძის ლექსმა „ხმა კატამონთან", ს. ჩიქოვანის ლექსმა „ვინა თქვა", ალიო მირცხულავას „ჰიმნი სამშობლოს", ალ. გომიაშვილის „ადგილის დედამ", რ. მარგიანის „ჩემმა სახლმა", მ. მაჭავარიანის „ქართულმა ენამ". წინ უნდა წავწიოთ და განვავითაროთ ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის ის მოტივი, რომელიც გამოხატეს გ. ლეონიძის ლექსებმა „ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში", ს. შანშიაშვილის ლექსმა „დედისერთა ლენინთან", ი. ნონეშვილის ლექსების ციკლმა სომხეთზე, ხ. ბერულავას პოემამ „რუსული გული", მ. ლებანიძის „ახალგაზრდობის სიმღერამ".

მაშასადამე საკითხი შეეხება ჩვენი პოეზიის საუკეთესო ტრადიციების და პოეტური ინტონაციების შენახვასა და

ვანვითარებას. მაგრამ შეცდომას დავუშვებდით, თუ დავიტოვებდით საკითხის მეორე მხარეს. ეს შეეხება იმ სქემებს, ტრაფარეტებს, ენობრივ ნატურალიზმს, რომლებიც სახოტბო პოეზიამ შექმნა ამ წლების განმავლობაში. მხედველობაში გვაქვს არა მარტო პიროვნების კულტთან დაკავშირებული პოეზია, არამედ საზოგადოდ პანეგირიკული ინტონაცია. აქ ლაპარაკია მრავალეროვან საბჭოთა პოეზიაში ფეხმოკიდებულ პანეგირიკზე და არამც და არამც ეს არ შეეხება მარტოოდენ ქართულ პოეზიას.

ჩვენ კარგად ვიცით და უწინაც ვიცოდით, რომ სახოტბო პოეზია საზოგადოდ დაბალი ფორმაა მწერლობისა. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის საქართველოს მამამ, ქართული მწერლობის დიდმა რეფორმატორმა ილია ჭავჭავაძემ, ასი წლის წინათ ბრძოლა გამოუცხადა სახოტბო პოეზიას. ასი წლის შემდეგ, ეს საკითხი კვლავ მწვავედ დადგა და ჩვენ ვალდებული ვართ უფრო არსებითად გავარკვიოთ იგი. უფრო დავუფიქრდეთ იმას, რაც მოხდა ამ მიმართულებით. და მოხდა ის, რომ ჩვენს მწერლობაში ძლიერად შემოიჭრა პანეგირიკული ინტონაციები, შემოიჭრა და გაბატონდა. ამ გარემოებამ გააღარიბა ჩვენი მწერლობა თემატურად, ინტონაციურად, გამოსახვის საშუალებითაც. დიდი ძალისა და ტალანტის პოეტები თუ ახერხებდნენ ამ შემბოჭველ ჩარჩოებში გაებრწყინებიათ ლექსი და ბოლოს კი თანდათანობით ის მძიმე ტვირთად დააწვა მთელ ჩვენს ლიტერატურას. უკანასკნელი წლების საბჭოთა პოეზიაში ხდება მსხვრევა ამ სქემებისა, ამ ერთფეროვნებისა. ენობრივი ნატურალიზმისა.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ახლა, ამ დიდი რეფორშების დღეებში ყველაფერი გარკვეული და ნათელი როდია და, არც მე მაქვს პრეტენზია, რომ ერთბაშად გავარკვიო ეს რთული საკითხები.

მე უკვე ვთქვი, რომ მართალია, ჩვენი პოეტების ერთმა ნაწილმა ამჟამად შეგნებულად თავი აარიდა პანეგირიკულ ნაკადს, რომელიც ასე ძლიერად შემოიჭრა ჩვენს მწერლობაში. მაგრამ მოხერხდა კი ეთქვათ საინტერესო, ჩვენი სუ-

ლისა და გულის გასახარელი? ვინც დღევანდელ ჩვენ პოეზიას დააკვირდება, შენიშნავს, თუ როგორი გაბედულებით დაიწყო განთავისუფლება სახოტბო პოეზიის სქემებისა და ტრაფარეტებისაგან და უნდა ვთქვათ, რომ ამ მიმართულებით ზოგი რამ უკვე გაკეთდა დამაფიქრებელი და დამახასიათებელი.

პირველ ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ირ. აბაშიძის ახალი ლექსები, დაბეჭდილი უმთავრესად ჟურნალ „მნათობში". ამ ლექსებმა ახალი ინტონაციებით გაამდიდრეს თვით ირ. აბაშიძის პოეზია, ხოლო ახლებური წარმოდგენითა და დამოკიდებულებით საგნებთან, მოვლენებთან და ცხოვრებასთან—მიიპყრეს ჩვენი ყურადღება. ეს არის ლექსების ციკლი რუსთაველზე და მისი მომდევნო ლექსები, მე ვიტყოდი დაწერილი დიდი გაბედულებითა და ნოვატორობით, რასაც პოეტი გულის კარნახით და სულის მოთხოვნილებით აკეთებს. ეს ლექსები სქემებისა და ტრაფარეტებისაგან სავსებით თავისუფალია, მას მოცილებული აქვს სახოტბო პოეზიის ძძიმე დაღი. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა—გაბედავდა, დაწერდა ასე თავისუფლად ამ ლექსებს ირ. აბაშიძე წინათ, სხვა დროს? უნდა ვთქვათ, რომ არა. ვერც დაწერდა და არც დაწერდა. ის კი არა, ზოგიერთი ახლაც, ამ ლექსებს, მართალია არა საჯაროდ, ჩუმად აკრიტიკებს და ეძებს მასში ჩვენი მწერლობის, საბჭოთა მწერლობის ტრადიციებიდან გადახვევის ცდებს, მავრამ ეს ამაო საქმეა. აქ სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ირ. აბაშიძემ თავისი საუკეთესო ინტონაციები განავითარა, უფრო თავისუფლად, გაბედულად აამოქმედა ეს ადრინდელი ინტონაცია და აქ ტყუილად ეძებენ რაიმე მცდარსა და მიუღებელს. პირიქით, მე მიმაჩნია, რომ საჭიროა ახლა ასე გაბედულად გადავხედოთ მთელს ჩვენს გავლილ გზას მწერლობაში, უკუვაგდოთ ყოველივე დრომოჭმული და სუსტი, გაბედულად წინ წავწიოთ და განვავითაროთ ყოველივე კარგი და ლიტერატურულად საინტერესო.

მაშასადამე, ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ ქართველი საბჭოთა პოეტები თავს აღწევენ ძველ სქემებს, პანეგირიკის გზას მწერლობაში და ჩვენ ამას მივესალმებით. ამავე გარემოე-

ბას ვხედავთ მეტნაკლებად გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ალ. მირცხულავას, გრ. აბაშიძის, კ. კალაძის ახალ ლექსებში. ამავე გარემოებას ვამჩნევთ ჩვენ ალ. გომიაშვილის, გ. კაჭახიძის, ი. ნონეშვილის, რ. მარგიანის, მაყვალა მრევლიშვილის, ხ. ბერულავას, ა. შენგელიას, ო. ჭელიძის, მ. ლებანიძის, ალ. ადამიას, თ. ჯანგულაშვილის, ფ. ხალვაშის ახალ ლექსებში.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო წლებში ცოტა როდი გამოქვეყნდა ახალი ლექსების წიგნი. მე მხედველობაში მაქვს შ. ამისულაშვილის, ა. თევზაძის, გ. სამხარაძის, ლ. სულაბერიძის, გ. ჯაბუშანურის, ზ. შერაზადიშვილის, ა. გეწაძის, გ. კალანდაძის, ს. ეულის, ნ. მალაზონიას, შ. ფორჩხიძის, ნ. ჩაჩავას, კ. ბობოხიძის, ა. შანიძის, ა. აბშილავას, ა. ონელის, ზ. ლორთქიფანიძის, ბ. კეშელავას, ვ. გორგანელის, ა. სინაურის, ალ. ბეგაშვილის, ვ. ჟურულის, ს. არღუნელის, ვ. გვეტაძის, ო. კუპრავას, ო. მამფორიას, ა. გელოვანის, ჯ. ნიქაბაძის, ი. ხოშტარიას, გ. ძნელაძის, მ. ქოიავას, ე. ქურდიანის, კ. გოგიაშვილის და სხვათა სულ 41 წიგნი და მაინც მცირეა ახალი, საინტერესო ლექსების რიცხვი. და მე მგონია, ინერციით სადღაც კიდევ მოქმედებს სახოტბო პოეზიის კვალი და სანამ მას საბოლოოდ არ აღმოვფხვრით, ძნელია უფრო არსებითი, კარდინალური გარდატეხა მოხდეს ჩვენს საბჭოთა პოეზიაში.

აი ერთი მაგალითი: ორი თვის წინ ჩვენ ახალი წელი აღვნიშნეთ. 1962 წელი — დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ახალი წელია და აი, ამ ტრადიციულ თემაზე ცოტა ლექსები როდი დაიწერა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შორის ვერ დავასახელებ ისეთს, რომელიც ნამდვილი, ჭეშმარიტი, მაღალი პოეზიის მადლით იყოს გაბრწყინებული. აქ არის ლექსები, რომელნიც ამავე ავტორის ადრინდელი ლექსების მიბაძვაა და ზოგი ისეთები, რომელნიც სხვას ბაძავს, სახოტბო პოეზიის ტრაფარეტს მიჰყვება, მაგრამ არც ერთი არ არის ისეთი, რომ აიტაცოს მკითხველმა და ამ წლის პოეტურ მიღწევად აღიაროს.

ვთქვათ, ისეთმა პოეტებმა, როგორიც არიან ი. გრიშაშვი-

ლი, ს. შანშიაშვილი. კ. ნადირაძე, ხ. ვარდოშვილი, შ. აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე, ს. ფაშალიშვილი, ვ. გორგაძე და სხვა, თავიანთი სათქმელი უკვე თქვეს და ახლა შეიძლება მათ კატეგორიულად ვერ მოსთხოვო ახალი სიტყვა მწერლობაში. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ არც მომდევნო თაობის პოეტების ხმები ქუხს.

ზოგი პოეტი ძალზე ცოტას წერს. თავისთავად ეს როდია ცუდი. პოეზიის საზომი მარტოოდენ რაოდენობა როდია, მაგრამ არც ისაა ნორმალური, როდესაც წლების განმავლობაში პოეტი ერთ, თუ ორ ლექსს გამოაქვეყნებს.

მაშასადამე, გამოდის, რომ ქართველი საბჭოთა პოეტების მოწინავე და ძლიერი რაზმის ხმა, მისი მაღალი პათოსი არ ეღერს ისე, როგორც ეს ადრე მოპოვებულ მის სახელს და თვით ქართული პოეზიის დროშას შეჰფერის. ამასთან დაკავშირებით მე მინდა კიდევ ერთი საკითხი დავაყენო.

პანეგირიკული პოეზიის შედეგად მიმაჩნია აგრეთვე, რომ ჩვენი პოეტები თემატიკურად მეტად ღარიბნი არიან. ცალმხრივი იყო ამ მხრივ ჩვენი ლირიკა. ჩვენი საშუალო თაობის პოეტებს ცოტას უპოვით, მაგალითად, სატრფიალო თემაზე, ბუნებაზე დაწერილ ლექსებს. დროა ჩვენმა პოეზიამ ხელი აიღოს ამგვარ ცალმხრივობაზე. ადამიანს, გარდა იმისა, რომ ის შრომობს. სწავლობს, მუშაობს, გააჩნია სხვა გრძნობაც, რომელიც ისევე აღზრდას მოითხოვს, როგორც ყოველი სხვა გრძნობა ადამიანისა.

ადამიანი, უპირველესად ყოვლისა, მშრომელი, გონიერი არსებაა. შრომაა ყოველი სიკეთისა და დოვლათის საფუძველი. და სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენი პოეზიის მთავარ თემად შრომა და შრომის რომანტიკით წარმოშობილი განწყობილება იყო. მაგრამ, ვინც ამ ბოლო წლებში დაწერილ ლექსებს დააკვირდება, დაინახავს, რომ ეს მებრძოლი რომანტიკაც მინელდა. მეორე მხრივ კი, მრავალფეროვნებამ მაინც ვერ მოიდგა ფეხი ჩვენს ლიტერატურაში. ახალგაზრდობას აღზრდა უნდა. აღზრდა არა მარტო შრომის რომანტიკით, არამედ ოჯახის, სიყვარულის, ამხანაგობის, ძმობის დიდი გრძნობით. ადამიანის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს ამ

გრძნობებს. ჩვენი პოეტების ლექსებში კი იშვიათად იპოვით სწორ, მართებულ პასუხს ამ კითხვებზე. ახალგაზრდა კაცს ლექსში უნდა შეეძლოს მონახოს თავისი მეგობარი და მრჩეველი იმ ახალგაზრდული გრძნობების სფეროშიც, რაც მას უფროსი თაობისაგან განასხვავებს. მაგრამ იპოვით თუ არა ამის პასუხს ყოველთვის ჩვენს პოეზიაში? სამწუხაროდ, ძალზე იშვიათად.

მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენს მწერლობაში გამოჩნდა ახალი ყლორტები, უფრო გაფართოვდა ფორმის, სტილის გრძნობა. მეტი ყურადღება, მეტი მუშაობა წარმოებს ლექსის ფორმის სრულყოფისათვის, მაგრამ აქაც არ გვაქვს ყველაფერი რიგზე. ჩვენს პოეზიაში, როგორც კი მწერლობა ერთგვარად განთავისუფლდა ძველი სქემებისაგან, მწერლობის ერთმა ჯგუფმა, მათ შორის ახალგაზრდობის ნიჭიერმა ჯგუფმა, ზურგი შეაქცია საზოგადოებრივი და სამოქალაქო ლირიკის საინტერესო ტრადიციას და დაიწყო რაღაც ნეიტრალური თემების ძიება და წვრილმანი გრძნობების ჩიჩქნა.

რასაკვირველია, ეს მცდარი გზაა, მაგრამ მას თავისებური ახსნა აქვს. ეს არის ერთგვარი რეაქცია იმ ენობრივი ნატურალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ასე მძიმედ დაატყდა თავს ჩვენს პოეზიას. ამ მცდარ ტენდენციას უნდა შევებრძოლოთ, მაგრამ არა ჯოხით, არა ადმინისტრირებით, არამედ განმარტებით, ლიტერატურული კამათის გზით. მით უმეტეს, ეს მცდარი უკიდურესობანი უკვე განვლილი ეტაპია მწერლობაში. მის ძირებს მივყავართ ძველთაძველ დავასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნატურალიზმსა და სიმბოლიზმს შორის გამართულ ბრძოლაში.

ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუციის პერიოდმა და საზოგადოდ მე-20 საუკუნის რევოლუციურმა ეპოქამ კრიტიკულ რეალიზმში ახალი რევოლუციური პათოსი შეიტანა და ამით არსებითად გადაახალისა ძველი მოტივები. მაგრამ შემდეგ, რეაქციასა და მსოფლიო ომის წლებში, ამ მოწინავე რევოლუციურ ინტონაციებს მაღალი განვითარებისათვის არ მიუღწევია. ამავე დროს, ყველა სუსტი პოეტი, ამოფარებული ამ აქტუალურ თემატიკას, დათვურ

სამსახურს უწევდა ახალ ინტონაციას, ე. ი. აღარიბებდა, ძირს სცემდა იმას, რაც ნიჭიერმა რევოლუციურმა პოეზიამ მოიპოვა ქართულ პოეზიაში. სუსტმა ნაკადმა თითქმის წალეკა ეს ნიჭიერად ნაპოვნი ინტონაცია, გაუსახურა იგი. ამ მძაფრი ენობრივი ნატურალიზმის ვითარებაში ქართულ მწერლობაში მწვავედ დაისვა ფორმის საკითხი. სწორედ ამ წლებში გამოვიდნენ ასპარეზზე ქართველი სიმბოლისტები და წინ წამოწეულ ენობრივ ნატურალიზმს დაუპირისპირეს ფორმის პრიმატი, ფორმით ცალმხრივი გატაცება. და ამ ნიადაგზე, პირველ წლებში, მათ უკუაგდეს კლასიკური მწერლობის ეროვნული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოტივები. შემდეგ ისინი სულ მალე მიხვდნენ, რომ ეს ცალმხრივი უკუგდება და უარყოფა კლასიკური მწერლობის ტრადიციებისა შეცდომა იყო, და ასევე შეცდომა იყო ენობრივ ნატურალიზმს დაპირისპირებული ფორმალისტური ყონგლიორობა. ისინი მხოლოდ მაშინ გახდნენ ნამდვილი და ჭეშმარიტი პოეტები, როდესაც ეს ცალმხრიობა უკუაგდეს თავიანთ შემოქმედებაში. მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ერთადერთი პოეტი, რომელმაც ყველაზე უფრო ნიჭიერად მოახერხა ქართული მწერლობის საჭელოვანი ეროვნული ტრადიციების მორიგება ახალი ეპოქის მიღწევებთან—გალაკტიონ ტაბიძეა.

გ. ტაბიძემ, ჩვენის აზრით, 1905 წლის მოწინავე ინტონაციები, თვით ევდოშვილის ინტონაციები შემოინახა და უფრო განავითარა, ვიდრე ევდოშვილის უნიჭო მიმდევრებმა. და ასე გახდა გ. ტაბიძე უახლესი ქართული ლექსის ფუძემდებელი და მეთაური. ეს ანალოგია გვაგონდება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ჯგუფის გატაცება ფორმით, ნეიტრალური თემატიკის დაპირისპირება დიდ საზოგადოებრივ ვნებებთან და საკითხებთან უთუოდ, უკავშირდება იმ ცალმხრივ გაგებას პოეზიის დანიშნულებისა, რომელიც ადრე დეკადენტურ სკოლებს ჰქონდათ. ეს უნდა განვუმარტოთ ჩვენს ახალგაზრდებს მაგალითებით, ფაქტებით და დავარწმუნოთ, რომ ეს არ არის და არ ყოფილა არასოდეს ნამდვილი და ჭეშმარიტი მწერლობის გზა, ხოლო. რაც შეეხება სიმბოლიზმს და სხვა მოდერნისტულ სკოლებს,

ისიც უნდა ვთქვათ, რომ დიდსა და ნიჭიერ პოეტებს, გენიოს პოეტებს ეს შემფერხებელი იდეური ზღუდე ამ მიმართულებისა, ყოველთვის გაურღვევიათ და, რაც მათ საუკეთესო შეუქმნიათ, ვერლენიდან დაწყებული და ბლოკით დამთავრებული, მათი დიდი ნიჭიერების ძალით უნდა ავხსნათ, რომელიც ამგვარ სასკოლო პრინციპებზე მაღლა იდგა მუდამ; ამ ნიჭიერი ერთეულების მიერ მოპოვებული მიღწევები, დიახაც, დამკვიდრდება ჩვენს ლიტერატურულ საგანძურში, როგორც გარკვეული მონაპოვარი. მაგრამ ჩვენ უნდა განვასხვაოთ დიდი ნიჭით მოპოვებული პოეტური მიღწევანი და მიმბაძველობის უსუსური ცდები. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ლიტერატურული სკოლების ბრძოლა მუდამ იყო თაობათა სხვადასხვა განმარტებისა და ინტერპრეტაციის საგანი. მიხ. ჯავახიშვილი წერდა: „მხატვრული სიტყვა, მისი ჩასახვის პირველი დღიდან, უმთავრესად რეალისტური იყო ამ ცნების უღრმესი და უფართოესი მნიშვნელობით. ასეთია იგი დღესაც და ასეთივე დარჩება მომავალში. ყოველი დანარჩენი ან მისი ნაკადებია, ან შენაკადები. რეალიზმი დედა ხეა მხატვრული ლიტერატურისა. მიწაზე დგას და მიწიდანვე ამოდის... მიწისაგან მოწყვეტას აუცილებლად მოსდევს ერის სულიერი ძალების მოდუნება და შემოქმედებითი დაქვეითება. ვისაც მიწის ალღო დაუჩლუნგდა და რეალობის გრძნობა დაეკარგა, იმას ხერხემალიც მოენგრა და კუნთებიც მოეშალა, ხოლო უძვლო და უსიცოცხლო სხეული, უეჭველად განწირულია. რეალობის მძლავრი გრძნობა და მისი გაბასრული ალღო ხელოვნებისათვის და ხალხისათვისაც უებარი დულაბია, მათი სულისა და სხეულის განმაფოლადებელი“.

ეს ადგილი იმიტომ გავიხსენეთ, რომ გვეთქვა: ქართული მწერლობის დღევანდელი მეთოდი, სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, ცხოვრების პრაქტიკით შემოწმებული გზაა, ნამდვილი ჭეშმარიტი გზაა მწერლობისა, ოღონდ ჩვენ უფრო ვრცლად, უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ ეს ცნება, ისე, როგორც ეს ესმოდათ მ. გორკის, ალ. ფადეევს და სხვა გამოჩენილ ფუძემდებლებს სოციალისტური მწერლობისა; და თუ ჩვენ ასე გავიგებთ ლიტერატურულ სკოლებს, მაშინ

არ შეგვეშინდება ლიტერატურაში უფრო გაბედული ნოვატორები ვიყვეთ, უფრო გაბედულად დავამსხვრიოთ სქემებისა და ენობრივი ნატურალიზმის კედლები.

მაშ ასე, დროა ჩვენმა პოეზიამ უფრო თამამად გასწიოს წინ, იმის ღრმა შეგნებით, რომ ცხოვრება მრავალფეროვანია და მისი ასახვა გულისხმობს არა ერთ თემას, არა ერთ ფერს, არა ერთ ინტონაციას, არა ერთ კუთხეს და ერთ სქემას ცხოვრების დანახვისას, არამედ მთელ მის მრავალფეროვნებას მისი საზოგადოებრივი პათოსით და რომანტიკით. რაც უფრო მალე დააღწევს თავს ჩვენი პოეზია, ერთი მხრივ, სქემებსა და ენობრივ ნატურალიზმს და, მეორე მხრივ, უსაგნო ლირიკის უღიმღამო ფათურს ადამიანის სულში, მით უფრო მალე წავა იგი წინ, მით უფრო მალე შეიმოსება ახალი დიდებით.

მაშ, დიდი ტკივილების, დიდი ვნებებისა, დიდი ეროვნული და საზოგადოებრივი, ინტიმური და პირადი გრძნობების მაღალი რომანტიკული პოეზიისათვის!

უფრო ძლიერად და სრულყოფილად ავსახოთ თანამედროვე ადამიანი

ჩვენში ცოტა როდი დაწერილა იმის თაობაზე, რომ პოეზიის ჟანრი ისტორიულად მოწინავე ჟანრი იყო და ასევე წამყვან დარგად დარჩა ჩვენს დროშიცო. ჩვენი აზრით, ახლა, როდესაც ქართულ საბჭოთა პროზას ამშვენებენ ისეთი თვალსაჩინო სახელები, როგორიცაა უფროსი თაობის ოსტატები — ნ. ლორთქიფანიძე, შ. დადიანი, მ. ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი, კ. გამსახურდია და მათი მომდევნო შესანიშნავი პლეადა, რომლის შესახებ უფრო ქვევით ვიტყვით, უკვე არ გვეძლევა ამის მტკიცების უფლება. საზოგადოდ, ჩვენ საბოლოოდ ხელი უნდა ავიღოთ ჟანრების დაპირისპირებაზე და ამის მიხედვით ცალკეული ჟანრის მდგომარეობისა და მიღწევების აღნიშვნაზე, და, მაინც სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენმა პროზაიკოსებმა უთუოდ საინტერესო ლიტერატურული მოვლენებით გა-

ამდიდრეს ქართული მწერლობა და ყოველივე ეს ჩვენ ჯეროვნად არ შეგვიფასებია.

ქართულ პროზას უდროოდ, სავსებით მოულოდნელად გამოეცალა ერთ-ერთი ძლიერი ბურჯი, ფრიად ნაყოფიერი მწერალი, ჩვენი მეგობარი და ამხანაგი აკაკი ბელიაშვილი და, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, ის მაშინ წავიდა მწერლობიდან, როდესაც ყველაზე უფრო ნაყოფიერად, მთელი შესაძლებლობით გადაიშალა მისი ნიჭი.

ახალი საქართველოს, ინდუსტრიული საქართველოს ერთი უმშვენიერესი პირმშო უთუოდ რუსთავ-ქალაქია. არ შეიძლებოდა ამ ქალაქის აღორძინებას, ერის ცხოვრებაში მომხდარ ამ დიდ ძვრებს გამოხმაურება არ გამოეწვია ქართულ მწერლობაში. ცოტა როდი დაიწერა ამ თემაზე. მე მხედველობაში მაქვს ა. მირცხულავას პოემა „რუსთავი“ და ამავე ავტორის ახალი პიესა „გატეხილი სურა“, ი. ლისაშვილის „ერთგულება“, გრ. აბაშიძის „რუსთავის მერცხლები“ და სხვ. და მაინც უნდა ვთქვათ, რომ ქართულმა მწერლობამ შესაფერისად ვერ წარმოსახა იმ ახალ ადამიანთა ხასიათები და სახეები, რომელთა მარჯვენით აშენდა ეს ქალაქი.და ეს მაშინ, როდესაც ქართული მარკის ფოლადმა მთელი მსოფლიო მოიარა.

სწორედ ამ საკითხს, ამ ახალი ადამიანების ასახვის საკითხს მიუძღვნა აკ. ბელიაშვილმა თავისი რომანი „ვეფხია ხალიბაური“. ეს საკმაოდ რთული პლანის ნაწარმოებია. იგი მოგვითხრობს მეტალურგიული საქართველოს ცენტრის — რუსთავ-ქალაქის შექმნის ისტორიასა და იქ დამკვიდრებული ახალი ცხოვრების პირველ დღეებზე. მაგრამ ეს მაინც ფონია. ავტორს უმთავრეს ამოცანად დაუსახავს გამოსახოს არა ეს ტექნიკური აღჭურვილობანი მეტალურგიული ქარხნისა, არა მშენებლობის პირველი კონტურები, ხარაჩოებისა და დამთავრებული სახლების აღწერილობანი, არამედ გვიჩვენოს ახალი, ტექნიკური ინტელიგენცია, ქართველი მუშათა კლასი თავისი ადამიანური ვნებებით, ფიქრებით, განცდებით, ფსიქოლოგიით და სულიერი ინტერესებით.

აკაკი ბელიაშვილის რომანში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორი შესანიშნავი ქართველი კაცის სახე, ესენია არჩილ სანებლიძე და ვეფხია ხალიბაური. არჩილი ომგადახდილი ვაჟკაცია. იგი სამამულო ომში გაიწვიეს უმაღლესი მეტალურგიული სასწავლებლის დამთავრების პირველსავე დღეებში. ფრონტზე მან თავი ისახელა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დასჭრეს და თავის საყვარელ თბილისს დაუბრუნდა. ჯერ კიდევ ჭრილობა სავსებით არ ჰქონდა მოშუშებული, როდესაც ახალი მეტალურგიული ქარხნის ასაგებად გაიწვიეს. და აი, მთელ მის თავგადასავალს მწერალი რუსთავ-ქალაქის მშენებლობის ფონზე აგვიწერს და უნდა ვთქვათ, რომ ეს სახე ისე ძლიერად არის დახატული რომანში, რომ თუნდაც მარტო ამ მოწინავე, დადებითი ქართველი ახალგაზრდა კაცის ამგვარი სულიერი ინტერესებით გამოსახვაში ნათლად ჩანს რომანის დიდი ღირსება.

რომანის მეორე გმირი ვეფხია ხალიბაურია, ხევსური ობოლი ბიჭი, სკოლადამთავრებული, პაპისეული სახლის განახლებაზე, ასევე პაპისეული, ვადაში გადატეხილი ხმლის ნაცვლად ახალი ხმლის გამოჭედვაზე მეოცნებე. ხევსურეთის მთებს შეზრდილი, ხევსურეთის ტრადიციებზე აღზრდილი ბიჭი, ზურგზე აბგამოკიდებული, ხევსურულ ტალავარში გამოწყობილი, გულის ტკივილით ეთხოვება თავის საყვარელ სალ კლდეებს, ბარში ჩამოდის, შემდეგ რუსეთში მიემგზავრება და შესანიშნავი მეტალურგი ხდება. უნდა ვთქვათ, რომ ეს სახე საკმაოდ ნათლად არის გამოკვეთილი რომანში. მე შემეძლო აქ მომეყვანა შესანიშნავი მხატვრული პასაჟები, ზოგი მათგანი ბრწყინვალედ გამოსახული. საკმარისია მოვიგონოთ რუსეთიდან დაბრუნებული ხალიბაურის მცხეთიდან ხევსურეთში მოგზაურობა და აღწერა საქართველოს ბუნებისა, ხევსურეთის სალი კლდეებისა და ამ ფონზე ხალიბაურის სულიერი ინტერესებისა.

რომანში ნათლად ჩანს, თუ როგორი სისხლხორცეული კავშირია წარსულის მოწინავე ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის. ფოლადის მწარმოებელი ქართველი კაცის შორეული წარსული ეხმიანება რუსთავის ფოლადის მწარმოე-

ბელი საბჭოთა ადამიანის ფიქრსა და განწყობილებას; მთაში, ძველ ხევსურეთში ქართული ფოლადისაგან გამოჭედილი ხმალი სიმბოლურად ამ კავშირს განასახიერებს, მის ხალხურ საწყისებზე მიგვითითებს. ამ მხრივ შესაფერისი თავები რომანისა მეტად საინტერესოდ არის დაწერილი. ვეფხია კი არ მოწყდა თავის დედაფუძეს, არამედ იმაზე ოცნებობს, რომ აქაც, ამ სალ კლდეებში, ჩიტის ბუდესავით მიდგმული ქოხები ახალ ყაიდაზე მოაწყოს და ააშენოს. ვეფხია ახალი ხევსურეთის, მისი ახალი ყოფის დამცველია და მის შეგნებაში მთა და ბარი კი არ უპირისპირდება ერთმანეთს, არამედ ახალი მთა, ახალ კულტურას, ბარის კულტურას უნდა აზიაროს და მასთან ხელიხელ გადახვეულმა იაროს.

საგანგებოდ გამოვყავი ეს ორი გმირი იმიტომ, რომ არ შეიძლება კაცმა ეს რომანი წაიკითხოს და ეს დიდი სინათლე ხასიათების დახატვისა, ეს დიდი სიმართლე ახალი ადამიანების ფსიქოლოგიის გამოსახვისა მასში არ დაინახოს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ რომანი უნაკლოა? რასაკვირველია, არა! რომანის უმთავრეს ნაკლად მიგვაჩნია ის, რომ ზოგიერთი ეპიზოდი და პასაჟი, მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით, მაღალ მხატვრულ დონემდე ვერ ადის. აქ არის ენობრივად და მხატვრულად ჩავარდნილი ცალკეული ადგილები. ზოგიერთი გმირის საქციელს ფსიქოლოგიური მოტივირება აკლია. გაიხსენეთ მაგალითად, ახალგაზრდა კაცის — ვალიკოს სიკვდილი. საერთოდ, მეტისმეტად იოლად და მარტივად არის წარმოდგენილი ეს ხასიათი რომანში. ასევე უადგილოდაა შემოყვანილი რომანში ირინე და შემდეგ მას სიუჟეტში არა აქვს გამოკვეთილი ესთეტიკური ფუნქცია. მაგრამ ეს ისეთი ცალკეული ნაკლია, რომლებიც თანამედროვეობის თემაზე დაწერილ ამ რთულპლანიან რომანს ჩრდილს ვერ აყენებენ. მე ხაზს ვუსვამ თანამედროვეობის თემას იმიტომ, რომ ახალი ადამიანების, ამ მოწინავე დადებითი გმირების წარმოსახვა ასე ადვილი არ არის და ასე ადვილად როდი ეხერხებათ ჩვენს

მწერლებს. ხოლო ჩვენთვის კი, თანამედროვე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებისათვის, იმ ადამიანთა სახეების გამოხატვა, რომლებიც ახალი ცხოვრების დიდი სიკეთის და დიდი დოვლათის შემქმნელები არიან, ისევე საჭიროა, როგორც აუცილებელი საარსებო წყარო.

ცალკე უნდა გამოვყო სამი სხვადასხვა ჟანრისა, სხვადასხვა ხასიათისა და ფორმის ნაწარმოები. ეს არის რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი", ო. იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა" და ს. კლდიაშვილის „ჭინკა ბიჭები". ამ ნაწარმოებებს აერთიანებს ერთი დიდი პათოსი, ეს არის ომის ჭრილობების და მისი სულიერი კვალის დანახვა და მხატვრული აღბეჭდვა რასაკვირველია, ამ ნაწარმოებებში სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი ომისაგან მიყენებული ჭრილობით გამოწვეული სულიერი ტკივილი.

ავიღოთ რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი". რ. ჯაფარიძის დიდი ღირსება იმაშია, რომ ის შესანიშნავად იცნობს იმ ადამიანებს, საგნებს და მოვლენებს, ყოფასა და გარემოს, სულიერ ინტერესებს, რომელსაც იგი წარმოსახავს. ამავე დროს რომანში დაწვრილებით არის ნაჩვენები ომის ის დიდი ჭრილობა, რომელიც ქართველმა ადამიანმა, ქართულმა ოჯახმა, ქართველმა ქალმა გადაიტანა. მე ვიტყოდი, მთელს ჩვენს ქართულ საბჭოთა მწერლობაში ერთი ფრიად საინტერესო ხასიათია გამოხატული — ეს არის ხათუნას სახე. სამი შვილის დედა, რომელსაც საკმაოდ შეძლებული დედ-მამა ჰყავს, დედულეთს ტოვებს და თავისი ქმრის, ომში დაღუპული ვაჟკაცის პატარა ქოხს მიაშურებს. ხათუნა საკუთარ შვილებს ისე დაკანკალებს, ოჯახის კერას ისე უვლის, ისე ხმალამოღებული პატრონობს, თითქოს შიში აქვს არავინ წაართვას ეს ოჯახი, ეს შვილები. ის მამისა და დედის ვალს — ორივეს თანაბრად თავს იდებს. მთელი ეს რთული სურათი, ამ ქალის შრომასა და გარჯაში გამოხატული, მეტად განზოგადებულია და ამაღლებული. ამ რომანის სხვა მოქმედი პირებიც ხათუნასთან ურთიერთობაში არიან წარმოდგენილი, რომანის ძირითადი კონფლიქტი ხათუნას

ხასიათის გამოძერწვას ეფუძნება და ამ მთავარი ხასიათის შექმნა უთუოდ მიღწეულია ავტორის მიერ.

რა მიგვაჩნია ამ რომანის მთავარ ნაკლად? რომანის მთავარი ნაკლი ჩვენის აზრით, ის არის, რომ პირველ ვარიანტთან შედარებით, იმ პირველ თავებთან შედარებით, რომლებსაც ჩვენ ვიცნობდით, ამ ბოლო ვარიანტს, განსაკუთრებით კი პირველ წიგნს, მეტისმეტად ეტყობა ძალდატანება სიტყვიერ მასალაზე; სიტყვას ერთგვარად დაკარგული აქვს ბუნებრივი სურნელება და დინება. ცოტა გამომშრალია იგი ამ მხრივ; როგორც თონის ცხელ პურს ასდის პირველი სურნელება და ორთქლი ახალგამომცხვარისა, ისე ჰქონდა ამ რომანს პირველ ვარიანტში იმერეთის ყოფის, ცხოვრების, ბუნების პირველშობილი უშუალობა და ბუნებრიობა, ხოლო ამ ბოლო ვარიანტში შენელებულია ეს; გაშალაშინებამ, ზედმეტმა გაშალაშინებამ, ჩემი აზრით, ამ რომანს უთუოდ ავნო. ეს ჩემი საკუთარი შთაბეჭდილებაა და შეიძლება სადავო იყოს.

ომის თემას შეეხება ოტია იოსელიანის რომანი „ვარსკვლავთცვენა". მაგრამ ეს ნაწარმოები სავსებით თავისებურია კონცეფციითაც და გადაწყვეტითაც. თხზულების უმთავრესი გმირები ბავშვები არიან, ხოლო ამ რომანის მთავარი პათოსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმაში მდგომარეობს, რომ ავტორმა გვაჩვენა რა დიდი ჭრილობა მიაყენა ომმა საქართველოს ბევრ ოჯახს, როგორ მოუშალა ბუდე და კერა როგორ წაართვა ბავშვებს ნორმალური ბავშვობის წლები, ბავშვური ცხოვრების სიხარული და როგორ ნაადრევად მოამზადა ისინი ცხოვრებისათვის.

ჩვენ დიდად გვახარებს ის უშუალობა და ბუნებრიობა, რომლითაც წარმოსახულია აქ იმერელი კაცი თავისი დამოუკიდებელი საქციელით, სიტყვა-პასუხით, მდგომარეობით. რომანის დიდ ღირსებად მიგვაჩნია, რომ ოტია იოსელიანი, როგორც მწერალი შესანიშნავად ხედავს საგნებსა და მოვლენებს და, ამავე დროს წერს დიდი ტკივილებით; იოსელიანს, როგორც მხატვარს აქვს გასაოცარი ხედვა. ეს ორი დიდი და მაღალი თვისებაა მწერლისათვის.

რასაკვირველია, არც ეს რომანია უნაკლო. ჩვენი აზრით, ოტია იოსელიანმა ნაწარმოებს ვერ მოუძებნა ფინალი, ასე ვთქვათ, წერტილი ვერ დასვა. და თუ ამ რომანს აქვს შესანიშნავი დასაწყისი, რომელიც უმალვე გვამცნობს გმირთა განწყობილებას და სულიერ სამყაროს, ფინალში ასეთივე ძალით არ ჩანს ხასიათების ლოგიკური დამთავრება.

ასე გამოდის, ყოველ კარგ ნაწარმოებს, რომელსაც მე ვიხილავ, ნაკლიც აქვს, მაგრამ, არის ისეთი ნაწარმოებიც ქართულ პროზაში, რომელსაც ნაკლს ვერ მოუძებნი. სწორედ ასეთ ნაწარმოებად მიმაჩნია ს. კლდიაშვილის პატარა ნოველა, „ჭინკა ბიჭები". ისიც ომის თემას ეხება, სულ 3 თუ 4 გვერდისაგან შესდგება, მაგრამ ისეთი დიდი სულიერი ცხოვრება აქვს მწერალს წარმოდგენილი, ისეთი დიდი ტკივილებია აქ გადმოცემული, ისე ეკონომიურად და მოხერხებულად, რომ ვერც ერთი სქელტანიანი რომანი მეტს ვერ იტყოდა.

უკვე რამდენიმე წელია კ. ლორთქიფანიძე მუშაობს ახალ რომანზე — „ნატვრის თვალი". პირველი ნაწილის დაბეჭდვის შემდეგ მან კვლავ გამოაქვეყნა რომანის ახალი თავები. როდესაც ამ ნაწარმოებს კითხულობთ, პირველი შთაბეჭდილება ის არის, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მაღალ პროფესიულ მწერალთან, რომელიც ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება და ამ პასუხისმგებლობის გრძნობით ხატავს ყოველ ეპიზოდსა და სურათს. ამავე დროს, ავტორი მეტად გაბედულად წარმოგვიდგენს საკოლმეურნეო ცხოვრების იმ რთულ ვითარებას, რომელიც თან ახლავს საკოლმეურნეოფელს და ამ ფონზეა გამოკვეთილი მთავარი ხასიათები ამ რომანისა. ეს რომანი დაწერის თვალსაზრისით რომ შევადაროთ კ. ლორთქიფანიძის ადრინდელ ნაწარმოებებს, ნათლად გამოჩნდება, თუ რა ახალი ფერებითა და საღებავებით გამდიდრდა მწერლის წერის მანერა და როგორ თანდათანობით სრულყოფს ეს შესანიშნავი ოსტატი ქართული სიტყვისა მხატვრულ პალიტრას. ერთადერთი საყვედური, რომელიც ლორთქიფანიძეს შეიძლება ვუთხრათ, ის არის, რომ

ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, შესანიშნავია, კარგია, მაგრამ მწერალი მეტისმეტად ნელი ტემპით მუშაობს. ჩვენ დიდი ხანია მოველით მისგან ამ რომანის დამთავრებას, მაგრამ აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ლიტერატურაში გადამწონი და არსებითი მნიშვნელობა მაინც იმას აქვს, რომ ნაწარმოების ლიტერატურული ხარისხი იყოს აყვანილი თანამედროვე მაღალი ლიტერატურის დონემდე და ამ თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ კ. ლორთქიფანიძე სავსებით თანამედროვე მხატვარია.

ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე დაიბეჭდა გრ. აბაშიძის მოთხრობა „შემოღამება ქვევრში". ამ მოთხრობაში შესანიშნავად არის გამოხატული შრომაში, ხალხის სამსახურში გაჭაღარავებული ხელოვანი კაცის — ელიზბარის თავგადასავალი. შემდეგ ეს მეტად განზოგადებულია და პრობლემატურად დაყენებული. მოთხრობის დედააზრი გახსნილია ფინალში, სადაც ავტორმა ხაზი გაუსვა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება, იზრდება, ბერდება, კვდება. ამ მხრივ მან დაბერებულ ვენახს შეადარა ელიზბარის ცხოვრება. და საქმე ის არის, რომ ადამიანმა თავისი გრძელი თუ ხანმოკლე სიცოცხლე ისე უნდა გაატაროს, ისეთი ნაყოფი მოუტანოს ხალხს, როგორც ელიზბარსა და მისი ძმის ვენახს მოჰქონდა მთელი წლების განმავლობაში ოჯახისათვის. ამ აზრით უაღრესად ოპტიმისტურია ამ მოთხრობის პათოსი, მიუხედავად იმისა, რომ ეს საერთო ოპტიმისტური პათოსი ერთგვარად შენელებულია ელიზბარის ქვევრში სიკვდილის სცენით, მაგრამ ეს სევდიანი ინტონაცია ხელს არ უშლის მოთხრობის საერთო ოპტიმისტურ პათოსს.

ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა იმავე ჟურნალში დაბეჭდილმა ა. სულაკაურის მოთხრობამ „ბიჭი და ძაღლი". ეს მოთხრობა გვხიბლავს ბოროტებისა და კაცთა სიავის წინააღმდეგ ამხედრებული ჰუმანიზმით. მეგობრობა, რომელიც დამყარდა პატარა ბიჭსა და ქუჩის ძაღლს შორის, რომელთაც სურთ თავი დაიცვან მუკოს თავდასხმისაგან — სიმბოლურად მიგვანიშნებს ადამიანის ბრძოლას თავდასაცავად, ხოლო ბიჭი ძაღლის ნომრით ხელში, უკანონო მოქმედების წინააღ-

მდეგ გვამხედრებს. ეს მოთხრობა ყოფითი დეტალებით, ცხოვრებისეული ფერებითა და სტილის ორიგინალობით უთუოდ ერთი საინტერესო ნაწარმოებია.

ჩვენ ზევით სამართლიანად შევაქეთ ოტია იოსელიანის რომანი „ვარსკვლავთცვენა“.

ასეთივე ქებით ვერ მოვიხსენიებთ ოტია იოსელიანის ორ ბოლოდროინდელ ნოველას, რომლებიც „ცისკრის“ მე-11 ნომერში დაიბეჭდა; აქედან პირველი — „მეწისქვილის ქალიშვილი“ დაწერილია ნიკო ლორთქიფანიძის გავლენით, აქ ნ. ლორთქიფანიძისაგან წამოღებულია თვით ინტონაცია, ფრაზაც კი — „გახსოვს, ბეკო, გახსოვს“. „მეწისქვილის ქალიშვილის“ ეს პირველი ნაწილი, სადაც ნიკო ლორთქიფანიძის სამყაროსთან—იმერეთთან გვაქვს საქმე, ცუდი როდია. ცუდია მისი მეორე ნაწილი. უფრო სუსტია მეორე ნოველა „ნაცრისფერი დღე“. ეს ენობრივად დაუმუშავებელი, უცხოური ხასიათების გავლენითა და განწყობილებით დაწერილი ნაწარმოები უფრო თარგმანს ჰგავს, ვიდრე ორიგინალურ მოთხრობას. ო. იოსელიანის დიდ ღირსებად მიმაჩნია, რომ ის შესანიშნავად ხედავს და გრძნობს მიწიერ სამყაროს, მთელ გარემოს, ადამიანებს, ხოლო როგორც კი მან სცადა მოცილებოდა ამ მიწას, ეროვნულ ფუძეს, მაშინვე მარცხი განიცადა და ეს საზოგადოდ გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდა მწერლებისათვის.

მოწონებას იმსახურებს „მნათობში“ (№ 11) დაბეჭდილი ედიშერ ყიფიანის მოთხრობა „ოქროსფერი ანაფორები“; აქ ორიგინალურად და საინტერესოდ არის გადმოცემული ატომური ომისაგან მოტანილი ხიროსიმას ტრაგედია. თვითმფრინავის პილოტი, რომელმაც ასი ათასზე მეტი ადამიანი გააქრო, ბერად შედგა, „მონასტერში წავიდა ცოდვების მოსანანიებლად, რამხელა ღმერთი უნდა ჰყავდეს იმ ბერს?“—კითხულობს განცვიფრებული ავტორი და ეს კითხვა საბრალმდებლო სიტყვებად გაისმის ყველა იმათ მიმართ, ვინც კაცობრიობას ახალ ატომურ ომს უმზადებს.

ცალკე უნდა გამოვყოთ გიორგი ლეონიძის ახალი მოთხრობები, რომელნიც ამ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა.

გ. ლეონიძე ქართულ პროზაში პოეზიიდან მოვიდა, მაგრამ აქ სიტყვა „მოვიდა“, მე მგონია, არ იქნება ზუსტი; როცა ჩვენ გ. ლეონიძის მოთხრობებს ვეცნობით, ვრწმუნდებით, რომ ეს მოთხრობები ავტორს ალბათ ადრე ჰქონდა დაწერილი და დამუშავებული. ახლა მას მიუბრუნდა, გადაამუშავა და გამოაქვეყნა. ასეა თუ ისე, უმთავრესი მაინც ის არის, რომ ამ მოთხრობებმა გ. ლეონიძის სახელი, როგორც ქართული სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატისა, კვლავ გამოაბრწყინეს. გ.ლეონიძის ეს მოთხრობები გვხიბლავს ლექსიკურ-ენობრივი ბარაქით, შესანიშნავი პოეტური მეტყველებით, მაღალი ჰუმანიზმით, ადამიანური ხასიათების განზოგადებით, რომლითაც ასე დამახასიათებლად გვევლინებიან გმირები გარდასული საზოგადოებრივი ყოფისა და ცხოვრების გამომხატველებად. ამ მხრივ განსაკუთრებულად შთამბეჭდავია მოთხრობა „დავიწყებული სადღეგრძელო“; ოღონდ აქვე უნდა ითქვას, რომ სასურველია გ. ლეონიძის პროზის სამყაროში, მის ძველ ნაცნობ-მეგობრებთან და ძველი დროის ადამიანებთან ერთად ასევე განზოგადებულად გამოჩნდნენ ჩვენი დროის ადამიანები თავიანთი სულიერი ინტერესითა და ცხოვრებით.

გ. ნატროშვილი ქართულ პროზაში სამამულო ომიდან შოვიდა და თან მოიტანა ბევრი დამახასიათებელი ფერი და ხასიათი. მისი მოთხრობები გვხიბლავს ცხოვრებისეული ოპტიმიზმით, უშუალობითა და სიმართლით.

ცალკე უნდა აღინიშნოს ალ. ქუთათელის ორ წიგნად გამოსული, ოთხკარიანი რომანი „პირისპირ“. ეს, არსებითად, ამ რომანის ახალი ვარიანტია, ან, ყოველ შემთხვევაში გადამუშავებული ვარიანტი ადრინდელი რომანისა. იგი საკმაოდ თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს მწერლობაში.

ცოტა უფრო ადრე გამოქვეყნდა კონსტ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, დ. შენგელაიას „განძი“ და გ. შატბერაშვილის „მკვდრის მზე“. ქართულმა საბჭოთა ლიტერატურულმა საზოგადოებამ ამ წიგნების შესახებ თავისი შეხედულებანი უკვე გამოთქვა. ზოგი ამათგანი მძაფრი კამათის და აზრთა სხვადასხვაობის საგანი გახდა. ადრეც

შითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ სამივე ეს ნაწარმოები ჩვენი ლიტერატურის საინტერესო შენაძენად მიმაჩნია.

ამ წლების განმავლობაში საინტერესო ნაწარმოები გამოაქვეყნა ლ. გოთუამ, გრ. ჩიქოვანმა, დ. სულიაშვილმა, თ. დონეაშვილმა, ბ. ჩხეიძემ, ელ. ზედგინიძემ, ე. ფეიგინმა, მიხ. მრევლიშვილმა, ლ. ავალიანმა, ა. გაწერელიამ, ო. ჩხეიძემ, მამია ასათიანმა, დ. კვიცარიძემ, ო. დგებუაძემ, პ. ლორიამ, ა. ჭუმბაძემ, ა. ლომიძემ, ილია რურუამ, თენგიზ გოგოლაძემ, ი. ურჯუმელაშვილმა, ა. ჩაჩიბაიამ, ელ. მაისურაძემ, გ. გოგიჩაიშვილმა, ელ. უბილავამ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს მივუძღვენით ჩვენი პროზის ერთი დიდი კრებული, რომელშიაც თავმოყრილია ის საუკეთესო მოთხრობები, რაც ამ ბოლო დროს დაიწერა და უნდა ვთქვათ, რომ ცოტა როდია აქ კარგი მოთხრობა.

გამოვიდა ნარკვევების რამდენიმე საინტერესო კრებული, სადაც შეტანილია ს. წვერავას, ე. ზედგინიძის, მ. გვასალიას, სოსო კორინთელის, კ. გოგიავას, ნ. წულეისკირის, ლ. სულაბერიძის, ს. იორამაშვილის, ვ. თორდუას, კ. მუმლაძის და სხვათა ნაწარმოებები.

ამ მიმოხილვიდან ნათელია, რომ ქართულ პროზაში ამ ბოლო დროს ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ თუ ყველაფერს ამას შევუფარდებთ იმ დიდ მოთხოვნილებას, იმ დიდსა და მაღალ თვალსაზრისს, რომელსაც ჩვენი განათლებული, კვალიფიციური საბჭოთა მკითხველები უყენებენ მწერლობას, ნათელი გახდება, რომ ქართველი პროზაიკოსები ჯერ კიდევ ვალში არიან ჩვენი სამშობლოს, ხალხის წინაშე.

ქართველმა პროზაიკოსებმა უფრო საინტერესოდ, უფრო მღელვარედ უნდა წარმოსახონ ახალი ადამიანები, ახალი დიდი ცხოვრების მშენებელი ადამიანების მოწინავე. განზოგადებული სახეები და ხასიათები, რომლებიც ათასთა და ათი ათასთა მიბაძვის საგანი გახდება შემდეგ. ჩვენმა მწერლობამ და კერძოდ ქართულმა პროზამ ასევე უნდა ამხილოს ის მახინჯი მხარეები, ის მიმთვისებლები, მფლანგველები, პარაზიტები, რომელთა რიცხვი ჯერ კიდევ ცოტა როდია ჩვენს

საზოგადოებაში. და არა მგონია, მართალი იყვნენ ის ამხანაგები, რომელნიც უარყოფითი ხასიათის განზოგადების წინააღმდეგნი არიან. არა მგონია, ვინმე აქეთკენ უბიძგებდეს ჩვენს მწერლობას, პირიქით, კომუნისტური პარტია, მისი ხელმძღვანელები ყოველდღე ამახვილებენ ჩვენს ყურადღებას ჩვენი ცხოვრების ამ ზედმეტი ადამიანების წინააღმდეგ და, თუ არა მწერალს, ვის ევალება მძაფრად, დაუნდობლად ამხილოს საზოგადოებრივი ცხოვრების ეს მუქთახორები.

სწორ ნიადაგზე დავაყენოთ მწერლობისა და თეატრის ურთიერთობა

მწერლობა, რასაკვირველია, ვალდებულია იყოს პასუხისმგებელი და მონაწილე იმ მდგომარეობისა, რომელიც ამჟამად თეატრსა და კინოხელოვნებაშია შექმნილი. და მთელი პასუხისმგებლობით, უნდა ვთქვათ, რომ აქ მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა.

ვინც ქართული თეატრის მსახიობთა კადრებს იცნობს, დამეთანხმება, რომ თეატრის შემოქმედებითი ძალები შესანიშნავია. ასევე, ვინც ქართულ დრამატურგიას იცნობს, არა მგონია თქვას, რომ ქართველი საბჭოთა დრამატურგები სუსტ ძალას წარმოადგენენ. უფრო მეტს ვიტყოდი, ქართული დრამატურგია არასოდეს ყოფილა ისე ახლო ქართული პოეზიის, ან პროზის ჟანრებთან თავისი მდგომარეობით, როგორც დღეს არის. როგორადაც არ უნდა ვამტკიცოთ დრამატურგიის ჩამორჩენილობა, მაინც ფაქტია, რომ თავისი ლიტერატურული დონით და კადრებით იგი ძლიერ ძალას წარმოადგენს. მაშინ, თუ ეს ასეა, რატომ არის ჩვენი თეატრის მდგომარეობა ასე საკამათო? ჩვენი აზრით, ამის უმთავრესი მიზეზია თეატრალური ხელოვნების და მწერლობის ურთიერთობის ცუდი ორგანიზაცია.

ის დიდი სიყვარული და ნდობაც, ის იმედი და დაყრდნობა მწერლობაზე, რაც ასე დამახასიათებელი იყო ქართული თეატრისათვის, სადღაც გაქრა და დაიკარგა. როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართულ თეატრში მოვიდნენ ცნობილი რეფორმატორები და ფუძემდებელნი ჩვენი ახალი თეატრისა—კოტე მარჯანიშვილი და ალექსანდრე ახმეტელი, ვის ეყრდნობოდნენ ისინი? ჩვენს მწერლობას, ჩვენს დრამატურგიას, მათ რჩევას უგდებდნენ ყურს, მათთან მუდმივი ურთიერთობა, პირადული და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული. ეროვნული თეატრის რეპერტუარი ეყრდნობოდა შ. დადიანის, ს. შანშიაშვილის, პ. კაკაბაძის, კ. კალაძის, ი. ვაკელის, მიხ. მრევლიშვილის, ვ. გაბესკირიას, გ. შატბერაშვილის, გ. ნახუცრიშვილის და სხვების ნაწარმოებებს. და თვით არა დრამატურგებიც კი—ალ. მირცხულავა, დ. შენგელაია, ალ. ქუთათელი და სხვები ამ დიდ თეატრალურ საქმეში იყვნენ ჩაბმულნი. მე ვიტყოდი, ეს დიდი შემოქმედებითი ურთიერთობა და ატმოსფერო თითქმის გაქრა. ახლა თეატრი ცალკეა, მწერლობა ცალკე.

არის თუ არა ნორმალური, რომ ჩვენი დღევანდელი თეატრის რეპერტუარში არ არის შ. დადიანის, ს. შანშიაშვილის, მიხ. მრევლიშვილის, ი. ვაკელის, ვ. გაბესკირიას პიესები? ეგებ თქვან, რომ მათ ახალი არაფერი შეუქმნიათ? ჯერ ერთი, საქმე ეთლად ასე როდია. პ. კაკაბაძემ დაწერა ახალი პიესა, ის რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრში მიიტანა, მაგრამ დიდი დაინტერესება და ყურადღება მათი მხრივ ვერ იპოვა, ხოლო ამ ვითარებაში, ავტორისაგან დაუკითხავად, ჭიათურის თეატრის კოლექტივმა წაიღო ეს პიესა და, ამბობენ, დიდი წარმატებით მიდისო. ხოლო ი. ვაკელის ახალი პიესა, რომელიც მწერლებს მოეწონათ, რუსთაველის თეატრის კოლექტივმა არ დადგა. ასევე მოექცნენ ვ. გაბესკირიასაც მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. არც მ. ბარათაშვილის და ო. ჩიჯავაძის პიესებს რგებია დიდი ყურადღება ჩვენი თეატრების მხრივ. ანდა ავიღოთ გრ. აბაშიძის ორი ახალი დრამატული ნაწარმოები „მოგზაურობა სამ დროში“ და „დედა“. ორივე ეს ნაწარმოები, ჩემი აზრით, და საერ-

თოდ ქართველი მწერლობის აზრითაც, როგორიც არ უნდა იყოს ამ პიესების ცალკეული ნაკლოვანი მხარეები, საინტერესო ლიტერატურული მოვლენებია, გემოვნებით, კულტურით, პროფესიული წერის მანერით შექმნილი. როგორი იყო მათი ბედი? ერთი ამ პიესათაგანი მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დადგა. ამ ბრწყინვალე კოლექტივმა ვერაფერი მიუმატა პიესას. უფრო მეტი, ვერ გახსნა მისი ძირითადი მხატვრული ჩანაფიქრი და ხასიათები. ამიტომ სუსტი, მეტად სუსტი სპექტაკლი გამოვიდა. ვინ იყო ამაში დამნაშავე? რასაკვირველია, დამდგმელი რეჟისორი. მეორე პიესა არც ერთმა ქართულმა თეატრმა არ განახორციელა, ხოლო გრიბოედოვის სახელობის თეატრში ეს პიესა სუსტად დაიდგა.

მე, რასაკვირველია, არ ვიზიარებ იმას, რომ რაც ახალგაზრდობის სახელით დაიწერა და დაიდგა თეატრში, თითქოს უკლებლივ კამათსა და დავას იწვევდეს. არა, ეს არ იქნებოდა მართებული. მე პირადად მგონია, რომ ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილები“ და ზოგი სხვაც ჩვენი თეატრის რეპერტუარში შევა როგორც ახალგაზრდა დრამატურგების ნიჭიერად დაწერილი საინტერესო ცდები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდობის იარლიყით ყველა სუსტსა და უნიჭო პიესას კარი გაუხსნან ჩვენმა თეატრებმა. ახალგაზრდობა და ხანდაზმულობა, თავისთავად, არც ერთი არ აძლევს შეღავათს დრამატურგს; როცა მაყურებელი თეატრში მიდის, ის პიესის ავტორის დაბადების თარიღს როდი კითხულობს, მას პიესის ხარისხი აინტერესებს. სწორედ ხარისხი, დრამატული ნაწარმოების ხარისხია მთავარი და არა ავტორის დაბადების თარიღი.

რა გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან თეატრს? მე ვიტყოდი, მხოლოდ და მხოლოდ გონივრული, პატრიოტული და პროფესიული ხელმძღვანელობა და წარმართვა საბჭოთა თეატრებისა. კულტურის სამინისტრომ და მწერალთა კავშირმა გადამჭრელი, არსებითი ღონისძიებები უნდა დასახოს თეატრისა და მწერლობის ურთიერთობის მოწესრიგებისათ-

ვის. ჩვენ სრული წესრიგი უნდა დავამყაროთ ამ ურთიერთობაში. სხვა გამოსავალს ამ საქმეში ვერ ვხედავთ და არც არის. სხვა მხრივ ჩვენს თეატრს ყველა პირობა აქვს, რომ ის ნამდვილად იყოს ჩვენი საბჭოთა საქართველოს, დიდი ეროვნული კულტურის ისეთივე ბრწყინვალე და რომანტიკული კერა, როგორიც იყო და არის, რასაკვირველია, დღესაც, საერთოდ აღებული მისი საუკეთესო რეპერტუარით.

* * *

ამ ბოლო წლებში ცოტა როდი დაიწერა ჩვენი ნორჩი მკითხველისათვის. აქ შემეძლო დამესახელებია არა ერთი და ორი საინტერესო და ნიჭიერი ნაწარმოები. ამ საქმის ორგანიზაციაში დიდ როლს ასრულებს გამომცემლობა „ნაკადული". მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვუსაყვედუროთ საბავშვო მწერლებს, რომ ჯერ კიდევ ცოტაა საკითხავი წიგნი, რომელიც აღზრდის, წარმართავს ჩვენი ბავშვების სულიერ ცხოვრებას და მათს გონებრივ მოთხოვნილებას. საბავშვო მწერლობის საკითხებს ამ უახლოეს დროში სპეციალურ პლენუმს მივუძღვნით და ამიტომ უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე აღარ შევჩერდები.

ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა

უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა მწერლობაში მოვიდა ფრიად ნიჭიერი ახალგაზრდობა, განათლებული, პროფესიული ნიჭიერების მადლით დაჯილდოვებული. ზოგმა მათგანმა უკვე მიიპყრო ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება და ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში მათ შემოქმედებას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. მე მხედველობაში მყავს მ. მაჭავარიანი, ა. კალანდაძე, ო. იოსელიანი ა. სულაკაური, ნ. ღუმბაძე, ლ. მრელაშვილი, მ. ქვლივიძე, მ. ფოცხიშვილი, თ. და ო. ჭილაძეები, ე. ყიფიანი, რ. ინანიშვილი, ჯ. ჩარკვიანი, რ. ბეჟანიშვილი, ტრაგიკულად დაღუპული

გ. რჩეულიშვილი, მ. ელიოზიშვილი, შ. ნიშნიანიძე, ნ. წულეისკირი, ნ. კილასონია, მ. კახიძე, ნ. გურეშიძე, ო. შალამბერიძე, ვ. ჯავახაძე, ტ. ჭანტურია, ს. დემურხანაშვილი, გ. გეგეჭკორი, თ. ნატროშვილი და სხვ. ზოგიერთმა მათგანმა უკვე დაიმსახურა ყურადღება ჩვენი მწერლობისა და სიყვარული მკითხველისა. მათ ყურადღება მიიპყრეს ახალი ინტონაციებით, ფორმის კულტურით, რითაც გაბედულად შემოაღეს ქართული ლიტერატურის კარები.

პრიმიტივიზმი, ფორმის სიღატაკე დამღუპველია მწერლისათვის. ცნობილია, რომ ახალი ძიებაში იბადება და ამ მხრივ ბევრი რამ საინტერესო გააკეთეს ჩვენმა ახალგაზრდებმა. ეს ფაქტია და ამის დამალვა მართებული არ იქნებოდა. მაგრამ ლიტერატურაში ცნობილია, რომ ძიება მხოლოდ მაშინ არის მიზნობრივი, როდესაც იგი ეროვნული ტრადიციების განვითარებას ეხმაურება და ამ ძიებას არ ასდის ეპიგონობის, მიმბაძველობის სუნი. ყველაზე საშიში ამჟამად ის არის, რომ ზოგ ახალგაზრდას მექანიკურად გადმოაქვს საზღვარგარეთული მწერლობის სქემები და ხასიათებიც კი და დავიწყებულია ეროვნული, ქართული ლიტერატურისა და ადამიანის ხასიათი. ეს ყველაზე საშიში გზაა, თემატურადაც და ენობრივადაც შორდებიან ასეთი მწერლები ეროვნულ ნიადაგს. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა არ მიმართავდეს უცხოელი მწერლების მიღწევებს, არ იყენებდეს მას. პირიქით, დღეს ძნელია წარმოვიდგინოთ მწერალი, ახალგაზრდა იქნება იგი თუ ხანდაზმული, საერთაშორისო დიდი ლიტერატურის ცხოვრების გარეშე. მაგრამ ეს სხვა არის და ეპიგონობა კიდევ სხვა. ბევრ შემთხვევაში, როდესაც ახალგაზრდა მწერლების ამ ძიებით აღბეჭდილ ნაწერებს კითხულობთ, კარგად ხედავთ, რომ მათ არ აკლიათ გარეგნული ბრწყინვალება, ფორმის გრძნობა, არც ტექნიკური ნაკლი აქვთ და მაინც მათში არ არის ის დიდი სული, ის დიდი სუნთქვა, ის დიდი ეროვნულ-საზოგადოებრივი ვნებები, რომლებიც აღელვებენ კაცს. ამიტომ ხშირად ამ ნაწარმოებებს უსაგნო, უმისამართო, უმიზნო ხასიათი აქვს. ამ მხრივ სავსებით სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ზოგიერთი ახალ-

ვაზრდა მწერლის ნაწარმოები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ იდეოლოგიის საკითხებზე გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე.

საქართველოს ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებები გაკრიტიკებული იყო საკავშირო მწერალთა კავშირის პლენუმზეც, აქაც სავსებით მართებული იყო ეს კრიტიკა. ეს ასეა, მაგრამ, ჩვენი აზრით, როდესაც ამ ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებებს ვახასიათებთ, არ უნდა შევაფასოთ ახალგაზრდა ავტორის იდეური პოზიცია ცალკე აღებული რომელიმე ნაწარმოების თუ ერთი ლექსის მიხედვით. და მერე არ შეიძლება ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს, მათ გატაცებას ძიებით მივაწებოთ უცხო იდეური იარლიყები და დეკადენტური სკოლების სახელები, არა მგონია საჭირო იყოს, რომ ა. კალანდაძის, ან მ. მაჭავარიანის შემოქმედებაში, შესანიშნავ მათ პოეტურ ძიებაში და ზოგიერთ შეცდომაშიც ჩვენთვის მოწინააღმდეგე ლიტერატურული ბანაკების ცოდვები ვეძებოთ. ამ ნიჭიერ ახალგაზრდობასთან, კომკავშირში აღზრდილ ახალგაზრდობასთან სხვანაირი კამათი, ლიტერატურული კამათი უნდა გვქონდეს; რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავს, რომ ჩვენს ახალგაზრდობას იდეურ-ლიტერატურული აღზრდა უნდა. მაგრამ ეს აღზრდა უნდა წარმოებდეს მეტი სიფაქიზით, მეტი ამხანაგური დამოკიდებულებით. მეტი მხურვალე სიყვარულით დავინახოთ მათ ნაწარმოებებში ის ლიტერატურულად ახალი და საინტერესო, რაც მათ მოიტანეს ჩვენს ლიტერატურაში, მეტი ნდობა და მეგობრული დამოკიდებულება ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდებს, რაც კრიტიკასა და განხილვას მათი წიგნებისას, რასაკვირველია, არ გამორიცხავს.

მე უკვე ვთქვი, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენს მწერლობაში მოვიდა ფრიად ნიჭიერი ახალგაზრდობა და მათ შორის ზოგმა უმალვე მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ამ შემთხვევაში მხედველობაში მყავს ორი სხვადასხვა ხასიათისა და ბუნების პოეტი — მუხრან მაჭავარიანი და ანა კალანდაძე. ისინი სხვადასხვა სტილის პოეტები არიან. ა. კალანდაძემ ძველი ქართული მწერლობის წიგნური სურნელება, წარმტაცი რომანტიკა მოიტანა ჩვენს მწერლობაში და ისე ბუნებრივად, ისე

საინტერესოდ, რომ ჩვენი ყურადღება ერთბაშად მიიპყრო. მის არქაულ ფრაზასა და ლექსის კონსტრუქციაში, თუ ლექსის საერთო ქსოვილში ჩვენ თანამედროვეობისაგან განდგომის ერთგვარი საშიშროება დავინახეთ, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა მართალი. მუხრან მაჭავარიანი კი სხვა გზით შემოვიდა ქართულ პოეზიაში, იგი გაშლილი მკერდით, ჩვენი ცხოვრების დიდი რომანტიკით, ბუნების დიდი სურნელებითა და სუნთქვით შემოვიდა მწერლობაში. მუხრან მაჭავარიანისა და ანა კალანდაძის პირველი წიგნები, მე ვიტყოდი, სანიმუშო და სამაგალითო წიგნებია ახალგაზრდულ პოეტურ ბიოგრაფიაში. მაგრამ აქ საკითხის მეორე მხარეს მინდა მივაქცია ყურადღება: ა. კალანდაძემაც და მ. მაჭავარიანმაც, პირველი წიგნების შემდეგ ახალი და საინტერესო ლექსებიც დაწერეს, ოღონდ ისინი ხან იმეორებენ თავიანთ თავს, ხან კიდევ უფრო დაბლა ეშვებიან ვიდრე მათ მოპოვებულ პოეტურ სახელს და ინტონაციას შეეფერება.

* * *

ჩვენმა ლიტერატურათმცოდნეობამ და კრიტიკამ ამ ბოლო წლებში ცოტა როდი გააკეთეს, ცოტა როდი დაიწერა კარგი წიგნი, კარგი წერილი. მათ დასახელებას და გარჩევას არ შევუდგებით იმიტომ, რომ ახლახან ჩატარდა დიდი თათბირი კრიტიკოსებისა და ეს საკითხები და პრობლემები ვრცლად იყო განხილული. მაგრამ მე მაინც უნდა ვთქვა, ჩვენი კრიტიკა რომ უფრო მძაფრი და მებრძოლი იყოს, მაშინ ჩვენს მწერლობაში ბევრს ჩამოერთმეოდა მისთვის უკანონოდ მიკუთვნებული მაღალი „ჩინი“. სამწუხაროდ ისე, როგორც ჩვენს პოეზიაში, ასევე კრიტიკაშიაც, ძლიერად ფეხმოკიდებულმა სახოტბო შეფასებებმა თავის განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია და დროა ახლა მაინც უკუვაგდოთ კრიტიკის ეს სახოტბო ხასიათი.

ჩვენი კრიტიკოსები ბევრ შემთხვევაში არ განიხილავენ მთელ რიგ ახალ წიგნებს, რაც ასე მოზღვავებულად გამოდის ყოველწლიურად. ისიც უნდა ითქვას, რომ დუმილი უთუოდ არის თავისებური ფორმა კრიტიკისა და, როდესაც კრიტიკო-

სები მხოლოდ კარგ წიგნებს განიხილავენ და სუსტ წიგნებს გვერდს უვლიან, ეს ნიშნავს რომ ამ გვერდავლილ წიგნებში ყველაფერი რიგზე არ არის.

წიგნების განხილვა და გარჩევა არა მარტო ჟურნალებისა და გაზეთების საშუალებით უნდა ხდებოდეს, არამედ ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ, უპირველეს ყოვლისა მწერალთა კავშირის შემოქმედებითმა სექციებმა. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი შემოქმედებითი სექციები არ იხილავდნენ ხელნაწერებს, დაბეჭდილ წიგნებს, მაგრამ ამ მხრივ მაინც ყველაფერი რიგზე არ არის. მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაცია იმიტომ არსებობს, რომ იგი დაეხმაროს და ღირსეულად დაეხმაროს ყველა მწერალს, ახალგაზრდა იქნება იგი თუ ხანდაზმული, რჩევით, განხილვით, მწერლის გაგზავნით ადგილებზე, ჩვენი ცხოვრების მღელვარე დღეების და ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომის უშუალოდ გასაცნობად. ამ მხრივ გვმართებს უფრო მეტი ორგანიზაციული საქმიანობა მწერალთა კავშირში. ახლა კი ცოტა როდია შემთხვევა, როდესაც ახლად დაწერილი პიესა, ლექსების ციკლი, მოთხრობები და რომანები არ იხილება ხელნაწერების სახით სექციებში, არ სწარმოებს სჯა-ბაასი და კამათი მათ გარშემო. ჩვენი ჟურნალ-გაზეთების, სექციების, სამდივნოს, პრეზიდიუმის მუშაობა ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებას მოიცავს.

მწერალთა კავშირი, მისი პრეზიდიუმი არ აქცევს შესაფერ ყურადღებას არც განყოფილებების მუშაობას. ახლა ჩვენს განყოფილებებში — ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ცხინვალში გაიზარდნენ, დაწინაურდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები. ამ ქალაქებში ცოტა როდი იწერება და იბეჭდება, მაგრამ არ ხდება ამ პროდუქციის გარჩევა, მისი შემოწმება. ჩვენ უახლოეს ხანაში განზრახული გვაქვს მოვაწყოთ პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომები ბათუმში, ქუთაისში, მოვისმინოთ მწერალთა კავშირში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მწერალთა განყოფილებების ანგარიში და დავსახოთ შესაფერი ღონისძიებანი ამ მიმართულებით. და ყველაფერი ეს უნდა შევუფარდოთ იმ დიდ ამოცანებს, რომლებსაც XXII ყრილობა აყენებს ჩვენს წინაშე. მაგრამ მაინც უმთავრესია დავინახოთ ახალი მოვლენები, ახალი წიგნები ჩვენს განყოფილე-

ბებში მომუშავე ამხანაგებისა და დავეხმაროთ მათ ამ მსრივ. ცოტა როდია ახლა იქ ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები: ხალვაში, გვარიშვილი, სალუქვაძე, როყვა, ვარშანიძე—ბათუმში, კვიცარიძე, გურჯიძე, კუხიანიძე, ხუროძე — ქუთაისში; შინკუბა, თარბა, აკობია, ლომია—აფხაზეთში; გაფეზი, ჯიოევი, ასაევი, გელაშვილი—ცხინვალში. მაგრამ ჩვენ არ გვქონია შემთხვევა მათ შესახებ არსებითი ლიტერატურული კამათი გაგვემართა მწერალთა კავშირში.

უფრო გავამდიდროთ და განვავითაროთ ქართული ენა

საქართველო უძველესი ქვეყანაა, მისი კულტურა დიდი წარსულის მქონეა, მაგრამ ჩვენი თაობის კაცს ასევე კარგად ახსოვს რევოლუციის წინა დღეების ვითარება. მაშინ საქართველოს ეკონომიური ცხოვრების საჭე უცხო კაპიტალის ხელში იყო: ჭიათურის მარგანეცს ამერიკის კაპიტალი განაგებდა, ჩვენი თბილისი უცხო კაპიტალის ხელში იყო თავისი ფაბრიკებითა და ქარხნებით, ულამაზესი შენობებითა და საცხოვრებელი ბინებით, ხოლო საქართველოს სოფელი ასევე უცხო კაპიტალის სათარეშოდ იყო ქცეული, იყო დღეები, როდესაც რეალური საფრთხის წინაშე იდგა დიდი ისტორიის მქონე ჩვენი საქართველო. ამას კარგად ხედავდა და გრძნობდა ჩვენი ინტელიგენცია. 1919 წელს გამოჩენილი ქართველი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე წერდა: „იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსული ისტორიით, მომავალი სვებედით, მშვენიერის ენით... ყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული... იყიდება ერთიანად შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ოსეთიდან სპარსეთამდე, იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი, იყიდება სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი, იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებად, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ, ბანკის საშუალებით და ჩვენი დახმარებით.“

ასეთი იყო საქართველოს გუშინდელი დღე, რომელიც უღრმესი გულისტკივილით გამოხატა ჩვენმა დიდმა მამულიშვილმა. ასეთი იყო ბურჟუაზიული განვითარების წესი და კანონი, რომელიც ბოლოს უღებდა საქართველოს. ამ მდგომარეობიდან საქართველო ოქტომბრის რევოლუციამ იხსნა. და ის, რაც გაკეთდა ახალ საქართველოში, განუყოფლად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის სახელთან. დღეს, ატომის ეპოქაში, საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკაა და ამაში ოქტომბრის რევოლუციას უნდა ვუმადლოდეთ. ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ნაყოფია ისიც, რომ დღეს მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში ნახავთ ქართული ფოლადის, ქართული ჩაის, ქართული ღვინის, მანქანებისა და ჩარხების ნიმუშებს ქართული მარკით, ქართული იარლიყით და ბოლოს ისიც, რომ მთელი მსოფლიო ეცნობა და ტაშს უკრავს ჩვენი ხელოვნების უკვდავ ნიმუშებს, ქართული სულიერი კულტურის ნიმუშებს; მსოფლიოს კიდით კიდემდე გავიდა ქართული წიგნი, ამაშიაც კომუნისტური პარტიის სიბრძნეა გამოხატული. ამ დიდ გზაზე საქართველო ოქტომბრის რევოლუციამ გამოიყვანა. ძმობისა და მეგობრობის ურყევი კავშირით შეკრული მრავალერიანი საბჭოთა კავშირის ხალხების ოჯახში საბჭოთა საქართველო უმაგალითოდ აღორძინდა და განვითარდა. და არ არის ძალა, რომელიც ამ გზიდან გადააცდენს ქართველ ერს.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში დაინახეს თავიანთი ერების, ხალხების ხვალინდელი დღე. ქართველი ხალხი მასში ხედავს საბჭოთა საქართველოს ხვალინდელ სახეს. ამ პროგრამიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ გაშშვენიერდება, გალამაზდება ჩვენი ქვეყანა. აქ ნათლად ჩანს კონტურები ახალი ქალაქებისა და რაიონებისა, ახალი ფაბრიკებისა და ქარხნებისა, ხელოვნების, მწერლობის ახალი, დიდი ძეგლებისა. ამიტომ მთელმა ჩვენმა ხალხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას ერთსულოვნად მხარი დაუჭირა ეჭვი არ არის, რომ ქართველი მწერლები ამ ახალ ცხოვრების დიდ გზაზე ამოიკითხავენ ჩვენი ცხოვრების იმ დიდ რომან-

ტიკას, რომლითაც გამოსახავენ ჩვენი დროის ახალ ადამიანებს, ახალ გმირებს.

მარქსიზმი გვასწავლის: ყოველ ერს თავისი წვლილი შეაქვს კაცობრიობის კულტურაში. ყველა ერი ამაყობს თავისი წვლილით. როგორც ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაშია ნათქვამი — ეროვნული რესპუბლიკების წვლილი ერთიან დიდ სოციალისტურ კულტურაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება. ეს წვლილი ჩვენს ხალხს, მეცნიერებს, მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, მთელ ქართველ ხალხს, ყველა დოვლათისა და სიკეთის შემქმნელ მშრომელ ხალხს თავდადებული შრომით შეაქვს; ამ დიდი ცხოვრების რომანტიკის გაცოცხლება და გადაცემა შთამომავლობისათვის და ამ მიღწევების შეტანა ერთიანი სოციალისტური კულტურის საგანძურში მხოლოდ ნაციონალური ფორმით შეუძლია ხალხს.

ენა ეროვნული კულტურის ერთ-ერთი ფორმაა. მშობლიური ენა არის უპირველესი იარაღი ერის სულიერი კულტურისა, მისი ძალა, მისი ფარ-ხმალი. რუსი ხალხის ენა არა მარტო უბრალო ურთიერთობის ენაა, არა მარტო გაგებინების საშუალებაა, არამედ რუსი ერის ხასიათის, მისი ბუნების, მისი სულის გამოხატულებაა; პუშკინის ენა უფრო მეტია, ვიდრე რუსული ენა, როგორც ჩვეულებრივი გაგებინების საშუალება; რუსთაველის ენა უფრო მეტია, ვიდრე მეტყველების იარაღი. ეს უდიდესი ხელოვნებაა, რომელიც ერს შეუქმნია და რომელშიც მისი სულის ყველა თვისებაა აღბეჭდილი: დიდი ლენინი სამართლიანად ამაყობდა დიდი რუსული ენით და ჩვენთვის სავსებით გასაგებია, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე, გამოჩენილი რუსი პოეტი ალექსანდრე ტვარდოვსკი სიამაყით ამბობდა: „მე მიხარია, უზომოდ მიხარია, როცა ვხედავ, როგორ გაიფურჩქნა და აყვავდა ჩემი რუსული ენაო". ასევე შეუძლია ყოველ საბჭოთა პოეტს გაიმეოროს ეს სიტყვები თავისი ეროვნული ენის შესახებ. თუ არა მწერალს, ვისა აქვს უფლება, პირველ რიგში იამაყოს და გაიხაროს ეროვნული ენის განვითარებით და აყვავებით.

ქართულმა ენამ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიაღწია

განსაკუთრებულ განვითარებას. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ისე, როგორც ქართველი კლასიკოსები, ასევე თანამედროვე ქართველი საბჭოთა მწერლები არიან უპირველესი დამცველნი, აშაღორძინებელნი, განმავითარებელნი ქართული ენისა. ამიტომ დღეს როდესაც ქართული მწერლობის მიღწევებს ვიხილავთ, არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ ქართული ენის სიწმინდის საკითხს და უნდა ვთქვათ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ გვაქვს. მე აქ შემეძლო მომეტანა მაგალითები, საიდანაც ნათელი გახდებოდა, თუ რა უმოწყალოდ მახინჯდება ქართული ენა. ჩვენ ვალდებული ვართ მთელი სისასტიკით შევებრძოლოთ ქართული ენის დანაგვიანებას. ხომ ფაქტია, რომ მეფის რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების ენები აბუჩად აგდებული და დევნილი იყო, საბჭოთა ხელისუფლების დროს წელში გაიმართა, ამაღლდა, განახლდა და აღორძინდა უძველესი ერების უძველესი ენა. ყველაზე დიდი მონაპოვართაგანი ოქტომბრის რევოლუციისა ნაციონალური კულტურისა და ენების აღორძინებაა. და, რაც უფრო ძლიერია და მაღალი ნაციონალური ერების ეს კულტურა, მით უფრო თვალსაჩინოა წვლილი, რომელიც შეაქვს ყოველ ერს სოციალისტური ერების საერთო საგანძურში. მარტო საქართველოს მაგალითი ამტკიცებს, რომ არასოდეს ყოფილა ჩვენი კულტურა, ჩვენი წიგნი, ჩვენი ენა ისე აყვავებული და შორს გასული, როგორც დღეს არის. და ამ ვითარებაში ჩვენი საბჭოთა მწერლებიც ვალდებული არიან დიდი სიფრთხილით, დიდი სიფაქიზით მოეპყრან ენის სიწმინდის დაცვას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია: „პარტია ეროვნული ურთიერთობის დარგში აყენებს შემდეგ ამოცანებს... შემდეგშიც უზრუნველყოს სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარება, სსრ კავშირის თვითეული მოქალაქისათვის სრული თავისუფლება, ილაპარაკოს, აღზარდოს და ასწავლოს თავის შვილებს ყოველ ენაზე, არ დაუშვას არავითარი პრივილეგიები, შეზღუდვა ან იძულება ამა თუ იმ ენის ხმარებაში. ხალხების ძმური მეგობრობისა და ურთიერთნდობის პირობებში ეროვნული

ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ-გამდიდრების საფუძველზე".

აქ სავსებით ნათლად არის ჩამოყალიბებული ჩვენი პარტიის თვალსაზრისი ენის საკითხში. და ჩვენ გვჯერა, რომ პუშკინის, რუსთაველის, შევჩენკოს, ნიზამის და სხვათა ენა ისევე ფართო კარით შევა კომუნიზმში, უფრო სრულყოფილი, და განვითარებული. როგორც ჩვენი თაობა თავისი დაუღალავი შემოქმედებითი შრომით. ასეთ ვითარებაში ქართული საბჭოთა მწერლობა ვალდებულია გვერდში ედგეს ჩვენს ხალხს, ზრდიდეს მას კომუნისტური შრომის დიდი რომანტიკით, ჩვენი სამშობლოს, დიდი სოციალისტური სამშობლოს სიყვარულით, ჩვენი ენის, ქართული ენის განვითარებისა და გაფურჩქვნის სიყვარულით და წარმოსახავდეს იმ გრანდიოზულ შრომასა და ცხოვრებას, რომელსაც ჩვენი ხალხი კომუნიზმის მშენებლობის ამ დიდ გზაზე ქმნის.

ჩვენი აზრით, მწერლობა, მხატვრული სიტყვა, ეროვნულ ხასიათს მუდამ შეინახავს; როგორც ხალხია მუდმივი, ისე მუდმივია მხატვრული სიტყვა. როცა მარქსიზმი ამტკიცებს, რომ ერთი ენა შეიქმნებაო, ჩვენი აზრით, ეს ეხება ხალხთა ურთიერთობის ენას, საკომუნიკაციო ენას, რომელიც საერთო იქნება ყველა ხალხისათვის, მაგრამ ის არ შეცვლის სამწერლო ენას. ხალხთა სამწერლო ენა არ შეიძლება ერთი ენით შეიცვალოს. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ამგვარი რამის მტკიცება მხოლოდ ხელის შემშლელია. ამ მხრივ სავსებით სამართლიანი იყო ვლ. სოლოუხინის წერილი „რა გვანათესავებს", დაბეჭდილი „ლიტერატურნაია გაზეტას" ფურცლებზე. ჩვენ მას სავსებით ვიზიარებთ. საქმე იმას შეეხება, რომ დიდი და გამოჩენილი მწერლები საუკუნეების განმავლობაში ეროვნული მოვლენები იყვნენ. პუშკინი, რომელმაც თავისი პირველი ლექსები ფრანგულად დაწერა, ალბათ უმნიშვნელო პოეტად დარჩებოდა, რომ ის არ გამხდარიყო რუსული ენის, რუსული ორიგინალური პოეზიის მამა. მან სწორედ რუსული ენის ხასიათით და ბუნებით გამოსახა და გამოხატა მოწინავე რუსეთის იდეალები, რომლებიც ყველა ხალხის გულის ნადებს და გულის ტკივილს ეხმაურებოდნენ. იგივე შეიძლება ით-

ქვას ტოლსტოის, ჩეხოვის, გორკის შესახებ. ვაჟა-ფშაველამ ქართული, ეროვნული ხასიათითა და თვისებებით მიაღწია უკვდავებას და მსოფლიო სახელი დაიმკვიდრა. მწერლობა მუდამ ეროვნულია. კოსმოპოლიტური მწერლობა და ლიტერატურა არ არსებობს, ოღონდ არსებობს ნაციონალურ ლიტერატურაში გამოხატული ინტერნაციონალური გრძნობები და ინსტინქტები, რომელიც აახლოებს და აკავშირებს ხალხებს და აი, სწორედ ეს გარემოება, ეს კავშირი და გრძნობა უკარნახებს ადამიანებს, მწერლებს ანვითარებდნენ და განამტკიცებდნენ ხალხთა ძმობასა და მეგობრობას.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, ფასდაუდებელია ის ამაგი, რომელიც რუსმა პოეტებმა ქართულ მწერლობას დასდეს. რუსი გამოჩენილი პოეტების — ნ. ტიხონოვის, ნ. ზაბოლოცკის, ბ. პასტერნაკის, პ. ანტოკოლსკის, ვ. დერჟავინის, ა. მეჟიროვის და სხვათა მიერ თარგმნილმა ქართულმა მწერლობამ მთელს მსოფლიოში სახელი გაითქვა. რუს ძმებსა და მეგობრებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენმა მწერლობამ რუსული ენის საშუალებით გადალახა კავკასიონის ქედი და მსოფლიოს ხალხთა კუთვნილება გახდა. ეს ისეთი ინტერნაციონალური ძმობის ხიდია, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ დაძლევს. ეს ძმობა და მეგობრობა რუს მწერლობასთან უფრო მეტად უნდა განვამტკიცოთ.

პარტიის ახალ პროგრამაში ხაზგასმით ნათქვამია: „ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა". ამ სიტყვებს კარგად უნდა ჩაუფიქრდეს ყოველი საბჭოთა მოქალაქე, ყოველი მწერალი. ეს მაღალი ჰუმანიზმის გამომხატველი სიტყვებია. ამასთან დაკავშირებით ჩვენი მწერლობის ამოცანაა უფრო მაღლა ავწიოთ ჰუმანიზმის, ძმობის, მეგობრობის დროშა; ჩვენმა მწერლობამ ამ მხრივ ძალზე ბევრი უნდა გააკეთოს. მას ეს შეუძლია და ეს მისი პატრიოტული ვალია.

ეჭვი არ არის, ქართველი მწერლები, კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დოკუმენტებით შთაგონებულნი, არ დაიშურებენ არც ძალას, არც მონდომებას და არც ენერგიას. იმისათვის, რომ უფრო მრავალფეროვნად, უფრო საინტერესოდ გამოხატონ ჩვენი ხალხის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება და შრომა.

ერთი საგნის ოქრი სახელი

მხატვრული ლიტერატურა მარქსიზმის კლასიკოსებისათვის, უპირველეს ყოვლისა, არის იდეოლოგიური კატეგორია, რომელსაც უაღრესად დიდი გამოყენებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს; მწერლობას მასობრივი და ხალხური ბუნება გააჩნია და ამავე დროს, იგი თავისი ბუნებით უაღრესად პარტიულია: ამიტომაც ის მასების აღზრდის უმძლავრესი იარაღია. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი მარქსიზმის კლასიკოსებისათვის ამოსავალი პრინციპია. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ვრცელ ნაშრომებსა თუ ცალკე სტატიებში მარქსისტული ესთეტიკის ეს ამოსავალი პრინციპი, მეტ შემთხვევაში სწორედ არის წარმოდგენილი და გამოყენებული, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი და გასაკეთებელი. დაბნეულობა უფრო ხშირად მაშინ იჩენს თავს, როდესაც ლიტერატურის სპეციფიკის ძიებას შეუდგებიან და საგანგებოდ გამოყოფენ მხატვრული ფორმისა თუ ოსტატობის საკითხს. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თეორიულ შრომებში ნათლად არის აღნიშნული, რომ მხატვრული ლიტერატურა სპეციფიკური ბუნებისაა, იგი არ ემორჩილება ჩვეულებრივი ნიველირების პრინციპს, იმ ფორმას, რომელსაც ხშირად ვიყენებთ იდეოლოგიური ზედნაშენის სხვა კატეგორიებისა და დისციპლინების მიმართ.

მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის მიუთითებდნენ ლიტერატურის ამ სპეციფიკაზე, თუმცა არასოდეს არ გამოთიშავდნენ, არ აცალკევებდნენ მას ლიტერატურის, როგორც იდეოლოგიური კატეგორიის, საერთო პროცესიდან.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მხატვრული ფორმის, მწერლის

ოსტატობის საკითხს. ვ. ი. ლენინი წერდა: „უდავოა, რომ ლიტერატურის საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა, ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“ (ლენინი—პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“). გამოდის რა ამ ლენინური დებულებიდან, პარტია მოითხოვს საბჭოთა მწერლისაგან, რომ მან დიდი ყურადღება დაუთმოს ოსტატობის საკითხს, სტილის საკითხს, მხატვრული ნაწარმოების ფორმის მრავალფეროვნებას, იბრძოლოს მაღალი მხატვრული ოსტატობისათვის. ლიტერატურის ამ არსებითმა მხარემ ნათელი და ამომწურავი გაშუქება ჰპოვა იმ პარტიულ დოკუმენტში, რომელიც ამ ბოლო ხანს გამოქვეყნდა. მხედველობაში გვაქვს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ცნობილი გამოსვლა ლიტერატურისა და ხელოვნების ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის შესახებ: ეს პარტიული დოკუმენტი მიუთითებს, თუ როგორი გულისყურით ეპყრობა ჩვენი პარტია ფორმის, მხატვრული ოსტატობის, სტილის საკითხებს.

ლიტერატურაში მუდამ უპირისპირებდნენ ერთიმეორეს მხატვრული ნაწარმოების „ორ მხარეს“—ფორმასა და შინაარსს. იყო გაუთავებელი კამათი მათი ურთიერთობის შესახებ. მხოლოდ მარქსიზმმა გადასწყვიტა კლასიკურად მხატვრული ლიტერატურის ეს ურთულესი და უპირველესი პრობლემა, მიიღო რა შინაარსის და ფორმის ურღვევი ერთიანობის პრინციპი. ამ გზით მარქსისტულმა ესთეტიკამ, ყოველგვარი იდეალისტური, მცდარი და რეაქციული თეორიების საპირისპიროდ, დაიცვა და განამტკიცა ხალხურობის, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის პრინციპები. საბჭოთა ლიტერატურა, სოციალისტური რეალიზმი ეფუძნება და ანვითარებს რეალიზმის ამ უკვდავ ტრადიციებს.

ლიტერატურის ისტორიამ არა ერთგზის დაადასტურა, რომ მხოლოდ იმ ნაწარმოების ავტორი მოიპოვებს სახელსა და აღიარებას, რომელიც კი არ უკუაგდებს კლასიკოსების გზას, კი არ უარყოფს საუკუნეების განმავლობაში ლიტერატურაში დაგროვილ ტრადიციებს, არამედ ავითარებს მას და ამ გზით

თავისი წვლილი შეაქვს მხატვრული აზროვნების ისტორიაში. ამ ტრადიციების უარყოფას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. აქ საკმარისია დავასახელოთ იტალიური ფუტურიზმი. ვინ არ იცის, რომ მარინეტსა და მის ჯგუფს, რომელიც დიდი პრეტენზიით გამოჩნდა ლიტერატურაში, არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მათ სცადეს დაერღვიათ ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპი. ფუტურისტების ჟონგლიორობასა და ვარჯიშობას შედეგად არ მოჰყოლია ისეთი ნაწარმოები, რომელსაც შესძლებოდა ესთეტიკური ტკბობა მიენიჭებინა მკითხველისათვის. ამიტომ მთელი მათი ლიტერატურული ფართიფურთი ჩაილურის წყალს გაჰყვა. ფუტურისტების „მოღვაწეობა" ისეთი დიდი ეკვეთილი იყო, რომ ახალი დროის მოდერნისტებს მადა დაჰკარგოდათ ამ გზით სიარულისათვის. მაგრამ ზოგიერთი დღესაც როდი იღებს ხელს ამ დამარცხებულ და სინამდვილის მიერ უკუგდებულ ცდებზე.

ვინც საბჭოთა პოეზიის საერთო სურათს აკვირდება, ადვილად დაინახავს, თუ რაოდენ თავისებური ლირიკული ხმების, ინტონაციების და სტილის პოეტებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამ სრულიად განსხვავებული პოეტური ხმების ოსტატებს აერთიანებს ერთი მთავარი პრინციპი—ხალხურობის პრინციპი. და ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ყოველი თემა, ყოველი განწყობილება, მოძრაობა ადამიანის სულისა ჩვენს პოეტებს გამოუხატავთ დიდი ვნებებით, ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების ღრმა და მძაფრი შეგრძნებით. საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მთელმა ისტორიამ დაადასტურა, რომ ლირიკულ პოეზიასაც შესწევს ძალა და უნარი გამოხატოს ხალხის მაღალი საბრძოლო განწყობილება და ფიქრები. გავიხსენოთ სამამულო ომის პერიოდის ჩვენი პოეზია.

მკითხველს კარგად ახსოვს, ომის წლებში რა ძლიერად, ღრმად და საინტერესოდ გამოხატა საბჭოთა ლირიკამ ხალხის საბრძოლო განწყობილება, მისი პატრიოტული შემართება. სწორედ ამ წლებში საბოლოოდ დაარღვიეს ჩვენმა ლირიკოსებმა ის აზრი—როდესაც ქვემეხები გრია-

ლებენ, მუზები სდუმანო. პირიქით, სწორედ ქვემეხების გრიალში იქმნებოდა ჩვენი პოეტების საუკეთესო ლექსები, რომლებიც ეხმაურებოდნენ ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს: იმ დროის ნაწარმოებთაგან არა ერთი ლექსი დარჩა ჩვენს ლიტერატურაში, როგორც პოეტური ოსტატობის უკვდავი ნიმუში.

ყოველ ჭეშმარიტად მხატვრულ ქმნილებას თანამედროვეობის ბეჭედი აზის. ამიტომ არ შეიძლება ვიქადაგოთ თემატიკური განურჩევლობა, არ შეიძლება ყველა თემას, ყველა განწყობილებას თანაბრად ვაქებდეთ და ზეას ვაძლევდეთ. არა, ჩვენ ასეთი განურჩევლობის მომხრე არც ვყოფილვართ და არცა ვართ. მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულების, დიდი და მღელვარე საზოგადოებრივი ინტერესების გარეშე ჭეშმარიტი მწერლობა არ არსებობს, რა ჟანრისა და რა დარგისაც არ უნდა იყოს იგი.

ვინც ლიტერატურაში რეალიზმის პრინციპს დაიცავს, არ შეიძლება თანმიმდევრულად არ იცავდეს შინაარსისა და ფორმის ერთიანობის ურყევ პრინციპს. შინაარსი ფორმის გარეშე ვერ იარსებებს, მას ფორმა აძლევს არსებობის საშუალებას, ფორმა ხდის მას ხელმისაწვდომს, მისახვედრს. რას ამბობს მწერალი და როგორ ამბობს — ეს ერთმანეთისაგან განუყოფელი კითხვებია. და როცა ვამბობთ — ლიტერატურა სინამდვილის გამოსახვის მხატვრული ფორმაა, აქ რასაკვირველია, შინაარსსაც და ფორმასაც ერთ მონოლითურ მთლიანობაში ვგულისხმობთ. ლიტერატურაში ცნობიერების სხვა დარგებთან შედარებით, სპეციფიკურია შინაარსიც და ფორმაც, არ არსებობს აზროვნების არც ერთი სახე ფორმის გარეშე. აზროვნებს მეცნიერიც და აზროვნებს მწერალიც. მეცნიერის ნაშრომს ისევე აქვს შინაარსი და ფორმა, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს. ოღონდ პირველის შინაარსიც და ფორმაც განსხვავდება მეორე შემთხვევაში აღებული შინაარსისა და ფორმისაგან. ლიტერატურა რომ სპეციფიკური დარგია, ეს მის შინაარსშიც ისევე მჟღავნდება, როგორც ფორმაში. სამოქალაქო ომის ამბავი, გადმოცემული ნ. ოსტროვსკის რომანში „როგორ იწრთობოდა ფოლადი", ე. ი. ნაწარმოების შინაარსი, ისევე სპეციფიკურია, როგორც ამ რომანის ფორმა; ამი-

ტომ სამოქალაქო ომის ვერც ერთი ისტორიკოსის შრომაში ამ რომანის შინაარსის ადექვატურ შინაარსს ვერ იპოვით. ასევეა ლ. ტოლსტოის რომანში „ომი და მშვიდობა“, რომლითაც მწერალმა დაგვიხატა რუსეთის სამამულო ომი ნაპოლეონის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ ბერძნების გაგებით პოეზია შეთხზვას, გამოგონებას ნიშნავს; და, მართლაც, მწერალი შემთხზველი და გამომგონებელია, მაგრამ ისეთი შემთხზველი, რომელიც ეყრდნობა არსებულ ფაქტებს, სინამდვილეს, ცხოვრებას, მსგავსად ისტორიკოსისა, ბიოლოგისა თუ ასტრონომისა. ოღონდ მწერლის კონტაქტი სინამდვილესთან ხორციელდება სურათების, სიტყვის, ხატვის საშუალებით. და ეს სპეციფიკა თავს იჩენს როგორც შინაარსში, ისე ფორმაშიც. აქ ჩვეულებრივი მსჯელობა, ჩვეულებრივი მოთხრობა ადგილს უთმობს სურათებით მოთხრობას, სახეებით ხატვას; ამით განსხვავდება ლიტერატურა სხვა დარგებისაგან, ამიტომაც უწოდა მწერლობას მარქსმა „სამყაროს მხატვრული ათვისების ფორმა“.

ამრიგად მხატვრული ნაწარმოები, როგორც შინაარსით, ასევე ფორმითაც სპეციფიკურია. მაგრამ აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ მწერლობას მხოლოდ და მხოლოდ სინამდვილე აძლევს საზრდოს. რომ მწერლობა ცხოვრების სწორად გამოხატვის ხელოვნებაა. ამიტომაც ხელოვნებას, ისევე როგორც მორალს, როგორც რელიგიას, არ აქვს აბსოლუტურად დამოუკიდებელი, თვითმყობადი შინაარსი ცხოვრების შინაარსის გარეშე. სინამდვილის ასახვა სიმართლით და სიღრმით—ესაა მწერლის დანიშნულება, მისი ჭეშმარიტი მიზანი.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ნათელია, რომ ფორმა შინაარსის მოძრაობაა. როგორც შინაარსს ასევე ფორმასაც განსაზღვრავს ეპოქა, ხალხის, საზოგადოების ცხოვრება. მაგრამ თვით ცხოვრება ყოველ კლასობრივ ეპოქაში როდია ერთფეროვანი, უმოძრაო და ინერტული. აქ მრავალი ინტერესი და მისწრაფება ეჯახება ერთიმეორეს. ინტერესთა ეს ბრძოლა, სხვადასხვა შეხედულებების ბრძოლა თავის ანარეკლს პოულობს მწერლობაშიც. ამიტომ ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში ჩვენ საქმე გვაქვს პროგრესულ და რეაქციულ მწერლობასთან. ამის მაგალითია დღევანდელი ბურჟუაზი-

ული სამყაროც; ამიტომაც ამბობდა ლენინი ბურჟუაზიული საზოგადოების შესახებ, რომ ყოველი ერის კულტურა ორ კულტურას შეიცავსო.

ფორმისათვის ზრუნვა ფორმალიზმი როდია. პირიქით, ვინც ახერხებს მხატვრული ოსტატობით მიიპყროს ყურადღება, ვინც ახერხებს ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრება გამოხატოს მრავალფეროვანი ფორმით, ის არის ჭეშმარიტი მწერალი. ცხოვრების მრავალფეროვნების გადმოცემა ერთი თუ ორი ფერით, მეტად გაღარიბებულად წარმოგვიდგენს მას. მწერლობა ისევე უნდა იყოს ფერად-ფერადი, როგორც ცხოვრებაა, როგორც ბუნება და მთელი სამყაროა. ვინც ახერხებს მოსტაცოს ბუნებას, ცხოვრებას, მისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ფერი, შეითვისოს იგი და გადასცეს მკითხველს— სწორედ ის არის ნამდვილი პოეტი, ადამიანის სულის ინჟინერი. მწერალი ამას მაშინ შესძლებს, როდესაც მისი უნარი ფორმის გრძნობისა, მისი მხატვრული ნოვატორობა დაეფუძნება ცხოვრებისეულ სიმართლეს, როდესაც პოეტი ადამიანის, ხალხის დიდ ვნებებს, ფიქრებს გამოხატავს საკუთარი ინტონაციით და ორიგინალური ფორმით. ხშირად ფორმის ძიების ნაცვლად ვხვდებით უკვე ცნობილ ინტონაციებისა და ხმების განმეორებას, ისიც უხეირო განმეორებას. ამას წინათ ერთმა ახალგაზრდა პოეტმა ასეთი ლექსი გამოაქვეყნა:

ქარი ქრის, მშობლიურ მთების
სიჩუმეში
ჩნდებიან ნაცნობი ლანდები,
გული ჩავატიე
ზედაზნის უბეში,
უსაზღვროდ ემაღლდები;
შრიალებს მუხა ტანძლიერი,
ამღერდნენ ქნარები,
მამულო, ისმინე მრავალჟამიერი
ზედაზნის ზარების.

ერთი შეხედვითაც ადვილად შეამჩნევთ, რომ ამ ლექსს საკუთარი სული არა აქვს, ის დამოუკიდებლად არ ცოცხლობს; ამასთან ერთად ის უფორმოა, ამორფული, ამიტომ

ემოციური ზეგავლენის ძალა წართმეული აქვს. აქ არის სრული უდარდელობა, სრული ეპიგონური მიბაძვა ისე, რომ მასში ჩვენი ადამიანის გრძნობები, ხალხის ფიქრები არა ჩანს.

ამ ბოლო ხანებში ასეთი „ლექსები" უხვად იბეჭდება. ისინი მოკლებულნი არიან დიდ მღელვარებას, საზოგადოებრივ პათოსს. რატომ ხდება ეს? რატომ ასე ბლომად ქვეყნდება ასეთი კატეგორიის ლექსები? ყველაფერი ეს რაღაც მოდურ გატაცებას ჰგავს. ჩვენს ლიტერატურულ პრესაში ტრაფარეტული, შინაარსისაგან დაცლილი ლექსი თითქოს მოდად იქცა და ამას იმით ამართლებენ, რომ ეს რეაქცია არის იმ ლექსების მიმართ, რომელთა ავტორებსაც შინაარსის აქტუალობით უნდათ გაიტანონ ლელო. ყოველ ამ საკითხს ღრმად უნდა დავუკვირდეთ: უდავოა, რომ აქტუალურ თემაზე ბევრი მდარე ლექსი დაბეჭდილა, დასამალი არ არის აგრეთვე, რომ ამ უხეირო ლექსებმა ზოგჯერ სახელიც გაუტეხეს აქტუალურ თემატიკასაც. პრიმიტივიზმმა, ფორმის სიღარიბემ, რომელიც მეტწილად თემის აქტუალობას ეფარებოდა, დაუსრულებელმა სახოტბო ოდებმა, ტრაფარეტებმა თავი მოაბეზრეს მკითხველს. მაგრამ ეს ხომ ნიჭიერების საკითხია ,მარცხი აქ თემის ბრალი კი არ არის, არამედ ავტორისა, რომელმაც ვერ დასძლია დიდი თემა. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ყველა იმ ნიჭიერ ახალგაზრდას, რომელიც ებრძვის პრიმიტივიზმს, როგორც ლიტერატურის დამღუპველ მოვლენას. მაგრამ ჩვენ სასტიკი წინააღმდეგი ვართ, როგორც თემატიკური განურჩევლობისა, ასევე მხატვრული ფორმისადმი დაუდევარი დამოკიდებულებისა. ფორმის გრძნობა, მაღალი მხატვრული ფორმა არ ნიშნავს შინაარსის უკუგდებას. პირიქით, ფორმა გულისხმობს აქტიურ შინაარსს, როგორც მის მოძრაობას, როგორც ლექსი სულს; უამისოდ არ არსებობს ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ნაწარმოები.

მთავარი მიზეზი იმისა, თუ ამ ბოლო დროს ასე რატომ მოზღვავდა ამორფული, უიდეო, უშინაარსო ლექსები, უფრო ღრმაა და რთული. აქ უდავოდ თავი იჩინა დეკადენტური სკოლების შორეულმა გავლენამ. ვინც ამ ლექსებს

დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს, რომ მათ ნაციონალური ძირები არა აქვთ, მათ ეპიგონობის, მიმბაძველობის დაღი აზით. ეს მოხდა იმიტომ, რომ როგორც თავის დროზე ქართველ სიმბოლისტებს და ფუტურისტებს, ისე ახლანდელ ცალკეულ მოლექსეებსაც უცხოეთიდან მექანიკურად გადმოაქვთ მეტწილად დეკადენტური მწერლობის ხერხები და პრინციპები.

ყოველი სტილი ეპოქის შედეგია, ეპოქის განწყობილებისა და ხასიათის გამომხატველია. დღევანდელი მოდერნისტული ბურჟუაზიული მწერლობის სტილის მექანიკური გადმოტანა ქართულ საბჭოთა მწერლობას, მის სულს არ გამოადგება, მის ცოცხალ რიტმს არ შეეფერება. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, თითქოს ვქადაგებდეთ, რომ მწერლობა საკუთარ ნაციონალურ ნაჭუჭში ჩაიკეტოს? არა, სრულიადაც არა. თანამედროვე ქართველი მწერალი კარგად უნდა იცნობდეს არა მარტო მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის მიღწევებს, არამედ თანამედროვე ევროპული მწერლების ნაწარმოებებსაც, უნდა ერკვეოდეს მის კარგსა და ცუდში. კარგის თავისებური, კრიტიკული ათვისება სასურველია, ხოლო ცუდის გადმოღება საზიანოა ჩვენი კულტურისათვის, დღევანდელობისათვის. უცხოეთის ახლანდელ მწერლობაშიც ბევრი რამ არის საინტერესო, მაგრამ საქმე ამას კი არ შეეხება, არამედ იმას, რომ მოდით გატაცებული ზოგიერთი ჩვენი მწერალი ხშირად ბრმად ბაძავს ისეთ უცხოურს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებასთან, მის ეროვნულ ინტერესებთან. ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი ამას არ ითვალისწინებს და ამიტომ არის, რომ მის ლექსებში არ ისმის საკუთარი ინტონაცია. ეს ლექსები ბრმა მიბაძვას, ეპიგონობას წარმოადგენენ. ფორმის ასეთი მექანიკური გადმოღება და მიბაძვა დამღუპველია. ასეთი ლექსები ვერ იკვლევენ გზას საბჭოთა მკითხველისაკენ, არავითარ კვალს არ ტოვებენ ჩვენი ადამიანების სულიერ ცხოვრებაში. ყოველივე ეს კი კიდევ და კიდევ მწვავედ წამოჭრის საკითხს იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნამდვილ ოსტატობას, ფორმის ძიებას.

უნდა დავიცვათ პოეზიის ის მებრძოლი, სამოქალა-

ქო პათოსი, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ხომ არ ნიშნავს ეს — თითქოს მოვითხოვდეთ, სახოტბო პოეზიის ტრაფარეტისაკენ ვუბიძგოთ მწერლობასა არა, სრულიადაც არა. ვინც ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების გზას დააკვირდება, ადვილად შეამჩნევს, თუ რა საინტერესო გზა გაიარა თვით სამოქალაქო პათოსის მქონე პოეზიამ ფორმის, ოსტატობის თვალსაზრისით, როგორ მდიდრდებოდა იგი ორმოცი წლის მანძილზე.

ამ თვალსაზრისით საკმარისია საილუსტრაციოდ ავიღოთ ირ. აბაშიძის ლექსების ახალი წიგნი. ეს წიგნი ნამდვილად იმის დადასტურებაა, თუ როგორ ამაღლდა სამოქალაქო პოეზია, როგორ გამდიდრდა და გამრავალფეროვანდა გამოსახვის საშუალებებითა და ფერებით. ირ. აბაშიძის ახალი ლექსები ყურადღებას სწორედ ამ თვალსაზრისით იპყრობს. ამავე დროს ლექსებში უკუგდებულია ყველა ის სუსტი ელემენტი, რომელიც სამოქალაქო პათოსის პოეზიას ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჰქონდა. ეს წიგნი არის განმტკიცება და ამაღლება საბჭოთა ლირიკის მოწინავე პოზიციებისა. ეს არის ნიჭიერი სიტყვა საბჭოთა ლირიკაში სწორედ ფორმის ოსტატობის თვალსაზრისით. ირ. აბაშიძის ახალი ლექსების წარმატება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ჩვენ აქ ვნახეთ ბედნიერი შერწყმა ფორმისა და შინაარსისა, სათქმელისა და მისი გამოხატვის საშუალებებისა. ამ ლექსებში ჩანს, რომ ავტორს ბევრი რამ აქვს სათქმელი, პოეტი ეძებს დიდი კითხვების პასუხს და პოულობს კიდეც. ეს უპირველესად ყოვლისა, დიდი აზრის, ამაღლებული და ამღერებული პოეტური აზრის ნათელი ილუსტრაციაა. ამ ლექსებში არის საბჭოთა ადამიანის სიხარულიც, სინანულიც, ეჭვიც, სევდაც, მაგრამ ყველაფერი ეს უაღრესად ადამიანური და საზოგადოებრივია.

ამ წიგნში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლექსები ინდოეთზე. ამ ქვეყნის დიდ ველებსა და ტრამალებზე ასეთი განწყობილება დაუფლებია პოეტს:

ცხელ ინდოეთის ვიყავ სტუმარი,
სულით შევეწყვე, გულით გავენდე,
მიწას არ ჰქონდა რამ საწუნარი,
ოკეანედან ოკეანემდე.

პოეტს აგონდება საქართველო — მარად საყვარელი სამშობლო და მგზნებარე პატრიოტული შეძახილით მიმართავს მას:

სუნთქვა ხარ, სუნთქვა, გულის ფანცქალი,
ლხინის აფრენა, ჭირის მოთმენა,
მაგრამ მცირე ხარ, შენ გენაცვალე,
სულ პატარა ხარ, გულის ოდენა.

პოეტს უყვარს თავისი ქვეყანა! პატარა, მაგრამ თავისუფალი და ბედნიერი. ამას ცვლის კონტრასტული სურათი: ძველი უკეთმართი დღეების მოგონება, სამშობლოს ტრაგიკული ისტორია, მისი მწუხარე წარსული:

აწიოკება... გაწყვეტა, ცემა...
გადარჯულება... ყმობა, მძევლები...
სამშობლოვ ჩემო,
სამშობლოვ ჩემო,
შენ ახალ დღეებს შემოვევლები.

სიტყვის დიდი ეკონომიით, სიზუსტით არის აქ გამოხატული მთელი ჩვენი სამშობლოს წარსულიც და მისი აწინდელი ბედნიერი დღეც. ეს უკანასკნელი ერთ ფრაზაშია თქმული: „შენს ახალ დღეებს შემოვევლები". ძველს ქალაქებს, ციხის ქონგურებს ჭრილობები მოუშუშებიათ. ამიტომ არის, რომ ამ ლექსებში ყველგან ისმის ოპტიმიზმის დიდი ხმა, გულის გამთბობი და გამამხნევებელი:

თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი.

პასუხი ყოველთვის ნათელია. ასე აქვს მინიშნებული დიდი სუნთქვა, დიდი შთაგონება ყოველ ლექსს, ყოველ ფრაზას, ყოველ სიტყვას ირ. აბაშიძის ახალი ლექსების წიგნში. ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ ამ ლექსებს. აღვნიშნავთ მხოლოდ: ეს ლექსები მიუთითებენ, რომ ნამდვილი, ჭეშმარიტი პოეზია, ოსტატობა ფორმისა, გრძნობა სიტყვიე-

რი ხელოვნებისა, დიდი შინაარსის მომცველი ვნებისა და საფიქრელისაგან წარმოსდგება დედაბოძი პოეზიის აზრი ყოფილა მუდამ და ასე იქნება ყოველთვის.

შინაარსი და ფორმა ერთი საგნის ორი სახელია. ეს საგანი კი მხატვრული ნაწარმოებია. მხატვრულ ნაწარმოებს თანაბრად მოეთხოვება შინაარსისა და ფორმის ოსტატობა. შინაარსის გარეშე ფორმა არ არსებობს, ფორმა შინაარსს აძლევს ყალიბს; მათი დაცილება და ამ ურთიერთობის გაუთვალისწინებლობა ყოველთვის მარცხით მთავრდება.

პოეზიის დღე

კვთილი იყოს

ერთხელ აკაკი სამეგრელოს ესტუმრა. სისხამ დილით პოეტის წინაშე შავგრუზა ჭაბუკი წარსდგა. თაყვანი სცა სულმნათ მგოსანს და თან საიდუმლოდ თავისი გასაჭირი გაანდო. თურმე ეს ახალგაზრდა შეყვარებული ყოფილა და ვერაფრით მოეგო სატრფოს გული. ახლა უკანასკნელი იმედი აკაკის ლექსზე დაემყარებინა. უიმედოდ შეყვარებულ ჭაბუკს უთქვამს: „მთელი საქართველო თქვენს ლექსებს მღერის, თქვენი ლექსის ძალა უებარია, დამიწერეთ ერთი სასიყვარულო ლექსი. მე მას ჩემს სატრფოს მივუტან და მის გულს მოვინადირებო“. დიდმა პოეტმა შეუსრულა მას თხოვნა. გახარებულმა ჭაბუკმა სატრფოსაკენ მოკურცხლა, სრულიად დაიმედებულმა, რომ მიჯნურის გულს მოიგებდა. საქართველოში ასე სწამდათ აკაკის ლექსის ძალა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართულმა პოეზიამ ეს რწმენა და სიყვარული სამართლიანად დაიმსახურა. შრომასა თუ ომში, მწუხარებასა თუ დალხინებაში ქართველი კაცი ლექსში ეძიებდა მოზღვავებული ვრძნობის პასუხს.

სულიერი კულტურის არც ერთ დარგს ისე ზედმიწევნით არ გამოუხატავს ქართველი კაცის ფიქრი და ოცნება, მისი სიხარული და აღტაცება, მისი გასაჭირი და მწუხარება, მისი ეროვნული ტკივილები, როგორც ქართულ მწერლობას.

მეოცე საუკუნის ახალი ქართული ლექსის მამა გალაკტიონ ტაბიძე წერდა: „ჩვენს პოეზიაში წარსული ისმის როგორც ნამდვილი, განცდილი, სისხლით გამოსყიდული წამება და ჯვარცმა. პოეზიის ქარიშხლიანი წარსული ეთანაბრება საქართველოს წარსულს. საქართველომ პოეტისაგან

და პოეტმა საქართველოსაგან ისესხეს მანერა საუბრის, მანერა სულის გაქანების, მანერა ბრძოლისა". ეს სიტყვები ზუსტი დახასიათებაა ქართული პოეზიისა; პოეზია და საქართველო ერთმანეთისაგან განუყოფელი ცნებებია. ქართული პოეზია მუდამ გვერდში ედგა ჩვენს ხალხს, ზრდიდა ძას, წარმართავდა, წინ მიუძღოდა, როგორც ეროვნული კულტურის დროშა: შრომაში ამხნევებდა, ბრძოლაში აქეზებდა, სიყვარულში აფაქიზებდა. რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას საქართველოს სამართლიანად ეწოდება პოეზიის ქვეყანა. საბჭოთა ეპოქის გამოჩენილი პოეტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ 40 წლის მანძილზე ქართული პოეზიის მდიდარი ტრადიცია მათ გაამდიდრეს გამომსახველობის ახალი საშუალებებით, ახალი ფორმებით, ახალი ფერებითა და ინტონაციებით, ახალი ენერგია მისცეს ქართულ ლექსს, ახალ ხმაზე ააწყვეს მისი პოეტური ინსტრუმენტი. და ამას მიაღწიეს იმით, რომ, ერთი მხრივ, დასძლიეს პრიმიტივიზმი და სქემატიზმი მხატვრული ფორმებისა და, მეორე მხრივ, უკუაგდეს ქართული ლექსისთვის უცხო და მიუღებელი, ხელოვნური გაბუნდოვანება და გართულება პოეტური ფორმისა. სწორედ ფორმის რეალიზმით, მხატვრული ოსტატობით, გამოსახვის ინდივიდუალური საშუალებებით, ორიგინალური პოეტური ინტონაციით გამოირჩევა ჩვენი ეპოქის ბევრი სახელოვანი პოეტი; ისინი ქართველმა ხალხმა თავის საფიცარ კლასიკოს პოეტებთან ერთად შეიყვარა. და მაინც ქართული ლექსის დიდი ტრადიციებით განებივრებული საბჭოთა მკითხველი კიდევ უფრო მეტს, კიდევ უფრო დიადს მოითხოვს ჩვენი ეპოქის საუკეთესო პოეტებისაგან.

და აი, 30 წლის შემდეგ, 1960 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლის წინა წელს, პოეზიის დღე პირველად ტარდება. ქართული პოეზიის ძალების ეს დათვალიერების დღე დაე იყოს ახალი გარდატეხის წელი, ახალი ლექსების სიუხვის წელი.

კურთხეულ იყოს, კეთილი იყო პოეზიის ეს დღე.

ჩვენი დროის პოეზია

პოეზია — ეს საყოველთაოდ ცნობილი ცნება ალბათ მაშინ დაიბადა, როდესაც ადამიანმა სიტყვას გაგებინების მნიშვნელობა მიანიჭა. ხოლო ეს გრძნობა ადამიანს უფრო ადრე გაუჩნდა, ვიდრე სიტყვა მწერლობის საქმედ იქცეოდა. პოეზია ოდითგანვე სინონიმია მშვენიერებისა, აღტაცებისა, სიხარულისა, ცნება ამაღლებულისა და კეთილშობილისა. ან, როგორც ვასილ ბარნოვი იტყოდა, ცნება „გარდუვალი ჭეშმარიტების, შეურყეველი კეთილის, დაუჩრდილავი სიმშვენიერისა". ცხოვრებაში წარმოშობილი და ხალხის სულში გადასული ეს ცნება ცოცხლობს, როგორც სიმბოლო ხალხისა და მწერლობის განუყოფელი კავშირისა და უკვდავებისა. მწერლობამ ხალხისაგან, თვით ქვეყნის სილამაზისაგან ისესხა მანერა პოეტური, ხოლო შემდეგ ისევ ხალხს დაუბრუნა იგი, როგორც მისივ სილამაზე და სულის ნაწილი. რუსთაველი ქართველმა ხალხმა დაბადა, ხოლო ქართველი ხალხის პოეტურ სულს უკვდავება რუსთაველმა შთაბერა. პოეზია ხალხის ტკივილებმა დაბადა, ან მისმა სიხარულმა გამოიწვია, ხოლო შემდეგ მწერლობას ხალხი დაეწაფა, როგორც უკვდავების წყაროს, მძაფრ იდეურსა და მორალურ ძალას. ჭეშმარიტი მწერლობა, მშვენიერი პოეზია მუდამ ხალხის ჭერქვეშ ცხოვრობდა, ხალხისგან განუყოფელი, მისი ჭირისა და სიხარულის მოზიარე ყოფილა. ამიტომაც მწერლობა, პოეზია თავისი ბუნებით მუდამ ხალხური, რეალისტური იყო, ხოლო მეოცე საუკუნის რევოლუციურმა ეპოქამ ახალი შინაარსით გაამდიდრა, ახალ ხმაზე ააწყო იგი. და ყველაფერი, რაც პროგრესული და მებრძოლი იყო, რევოლუციის სამსახურში ჩააყენა. ამ გარემოებამ განაპირობა სოციალისტური რეალიზმის წარმოშობა. სოციალისტური რეალიზმის მწერ-

ლობა კი მუდამ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა რევოლუციას, ახალი სოციალისტური სამყაროს მშენებელ საბჭოთა ხალხს. და მთელი ამ ხნის განმავლობაში ზრდიდა ის ჩვენს ხალხს ახალი სოციალისტური სამყაროს ერთგულების დიადი გრძნობით. და ბუნებრივია, რომ ამ ახალი სამყაროს ახალ მწერლობას ჰყავდა თავისი მოწინააღმდეგეები, ძველისა და დროგადასულის მიმდევრები და დამცველები.

სოციალისტური რეალიზმის მწერლობის წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობა ჯერ რევიზიონისტებისა და მერმე აბსტრაქციონისტების მიერ, სხვა არაფერია თუარ იმის ცდა, რომ ლიტერატურა ჩამოაცილონ მის პირდაპირ დანიშნულებას — ხალხის სამსახურს. ეს ფანდი ახალი როდია. წინათაც ყოფილა ცდა ხელოვნება, მწერლობა თავის პირდაპირი დანიშნულებიდან გადაეცდინათ, ხალხისაგან გაემიჯნათ, „საკუთარ კედლებში გამოემწყვდიათ". ჭუჭრუტანაც არ დაეტოვებინათ, რომ გარედან ცხოვრების ჰაერი არ შესულიყო. „უკვდავების ტაძარში". მაგრამ მთელი ამ მაღალი სტილის ავტორების, ხალხისაგან გამდგარი, ამ წყალწაღებული მოშაირეების პოეზიის რჩეულთა კუთვნილებად გამოცხადება, განწირული აღმოჩნდა. მე-19 და მე-20 საუკუნეებში რეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოიშვა თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის", რომელსაც ყოველი ჯურის ფორმალისტებმა და კოსმოპოლიტებმა ჩასჭიდეს ხელი. ხალხისაგან გათიშვის ამ თეორიას მუდამ ებრძოდა ჭეშმარიტი და მართალი მწერლობა. აკაკი წერეთელი წერდა: „მწერლობა ზნეობრივი მესარკეობაარ", ხოლო ილია ჭავჭავაძე აცხადებდა: „ლიტერატურა — ხალხის ჭკუა, ხალხის გონება, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია". დიდი ილია და აკაკი მწერლობას უყურებდნენ, როგორც „ცხოვრების გარდასაქმნელ ღონისძიებათა რეალურ ძალას". ლიტერატურა ჩვენი დიდი კლასიკოსებისათვის თვითმიზანი კი არ იყო, ხალხისთვის იყო განკუთვნილი. ხალხის სამსახურს შეწირეს ჩვენმა კლასიკოსებმა მთელი თავიანთი ულამაზესი სიცოცხლე. ძველ, შავბნელ დროში მწერლობა ზრდიდა. რაზმავდა, შთააგონებდა ხალხს სამართლიანი საქმისათვის ბრძოლის იდეას. ჩვენმა კლასიკურ-

მა ლიტერატურამ გამოწრთო და აღზარდა ჩვენი ხალხი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის შეგნებით. ძველ საუკუნესთან შედარებით სულ სხვაა ჩვენი ეპოქა და მისი პოლიტიკური იდეალები, მაგრამ კლასიკოსების მიერ დანერგილი და ცხოვრების მიერ შემოწმებული პრინციპები ხალხურობისა, ჰუმანიზმისა, ცხოვრების სიმართლის გამოხატვისა, მოწინავე იდეალებით ადამიანის აღზრდისა — მიიღო და განავითარა ჩვენმა მწერლობამ.

მწერალი თავის ნაწარმოებს ხალხისათვის ჰქმნის. ადამიანისადმი დიდი სიყვარულის გარეშე არც ერთი ჭეშმარიტი ნაწარმოები არ დაწერილა. ჩერნიშევსკი წერდა: „ყოველი ადამიანის ვალია, ემსახურებოდეს ადამიანს. უპირველად ის იქნება ცარიელი და უნაყოფო“. ჭეშმარიტი მწერალი ყოველთვის გრძნობს ამ ვალდებულებას ხალხის წინაშე. ამიტომ ის თავად არის დაინტერესებული, მისი ნაწარმოები გამართული იყოს ისეთი ფორმით, რომ ადამიანებისათვის, ხალხისათვის გასაგები იყოს.

მხატვრული ფორმა გაგებინების საშუალებაა. მხატვრული ნაწარმოები უნდა ზრდიდეს, ავითარებდეს, ამაღლებდეს მკითხველის გემოვნებას. ჭეშმარიტი მწერლობა ჩვენი ეპოქის მოწინავე ინტერესების არა მარტო გამომხატველია, მისი მეთაურიცაა და აღმზრდელიც. და ამგვარ მეთაურობას ის მწერლობა გასწევს, რომელიც თავის ნამდვილად ხალხურ ნაწარმოებში ახერხებს დაამკვიდროს მასსა და მკითხველს შორის უშუალო კონტაქტი. ასეთი კონტაქტი კი მხოლოდ მაშინ მყარდება, როდესაც მხატვრული ნაწარმოები ეხმაურება ხალხის ფიქრსა და გრძნობას, მის მისწრაფებებსა და იდეალებს, ეხმარება მას შრომაში, გვერდში უდგას ბრძოლაში, ალამაზებს და აკეთილშობილებს მის სულს სიყვარულისა თუ ბუნების ტრფიალებაში. როდესაც მწერალი მიაგნებს და დაამყარებს ასეთ კონტაქტს მკითხველთან, მაშინ და მხოლოდ მაშინ ახერხებს იგი იყოს ცხოვრების მხატვარიც. სოციალისტური რეალიზმის პრინციპი, ხალხურობის პრინციპი ლიტერატურაში ნიშნავს დაუნდობელ მტრობას ყოველგვარი ფორმალისტური რეციდივებისა, ამორფული, ღვარჭლიანი, ოჩოფეხებიანი ლექსების წი-

ნაღვდეგ. მეორე მხრივ, ასევე ბრძოლას უცხადებს ის ყოველგვარ ენობრივ ნატურალიზმს, სქემატიზმს, რიტორიკას, სწორედ ხალხურობის პრინციპი მოითხოვს მწერლისაგან ცხოვრება ასახოს სრულფასოვნად, საღებავების სიუხვით, ხასიათების სიცხადით. და, რამდენადაც სწორად, ცოცხლად, მიმზიდველად არის ასახული სინამდვილე, იმდენად ემოციური და მრავალფეროვანია ნაწარმოების აღმზრდელობითი ფუნქცია. მწერალმა, რომელმაც დიდი მხატვრული ძალა მიანიჭა ნახატს, სურათს, მოვლენას, აამაღლა იგი, როგორც ადამიანებზე ზემოქმედების იდეური და ესთეტიური იარაღი. რამდენადაც სუსტია მხატვრული ძალა, იმდენად ძნელდება მკითხველზე მისი ზეგავლენა და, რასაკვირველია, იმდენადვე სუსტია მისი აღმზრდელობითი ძალაც.

ლიტერატურის მთავარი პათოსი იყო, არის და მუდამ იქნება ხალხის ცხოვრება, ხალხის ინტერესები. ყოველი ჭეშმარიტი ნაწარმოები სიმართლით გვიჩვენებს ცხოვრებას; გვასწავლის, აღგვამაღლებს, ებრძვის წარსულის გადმონაშთებს. მოწინავე მწერლის ამოცანაა იცნობდეს და ფლობდეს მასალას. იცნობდეს და ცოცხლობდეს ჩვენი ხალხის შრომის რომანტიკით. ყოველ ეპოქას თავისი აქტუალური, მთავარი პრობლემა აქვს, რომლის განმტკიცებას და განვითარებას ცხოვრება მოითხოვს. მწერლობა ამ მოწინავე იდეალების გამომხატველი უნდა იყოს. სინამდვილის გარდაქმნის ძალა მხოლოდ იმ ნაწარმოებს აქვს, რომელიც ჩვენმა სინამდვილემ წარმოშვა, რომელიც ორივე ფეხით ჩვენს მიწაზე დგას, ჩვენი ცხოვრების რომანტიკით ცოცხლობს და სუნთქავს. ამიტომ არ შეიძლება განურჩევლად ვაფასებდეთ ყველა თემას, რომელსაც მწერალი ხელს ჰკიდებს. მწერლობისა და ხალხის ერთიანობის სულისკვეთებას ჩვენი დროის აქტუალური საკითხების გამოხატვის პათოსი ჰქმნის. ეს თანაბრად შეეხება როგორც პოეზიას, ისე პროზას, როგორც დრამატურგიას, ისე კრიტიკას.

საქართველოს პოეტების ქვეყანას ეძახიან. და ეს თანაბრად შეეხება ხელოვნების ყველა დარგს. ვინაიდან რაც ლამაზია, რაც ამაღლებულია, რაც დიდებულია, მას ერთი სახელი ჰქვია—პოეზია. და მაინც იმაში, რომ საქართველოს

პოეტების ქვეყანა ჰქვია, არის რაღაც განსაკუთრებული და დამახასიათებელი. საქართველოში მუდამ იყო ლექსის ბარაქა. ლექსს წერდა, ლექსით შრომობდა, ლექსით იბრძოდა, ლექსით განაგებდა არა მარტო პოეტი, არამედ მეფე და სარდალი, ჯარისკაცი და გლეხი, მეცნიერი და მემატიანე. მათ ხელში ლექსს ყოველთვის დიდი ეროვნული და საზოგადოებრივი დანიშნულება ჰქონდა. ალბათ საქართველოს ბუნებამ, ქართველი კაცის ხასიათმა განაპირობა ეს პოეტურობა. ეს ასეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსთაველის ქვეყანაში პოეტის სახელი რომ მოიპოვო, იოლი როდია. დიდ ნიჭიერებასთან ერთად, ის დიდ შრომასა და მაღალ კულტურას მოითხოვს.

ჩვენ ნამდვილად თავი მოგვაქვს ჩვენი კლასიკური პოეზიით. ასევე ვამაყობთ თანამედროვე მწერლობით, დიდი პოეზიით, მარტოოდენ გალაკტიონ ტაბიძის დასახელება საკმარისი იქნება, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა გასაოცარ სიმაღლეს და სილამაზეს მიაღწია ქართულმა პოეზიამ ჩვენს დროში. ჩვენი პოეტების სახელი გასცილდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს, ჩვენმა პოეტებმა აღიარება ჰპოვეს მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის დიდ პოეტურ კულტურაში. მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ბოლო წლებში ქართველი პოეტების ხმა ისე მწყობრად აღარ ჟღერს, ისე ხმამაღლა აღარ გაისმის, როგორც, ეს 30-იან 40-იან წლებში გაისმოდა. ამ ბოლო წლებში, ცოტა როდი იწერება, უფრო მეტი, გაზეთები და ჟურნალები უხვად გვიმასპინძლდებიან ლექსებით, მაგრამ კარგი ლექსი, რომელსაც აიტაცებს მკითხველი—ძალზე ცოტაა. ამ ბოლო წლებში ცოტაა ისეთი ახალი ლექსების წიგნებიც, რომელთაც დიდი გახმაურება ეპოვოს, სამოციანი წლების დიდ ლიტერატურულ მოვლენად მიგვეჩნიოს. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ იმის პროპაგანდაც, რაც გაკეთდა ამ ბოლო წლებში ჩვენ ვერ მოვახერხეთ იმ მასშტაბითა და ღირსებით, რაც ამ ლექსების ციკლსა თუ ცალკეულ წიგნებს ეკუთვნის. ამ გარემოებას ხაზს ვუსვავთ იმიტომ, რომ პოეზიის დღე, რომელსაც ახლა ვატარებთ, უნდა ვაქციოთ ჩვენი პოეტური მიღწევების ნამდვილ დათვალიერების დღედ, ყველაფერი, რაც

გაკეთდა ამ ბოლო დროს ჩვენს მწერლობაში, მისი ღირსების და ნაკლის პირუთვნელი გამოვლინების ნიშნით უნდა შეფასოთ. ამ ფონზე ნათელი გახდება, რომ ჩვენ მოვალენი ვართ ავამაღლოთ ქართული პოეზიის გამომსახველობითი მოქალაქეობრივი პათოსი. საბჭოთა პოეზიას აქვს საამისო გამოცდილება და ტრადიცია. საჭიროა ამ ტრადიციის განვითარება და წინ წაწევა.

პოეზიის დღე დაემთხვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგ პლენუმისათვის დიდი სამზადისის დღეებს. პლენუმისა, რომელიც განიხილავს იდეოლოგიის საკითხებს. ჩვენი პარტიის ისტორიაში ეს პირველი მაგალითია, როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლენუმი სპეციალურად მიეძღვნება იდეოლოგიურ საკითხებს, მწერლობისა და ხელოვნების საკითხებს. ეს მაგალითი კი იმის დადასტურება არის, თუ როგორ თანმიმდევრულად ზრუნავს ჩვენი სახელოვანი პარტია საბჭოთა მწერლობის კეთილდღეობისათვის, მისი შემდგომი აღმავლობისათვის. ამ მზრუნველობის ნათელი მაგალითი იყო გასული წლის დეკემბრისა და მიმდინარე წლის მარტში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობის შეხვედრა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან. პარტიამ მწერლობას ერთხელ კიდევ მოაგონა თავისი ვალდებულება: თავდადებული შრომით ემსახუროს საბჭოთა ხალხს, იმ ადამიანებს, რომლებიც ჰქმნიან ახალი სოციალისტური ქვეყნის დოვლათსა და სიკეთეს. ეჭვი არ არის, რომ ქართველი საბჭოთა მწერლები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ კვლავ მაღლა ეჭიროთ სოციალისტური რეალიზმის დროშა და მთელი თავიანთი ნიჭითა და ენერგიით ემსახურონ სოციალისტურ სამშობლოს, გამოხატონ და გამოსახონ ჩვენი ხალხის სულის სილამაზე, მისი კეთილშობილება და სიდიადე.

ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, მუდამ უნდა ამშვენებდეს, იფარავდეს და აღაგზნებდეს ლექსის ეშხი და სილამაზე. ქართველ ხალხს ისტორიული უფლება აქვს, ჩვენ ნიჭიერ საბჭოთა მწერლებისაგან უფრო მეტს, უფრო დიადს მოითხოვდეს.

ჩვენი ახალი თაობა

ოთხი დღე მიმდინარეობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული ახალგაზრდა მწერლების რესპუბლიკური თათბირი; საქართველოს მწერალთა კავშირის კარი ფართოდ შემოაღეს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან მოსულმა ნიჭიერმა ახალთაობამ. ოთხი დღე მიმდინარეობდა ცხარე კამათი, სჯა-ბაასი ამ მწერალთა ლექსების, მოთხრობების, პოემების, პიესებისა და კინოსცენარების შესახებ. იყო დიდი ინტერესი და სიხარულიც. და ეს სრულიად ბუნებრივია. ვისაც უყვარს ქართული სიტყვა, ვისაც აინტერესებს ქართული ლიტერატურის წინსვლა ის არ შეიძლება დაინტერესებული არ იყოს ახალგაზრდა მწერლის ბედით, მისი სულიერი სამყაროთი, მისი განწყობილებებით და შეხედულებებით, მისი ზომავლით. ამ თათბირმა ბევრი რამ მოგვცა საინტერესო, დასაფიქრებელი და დასკვნის გამოსატანი.

ვინც საქართველოში მოხვდება, უცხოელი იქნება ის თუ მოძმე რესპუბლიკიდან ჩამოსული მეგობარი, იხიბლება არა მარტო საქართველოს ულამაზესი ლანდშაფტით, მისი სიძველეებითა და ისტორიული წარსულით, იხიბლება ჩვენი ადამიანებით, მათი ცხოვრებით და გულთბილად იმეორებს: საქართველო პოეზიის ქვეყანაა. და ამ ცნებაში იგულისხმება არა მარტო პოეტები ვიწრო გაგებით, არამედ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, ჩვენი სტუმართმოყვარე ხალხი, მისი მგზნებარე ახალგაზრდობა. რუსთაველისა და ბარათაშვილის ქვეყანას რომ პოეზიის ქვეყანას უწოდებდნენ, ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ ასეთ ქვეყანაში პოეტის

სახელის დამკვიდრება, ისიც სახელოვანი მწერლისა, ძნელია, მეტად ძნელი.

ყოველმა ახალგაზრდამ, რომელიც ემზადება სამწერლო ასპარეზზე გამოსასვლელად, პირველად ყოვლისა ამაზე უნდა იფიქროს. ქართველი კაცის ბუნებაში პოეტური განწყობილება ჭარბად და ძლიერადაა მოცემული (ალბათ, ამ გარემოების გამო ამბობდა სომხეთის გამოჩენილი მწერალი თუმანიანი: „ყოველი ქართველი პოეტია, ქართველი პოეტი კი ორჯერ პოეტია"). მაგრამ ერთია ლექსით ვარჯიშობდე, ლექსის წერით ირთობდე თავს, მეორეა ნამდვილად ფიქრობდე, მწერლობით, როგორც პროფესიით, ემსახურო შენს ხალხს. შენს ქვეყანას.

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ღირსებითა და წარმატებით განაგრძო კლასიკური მწერლობის ტრადიცია, მისი მიღწევები და მონაპოვარი. უფრო მეტი: ქართული მწერლობა არასოდეს ყოფილა ისე მჭიდროდ დაკავშირებული ქართველი ხალხის ცხოვრებასთან, როგორც ჩვენს დროში. ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ამ 40 წლის განმავლობაში საინტერესოდ გამოსახა ჩვენი ხალხის ცხოვრება, მისი შემოქმედებითი შრომა და ბრძოლა. იგი არასოდეს ყოფილა ისეთი მრავალფეროვანი თავისი თემატიკური, მხატვრული აქსესუარით, მდიდარი გამოსახვის საშუალებით, როგორც ჩვენს დროში. ეს ფაქტია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ გაიზარდა თვით ხალხის შეგნება, ამაღლდა მისი გემოვნება და კულტურა. არასოდეს ყოლია ისეთი მასობრივი, მრავალრიცხოვანი მკითხველი ქართულ წიგნს, როგორც დღეს. ერთი მუჭა რჩეულთათვის დანიშნული მწერლობა, ვიწრო, კარჩაკეტილი, კამერული ხასიათის მწერლობა სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას. მხატვრული სიტყვა ახლა მასების, მილიონთა კუთვნილებაა, მისი აღზრდის საშუალება და იარაღი. ამ ხასიათმა, ამ თვისებამ განაპირობა ქართული მწერლობის თემატური მრავალფეროვნებაც, მისი ხასიათიც და მისი ბუნებაც. ქართულმა მწერლობამ აღიარება ჰპოვა არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, არამედ მთელი მსოფლიო მოწინავე, პროგრესულ მწერლობაში. ეს დიდი ფრთები ჩვენს

მწერლობას ჩვენმა დრომ, ჩვენმა ეპოქამ მისცა. არასოდეს ყოფილა ქართული მწერლობა ასე გავრცობილი და გავრცელებული, როგორც დღეს და ეს გარემოება ბევრ რასმე ავალებს ქართველ მწერალს, ქართველ ხელოვანს. ასეთ ვითარებაში ბევრი რამ მოეთხოვება იმ ახალგაზრდას, რომელიც თავის ბედს მწერლობას დაუკავშირებს.

ახალგაზრდა მწერალი ის კი არ არის, ვინც მხოლოდ მეტრიკით არის ახალგაზრდა. ჭეშმარიტად ახალგაზრდა შემოქმედი ისაა, ვისი სულიერი სამყაროც ახალგაზრდულია თავისი ბუნებით, ვისაც ახალი იდეები, ახალი ფორმები შემოაქვს, ვინც ნოვატორებისაკენ გზას გვიკაფავს, ვინც ახალს, ორიგინალურ სიტყვას ამბობს. ნიჭიერება ახალგაზრდა კაცისა მის მიერ მოტანილ ცოცხალ, ახალ სიტყვაში უნდა გამოჩნდეს, ამით უნდა იქნეს იგი დაფასებული, და არა იმით, რომ ასაკით ახალგაზრდაა და პირველად ბეჭდავს ჟურნალსა და თუ გაზეთში ლექსს. პოეტის პასპორტი მის მიერ შემოტანილი ახალი ინტონაციაა. ოღონდ ინტონაციაში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო გარეგანი ფორმა ლექსისა, არამედ იდეური და მხატვრული გააზრება მოვლენისა თუ საკითხის, პოეტური კონცეფცია. ინტონაცია არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს ფორმალისტებს ესმოდათ, რომელთაც ლექსი სიტყვიერ ყონგლიორობამდე დაჰყავდათ. არა! ინტონაცია ეფუძნება ცხოვრების მართალ სურათს, სინამდვილის გამოხატვას დამახასიათებელ თვისებათა ხაზგასმით, ჩვენს ცხოვრებაში აქტიურად შეჭრას, ცხოვრების ცენტრში ყოფნას, მღელვარედ განცას იმ ახლისა, ნოვატორულისა, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში აქვს ადგილი. რასაკვირველია, ცხოვრება ფართო ცნებაა. ამ ცნებაში იგულისხმება ჩვენი ადამიანების შეუპოვარი შემოქმედებითი შრომა. მისი მებრძოლი შემართება ახალი სოციალისტური ყოფის დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. შრომით მონიჭებული რომანტიკა და სიხარული. ახალგაზრდა კაცი, თუ ის ნამდვილი ახალგაზრდული ბუნებისაა. არ შეიძლება ამ სიხარულის, ამ რომანტიკის მონაწილე არ იყოს. ყოველ დიდ მწე-

რალს, ჰეშმარიტ მხატვარს დიდი მოქალაქის, დიდი თანამედროვის სახელი ჰქონია უპირველესად ყოვლისა. ამიტომ არ შეიძლება თემატური განურჩევლობა ვიქადაგოთ, რომ ყველა თემას, ყველა განწყობილებას, ყოველგვარ ინტონაციას თანაბრად ვაქეზებდეთ და ვავითარებდეთ.

ახალგაზრდა მწერლების რესპუბლიკურ თათბირზე რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა გამოვლინდა, რომელსაც უთუოდ მომავალი აქვს როგორც ჩვენი ქვეყნის, ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მხურვალე პატრიოტსა და სიტყვის ნიჭიერ ოსტატს. და მაინც ახალგაზრდა მწერლების ერთი ნაკლი ისაა, რომ მათი თემატიკა მეტად განსაზღვრულია, რიგ შემთხვევაში საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი, ნამცეცა სულიერი ცხოვრებით ცხოვრობენ; მათ ნაწარმოებებში ხშირად გამოხატულებას არ პოულობს მათთვის ახლობელი და ნაცნობი თემებიც კი. (კომკავშირული ახალგაზრდობის, სტუდენტობის, ოჯახის, მეგობრობის და ა. შ.). სემინარზე წაკითხული ლექსების ერთი ნაწილი წარმოადგენდა შთაბეჭდილებათა ნაგლეჯს, დაუმთავრებელ ჩანახატებს, ჩუქურთმებს, რომელთაც დიდი სული არ ჰქონდათ, არ გააჩნდათ დიდი ვნებანი, ის დიდი სლიერი ვნებანი და ღელვანი, რომელიც ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს მოეთხოვება. ამგვარი განსაზღვრულობა უთუოდ საშიშია. რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ ვიქადაგოთ ერთსახეობა, ერთფეროვნება. არა! ეს მომაკვდინებელი იქნება, როცა ვამბობთ, მწერლობამ ცხოვრება უნდა გამოხატოსო, ჩვენ გვესმის, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება. ადამიანი არა მარტო შრომობს, არამედ იბრძვის, ფიქრობს, ოცნებობს, უყვარს. ამ მხრივ ფართოა ასპარეზი. მრავალფეროვანია გამოსახატავი საგანი. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა პოეზიამ დიდი ადგილი დაუთმო ლირიკას. მათ შორის ინტიმურ ლირიკას, ადამიანის სულიერი ცხოვრების მრავალი ფერითა და სახით გამოხატვას. მაგრამ ჩვენს მწერლობას, ჩვენს პოეზიას არასოდეს დაუვიწყნია მთავარი. ეს მთავარი კი ის არის, რომ ყოველი თემა, ყოველი

განწყობილება, მოძრაობა ადამიანის სულისა გამოხატო დიდი ვნებებით, დიდი მასშტაბებით, ხალხის, შენი ქვეყნის ინტერესებითა და სულიერი ცხოვრებით. ჩვენი ლიტერატურის განვითარების ისტორიამ დაადასტურა, რომ თვით ლირიკულ პოეზიას და სწორედ ლირიკულ პოეზიას შეუძლია იყოს ხალხის, მისი მაღალი საზოგადოებრივი განწყობილებისა და ფიქრის გამომხატველი.

ახალგაზრდობის სემინარი ჩავატარეთ იმ დღეებში, როდესაც საბჭოთა ხალხი განიხილავს სახალხო მეურნეობის შვიდწლიან გეგმას, სკოლის ცხოვრებასთან კავშირის საკითხს, განიხილავს მღელვარედ, ინტერესით... და ახალგაზრდა მწერალი არ შეიძლება ამგვარ მღელვარებას არ განიცდიდეს. ყოველი ნაწარმოების შეფასება, ყოველი წიგნის თუ ავტორის შეფასება იმის მიხედვით უნდა მოხდეს, თუ რა ძალით არის მასში წარმოსახული ხალხის სულიერი ცხოვრება, რამდენად ეხმაურება იგი ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, მის ფიქრსა და განწყობილებებს, სწორედ ამავე საზომით უნდა შევაფასოთ იმ ნიჭიერი ახალგაზრდობის მოსვლა, რომელთა რიცხვი ცოტა როდი იყო ამ თათბირზე.

ცნობილია, რომ ახალი ძიებაში იბადება, ხოლო ძიება მაშინ არის შეგნებული, როცა კარგად იცნობ იმ ხერხსა და გზებს ლიტერატურაში, რაც უკვე მოპოვებულია სიტყვიერ ხელოვნებაში. ეპიგონობას, მიმბაძველობას მხოლოდ ის ახალგაზრდა დააღწევს თავს, რომელიც კარგად იცნობს მხატვრული სიტყვის ეროვნულ ტრადიციას, იცნობს და ავითარებს მას. ძნელია მოინახოს მეორე ქვეყანა, რომელიც ისე მდიდარი იყოს თავისი ეროვნული ტრადიციებითა და კულტურული წარსულით, როგორც საქართველოა. ვინც რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას ტრადიციებს კარგად იცნობს, არა მგონია, მხარი დაუჭიროს იმგვარ ტენდენციებს მწერლობაში, რაც მღელვარე საზოგადოებრივი ფიქრისა და განწყობილების გარეშე ცხოვრობს, უიდეო, ამორფული, უსიცოცხლო ჩანახატებისა და ჩანაწერების მოტრფიალე იყოს. როდესაც ტრადიციებზეა საუბარი, რასაკვირველია, საქმე ისე არ უნდა წარმოვადგი-

ნოთ, რომ ახალგაზრდა მწერალი საკუთარ ეროვნულ ნაჭუჭ-
ში ჩაიკეტოს, არა, ეს მეორე უკიდურესობა იქნებოდა. თანა-
მედროვე მწერალი, თანამედროვე ნიჭიერი ახალგაზრდა კარ-
გად უნდა იცნობდეს დიდი საბჭოთა მწერლობის მონაპო-
ვარს და ევროპული მწერლობის მიღწევებსაც, კარგად უნდა
არჩევდეს უცხოური მწერლობის კარგსა და ცუდ მხარეს;
კარგს, რომლის თავისებური განვითარება და გადმოღება
ჩვენთვის საინტერესოა და ცუდს, რომელიც საზიანოა ჩვენი
კულტურის განვითარებისათვის. დღევანდელ ევროპულ
მწერლობაში, მის პროგრესულ წარმომადგენლებში, რასაკ-
ვირველია, ბევრი რამ არის ღირსეული, მაგრამ საკითხი ამას
როდი შეეხება. საკითხი შეეხება იმას, რომ ზოგიერთ
ჩვენს ახალგაზრდა მწერალს ბრმად გადმოაქვს ის უცხო
ელემენტი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩვენი ხალხის
სულიერ ცხოვრებასთან, ჩვენი ხალხის ეროვნულ ინტერე-
სებთან. ჩვენ, რასაკვირველია, ამგვარი მიმბაძველობის წი-
ააღმდეგი ვართ. იქნება ეს მწერლობაში, მუსიკაში, ქანდა-
კებასა თუ ფერწერაში.

ამ თათბირმა ისიც გვიჩვენა, რომ ჩვენ ახალგაზრდა ძა-
ლებს შორის ბევრია ნიჭიერი, განათლებული ყმაწვილი, რო-
მელსაც კარგად ესმის, რომ თემატურ აქტუალობას, კარგად
ჩაფიქრებულ თემასა და მოტივს მხოლოდ მაშინ უწერია გა-
მარჯვება, თუ მას შესაფერისი მხატვრული განზოგადება და
ამაღლება აქვს. ჩვენ, რასაკვირველია, სასტიკი მოწინააღმდე-
გენი ვართ ყოველგვარი ტრაფარეტისა, ყოველგვარი მხატ-
ვრული გაღარიბებისა მწერლობაში. პრიმიტივიზმი, ფორმის
არგრძნობა დამღუპველია მწერლისათვის... ამიტომ მთელი
სიმკაცრით უნდა შეებრძოლოთ როგორც თემატურ განურ-
ჩევლობას, ასევე მხატვრული ფორმისადმი დაუდევარ და-
მოკიდებულებას.

ახალგაზრდა კადრების, მხატვრული სიტყვის მომავალი
ოსტატების გამოვლინება და აღზრდა მწერალთა კავშირის
უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. შემოქმედებითი ორგანიზაციე-
ბი მოვალენი არიან ყოველგვარი პირობა შეუქმნან შემოქმე-
დებით ახალგაზრდობას, ხელი შეუწყონ მათს იდეურსა და

მხატვრულ აღზრდას. რესპუბლიკურმა თათბირმა გვიჩვენა, რომ აქ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. ბევრ შემთხვევაში სამართლიანი იყო ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგების პრეტენზიები რედაქციების მიმართ, მწერალთა კავშირის მიმართ. ახალგაზრდობა ყველაზე უფრო მგრძნობიარე და ცოცხალი ნაწილია საზოგადოებისა, იგივე ითქმის ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის შესახებ, ამიტომ ის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ახალგაზრდა მწერლის გამოვლინებაში, რასაკვირველია, უმთავრესია მისი საკუთარი ნიჭი და უნარი, მისი მომზადება და ერუდიცია, მაგრამ ორგანიზაციულ მუშაობას, გამოცდილი ოსტატების დახმარებას უთუოდ თავისი მნიშვნელობა აქვს. ეს ავალებს ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობას, შემოქმედებით ორგანიზაციებს უფრო მეტი პასუხისმგებლობით და ინტერესით მოეკიდონ ამ საქმეს.

ახალგაზრდობის რესპუბლიკური თათბირი საქართველოს მწერალთა კავშირის მეხუთე ყრილობის წინა დღეებში გაიმართა და ეს იყო ერთგვარი შეჯამება ყრილობიდან ყრილობამდე ჩატარებული მუშაობისა. მოსკოვში ჩატარებულმა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამ მთელი ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების წარმატებასთან ერთად ნათლად გვიჩვენა, თუ რა ნიჭიერი, დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდობა ჰყავს საქართველოს. საბჭოთა მწერლობის გამოჩენილი სიტყვის ოსტატნი აღტაცებით ლაპარაკობდნენ ამ ახალგაზრდობის შესახებ. ეს გარემოება უფრო მეტს გვავალებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდა მწერლების პირუთვნელი განხილვა და გარჩევა იშვიათად ხდება ჩვენი პრესის ფურცლებზე, და ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედების ერთგვარი თემატური შეზღუდულობა, უთუოდ, ამ გარემოებითაც უნდა აიხსნას. თქვენ იშვიათად იპოვით კვალიფიციურ წერილებს, რომლებშიც განხილული იყოს ჩვენი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედება, აღნიშნული იყოს ის ახალი, რაც მოიტანა ამ ახალგაზრდობამ და ის ნაკლი, რაც გვხვდება მათ შემოქმედებაში. ახალგაზრდა მწერალთა რესპუბლიკურმა თათბირმა ერთხელ კიდევ დაგვარ-

წმუნა, რომ აუცილებელია ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევქმნათ ნორმალური პირობები ახალგაზრდა კადრების გამოვლინებისა და დაწინაურების საქმეში, რათა ყოველმხრივ დავეხმაროთ ახალგაზრდა მწერლებს, ჩვენს ხვალინდელ ცვლას, დიდი საბჭოთა მწერლობის მომავალს.

დიდი საზოგადოებრივი საქმე

ხალხთა კულტურული ურთიერთობის თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული მხატვრული ლიტერატურის რუსულ ენაზე თარგმნას. ეს არის საუკეთესო საშუალება მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის — მწერლობისა და ხელოვნების, მისი თანამედროვე საუკეთესო ნიმუშების საკავშირო არენაზე გატანისათვის.

გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ ის ერთგვარი ინერტული დამოკიდებულება, რომელიც დღემდე არსებობს მთარგმნელობითი მუშაობის მიმართ.

ცნობილია, რომ სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ ითავა რუსულ ენაზე ქართული მხატვრული ნაწარმოებების თარგმნის ორგანიზაცია, შეიმუშავა გეგმა ამ საქმის განხორციელებისათვის, მაგრამ მეფის რუსეთის რეჟიმმა და მსოფლიო ომის ბობოქარმა წლებმა შეაფერხა ეს საშვილიშვილო საქმე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რუსული ენის საშუალებით ფართო გზა გაეხსნა ქართულ ლიტერატურას.

ქართული მწერლობის ნიმუშების რუსულ ენაზე თარგმნა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა, მხოლოდ ამ გზით შეიძლება მრავალმილიონიან მკითხველთა მასების კუთვნილება გახდეს ქართული მწერლობა და საბჭოთა ხალხის კულტურულ საგანძურში დაიმკვიდროს დამსახურებული ადგილი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რუსულ ენაზე ითარგმნა თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რაც

ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში შეუქმნია. ამჟამად რუსულ ენაზე მოიპოვება ქართული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები. ბევრი მათგანი რუსულ ენაზე მშობლიური ენის მრავალფეროვნებითა და სიდიადით ელერს. მაგრამ, რუსულად თარგმნილ ყველა ნაწარმოებზე ეს როდი ითქმის. იშვიათი არ არის შემთხვევა, როდესაც რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული ნაწარმოები, არღვევს რა დედნის იდეურ-მხატვრულ თვისებებსა და ხარისხს, მკითხველს არასწორ წარმოდგენას აძლევს დედანზე. ამიტომაც ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ რუსულად თარგმნილი ნაწარმოების ხარისხის საკითხს და მთელი პრინციპულობით ვამხილოთ ყოველგვარი დაუდევრობა და შეცდომები ამ მიმართულებით.

თვალსაჩინო რუსული წიგნის კარგი ქართული თარგმანი ისეთივე დიდი მოვლენაა, როგორც ქართულ ლიტერატურაში გახმაურებული და საყოველთაოდ აღიარებული მხატვრული ნაწარმოების თარგმნა რუსულ ენაზე, თუ ეს თარგმანი ინარჩუნებს ნაწარმოების იმ ზემოქმედების ძალას, რაც მას ორიგინალში გააჩნია. ყოველგვარი დაბრკოლება უნდა გადაილახოს, თარგმნილ წიგნში რომ ავიცდინოთ ორიგინალის იდეური აზრისა და მხატვრული ფორმის დამახინჯება, მისი ინტელექტუალური და ემოციონალური ძალის გაღარიბება.

უნდა დავგმოთ ის უვარგისი პრაქტიკა, რომელიც ბღალავს თარგმნილი ნაწარმოების ხარისხს. ამგვარი გარკვეული ღონისძიების დასახვა არ იქნება ძნელი, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ დიდი პრაქტიკა და გამოცდილება გვაქვს, გამოცდილება დაგროვილი საბჭოთა ხელისუფლების დროს, ტრადიცია—შემუშავებული უძველესი დროიდან.

მთარგმნელობით საქმეს, როგორც მოგახსენეთ, უძველესი ტრადიცია აქვს ქართულ ლიტერატურაში. მე-4 საუკუნიდან მოკიდებული არა ერთი ბრწყინვალე ნიმუში გვაქვს თარგმნილი ძეგლისა. ისინი ორიგინალურ ლიტერატურასთან ერთად ამშვენებენ ჩვენს მრავალსაუკუნოვან მწერლობას. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ქართველებს იმთავითვე გარკვეული პრინციპი შეუმუშავებიათ

თარგმნისა. ჩვენს უძველეს მწერლობაში ორი ხაზი შეინიშ-ნება: ექვთიმე და გიორგი ათონელები და მათი სკოლა. ამ ტრადიციის მიხედვით აყალიბებდნენ თავისუფალი თარგმნის თეორიას, რომლის მიხედვით, მთარგმნელს „შემატება-შემოკლების“ და „თავისუფალი თარგმნის“ უფლება ჰქონ-და. იოანე პეტრიწი კი მოითხოვდა თარგმნის სიზუსტეს, ზედმიწევნით, ადექვატურ დამთხვევას დედანთან. მაგ-რამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. კ. კეკელიძე, მთარგმნელები ძველ ქართულ მწერლობაში მონურად როდი მისდევდნენ სათარგმნელ ტექსტს. ძველ მწერლობაში იშვი-ათად შეხვდებით ისეთ ძეგლს, რომელიც სიტყვასიტყვით, უცვლელად იყოს გადმოტანილი დედნიდან. თარგმანებში მთარგმნელებს შემოჰქონდათ ქართული სული, ამდიდრებდ-ნენ ძეგლს ქართული სახეებითა და კოლორიტით, ავსებდნენ მას ქართული გეოგრაფიული სახეებითა და ტერმინებით. „თარგმანში იყენებდნენ იმდენ თავისუფლებასა და თავისებუ-რებას, რომ ეს თარგმანები ორიგინალური ქართული ძეგლ-ების მიჯნებს უახლოვდებოდა“. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მრავალი ცვლილება შეჰქონდათ ნათარგმნ ძეგლ-ში, არსებითად ცვლიდნენ თხზულების იდეურ მხარესაც კი და ამდენად საქმე გვქონდა თავისებურ, ქართულ რედაქციას-თან.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული მწერლობის ამ ძველ მეთოდს დღეს ვერ გავიზიარებთ, რადგან დღეს სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. წინათ, ძველ მწე-როლობაში, თავისუფალ თარგმნას გარკვეული იდეოლოგიური პრინციპი ედვა საფუძვლად. საქმე ის იყო, რომ ძველი ქრის-ტიანული მწერლობა იდეოლოგიურად უპირისპირდებოდა, მაგალითად, მაჰმადიანურ სამყაროში შექმნილ მხატვრულ ნა-წარმოებებს და მას არ შეეძლო სიტყვასიტყვით გადმოეღო ეს ძეგლი. ამიტომ ხშირად ხდებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას მათი იდეოლოგიური გადმოქართულება. მაგალითად, ხშირად სიტყვა „მაჰმადი“ შეცვლილია „მართლმადიდებლით“, „წინასწარმეტყველით“ ან სხვა ამგვარი სიტყვით ამისდა მიხედვით, რასაკვირველია, დედანიც გადასხვაფერებუ-ლია. თვით სულხან-საბა ორბელიანიც ამავე პრინციპით

მოქმედებდა და დაუფარავად აცხადებდა: „სადაც სჯულის წინააღმდეგად ჩნდა, ცოტა რამ ჩალხი ვკარო“. ამ პრინციპის შიხედვით, ქართველ მთარგმნელებს ქრისტიანულ იდეოლოგიასთან შეფარდებით გამოჰქონდათ ხალხის ზნე-ჩვეულებანი და ადათები.

რასაკვირველია, ერთიანი საბჭოთა მწერლობის, სოციალისტური რეალიზმის პრინციპით დაწერილ მოძმე ერების თხზულებათა თარგმნის დროს ამგვარი ხერხი მიუღებელია. მაგრამ, აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე მთარგმნელები ვერ გაიზიარებენ მონური თარგმანის პრინციპს, სადაც ბრმად არის გადმოტანილი ორიგინალის სინტაქსური წყობა და ანგარიში არ ეწევა იმ თავისებურებას, რომელიც ამა თუ იმ ენის გრამატიკას გააჩნია.

ერთი რამ მაინც უდავოა; მთარგმნელს მოეთხოვება, უპირველეს ყოვლისა, ორივე ენის, ე. ი. იმ ენის, რომლიდანაც თარგმნის და იმ ენის, რომელზეც თარგმნის — ცოდნა, რომ ამის მიხედვით მოახერხოს სათარგმნი მასალის იდეური და მხატვრული ქსოვილის გადმოცემა, შეინარჩუნოს დედნის სურნელება და მიმზიდველობა. რასაკვირველია, ამ ამოცანის განხორციელებას ვერ შესძლებს სტრიქონებრივი თარგმანი, რაც დღემდე ასე გავრცელებულია ჩვენს მთარგმნელობითს პრაქტიკაში.

როგორც ცნობილია, სტრიქონებრივ თარგმნას არ შეუძლია დედნის მხატვრული აქსესუარის: სახეების, მეტაფორების, შედარებების, ყოფითი დეტალების ზუსტი გადმოცემა. ასეთი თარგმანი მხოლოდ აზრობრივ გადმოცემას ახერხებს და იმ სპეციფიკაზე, რაც მხატვრულ ნაწარმოებს გააჩნია, წარმოდგენას გვიკარგავს. ეს უკანასკნელი კი მთავარია. ნაწარმოების ნაციონალური ფორმა, რომელშიც გადმოცემულია მთელი თავისებურება ამ ენისა, თარგმანში იკარგება ან იცვლება. ამიტომ, რა თქმა უნდა, ნათარგმნ ნაწარმოებს აღარ აქვს ის ძალა, რაც მას ორიგინალში გააჩნია. განსაკუთრებით მაშინ, თუ ორიგინალი მხატვრულად სრულფასოვანია, მთარგმნელი კი დაბალხარისხოვანი ჰყავს. ხდება საწინააღმდეგო შემთხვევაც, როდესაც ნაწარმოები სუსტია და მას ნიჭიერი მთარგმნელი თარგმნის. რასაკვირველია, მაშინ

სიტყვასიტყვითი თარგმნის აზრს მთარგმნელი ავსებს ახალი ძლიერი მხატვრული სახეებით და ამიტომაც გადათარგმნილი ორიგინალზე მაღლა დგას. მაგრამ ეს მხოლოდ მხატვრულად სუსტ ნაწარმოებს შეეხება და რაიმე განზოგადებისათვის იგი არ გამოდგება.

სწორედ ამ გარემოებით არის გამოწვეული, რომ დღემდე არა გვაქვს, თავი რომ დავანებოთ კლასიკურ მწერლობას ისეთი ორიგინალური და ნაციონალური პოეტების, როგორიცაა გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და გრიშაშვილი— ნაწარმოებთა ღირსეული რუსული თარგმანები. მიუხედავად მთარგმნელების დიდი და თავდადებული მუშაობისა, სიტყვასიტყვითი თარგმანის საშუალებით, ისინი ვერ ახერხებენ გადმოსცენ ამ მწერლების ძლიერება. სწორედ ამიტომ დგას დღეს მწვავედ ენების ცოდნის საკითხი.

მთარგმნელობითი მუშაობის კარგად წარმართვა დიდად არის დამოკიდებული მთარგმნელთა კადრების მომზადების ხარისხსა და პროფესიონალობაზე. დღეს ასეთი კადრები ნაციონალურ რესპუბლიკებს საკმაოდ არ ჰყავს, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკას — საქართველოს, რომელსაც მთარგმნელობის დიდი ტრადიცია გააჩნია. ხშირად ამ საქმეში ტრიალებენ შემთხვევითი პირები. ბოლოსდაბოლოს, უნდა ვაღიაროთ, რომ ზხატვრული ნაწარმოების თარგმნა ყოველი ენის მცოდნეს როდი შეუძლია! ენის ცოდნის გარდა აქ საჭირო პროფესიონალობა, ლიტერატურული ალღო. სამწუხაროდ, ბევრი გაუგებრობა სწორედ ამ უკანასკნელის გაუთვალისწინებლობიდან გამომდინარეობს. ჩემის აზრით, დროა ვიფიქროთ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში ან რომელიმე ინსტიტუტში შეიქმნას სპეციალური ფაკულტეტი, ან უკიდურეს შემთხვევაში, ფილოლოგიურ ფაკულტეტთან დაარსდეს განყოფილება, რომელიც მოამზადებს მთარგმნელთა კადრებს.

მთარგმნელობითი მუშაობა ისეთი დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა, რომ არ შეიძლება აქ თვითდინებას დავეყრდნოთ. ენის ცოდნას თარგმნის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ჩანს თუნდაც „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითიდან.

როგორც ცნობილია, რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“

რამდენიმე თარგმანი არსებობს. ბევრი მათ შორის რუსული ლექსის გამოჩენილი ოსტატების მიერ არის შესრულებული. მაგრამ სიზუსტით გამოირჩევა შალვა ნუცუბიძის თარგმანი.

მაგრამ ორიგინალთან სიახლოვე მაინც როდი წყვეტს თარგმანის ხარისხს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია მწერალი. ყოველი მადლმოსილი თარგმანი მხოლოდ ჭეშმარიტი მწერლის ხელიდან გამოსულა. მწერალი და მხოლოდ მწერალი შეიძლება იყოს კარგი მთარგმნელი. ყოველივე ამის გამო არ შეიძლება დიდი პატივისცემით არ მოვიხსენიოთ რუსულ ენაზე ქართული ნაწარმოებების ისეთი ცნობილი მთარგმნელები, როგორიც არიან ტიხონოვი, ზაბოლოცკი, პასტერნაკი, ანტოკოლსკი, დერჟავინი, მეჟიროვი და სხვ. მათ მიერ შესრულებული თარგმანი მართლაც რომ ჩინებულად ჟღერს რუსულ ენაზე. მაგრამ მაინც ორიგინალის სულის გადმოსაცემად დიდი მნიშვნელობა აქვს დედნის ენის ცოდნას, ეს უდავოა. ამ გარემოებას უნდა მივაწეროთ ლექსის ისეთი ოსტატის, როგორიც არის პასტერნაკი, არსებითი ხარვეზები. ნ. ბარათაშვილის ლექსების თარგმნისას.

მთარგმნელობით მუშაობაში უნდა დავნერგოთ ის პრინციპი, რომელსაც მარქსი, ენგელსი, ლენინი აღიარებდნენ. როგორც ცნობილია, ყველა მათგანი უცხო ენიდან საკუთარ ენაზე თარგმნიდა ნაწარმოებებს. მათ ზედმიწევნით იცოდნენ ის ენა, რომლიდანაც თარგმნიდნენ.

როგორც ცნობილია, ენგელსმა საგანგებო წერილი მიუძღვნა მარქსის „კაპიტალის" ინგლისურ თარგმანს. ამ წერილში ენგელსი მოითხოვს მთარგმნელისაგან ორივე ენის—ორიგინალისა და თარგმანის ენის საფუძვლიან ცოდნას, ასევე მოითხოვს ცოდნას იმ ერის ყოფა-ცხოვრებისა, რომლიდანაც ნაწარმოები ითარგმნება.

როგორც გაზეთი „პრავდა" აღნიშნავდა, „კეთილშობილური და საპასუხისმგებლოა მთარგმნელთა შემოქმედებითი შრომა. მხატვრულ ნაწარმოებთა თარგმანები იდეოლოგიური ფრონტის მნიშვნელოვანი უბანია. თარგმანი ხელს უწყობს ჩვენი სამშობლოს ხალხთა შორის ძმური კავშირის განმტკიცებას". „პრავდის" ეს მოწინავე წერილი გვავალებს უფრო

პრინციპულ სიმაღლეზე ავიტანოთ მთარგმნელობითი საქმე.

სოციალიზმის ფუძემდებელი კარლ მარქსი აღნიშნავდა; „ყოველმა ნაციამ შეიძლება ისწავლოს და უნდა ისწავლოს კიდეც სხვა ნაციისაგან". სწორედ ჩვენში, სადაც ხალხთა მეგობრობა ასე ძლიერად აკავშირებს მრავალეროვან მოძმე რესპუბლიკებს, ხალხთა კულტურის საგანძურის ურთიერთგაზიარება გადაუდებელი ამოცანაა.

სოციალისტური ერების კულტურის საგანძურში რომ უფრო ძლიერად გამოვლინდეს ქართული კულტურის წვლილი, საჭიროა ჩვენი მხატვრული ნაწარმოების რუსულ ენაზე თარგმნის საკითხი მტკიცე სახელმწიფოებრივ ნიადაგზე დაეყენოთ.

ამ ამოცანის განხორციელება ავალდებულებს მწერალთა კავშირს საქმეს მეტი მონდომებით მოეკიდოს და გაიზიაროს ის პასუხისმგებლობა, რომელსაც ქართული მხატვრული ლიტერატურის რუსულ ენაზე თარგმნის საკითხი ავალდებულებს.

ა. ს. პუშკინის იუბილე საქართველოში

რუსეთის გენიალური პოეტი, ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი მუდამ დიდი სახელით სარგებლობდა ქართველ ხალხში. პუშკინის პოეტური გენია მის სიცოცხლეშივე დაუკავშირდა ქართულ ლიტერატურას და უდიდესი როლი შეასრულა ქართული პოეზიის განვითარებაში.

მიუხედავად დიდი ინტერესისა, იმდროინდელ კოლონიურ საქართველოში პუშკინის ნამდვილი დაფასება შეუძლებელი იყო. რუსეთის მეფის ნიკოლოზ პირველისა და მისი ჟანდარმების ქუსლით ითელებოდა გენიოსი პოეტის ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინის ნათელი სახელი. თავისუფლებისათვის მებრძოლი პოეტის მუდივი დევნა, ათვალწუნება, გადასახლება, პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევა, დაცინვა, ცილისწამება და ბოლოს მორალურად შეურაცხყოფილის დუელში ხიკვდილი—აი რა განუმზადეს მეფის სატრაპებმა რუსეთის ლიტერატურის მზეს—ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინს.

ბელინსკი წერდა, ნამდვილი რუსული ლიტერატურა იწყება მხოლოდ პუშკინიდანო. დიდი, წარუშლელი კვალი დატოვა პუშკინმა რუსულ ლიტერატურაში. რუსეთის დიდი პოეტის გავლენა გადმოწვდა ქართულ ლიტერატურასაც. ამას გრძნობდნენ და აფასებდნენ ქართული ლიტერატურის მესვეურნი. პუშკინის დიადი სახელი საოცარი სიყვარულით სარგებლობდა ქართველ ხალხში. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ ასე ახასიათებდა ქართული ლიტერატურისათვის პუშკინის მნიშვნელობას: „საქართველოსათვის პუშკინის მნიშვნელობა მეტად დიდია. ამ 70 წლის განმავლობაში ისეთი შთამომავლობა არ ყოფილა საქართველოში, რომელსაც რამე ესწავლოს და პუშკინის პოეზიას არ დასწაფებოდეს. ჩვენი საუკეთესო პოეტები: გრიგოლ ორბელი-

ანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი — ამათ ყველა ნაწერებში წილი უძევს. ზოგ მათგანს ნათარგმნი აქვს პუშკინის ლექსები და ზოგ ლექსებს პუშკინის გავლენა ატყვია. (ივერია № 109).

პუშკინს „უძევს თავისი წილი" ქართულ ლიტერატურაში, ეს წილი საკმაოდ დიდია. პუშკინის დიდი ლიტერატურული ურთიერთობით და მისდამი სიყვარულით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართველმა ინტელიგენციამ, პრესამ, თეატრმა, მთელმა ქართველმა ხალხმა ასე გულწრფელად აღნიშნეს პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილე 1899 წელს. და ეს მაშინ, როდესაც მეფე ნიკოლოზი და მისი ჟანდარმერია „კეთილსინდისიერად" ანხორციელებდა ჯერ კიდევ პუშკინის დასაფლავების დღისთვის გაცემულ მეფის პირველ ბრძანებას „ყოველგვარ ცერემონიის გარეშე", „არავითარი განსაკუთრებული პატივისცემა, ლექსის მჯღაბნელს". ასეთი იყო რუსეთის მეფის განაჩენი პუშკინის მიმართ და ეს განაჩენი კანონი იყო მეფის რუსეთის იმპერიისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას სასურველად არ მიაჩნდა, „პოეტის დღესასწაულს ფართო ხასიათი მიეღო", პუშკინის იუბილემ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოში.

ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილე გადახდილ იქნა 1899 წელს 26 მაისს (ძველი სტილით). ქართული ჟურნალ-გაზეთები ადრევე შედგომიან „ამ დიდი დღესასწაულისათვის" სამზადისს. არჩეულ იქნა დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია.

გაზეთ „ივერიის" № 104-ის პირველი გვერდი იხსნება შემდეგი ცნობით: „პუშკინის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამგე კომისია ამით აცხადებს ტფილისში პუშკინის იუბილე გადახდილ იქნება 26 მაისს". ქვემოთ გამოქვეყნებულია პუშკინის დღესასწაულის ჩატარების გეგმა.

1899 წლის „ცნობის ფურცელში" (№ 824) კი შემდეგ ვკითხულობთ:—„გუშინწინ, „ახ. მიმ". რედაქციაში მოწვეულნი იყნენ ადგილობრივი დროგამოშვებითი გამოცემათა რედაქტორები იმის გამოსარკვევად, თუ როგორ იდღესას-

წაულონ პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავი. ამ კრებას დაესწრო რედაქტორები და წარმომადგენლები ჟურნალ-გაზეთებისა: რუსულის „ახალი მიმომხილველისა“, ტფილისის ფურცლისა“, სომხური „მშაკის“, „ნორდარისა“, „აღშურისა“, „ტარაზისა“, ქართული „მოამბის“, „კვალისა“, „ცნობის ფურცლისა“ და დაადგინეს:

1. გადახდილ იქნას პანაშვიდი პუშკინის სულის მოსახსენებლად.

2. გაგზავნილ იქნას გვირგვინი პუშკინის სასაფლაოზე და

3. დაარსებულ იქნას პუშკინის სახელობის თანხა ასოთა-მწყობთათვის“.

შემდეგი ცნობებიდან ირკვევა, რომ ეს გეგმა უფრო ფართო ხასიათით განხორციელებულა.

„ცნობის ფურცელის“ № 826 პირველ გვერდზე შავი არშიით დიდი სამგლოვიარო განცხადებაა მოთავსებული: „თანხმობით თბილისის ჟურნალ-გაზეთებისა „აღშურისა“, „ჯეჯილისა“, „კავკასიის სამეურნეო გაზეთისა“, „ახალი მიმომხილველისა“, „კვალისა“, „ცნობის ფურცლისა“, 26 მაისს დილის 11 საათზე წმინდა გიორგის (ქაშვეთის) ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი რუსეთის გამოჩენილი მწერლის პუშკინის სულის მოსახსენებლად“. და მართლაც, „26 მაისს თბილისის კერძო რედაქტორების თანხმობით გამართულ პუშკინის პანაშვიდს ქაშვეთის ეკლესიაში დიდძალი ხალხი დაესწრო“. („კვალი № 22, 1899 წელი).

მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ამინდი იდგა, პუშკინის სამოქალაქო პანაშვიდს, რომელიც ალექსანდროვის ბაღში მოეწყო, აუარებელი ხალხი დასწრებია. აი როგორ აღწერს ამ პროცესს „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი:

„11 საათზე დენა დაიწყო ალექსანდრეს ბაღში სხვადასხვა სასწავლებელთა შეგირდებმა თავიანთი მუზიკით. მთელი ალექსანდრეს ბაღი გაჭედილი იყო მოზარდი თაობით ორივე სქესისა. სწორედ პირველ საათზე პანაშვიდი იქნა გადახდილი და მერე ალექსანდრეს ბაღიდან სხვადასხვა დეპუტაციები გაემგზავრნენ გოლოვინსკის პროსპექტით, სასახლის ქუჩით, აქედან შეუხვიეს ერევნის მოედანზე და შევიდნენ პუშ-

კინის ბაღში, სადაც ძეგლის წინ ქედს იხრიდნენ და გვირგვინით ამკობდნენ". შემდეგ კორესპონდენტი ასახელებს დეპუტაციებს. სიაში 69 ჯგუფია დასახელებული, საიდანაც ცხადია, რომ დიდძალი ხალხი დასწრებია დღესასწაულს.

ეს ცერემონია გაგრძელებულა ნაშუადღევის 3 საათამდე.

„მთელი ძეგლი პოეტისა გვირგვინებით დაიფარაო". — დასძენს „კვალის" კორესპონდენტი.

სიმპტომატურია, რომ რეპორტიორი ხაზს უსვამს, და ეს ჩანს გეგმაში დასახელებულ დეპუტატთა შემადგენლობიდანაც, „დამსწრე საზოგადოება ძირითადად შესდგებოდა მოსწავლე ახალგაზრდობისგანო", მწერლებისაგან და საზოგადოდ ინტელიგენციისაგანო. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ პანაშვიდი, როგორც „კვალის" კორესპონდენტი განმარტავს, შემდგარა კერძო პირთა ინიციატივით. ნათელია, რომ აქ „მთავრობა არსად ჩანდა" და მაინც „მთავრობის სურვილის საწინააღმდეგოდ" პუშკინის იუბილემ ფართო ხასიათი მიიღო.

„გაზეთ „ივერიის" 26 მაისის ნომერი (1899 წელი). მთლიანად მიძღვნილია ა. პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილესადმი. გაზეთი იხსნება პუშკინის დიდი ფოტო პორტრეტით, პორტრეტს ქვევით მოთავსებულია მეთაური წერილი:—„ალექსანდრე პუშკინი".

ეხება რა პუშკინის მნიშვნელობას რუსეთის ლიტერატურისათვის, ავტორი წერს: — „პუშკინისაგან იწყება ახალი ხანა რუსეთის მწერლობისა, რომელიც მან დამოუკიდებლობის გზაზე დააყენა, რომელსაც საგანი რუსეთის საზოგადოების, რუსის ერის ცხოვრებაში უპოვა. პოეზიის წყარო თვით ხალხის ცხოვრება არისო და ცხოვრება ნამდვილად არსებული და არა მოგონილი და არა ძალად შექმნილ-შეთხზულიო, ამით აღინიშნება ახალი საღი ნაყოფიერი მიმართულება. აქ დაიბადა, აქ ჩაისახა ახალი ერა... პუშკინმა მწერლობა თვით ცხოვრებას დაუკავშირა. მისი პოეზია რუსეთის ცხოვრების გულიდან არის ამოღებული. მისი პოეზია თვით ცხოვრებაა რუსეთის საზოგადოებისა რუსის უმაღლესი შემოქმედების ძალით განამდვილებული, გამშვენიერებული".

ეს ამონაწერი თვით ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ მიმართულების სწორ დახასიათებას იძლევა.

გაზეთ „ივერიის“ ამავე ნომერში მოთავსებულია პუშკინის ვრცელი ბიოგრაფია და ქართულად თარგმნილი ლექსები: ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ: „კავკასიის ზვავი“ „ანჩარი“ და „ყვავილი“; ილია ჭავჭავაძის მიერ: „წინასწარმეტყველი“ და „ჭეშმარიტება“; რაფიელ ერისთავისა: „რომანსი“; გრიგოლ ორბელიანისა: „ლხინი“ (მიბაძვა პუშკინისა) და „მიბაძვა პუშკინისა“; მამია გურიელის: „პუშკინიდან“; მიხ. თუმანიშვილისა: „ღამე“ (მიბაძვა); შიო მღვიმელისა: „ჩიტი“ და ახნაზაროვის მიერ თარგმნილი უსათაურო ლექსი. ამავე ნომერში მოთავსებულია ერთი წერილი — „რუსეთის დიდებული მგოსანი“; განყოფილებაში „დამაკვირდი“: „პუშკინის ნაკვესები“; აგრეთვე „პუშკინის ნაამბობი“ და პუშკინის დღესასწაულის ჩატარების გეგმა. ნომერი თავდება ქართულად თარგმნილ პუშკინის თხზულებათა ბიბლიოგრაფიით.

პუშკინის იუბილესთან დაკავშირებული წერილებისა და სპეციალური კორესპონდენციების გამოქვეყნება „ივერიაში“ გრძელდებოდა თითქმის 10 ივნისამდე, სადაც ვეცნობით ძოკლე ანგარიშს სკოლებსა და სხვაგან ჩატარებულ პუშკინის იუბილეს შესახებ.

პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს სათანადოდ გამოეხმაურა გაზეთი „კ ვ ა ლ ი ც“.

1899 წლის 22 მაისის (№ 21) „კვალის“ ნომერი მიეძღვნა ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინის იუბილეს. ავტორი მეთაური წერილისა:—„ორი პოეტი“ — ადარებს რა საფრანგეთის გამოჩენილ ბელეტრისტს ონორე ბალზაკს და რუსეთის გამოჩენილ პოეტს პუშკინს, სურს გაარკვიოს პუშკინის მნიშვნელობა რუსეთის ლიტერატურის ისტორიისათვის.

გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე სათანადოდ გაფორმებული ორი დიდი პორტრეტი პოეტისა.

ამ მხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გაზეთი „ცნობის ფურცელიც“:

„პუშკინის მოგონების საღამოები გადახდილი იქნა ყველა სკოლებში, სადაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო“. ამ საღამოს „ჩვენი მწერლები, ვინც თბილისში იმყოფებოდ-

ნენ, ყველანი დაესწრენ. სხვათა შორის დაესწრო ილია ჭავ-ჭავაძეც. ამავე საღამოს წაკითხულ იქნა მე-5 კლასის მო-წაფე ჯავრიშვილის მიერ პუშკინის „წინასწარმეტყველი“ თარგმანი ილია ჭავჭავაძისა“.

პუშკინის დღესასწაული ჩატარებულა რაიონულ სკოლებ-შიაც: „100 წლისთავის შესრულება პუშკინისა იდღესასწაუ-ლა ყველა გურიის სკოლამ“.—ვკითხულობთ „ცნობის ფურ-ცელში“. ასეთივე ცნობებია მოთავსებული თელავის სკოლე-ბის შესახებ („ცნობის ფურცელი“, № 895).

„ცნობის ფურცელი“ თითქმის ყველაზე უფრო დიდხანს ათავსებდა ცნობებს პუშკინის იუბილეს შესახებ. 27 მაისის ნომერში (№ 127) დაბეჭდილია პუშკინის „ბრძნული თქმუ-ლება“:

„როგორც ქარს და არწივს, ისე გულს ქალისას კანონე-ბი არ აქვს.

„ზეგადმო შთაგონება არ იყიდება. შესაძლოა მარტო ხელნაწერი გაიყიდოს.

„ეხლანდელ დროში ვირიც კი ირჩოლება.

„ძველიდანვე ასეა ეს წუთის სოფელი: სწავლული ბევრია, ჭკვიანი ცოტა. ნაცნობი მრავალი და მეგობარი კი არც ერთი.

„რა არის სახელი და დიდება? ჩიფჩიფი მკითხველისა, დევ-ნა-გინება სულმდაბლისა?

„ყოველივე ჩემია, სთქვა ოქრომ. ყოველივე ჩემია, სთქვა ხმალმა. ყოველივე ვიყიდე, სთქვა ოქრომ. ყოველივეს ხელთ ვიგდებ, სთქვა ხმალმა.

„შესაძლოა კაცი საქმიანი იყოს და ფრჩხილების სილამა-ზისათვისაც ფიქრობდეს.

„ზეგარდმო შთაგონებას ვერ მოიწვევ: თვითონ იგი უნ-და ეწვიოს პოეტს“...

პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს გამოეხ-მაურა ჟურნალი „მოამბეც“. მაისის ნომერში (№ 5) მოთავსე-ბულია ნ. ზურაბიშვილის საკმაოდ ვრცელი წერილი: „პუშკი-ნის 100 წლისთავის იუბილე“. ავტორი არკვევს პუშკინის მნიშვნელობას რუსეთის ლიტერატურისათვის. აქვე გადმოგვ-ცემს პოეტის ვრცელ ბიოგრაფიას.

ამავე იუბილესთან დაკავშირებით ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეკრიბა და გამოსცა ა. პუშკინის თხზულებათა კრებული, რომელშიც შევიდა ყველაფერი ის, „რაც ქართულად უთარგმნიათ რუსეთის დიდებული პოეტის ნაწერებისა ამ 60-80 წლის განმავლობაში ჩვენს ძველსა და ახალ მწერლებს“ („ცნობის ფურცელი“, № 127).

როგორც ცნობილია, ეს წიგნი გამოვიდა 1899 წელს. კრებულს წამძღვარებული აქვს პოეტის მოკლე ბიოგრაფია, შედგენილი გრიგოლ ყიფშიძის მიერ. წიგნში მოთავსებულია შემდეგი თხზულებანი: „მებადური და ოქროს თევზი“ (პოემა-ზღაპარი), თარგმანი რ. ერისთავისა; „ბაღჩისარაის შადრევანი“ (პოემა), თარგმანი მიხ. თუმანიშვილისა; „ძუნწი გმირი“ (სცენები), თარგმანი რ. ერისთავისა; „პუშკინიდან“ (ლექსი), თარგმანი მ. გურიელისა; „კავკასიის ზვავი“, (ლექსი), თარგმანი ა. ჭავჭავაძისა, „ანჩარი“ (ლექსი), თარგმანი მისივე; „სიზმარი“ (ლექსი), თარგმანი მისივე. „კავკასიის პატიმარი“, (პოემა შემოკლებით), თარგმანი ს. გოგენიძისა; „ჩიტი“, (ლექსი), თარგმანი შ. მღვიმელისა; „რომანსი (ლექსი), თარგმანი რ. ერისთავისა; „წინასწარმეტყველი“ (ლექსი), თარგმანი ილია ჭავჭავაძისა; „ჭეშმარიტება“ (ლექსი), თარგმანი მისივე; „მიბაძვა პუშკინისა“ გრ. ორბელიანისა და სხვ.

პროზაულ ნაწარმოებთაგან დაბეჭდილია: „ნასროლი“, თარგმანი ან. ფურცელაძისა; „მეკუბოვე“ (ამბავი), თარგმანი ვ. ელენტისა; „ბატონის ასული და გლეხის გოგო“ (მოთხრობა), თარგმანი ლ. ლ. ძ. მ.; „დუბროვსკი“, თარგმანი მისივე და სხვ.

ამავე წელს იოსებ იმედაშვილის მიერ ხელმეორედ იქნა გამოცემული ა. პუშკინის თხზულებათა კრებული.

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, პუშკინის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს თვალსაჩინო გამოხმაურება ჰქონია მაშინდელ პერიოდიკაში.

ძველი ქვეყანა პუშკინში ეძებდა კონსერვატორს, ყურადღებას ამახვილებდა პუშკინის იმ ლექსებზე რომელშიაც მეფე „ხალხის მფარველად“ არის დახატული. ამ მხრივ დამახასიათებელია გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მოთავსებული კორეს-

პონდენცია „პუშკინის დღესასწაული სასულიერო სემინარიაში. „სემინარიის ინსპექტორის მღვდელ-მონაზონის მ. დიმიტრის მიერ შესრულებული იქნა სამღვთო ლიტურღია და პანაშვიდი მგოსან ა. ს. პუშკინის სულის მოსახსენებლად მისი დაბადებიდან 100 წლისთავის მოგონების დღეს, რომელმაც ბრძანა, რომ თვით პუშკინმა და მისმა ლექსებმა დიდი ზნეობრივი გავლენა იქონია თანამედროვე რუსეთის საზოგადოებაზე, რომელიც იმ დროს დასავლეთ ევროპის გავლენის მიზეზით სცდებოდა ნამდვილი გზიდანო, პუშკინმა თავის ლექსით შთაბერა საზოგადოებას აზრი, მტკიცედ მდგარიყვნენ და არ გადაცდენილიყვნენ მართლმადიდებლის სარწმუნოებას მავნებელი სწავლითო, განუმარტავს პუშკინის შემოქმედების ზნეობრივ-სარწმუნოებრივი მხარეები. იგი იყო ჭეშმარიტი მორწმუნე და ღვთისმოსავი კაცი. მშვენივრად იცოდა საღმრთო წერილიო... და ა. შ. („ცნობის ფურცელი", № 829).

ძველი ქვეყანა პუშკინში ეძებდა „ღვთისმოსავ კაცს, მეფის ერთგულ ადამიანს", რითაც პუშკინის პოეზიის ნამდვილი სული, მისი პოეზიის რევოლუციონური პროგრესული მხარე იჩქმალებოდა.

მხოლოდ საბჭოთა წესწყობილების პირობებში გახდა პუშკინი ხალხის კუთვნილებად. ასრულდა პოეტის წინასარმეტყველება. მისი სახელი მოეფინა მთელ რუსეთს. საბჭოთა ქვეყანამ ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინს დაუდგა ჭეშმარიტად ხელთუქმნელი ძეგლი. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ენებზე ითარგმნება პუშკინის ნაწარმოებთა სრული კრებული. დიდი პოეტის შემოქმედება მხოლოდ ჩვენს დროში გახდა საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად.

რუსული სიტყვის დიდი ოსტატი

ნ. გოგოლის სახელთან დაკავშირებულია რუსული მწერლობის უაღრესად მაღალი რეპუტაცია. ნ. გოგოლი რუსული პროზის მამაა. როგორც პუშკინმა შექმნა ახალი რუსული პოეზია, ასევე გოგოლმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში ერთ-ერთ დიდ, რეალისტურ და მდიდარ რუსულ კლასიკურ პროზას. მის სახელოვან გზას დაადგნენ ისეთი გამოჩენილი რუსი მწერლები, როგორიც იყვნენ სალტიკოვ-შჩედრინი, ნეკრასოვი, გონჩაროვი, ოსტროვსკი, ტურგენევი, ლევ ტოლსტოი, ჩეხოვი და სხვები. ნ. გოგოლმა რუსეთის ლიტერატურაში დაიწყო და შექმნა ახალი პერიოდი, რომელსაც ნ. ჩერნიშევსკიმ სრულიად სამართლიანად გოგოლის პერიოდი უწოდა.

რუსულ ლიტერატურაში ნ. გოგოლის სახელთან დაკავშირებულია კრიტიკული რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის, შემოღება და განმტკიცება. ნ. გოგოლმა პუშკინთან ერთად პირველმა ამხილა რუსეთის ცარიზმის ბატონყმური და ჩინოვნიკური ყოფით გამოწვეული სულიერი სიცარიელე და დაკნინება. ნ. გოგოლის ნაწარმოებებმა უდიდესი რევოლუციური გავლენა მოახდინა მთელ მაშინდელ მეფის რუსეთზე. რუსული მწერლობის მებრძოლი, რევოლუციური ხასიათის გამომუშავების საქმეში ფასდაუდებელია გოგოლის როლი. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატ ნ. ჩერნიშევსკის, როცა წერდა: „ჩვენ ვთვლით ნ. გოგოლს ყოველგვარი შედარების გარეშე უდიდესად რუს მწერლებს შორის... დიდი ხანია არ ყოფილა მსოფლიოში მეორე მწერალი, რომელიც ყოფილიყო ისეთი მნიშვნელოვანი თავისი ხალხისათვის, როგორც ნ. გოგოლი რუსეთისათვის“.

ვ. ი. ლენინმა არა ერთხელ აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც შეასრულა რუსეთის მოწინავე მწერლობამ რევოლუციური მოძრაობის გაშლის საქმეში; და აქ ერთ-ერთი პირველი ადგილი ნ. გოგოლს ეკუთვნის.

ბატონყმური რუსეთის მძაფრი კრიტიკა, პარაზიტული კლასების მხილება, მთელი მათი სისაძაგლის მზის სინათლეზე გამოტანა,—რასაც გოგოლი მიმართავს თავის ნაწარმოებებში,—ობიექტურად ამზადებდა მკითხველს უკეთესი ცხოვრების ძიებისათვის, ამხედრებდა რუს მშრომელ ხალხს მჩაგვრელებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ, უნერგავდა სიძულვილს ცარიზმისა და ბატონყმობისადმი. სწორედ ამიტომ ბ. ბელინსკიმ ნ. გოგოლს უწოდა „თავისი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი ბელადი შეგნების, განვითარებისა და პროგრესის გზაზე". ნ. ჩერნიშევსკი გოგოლს თვლიდა დიდი დემოკრატი მწერლების მამად და მასწავლებლად. იგი ამბობდა: „არც ერთ ჩვენს უდიდეს მწერალში არ გამოსახულა ასე ფართოდ და ასე ნათლად პატრიოტული მნიშვნელობის შეგნება, როგორც ნ. გოგოლში. იგი თავს თვლიდა ისეთ ადამიანად, რომელიც მოწოდებული იყო არა ხელოვნების, არამედ სამშობლოს მსახურად. იგი ფიქრობდა თავის თავზე „მე პოეტი კი არა, მოქალაქე ვარ".

გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებებში ნ. გოგოლმა დაგვანახვა მკაცრი და შეუფერადებელი სიმართლე თავისი თანამედროვე რუსეთისა. გამოხატა ეს სინამდვილე და მთელი მისი უნიადაგობა, გვაჩვენა მხატვრულად განზოგადებული სახეები უნიათო მემამულეებისა, მექრთამე მოხელეებისა და ბნელი ჩინოვნიკებისა, სულიერად გამოფიტული, ორფეხა ცხოველი მებატონეებისა. ეს სინამდვილე მეტად სამწუხარო და დამაფიქრებელი იყო. თავისი გენიალური ნაწარმოებებით ნ. გოგოლმა ნიადაგი მოუმზადა 60-იანი წლების რევოლუციონერთა გამოსვლას რუსეთში, რომელთაც ლენინი მარქსიზმის წინამორბედად თვლიდა.

დიდი რუსი მწერალი გოგოლი იმ კლასიკოს მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა შემოქმედების საუკეთესო მხარე საბჭოთა კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

* * *

ნ. გოგოლი ახალგაზრდობაშივე განსაკუთრებით დიდ სიყვარულს იჩენდა ა. პუშკინისადმი. გადაიწერდა და იზეპირებდა პუშკინის ცნობილ ნაწარმოებებს „ბოშებს“, „პოლტავას“, „ევგენი ონეგინს“; იგი გატაცებული იყო თეატრით და მონაწილეობდა გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ დადგმულ სპექტაკლებში. მეტწილად კომიკურ როლებში გამოდიოდა.

1829 წელს დაიბეჭდა გოგოლის პირველი ნაწარმოები. ეს იყო ვ. ალოვის ფსევდონიმით გამოქვეყნებული პოემა „ჰანც კიუხელგარტენი“. ამ პატარა წიგნში მოთხრობილი იყო ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ტრადიციული რომანტიკულ-სამეჯნურო თავგადასავალი. ეს ნაწარმოები მძაფრად იქნა გაკრიტიკებული. კრიტიკით შეურაცხყოფილმა ნ. გოგოლმა შეისყიდა მთელი ტირაჟი და დაწვა.

1829 წელს ნ. გოგოლი ახერხებს მოეწყოს სამსახურში უბრალო მოხელის თანამდებობაზე. გოგოლი აქ გაიცნობს „შინელისა“ და „შეშლილის წერილების“ მომავალ გმირებს. აკვირდება და ეცნობა იმ პატარა მოხელეებს, რომლებიც შემდეგ ასე უკვდავად გააცოცხლა პოეტურ სიტყვაში. გოგოლის მოწოდება ვერ შეეთვისა იმ წრეს, რომელთანაც უხდებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. იგი მალე ტოვებს ჩინოვნიკურ კარიერაზე ფიქრს, ისტორიის მასწავლებლობას ჰკიდებს ხელს, კითხულობს ლექციებს, მაგრამ არც აქ რჩება დიდხანს. ხელოვნებას მიაშურებს და ოცნებობს გახდეს დრამატული თეატრის მსახიობი. მაგრამ გოგოლი საბოლოოდ მაინც თავის საყვარელ საქმეს—მწერლობას უბრუნდება. 1831 წელს, 20 მაისს ნ. გოგოლი წარუდგინეს და გააცნეს ა. პუშკინს. პუშკინმა მას მეგობრულად გაუწოდა ხელი და დახმარება აღუთქვა. ამან საბოლოოდ განსაზღვრა გოგოლის ლიტერატურული ბედი. 1831 წლის სექტემბერში გამოვიდა ნ. გოგოლის უკრაინული მოთხრობების პირველი კრებული: „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“, (პირველი ნაწილი), ხოლო 6 თვის შემდეგ, 1832 წლის მარტში დაიბეჭდა ამ კრებულის მეორე ნაწილი. ამ მოთხრობებით ნ. გოგოლმა დიდი პოპულარობა მოიპოვა.

გამოვიდა თუ არა ნ. გოგოლის პირველი წიგნი, პირველი აღფრთოვანებული სიტყვა, პირველი მაღალი შეფასება ავტორმა სწორედ პუშკინისაგან მიიღო. პუშკინი წერდა: „ახლა წავიკითხე „საღამოები დიკანკის მახლობლად“, და გაოცებული დავრჩი. აი, ნამდვილი მხიარულება, გულწრფელი, ძალდაუტანებელი, გაუპრანჭავი, გაუბღინძავი. ადგილ-ადგილ როგორი პოეზიაა, რა მგრძნობიარებაა! ყველაფერი ეს ისე არაჩვეულებრივია ჩვენს ლიტერატურაში, რომ აქამდე გონს ვერ მოვსულვარ. მე მითხრეს, როცა გამომცემელი შევიდა სტამბაში, სადაც „საღამოები“ იბეჭდებოდა, ასოთამწყობებმა დაიწყეს ხარხარი, ფრუტუნი, პირზე ხელს იფარებდნენ. ფაქტორმა აუხსნა მათი მხიარულება. გამოუტყდა, რომ ასოთამწყობები სიცილით იხოცებოდნენ წიგნის აწყობის დროს. მოლიერს და ფილდინგს ალბათ, ესიამოვნებოდათ, თავიანთი ასოთამწყობები რომ გაეცინებინათ.

ვულოცავ საზოგადოებას ჰეშმარიტ მხიარულ წიგნს, ავტორს კი გულითადად ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს“.

ეს ხომ უბრალო მკითხველის აღფრთოვანება არ იყო, ეს იყო დიდი და სახელმოხვეჭილი მწერლის შეფასება. გენიალურ რუს პოეტში, მის მაღალ შეფასებაში ახალგაზრდა მწერალმა მეგობარი, ამხანაგი დაინახა.

ლიტერატურის ისტორიაში ძნელია დავასახელოთ მეორე მაგალითი ასეთი მეგობრობისა და სულიერი კავშირისა. ნ. გოგოლი პუშკინს უდიდეს ნაციონალურ პოეტად თვლიდა. „პუშკინის სახელის ხსენებაზე, — წერდა ნ. გოგოლი,— მაშინვე გაგიელვებს ფიქრი რუს ნაციონალურ პოეტზე. მართლაც, ჩვენი პოეტებიდან არავინ არ არის მასზე მაღალი და არ შეიძლება ამიერიდან სხვას ეწოდოს ნაციონალური. ეს უფლება უეჭველად პუშკინს ეკუთვნის. მასში, როგორც ლექსიკონში, თავი მოიყარა ჩვენი ენის ყველა სიმდიდრემ, ძალამ და მოქნილობამ. მან ყველაზე უფრო ვრცლად გაშალა მისი საზღვრები, ყველაზე უფრო გვიჩვენა მთელი მისი სიდიადე. პუშკინი არაჩვეულებრივი მოვლენაა და, შეიძლება ერთადერთი მოვლენა რუსული სულისა...“

ამიტომ განიცადა ასე მწვავედ ნ. გოგოლმა პუშკინის სიკვდილი. პუშკინის სიკვდილით აღელვებული ნ. გოგოლი

1837 წლის 16 მარტს პარიზიდან იწერებოდა: „რუსეთიდან ამაზე ცუდი ამბის გაგება არ შეიძლებოდა. მთელი ჩემი ცხოვრების ბედნიერება, მთელი ჩემი უმაღლესი სიტკბოება მასთან ერთად გაქრა. არაფერი მისი ჩარევის მიუღებლად არ გამიკეთებია. არც ერთი სტრიქონი არ დამიწერია ისე, რომ იგი თვალწინ არ მყოლოდა წარმოდგენილი. რას იტყვის იგი, რას შენიშნავს, რაზე გაიცინებს, რაზე წარმოთქვამს თავის მტკიცე და მარად მოწონებას. აი ის, რაც მიპყრობდა და ჩემს ძალას აღაფრთოვანებდა“.

მეორე დიდი სულიერი მეგობარი, რომელმაც ნამდვილი შეფასება მისცა ნ. გოგოლსა და მის დამსახურებას რუსული ლიტერატურის წინაშე, იყო ბ. ბელინსკი. 1835 წელს, სექტემბერში, ახალგაზრდა კრიტიკოსმა გამოაქვეყნა ცნობილი სტატია: „რუსული მოთხრობებისა და ნ. გოგოლის მოთხრობების შესახებ“. ბელინსკი მიესალმა დიდ მხატვარს, რომელმაც ამხილა ბატონყმური რუსეთი და მისი მცონარე ადამიანები.

1836 წელს დაიწერა და ამავე წლის აპრილში დაიდგა ნ. გოგოლის სახელგანთქმული პიესა „რევიზორი“, რისთვისაც რეაქციული პეტერბურგი თავს დაესხა მწერალს.

1836 წელს ნ. გოგოლი მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც რჩება 1849 წლამდე. საზღვარგარეთ იგი განაგრძობს ადრევე მოფიქრებულ ყველაზე დიდ ნაწარმოებს „მკვდარ სულებს“. 1842 წელს ცენზურულ დაბრკოლებათა მიუხედავად, გოგოლი მაინც ახერხებს „მკვდარი სულების“ პირველი ტომის დაბეჭდვას.

* * *

ნ. გოგოლის ლიტერატურული მემკვიდრეობა რუსული აზროვნებისა და მხატვრული სიტყვის უდიდესი მიღწევაა, პირველი პროზაული ნაწარმოები, რომლითაც ყურადღება მიიპყრო ნიჭიერმა მწერალმა, როგორც ზემოთ ვთქვით, იყო „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“. ამ მოთხრობების მთავარი ღირსებაა უკრაინული ხალხური ცხოვრების დიდი ცოდნა, უბრალო ადამიანების განცდებისა და ვნებების

პოეტური წარმოსახვა. ამ მოთხრობების გმირები ხალხური შემოქმედების სულით ცოცხლობენ და მოქმედებენ. უკრაინული სოფელი თავისი ზღაპრებითა და ლეგენდებით, სოფლური ცრუმორწმუნეობითა და იდილიით, დიდი რომანტიკული ფერადოვნებით ცოცხლდება. ამ რომანტიკულად წარმოსახულ ცხოვრებას ანათებს ხალხის სიყვარული და რწმენა სინათლის გამარჯვებისა სიბნელეზე. ამ რწმენას და სიხარულს საფუძველი ცხოვრებაში აქვს.

ცხოვრების რომანტიკული აღქმიდან ნ. გოგოლი თანდათან გადადის ბატონყმური რუსეთის რეალისტურ-სატირულ ასახვაზე. ეს იყო ახალი საფეხური, ახალი პერიოდი მწერლის შემოქმედებაში, რამაც მთელი სიძლიერით თავი იჩინა „მირგოროდის“ მოთხრობების ციკლში.

წიგნი იწყება მოთხრობით „ძველი დროის მემამულენი“. რუსული მწერლობისათვის მანამდის უჩვეულო იუმორის სიმწვავით ხატავს მწერალი პროვინციული პატრიარქალური მემამულის ყოფასა და სულიერ სიცარიელეს. ათანას ივანოვიჩ ტოვსტოგუბისა და მისი მეუღლის პულხერია ივანოვნას მცონარობა ნ. გოგოლმა დიდი ოსტატის კალმით აღწერა. მათ არ იციან ეშმაკობა და მტრობა, მაგრამ ეს გარემოება მაინც არ ანელებს მკითხველის ზიზღს ასეთი ცხოვრებისადმი, ასეთი ადამიანებისადმი.

ამ მოთხრობაში აღწერილ პროვინციული თავადის სოფლის ცხოვრებას როდი სჯობია პროვინციული ქალაქის მემამულეების—ივან ივანოვიჩისა და ივან ნიკიფოროვიჩის. უაზრო და დაწვრილმანებული ყოფა („ამბავი იმისა, თუ რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანოვიჩს ივანე ნიკიფოროვიჩთან“). მათი ფიქრი და ოცნება, ლტოლვა და ძიება სამზარეულოს ჭვარტლს არ გასცილებია. ესენი რაღაც მღოღავი ორფეხა ცხოველები არიან, სასაცილონი თავიანთი ვნებებითა და შეგნებით. მკითხველი გულიანად ხარხარებს, როცა მათს მსჯელობას ისმენს, მაგრამ ეს სიცილი, როცა წიგნს დახურავთ, სევდის მომგვრელია; გაოგნებთ ადამიანის ასეთი დაკნინება და დაჩიავება.

ნ. გოგოლის მემამულეები ერთნაირად არიან გონება-

ჩლუნგნი და უნაყოფონი, სულიერად ღატაკნი, ფიზიკურად უსუსურნი.

გახელების, თავშეკავების, სიყვარულის, სიძულვილის თუ მლიქვნელობის გამოჩენაში ისინი ერთნაირი ძალით არიან დაჯილდოებულნი. ერთნაირი უფერული ცხოვრებით ცხოვრობენ. ნ. გოგოლის ძალა ის არის, რომ ამ ერთფეროვნებაში დიდ მხატვარს მოძებნილი აქვს კონკრეტული განსხვავების ნიშანი და ამ ნიშნით მკითხველთა შეგნებაში სხვადასხვა ვარიანტით შემოდიან ეს გმირები. მწერლის მიერ დახატული ეს უღიმღამო სინამდვილე მკითხველის სიძულვილს იწვევს. მართლაც აქედან გამოწვეული შთაბეჭდილება გოგოლს შეეძლო ერთი ფრაზით გამოეხატა: „მოწყენილობაა. ამქვეყნად, ბატონებო!“.

ნ. გოგოლი არ ყოფილა რევოლუციონერი, მაგრამ ის იყო პირუთვნელი მხატვარი-რეალისტი; კარგად იცნობდა ცხოვრებას და წარმოსახავდა მას პროგრესული ადამიანის თვალსაზრისით. მწერალს სწამდა, რომ ცხოვრება, რომელიც მას და მის გმირებს გარს ერტყა, წარმოადგენდა ჭაობს, რომელიც ამახინჯებდა ადამიანს, აჩლუნგებდა და სულიერად აკნინებდა მას. ნ. გოგოლს კი უყვარდა ადამიანი ლაღი და თავისუფალი, გონიერი და მშრომელი. მის მიერ შექმნილი სახეები მკითხველს მოუწოდებდა ებრძოლა უკეთესი მერმისისათვის სწორედ ეს პროგრესული და მებრძოლი მხარე გამოიყენა შემდეგ რუსულმა მწერლობამ, და განსაკუთრებით 60-იანი წლების რევოლუციურმა დემოკრატიამ—თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

* * *

ნ. გოგოლი დიდი პატრიოტი იყო. გოგოლს მთელი გულით უყვარდა რუსეთი. — „ჭეშმარიტი ნაციონალობა, — წერდა იგი, — გამოიხატება არა სარაფანის აღწერაში, არამედ თვით ხალხის სულში. პოეტი შეიძლება იყოს მაშინაც კი ნაციონალური, როდესაც აღწერს სრულიად გარეშე სამყაროს, მაგრამ მას უცქერის თავისი ნაციონალური სტიქიით, თავისი ხალხის თვალით, როდესაც გრძნობს და ლაპა-

რაკობს ისე, რომ მის თანამემამულეთ ჰგონიათ, თითქოს თვითონ ისინიც ამასვე გრძნობენ და ლაპარაკობენ“.

მშრომელი ხალხის თავისუფლებისმოყვარე სულს, პატრიოტი გმირების უკვდავ საქმეს დიდი პოეტური გზნებით უმღერა ნ. გოგოლმა „ტარას ბულბაში“. „მირგოროდის“ ციკლის მოთხრობებში სულ სხვა სხივი შეიტანა „ტარას ბულბამ“. რაკი გოგოლმა თავის თანამედროვე ბატონყმურ-მემამულური რუსეთის წრეში ვერ მოძებნა პატრიოტულ-გმირული ხასიათის მასალა, ისტორიას მიმართა. ყურადღებით შეისწავლა წყაროები და დოკუმენტები, რომელიც ამ პერიოდს ეხებოდა, და ამის საფუძველზე „ტარას ბულბას“ პირველი ვარიანტი 1835 წელს გამოაქვეყნა, ხოლო უკანასკნელი შევსებული რედაქცია — 1842 წელს.

ცხრა წლის განმავლობაში მუშაობდა მწერალი ამ შესანიშნავ ნაწარმოებზე. ეს იყო აპოთეოზი ვაჟკაცობისა, გმირობისა, სამშობლოსათვის თავგანწირვისა. ტარას ბულბა წარსულის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახეა, რომელიც კი მსოფლიოში მხატვრულ სიტყვას შეუქმნია. ეს არი უკვდავი ჰიმნი პატრიოტიზმისა, ხალხის დაუმორჩილებელი, თავისუფლებისმოყვარე სულისა. ამ მაღალი პოეტური ღირსების გამო ბელინსკიმ „ტარას ბულბა“ „ილიადას“ შეადარა. როგორც ცნობილია, მოთხრობაში აღწერილია მე-16-17 საუკუნეები, როცა უკრაინა პოლონელი პანების მონობაში გმინავდა. რუსი და უკრაინელი ხალხები შეუპოვრად იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლას ზაპოროჟელი კაზაკი ტარას ბულბა მეთაურობს.

განსაკუთრებით ძლიერია სამშობლოს პატრიოტების — ოსტაპისა და ტარასის სიკვდილით დასჯის სცენები. ეს არის უძლიერესი მხატვრული სურათები, რომლებიც კი ოდესმე შეუქმნია მხატვრულ სიტყვას. ასევე შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ პატრიოტი მამის მიერ მოღალატე შვილის მოკვლა. თუ უქნარა მემამულეების საღებავები მუქი და მოსაწყენია, სამშობლოს დიდი პატრიოტების — ტარასისა და ოსტაპის ხასიათები მწერალმა დიდი სიყვარულით, სიხარულით და ნათელი სხივით შემოსა. მწერლის ეს გზნება მკითხველსაც აიტაცებს და იმორჩილებს. პატრიოტი გმირე-

ბის მოქმედებით აღფრთოვანებული მკითხველი თრთოლვით გადაშლის მოთხრობის ყოველ ფურცელს და შემდეგ მადლიერების გრძნობით ხურავს ამ წიგნს. მწერალი მკითხველთან ერთად ლაღობს პატრიოტი გმირების ვაჟკაცობით.

და როდესაც გონების თვალით დააკვირდებით ტარას ბულბას ხასიათს, მის პატრიოტულ ვნებებს, ქართველ მკითხველში იელვებს მოგონება ყაზბეგის ხევისბერისა. მართალია სულ სხვა სიტუაციაში, სულ სხვა ფონზე, მაგრამ ხასიათების ის ნაჭედობა, პატრიოტიზმის ეს უძლეველი ძალა და მგზნებარება, რომლითაც შეპყრობილია ტარას ბულბა და ხევისბერი, დამოუკიდებლად გვაგონებენ ერთმანეთს. ანალოგია მყარდება არა მარტო იმით, რომ ტარასი ისევე კლავს სამშობლოს მოღალატე შვილს, როგორც ხევისბერი გოჩა, არამედ იმ პატრიოტიზმის მაღალი შეგნებითაც, რომლითაც ნ. გოგოლმა და ყაზბეგმა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად დიდების შარავანდედით შემოსეს ეს უკვდავი გმირები.

განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ფინალი, სადაც ჩვენ წინ დგას ნებაგაუტეხელი და დაუმორჩილებელი პატრიოტი, უთანასწორო ბრძოლაში მტრების მიერ ხეზე მიკრული ტარას ბულბა.

წინასწარმეტყველური და პატრიოტულია ტარას ბულბას შეძახილი: „განა მოიპოვება ქვეყანაზე ისეთი ცეცხლი და სატანჯველი, ან ისეთი რამ ძალა, რომ რუსეთის ძალას სძლიოს?“ ამ სტრიქონების ავტორი ამ რწმენას, რასაკვირველია, ხალხურ რუსეთზე ამყარებდა. მას მუდამ სწამდა რუსეთის ხალხთა მომავალი. მწერალი ნათლად ხედავდა, რომ რუსეთის მომავალს, მის წინსვლას აფერხებდა თვითმპყრობელური და ჩინოვნიკური რუსეთი—ხალხური რუსეთის მტერი, რომელსაც გოგოლი სარკასტულად დასცინოდა. სწორედ ამაში იჩინა თავი გოგოლის კრიტიკული რეალიზმის ძალამ.

ნ. გოგოლის რეალიზმი შემდგომ უფრო და უფრო გაიშალა. წინა პლანზე წამოიწია კრიტიკული მომენტი. ამის გამოხატულება იყო მომდევნო პერიოდის — პეტერბურგის ციკლის მოთხრობები, რომელშიც მწერალმა მთელი სიცხადით დახატა ნიკოლოზის პეტერბურგის წვრილ მოხელეთა ტრა-

ციკული ბედი. ნ. გოგოლი კარგად ამჩნევს, რომ ჩინოვნიკობაში დიდებიც არიან და პატარებიც. დიდმოხელეები, მეფის ბიუროკრატიული მანქანის მმართველნი, მექრთამენი და სიყალბის ჩამდენნი განცხრომით ცხოვრობენ. ამათ გვერდით გოგოლმა დაინახა დაჩაგრული, პატარა მოხელის ტრაგედია. ამ თემას მიუძღვნა რამდენიმე მოთხრობა: „ნევის პროსპექტი“, „შეშლილის წერილები“, „შინელი“.

ამ ციკლის მოთხრობებიდან ყველაზე ძლიერი და ყველაზე პოპულარულია „შინელი“, რომელსაც გერცენმა სამართლიანად უწოდა უდიდესი ნაწარმოები. მოთხრობის მთავარი გმირია დეპარტამენტის პატარა მოხელე, აკაკი აკაკიევიჩ ბაშმაჩკინი. მეფის ბიუროკრატიული დაწესებულების ეს უბრალო მოხელე გათელილი და აბუჩად აგდებულია ყველას მიერ. მასში ჩამკვდარა ადამიანური ვნებანი და ღელვანი. საბუთის გადაწერის გარდა მისთვის არაფერი არსებობს. პატარა ადამიანის ცხოვრება ერთბაშად ააფორიაქა მოულოდნელმა ამბავმა: გაცვდა აკაკი აკაკიევიჩის ძველი შინელი და მან უნდა შეიკეროს ახალი. სიტყვა ახლის გაგონებაზე აკაკი აკაკიევიჩს თვალთ დაუბნელდა. ახალი შინელით გამოწვეულმა ბედნიერებამ ერთბაშად შეცვალა აკაკი აკაკიევიჩი. ახალმა შინელმა „ერთი წუთით გაუნათა ბეჩავი ცხოვრება“, როგორც შენიშნავს მწერალი. მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ავაზაკებმა აკაკი აკაკიევიჩს წაართვეს ეს ახალი შინელი და იგი თვითონაც შეეწირა ამ ამბავს. მწერალი ამ პატარა ადამიანის ტრაგედიას რეალიზმის უჩვეულო ძალით ხატავს. ორმოცდაათი წელი ისე გაატარა აკაკი აკაკიევიჩმა, რომ კვალი ვერ დაამჩნია ამ ცხოვრებას. ისე მოკვდა, რომ ცრემლიც არავინ დააპკურა. „გაქრა და გაუჩინარდა არსება, რომელიც არავინ დაიცვა, არავისთვის არ იყო ის ძვირფასი და არავის არ აინტერესებდა“...

* * *

ნ. გოგოლი არის ერთ-ერთი მამამთავარი და შემქმნელი არა მარტო რუსული პროზისა, არამედ რუსული ნაციონალური კომედიისაც. 1836 წლის „პეტერბურგის ჩანაწერებში“

გოგოლი წერდა: „რუსი აქტიორების მდგომარეობა საავალალოა. მათ წინ თრთის და დუღს ახალი მოსახლეობა, მათ კი აძლევენ ისეთ პირთ, რომელნიც თვალითაც არ უნახავთ. რა უნდა მოუხერხონ ამ უცნაურ გმირებს, რომლებიც არც ფრანგები არიან, არც გერმანელები, არამედ რაღაც უცნაური ადამიანები, რომლებსაც სრულიად არა აქვთ გარკვეული ვნება და გამოკვეთილი ფიზიონომია? თავი რით გამოიჩინონ, რით განავითარონ ტალანტი? თუ ღმერთი გწამთ, მოგვეცით რუსული ხასიათები, მოგვეცით ჩვენი საკუთარი თავი, ჩვენი თაღლითები, ჩვენი ობროდები. სცენაზე ისინი!—ყველას სასაცილოდ!“ და მართლაც ასეთი კომედია პირველად მან შექმნა.

„რევიზორი“ უმაღლესი საფეხურია რუსული და ამავე დროს მსოფლიო დრამატურგიისა. იგი ინარჩუნებს თავის მხატვრულ დიდებასა და სახელს ჩვენს სცენაზე. ეს პიესა პირველად დაიდგა 1836 წლის 19 აპრილს, და მას შემდეგ არც ჩამოსულა რუსული თეატრის სცენიდან, აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ის განუყრელი თანამგზავრია ქართული თეატრისაც.

„რევიზორში“ მწერალმა არაჩვეულებრივი სიძლიერით დაგვიხატა პროვინციული რუსული ქალაქის მექრთამე მოხელეთა სულიერი სიცარიელე, ეგოისტური ვნებანი, გაიძვერობა და მექრთამეობა. გოროდნიჩი და მისი ამალის წევრები: სინდისგარეცხილი, მექრთამე მოსამართლე ლიაპკინ-ტიაპკინი; მლიქვნელი, გაიძვერა, მაბეზღარა და გაუტანელი ზემლიანიკა; სასწავლებლის ზედამხედველი მშიშარა ხლოპოვი; უსაქმური, მუდამ სხვისი წერილების კითხვით გართული ფოსტმეისტერი შპეკინი; ყბედი, ურცხვი, უშვერი დობჩინსკი და ბობჩინსკი; პრანჭია, პროვინციელი კეკელა ანა ნადრეევნა და მისი ქალიშვილი—ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური რუსეთის ეს თაიგული მწერალმა დახატა მძაფრ კომიკურ სიტუაციებში.

მექრთამე საზოგადოება თავის გამომჟღავნების შიშით შექმნილ ვითარებაში გარკვევის უნარს მოკლებულია. იგი აქლემს იქ ხედავს სადაც ბუზიც არ ჩანს. ხლესტაკოვი, ეს ქარაფშუტა; მოსულელო კაცი რევიზორად მიიჩნია მექრთა-

მეთა ამ წრემ. ხლესტაკოვის გონებრივი სიცარიელე, უაზრო ლაპარაკი და ულოგიკო მოქმედება გამობრძმედილმა და საკმაოდ გაქნილმა გოროდნიჩიმაც კი რევიზორის თავისებურ ხერხად მიიჩნია. მწერალი ამ ფონზე შესანიშნავად ხატავს მთელ მათს უბადრუკობას. „რევიზორმა“ ფართო გზა გაუხსნა რუსული დრამატული ჟანრის განვითარებას. ნ. გოგოლის ამ გენიალური ქმნილების წინააღმდეგ შაშინვე აღდგნენ რეაქციის ძალები, მწერალს ცილი დასწამეს. „რუსეთის მტრობა“ დააბრალეს და პიესა ფარსად გამოაცხადეს. მაგრამ მაყურებელმა, ხალხმა მასში სამართლიანად დაინახა თვითმპყრობელური რუსეთის მაშინდელი სურათი, და პიესის პოპულარობაც ამ გარემოებამ განსაზღვრა.

ბ. ბელინსკიმ ხაზი გაუსვა გოგოლის რეალიზმისა და სატირის თავისებურებას, მის ხალხურობასა და ტიპიზაციის განსაკუთრებულ უნარს. ბელინსკი გოგოლის მხატვრულ თვისებად თვლიდა რეალისტურ კომიზმს. კომიზმის მიზანი, ბელინსკის აზრით, იყო არა მწერლის სუბიექტური განზრახვა, რომ ყველაფერში დაენახა სასაცილო მხარე. არამედ ის, რომ აეტორი ამ გზით ობიექტურად ხატავდა მეფის თვითმპყრობელობის სინამდვილეს. გოგოლის მოთხრობები,—შენიშნავს ბელინსკი, — სასაცილოა, როდესაც მათ ვკითხულობთ, და სამწუხაროდ, როცა უკვე წავიკითხავთ. გენიალური კრიტიკოსის ეს განსაზღვრა ხაზს უსვამს გოგოლის რეალიზმის თავისებურებას.

ამ თავისებურებამ ყველაზე ძლიერ იჩინა თავი „მკვდარ სულებში“. გოგოლმა „მკვდარ სულებზე“ მუშაობა პუშკინის შთაგონებით და მის მიერვე მონათხრობი სიუჟეტით დაიწყო. 1835 წლის ოქტომბერში გოგოლმა აცნობა პუშკინს: „დავიწყე „მკვდარი სულების“ წერა. სიუჟეტი გაიჭიმა უგრძელეს რომანად და მგონია, ძალიან სასაცილო გამოვიდეს. მე მინდა ამ რომანში ვუჩვენო მთელი რუსეთი ერთი მხრიდან მაინც“.

ეს სიუჟეტი, როგორც გოგოლი აღნიშნავს, მწერალს საშუალებას აძლევდა გმირებთან ერთად შემოევლო მთელი რუსეთი და გამოეკვეთა სხვადასხვა ხასიათი და პორტრეტი და მართლაც ნ. გოგოლის რეალიზმის ძალა, მისი სატი-

რის სიმძაფრე, მეფის რუსეთის ცხოვრების კრიტიკული ასახვის განზრახვა მთელი სისრულით გამომჟღავნდა ამ უბრწყინვალეს მსოფლიო ძეგლში.

ბატონყმური რუსეთის უკურნებელი სენით დაავადებული ბნელი ადამიანები არიან ნაწარმოების გმირები: ჩიჩიკოვი, მანილოვი, კორობოჩკა, ნოზდრიოვი, პლიუშკინი, სობაკევიჩი და სხვები. მწერალი ყველა ამ გმირს ამომწურავ დახასიათებას აძლევს: ნოზდრიოვი ბაქია, წუპაკი, თავხედი, თაღლითი და გაქნილი მემამულეა; მასთან თვით ჩიჩოკოვსაც უჭირს თავის დაჭერა და საქმის გაჩარხვა. მასთან შედარებით დიდი უპირატესობა როდი აქვს სობაკევიჩს, იგი ყველას თავქარიანს, ყაჩაღსა და ბოროტს უწოდებს და თვითონ კი განასახიერებს ამ თვისებებს. დაკნინებული ძველი მემამულის, სულიერად და ფიზიკურად გადაგვარებული ადამიანის—ძუნწის სახეა დახატული პლიუშკინის ხასიათში. გაურკვეველი, ფუჭი მეოცნებე, მლიქვნელი ადამიანის სახე განაზოგადა მწერალმა მანილოვის სახეში. მასთან პირველ შეხვედრისთანავე, მწერლის სიტყვით რომ ვთქვათ, ადამიანს ასეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა: „რა სასიამოვნო და კეთილი კაცია“, „ხოლო მერე, როდესაც გაიცნობდით: „რა ჯანდაბაა, დასწყევლოს ღმერთმა“. ბნელია ბიოგრაფია ჩიჩიკოვისა. იგი ფულის მკეთებელი, ფეოდალურ-კაპიტალისტური რუსეთის მძარცველის განზოგადებული სახეა.

ჩიჩიკოვის სახეში მწერალმა განზოგადებულად დახატა ოქროს ქისის მოყვარული სპეკულანტის საყოველთაო ტიპი. ეს გარემოება მაშინვე შენიშნა გენიალურმა კრიტიკოსმა ბელინსკიმ. ბელინსკი აღნიშნავდა — იგივე ჩიჩიკოვები მხოლოდ სხვა ტანსაცმელში გამოწყობილნი საფრანგეთსა და ინგლისში თავისუფალ საპარლამენტო არჩევნების, დროს მკვდარი სულების შესყიდვას კი არა, ცოცხალი სულების მოსყიდვას აწარმოებენ“... ამავე გარემოებას აღნიშნავდა ჩერნიშევსკი: „ჩიჩიკოვები იქ (ინგლისში, — ს. ჭ.) ბირჟებისა და ფაბრიკების ოინებით არიან გართულნი“.

„მკვდარი სულები“ გოგოლის შემოქმედების უმაღლესი მხატვრული მიღწევა იყო. „მკვდარი სულების“ პირველი

წიგნი მფრინავი ტროიკის სრბოლაში ლირიკული პათოსით გვიხატავდა ხალხური რუსეთის მომავალს, მის ხვალინდელ დღეს. მოთხრობის ფინალში მწერალმა მთელი სისრულით გვიჩვენა, თუ რა უძლეველ ძალას წარმოადგენდა ხალხური რუსეთი. იაროსლაველი მარჯვე გლეხის მიერ გამოკვეთილი მფრინავი ტროიკა რუსეთის პროგრესის, მისი ხვალინდელი დღის სიმბოლური სახეა. „მფრინავი ტროიკა მიჰქრის და მიჰქრის“, და მწერალი მთელი ხმით შესძახებს: „განა შენც ასეთი არა ხარ, რუსეთო, რომ მკვირცხლი და მიუწვევარი ტროიკასავით მიჰქრი მძაფრად წინ?“...

ნ. გოგოლი, თავისი ეპოქის ეს უდიდესი მხატვარი, ბოლომდე ვერ ინარჩუნებს იდეურ სიმახვილეს. 1847 წელს გოგოლმა გამოაქვეყნა „რჩეული ადგილები მეგობრებისადმი მიწერილი ბარათებიდან“. ამ წიგნში „რევიზორის“, „შინელისა“, და „მკვდარი სულების“ ავტორი, გამოდის მორალისტისა და ყველაზე ჩამორჩენილი რეაქციული შეხედულების მქადაგებლად, რითაც თავისი სურვილის მიუხედავად, გოგოლი დგება ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მხარეზე. ეს იყო სრულიად შეუთავსებელი რამ მთელ მის შემოქმედებასთან, მის რეალიზმთან. გოგოლის სულიერი დრამის ძირითადი მიზეზი შეიქნა მისი მსოფლმხედველობრივი სისუსტე, დემოკრატიული ძალებისადმი გარკვეული რწმენის უქონლობა და რეაქციონერი მწერლების წრე, რომელთაც უკანასკნელ წლებში დაუახლოვდა.

ნ. გოგოლის ამ უკანდახევამ, რომელიც „რჩეული ადგილებით“ დაიწყო, მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა ბელინსკის მხრივ. „თქვენ ვერ შენიშნეთ, — სწერდა ბელინსკი გოგოლს, — რომ რუსეთი თავის ხსნას ხედავს არა მისტიციზმში, არა ასკეტიზმში, არა პიეტიზმში, არამედ ცივილიზაციის, განათლების, ჰუმანიურობის წარმატებაში, რუსეთს ესაჭიროება არა ქადაგებანი (საკმაოდ მოუსმენია ისინი), არა ლოცვანი (საკმაოდ უზეპირებია ისინი), არამედ ხალხში იმ ადამიანური გრძნობის გაღვიძება, რომელიც ამდენი საუკუნეა თვლემს სიბინძურესა და ნაგავში“. ბელინსკის ამ ჭანთქმულ წერილს გოგოლისადმი ლენინმა უწოდა ცენზუ-

რით შეუბოჭავი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი საუკეთესო თხზულება. ბელინსკის წერილმა გოგოლზე ძლიერ იმოქმედა, მან დაწერა ავტორის აღსარება. მაგრამ ერთხელ დაშვებული შეცდომა თანდათანობით გაღრმავდა. „მან,—წერდა დობროლიუბოვი,—ბოლომდე ვერ შეძლო თავისი გზით სიარული. ცხოვრების უმსგავსოების ასახვამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მან ვერ შეიგნო, რომ ეს უმსგავსოება არ იყო ხალხის ცხოვრების ხვედრი, ვერ შეიგნო, რომ საჭირო იყო ბოლომდე შებრძოლებოდა მას, არ შეშინებოდა იმისა, რომ მას შეიძლებოდა სხვა ჩრდილი მიეყენებინა თვით ხალხისათვის. გოგოლმა მოისურვა წარმოედგინა ისეთი იდეალები, რომლებიც ვერსად ვერ იპოვა, მან უკან დაიხია კარამზინამდე“.

სამართლიანად წერდა ნ. ჩერნიშევსკი გოგოლის უკანასკნელი წლების შეფასებისას: „რაც უნდა იყოს შენი შეცდომები, მწუხარე ფიქრთა და კეთილი ზრახვებით წამებულო, შენ მაინც იყავი რუსეთის ერთ-ერთი უკეთილშობილესი შვილი და უკვდავია შენი დამსახურება სამშობლოს წინაშე“.

* * *

ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა ბელინსკისა და ნ. გოგოლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რუსული ლიტერატურისა და აზროვნებისათვის.

ცნობილია, რომ ლენინს მანილოვის სახე არა ერთგზის აქვს გამოყენებული ხალხოსნების მცდარი და მავნე პოზიციების სამხილებლად.—მანილოვი ზის თვითეულ ხალხოსანში,—ამბობდა ლენინი. ასევე გამოიყენა ეს სახე ლენინმა პირველი რევოლუციის წლებში ბურჟუაზიული, ლიბერალური და მენშევიკური ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. მარტოვის შესახებ ლენინი შენიშნავდა: „ეს არის ნიმუში სოციალ-დემოკრატიული მანილოვშჩინისა“. ხოლო შავრაზმელ კადეტებს იგი გოგოლის სობაკევიჩს ადარებდა.

* * *

ნ. გოგოლის პროზაზე აღიზარდა არა მარტო რუსული, არამედ მთელი იმდროინდელი რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების საუკეთესო მწერლობა. გოგოლის სახელი მის სიცოცხლეშივე გასცილდა რუსეთის ფარგლებს და პუშკინთან და ბელინსკისთან ერთად ყველა მოწინავე ადამიანის საყვარელი სახელი გახდა.

რუსულ კლასიკურ მწერლობას დიდი რევოლუციური გავლენა ჰქონდა მოწინავე ქართულ მწერლობაზე. ქართული მწერლობა სიყვარულით სწავლობდა და ითვისებდა რუსული კლასიკური ლიტერატურის მოწინავე ტრადიციებს.

ქართველმა საზოგადოებრიობამ 1886 წელს დიდი ზეიმით აღნიშნა „რევიზორის“ დადგმის 50 წლისთავი.

აკაკი წერეთელმა უძღვნა სპეციალური ლექსი, რომელშიც შესანიშნავად დაახასიათა გოგოლის დამსახურება რუსული ლიტერატურისა და კულტურის წინაშე. დიდმა ქართველმა კლასიკოსმა სწორად შენიშნა გოგოლის ნაწარმოებთა მამხილებელი ხასიათი და ის სოციალური სიმძაფრე, რომელიც მის ნაწერებს ახასიათებს.

დიდმა ქართველმა კლასიკოსმა ილია ჭავჭავაძემ გაზეთის ფურცლებზე ფართო ადგილი დაუთმო გოგოლის ხსოვნას და მაღალი შეფასება მისცა მის შემოქმედებას. 1902 წლის „ივერიის“ მოწინავე წერილში ვკითხულობთ: „რუსეთის ნიჭიერ მწერლობას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ბავშვობიდანვე ითვისებენ მათ შესანიშნავ ნაწერებს ჩვენი მოზარდნი, ჩვენი შვილები. ითვისებენ და ეჩვევიან ადამიანურ ფიქრსა და გრძნობას, ითვისებენ საკაცობრიო იდეალებს, პროგრესულ მისწრაფებას. ამ მხრივ რუსეთის დიდებულნი მწერალნი: პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ისევე ძვირფასი და საყვარელნი არიან ჩვენთვის, როგორც ჩვენივე საკუთარი მწერალი და მგოსანი. ამიტომ, ცხადია, რომ დღევანდელი დღესასწაული მთელი რუსეთისა, — ეს დღესასწაული ადამიანის გონების შემოქმედისა, ეს პატივისცემა ნიჭისა და ღირსებისა — ისეთივე დღესასწაულია ჩვენთვის, როგორც რუსეთისათვის. გოგო-

ლის სამწერლო მოღვაწეობამ დიდი და ღრმა კვალი დააჩნია რუსეთის ლიტერატურას. ამ მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა დღესაც არ დამთავრებულა და თუ დღევანდელი ლიტერატურა რუსეთისა გადაიფურჩქნა და გაძლიერდა, მიზეზი ამისა, სხვათა შორის, არის გოგოლის დიდი ნიჭი და მისი გენიოსობით აღბეჭდილი სალიტერატურო ქმნილება".

ასეთი მაღალი შეფასება მისცა „ივერიამ" ჯერ კიდევ 1902 წელს დიდი რუსი მწერლის დამსახურებას. ასეთივე სიყვარული გოგოლისადმი გამოთქმული აქვთ ნ. ნიკოლაძეს, ანტ. ფურცელაძეს და სხვა ქართველ მწერლებს.

მოწინავე ქართული მწერლობა მუდამ აფასებდა ნ. გოგოლს. მისი ნაწარმოებების თარგმნა ქართულად ჯერ კიდევ სამოციანი წლებიდან დაიწყო. მაგრამ ნ. გოგოლის ნამდვილი დაფასება მხოლოდ ჩვენს დროში, საბჭოთა სინამდვილეში მოხდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხის კუთვნილებად აქცია მოწინავე ადამიანების გონების მიერ შექმნილი კლასიკური მემკვიდრეობა, ფართოდ გაუხსნა გზა ამ მემკვიდრეობას მასებისაკენ.

* * *

ნ. გოგოლი ერთგან გულისტკივილით შენიშნავს: „რუსეთო! რუსეთო! გიმზერ ამ ჩემი თვალწარმტაცი შორეთიდან: ღარიბი ხარ, მიმოფანტული, მიუსაფარი". მაგრამ იქვე დასძენს მწერალი, — შენ დიდი ხარ, ძლიერი, დაუმორჩილებელი, და მჯერა, რომ წარმოშობ ისეთ დევგმირს, რომელიც იხსნის ჩემს ქვეყანასო. ჭეშმარიტად, ასრულდა მწერლის ოცნება. რუსეთმა წარმოშვა დიდი დევგმირი, რუსეთის ბოლშევიკური პარტია, მისი ბელადი დიდი ლენინი, რომლებმაც იხსნეს რუსეთი და დღეს საბჭოთა რუსეთი მთელი მსოფლიოს გზის მანათობელი შუქურაა.

გოგოლი, ხალხური რუსეთის გოგოლი, ხალხის ნამდვილი კუთვნილება ხალხურ სახელმწიფოში, საბჭოთა სახელმწიფოში გახდა.

დიდი გოგოლის უკვდავი ნაწარმოებები მუდამ მომარჯვებული ჰქონდა ჩვენს ხალხს, როგორც ძლიერი იარაღი. ოქტომბრის რევოლუციის ბობოქარ დღეებში იგი აღაფრთოვანებდა ჩვენს ხალხს რუსეთის „მკვდარი სულების" წინააღმდეგ, ჩიჩიკოვებისა და სობაკევიჩების წინააღმდეგ ბრძოლაში. სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულ წლებში ნ. გოგოლი ასევე შთააგონებდა ჩვენს ხალხს ყოველგვარი მანილოვებისა და ხლესტაკოვების წინააღმდეგ ბრძოლას.

დიდი სამამულო ომის წლებში ნ. გოგოლი ჩადგა მეომარი საბჭოთა ადამიანების რიგებში; ნ. გოგოლის უკვდავი გმირების: ტარას და ოსტაპ ბულბების პატრიოტული თავდადება მაგალითს უჩვენებდა საბჭოთა ხალხს სამშობლოსათვის ბრძოლაში: თავის უკვდავი მხატვრული სიტყვით ნ. გოგოლი მარად მხარში უდგას ჩვენს ხალხს.

ნ. გოგოლის სატირა ძლიერი იარაღია დღევანდელი ბურჟუაზიული ქვეყნების პარაზიტული, მძარცველი კლასების წინააღმდეგ ახალი ომის გამჩაღებლების სამხილებლად. ნ. გოგოლის სატირა მძაფრი იარაღია ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ადამიანების ერთი ნაწილის შეგნებაში შემორჩენილი კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად.

ნ. გოგოლი უკვდავია. იგი ცოცხლობს, მოქმედებს და იბრძვის ჩვენთან ერთად, საბჭოთა ხალხებთან ერთად.

პოეტი და მოქალაქე

ყოველი ერის ლიტერატურის ისტორიაში პოეტის ადგილი იზომება არა მარტო დაწერილი თუ წარმოთქმული ლექსის მიხედვით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმის მიხედვით, თუ რა როლი შეუსრულებია მას ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

უპირველესი პოეტი ის არის, ვინც თავისი ინტერესებით, ფიქრით, შემართებით, შემოქმედებითა და ცხოვრებით განუყოფლად დაუკავშირდა ერის ბედს, უკეთესი მერმისისათვის სახალხო ბრძოლას. მაშინ, როდესაც ეპოქა ბობოქრობს, ისინი ცხოვრების მილმა კი არ დგანან, კი არ თვლემენ მყუდრო ჩრდილში. არა! ასეთი პოეტები მუდამ ცხოვრების შუაგულში არიან, მღელვარებით ცოცხლობენ, მღელვარებით სუნთქავენ, ამ მღელვარებას ხალხს გადასდებენ, მის საბრძოლო გზას წარმართავენ; მათ ყოველდღიურად ხვდებიან თანამედროვეები, მათთან დავა თუ კამათი აქვთ.

ჩვენი აზრით, ამგვარი პოეტების რიგს განეკუთვნება ცნობილი საბჭოთა პოეტი ალექსეი სურკოვი. თავისი ბედი, მთელი თავისი ცხოვრება მან განუყოფლად დაუკავშირა საბჭოთა რუსეთის გზას, რუსული საბჭოთა მწერლობის გზას. მას არც ერთი ნერვი არ აქვს არა საბჭოთა პოეტისა. იგი ჩვენი დროის მგზნებარე მემატიანეა, რომელიც დიდი საბჭოთა ხალხების ინტერესებით ცოცხლობს.

საბჭოთა მწერლობამ მეტად რთული გზა განვლო. ეს გზა სავსეა ბრძოლით, მღელვარებით, გამარჯვებებით; ამ გზაზე ცოტა როდი იყო შეცდომებიცა და წარუმატებლობაც. და ეს რთული ტვირთი ჩვენი მწერლობისა თავის მხრებზე აზიდეს გამოჩენილმა საბჭოთა მწერლებმა, პირველ რიგში მათ, ვინც

თავიანთ სულში განასახიერებდნენ საბჭოთა პოეტის ტიპს. ეს ტიპი მწერლისა ჩვენმა დრომ წარმოშვა, ჩვენმა ეპოქამ შექმნა. გაჭირვებასა და ბრძოლაში დაიბადნენ და გაიზარდნენ ისინი. სამყარო, საგნები, მოვლენები, ადამიანები, ბუნების სურათები ამ ქარცეცხლსა და გაჭირვების სამყაროში აითვისეს, შემდეგ ამ თვალით შეხედეს ქვეყანას და შეიყვარეს ყოველივე, რაც ამ გაჭირვებულთა არმიას უშველიდა; საშინლად შეიძულეს ყველაფერი ის, რაც აკნინებდა ადამიანს, რაც მილიონთა გაჭირვებასა და დამცირებას ბადებდა. მილიონთა დრტვინვამ აღაშფოთა მათი ფიქრი. ყოველივე ეს დვრიტად დაედო მათს შემოქმედებას. ეს მწერლები ეკუთვნიან იმ თაობას, რომლის აკვანთან მაქსიმ გორკი იდგა თავისი ბიოგრაფიით, სულიერი ინტერესებით.

ალ. სურკოვს სასახელოდ და საამაყოდ მარტო ის ეყოფა, რომ მან, ალ. ფადეევთან და ნ. ტიხონოვთან ერთად, ვალად იდვა მაქსიმ გორკის შემდეგ საბჭოთა მწერლობის ორგანიზაციული ხელმძღვანელობა. არ შეიძლება პატივისცემით არ ვეპყრობოდეთ სურკოვს იმ დამსახურებისათვის, რომელიც მას მიუძღვის საბჭოთა მწერლობის დაცვისა და წარმართვის საქმეში, იმ წინააღმდეგობათა გადალახვის საქმეში, რომელიც საბჭოთა მწერლობას ხვდებოდა, ხოლო მოწინააღმდეგენი ცოტანი როდი იყვნენ; და ამ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში იგი ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც წინ სწევდა ჩვენს მწერლობას, აღაგზნებდა და აღაფრთოვანებდა ჩვენი ლიტერატურის შემოქმედებითს ძალებს საბჭოთა ხალხის სამსახურის დიადი გრძნობით.

ვისაც წაუკითხავს ალ. სურკოვის მგზნებარე სტატიები, ვისაც მოუსმენია მისი შემტევი გამოსვლები, ვისაც გადაუფურცლავს მისი ლექსები, — არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ გაიმსჭვალოს ამ დაუცხრომელი, მუდამ შემართული საზოგადო მოღვაწისა და პოეტის მიმართ.

ალ. სურკოვი რევოლუციურ ეპოქაში დაბადებულ პოეტთა პირველ თაობას ეკუთვნის. მისი პირველივე ლექსები ამ რევოლუციის ქარიშხალში დაიბადა. მისი ბიოგრაფიით ყოველი დიდი პოეტი იამაყებდა. იგი სამოქალაქო და სამამულო ომების ჯარისკაცი იყო. შეიძლება ითქვას, არც ერთ საბ-

ჭოთა პოეტს იმდენი არ უწერია, იმდენი არ უბრძოლია, იმდენი ტკივილი სულისა მსხვერპლად არ მიუტანია მამულის დასაცავად, საბჭოთა ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთების გამოსახატავად, იმდენი დრო და ენერგია არავის მოუნდომებია ამ თემისათვის, რამდენადაც ალ. სურკოვს. მის ლექსებს დიახაც ამშვენებს მწუხარებაც, საბრძოლო ხმაც.

გარდასული ბრძოლების რომანტიკა პოეტს მუდამ შთააგონებდა: „მტრისადმი სიძულვილს წუთითაც ნუ დაკარგავ". ეს საბრძოლო სულისკვეთება იყო დევიზი მისი პატრიოტული ლირიკისა. ასე შეეზარდა მისი პოეტური სული ჩვენი ხალხის საბრძოლო გზას, რევოლუციის გზას. და ეს ბრძოლით მოპოვებული ქვეყანა მთელი არსებით უყვარს პოეტს. მისგან განუყოფელია პოეტის ფიქრი. და აკი თვითონაც ამბობს:

ჩემ სამშობლოში მე ყველგან მაქვს ნათელი ბინა,
შაშხანით ხელში მომივლია ქვეყანა ვრცელი,
და განა ვინმეს უბრძოლველად დავუთმობ იმას,
რაც აკვანშივე დავარწიე საკუთარ ხელით?

ალ. სურკოვი იაროსლაველი ღარიბი გლეხის ოჯახში აღიზარდა. უკვე ჭაბუკი იყო, როცა პეტერბურგს ესტუმრა; აქ კვლავ იწვნია ცხოვრების სიმწარე. ჯერ ხელზე მოსამსახურე იყო, შემდეგ ქარხნის მუშა; სიყრმის ეს გაუხარელი დღეები მის პოეტურ სულში ღრმად აღიბეჭდა. და ბუნებრივია, რომ რევოლუცია მისთვის ნამდვილი ცხოვრების გარიჟრაჟი იყო. პირველსავე წიგნში, რომელსაც პოეტმა „სიმღერის დაბადება" უწოდა, ღრმად გამოიხატა ახალი დროის კაცის სიხარული, შეგნება იმისა, რომ თვით გახდა პატრონი ძველ ცხოვრებასთან ბრძოლაში მოპოვებული ახალი ქვეყნისა:

აი ქვეყანა ვრცელი—
ჩვენ ვართ პატრონი მისი.

ყოველი პოეტის შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, იმის მოთხრობაა, რაც საკუთრივ განუცდია, თვალით უნახავს და გონებით განუსჯია. მაგრამ ერთია გარედან, მაყურებლის თვალით დანახული საგნებისა და მოვლენების აღწერა, და მეორეა უშუალოდ განცდილის, საკუთარ თავზე ნაწვნევი ამბის გადმოცემა. ალ. სურკოვის ლექსებს დიდ უშუალო-

ბას, ბუნებრიობას ანიჭებს ის, რომ პოეტი სწორედ იმას მოგვითხრობს, რაც თვითონ უგრძვნია და განუცდია. ლექსში „ეშელონები მიჰქრის დასავლეთისკენ“ მან მხურვალე სტრიქონები უძღვნა თანასოფლელებს, თანამემამულეებს და ბრძოლაში მიმავალთ გზა დაულოცა. ესენი იყვნენ:

ომახიანი ბიჭები—
გამრჯე იაროსლაველნი,
მთებივით გაშლილ მხარ-ბეჭით,
რკინისებური მკლავებით!

ალ. სურკოვი ერთგან ამცნობს მკითხველებს, ჩემი ლექსები არის მოთხრობა იმ შემართული გმირობის შესახებ, იმ სალაშქრო სიმღერების შესახებ, საბრძოლო ფიცის შესახებ, იმ საყვირის ხმის შესახებ, რომლის მოწმე და მონაწილე თვითონ ვყოფილვარ და ჟამიდან ჟამზე ელავს ჩემს ლექსებში მოგონება ამ წარსული საბრძოლო დღეებისაო.

ალ. სურკოვის ლექსების ინტონაცია მებრძოლია, გულის აღმძვრელი. პოეტის ხმა ყოველთვის ოპტიმისტურია, მას სძულს მერყევი, ორპირი ადამიანი. იგი ვაჟკაცებს უმღერის, სიცოცხლის მოტრფიალეა, სიცოცხლის სიხარულით მთვრალი პოეტია.

ჩვენ ხომ სიცოცხლეს ქებას ვასხამთ სიკვდილის წინაც,
მხოლოდ სიცოცხლე უკვდავია და უძლეველი.

პოეტი ფხიზელი თვალით, მებრძოლი თვალით გასცქერის მთელ ჩვენს სამყაროს:

დიახ, დროთა სვლას მივყვებით ასე,
დავბადებულვართ განა ლაჩრებად?
ჩვენ ისტორიის ცეცხლოვან გზაზე
ბრძოლაც ვისწავლეთ და გამარჯვებაც.

ამ სტრიქონების დაწერის უფლება დიახაც აქვს პოეტს, რომელმაც ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ფრონტზე გაატარა. შაშხანით ხელში იბრძოდა თავისი მამულის, პირველი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად; იბრძოდა რწმენით, მამულის დიდი სიყვარულით. ეს რწმენა, ეს სიყვარული სამშობლოსი მისი ლექსის მთავარი პათოსია.

სამამულო ომის დღეებში შექმნილი ალ. სურკოვის ლექსები აღაგზნებდა ჩვენს მებრძოლებს, მოუწოდებდა მათ მამულის დასაცავად:

არ გაეურბოდით უმძიმეს გარჯას,
არ გვაშინებდა ქარი და თოში,
ხუთი მომავალ თაობის ტანჯვა
გამოვიარეთ ჩვენ მოკლე დროში...
არ ვიბრალებდით საკუთარ თავსაც,
არ შეგვრეოდა სიყალბე ხმაში,
გაჭირდებოდა მწვერვალზე ასვლა?
ჩვენ უფრო მტკიცედ გავწევდით მაშინ.

ჭეშმარიტად გულწრფელად ნათქვამი სიტყვებია.

მაგრამ სურკოვის პოეზიაში მარტოოდენ საბრძოლო ინტონაცია როდი ისმის; მას აქვს შესანიშნავი ლექსების მთელი ციკლი ლირიკულ, უაღრესად ინტიმურ თემებზე. და აქაც, ამ ლექსებშიც ჩვენი მღელვარე ეპოქის ადამიანი ჩანს. ჩანს მისი ლამაზი სული და ეს განაპირობებს ამ ნაწარმოებთა წარმატებას.

ალ. სურკოვის პოეზიაში მთელი ძალით ჟღერს მშვიდობის თემა. ლექსში „ხმა აღიმაღლეთ, პატიოსანო ადამიანებო", იგი გულისწყრომით ჰგმობს ყველას, ვინც ახალი ომის გაჩაღებაზე ოცნებობს. ახლა ალ. სურკოვი — მშვიდობის დიადი არმიის უმამაცესი ჯარისკაცია. მას ხან პარიზში ვხედავთ, ხან ლონდონში, ნიუ-იორკსა და პრაღაში, რომსა და ბერლინში, და იგი ყველგან ხალხთა ძმობას, ხალხთა მეგობრობას ქადაგებს:

ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჯერ შენთვის არა მცალია,
ჰეი, სიბერეევ, გთხოვ შეჩერდე, ჩასთვლიმე ზღურბლთან.

ვუსურვებთ, კვლავაც ასე დაუბერებლად, ასე შემართებულად იდგეს საბჭოთა მწერლობის სადარაჯოზე, გვამხნევებდეს თავისი ლექსით, როგორც მეგობარი, ამხანაგი და მებრძოლი პოეტი; ჩვენ იგი სწორედ ამ მძაფრი შემართებისათვის, მაღალი ინტერნაციონალისტური იდეებისა და ჰუმანიზმისთვის შევიყვარეთ, როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო საბჭოთა პოეტი და მოქალაქე.

ლექსები მშობლიურ ენაზე, გაზაფხულზე, სიყვარულზე

ამას წინათ „ლიტერატურნაია გაზეტამ“ (№ 8, 1960 წელი) გამოაქვეყნა რასულ გამზატოვის სამი ახალი ლირიკული ლექსი. ამ ლექსებმა უმალვე მიიპყრო ყურადღება, მკითხველს აგრძნობინა ის სიხარული, რომელსაც მარად იწვევს ახალი კარგი ლექსის გამოჩენა.

რასულ გამზატოვს, დაღესტნის სახელოვან პოეტს, მთელ საბჭოთა კავშირში იცნობენ. მისი ლექსები ისევე ახლობელი და მომხიბვლელია ყველა ენაზე, როგორც მის საყვარელ ავარიულ ენაზე. დიდი პოეტების, ჭეშმარიტი მხატვრების ღირსება მუდამ ის არის, რომ ისინი არა მარტო თავიანთ მშობლიურ ენაზე ჟღერენ გასაგებად და ახლობლად, არამედ ყველა ენაზე შეიძლება გადავიტანოთ მათი მაღალი, ჭეშმარიტად პოეტური გრძნობები. ნამდვილი პოეზია, როგორი ეროვნული და თვითმყობადიც უნდა იყოს იგი, ყველა ენაზე გასაგები და ახლობელია. რ. გამზატოვის დიდი ღირსება ის არის, რომ მას აქვს უნარი აღჭურვოს ლექსი დიდი სუნთქვით, დიდი ემოციით, რომელიც ყველას გულს მოედება. და ეს იმიტომ, რომ რ. გამზატოვი არის დიდი ოცნებების, დიდი ფიქრის პოეტი და მისი ლექსების წაკითხვისას ყოველთვის ვგრძნობთ, რომ ავტორს ბევრი რამ აქვს სათქმელი მკითხველისთვის, გასაზიარებელი აქვს ფიქრები და განცდები, რომლებიც ჩვენც გვაღელვებენ და ამიტომ პოეტი უმალვე აზერბაიჯანს დაამყაროს კონტაქტი მკითხველთან.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ ყოველ ერს თავისი წვლილი

შეაქვს კაცობრიობის კულტურის საგანძურში, ყოველი ერი ამაყობს ამ წვლილით. ამა თუ იმ ერის მეცნიერები, მწერლები, საერთოდ შემოქმედნი და მთელი ხალხი, ყოველგვარი სიკეთის შემქმნელი ხალხი ამ წვლილს გადასცემს თავის მემკვიდრეებს, თავის მოძმეს, თავის მეგობრებს, გადასცემს თავისივე ენის საშუალებით. ენა ეროვნული კულტურის ერთ-ერთი ფორმაა. იმ წვლილის შეტანა კაცობრიობის კულტურაში, ეროვნული ენის საშუალებით მომხდარა მხოლოდ. მშობლიური ენა — ერის უპირველესი იარაღია, მისი სულიერი საზრდო და მისი ფარ-ხმალია. საყოველთაოდ ცნობილია დიდი ლენინის აღტაცებული პატრიოტული სიტყვები რუსული ენის შესახებ; ახლა ყოველი ერის შვილს შეუძლია თავისივე ერის შესახებ გაიმეოროს ლენინის უკვდავი სიტყვები.

მეფის რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების ენებს არასოდეს ჰქონია ისეთი უფლებები, როგორიც საბჭოთა ეპოქამ მიანიჭა. ბევრ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებამდე საკუთარი დამწერლობაც არ ჰქონდა, ხოლო ვისაც ჰქონდა, როგორც უხმარი რამ ნივთი, ისე იყო იგი მიგდებული, რადგან მისი ხმარება, როგორც ერის სულიერი იარაღისა, იკრძალებოდა. ტყუილად როდი წერდა გრ. ორბელიანი: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“; ეს ჟანგმოდებული იარაღი ჩვენმა დრომ გაწმინდა, გააპრიალა და ასე წელში გაიმართნენ, დამშვენდნენ, ამაღლდნენ, ეროვნული ენები და ეროვნული კულტურები; საბჭოთა ხელისუფლების დროს აღორძინდნენ უძველესი ერების უძველესი ენები. ეს არის უაღრესად დიდი მონაპოვარი ოქტომბრის რევოლუციისა და რაც უფრო ძლიერი და მაღალია ეროვნული კულტურა, ენა, მით უფრო დიდია ის წვლილი, რომელიც მას შეაქვს სოციალისტური კულტურის საერთო საგანძურში. ამიტომ ჩვენ სისხლხორცეულად დაინტერესებული ვართ ეროვნული ენების განვითარებით და მათი ამაღლებით.

მარქსისტული ფორმულა — ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის შესახებ — სავსებით გაამართლა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების პრაქტიკამ-

ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ საბჭოთა ქვეყანაში სავსებით უზრუნველყო სოციალიზმის იდეოლოგიის გამარჯვება. ამ ნიადაგზე მოხდა უმაგალითო აყვავება ჩვენი კულტურისა. სოციალისტური ერების ამ ერთიან სულიერ საგანძურში ყველა ერს შეაქვს რაც კი რამ საუკეთესო შეუქმნია, ასევე ამ საერთო საგანძურში პოულობს წინსვლის ახალ წყაროებს. ასე ხდება ეროვნული კულტურების ურთიერთ გამდიდრება და განაყოფიერება; აქედან ცხადია, რომ ზოგადკოსმოპოლიტური კულტურა არ არსებობს, არსებობენ ეროვნული კულტურები, ეროვნული ხელოვნება, მწერლობა და ა. შ. სოციალისტური ერები ეროვნული კულტურის ფორმით ქმნიან და ამდიდრებენ საერთო სოციალისტურ კულტურას; აქ ლაპარაკია კულტურათა ურთიერთ გამდიდრებაზე, კეთილისმყოფელ გავლენაზე და აქედან წარმომდგარი სოციალისტური, ინტერნაციონალური კულტურის ხასიათზე. ამ კონტექსტში რასულ გამზატოვი უმღერის თავის მშობლიურ ავარიულ ენას და ეს სიმღერა აღსავსეა უღრმესი სიყვარულით დიდი საბჭოთა სამშობლოსადმი, რომელიც გადაჭიმულია ბალტიისპირეთიდან სახალინამდე:

В полдневный жар в долине Дагестана
Я умирал, а люди речь вели
О хитрости какого-то Гасана,
О выходках какого-то Али.
И смутно слыша звук родимой речи,
Я оживал, и вдруг в какой-то миг
Постиг, что от всего меня излечит
Не врач, не знахарь, а родной язык.
Кого-то исцеляет от болезней
Другой язык, но мне на нем не петь.
И если завтра мой язык исчезнет,
То я готов сегодня умереть.
Я жизнь люблю, люблю я всю планету,
В ней каждый, даже малый уголок,
А более всего—Страну Советов
О ней я по-аварски пел, как мог.
Мне дорог край цветущий и свободный,
От Балтики до Сахалина—весь.
Я за него погибну где угодно,
Но пусть меня зароют в землю здесь!—

Чтоб у плиты могильной близ аула
Аварцы вспоминали иногда
Аварским словом земляка Расула—
Преемника Гамзата из Цада.

ამრიგად, სამშობლოს სიყვარული მან მშობლიურ ენას დაუკავშირა და ასე მოუძებნა ეროვნულ გრძნობებს პოეტური ფორმა სოციალისტური სამშობლოს დიდ სიყვარულში; ჭეშმარიტი პოეტის ღირსება სწორედ ის არის, რომ გამოხატოს ხალხის ფიქრი და სათქმელი. ამიტომ მიგვაჩნია რ. გამზატოვის ლექსი „მშობლიური ენა“ ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად. ამ ლექსში რასულ გამზატოვი თავისი ხალხის ფიქრისა და სიხარულის პოეტად გვევლინება.

რ. გამზატოვის ლექსების ეს ციკლი ერთ თემატიკურ რკალში არ თავსდება. პოეტმა თითქოს განგებ აირჩია განსხვავებულ საკითხთა არე. აქ სამ ლექსს სამი განსხვავებული თემა აქვს; სამაგიეროდ, მათ აერთიანებს ერთი ესთეტიკური პრინციპი, იდეური პოზიცია. ისინი გაერთიანებულნი არიან დიდი ადამიანური გრძნობებით, მსგავსი ვნებებით, საგნებისა და მოვლენების გამოსახვის ერთნაირი მხატვრული საშუალებით.

როგორც პირველი, ისე მეორე ლექსიც — „ყვითელი ფოთლები“ ლირიკული ხასიათისაა. „ყვითელ ფოთლებში“ ლაპარაკია შემოდგომაზე, ბუნების განძარცვაზე, მიწაზე ობლად მიმოფანტულ ფოთლებზე, რომლებსაც უმოწყალოდ სთელავს ადამიანი. ხოლო ადრე გაზაფხულზე და ზაფხულში, როცა ლაღად შრიალებდნენ ეს ფოთლები, რაოდენ სიამოვნებას ანიჭებდნენ ისინი იმავ ადამიანს. ყველაფერი ეს აფიქრებს პოეტს და თუ ერთი მხრით ჰგონია, ბევრი რამ უსამართლოა ამ ამბავშიო, მეორე მხრით, იმასაც გრძნობს, რომ ასეთია კანონი ბუნებისა: გაზაფხულზე კვლავ გაიფურჩქნება კვირტი და კვლავ გამოიტანს ფოთოლს, ხე ისევ გაგვახარებს თავისი სიმწვანით; სიცოცხლის მარადისობის ეს კანონი უსაზღვრო სიამეს ჰგვრის, ახარებს პოეტის სულს. ჩვეულებრივ ეს ფიქრები და განცდები უაღრესად ადამიანურია და რაც მთავარია; იგი ატანილია დიდ სიმაღლეზე, მინიჭებული აქვს დიდი ემოციური და იდეური განზოგადება.

სწორედ ამით გვხიბლავს ეს შესანიშნავი ლექსი; პოეტი ამბობს:

Новые листья—я знаю, завяжутся,
Почки набухнут как в прошлые годы,
Так почему же мне многое кажется
Несправедливым в законах природы?

ლექსში „იმ ფანჯარასთან“ პოეტის ინტიმურ განცდებს მონახული აქვს უაღრესად ადამიანური საწყისები და ფორმები. სიყვარულით შთაგონებული ეს სურათი თავისუფალია ყოველგვარი სიყალბისა და პოზიორობისაგან, ყოველგვარი ნატურალიზმისაგან. ეს წრფელი ლირიკული აღსარებაა, სათუთი გრძნობის, ადამიანური ფიქრისა და განცდის ნაყოფი. შეყვარებული პოეტის გული, პოეტის ოცნება იმ ფანჯრისაკენ მიისწრაფვის, რომლის მიღმა სატრფო ეგულება. მას აუღელვებია პოეტის გული, აუმღერებია მისი ჩანგი. მაგრამ იმ ფანჯრის მიღმა მას აღარ მოელიან, პოეტისათვის დახშულია იმ ბინის კარი.

ამ ბოლო დროს ცოტა როდი იწერება ინტიმური ლექსები, ჩვენ როდი ვართ წინააღმდეგი ამგვარი ლექსებისა. პირიქით, არასოდეს ჰყოლია ლირიკას იმდენი მომხრე და თაყვანისმცემელი, რამდენიც დღეს, არც ერთ ქვეყანაში არ არის ისეთ პატივისცემაში და მოწონებაში პოეზია, კერძოდ ლირიკა, როგორც საბჭოთა ქვეყანაში. ერთი კი უნდა აღინიშნოს: როგორც სამოქალაქო ლირიკას, ასევე ინტიმურსაც დიდი ადამიანური ვნებები და გრძნობები უნდა ამოძრავებდეს, მასში ჩვენი ადამიანის სულის სილამაზე უნდა ჩანდეს. ვიწრო, სუბიექტურ ნაჭუჭში მოქცეულ გრძნობებს, ავადმყოფურ ოხვრას არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ლირიკასთან. ალ. პუშკინის ცნობილი ლექსი „მე თქვენ მიყვარდით“ იმიტომ გახდა საყოველთაოდ პოპულარული, რომ მასში უაღრესად ინტიმური გრძნობა დიდ ადამიანურ ვნებათა სიმაღლეშდეა ატანილი. ყოველი სტრიქონი ამ ლექსისა დიდი ადამიანური სუნთქვით არის ამაღლებული. საზოგადოებრივიც და ინტიმურიც ასე მოითხოვს განზოგადებას.

საბჭოთა ლირიკის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს

განუყოფელი ერთიანობა უაღრესად პიროვნულისა და საზოგადოებრივისა. ამ პრინციპს ემორჩილება ინტიმური ლირიკაც. რ. გამზატოვის ამ ლირიკულ ლექსებს თანაბრად ახასიათებთ ამგვარი განზოგადება და მაღალი ლიტერატურული ხარისხი, ამიტომ არიან ისინი ასე საყოველთაონი, მომხიბვლელნი და შთამბეჭდავნი.

სამივე ეს ლექსი თანამედროვე საბჭოთა პოეზიის დიდ საკითხებს აღძრავს. თუ პირველ ლექსში ჩვენ ვხედავთ ეროვნული ენისა და საბჭოთა ხალხების ურთიერთობის საკითხის პოეტურ გადაწყვეტას, მეორე და მესამე ლექსებში საბჭოთა ლირიკის პრინციპების დაცვასთან გვაქვს საქმე. ავტორი იმდენად ფრაზების მოჩუქურთმებას და მოკაზმვას არ აქცევს ყურადღებას, რამდენადაც აზრისა და გრძნობის სიწრფელეს, მათს სიღრმეს, სინათლეს. რ. გამზატოვი ხალხის ფიქრებისა და სიხარულის ჭეშმარიტი მხატვარია.

ᲝᲠᲐᲡ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს საბჭოთა მწერლობის დღევანდელი პლენუმში, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი მოძმე რესპუბლიკების გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, მიეძღვნება ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავს. ქართული სიტყვის შთაგონებული ოსტატის დავით გურამიშვილის მოღვაწეობა იყო ჭეშმარიტი მაგალითი ხალხის უანგარო სამსახურისა. თვით გურამიშვილის ცხოვრება — განვლილი ბრძოლით, შრომით და სისხლით — შთაგონებული გმირობა იყო.

დავით გურამიშვილი ეკუთვნის ქართველ მწერალთა იმ სახელოვან პლეადას, რომელთაც წარუშლელი კვალი გაავლეს ქართულ მწერლობასა და აზროვნებას. რუსთაველის შემდეგ ყველაზე გამოჩენილი პოეტი, რომელმაც ქართულ პოეტურ კულტურას ახალი საფეხური შეუქმნა, დავით გურამიშვილია. ამავე დროს დავით გურამიშვილი XIX საუკუნის კლასიკური მწერლობის წინამორბედია.

XIX საუკუნის სამოციანი წლების სახელოვანი მეთაური ილია ჭავჭავაძე, უყრიდა რა საფუძველს ახალ სალიტერატურო ენას, — მწერლობის დემოკრატიული საწყისებისათვის რუსთაველსა და გურამიშვილს მიმართავდა. არქაისტების, რეაქციონერების წინააღმდეგ ბრძოლაში გურამიშვილი იყო უახლოესი წინაპარი, რომელსაც ეს ახალი სკო-

ლა ეყრდნობოდა. გურამიშვილის დემოკრატიზმი, მგზნებარე პატრიოტიზმი, ლექსის ხალხური ელვარება განავითარა და განამტკიცა 60-იანი წლების. სახელოვანმა სკოლამ. კარგად თქვა ვაჟამ:

შენ, ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო,
შენს აჩრდილს ვეამბორები,
ლექსიც რამ დამიჩხაპაო.

დ. გურამიშვილი საქართველოს უკუღმართი ისტორიული ბედით, ქართლის ჭირით ღრმად დაფიქრებული პოეტი იყო. დ. გურამიშვილმა იშვიათი პოეტური განცდით, უტყუარი სმენითა და რწმენით გამოხატა მისი დროის საქართველოს ბედი, გამოხატა პირუთვნელად, ღრმა სიყვარულით. XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ამ მუქი ფერებით ნახატ სურათში პოეტმა ნათლად დაგვანახა თუ რა მრისხანე ეროვნული კატასტროფის წინაშე იდგა ქართველი ერი. გარეშე მტრისაგან არა ერთგზის აოხრებულსა და აკლებულ საქართველოს შინაგანი შუღლი და კინკლაობა ბოლოს უღებდა. ეროვნული გადარჩენის ინტერესები ორიენტაციის ძიების საკითხს აყენებდა. გურამიშვილი იყო პირველი პოეტი, რომელმაც სწორად განჭვრიტა საქართველოს ხსნის ისტორიული გზა. თავის დიდსა და ვრცელ ისტორიულ პოემაში გურამიშვილი სიყვარულით, აღტაცებით, მოწიწებით სწერს რუსეთზე, რუსეთის ძლიერ სახელმწიფოზე, მის შორსმჭვრეტელ მეფე პეტრე პირველზე, რუსეთის არმიაზე, მის რიგით ადამიანებზე. გურამიშვილმა, პირველმა ჩვენს მწერლობაში, მაღალი პოეტური ოსტატობით გამოსახა რუსი და უკრაინელი მეგობრების ხორცსავსე, მხატვრული სახეები. და აქ, თავის მეორე სამშობლოში, რუსეთისა და უკრაინის ველებზე, გულშეხურვალე პატრიოტს და მგზნებარე მეომარს თავის სამშობლო საქართველო ხატად ედგა თვალწინ. სასოებით ავედრებდა თავის სამშობლოს ყოვლისშემძლეს, რათა ეხსნა, გადაერჩინა იგი. სამშობლოს ბედით გულდათუთქული პოეტი ხელაპყრობილი ლოცულობდა:

სახით სიტყვაშვენიერო, სხიო მზეთა, მზის სახეო,
ვეძებე და შენი მზგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო.
გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე,
შენ კერძ დამმარხეო;

ძველი საქართველოს უკუღმართი ბედი მძაფრად განიცადა გურამიშვილმა არა მარტო როგორც პოეტმა. არამედ როგორც მოქალაქემაც. ამიტომ იგი ქართლის ჭირის, ერის ამ მრისხანე, ტრაგიკული თავგადასავლის მეარქივე მთხრობელი როდია. მან თავის თავზე იწვნია ყოველივე. ეს იყო მწარე ხვედრი მთელი ერისა. პოეტი გულწრფელად წერდა:

მეტად მწარედ გული მტკივა,
მაერეოლებს და ტანში მზარავს.

მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია ასე ბუნებრივად, ასე უშუალოდ, ასე ზომიერად ინტიმური განცდებისა და საზოგადოებრივი ტკივილების განზოგადება და გაერთიანება პოეტურ სიტყვაში. გურამიშვილის თავგადასავალი საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზეა განზოგადებული. დავით გურამიშვილი მაღალი რანგის საზოგადოებრივი, სამოქალაქო პოეზიის უბრწყინვალესი წარმომადგენელია. და მან არა მარტო ამ მოქალაქეობრივი მოტივებით გაითქვა სახელი, არამედ იმ დიდი მხატვრული ნოვატორობითაც, რომელიც დამახასიათებელია მისი პოეტური მეტყველებისათვის. მხატვრული ფორმის მხრივ დიდი წარმატება მოუპოვა მან ქართულ ლექსს. როგორც პირველხარისხოვანმა პოეტმა, დაამტკიცა, რომ მხოლოდ ის ნაწარმოებია ჭეშმარიტი, რომელიც თავის სულითა და მიზნებით ხალხურია. ხალხურობის პრინციპი მან ხელოვნების დროშად აღმართა. თავისებურმა პოეტურმა მეტყველებამ ქართული, რუსული და უკრაინული ფოლკლორის მოხერხებულმა და ზომიერმა გამოყენებამ დავით გურამიშვილი გამოარჩია მთელს ძველ ქართულ მწერლობაში, როგორც ნოვატორი ქართული პოეტური სიტყვისა.

ბედუკუღმართი ჩარხის ტრიალმა დავით გურამიშვილი სამშობლოდან შორს გადატყორცნა, თავისი უკვდავი სიმღე-

რები პოეტმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა რუსეთსა და უკრაინაში, სადაც ტყვეობისაგან თავდაღწეულმა ცხოვრების ხანგრძლივი ნაწილი გაატარა.

იგი იყო პირველი პოეტი, რომელმაც დიდ რუსეთთან და უკრაინასთან ძმობა და მეგობრობა ბრძოლით, სისხლით და პოეზიით განამტკიცა.

250 წლის წინათ, ძველ შავბნელ დროში, სამშობლოს ძნელბედობის მოწმე დავით გურამიშვილმა ფესვმაგარი ძარღვი დაუდო საფუძვლად ხალხთა მეგობრობას. იგი ოცნებობდა თვალით ეხილა თავისუფალი ხალხების ნამდვილი და ჭეშმარიტი ძმობა, მაგრამ ისე დაიფერფლა და მიებარა უკრაინის მიწას, რომ ეს ოცნება აუხდენელი დარჩა. თავისუფლების და ბედნიერების მომღერალი დ. გურამიშვილი თავისი ფიქრით ეკუთვნოდა უკეთეს დროს, ეს დროც მოვიდა და მისი მგზნებარე პოეზია ახალი ძალით გაბრწყინდა. ამ მეგობრობისა და ხალხთა ძმობის ნამდვილი დემონსტრაციაა დღევანდელი ჩვენი ზეიმიც. დ. გურამიშვილის იუბილე, რომელსაც საქართველოსთან ერთად რუსეთი, უკრაინა და მთელი ჩვენი მოძმე რესპუბლიკები ზეიმობენ, ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რამდენად მტკიცე და ურღვევია მეგობრობა მოძმე ხალხებისა, რომლებიც აშენებენ ახალ სამყაროს.

დ. გურამიშვილის იუბილე საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე სიმბოლოა.

დიდება ქართველ ხალხს, რომელმაც წარმოშვა სახელოვანი მამულიშვილი—დავით გურამიშვილი.

დიდება დიდ რუს ხალხს, რომელმაც მისცა თავშესაფარი, იშვილა და მიუალერსა ტყვედყოფილ პოეტს.

დიდება უკრაინას, უკრაინის მიწას, რომელიც გურამიშვილის მეორე სამშობლო გახდა და რომელმაც ვალმოხდილი დიდი პატრიოტი პოეტის დაფერფლილი გული მიიბარა.

დიდება საბჭოთა ხალხებს, რომლებიც ჩვენთან ერთად ინაწილებენ ამ დიდ სიხარულს და გულით იზიარებდნენ ჩვენს ზეიმს, ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს.

ვ ა ჟ ა

გენიოსის გედი

ქართულ ეპიკურ პოეზიაში, რუსთაველის შემდეგ, არავინ გვეგულება უფრო დამოუკიდებელი და ორიგინალური პოეტური სამყაროს მფლობელი, ვიდრე ვაჟა-ფშაველაა. საიდუმლოებით მოცული ბუნების გაცოცხლებითა და პოეტური ამეტყველებით, მუზარადჯავშნიან მთიელთა სამყაროთი, მათი გასაოცარი ვაჟკაცობით და შეუპოვარი გულით — ვაჟა აღმოჩენა იყო ქართულ მწერლობაში და, რაც უმთავრესია, ყოველივე ეს ამაღლებული იყო დიდი საკაცობრიო იდეალების დონემდე.

ვაჟას მიერ გასაოცრად გასულიერებული და ამეტყველებული ბუნება თავისი დიდი სიკეთით, ბოროტებისა და ავკაცობის წინააღმდეგ ამხედრებით, დიდი სულიერი ცხოვრებითა და ინტიმით თავისთავად გვაჯადოებს და გვხიბლავს; ამავე დროს, მის ქმნილებებში, ყოველთვის, ხან პირდაპირ და ხან გადატანითი მნიშვნელობით დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური საკითხებია წამოჭრილი. ბრწყინვალე ფერწერულობით შესრულებულ ლექსებში ამ საკითხების პასუხს ადვილად პოულობდა პატრიოტულ ლირიკაზე აღზრდილი ქართველი მკითხველი. ვაჟას სიყვარულს სამშობლოსადმი. ილიასა და აკაკის პატრიოტულ პოეზიას, ქართველი კაცი ადვილად აკავშირებდა ურთიერთთან, პოულობდა საერთო ხაზს, ერთ მხატვრულ პოზიციას. ამ მხრივ ილია, აკაკი, ვაჟა ერთი კონცეფციის პოეტები იყვნენ, მაგრამ საოცრად განსხვავებულნი წერის მანერით, სამყაროს შეგრძნობითა და ათვისებით.

ერთ წერილში ვაჟა აღნიშნავდა:

„როგორ გგონიათ, არა მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩვენი ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არ ჩანს ჩემს ნაწერებიდან? ეს რომ არ მწამდეს, თქვენ გგონიათ მე კალამს ავიღებდი ხელში?! ერთმა უსწავლელმა ფშაველმა შითხრა, რომელსაც „ბახტრიონი“ წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებით, თითქოს შეკაზმულ ცხენსა მთხოვდა საჩუქრად, მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ვაჟა, თუ ღმერ-

თი გწამს. ნუ დამიმალავ, სწორედ თქვი, საქართველოს თავისუფლებას არ გულისხმობ „ბახტრიონში“, რომ ამბობ: „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“.—იქნება ვგულისხმობდე“,—ვუპასუხე“.

სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო—დაიჯინა ფშაველმა და თხუთმეტიათასი მჭევრმეტყველი პროფესორი რომ მიგეყვანათ, იმას რწმენას, აზრს ვერ გამოუცვლიდნენ.

თუ ჩემს მკითხველს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია. მაშასადამე, წარმოდგენილი ჰქონია საქართველოს მომავალი სვე-ბედი“.

ღრმად გრძნობდა და ჭვრეტდა ვაჟა-ფშაველა ჩვენი ქვეყნის დიდებულ მომავალს, ასე ეხმაურებოდა იგი ქართულ პატრიოტულ ლირიკას.

ვაჟამ თავის შემოქმედებაში უმთავრესი ადგილი დაუთმო ადამიანის პუნებასთან დამოკიდებულებას ამ თვალუწვდენელ სამყაროში. ეს წმიდა ფილოსოფიური და ეთიკური სფერო იყო და აქ ვაჟა მიუწვდომელ სიმაღლეზე იდგა.

უბრწყინვალესი ლირიკული ლექსებითა და პოემებით, პროზითა და დრამატურგიით ვაჟა-ფშაველა უაღრესად ნაციონალური პოეტია; მისი ლუხუმი და ზვიადაური, კვირია და ლელა, მინდია და ალუდა ქეთელაური ქართულ ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი, მისი ჰაერით სუნთქავენ, ქართველი კაცის დიდი სიყვარულით დადიან ამ დალოცვილ მიწაზე, იბრძვიან და მოქმედებენ, ღრმად გაუდგამთ ფესვები, როგორც მუხასა და წიფელას, იასა და პირიმზეს, დეკასა და ღვიას; ისინი უაღრესად ქართული ხასიათები არიან, სამშობლოს შვილები და, ამავე დროს, უაღრესად საკაცობრიო იდეალებით, შეხედულებებითა და მისწრაფებებით აღჭურვილნი. მათი მაღალი ჰუმანიზმი, სიცოცხლის სიყვარული, სიკეთისა და სილამაზის, სათნოებისა და სიბრალულის, ადამიანის გონებისა და აზრის თავისუფლების რწმენა უაღრესად აქტიურად ეხმაურება კაცობრიობის ყველაზე მაღალ, მოწინავე იდეალებს. ყველაფერი ეს გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ვაჟა-ფშაველა ქართული ეროვნული გენიაა გასული მსოფლიო ასპარეზზე.

გენიოსები ყოველთვის ისე გვაოცებენ და გვაღელვებენ, ისეთი სიმაღლეებიდან გვესაუბრებიან, რომ მათთან დამოკიდებულებას დიდი გონიერება და ტაქტი უნდა. ამიტომაც ხშირად ატყდება ხოლმე დავა და კამათი გენიოსებსა და მის თანამედროვეებს, ან მომდევნო თაობებს შორისაც. ჩვენ გვგონია ამითაც აიხსნება ის გაუგებრობანი და თავისებური დამოკიდებულებაც ვაჟა-ფშაველას მაღალ და დიდ შემოქმედებასთან, რომლის მოწმენიც ჩვენ ვიყავით.

დასამალი როდია, რომ ვაჟა-ფშაველა, ეს ჭეშმარიტად გენიოსი პოეტი, ყველა თანამედროვემ სათანადოდ როდი შეაფასა. მას შემდეგ, რაც მთაწმინდაზე ილიასა და აკაკის მიუჩინეს მუდმივი სამყოფელი, ვაჟას თანამედროვეებმა ვერ გაბედეს მათ გვერდით ვაჟასთვის დაედოთ ბინა. მხოლოდ ჩვენმა დრომ მიუჩინა ვაჟა-ფშაველას ღირსეული ადგილი ილიასა და აკაკის გვერდით.

ასევე ცდებოდა ქართული კრიტიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შეფასებისას. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე არ გვქონია ზუსტი და უტყუარი შეფასება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა. არა მარტო საერთოდ ლიტერატურათმცოდნეობაში, არამედ ერთი და იმავე კრიტიკოსის ნაწერებშიც ერთმანეთის გამომრიცხველ აზრებსა და შეხედულებებს ვხვდებოდით.

ვაჟა-ფშაველა არა მარტო მისმა თანამედროვეებმა ვერ შეაფასეს ჯეროვნად, ჩვენს დროშიაც განმეორდა ეს გაუგებრობა. მხედველობაში მაქვს ენის საკითხის გარშემო ატეხილი ლაშქრობა, ვაჟას შემოქმედების ცალმხრივი შეფასება ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში. აქ უცოდველი თითქმის არავინ ვყოფილვართ და არც ამ სტრიქონების ავტორი.

გენიოსების უპირველესი ხვედრი ისიცაა, რომ ისინი ერთბაშად ახლობლები და მშობლიურნი აღმოჩნდებიან სხვა ეროვნებათა და ხალხთა შორისაც. ასეთი ბედი ეწვია ვაჟა ფშაველასაც. საკმარისი იყო ვაჟა-ფშაველას პოემები ეთარგმნათ რუსულ ენაზე, რომ იგი ერთბაშად გახმაურებულიყო. რუსი მკითხველისათვის აღმოჩენა იყო ვაჟა-ფშაველას პოეზია. თუ გულწრფელი ვიქნებით, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ არც ერთ ქართველ კლასიკოსს ისეთი გაოცება

და აღფრთოვანება არ გამოუწვევია რუსულ თარგმანში, როგორც ვაჟა-ფშაველას. და გვჯერა, რომ თუ არა უფრო მეტს, ასეთივე გაოცებას გამოიწვევს იგი უცხო ენებზეც, როცა ვაჟას პოეტური სამყარო ამეტყველდება ინგლისურ, ფრანგულ, ეპსანურ ენებზე. ასეთია გენიოსის ბედი.

ქართველ ხალხს თავი მოაქვს დიდი კლასიკოსებით. ეს სახელოვანი წარსული — ჩვენი ერის მაღალი კულტურის ეპვმიუტანელი პასპორტია. ვაჟა-ფშაველა ქართველი ერის სახელისა და დიდების ერთი პირველთაგანი მაცნეა, მისი ეროვნული უკვდავების დამადასტურებელი და დიდების სახელმომხვეჭი.

იაკობ გოგებაშვილი

ილია ჭავჭავძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი ის დიდებული სამეულია, რომელთაც თავიანთ მხრებზე აზიდეს მე-19 საუკუნის საქართველო. ახალი იდეებით, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით, პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის იდეალებით აღზარდეს ქართველი კაცი. ისინი არა მარტო ასახავდნენ ეროვნულად და სოციალურად დაჩაგრული საქართველოს ყოფას, ჩვენი ადამიანების სულიერ განცდას, ფიქრებსა და აზრებს. არამედ ქართველ ხალხს ზრდიდნენ უკეთილშობილესი ეროვნული და სოციალური მისწრაფებებით. ისინი ნამდვილი მამები, ჭეშმარიტი მეთაურები იყვნენ ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალურ-განმათავისუფლებელი საბრძოლო დღეებისა. ამ დიდებულმა სამეულმა ასწავლა ქართველ ხალხს, აღზარდა იგი თავისი ქვეყნის მხურვალე სიყვარულით, მისთვის თავდადების იდეით. ამ უბრწყინვალესი საქმისათვის ვამოიყენეს მათ მწერლობა, როგორც ადამიანთა სულიერი ცხოვრების აღზრდის უძლიერესი იარაღი.

გოგებაშვილმა თავისი უკვდავი სახელმძღვანელოებით, „დედაენით“, „ბუნების კარით“, „რუსკოე სლოვოთი“ აღზარდა ახალგაზრდა თაობა, რომელმაც მე-20 საუკუნის საგანთიადო მოძრაობის დროშა აღმართა ჩვენს ქვეყანაში, მან ჩაუნერგა ქართველ ბავშვებს სიყვარულისა და

პატრიოტიზმის ჩაუქრობელი გრძნობა. რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში ენთო და გიზგიზებდა საქართველოს მიწაზე. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები არა მარტო საკოლო ასაკის ბავშვების აღზრდის უებარი იარაღი იყო, არამედ ყოველი ქართველის სამაგიდო წიგნი. ამ წიგნებმა აღზარდეს, ამ წიგნებმა შეაყვარეს დიდი სიყვარულით ჩვენს ბავშვებს, ჩვენს ადამიანებს საკმობლო. ცარიზმის ყირულიან დღეებში მათ გაუთბეს გული მზით, რწმენით. ახალი საქართველოს გასაღები თითქოს „დედაენის“ ავტორს ებარა და მან გაუღო ჩვენს ბავშვებს კარი ახალი საქართველოსი.

პედაგოგიური მეცნიერება, აღზრდის ხელოვნება იაკობ გოგებაშვილმა აიტანა მანამდე არნახულ სიმაღლეზე. ხალხურობის პრინციპი, პატრიოტული იდეალები დაუდო საფუძვლად ამ დიდ მეცნიერებას და მის დროშაზე ახალი საქართველოსათვის ბრძოლის დევიზი წააწერა; ასე მოამზადა ჩვენი ბავშვები ბუნების მოვლენებთან და სოციალურად სანატრელი საზოგადოებისთვის ბრძოლის დიადი სულისკვეთებით. პედაგოგიური მეცნიერება ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლების იარაღად აქცია, რითაც უაღრესი პოლიტიკური შინაარსი მისცა აღზრდას. აკი თვითონაც წერდა: „ის, რაც ნამდვილად პედაგოგიურია, არის ნამდვილად პოლიტიკურიც“. გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის პრინციპები მან დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეალების პრინციპს დააფუძნა, მის შინაარსად პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, ინტერნაციონალიზმი გახადა, ხოლო ადამიანის ღირსების საზომად—შრომა, შრომა სასარგებლო, შრომა საზოგადოებისათვის. განყენებული და აბსტრაქციული პრინციპები ძველი პედაგოგიური მეცნიერებისა ხალხის ეროვნულსა და სოციალურ ინტერესს დაუმორჩილა და დაუკავშირა. იაკობ გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოებით ილიასა და აკაკის პატრიოტული ხმები და განწყობილებები ბავშვის სულს დაუახლოვა, ბავშვის სულიერ სამყაროს აზიარა; ისედაც გასაგები ენა მე-19 საუკუნის სამოციანელებისა უფრო გაამშვენიერა, უფრო განადიდა.

ჩვენი დიდებული ქართული ენის, ჩვენი დედაენის გამაკეთილშობილებელი არის იაკობ გოგებაშვილი და ეს

ისეთი დიდი დამსახურებაა, რომელიც მუდამ შეუნახავს მის სახელს შთამომავლობას. იაკობ გოგებაშვილი ჩვენი ეროვნული სულიერი ცხოვრების ერთი დედაბოძი იყო, არის და იქნება; ამიტომ მიგვაჩნია ის დიდი მამების: ილიასა და აკაკის თანამესაგრედ. მე-19 საუკუნის საქართველო მათ გარეშე წარმოუდგენელია, აი. ამის გამო იხსენებს დღეს მას განსაკუთრებული თაყვანისცემითა და სიყვარულით ქართველი ხალხი.

ნიკო ნიკოლაძე

საქართველოს მწერალთა საზოგადოებრიობა დიდი პატივისცემით აღნიშნავს ცნობილი ქართველი მწერლისა, მგზნებარე პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაბადების 115 და გარდაცვალების 30 წლისთავს.

ნიკო ნიკოლაძე ეკუთვნის XIX საუკუნის 60-იანი წლების იმ სახელოვან პლეადას, რომელთაც საკუთარი მხრებით აზიდეს საქართველოს ნაციონალური და სოციალური განთავისუფლების დიდი დროშა და ამ დროშით წარუძღვნენ ქართველ ერს ყოველგვარი სოციალური ბოროტების, ჩაგვრის, უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დროშაზე წააწერეს: დემოკრატიზმის, ჰუმანიზმის, ხალხთა განთავისუფლების მაღალი იდეალები და მისწრაფებანი. ამ თაობამ ზედმიწევნით ზუსტად გამოხატა საქართველოს მოწინავე შვილთა ზრახვები და იდეალები. უფრო მეტი. ისინი არა მარტო იყვნენ გამომხატველნი ამ იდეალებისა, არამედ იყვნენ მეთაურნი და აღმზრდელნი მისი. ნამდვილი და ჭეშმარიტი წინამძღოლნი ერისა. ამიტომაც მათ ქართველი კაცის გონებაზე, მის პატრიოტულ გრძნობებზე წარუხოცელი კვალი დასტოვეს.

რუსეთის მისამართით ჩერნიშევსკი ამბობდა, ჯერჯერობით თითქმის ყველა გონებრივ მოღვაწობას ხალხისას ლიტერატურა აერთიანებსო. იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ ქართული ლიტერატურის მიმართ. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა იყო. ჩვენი ხალხის სოციალური და ეროვ-

ნული იდეალების ერთადერთი სრულყოფილი გამომხატველი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, შემდეგ ვაჟა-ფშაველა და ყაზბეგი ამ ახალი ქართული ლიტერატურის მეთაურები, ხელმძღვანელები და შემქმნელები არიან. ეს თაობა სამწერლო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც საქართველო ბატონყმობისა და ცარიზმის უღელქვეშ გმინავდა. ძველი საქართველოს ამ დახავსებული ცხოვრების წინააღმდეგ ილიას თაობამ ხმა აღიმაღლა, ბრძოლაში გამოიწვია ყოველივე დრომოჭმული, უვარგისი და ხალხის განთავისუფლების საქმეს შეუდგა. მხოლოდ ამ თაობამ მოახერხა ჩვენში პირველად ლიტერატურა გამოეყვანა ვიწრო არისტოკრატიის წრიდან, გამოეტანა მუზეუმიდან და სასახლეებიდან და რაც ძვირფასეული იყო ჩვენი ხალხის სულიერ საგანძურში, ხალხის კუთვნილებად ექცია. ამ თაობის დიდი დამსახურება არა მარტო იმაში მდგომარეობდა, რომ მწერლობა მათ ამიერიდან ხალხის ინტერესებს დაუმორჩილეს. სამწერლო ენა ხალხის ენად აქციეს, არამედ იმაშიაც, რომ მწერლობა, ეს დიდი სულიერი ძალა ერისა, ხალხის კუთვნილებად გამოაცხადეს, ლიტერატურას მასობრივი ხასიათი, სახალხო ხასიათი მისცეს. ილიას თაობის ერთ-ერთ სახელოვან წევრს, ნიკო ნიკოლაძეს, ერის ცხოვრების ამ უდიდესი რეფორმის საქმეში, თავისი დიდი წვლილი მიუძღვის. ნიკო ნიკოლაძე იყო ღვიძლი ძმა ილიას სახელოვანი თაობისა, ამ თაობის ერთი ყველაზე უფრო დაუცხრომელი, თავდადებული და მგზნებარე მებრძოლი.

ყოველ თაობას ჰყავს თავისი მებრძოლი პუბლიცისტი და კრიტიკოსი. ასე იყო ეს ისტორიულად. პუშკინისა და ლერმონტოვის თაობას გვერდს უმშვენებდა. საბრძოლო განწყობილებით აღაგზნებდა ბელინსკი, 60-იანი წლების რუსი ინტელიგენციის და მისი სამწერლო ახალთაობის შემმართებელი და მეთაური ჩერნიშევსკი იყო და ა. შ. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს მიმართ. ბარათაშვილის თაობის სახელოვან თანამებრძოლს სოლომონ დოდაშვილი წარმოადგენდა, ხოლო 60-იანი წლების სახელოვანი თაობის პუბლიცისტსა და კრიტიკოსს—ნიკო ნიკოლაძე. მათი როლი განუზომლად თვალსაჩინოა.

ნიკო ნიკოლაძე ფართო ერუდიციის, ღრმა განათლების მქონე, მრავალმხრივი მოღვაწე იყო. ნიკო ნიკოლაძემ და მისმა თაობამ, პირველად ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, არა მარტო დიდი განათლება და ცოდნა შეიძინა 60-იანი წლების მოწინავე რუსი ინტელიგენციის წრეში, არამედ ამ ინტელიგენციასთან ერთად პირველი რევოლუციური ნათლობა მიიღოს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში; რუსეთის სახელოვან სულიერ მამებთან, ჩერნიშევსკისა და მის თაობასთან ერთად, აღმართეს საბრძოლო მახვილი სამარცხვინო ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ და ასე ჩაუყარეს საფუძველი რუს და ქართველ რევოლუციონერ-დემოკრატთა ბრძოლას ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ. თვითონ ნიკოლაძე, ამ მოწინავე ჯგუფის ერთ-ერთი მესვეური, ასე იგონებდა 60-იანი წლების მგზნებარე წლებს. „მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, როცა საყვარელი ჟურნალის „სოვრემენიკის“ ახალი წიგნი გამოვიდოდა, ვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას. რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი ჩრდილოეთის ღამეები გაგვიტეხია ჩვენ იმის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მისი სიტყვების სჯაში, მასზე დავაში. ვინ დათვლის იმ ხანგრძლივ ბედნიერებას, აღტაცებას, ტვინის წვალებას, ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოდ გულში ჩაჭრილ კვალს“.

ნიკო ნიკოლაძე, 60-იანი წლების ეს სახელოვანი, უმწიკვლო და დაუცხრომელი მებრძოლი საქართველოს განთავისუფლების საქმისა, ბოლომდე თანამიმდევარი მებრძოლი პროგრესისა და ჰუმანიზმისა, როდი შერჩა 60-იან წლების იდეალების საფეხურზე. შემდეგ იგი რუსეთში და საზღვარგარეთ კვლავ დაეწაფა ახალ პროგრესულ და ძოწინავე იდეალებს და ამის მიხედვით, უფრო მაღალი სოციალური და ეროვნული იდეალების პროპაგანდისტად მოგვევლინა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა მისი მსოფლმხედველობრივი ევოლუცია და წინგადადგმული ნაბიჯი, რომელმაც იგი სამართლიანი სოციალური განთავისუფლების იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომელიც ასე ძლიერად ემიჯნებოდა მარქსიზმს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების

პირველ წლებში, ეს მოწინავე იდეალების კაცი, რომელმაც ვერ გაიგო საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი არსი, ევროპის ემიგრაციაში მოხვდა. თუმცა სულ მალე დარწმუნდა თავის შეცდომაში, დაგმო ემიგრაციის ეს გზა, თავის ქვეყანაში, საქართველოში, დაბრუნდა და ახალი საქართველოს ინტელიგენციის რიგებში ჩადგა. ვინც ამ ევოლუციას დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს, თუ რა მაღალი ერუდიციისა და პოლიტიკური ალღოს მქონე პიროვნება იყო ნიკო ნიკოლაძე.

ნიკო ნიკოლაძე იყო თავისი ეპოქის მოწინავე, მებრძოლი პუბლიცისტი და კრიტიკოსი, რომელსაც ლიტერატურის დანიშნულებად, მწერლობის დანიშნულებად ხალხის უანგარო სამსახური მიაჩნდა. იგი იყო დაუცხრომელი დამცველი ყოველივე პროგრესულისა. ამ მხრივ ჩვენს თანამედროვე მწერლობას ბევრი რამ შეუძლია ისწავლოს ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობისაგან. ისწავლოს იმის ხელოვნება, რომ მუდამ ტრიალებდე ცხოვრების შუაგულში, იყო ხალხის ფიქრისა და გრძნობების გამომხატველი, შეგეძლოს გაარჩიო ერის ცხოვრების აქტუალური საკითხი არა აქტუალურისაგან, გამონახო ის მთავარი, ჩაეჭიდო მას და ამ მოწინავე იდეალებით აღზარდო ხალხი მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ნიკო ნიკოლაძე იღვწოდა ერის სულიერი მისწრაფების და პროგრესულ მისწრაფებათა აღზრდისა და გამოღვიძებისათვის. ის თავად იყო ამ იდეალების დამნერგავი ჩვენში. ნიკო ნიკოლაძე ერთგან შენიშნავს: „ყოველ საზოგადოებაში თვითეულ თაობას თავისი საკუთარი ტვირთი აწევს და ისტორიულ ცხოვრებაში ყოველ თაობას უნდა შეეძლოს თქმა: ჩემი მხრით, მე ეს ახალი სარგებლობა მოვუტანე ჩემს ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე, ახალი ძალა შევძინე, და ახალი გზა გავუხსენი უკეთესი ცხოვრებისაკენო". ნიკო ნიკოლაძეს და მის სახელოვან თაობას ჭეშმარიტად შეეძლო ეს სიტყვები ეთქვა.

ნიკო ნიკოლაძე პატარა ერის შვილი იყო და მან ყველაზე უკეთ იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პატარა ერისათვის ხალხთა ძმობას ლა მეგობრობას. თავად ნიკო ნიკოლაძეც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ხალხთა

ძმობისა და მეგობრობის დაუღლელი მქადაგებელი იყო. მისი პუბლიცისტური წერილები გამსჭვალულია მოძმე ხალხთა სიყვარულით და პატივისცემით. ნიკო ნიკოლაძე იყო არა მარტო მგზნებარე პუბლიცისტი და კრიტიკოსი, არამედ ფართო მასშტაბის საზოგადო მოღვაწეც. განუზომლად დიდია მისი როლი ქართული პრესის, ჟურნალისტიკის ისტორიაში: განუზომლად დიდია მისი როლი როგორც მოქალაქისა და მოღვაწისა. მისი მოღვაწეობა ქ. ფოთში სამაგალითოა მთელი მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

საბჭოთა საქართველო, მადლიერი ქართველი ხალხი მოწიწებით იგონებს ქართველი ერის ამ მგზნებარე გუშაგს, დაუცხრომელ მებრძოლს, მგზნებარე პუბლიცისტსა და უანგარო საზოგადო მოღვაწეს.

მირზა ფატალი ახუნდოვი

საბჭოთა კავშირის ხალხებმა, მთელი მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა აზერბაიჯანელი ხალხის დიდი შვილის, მირზა ფატალი ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავი. საქართველოს მშრომელები განსაკუთრებული პატივისცემით იგონებენ აზერბაიჯანის სასიქადულო მამულიშვილს და ზეიმით აღნიშნავენ ამ დიდებულ თარიღს. დიახ, არის რაღაც განსაკუთრებული და სიმბოლიური იმ ფაქტში, რომ საქართველოს მშრომელები, ჩვენს დედაქალაქ თბილისში, თავის საუკეთესო თეატრში, ასე აღფრთოვანებით აღნიშნავენ ამ სახელოვან იუბილეს. უპირველესად ყოვლისა, ეს განსაკუთრებულობა იმაშია, რომ დიდი მწერალი, მირზა ფატალი ახუნდოვი, თბილისს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. სიმბოლიურია ისიც, რომ თბილისი იყო და არის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის წმიდა ადგილი. ჩვენს დედაქალაქში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ კარის მეზობლების, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოწინავე შვილები. თბილისში ცხოვრობდა, აქ ქმნიდა თავის საუკეთესო ნაწარმოებთ მირზა ფატალი ახუნდოვი, იგი აქ, ჩვენს მიწაზეა დასაფლავებული. აქ ცხოვრობდნენ და აქვე განისვენებენ გამოჩენილი სომეხი მწერლები: საიათნოვა, სუნდუკიანცი, თუმანიანი.

ზოგი მათგანი აქ ხვდებოდა დიდ ილიას, დიდ აკაკის, აქ ერთად ჰედდნენ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ხიდს, თეთრად ათენებდნენ ღამეებს ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე ფიქრში. აქ, თბილისში, უთქვამს თუმანიანს, ყოველი ქართველი პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი ორჯერ პოეტია. აქ, თბილისში, მიმართავდა საქართველოს უბერებელი ბულბული დიდი აკაკი გაბრიელ სუნდუკიანცს შემდეგი სიტყვებით:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა.
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთი მიდამოს და ერთი მთისა.

ასე ზრდიდნენ ჩვენ ხალხს ეს მოწინავე მამულიშვილნი ძმობისა და მეგობრობის უჭკნობი გრძნობით. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ძველ დროში ბნელი ძალები, ჩვენი გარეშე და შინაური მტრები ჩრდილს აყენებდნენ ხალხთა ძმობის იდეას, რითაც ცოტა ზიანი როდი მოუტანეს ჩვენს ხალხებს. მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუციამ გადმოლახა კავკასიის ქედი და ბაქოსა, ერევანსა და თბილისში აფრიალდა წითელი დროშა, ამიერ-კავკასიის ხალხების ძმობა და მეგობრობა უფრო მტკიცე, ერთიანი და განუყოფელი შეიქმნა. და აი, ორმოც წელზე მეტი ხანია, რაც აშენებენ, ამტკიცებენ ხალთა ძმობისა და მეგობრობის ამ ურყევ შენობას აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის მშრომელები, ჩვენი დიდი პარტიის, კომუნისტური პარტიის მეთაურობით. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩვენმა ხალხებმა ჩამოაცილეს ბნელი ძალების მიერ მოდებული ჟანგი ძმობის ხიდს, გააპრიალეს, გააფოლადეს და განამტკიცეს მისი ჯებირები და დღეს არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეარყიოს ძმობისა და მეგობრობის ეს ურღვევი ხიდი.

დღევანდელი ჩვენი შეკრება ამ ურყევი მეგობრობის ნათელი დემონსტრაციაა.

ქართველი ხალხი სიყვარულით გულში იხუტებს მირზა ფატალი ახუნდოვის დიდ მემკვიდრეობას და პატივისცემით იხსენიებს მას, დაბადების 150 წლისთავზე. აზერბაიჯანის ეს სასიქადულო შვილი მშობლიური და ახლობელია ყოველი

ქართველისთვის; ქართველი ხალხის საფიცარი შვილების — რუსთაველისა და გურამიშვილის, ილიასა და აკაკის, ბარათაშვილისა და ვაჟას თხზულებებთან ერთად კითხულობენ და სწავლობენ მირზა ფატალი ახუნდოვის პიესებს, მოთხრობებს, ლექსებსა და წერილებს. ახუნდოვი ჩვენთან ერთად ცოცხლობს, შრომობს და იბრძვის სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისა და დიდებისათვის. ამაშია მისი უკვდავება.

ივანე მაჩაბელი

საბჭოთა საზოგადოებრიობა დღეს, დაბადების ასი წლის თავზე, დიდის პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით იგონებს ცნობილ მწერალს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს და ბრწყინვალე მთარგმნელს ივანე მაჩაბელს.

ივანე მაჩაბელი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მან სავსებით გაიზიარა 60-იანი წლების გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ბედი. დიდი ერუდიციის მქონე, ყოველმხრივ განათლებული, სრულიად ახალგაზრდა ჩაება ერის სამსახურში. 19 წლის ივანე მაჩაბელმა დიდ ილიასთან ერთად თარგმნა შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი". ილია მოხიბლა მაჩაბლის ნიჭიერებამ, მისმა ნათელგონიერებამ, მთარგმნელობითმა ალღომ, ქართული ენის ცოდნამ. განა შემთხვევით იყო, რომ 1877 წელს ქართულ „მეფე ლირს" ჯერ ივ. მაჩაბელი აწერია და მერე ი. ჭავჭავაძე!? ეს მაშინ, როდესაც ილიასეული თარგმნილი ტექსტი მეტია, ვიდრე მაჩაბლისა და ამ საქმის ინიციატორიც თვითონ ილია იყო. მთარგმნელობითი მუშაობით დაძმობილებული ივ. მაჩაბლის შესახებ ილია წერდა: „ვანო ჭკვიანი ბიჭია და კარგი კალმის პატრონი. ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება". არც ის იყო შემთხვევითი, რომ სამშობლოში დაბრუნებული ვანო ილია ჭავჭავაძემ „ივერიის" მეორე დირექტორად მიიწვია. ივ. მაჩაბელმა „ივერიასა" და შემდეგ „დროებაში", რომლის რედაქტორი სამ წელს იყო, დიდი მუშაობა გასწია, როგორც რედაქტორმა და როგორც მწერალმა, გონებამახვილმა პუბლიცისტმა. უფრო დიდხანს ივ. მაჩაბელი ბანკში მუშაობდა. 16 წელი შესწირა მან ამ საქმეს. ივ. მაჩაბელი ხალხის სამსახურით

შთაგონებული მოღვაწე იყო, მთელი თავისი კეთილშობილური ცხოვრება მან ხალხის სამსახურს, ერის სამსახურს შეალია.

განსაკუთრებით ძვირფასია ივ. მაჩაბლის ღვაწლი ქართული თეატრის აღორძინების საქმეში, ქართული თეატრის დიდ, პროფესიონალურ სიმაღლეზე ატანა უთუოდ ივ. მაჩაბლის სახელსაც უკავშირდება. ქართული სცენის კორიფეების: ვ. მესხიშვილის, ვ. აბაშიძის, კ. მესხის, ალ. იმედაშვილის, ნ. გაბუნიას, უ. ჩხეიძის, ა. ხორავას, ვ. აწჯაფარიძის, აკ. ვასაძის თუ სხვათა თამაშის მომხიბვლელობაში უდიდესი მადლი და წვლილი ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილი ტრაგედიების ხატოვან ქართულს ეკუთვნის.

ივანე მაჩაბელმა ახალი ელვარება მიანიჭა ქართულ ენას, სასცენო მეტყველებას: დიალოგის ლაღი მდინარება, ფრაზის ლაკონიურობა და მოქნილობა, სახიერება და ძარღვიანობა მსახიობის ნიჭს ფრთებს ასხამს.

პოეტური აზროვნებისა და მეტყველების უდიდესი ოსტატის შექსპირის ტრაგედიები ორიგინალური ნაწარმოების დარად ააჟღერა ივ. მაჩაბელმა. მან ქართულ სიტყვას ნამდვილი რაინდული კეთილშობილება შთაბერა.

როგორც ცნობილია, შექსპირის ქართულად გადმოღება ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოციან წლებში დაიწყეს. 1841 წელს ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს ატყობინებდა: „ჩვენმა ლიტერატურამ კარგი თარგმანი შეიძინა. დ. ყიფიანმა თარგმნა შექსპირის ტრაგედია „რომეო და ჟულიეტა“. ამის შემდეგ შექსპირის ქართულ თარგმანზე მუშაობდნენ ლ. არდაზიანი (თარგმნა „ჰამლეტი“), ა. ფურცელაძე, მიხ. ყიფიანი, ვ. გუნია, მაგრამ შექსპირს არც ერთ თარგმანში მიუღწევია ისეთ სრულყოფას, როგორც ივ. მაჩაბლისეულ თარგმანებში. იგი პირდაპირ გასაოცარი მოვლენა იყო ამ მხრივ. სწორედ ამის თაობაზე წერდა ილია, არც ერთი რუსული თარგმანი შექსპირისა ქართულს არ შეედრებაო. ივ. მაჩაბლის თოთხმეტმარცვლოვანი ლექსი, სრულიად ახალი, ნოვატორული მოვლენა იყო მთარგმნელობით პრაქტიკაში. ივ. მაჩაბელმა საფუძველი ჩაუყარა და განვითარების ახალი გზა გაუჭრა დრამატულ პოეტურ მეტყველებას. ილიასთან, აკა-

კისთან და გოგებაშვილთან ერთად ივ. მაჩაბლის დამსახურებაც განუზომლად დიდია ახალი სალიტერატურო ქართული ენის შექმნაში. ივანე მაჩაბელმა გაამდიდრა ქართული ენა გამომსახველობის ახალი საშუალებებით. ახლებურად ააღერა დრამატურგიის ენა.

ივანე მაჩაბლისეული თარგმანები საბჭოთა თეატრალური რეპერტუარის განუყრელი თანამგზავრია. მაჩაბლის ძარღვიანი, ხატოვანი ქართული ჩვენი სასცენო მეტყველების მშვენება და დიდებაა. ივ. მაჩაბელი თავის დრამატული თარგმნებით და მეტყველებით მარად ცოცხალი და მოქმედია ჩვენს თეატრში. ქართულ ენასთან, ქართულ ლიტერატურასთან, ქართულ თეატრთან ერთად მარად იცოცხლებს მისი სახელი.

ეკატერინე გაბაშვილი

ეკატერინე გაბაშვილი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელოვან მომდევნო თაობას ეკუთვნის. გაბაშვილი ახალგამოსული იყო სამწერლო ასპარეზზე, როდესაც მას ესტუმრა ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი და მისი მოთხრობებით აღტაცებულმა მაღალი შეფასება მისცა მწერლის ნიჭს. პეტრე უმიკაშვილმა მწერალ ქალს მის მიერ გამოცემული „ვისრამიანი“ მიუძღვნა წარწერით: „ქართველ პირველ ქალს—ბელეტრისტს“.

ილია ჭავჭავაძემ ფართოდ გაუღო ნიჭიერ ქალს თავისი ჟურნალ-გაზეთის კარი. ქართველმა მკითხველებმა კი გულით შეიყვარა ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობები. პოპულარობა, რომელიც ეკატერინე გაბაშვილმა მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში მოიპოვა, დღემდე შერჩა მის სახელს.

როგორც ცნობილია, ეკატერინე გაბაშვილმა ბავშვობის წლები სოფლად გაატარა. მომავალი მწერალი აქ გაეცნო გლეხკაცის ცხოვრებას, შეიყვარა ის და შემდეგ ნიჭიერად გააცოცხლა ბავშვობის შთაბეჭდილებანი თავის თხზულებებში.

თბილისში, ფაბრის პანსიონში, ეკატერინეს მასწავლებ-ლებლები იყვნენ საქართველოში გადმოსახლებული მოწინა-ვე რუსი ინტელიგენტები, რომელთა მეოხებით მომავალი მწერალი დაადგა რადიკალურ-დემოკრატიული იდეების გზას. ეკატერინე გაბაშვილის მასწავლებლები იყვნენ ნი-კო დედაბრიშვილი, ინანიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი. ფაბრის პანსიონის ხშირი სტუმარი იაკობ გოგებაშვილი. „იაკობ გოგებაშვილმა, — იგონებს ეკატერინე გაბაშვილი, — დაგვირიგა უფროს მოწაფეთათვის მის მიერ გამოცემული პირველდაწყებითი წიგნი, რომლითაც შემდეგ ვხელმძღვა-ნელობდი ჩემი მასწავლებლობის დროსაც. მთელს ჩემს არსე-ბას ბოჭავდა ის პატრიოტული ანდერძი, რომელიც ქართული ენის მასწავლებლებისაგან მომისმენია: „ქართველი ქალი უნდა გახდეს ქვაკუთხედი, რომელზედაც უნდა აშენდეს, აყვავდეს და გამოვლინდეს მომავალი ქართველი ერისა.“ ეს ანდერძი მომავალმა მწერალმა გულის ფიცარზე აღიბეჭდა და მოღვაწეობის სახელმძღვანელო პრინციპად გაიხადა.

1870 წელს სერგეი მესხის „დროებაში“ გამოქვეყნდა გაბაშვილის პირველი ნაწარმოები „გლეხკაცების აზრი სასო-ფლო სკოლაზე“. მწერლის შემოქმედების მთავარი თემა იმთავითვე იყო ქართველი ქალის ბედი. მისი პირვე-ლი მოთხრობის პირველივე სტრიქონები სწორედ ამ საკი-თხით დაიწყო. ეკატერინე გაბაშვილმა იცის, რომ სიყვარული უძლიერესი გრძნობაა, მას ვერ ჩაჰკლავს ვერც ტრა-დიცია, ვერც ქონებრივი მდგომარეობა, მაგრამ ეს შემფერ-ხებელი მოვლენები ხელს უშლის ამ გულწრფელ გრძნობას, და ტრაგედიის მიზეზი ხდება. ეკატერინე გაბაშვილი დაუ-ცხრომლად იბრძოდა ხალხთა ცხოვრების შემფერხებელი მოვ-ლენების წინააღმდეგ. მხურვალედ მონაწილეობდა ჩვენი ხალ-ხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში. ამ საქმეში იგი მხარ-ში ედგა დიდ ილიას; რომელსაც „საქართველოს გონებრივ მზეს“ უწოდებდა. თავისი შესანიშნავი მოთხრობებით გაბაშ-ვილი ზრდიდა ჩვენს ხალხს თავისუფლების, სამშობლოს სიყ-ვარულის ძლიერი გრძნობით. მის შემოქმედებაში ნათელი გამოხატულება ჰპოვა რევოლუციამდელი საქართველოს სო-ციალურმა პრობლემებმა.

„19 წლისა ვიყავი, — წერს ეკატერინე გაბაშვილი,—რო-დესაც ქმარი შევირთე. მალე დავწვრილშვილდი (11 შვილი მყავდა). ძლიერ ხელმოკლე ოჯახში ვცხოვრობდი, ყოველგვარ თავისუფლებას მოკლებული ვიყავი, მაგრამ მე არ დავემორ-ჩილე საზოგადო ხვედრს დედაკაცისა,—ყმობას და თავშე-წირვას ოჯახისა. მე იმ ვიწრო კედელს შუა, რომელსაც ოჯა-ხის დიასახლისობას ეძახიან, რომელიც შთანთქავს ხშირად ხოლმე დედაკაცის სულიერ არსებას, პატარა ჭუჭრუტანა გავუკეთე და იქიდან ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებ-დი ჩვენი ქვეყნის საზოგადო ზრდას და მსვლელობას“.

ჭეშმარიტად, ეკატერინე გაბაშვილი არა მარტო თვალს ადევნებდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, არამედ მუდამ ამ ცხოვრების ცენტრში იდგა და დაუცხრომლად იღვწოდა უკეთესი მერმისისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეკ. გაბაშვილის დამსახურება ქართულ საბავშვო მწერ-ლობის განვითარების საქმეში. ცოცხალი, მიმზიდველი, ხატო-ვანი და მსუბუქი ენით დაწერილი მისი მოთხრობები კვლავ ამშვენებენ ჩვენს საბავშვო სახელმძღვანელოებს.

ეკატერინე გაბაშვილი ღრმად მოხუცებული მოესწრო საბჭოთა ხელისუფლებას. საბჭოთა ხელისუფლების მიღწე-ვებით გახარებული მწერალი წერდა: „ჩემი თაობის მწერ-ლებიდან ყველაზე ბედნიერი მე ვარ, რადგან მე მოხუცებუ-ლობის ჟამს მოვესწარი ჩემი ხალხის მშვენიერ და თავისუფ-ლად ცხოვრებას, რომელზედაც ოცნებაც არ შემეძლო ჩემს ახალგაზრდობაში. ჩემი სიკვდილი არავის სიკვდილს არ ემს-გავსება, რადგან თან არ გამყვება დარდი და მწუხარება. შევ-ყურებ ჩემი ხალხისა და ერის ცხოვრების განვითარებას და გული სიამაყით მევსება“.

მართლაც, ისეთ მწერალს, როგორიც ეკატერინე იყო, არ შეიძლება ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, არ ეგრძნო დიადი, ცხოველმყოფელური ძალა საბჭოთა ეპო-ქისა, ეპოქისა, რომელმაც ფართო ასპარეზი გადაშალა შემოქმედებითი შრომისათვის; ეპოქისა, რომელშიაც მოხ-და ნამდვილი დაფასება ადამიანის შრომისა, შემოქმედის ღვაწლისა. 1937 წელს რუსთაველის იუბილეს გამო აღ-

ფრთოვანებული მწერალი ქალი წერდა: „ვკითხულობ და არ მჯერა, ნუთუ ეს ოცნება არ არის, ოცნება მიუწვდომელი, საზღაპრო, ზეშთაგონებული. ცრემლები მცვივა თვალთაგან. ლმობიერება მაოცებს, მზად ვარ დავიჩოქო და მუხლმოდრეკილი შევღაღადო: „დიდ არს, დიდ არს ძლიერება იმ კაცისა, რომელმაც აღადგინა 700 წლის დამარხული დიდება ერისა“, ეკატერინე გაბაშვილმა ნამდვილად იგრძნო ამ ახალი ეპოქის ძალა და გაიმსჭვალა მისი სიხარულით. არა მარტო რუსთაველის, არამედ მთელი ჩვენი კლასიკური მწერლობის ნამდვილი დაფასება მხოლოდ ჩვენს დროში გახდა შესაძლებელი და დღევანდელი ზეიმიც — ეკ. გაბაშვილის იუბილეც ამ გარემოების მკაფიო დადასტურებაა.

ბესარიონ ბელინსკი

დღეს, მსოფლიოს ყოველ კუთხეში, ყოველი პატიოსანი კაცი, რომლისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, პროგრესი, დემოკრატია და ცივილიზაცია, ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა, მწერლობა და ხელოვნება — პატივისცემით იგონებს დიდ რუს რაზნოჩინელს, რევოლუციონერ-დემოკრატს, კრიტიკოსსა და პუბლიცისტს — ბესარიონ ბელინსკის.

კომუნისტური პარტიის შემქმნელი დიდი ლენინი ბელინსკს თვლიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ წინამორბედად. მართლაც, გასაოცარი იყო ამ დიდი რუსი მოაზროვნის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა. ბელინსკიმ პირველმა გამოარღვია ბატონყმური რუსეთის პირობებში რუტინის, ჩამორჩენილობის ბნელი კედლები და გზა გაუკაფა რევოლუციურ, დემოკრატიულ აზროვნებას. პროგრესულმა რუსეთმა, რევოლუციურმა რუსეთმა, პუშკინისა და გერცენის, ჩერნიშევსკისა და ლენინის რუსეთმა ის ახალი რუსეთის დროშად აღიარა, ხოლო რუსულ პუბლიცისტიკასა და კრიტიკაში სრულიად ახალი სიტყვა იყო ბელინსკის ლიტერატურული მიმოხილვები

და წერილები პუშკინზე, ლერმონტოვზე, გოგოლზე, შექსპირის ჰამლეტზე და სხვებსა და სხვებზე. ბელინსკიმ გზა გაუკაფა და ახლებურად განმარტა მწერლობა და მისი დანიშნულება. მე-19 საუკუნის დიდი რუსული ლიტერატურის პირველი დიდი მედროშე და მეთაური ბელინსკი იყო.

ბელინსკი იყო არა მარტო რუსული აზროვნებისა და მწერლობის ტიტანი, მეთაური და მედროშე, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ კრიტიკოსს მსოფლიო ლიტერატურაში არ დაუმკვიდრებია ისეთი დიდი სახელი, არ ჰყოლია იმდენი მიმდევარი, რამდენიც ბელინსკს ჰყავდა და ჰყავს. ამ მხრივ ის მოღვაწეობის პირველსავე წლებში გასცდა თავისი ქვეყნის საზღვრებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბელინსკის იდეების გავლენა ქართულ მწერლობაზე, ქართულ აზროვნებაზე. ჩვენმა დიდმა სამოციანელებმა, ი. ჭავჭავაძის სახელოვანმა პლეადამ უხვად გამოიყენა ბელინსკის მოწინავე შეხედულებანი. „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილი, რომელიც მისი რედაქტორის, ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნოდა, ბელინსკის შეხედულებებითა და ციტატებით იყო გაჟღენთილი. ეს წერილი პირველი დიდი მანიფესტი იყო მთელი ახალი ქართული მწერლობისა. ბელინსკის შეხედულებანი მწერლობასა და მის დანიშნულებაზე დიდძალია ჭავჭავაძემ ჩვენს ყოველდღიურობას შეუფარდა და განავითარა. ამ რევოლუციური გარდაქმნების წლებში ძველი, დრომოჭმული, არქაისტული შეხედულების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი სამოციანელების სათაყვანო სახელი ბელინსკი იყო. ბელინსკი და ახალი ქართული მწერლობა ცალკე თემაა.

ბელინსკის შეხედულებები, მისი ნაწერები მარტოოდენ ისტორია როდია. იგი დღესაც მომქმედი ძალაა თანამედროვე მწერლობისათვის. ბელინსკის მოთხოვნა მწერლებისა და ცხოვრების განუყოფელი კავშირის შესახებ, ბელინსკის განჭვარტება, რომ მწერლობა სახალხოა და უნდა ემსახურებოდეს თავისი ხალხის, ერის საზოგადოებრივ ინტერესებს, დღესაც ძალაში რჩება.

ბელინსკის შემტევი სტილი, მისი შეურიგებელი ბრძოლა ყოველივე დრომოჭმულისა და დახავსებულის წინააღმდეგ, დღესაც მაგალითია ჩვენთვის. ასევე შთამაგონებელია მისი მგზნებარე სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი, მამულისადმი, მწერლობისადმი. ბელინსკი მწერლობას თვლიდა მისი სიცოცხლის, მისი სულის განუყოფელ ნაწილად.

ამ მხრივ იგი ჩვენი სახელოვანი წინაპარი და მასწავლებელია. ამიტომ ვიგონებთ დღეს მას გულმხურვალე სიყვარულით.

რაფიელ ერისთავი

რაფიელ ერისთავი XIX საუკუნის სახელოვან მოღვაწეთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც განუზომელი როლი შეასრულა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის საქმეში. სამშობლოს სადიდებლად ამღერებული მისი გულწრფელი ლექსები, მისი სოციალური ლირიკა აღაგზნებდა ჩვენს ხალხს მომავლისთვის თავდადების სპეტაკი გრძნობით.

სამწერლო მოღვაწეობა რაფიელ ერისთავმა 50-იან წლებში დაიწყო. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1852 წელს. რაფიელის ადრინდელ შემოქმედებას ემჩნეოდა ქართველი რომანტიკოსების ძლიერი გავლენა. პოეტი გატაცებული იყო სატრფიალო ლირიკით და ვიწრო საყოფაცხოვრებო თემებით. მაგრამ მალე მან თავი დააღწია კამერული ლირიკის თემებს და სამოციანი წლებიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თაობის გზას გაჰყვა. რაფიელ ერისთავის იუბილეზე 1895 წელს წარმოთქმულ სიტყვაში აკაკი წერეთელმა თქვა: „რაფიელი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. ეს დრო ჩვენში დიდი მარტოხელობის დრო იყო, და ხომ მოგეხსენებათ, თუ რა ტვირთი აწვება მარტოხელა კაცს ოჯახში, რომ ოჯახი არ დაეცეს და კერა არ გაუცივდეს. ყველა-

ფერს უნდა წაუპოტინოს ხელი, ესეც აკეთოს, ისიც, აქაც იყოს. იქაც და თავისი სიცოცხლე უნდა ათენ-აღამოს სხვადასხვა წვრილმანი საქმეების კეთებაში. როდესაც წამოიზრდებიან შვილები და შვილიშვილები, ოჯახი გაკაცსულიანდება და ერთ სამუშაოს ასი და ორასი გაინაწილებს, მაშინ სულ სხვებრ წავა საქმე. საოცარი, შესანიშნავიც რომ იყოს მარტოხელა მუშა, რომელიც ბევრ სხვადასხვა რამეს აკეთებს და ერთისათვის მარტო ვერ იცლის, რომელიმე ნასაქმარის სიდიადით ვერ გაგვაკვირვებს, მისი ნაშრომი მთას ვერ წარმოგვიდგენს და მისი ნაღვაწი—ზღვას, მაგრამ თუ ამას ათასგვარ წვრილმან საქმეს ერთმანეთს შეუხორცებთ, მაშინ კი მთაც გამოვა და ზღვაც. სწორედ ამ თვალით უნდა ვუყურებდეთ სამოციანი წლების ზოგიერთ მოღვაწეს, მათ რიცხვში რაფიელ ერისთავსაც".

რაფიელ ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობა მართლაც მრავალმხრივი იყო. იგი იყო პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი. ამასთან, იგი ცნობილია როგორც შემკრები ეთნოგრაფიული მასალების თუშ-ფშავ-ხევსურეთის, სამეგრელოს, იმერეთისა და სვანეთის შესახებ. რ. ერისთავის როლი თვალსაჩინოა ხალხური ლექსების გამოცემის საქმეში. თავის დროზე მან თვალსაჩინო როლი შეასრულა როგორც ლექსიკოლოგმა: მისი რედაქტორობით გამოვიდა სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი ლექსიკონი და ამასთან ერთად მან თავად შეადგინა ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი. იგი ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში აგრეთვე როგორც მთარგმნელი.

მწერალი კარგად იცნობდა და მწვავედ განიცდიდა მაშინდელ უკუღმართ სინამდვილეს, რომლის ანარეკლიც იყო მთელი მისი შემოქმედება. რ. ერისთავის ცნობილი ლექსები „ბერუას ჩაფიქრება", „თინიას მამითადი", „თანდილას დარდი", „სესიას ფიქრები", „ტეტიას მოთქმა" და სხვანი ცხოვრებიდან ამოღებული სურათებია. ეს როდია ფანტაზიის ნაყოფი ან წინასწარ გამოგონილი სქემები, არამედ ცოცხალი, მხატვრულად განზოგადებული სინამდვილეა. ლექსების პერსონაჟები უბრალოდ და სადა ენით მეტყველებენ და ასევე

მარტივად გვამცნობენ თავიანთ ფიქრსა და აზრს. ეს სისადავე და უბრალოება ხიბლავს მკითხველს. აი მისი ცნობილი ლექსი „ბერუას ჩაფიქრება". რა უბრალოდ, მიამიტურად ჰყვება გლეხი თავის გასაჭირს:

ე როგორ არი, ვერ მიეხვდი, როგორი განაჩენია,
მიწა სხვისაა, ვქირაობ, შრომა კი მარტო ჩემია...
...ეს შავი მიწა მაინც რომ სასყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარემდინ—რა ვიცი—მე რაღა დამაღონებდა?..

არა მარტო ბერუას აფიქრებს გლეხის ეს მძიმე ხვედრი ფეოდალური და კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში, არამედ სხვებსაც. განა ასევე არ უჩივის თავის ბედს სესია?

ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა, ე შრომა მინც ფუჭეა, —
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო, ვერ გამოვიძღე კუჭია...
მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჯინჭველაც ჩემი მტერია,
მოხელე, მღვდელი და ერი—ყველა მე შემომცქერია...

პირუთვნელი მხატვრული სიმართლით არის წარმოსახული რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრება. გლეხის ამ ფიქრებში ჩანს შემაძრწუნებელი სურათი ძველი ყოფისა.

რაფიელ ერისთავის პოეზია ხასიათდება პატრიოტიზმის მგზნებარე გრძნობით. მან ბევრი საინტერესო ნაწარმოები უძღვნა ამ თემას. უმღერა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს,—„მამულისთვის წამებულ ვაჟკაცებს". წარუშლელი კვალი დატოვა მისმა ლექსმა „სამშობლო ხევსურისა". რ. ერისთავის ეს ლექსი XIX საუკუნის ქართული მწერლობის პატრიოტული მანიფესტი იყო. ამ ლექსის ელვარე სტრიქონები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსებთან ერთად გაისმოდა.

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა.
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!

რაფიელ ერისთავი ჩვენს ლიტერატურაში ცნობილია აგრეთვე როგორც დრამატურგი და საბავშვო მწერალი. მისი დრამატიული ნაწარმოებები „დედაკაცმა თუ გასწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“, „ადვოკატები“. „ბრილიანტი“, „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“, „პარიკმახერისას“ და სხვ. წარმატებით იდგმებოდა ჩვენს სცენაზე. რაფიელ ერისთავის ისეთი საბავშვო ლექსები, როგორიცაა: „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „მიპატიჟება სასწავლებელში“, „ჩიტი“, მის მიერ ნათარგმნი „მებადური და ოქროს თევზი“ ახლაც ამშვენებენ მოსწავლეთა სახელმძღვანელოს.

და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ რ. ერისთავის ნაყოფიერი მუშაობა იგავ-არაკების ჟანრში. აკაკი წერეთელთან ერთად მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კრილოვის იგავ-არაკების გადმოქართულების საქმეში. ამ იგავ-არაკებს თავის დროზე დიდი რეზონანსი ჰქონდა. რ. ერისთავი წერდა ორიგინალურ იგავ-არაკებსაც და ამდენად, განაგრძობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელოვან გზას. ჯერ კიდევ 1895 წელს მადლიერმა ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა რ. ერისთავის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლისთავი. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ინიციატივით მოწყობილმა ამ იუბილემ გამოამჟღავნა ჩვენი ხალხის უსაზღვრო სიყვარული რაფიელ ერისთავისადმი და საერთოდ, ქართული მწერლობისადმი. ეს უჩვეულო სახალხო დღესასწაული იყო. და მაინც რაფიელ ერისთავის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნამდვილი დაფასება მხოლოდ ჩვენს დროში, საბჭოთა ეპოქაში მოხდა. გამოიცა რაფიელ ერისთავის თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, რამდენჯერმე გამოვიდა მისი რჩეული ნაწარმოებნი ცალკე წიგნებად. რაფიელ ერისთავის შემოქმედება ხალხის კუთვნილებად იქცა.

ნიკოლოზ ნეკრასოვი

საბჭოთა კავშირის ხალხები ზეიმით აღნიშნავენ დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილის პოეტ-დემოკრატის ნიკო-

ლოზ ალექსის ძე ნეკრასოვის გარდაცვალების 75 წლისთავს.

განუზომელია ნეკრასოვის დამსახურება რუსული ლიტერატურის ისტორიაში. ნეკრასოვის პოეზიაში განსახიერება ჰპოვა რუსი ხალხის საუკეთესო იდეალებმა; რუსი ხალხის უბრალოება და პირდაპირობა, სიდინჯე და შემართება, რწმენა და შეუპოვრობა, მგზნებარე პატრიოტიზმი და გოლიათური ძალა—მკაფიოდ გამოვლინდა ნეკრასოვის ლექსებში და ყველაფერი ეს მან გამოხატა სიმართლით, ნათელი პოეტური ოსტატობით.

ნეკრასოვის პოეზიას ხალხური რუსეთი ასაზრდოებდა და მებრძოლი ლექსებით აღაგზნებდა მას ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ, ზრდიდა შეურიგებლობის სულისკვეთებით. ნეკრასოვი სიამაყით აცხადებდა: „მე ბედად მერგო ბავშვობიდან მეცქირნა რუსი გლეხის ტანჯვისათვის, რომელსაც იგი ვანიცდიდა სიცივისგან, შიმშილისგან და ყოველგვარი სიმკაცრისაგან. ჩემი ლექსების მოტივს ამ გარემოდან ვიღებ. ღაე, ნუ კითხულობს ჩემს ლექსებს მაღალი საზოგადოება, მე მისთვის როდი ვწერ“! ნეკრასოვის პოეტური ფიქრი ხალხს დასტრიალებდა, მისი სევდა თუ სიხარული ხალხთან იყო დაკავშირებული. სწორედ ამიტომ გახდა ნეკრასოვი ხალხური რუსეთის მებრძოლი პოეტი. „მე ხალხისათვის ვამღერებდი უნაზეს სიმებს. — წერდა ნეკრასოვი, — ხალხს ვუძღვენი ჩემი ჩანგი და ეს მამშვიდებს“.

ნეკრასოვი ბატონყმური და ცარისტული რუსეთის შავბნელ დროში მოღვაწეობდა და მისი პოეზიის საგანიც ამ შავბნელი სინამდვილის წინააღმდეგ წარიმართა. მისი ლირიკული თუ ეპიური ნაწარმოებების გმირები ამ სინამდვილისაგან გაუბედურებული რუსი უბრალო ხალხია: მებატონეთა უსამართლობის თუ მეფის ჩინოვნიკ-მოხელეთა ჩაგვრის მსხვერპლი. ადამიანურ უფლებას მოკლებული ყმაგლეხი, სილარიბისაგან შევიწროვებული კალატოზი თუ დურგალი, ქალაქის ღარიბი ადამიანები, ჭუჭყიანი, ვიწრო ქუჩის მოქალაქენი — ეს დამშეულთა და უმიწაწყლოთა არმია დიდი თანაგრძნობით გამოხატა პოეტმა:

სიბრალო კვნესით... ოი, ჩემო მიწავ მშობელო,
დამისახელე თუნდაც ერთი კუთხე ისეთი
(ასეთი კუთხე მე არ მინახავს არასოდეს)
რომ მხვნელ-მთესველი დაჩაგრული არ იყოს ბედით,
შენი მფარველი რუსი გლეხი არა კვნესოდეს.
კვნესის გადაშლილ მიწდორ-ველზე და შარა-გზაზე,
კვნესის ციხეში, წამებული, გულსაკლავ ხმაზე,
მაღაროების ჯურღმულებში ხუნდებშეყრილი,
თივის ზვინისქვეშ მოდრეკილი, წელში მოხრილი...
ყოველ მივარდნილ ყრუ ქალაქში ის კვნესის მწარედ,
სასამართლოს და პალატების კარებთან მდგარი...
ო, ვოლგავ, ვოლგავ, მრავალწყლიან გაზაფხულისას
ისე არ ავსებ ნიაღვარით შენს ველს და ყანას,
როგორც უდიდეს მწუხარებით ხალხის გულისა
ავსებულია წამებული ჩემი ქვეყანა...

ამ სტრიქონებს პოეტი წერდა ბატონყმური რუსეთის წლებში 1858 წელს. რამდენიმე წლის შემდეგ ბატონყმობა გაუქმდა, მაგრამ პოეტი ხედავს, რომ ტანჯვას ბოლო არ მოეღო, მონობის წინააღმდეგ კვლავ აღსდგა ნეკრასოვი.

მე კარგად ვხედავ, ნაცვლად ძველი ბატონყმურ მახის,
მონობის ქსელი მოიგონეს ათასი სახის.
ასეა! მაგრამ მასაც გაწყვეტს ხალხის მარჯვენა,
მუზავ, იმედით მიესალმე იმ გამარჯვებას!

ნეკრასოვი უმღეროდა თავისუფლებას. თავის ცნობილ, ჭეშმარიტად ხალხურ თხზულებაში „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“, იგი კატეგორიულად აცხადებდა, „ხალხს თავისუფლება სურს უწინარეს, შრომითი ცხოვრება, გზა ალალი“.

ნეკრასოვის თამამი, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული მებრძოლი ლექსი იტაცებდა ხალხს, ზრდიდა მას მომავლის რწმენით. იგივე გარემოება ხდიდა მას ხალხის საყვარელ პოეტად. ამით აიხსნება მისი ეგზომ პოპულარობაც. დასაფლავების დღეს, როდესაც ერთ-ერთმა მწერალმა იგი პუშკინს შეადარა, დამსწრე ხალხთაგან წამოძახილი გაისმა: „ნეკრასოვი პუშკინზე მაღლა დგას!“

როგორც ცნობილია, დიდი ლენინი განსაკუთრებით აფასებდა ჩერნიშევსკის რევოლუციურ თაობას. ამ თაობას

ლენინი მარქსიზმის წინამორბედად თვლიდა. მებრძოლი რევოლუციური პოეზიით ნეკრასოვი დაუკავშირდა ამ სახელოვან პლეადას. 1907 წელს დაწერილ სტატიაში „გრაფ გეიგენის ხსოვნას“ ლენინი წერდა: „ნეკრასოვი და სალტიკოვი ასწავლიდნენ რუსეთის საზოგადოებას მებატონე-მემამულის განათლების შელამაზებული და მოკაზმული გარეგნობის ქვეშ დაენახა მისი მტაცებლური ინტერესები, ასწავლიდნენ ზიზღს ასეთი ტიპების ფარისევლობისა და უსულგულობისადმი“. სხვაგან ლენინი შენიშნავდა: „ნეკრასოვი მეგობდა ჩერნიშევსკისა და ლიბერალებს შორის, მაგრამ მთელი მისი სიმპატია ჩერნიშევსკის მხარეზე იყო“. დიდი ლენინი ხშირად მიმართავდა ნეკრასოვის მებრძოლ პოეზიას. ახასიათებდა რა რუსი ხალხისთვის ოქტომბრის რევოლუციის დიდ მნიშვნელობას, ლენინი იმოწმებდა ნეკრასოვის შემდეგ სტრიქონებს:

შენ ხარ ღატაკი, შენ ხარ მდიდარიც,
შენ ხარ უძლური, ხარ ყოვლის შემძლეც,
დედა რუსეთო!

მოჰყავდა რა ეს ადგილი, ლენინი აღნიშნავდა, რომ თავისუფალი დიდი რუსი ხალხი მთელ მსოფლიოს დაანახვებს თავის გოლიათურ ძალასა და მძლეთამძლეობას ოქტომბრის რევოლუციის დროშით.

ნეკრასოვის მგზნებარე რევოლუციურმა პოეზიამ დიდი გავლენა მოახდინა მთელს შემდგომ რუსულ მწერლობაზე. მისი დადებითი გავლენის კვალი შესამჩნევია დღესაც. შემთხვევითი როდია, რომ ოქტომბრის რევოლუციის დიდმა ტრიბუნმა, საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესმა პოეტმა მაიაკოვსკიმ წინაპარ პოეტთა შორის პუშკინთან ერთად ნეკრასოვი მოიხსენია.

ნეკრასოვს სწამდა რუსი ხალხის დიდი მომავალი. მის გოლიათურ ძალაში დარწმუნებული პოეტი 1864 წელს წერდა:

შორს, სამშობლოსათვის, სიმხდალე და დაძაბუნება,
მაგარი არის რუსი ხალხი, ამტანი დიდად,
მან გააკეთა ეს რკინიგზა, ეს სადგურები,
უველას აიტანს, რასაც ღმერთი არგუნებს ტვირთად.
დიახ, აიტანს ყოველივეს, და ღია მკერდით
გზას გაიკაფავს მომავლისკენ ნათელს და დიადს".

ეს ნათელი დროც დადგა. დიდმა რუსმა ხალხმა მართლაც დაამხო მონობის ბორკილები და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო შექმნა.

გამარჯვებული საბჭოთა ხალხები სიყვარულით იგონებენ თავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლს, დიდი რუსი ხალხის სახელოვან შვილს ნიკოლოზ ნეკრასოვს.

გერონტი ქიქოძე

ცნობილი საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი 1873 წლის გაზ. „დროებაში" წერდა: „ჩვენი ეხლანდელი ლიტერატურა არაფერში არ გრძნობს ისეთ ნაკლოვანებას, როგორც კრიტიკაში. როგორ მწერალსაც გინდათ ნახავთ, მაგრამ კრიტიკოსი ჯერჯერობით ერთიც არ მოიპოვება, როცა ეხლა არაფერი და არავინ არ გვჭირდება ისე როგორც ხეირიანი კრიტიკოსი. ჩვენც მეფე რიჩარდივით შეგვიძლია დავიყვიროთ,— „კრიტიკოსი კრიტიკოსი! ნახევარ მწერლობას მივცემთ, ვინც ერთ კარგ კრიტიკოსს გვიპოვისო". ასე იყო მე-19 საუკუნეში. სულ სხვა სურათია ახლა. მდგომარეობა შეიცვალა. ამჟამად ქართულ მწერლობაში ცოტა როდი გვყვანან გამოჩენილი ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები. ისინი თამამად შეგვიძლია ამოვუყენოთ ჩვენი მწერლობის ყოველ დარგს, ამ დარგის ყოველ ცნობილ წარმომადგენელს: კორნელი კეკელიძე და პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე და ბესო ჟღენტი და სხვები და სხვები—ჭეშმარიტად ამშვენებენ მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობას.

ლიტერატურული კრიტიკა მწერლობის ჭეშმარიტი დარგი გახდა და დღეს კრიტიკოსი უბრალო კომენტატორი, განმმარტებელი როდია მხატვრული ნაწარმოებისა, იგი თვითონ

არის მხატვარი, მწერალი. და პირველი, ვინც ამ შემთხვევაში თვალწინ წარმოგვიდგება, როგორც ღირსეული მაგალითი, გერონტი ქიქოძეა. სხვა მის თანამებრძოლებთან ერთად ლიტერატურათმცოდნეობა, ლიტერატურული კრიტიკა მან მხატვრული მწერლობის მაღალ დონემდე აიტანა. გ. ქიქოძის ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა, ყოველი მისი წერილი უაღრესად ემოციურია, პოეტური.

გერონტი ქიქოძემ კრიტიკა და კრიტიკოსი გაანთავისუფლა მხატვრული ნაწარმოების ჩვეულებრივი მონობისაგან, კრიტიკოსი დამოუკიდებელ მხატვრად აქცია. მართლაც, ჭეშმარიტი კრიტიკოსი მხოლოდ ის არის, ვისაც საკუთარი სათქმელი გააჩნია და მხატვრული ნაწარმოების ანალიზი მისთვის ერთგვარი საბაბია ამ სათქმელის გამოსამჟღავნებლად.

ავიღოთ ასეთი ფაქტი: ჩვენ ყველანი ვიცნობთ ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილის მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიას. აგრეთვე ვიცნობთ გერონტი ქიქოძის ლიტერატურულ ნარკვევებს. რომ შევადაროთ ეს ნაშრომები ერთმანეთს, აღმოჩნდება, რომ სტილის მხრივ, დაწერის თვალსაზრისით ესინი სავსებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ხახანაშვილი შემთხვევით როდი დავასახელე. იგი თავის დროზე ცნობილი მეცნიერი გახლდათ და მისი ისტორიაც დიდად გახმაურებული იყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ გერონტი ქიქოძე, როგორც მწერალი-კრიტიკოსი შეუდარებელია. მასსულ სხვაგვარად ესმის კრიტიკის დანიშნულება; მისი აზრით კრიტიკოსი ვალდებულია აღზარდოს მკითხველი იდეური და მხატვრული გემოვნებით, ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს მას და აგრძნობინოს ნაწარმოების სული. ამიტომ მის სტილს, მის ნაწერს თავად უნდა ჰქონდეს ემოციური ზეგავლენის ძალა.

გ. ქიქოძეს, ბუნებით რეალისტ მხატვარს, ახასიათებდა ოდნავ მოდერნიზებული, იმპრესიონისტური მაწერა წერისა. ამაშიც იყო მისი ორიგინალობა, როგორც მხატვრული სტილის ოსტატისა.

სტილი თვით ადამიანიაო, იტყვიან. თუ ეს ვინმეზე ითქმის, უწინარეს ყოვლისა, ამის განსახიერება გერონტი ქი-

ქოძე იყო. თავისი დარბაისლური საქციელით, თავმდაბლობით, მაღალი კულტურით და ნატიფი გემოვნებით გერონტი გვზრდიდა ჩვენ. მასთან ურთიერთობით სულიერად ვმაღლდებოდით. გერონტი ქიქოძეს ფამილიარულად ვერ მოექცეოდი, რადგან თვითონ ამის საბაბს არასოდეს მოგცემდათ. სასიამოვნო იყო იგი ყოველთვის. შეხვედრისას, საუბრისას, საზოგადოებაში თუ განმარტოებით, თავისი მაღალი გემოვნებით, ახოვანებით და სულის სიმაღლით იგი გვათბობდა, და გვაფაქიზებდა. გერონტი ქიქოძე ამ მხრივ დიდებული კლასიკოსების განმეორება იყო, ახალი, მე-20 საუკუნის კულტურითა და ელფერით გასხივოსნებული.

გერონტი ქიქოძე ჩვენს წარმოდგენაში ჩვენი ეპოქის, მე-20 საუკუნის განათლებული და მაღალი ინტელექტის მქონე ინტელიგენტის ღირსეული წარმომადგენელია. ისე წავიდა გერონტი ჩვენგან, მის გონებას არ შეხებია სკლეროზის მსახვრალი ხელი, არც სიკვდილის აჩრდილი უგრძვნია მას და ჩვენც ასე გვგონია, რომ ის სადღაც ჩვენს შორის არის, აქვეა, ჩვენს მწერალთა სასახლეში და ამ მოგონების საღამოზე საცაა შემოაღებს კარს...

დიმიტრი გულია

მხატვრული სიტყვის ისტორია იცნობს სახელებს, რომელთა მოღვაწეობას უკავშირდება ეროვნული მწერლობის შექმნა, აღორძინება, თუ ახალი მიმართულების შემოტანა. ეს მწერლობა ყველაზე უფრო ახლო არიან ხალხის ეროვნულ ინტერესებთან. მის მისწრაფებებსა და ფიქრებს, ოცნებასა და სულისკვეთებას გამოხატავენ.

ასეთი მწერლები თავისი ხალხის სიამაყედ ითვლებიან. ეს თანაბრად შეეხება როგორც დიდი, ისე მცირე ერების მწერლებს, ასეთი ბედნიერი მწერლების რიცხვს ეკუთვნის აფხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი გულია. იგი დამსახურებულად ითვლება აფხაზური მწერლობისა და ლიტერატურული ენის ფუძემდებლად და მადლიერი აფხაზი ხალხი არასოდეს დაივიწყებს მის ღვაწლს.

არ არის არც ერთი დარგი აფხაზი ხალხის კულტურისა, რომელსაც დიმიტრი გულიას ნიჭიერების მადლი არ მოჰფენოდეს. მისი შთაგონებული შემოქმედებითი ცხოვრება მისაბაძი მაგალითია მრავალი თაობისათვის.

მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის მძიმე პირობებში დიმიტრი გულია მხარში ამოუდგა თავის ხალხს; რეაქციის თარეშისა და იმპერიალისტური ომის ხანაში, შემდეგ, მენშევიზმის ბატონობის შავბნელ დროში გულია თავისი მხატვრული სიტყვით მშრომელთა გულში განამტკიცებდა მისწრაფებას თავისუფლებისაკენ, აღძრავდა სიძულვილს მჩაგვრელებისადმი, უმღეროდა ხალხთა დიდ მომავალს.

როდესაც ეს ბედნიერების დღე დადგა, როდესაც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადმა მზემ აფხაზი გლეხის ქოხშიაც შეანათა, დიმიტრი გულიამ ახალგაზრდული გატაცებით უმღერა საბჭოთა ცხოვრებას, სოციალიზმის მშენებელ ადამიანებს. თავისი ცხოვრების ეს შესანიშნავი გზა პოეტმა დახატა ლექსში—„სიტყვა ამხანაგს". დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავის გამო თქმული ეს ლექსი — დიმიტრი გულიას თავისებური პოეტური ბიოგრაფიაა:

სამოცდათხუთმეტს გავშორდი ახლა,
ეს არც მცირეა და არც ხანგრძლივი,
ასეულ ნაოჭს სახე მინახავს —
ნიშანს განვლილი გზის და მანძილის,
მე ამ დღეების აკვანთან ვიყავ,
იქ ვიდექ ყველა აფხაზთან ერთად,
ვლოცავდი ლენინს და მის ბრძნულ სიტყვას,
შემოქმედს ახალ და ნათელ დღეთა.

შემდეგ იხსენებს, რა წარსულს, პოეტი მოგვითხრობს თუ როგორ აღსდგა მთელი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ხალხები, მათ შორის აფხაზეთის ხალხი მჩაგვრელების წინააღმდეგ. მწერალი მოწმე და მონაწილე იყო დიადი რევოლუციური მოძრაობისა, რომელმაც გამოჰკვდა ხალხის გამარჯვება.

ხალხის ცხოვრების ცოდნა, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის განწყობილება მთელი სისრულით გამოჩნდა დი-

მიტრი გულიას საინტერესო რომანში „კამაჭიჭი“. ეს რომანი ყურადღებას იპყრობს, როგორც ცხოვრების სიმართლით გამოხატვის საუცხოო ნიმუში. რევოლუციამდელი აფხაზეთის სოფლის ცხოვრება, ძველი ადათ-ჩვეულებანი, ხალხის ფიქრი და ოცნება დიდის მომხიბვლელობით, სიმართლითა და ცხოვრების ცოდნით დახატა მწერალმა ამ საინტერესო რომანში. აქ ვხედავთ, ერთი მხრივ, თავად-აზნაურებს, მეფის რუსეთის მოხელეებს, ძველი სოფლის მარჩიელებს, სასულიერო წოდების წარმომადგენელს, რომლებიც აბუჩად იგდებენ მშრომელ ხალხს; მეორე მხრივ კი სოფლის მშრომელებს, პატიოსანსა და კეთილ ადამიანებს, რომელნიც სიმართლისათვის იბრძვიან.

ხსენებულ რომანში მძაფრადაა მხილებული მჩაგვრელთა ხროვა. მღვდელთან საუბარში გლეხი ალიასი ამბობს:

„დაწყებული მღვდლიდან, გათავებული ოლქის უფროსამდე ისეთი ვერავინ ვნახე, ადამიანურად მოგვპყრობოდა... ყველა გლეხი ჩემს დღეშია, ამიტომ არ ვარგა ეგ შენი კანონი, შენ და თავადებს რა გენაღვლებათ! ვიმეორებ—არ ვარგა ის კანონი, რომელიც ერთს აღარიბებს და მეორეს ამდიდრებს. არ ვარგა“.

სწორედ ამ თავადებისა და მეფის მოხელეების უკანონო მოქმედების მსხვერპლი გახდება ალიასის ოჯახი. ჯერ თვითონ ალიასი დააპატიმრეს უკანონოდ, და დიდხანს აწამეს იგი. შემდეგ იყო და შეძლებულმა აზნაურმა ტატლასტანმა მისი სიძე წვალებით მოაკვლევინა, ქალიშვილი კამაჭიჭი მოსტაცა, აწამა, აბუჩად აიგდო, საკუთარი შვილი წაართვა და მოუკლა. მწერალი გვიჩვენებს თუ როგორ იზრდებოდა პროტესტის გრძნობა ამ მოძალადეების მიმართ. ჯალათი ტატლასტანი კამაჭიჭის ტყვიამ განგმირა. ამ რომანში შესანიშნავად არის დახატული სახე მებრძოლი აფხაზი ქალისა. ასევე კარგად არის მოცემული რევოლუციონერების — იუანასა და დამეიას ხასიათები.

დიმიტრი გულიას რომანის მხატვრულ ქსოვილში ორგანულადაა ჩართული ხალხური თქმულებები, ანდაზები გამოცანები, ზღაპრები. აქ ჩანს დიდი ცოდნა ხალხის ცხოვრე-

ბისა და ეს გარემოება უაღრესად ხალხურ ქმნილებად ხდის ამ საინტერესო ნაწარმოებს.

დიმიტრი გულიას მოღვაწეობა ყანრობრივად მეტად მრავალმხრივია, მის კალამს ეკუთვნის ლირიკული ლექსები, მოთხრობები, პიესები, ეთნოგრაფიული წერილები, ისტორიული ნარკვევები. ასეთი მრავალმხრიობა იმითაც აიხსნება, რომ როგორც ვთქვით, დიმიტრი გულიამ ჩაუყარა საფუძველი და გზა გაუკაფა აფხაზურ მწერლობასა და ენას.

დიმიტრი გულიას ლირიკული ლექსები — „სამშობლოს", „სიმღერა აფხაზეთზე", „ცისკრის ვარსკვლავი", „რუსთაველის ძეგლი სოხუმში", „ტარას შევჩენკოს", „ჯამბული", „ბოლშევიკური სიტყვა", „ლაპარაკობს მოსკოვი", „პარტია" და სხვა მრავალი—მაღალიდეური საბჭოთა პოეზიის საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

თავის ლირიკულ ლექსებსა და მოთხრობებში მწერალი გულწრფელად უმღერის ხალხთა ურღვევ ლენინურ მეგობრობას. დიმიტრი გულიამ აფხაზ მკითხველებს გააცნო რუსული, უკრაინული და ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები, მან გადაიღო აფხაზურ ენაზე „ამბავი იგორის ლაშქრობისა". დიდი პუშკინის, ლერმონტოვის, შევჩენკოს და სხვათა თხზულებანი. იგი ბავშვობიდანვე იზრდებოდა რუსული და ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებზე.

აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას შემოქმედებითი ბიოგრაფია სისხლხორცეულად დაკავშირებულია საქართველოსა და ქართულ მწერლობასთან. იგი სწავლობდა ქ. გორში. აქ, საქართველოში, დაიწყო სამწერლო მოღვაწეობა—ქართული მწერლობის უშუალო ზეგავლენით. 1924-25 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა აფხაზური ენის კურსს. 1929 წელს ის აირჩიეს საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების წევრად. დიმიტრი გულია დიდი სიყვარულით წერს ქართველი კლასიკოსის აკაკი წერეთლის შესახებ: „ამ შესანიშნავმა ადამიანმა მთელი თავისი სიცოცხლე ხალხს უძღვნა. ა. წერეთლის პოეზია — ქართველი ხალხის სიმღერებია. ეს ადამიანი ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე შემიყვარდა მისი მომხიბლავი და გაბედული სიმ-

ღერებისათვის". ქართული კლასიკური მწერლობისადმი უღრმესი სიყვარული დიმიტრი გულიამ იმითაც გამოხატა, რომ აფხაზ ხალხს დედაენაზე საკითხავად მისცა ა. წერეთლის „გამზრდელი" და რამდენიმე ლირიკული ლექსი, ი. ჭავჭავაძის მოთხრობები და ლექსები, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე".

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დიმიტრი გულიას დიდი ღვაწლი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის" აფხაზურ ენაზე თარგმნის საქმეში.

დიმიტრი გულია მგზნებარე, ახალგაზრდული ენერგიით უმღეროდა კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანების დაუცხრომელ შემოქმედებითს შრომას:

თუმც მოხუცი ვარ, ვარ ბედნიერი,
ყველგან მეგობრულ ხელებს მიწვდიან,
მიტაცებს მარად ეს სიყვარული
და მოსვენება არ შემიძლია.

ჭეშმარიტად ჭაბუკური გატაცებით მიმართავდა პოეტი ჩვენს მრავალეროვან სოციალისტურ სამშობლოს, ჩვენი ხალხის დაუცხრომელ შრომას და შემოქმედებით ცხოვრებას.

დიმიტრი გულიას ნაწარმოებები გადათარგმნილია რუსულ, ქართულ და მოძმე ხალხთა სხვა ენებზე.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა დიმიტრი გულიას ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას. მწერალი დაჯილდოვებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული აფხაზეთის ხალხის სულიერ ცხოვრებასთან.

ალექსანდრე საჯაია

ამ ორმოცი წლის მანძილზე ჩვენს თვალწინ პოეტთა რამდენიმე თაობამ ჩაიარა. ბევრი მათგანი მწერლობაში ჩვენზე გვიან შოვიდა. ჩვენ მათი მოსვლის მოწმენიცა ვართ და მათი შემოქმედებითი დავაჟკაცების დამსწრენი. ბევრ მათგანთან ახლო ურთიერთობა, მეგობრობა გვქონია. ვინც მათს

მოღვაწეობას გასცნობია და დაკვირვებია, ადვილად დაასკვნის, რომ მხოლოდ მათ დაუტოვებიათ მწერლობაში გარკვეული კვალი, მიუპყრიათ ჩვენი ყურადღება, დაუმსახურებიათ სიყვარული, ვინც მწერლობაში მოსულა ორიგინალური პოეტური ხმით და თან მოუტანია ახალი ფერები, ახალი ხმები. ვისაც მუდმივი ძიება, პოეტური ძიება ახასიათებდა, როგორც ტალანტის გამოვლინების საშუალება და ვისაც სამშობლოს სიყვარული გულწრფელ პოეტურ სიტყვაში გადმოუცია.

ალექსანდრე საჯაიამ ერთბაშად გაიელვა ჩვენს თვალწინ. ჩვენ მოწმენი ვიყავით მისი ცეცხლოვანი პოეტური სიტყვისა და მორიდებული, თავმდაბლური მოქალაქეობრივი ქცევისა. ამ მხრივ იგი ფრიად მისაბაძი ჭაბუკი გახლდათ. ვინც მას ახლო იცნობდა, დამემოწმება, რომ მას ყველა ნიშანი და თვისება ჰქონდა, რომ დიდი ტრადიციების მქონე ქართულ მწერლობაში განცდებითა და ემოციით სავსე ორიგინალური სიტყვა ეთქვა. და ის, რაც მან უკვე თქვა, რაც რვა თუ ათი წლის განმავლობაში მოასწრო, მეტყველებს ამ ახალგაზრდა პოეტის ნიჭიერებაზე და აგრეთვე იმაზეც, რომ გულით დაჰქონდა თავისი ქვეყნის დიდი სიყვარული. მის მიერ გამოქვეყნებული ლექსების, თარგმანებისა და ზღაპრების მოზრდილი წიგნი მუდამ დარჩება ჩვენს პოეზიაში, როგორც ამ უტყუარი ნიჭიერების ნიმუში.

ა. საჯაიას პირველი ლექსი 1935 წელს დაიბეჭდა, ხოლო მის ბოლო ლექსებს 1944 წელი აქვს თარიღად. დიდი ლირიზმით გამთბარი ეს ლექსები ცოცხლობს ეპოქის სასიცოცხლო კითხვებითა და ინტერესებით. მათში აღბეჭდილია ოცდაათიორმოციანი წლების საქართველო, როგორც მშვიდობიანი მშენებლობის, ისე ომის დროინდელი სურათები და ეპიზოდები. პოეტი ცოცხლობდა ჩვენი ხალხის ინტერესებითა და მისწრაფებებით. ალ. საჯაია ნიჭიერი ახალგაზრდობის იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც ჩვენგან უდროოდ წასული ლადო ასათიანი და მირზა გელოვანი ამშვენებდნენ. მან მათი ბედი გაიზიარა — პოეტურიც და პიროვნულიც. ესენი ისე წავიდნენ ჩვენგან, რომ მოასწრეს მოეხიბლათ ჩვენი მკითხველი, ერთბაშად დაეპყროთ მისი

ყურადღება. სამწუხაროდ, ასევე ნაადრევად, მოულოდნელად ჩაქრა მათი სიცოცხლე. მათ წარუშლელი კვალი დასტოვეს ჩვენს სულზე იმით, რაც მოასწრეს ეთქვათ, მაგრამ უფრო მეტი დარჩათ უთქმელი, გაუმჟღავნებელი, საიდუმლოდ დაფერფლილი მათ გულში. დასანანია, რომ ეს ნიჭიერი ადამიანები ასე ადრე წავიდნენ ჩვენგან, მაგრამ ნუგეშად დაგვრჩენია, რომ მათ მიერ გაბრწყინებული ლექსები მარად დარჩება ჩვენს მწერლობაში.

ალ. საჯაიას დიახაც უფლება ჰქონდა ეთქვა:

> დავხუჭავ თვალებს: ტრფობით დამთვრალი
> მე ჩემს სამშობლოს მივიკრავ გულთან,
> ძმებო, გული მაქვს ცამდე მართალი
> და მთის წყაროზე ათასჯერ სუფთა.

საშობლოს სიყვარულით დამთვრალმა, გულალალმა, ცალმით მართალმა ალ. საჯაიამ ჩვენს პოეზიაში დაიმკვიდრა თავისი საპატიო ადგილი. ქართველი მწერლები, მისი მეგობრები და ამხანაგები, მუდამ პატივისცემით მოიგონებენ ამ უდროოდ დაღუპული პოეტის სახელს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წ ი ნ ა პ რ ე ბ ი

ილია 3
ილია და თანამედროვე ქართული მწერლობა 3
ილიას პროზა 12
აკაკი 36
აკაკი და საბჭოთა მწერლობა 84
ლირიკოსი და სარდალი 88
ბედი ქართლისა . . . 105
„მაცი ხვიტიას“ ავტორი . . 113
ცხოვრების მართალი მხატვარი . 125
პოეტი — ტრიბუნი . . 141

ᲗᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ ᲮᲛᲔᲑᲘ

გვირგვილიანების ოჯახი . 161
დიდი ქართველი პოეტი . 175
ხალხის გულისხმა . . . 183
ძალა სულიერი განძისა . . . 197
„პირისპირის“ ახალი ვარიანტი . 202
პოეტის გზა 210
დრო და მწერალი 219
მოქალაქეობრივი და ინტიმური ლირიკის შესახებ . 235
პროზაიკოსის გამარჯვება 248
უშბისა და თეთნულდის ხმები . 257
სამსჯავროს წინაშე . . . 267
მიგვაცილებს ლექსების ტაში . 275
ალაზანზე 289
ტრაგიკული სიყვარულის ისტორია . 297
კეთილი ადამიანების მხატვარი . 306
გული დაეძებს გულს 315
ლირიკული გმირი და სინამდვილე 326
ორი ახალგაზრდა მწერალი, ორი სტილი, ორი მანერა . 334

ზოგადი საკითხები

ქართული საბჭოთა ნოველა . 355
ახალი ამოცანების წინაშე . . . 407
მეტი გაბაქანი აზრსა და ფანტაზიას . . . 412
უფრო ძლიერად და სრულყოფილად ავსახოთ თანამედროვე ადამიანი 421
სწორ ნიადაგზე დავაყენოთ მწერლობისა და თეატრის ურთიერთობა 432
ჩვენი ლიტერატურის ახალგაზრდობა 435
უფრო გავამდიდროთ და განვაკითაროთ ქართული ენა . 440
ერთი საგნის ორი სახელი 446
პოეზიის დღე . . . 457
ჩვენი დროის პოეზია . 459
ჩვენი ახალი თაობა . . . 465
დიდი საზოგადოებრივი საქმე . 473

რუსი მწერლები

ა. ს. პუშკინის იუბილე საქართველოში . 480
რუსული სიტყვის დიდი ოსტატი . . 488
პოეტი და მოქალაქე . . . 506

ქარის მეზობელი

ლექსები მშობლიურ ენაზე, გაზაფხულზე, სიყვარულზე . . 511

მოგონებათა სალამოები

ორას ორმოცდაათი წლის დავით გურამიშვილი . 517
ვაჟა 521
იაკობ გოგებაშვილი . 524
ნიკო ნიკოლაძე . . . 526
მირზა ფატალი ახუნდოვი . 530
ივანე მაჩაბელი . . 532
ეკატერინე გაბაშვილი . 534
ბესარიონ ბელინსკი . 537
რაფიელ ერისთავი . 539
ნიკოლოზ ნეკრასოვი . 542
გერონტი ქიქოძე . 546
დიმიტრი გულია . . 548
ალექსანდრე საჯაია . 552

8
8 (47) 09
ბ 46

რედაქტორი ნ. ხომერიკი
გამომც. რედაქტორი ნ. მაძალუა
მხატვარი ო. ვარვაროიძე
მხატვრული რედაქტორი ირ. ჯანაშვილი
ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
კორექტორი ც. ქაროსანიძე

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17 /VI, 64 წ.
ქაღალდის ზომა 84x108/32
ნაბეჭდი თაბახი 28,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 24,68
უე 07676
ტირაჟი 4000
შეკვ. № 561

ფასი 1 მან. 36 კაპ.

* *

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების" სტამბა,
თბილისი, პლეხანოვის, 181.

Типография издательства „Литература да Хеловнеба"
Тбилиси, Плехановский, 181.